UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2024 / 3 / (53)

თბილისი
2024



ღმერთო,

შენი რწმენით

ვცოცხლობ!

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)



წმინდა ნიკოლოზი

ხატმწერი **ხატია ლარიაშვილი**



ხატმწერები; გიორგი ლარიაშვილი
ხატია ლარიაშვილი
არჩილ სარჯველაძე



ხატმწერები; გიორგი ლარიაშვილი
ხატია ლარიაშვილი
არჩილ სარჯველაძე

მამა გაბრიელი

მიცვალებულის სახელზე რომ პანაშვიდი გადაახდევინო, ისეა, თითქოს პატიმარი გაასეირნო დღის სინათლეზე, ხოლო თუ შეკვეთილ წირვას გადაუხდი, მაშინ არწივივით აფრინდება! შვიდ შეკვეთილ წირვას ძალიან დიდი ძალა აქვს, ხოლო თორმეტ შეკვეთილ წირვას ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს სული, რანაირი ცოდვილიც არ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, გარდა ღვთის გმობელისა. მათზე ლოცვაც არ შეიძლება. მხოლოდ კეთილი საქმეები. თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმითი სახე დაგებანათ...
/ წმ ბერი გაბრიელი /



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

„მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქ, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება ინკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გავუკეთოთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგუბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი“.



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)



თვალი გადავავლე

წიგნებს გადავავლე თვალი,
განძს და უკვდავების წყაროს,
ჯერ ვერ მოვიხადე ვალი,
წიგნი კვლავ აკლია თაროს.

ო, ეს დალოცვილი განძი,
ჩემი და ბევრიც სხვისი,
ციდან ცისარტყელა მაწვდის,
ყველა ნათლულია მზისი.

მე ვარ მასპინძელი სტუმრის,
ვუვლი, ვპატრონობ და ვკინძავ,
ჩვენ არ შეგვიძლია შური,
შრომით მივაღწიეთ მიზანს.

I GLANCED OVER

I looked over my issued books,
The immortal treasure, source of soul,
But I haven't paid my debt finally yet:
Books still need to be added to the shelf.
.
Oh, this blessed, priceless treasure
Not only mine but many others,
A rainbow sends them from the sky
And each is baptized by the sun.

I am the host of the wise guest,
I pat, bind, and care after them,
We can not envy; we have pure souls,
Only through hard work can we reach goals.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

უცნობი პოეტი

***

მითხარ უფალო, შენ ჩვენ შეგვქმენი თუ ჩაგვიფიქრე,
რადგან დუმილი გარდა ფიქრისა, ყველაფერს თრგუნავს.
რადგან იცი, რომ მხოლოდ ფიქრს ძალუძს დუმილით აღძრულს,
ამ ქვეყნიურის და ზეციურის ზღვარის გალღობა.
მითხარ, უფალო, დასაბამიდან თუ იყო სიტყვა,
და სიტყვა ესე იყო ღმერთთან, სიტყვა უფლობდა,
შესწევდა ძალა, ეზილა თიხა მიწიერისგან
და ერთი სიტყვით მოდგმა ადამის გამოეძერწა.
მაშ, რატომ არის ფიქრის და სიტყვის ნება სხვადასხვა,
ფიქრს ვერ აკრძალავ, ვერ ჩაკეტავ, ტაბუს ვერ ესვრი.
სიტყვა სხვა არის, რომც ღმერთობდეს სწვდებოდეს ზეცას,
მაინც არსებობს სიტყვად – უთქმელი, – რასაც ვერ გეტყვის.
რადგან უთქმელის გათქმას ახლავს სასჯელი თვისი,
რადგან უფლებებს აწესებს მოდგმა პირველ ადამის,
თითოეულ ნათქვამს კანონები აკონტროლებენ,
მკრეხელნი უფალს თრგუნავენ და სდუმან მარადის?
არა, სიტყვა და ღმერთი იყვნენ ერთნი საწყისად,
მოდგმამ კაცისამ გაჩენის დღიდან განაცალკევა.
მას შემდეგ სიტყვა კაცთანაა და ღმერთი ცაში,
ჩვენზე ფიქრებით ცხოვრობს, მაგრამ ჩვენთან არ ჰყვება.
ნეტა, ოდესმე უფალო თუ შენს ფიქრს გამანდობ,
რომ დამეხმარო, რომ განვჭვრიტო ჩემი რაობა,
ჩემმა სიტყვამ თუ ვერ იტვირთა ჩემი სათქმელი,
ფიქრით განმსაჯე, ფიქრით დამსაჯე, როდესაც მოხვალ.

***

Did you create us, or we are only in your thoughts, my Lord.
The silence suppresses everything around except a thought.
Because you know that only the thought, aroused by silence,
It can dissolve the boundary between Heaven and Earth.
Tell me, Lord, if there was a word from the beginning,
And the Word was with God, and the Word was sovereign,
And it had the power of kneading the earthly clay,
And with one Word, the generation of Adam to create.
So why are the wills of thought and speech so different?
You can't ban thinking, you can't lock it up, you can't prevent it.
The Word is different, and even if it reached Heaven and God,
Still, there are unspoken words – and they cannot be told.
Because the divulging of the unspeakable is a punishable act,
And rights are established by the generation of the first Adam,
And Laws control every Word, as they are juridical,
Do the blasphemers oppress the Lord and be silenced forever?
No, the Word and God were one in the beginning,
And Mankind separated them from the day of his birth.
After that, the Word is with Man, and God is in Heaven,
He lives with thoughts about us, but he is silent.
Will you ever let me know what your mind keeps,
To help me see and acknowledge my own being,
If my words could not carry the burden of my thoughts,
When you come to me, judge me with your law, my Lord.

*

საქართველოს მისამართია წრეწირი მიწის,
ტაო-კლარჯეთის კათედრალზე რომ გაივლება,
სადაც, ოდესღაც, თავად ღმერთი უფლის დაშვებით,
ციდან მიწაზე უხილავად კალთას გვიფენდა.
წარმოაჩენდა ერისკაცებს ჯვართა მტვირთველებს
და მირონცხებულ მეფეებად გამოგვირჩევდა,
ვერ მოვერიეთ, ჩვენ ვერ ვზიდეთ ერისშვილობა,
შემოგვერღვია მანტია და სული გვიფეთქავს!
ჩვენ ვერ შევძელით, ვერ ვივარგეთ საზღვრების ფარად,
რომ გაგვეზარდა თაობები ქართული სულის,
და ამიტომაც დღემდე ვიგლოვთ ოშკსა და ზარზმას,
ხახულს და ბანას მივტირით და მაინც ვერ ვყოფნით.
ეჰ, თითქოს გვინდა, რომ ქვეყანა გვქონდეს ლამაზი,
მაგრამ ერთმანეთს რატომღაც არ გავუზიაროთ,
იოლად ვკიდებთ ჩვენი ცოდვის გუდას პირსავსეს,
სხვა უცხოტომელს და სულს საკუთარს პასუხსაც არ ვთხოვთ.
ხანდახან, სულის არსებობას სულაც ვივიწყებთ,
სიყვარულს ვუმზერთ მარტოდენ სიტყვას ფურცელზე გაკრულს,
და აღარ გვახსოვს დამოწმებად ამ ერთი სიტყვის,
თავად უფალი ჯვარს გაეკრა ადამის გამო.
ვაი, ეს ყველა, ბზე რომ შოთას კერაზე ღვივის,
და ყვავ–ყორნები ჩვენს ზურგსუკან ისევ ჩხავიან
ვაი, რომ სვე-ბედს უკუღმა ვთესთ და წაღმა ვითხოვთ,
ამიტომ ლპება უსამკალოდ ჩვენი ნალია.
და, ... ლამაზია ეს ქვეყანა გავაზზე მეტად,
მაგრამ, გვინდა, რომ უფრო მეტად ლამაზი იყოს?
რატომ ვერ დავრგეთ, ვერ ვახარეთ წესი ეს წესად
სიტყვა საქმით და სიტყვა კალმით რომ ტოლი იყოს!
ნუთუ, ეს წყევლა არსებობს და ოდითგან მოგვდგამს–
რომ ერთგულება, სიყვარული ვერსად გვესწავლოს,
მადლიერებას თავს და ბოლოს ვერ ვუძებნიდეთ,
სიტყვათა მარაგს მივათვლიდეთ, – ყავლაგარდასულს.
ჩვენ ქართველობას არავინ გვართმევს, –თავად უარვყოფთ,
და გვავიწყდება რომ ერთმანეთს ფარად ვჭირდებით,
ამოსუნთქული ერთმანეთის ჰაერი გვგუდავს,
რადგან, რატომღაც ერთმანეთის ნიჭით ვმძიმდებით.
თითქოს არ ვიცით, რომ ნიჭს თავად ვერვინ იბოძებს,
იქ, სადღაც ზემოთ გადაწყვიტეს სამიზნე მისად,
არ გვაქვს საკმარი, ჩინი თვალთა გონიერების,
შური ზელს ჩვენს გულს, გვაქცევს სხვათა ნიჭის გალიად.
ვერ გვექცევიან ფანფარებად ჩვენი ლექსები, –
რა განგვადიდებს, როცა მზეც კი აღარ მზისგულობს,
სამნებად უჩანთ წინაპართ სისხლი იებს ფესვებზე,
მაგრამ ვერ ვამჩნევთ, მტერს ვკოცნით და მოყვარეს ვუმტრობთ.
ენძელებს ვახრჩობთ ფიფქს გამოცრილ სისხლისფერ თოვლში,
რომ თავს ვაჯეროთ იისფერი თავად თოვლია,
ნუთუ გვგონია, დღესაც გალა დავიმსახურეთ,
ასე ადვილი ქართველობა რატომ გვგონია?

* * *

The address of Georgia is the circle of the land,
It can be drawn as a boundary at Tao-Klarjeti Cathedral,
Where once upon a time, by the permission of God,
It spread his hem as a rug for us between Earth and Sky.
He manifested the laity as carrying cross burdens,
And he set them for us as anointed king-rulers,
We could not bear it; we failed to fulfil our obligation,
Our mantle is torn all around, and we hardly breathe.
We could not be helpful as the borders' shields,
To raise generations with the Georgian spirit,
And that's why we mourn for Oshk and Zarzma, still,
We've cried to Khakhuli and Bana but can't help it.
Eh, as if we all want to have a beautiful estate,
But for some reason, we don't want it to be shared,
We easily hang our sins on others' shoulders
And we don't even ask answers for it ourselves.
Sometimes, we even forget the soul's existence,
We look at love as just a word on a piece of paper,
And we no longer remember to testify the only one word,
The Lord was hung on the cross for Adam's descendants.
Alas, all this dirt-cheap that flames on Shota's hearth,
And the crows are still squawking behind our backs,
Alas, that we sow fate backwards and ask from eastwards,
Therefore, our abundance rots without harvest.
And this estate is more beautiful than Gavazi is,
We may want it to be much more attractive.
Why couldn't we plant this rule with low to instil?
To make words equal with pen and with deeds.
Has this curse followed us since time immemorial?
Not to have given acknowledgement of loyalty and love,
And the beginning and end of the gratitude meaning,
And we consider vocabulary– as words lost in time.
No one grabs the nationality from us – we reject it ourselves.
We forget that we need each other as a defensive shield,
Smothers stifles breathing suffocates and destroys us,
For some reason, we are burdened by each other's Gifts.
As if we don't know that we can't give Talant ourselves,
This matter is decided somewhere above, and it's called Heaven,
We don't have enough intelligence of mind, eyes, and sight,
Envy kills our hearts, turning us into a cage for other's gifts.
Our poems cannot turn us into fanfare – tucket,
What can glorify us when even the sun is not the same,
The ancestral blood is running through the roots of violet,
But we don't notice it; we kiss the enemy and hate friends.
We drown Snowdrops in the blood-stained snow
To assure ourselves that the snow is a dark reddish-blue,
Do we think, today, we deserve the highest Gala?
Why do we think it is too easy to be Georgian?

***

მზე, შენს სახლთან ამოდის ახლოს, – ჩადის ირიბად.
თან, თვალს აპარებს, მზერას ტოვებს კართან სხივებით.
თოკი გგონია, ფეხს აბიჯებ, მერეღა ამჩნევ,
ანდაც არ იმჩნევ, იწყებ წერას წნული სიტყვებით.

წყევლა ხომ მშვიდი ვერ იქნება, მშვიდი ლოცვაა,
შენ მოგზაურთა შემწე არაკს ეძახი რასაც,
რადგან გგონია, აღარავინ ლოცულობს შენზე –
გემო აქვთ დაღლის, მონატრების ნარჩენებს რადგან.

არც ეგ სიცხეა უმიზეზო, სიცხეა განა?
უფრო სითბოს ჰგავს, გისახსოვრე ოდესღაც დამზრალს,
ისე წახვედი, წაიყოლე, სიტყვა არ გითქვამს,
ალბათ, ამიტომ აღარ ელი წერილზე სალამს.

სადამდე წვდება სიყვარულის დაწნული თოკი? –
პასუხს არ ითხოვ, თოკს თავად წნავ და ცამდე აწვდენ,
რადგანაც იცი, თეთრი კაბა აცვია იმათ,
ვინც არ იმორცხვეს და შენს მკლავზე დანებდნენ ღამეს.

და მერე რა, თუ მათ ხანდახან ქარი შეარხევთ,
შემოუწეწავთ ამ კაბების ბოლოებს დასვრილს,
და რა მერე, თუ ნამდვილ გრძნობას დღეს შავი მოსავს,
და თალხი ფერით გამოჩენის რცხვენია ხალხში.

მწერ, მეკითხები – ვუფრთხი თუ არ? გპასუხობ – არას,
მაინც ორჭოფობ, იგრძელებ გზას, აგრძელებ დაწვნას,
თოკის ცალ ბოლოს დაბნეული მაჩეჩებ ხელში,
და თან არ გინდა, დავიღალო – ბოძს გამოვაბა.

დაზამთრდა. მგონი, მეც ფიფქივით გავხდი სტუმარი,
და სიყვარულის თოკზეც დადო თოვლმა უსიტყვოდ.
მე შენს სახლამდე უტალახო გზებით მოვედი,
შენ ჟინმა გძლია, სხვა ვაგონებს გაჰყევი უხმოდ.

და დღეს ამ თოკის ბოლოები ჩემს ხელებშია,
ორივე ხელით, კანგაცლილით, მტკიცედ მიჭირავს,
ვერ ვნახე ბოძი, ვეღარ ვხედავ, – მგონი ვბრამვდები,
მხოლოდ მზეს ვხედავ, ყველა ბოძს მე ეგ მზე მიჩრდილავს.

* * *

The sun rises near your house and sets rays indirectly,
At the same time, it leaves its gaze at your door threshold,
You think it's a rope, you step on it, then only you realize;
Or you don't notice it and start writing with twisted words.

A curse cannot be serene, as it is a prayer that calms,
What you call the fable of the travellers – helpers, supporters,
Because you think no there praying for you anymore -
It is because they taste fatigued – remnants of eagerness.

This heat is not for no reason either; is it truly heat?
It's more like warmth; I gave it to you, frozen, once.
You went, and you took it so you didn't say a word,
That's why you don't expect from me an answer.

I wonder, How far can the rope of love be stretched?
You don't ask for an answer; you pull it yourself to Heaven,
As you know, a white dress is worn by the maiden,
Who isn't ashamed to entrust your arm at night?

And then what if the wind shakes them occasionally,
Pulling apart and teasing out the ends of the messy dress.
And what if the true feeling today covers dark colours?
And it is shameful to appear in public with mourning black?

You are writing to me, asking me – am I afraid or not?
My answer is no; you still hesitate, and going and toss,
You are confused and giving me the end of the rope,
And you don't want me to get tired – to tie it to the pole.

It is winter, and I think I became a guest like the snow,
And the snow put flakes on the rope without a word.
I came to your house by clear roads, without mud and dirt,
You followed the other carriages because of your whim.

And today, the ends of this rope are in my own hands,
I hold it firmly with both hands, the fruits of hard work...
I couldn't see the pillar; My sight has gone – I'm blind,
I see only the sun; that sunbeam shadows all the poles.

ბაღისპირული

მე კვლავ იქ ვდგავარ, ბაღის კართან, – უკვე
მოხუცი,
სიმაღლით თითქმის დავეწიე ბავშვობის აჩრდილს,
ლოდინის ორთქლით დაძველებულ ფანჯრის
მინაზე,
დამჭკნარი მტევნით ვეძიები ანანეჭდს ბავშვის.
შენ სხვა ქარებმა დაგაშორეს ჩემთან შეხვედრას,
გადაგისროლეს მოგზაურთა უსიერ გზებზე,
მხოლოდ კალამი დაგიტოვეს ხელში უცვლელად,
ერთადერთია, ენდობი რასაც ყრმობიდან დღემდე.
ეს შენი არა, ჩემია მზერა – ბრმა და უსიტყვო.
უხმოდ რომ ფურცლავს ლექსებს მოცმულ მზერის
ბარათებს,
ძაფებად ართავს და გაქცეულს სულს სხეულიდან,–
თრთოლვის კანკალით კემსავს ხორცთან
ნაშუაღამევს.
ამ დროს – საღამოს, უსხეულოდ ღამდება შენთვის,
ვერმოახლებულს ჩემი ფეხის ხმას აყურადებ,
ჩემთვის ღამეა, დღისითაც კი ჩემთვის ღამეა,
კითხვას გიბრუნებ – დღე და ღამე არ
შემოგაცვდნენ?
შენ უსასრულო სიჯიუტის ნაჭუჭში ზიხარ,
ზოგჯერ ისეა, საკუთარი ნიჭიც გატყვევებს.
მხოლოდ მე ვხედავ შენი ფიქრის კალიგრაფიას,
და ეს ერთია, რაც სიცოცხლის გზაზე მაჩერებს.
ვღელავ დღეს რადგან, შენ გაგანდე არასდროს
თქმული,
რომ მე დავბერტყე იისფერი თოვლი კალოშის,
ფერი ვიცვალე, ასე ვიქეც ერთ დღეს მუმიად,
და მხოლოდ შენ მცნობ, არ მჯერა მე სხვისი
შენდობის.
ალბათ, ბევრი გაქვს სათქმელი და მე ისევ იქ ვარ,
ჩვენს ბაღის კართან, საკუთარ ჩრდილს
ვერდამალული,
მესმის უსიტყვიდ, ზუსტად ვიცი რომ ერთ დღეს
მოხვალ,
და შენ მოძებნი ანაბეჭდებს ჩვენი ბავშვობის.

GARDENSIDE

I still stand there at the garden door – already old,
I almost reached the shadow height of my childhood,
And on the steamed windowpane, with long waiting,
I am looking for childhood fingerprints with body
trembling.
It was different winds that separated you from meeting
away,
You were thrown onto the untravelled dense ways,
Only the pen was left in your hand, unchanged,
And it is the only one that you trust from childhood to this
day.
It is not your glance; it is mine – blind and speechless.
Flipping through the poem pages, covered by silence,
And the soul that escaped from the body spins like
threads,
In the middle of the night, with a throbbing tremor, it
mends against the flesh.
At this time, in the evening, the bodiless night falls for
you,
You try to hear my footsteps sounds from far away,
It's a night now for me, and it's a night, too, even during
the day,
I will return the question to you: Didn't your days and
nights fade?
You sit in a hellish shell of your infinite stubbornness,
It's true that your own talent rules over you, sometimes,
Only I can see the handwriting of your mind and thoughts,
And this is the one thing that stops me on the path of life.
I'm worried because I trusted you with my hidden
thoughts,
That I shook off purple colour snow from my goloshes,
I changed my colour, so I became a mummy one day,
And you know me; I don't believe in anyone else's pardon.
You probably have a lot to say, and I'm still there,
At our garden door, unhidden from my own shadow,
I understand without words, one day you will come,
And you will find imprints of our merciful childhood.

რამაზის პარტია:

შენ წახვედი და შენი ანარეკლი შეატოვე ჩემი ფიქრების სიღრმეს,
მას შემდეგ სარკე დასევდიანდა, შენი თვალების ფერებით მიმზერს.
თითქოს შენსავით გახდა ჯიუტი და გაცინებას მთხოვს მე მაშინაც,
როცა იცის, რომ ღიმილს დავშორდი და ვიგერიებ დარდებს შარიანს.
შენ მომანატრე ჩემი თვალები, დატირება რომ ასწავლე მუნჯი,
შენ წახვედი და თან ჩემში დარჩი, ჩაძირული და ჩემსავით უტყვი.
ალბათ ამიტომ ერთნაირები ვერასდიდებით ვერ ძლებენ ერთად.
ერთი აქვთ მზერა, სუნთქვა, ხელწერა, გაცვლილი სევდაც ერთი აქვთ ფერად.
და გაურბიან შიშით ერთმანეთს, საკუთარ თავის ხატების მსგავსად,
ერთი ბოლო აქვთ მაინც ორივეს, ერთგზის გაჭრილი სამარის კართან.
საკუთარ თავზე გადაჩვეული, შეგეჩვიე შენ თითქოსდა უცხოს,
ნანინანატრად ნაფერადები ღიმილის სევდა მაჩუქე უხმოდ.
და იმ სხვებისგან გამოგარჩიე, ჩემი ფიქრები დღემდე რომ იტევს,
თავად არც მიკვირს იმ ბევრეულ სხვას, შენს გვერდით რომ ვერ ვაჩენ, ვერც ვიმჩნევ.
წარსულის –ყველა –გამიაჩრდილე, ერთ დიდ სენაკში შეჰყარე იმ დღით,
კარი კი მზერით გადაურაზე, დარაბებს მიღმა ჩაკიდულ ფიქრის.
შენ წახვედი და თან ჩემში დარჩი, დავიწყე შენი ფიქრებით თხრობა,
და ქარი როცა შენს სურნელს მჩუქნის, დამიჯერე რომ დაღლამდე ვსუნთქავ.

RAMAZ PARTY:

You went and left your reflection in the depths of my thoughts,
After that, the mirror became sad, Stears at me with the eyes of yours.
As if he has become stubborn like you and asks me to laugh even then
When he knows that I've left my smile and I'm pushing my troubling away.
You make me feel that I missed my eyes, and I was taught by you how to cry,
You went and stayed the same time with me, sunken and silent like me.
Perhaps that's why the same kind of people there is no way they stand together,
They have the same look, breath, handwriting, and exchanged sadness, they have the same.
And they flee from one another in fear, like they usually do their own idols,
They both have the same end, in the same way cut grave doors.
I unaccustomed to myself, get used to you as if to a stranger,
Dreaming about the heavenly colours, you granted me sad smile of yours.
And I singled you out from the others, and holds it in my thoughts to this day,
I'm not surprised that those other ones I can't reveal or show myself,
Who I knew you overshadowed all You locked them in a big tent on that day,
And you locked the door with your cold look, and the hanging thought behind it.
You went, you left and stayed in me, I started narrating with your thoughts,
And when the wind brings to me your scent, I'll breathe it until I am exhausted.

მედეას პარტია:

შენი ჭაღარა ჩემს საფეთქელთან
ანახლებს ჩემში სიცოცხლის ვნებას,
თან მიმძიმს გითხრა, ვერაფერს შევცვლი,
ბედმა კლანჭებით მომსხლიტა ნება.

იმ სამჭედლოში, სადაც ოდესღაც
დაბადებამდე ჩემს ბილიკს ძერწდნენ,
ძრწოდა პირქუში გადამთიელი და
ჩემს სიყვარულს ადნობდა გრდემლქვეშ.

დღე იყო მუქი და დალიბრული,
დამფრთხალ სიოსთან ღამენათევი,
ზუსტად ისეთი, როგორიც ამ წამს –
მეწამური და განაწამები.

და სხვის მკლავზე მე გარდავიცვალე,
შენს არსებობას ნაღალატარი,
სინდისს დაემჩნა იარა სისხლის და
ჩემს შუბლის ძარღვს შენი ჭაღარის.

დაჭირხლულ დარდებს ფრთები მოკვეცა,
თვალჩაცვენილმა ნაქსოვმა ხსოვნამ,
თითის წვერებით რომ ვაკოწიწე,
გრდემლქვეშ ნაღვენთი ცრემლების თხოვნად.

MEDEA'S PARTY:

At my forehead, your silver hair,
Renews, refreshes my life pains,
It's hard to say that I can't change things,
Fate has clawed my will-desires.

In that forge, where my path was carved,
Before I was born, in the immemorial past,
He wandered, a raged man from a foreign land,
And under the anvil, melted my share love.

The day was dreary and murky dark,
Having insomnia with a startled breeze,
Precisely like it is at this moment –
Purple colour and tortured to death.

And I had demise on someone else's arm,
Because I had betrayed your existence,
My conscience was marked with ulcers of blood,
And my forehead vein, disturbed by your grey.

The wings were cut off to the misery
By the woven memory of dazzled eyesight.
Which I've collected with my fingertips,
To answer to tears, melted under an anvil.

მიწერილი პირველი

შენ შეგიძლია დაინახო ღმერთი ცაში,
და სთხოვო გაქციოს ჭიანჭველად,
რათა ოთხჯერ მეტი იტვირთო ადამიანისთვის,
ვიდრე ადამიანად მყოფი შეძლებდი.

გაქციოს ძაღლად, რათა იმაზე მეტად
უერთგულო,
ვიდრე ადამიანად მყოფი შეძლებდი.
და არ გაქციოს ღმერთად, რათა ამ ადამიანმა,
შენში ადამიანი ირწმუნოს და შეიყვაროს.
……
ხვანაირად შეუძლებელია ღმერთის დანახვა.
სხვანაირი ღმერთი არ არსებობს.
……
მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ
ჭიანჭველად გადაქცეული ვეღარ ითხოვ
ადამიანად დაბრუნებას,
ვერც ძაღლად გადაქცეული ითხოვ ადამიანად
გადაქცევას.
რადგან, ვისთვისაც შენ ჭიანჭველად და ძაღლად
გადაიქეცი,
მან შენში ღმერთი დაინახა და მას შენზე ადრე
სთხოვა, შენთვის ადამიანად დაბრუნება
აეკრძალა.
…….
ამიტომაც არის ადვილი, ამ დროს ერთმანეთის
და ღმერთის დანახვა.
ეს ერთადერთი ადვილი ხვედრია რჩეულთათვის.
…..
დღეს შობაა.
ადამიანის შობაც გვიან დგება.
და შობა მხოლოდ მაშინაა მშვიდი,
როცა ის ფერისცვალებას ემთხვევა.

…..
აქ, ამ ქვეყანაში და სამყაროში ყველაფერი
დროული
მხოლოდ რჩეულთათვისაა,
რადგან ისინი ადამიანის შობას და
ფერისცვალებას
ერთ დროში ხედავენ.

THE FIRST POSTSCRIPT

You can see God in the sky,
and ask him to turn you into an ant,
To carry four times more burden for a man,
than you could do as a human.
To turn you into a dog, to be more faithful
than you could be as a human being.
And do not make you a god so that this man,
To love in you a human and have belief in it.

……
It is impossible to see God in any other way.
There is no other kind of God.
…….
But the thing is that
Having turned into an ant, you no longer ask to
be returned as a human.
Similarly, once transformed, a dog does not
yearn to be human.
For to whom you have become an ant and a dog,
For the one who sees you as an ant or a dog,
sees the divine in you
and prays for your spiritual evolution.

……
That is why it is easy to see each other and God
at this time.
It is the only easy lot for the chosen ones.
…..
Today is Christmas.
Human Christmas also comes late.
And Christmas is truly peaceful only when it
coincides with the Transfiguration,
a serene and harmonious union of spiritual and
physical transformation.
…..
Here in this country and everything in the world
is timely only for the chosen ones,
Because they see the birth and transformation of
man at the same time.

მიწერილი მეორე

ლოდინი ტკივილს ჰგავს, სხვა ადამიანს ვერ გაუზიარებ.
სიზმარსაც ჰგავს, ვერც სიზმარს გაუზიარებ.
ნუთუ მხოლოდ ძაღლებმა შეიძლება გაუზიარონ ერთმანეთს
ტკივილიც და სიზმარიც?
ალბათ, რადგან ერთი ადამიანი შეიძლება ელოდეს მეორეს,
მეორემ იცოდეს, მაგრამ სიზმარი ეგონოს.

THE SECOND POSTSCRIPT

Waiting is like pain; you can't share it with another person.
It's also like a night dream, but you can't share it with a night dream.
Can only dogs share to each other both their pain and night dreams?
Perhaps, it is because one person can wait for another,
But the other can think, it is only a nightdream.

მიწერილი მესამე

მზე,
ვარდი,
თოვლი,
მთვარე,
ძაღლი,
ადამიანი.
სულ ახლოდან ატომების გროვაა.
მათ შორის განსხვავება არ არსებობს.
სხვაობა მოლეკულებიდან იწყება.
უნდა დაშორდე, რომ ეს სხვაობა დაინახო.
მთავარია ამ მანძილის გაზომვა შეძლო და გაჩერდე.
მერე ყველა ნაოჭი შენს მიერ აღმოჩენილ ევერესტად გეჩვენება.
მერე ერთი სიცოცხლე აღარ გყოფნის ბედნიერებისთვის.
რა რთული ასატანია ადამიანი, რომელსაც ერთი სიცოცხლე არ ჰყოფნის.

THE THIRD POSTSCRIPT

The Sun
Rose,
Snow,
The Moon
Dog,
A person
A close-up is a cluster of atoms...
There is no difference between them.
The difference starts with the molecules.
You have to step away to see the difference.
The main thing is to be able to measure this distance and stop.
Then all the wrinkles seem like Everest, which you discovered.
Then you don't have one life enough for your happiness.
It is difficult to bear a person for whom one life is not enough.

სიმშვიდის ალგორითმი

დღე იყო მძიმე, ღამენათევი,
მზის სხივს ებრძოდა ფერმკრთალი ფარდა,
მისი სტუმრობით ველოდი თურმე,
სამყაროსაგან უხილავ დასჯას.

როგორც წასვლის წინ მიწიდან ცისკენ,
სხეული იწყებს უეცარ წრიალს,
მსგავსად დაეტყო ჩემს სულსაც შფოთვა,
ხორცი აცვია როგორც მანტია.

მიზანი, არსი, განგება, ნება,
ვინ გამოიცნოს რა იყო მაშინ,
ორი სული რომ ერთმანეთს შეხვდა,
მზერადატოვილ მიხურულ კარში.

წავიდა კაცი, დატოვა მზერა,
მანამდე ვერთქმულ, არგაგონილი,
რომელსაც ჩრდილი არსაით ერტყა,
მას შემდეგ ისევ იქ დგას ქორივით.

სიტყვადათრგუნულს, სხვებზე ნამზერი
თვალები ერგო ქუთუთოს ნაღმად,
ვერავინ მიხვდა, ფიქრების ფიქრით
წაღმა ფიქრობდა თუ იყო გაღმა.

მზერა შეშფოთდა, ჩრდილი მოიგდო,
შემომიბღვირა თვალების კვესით,
შენ რომ ხარ მისი ტოლი და სწორი,
მარტო რად არის და რატომ კვნესის.

ვერ მივხვდი ჩემს გულს რა დაემართა,
სად გამოძებნა აბჯარ-ხანჯალი,
გადაივიწყა რომ იყო ქალი,
სახე მოირთო ბრგე მუზარადით.

იომა სიტყვით, საქმით და გარჯით,
სისხლი სდიოდა ცრემლების ნაცვლად,
საკუთარ თავსაც ვერ უტყდებოდა,
რას სჩადიოდა, რად რჯიდა ტანჯვა.

ასე გაგრძელდა ცაზე ქუხილი,
დღე დღეს მისდევდა, თვეები თვეებს,
სამყარო თვალწინ აქრობდა იმათ,
ვინც ერთ დროს ამ კაცს ეკვროდნენ მკერდზე.

SERENITY ALGORITHM

The day, after insomnia, was dark and heavy,
A pale curtain fought against the sun's rays,
It turns out that with its visit, I was waiting
An invisible penalty from the world and fate.

As before going from earth to the sky,
The body begins its sudden turmoil,
Likewise, my soul was in trouble,
It's dressed in the flesh as if as a mantle.

Purpose, destiny, will and essence...
Who can guess what was going on then?
When two souls met and had a rendezvous,
Behind the closed door, hidden from a look.

The man went, and he left his mystic gaze,
Never heard of, unseen and unsaid,
It didn't have any shade or shadow,
Since then, he has stood there like a hawk.

Depressed and speechless, being benefited
with the mine eyes to sad eyelids.
No one understood, thinking of thoughts
He had in here or beyond this world.

The look started worried, put on a shadow,
And scowl at me, frowning angry look,
As he sees in you his equal and peer,
Why is he alone, and why must it moan?

I couldn't guess what happened to my heart,
Where it found the sharp armour dagger,
How she forgot that she was a woman
She adorned a face with a thick helmet.

She fought with words, deeds and effort.
Blood flowed from her instead of tears,
She couldn't admit even herself,
What was she doing? What for she suffered?

And so the thunder continued in the sky,
Day after day and month after month,
The world was vanishing in front of him,
Who once held this man to their chest?

ჩემს წინ უარყვეს მისი რაობა,
როგორც ბოლო ჟამს პეტრემ იესო,
იყოს ბავშვივით თავჩაქინდრული,
შენ ეც ნუგეში, შენ ნუ ჰკრავ ხელსო.

ამ დროს წამალი ვეღარ წამლობდა,
სიტყვებიც მგონი დამბლაგვებოდნენ,
ვარდის ფურცლებად ნაკოწიწები,
ბგერები სეტყვას დამსგავსებოდნენ.

ტკბილად ნათქვამი კაცის ყურამდე
ვიდოდა როგორც მტრისგან დამბაჩა,
ვფიქრობდი როგორ მეცა ნუგეში,
ვერ ამოვხსენი რა დილემა მხვდა.

იმედის მე არ მსურდა ჩაქრობა,
მუხლდაჩოქილი გრაალს შევთხოვდი,
მის ბედს, მის ბედად მე რადგან შევხვდი,
თანალმობელად თავად ვხლებოდი.

მტვერწაყრილ სევდას მგონია რომ მე,
თავად გავუთხრი ოდესმე საფლავს,
ყოველ დღე ვცდილობ, ჯერ ვერას გავხდი,
მხოლოდ ჭრილობებს ვიჩიჩქნი ხარკად.

იღბალი კაცის, ახლანდელ დროში,
ანარეკლია ჩემი ასკეზის,
თვალებით დააქვს ბედის ქარტია,
ვით მონარჩენი, სხვისი ტრაპეზის.

ერთ დროს შეიპყრო დამუნათებამ,
მისაყვედურა საჯარო სიტყვით,
რად დავუმსხვრიე სიცარიელე,
სადაც გრძნობდა თავს როგორც კაცთ ღმერთი.

მერე დრომ განვლო, გონით დაფიქრდა
და შეაძრწუნა ჭეშმარიტებამ,
მიხვდა, რომ მხოლოდ შეცდომა იყო
ლექსების მკვდრებად მოხსენიება,

რომ ნამსხვრევების თქეშს მე მივუსწრე,
ვზიდე თითებით, ხელნი ვისერე,
სიცარიელე უზარმაზარი
ამ სისხლით ვავსე კიდით კიდემდე.

საოცარია, რომ კაცის არა,
მზერის ნახვისას ალმური ამდის,
უდრის იმ თვალებს, კაცს რომ თან დააქვს,
ქუდქვეშ მალავს და სხვა ქალებს აწვდის.

Before me, they denied his existence,
As in the last time, Peter denied Jesus,
Let be a with head low like a child,
Comfort her, and don't avoid him.

Medicine, at this time, no longer worked,
They exhausted and turned too weak my words,
And the sounds collected as petals of a rose,
In my voice, it sounded like a thunderstorm.

Harmonic spoken to a man's ears
It had heard like a rumble of a gun.
I thought about how to make him calm,
I couldn't explain facing my dilemma.

I did not want the hope to be extinguished,
And I begged Graal on my knees,
Because I had become his fate and destiny,
According to duty, should I visit him?

I often think that dust-covered sadness
I will once dig a grave, for it, myself,
I try every day, but I still can't,
I only pay tribute to my harmful cuts.

In the present time, the luck of the man,
It is a reflection of my asceticism,
He carries the fate charter with eyes,
Like leftovers from someone else's meal.

And, once, at the time of reproaching
He said, rebuking me openly, publicly,
Why did I break his feeling of emptiness
Where he felt himself like a god of men.

Then, as time passed, he thought in mind,
And the truth made him once more shaken,
He realized that it was just a mistake
Mentioning poems as dead and useless.

That I caught the pouring debris,
I pulled with my fingers; I cut my hand,
And the void emptiness as massive as the universe,
I filled with this blood through the length and breadth.

It is incredible that not from a human being,
But at eye-gazing attacks me some heat,
It is equal to the eyes hidden under a man's hat,
Kept under it and spread it to other ones.

ამ დროს მე ვშრომობ, ვფიქრობ, ხან ვდარდობ,
დღეები თვლიან კალენდრის ფურცლებს,
და თურმე შურის ღრუბლები ბორბალს,
კაცის ბედისას ხრამში აგორებს.

ერთ დღეს უმტყუნა ნაწრთობ კალამმა,
პასუხი გასცა უდიერ სიტყვას
და გველეშაპი ქვესკნელის ზღაპრის,
ჯოჯოხეთიდან ამოიზიდა.

თავისი ცეცხლის პირღია ენით,
ეკვეთა კალამს, ლაღს და მჭერმეტყველს,
დაახრევინა ამაყი თავი,
და დაამსგავსა შმაგ, უბელო ცხენს.

ქალის ძალა რომ აღმაც ხნავს დაღმართს,
უკვე მასწავლეს ორპირ ქარებმა,
როგორც კოლიბრი ეწევა მზის სხივს,
ისე ვეკვეთე მე მის დარდებსაც.

ჩემი ფიქრების ორეულები
კისერზე მეკვრის ორლესულ ხმალად,
მაგრამ ვერ მსრესენ რადგან ჩემივე,
ლექსი თავის თავს კითხულობს ახლაც.

სიტყვები ფეთქვით ხაზავენ გრაგნილს,
ისე ებმიან ტვინის ხვეულებს,
ასე მგონია, რომ კაცი წერს და
მე ვით შეგირდი, – მას ვიმეორებ.

და რა მძიმეა, როცა ყოველ დღე
მზერას აწყდები ოთახში მსტოვრად,
ფოლიანტი კი ივსება სევდით,
გგონია დრომაც დაგტოვა უბრად.

ამ დროს ფიქრობ, რომ მეფისტოფელმა
თავად დაწერა მეფისტო ვალსი,
გჯერა მსუბუქ ქალს ამძიმებს მხოლოდ,
ფერუმარილი მეძავი ქალის.

ასე ვატარებ მე დღეს და ღამეს,
იმ კაცის მზერის ნების ამარა,
ხან რომ მგონია ღმერთთა დასიდან,
ხანაც მგონია თავად სატანა.

არ მითხოვია ტკბობა განცხრომით,
ლაფაეტებში გასეირნება,
მაგრამ რად მგუდავს ლაბირინთები,
ტანს რომ მეკვრის, თან ნათელს მპირდება,

At this time, I work, I think, I worry,
Days are counting calendars' sheets,
And it turns out the clouds of envy
A man's fate wheel rolls into an abyss.

But, once, his infallible pen betrayed him,
And he gave his answer to the rude phrase,
And the serpent of the underworld tale,
It opened the earth and arose from hell.

With his open and firey tongue,
He grabbed his pen, fluent and eloquent.
It forced it to bow his proud head
and made him look like an unsaddled horseman.

Two-edged winds have already taught me it:
A woman's power also ploughs the downhill,
As a hummingbird basks in the sun's rays,
That's how I attacked her deep worries.

The doubles of my mind and thoughts
Stick on my neck like a double-edged sword,
But they can't kill me, cannot defeat me,
Because my poem reads itself even now.

Words draw a scroll with a bang sound,
So they tie to the coils of the brain,
That's how I think a man writes and
I am repeating it as an apprentice.

And how hard it is when every day
As if you face a guard in your room,
The folio is filled with deep sadness,
And You think time has turned you mute.

At this time, you think that Mephistopheles
He wrote himself Mephisto's excellent Waltz,
And do you believe that a night bird is burdened
only with the ferrous salt makeup of a harlot.

It is how I spend the days and nights,
Dependent on the will of that man's gaze,
Sometimes, I think he is from heaven,
Sometimes, I think he's a demon himself.

I didn't ask for comfort and bliss,
Neither taking a walk in the Lafayettes,
But why do labyrinths suffocate me,
When it sticks me and promises light?

მე ვწერ, არ ვიცი ეს მე ვარ თუ სხვა –
სიტყვებად მარცვლავს ჩემს სულის ტკივილს,
საგა დაწერეს ლექსებმა ლოცვად,
წესის აგებას დაასწრეს ფიცი.

სიცოცხლე სიკვდილს რომ ვერასოდეს
ფიქრებიდან ვერ გაინაპირებს,
ასე ვერ დავთმე, ვერ შევატოვე
მზერა იმ კაცის, – გაღმა ნაპირებს.

და ის გადარჩა. და კაცად დარჩა.
მზერამაც იწყო ფერისცვალება,
მისი ოცნება ჩემთან დასახლდა,
არსად არ მიდის, არ ეჩქარება.

მას შემდეგ დააქვს ჩემს გულის ფიცარს,
ათმაგი სევდა ვიდრე მანამდე,
იმ კაცს რომ თურმე ვიცნობდი შორეთს,
მე კი მეგონა ხელის წვდომამდე.

მადლობელი ვარ მე მისგან ყველა,
მოფრთხილებული სიტყვის და ქცევის,
გულში დამალულ გრძნობის არ გათქმის
და არასოდეს გაფერმკრთალების.

ვგრძნობ სულის სიღრმით, სურს საკუთარ თავს
და სიძლიერეს ხელი ჩასჭიდოს,
ელის, დროს ელის, ვინც დაიტია,
თავადაც შესძლოს, მსგავსად იტვირთოს.

ოდესღაც მოვა და დაიბრუნებს
დატოვილ მზერას ოთახის კართან,
მაგრამ მზერა ხომ თვალთ შემეზარდა,
მეც თან გავყვები სამარის კართან.

Who writes for me? It's me? Or someone else?
Who's crushing my pains into syllables?
Poems have written Saga as a prayer,
An oath witnessed the creation service.

As Life can never beat death
And can't ever get out of its mind
Like that, I couldn't leave and gave up,
The gaze of that man beyond of that bunks.

And he survived and remained as a man.
The look also began to change its colour,
His dream settled with me inside my heart,
He is not going anywhere; he is not in a rush.

After this event carries my heart plank,
Tenfold sadness than it was before,
It turns out that
I knew that man far away,
And I thought it was near within to reach.

I am grateful to him for all of his
For behaviours and careful speeches,
For the hidden feeling in his sincere heart,
For not fading of them and for not betrayal.

I feel with the depth of my spirit,
He wants himself and the strength to hold his hands,
And he waits for time for them who placed him,
To try himself, too, be similarly loaded.

Someday, he will come and take it back
His abandoned look at his room door,
But the gaze grew now into my eyes
So, I will also follow it to the grave threshold.

***
მზერა დაიმშა.
თუმც ბრმა ვერ ტირის,
თითქოს სამყარომ ცეცხლზე შემოდგა მისი თვალები.
ცრემლები ჩაშრა.
და მარილის ნატეხებად დაეკიდა სულს მიმავალს გზაზე ცისაკენ.
ძვალ-რბილშიც ატანს.
მიწაზე გართხმულ სხეულს თითქოს საგზლად უხდებოდეს ტარება მათი.
ცოდვილობს სული.
ბოლომდე ლამობს, რომ გისოსები აალღოს სისხლით თავისი საკნის.
ისე ცოტა, რომ გულს ვერ სწვდება,
და გული იწყებs მაჯასთან ფეთქვას.
ფეთქავს სამყაროც...
დაუკითხავად წერს ბედისწერას,
რომ სისხლის ფასად ჩვენვე მოგვყიდოს.
გუბდება სისხლი.
ამიტომ არის, რომ გულის ფეთქვას,
გულის სანაცვლოდ მაჯასთან ვზომავთ.
ჩერდება გული...
და ბრმა თვალს ახელს,
 რომ მომლოდინე იხილოს დედა ცის კაბადონთან.

***
The look is starving.
However, a blind person cannot cry... as if the world had dried his eyes on fire.
Tears have dried up.
And like pieces of salt, it hung to the soul on its way to heaven.
It disturbs his flesh and bones, too.
It is as if the body is prostrated on the ground to carry them as a supply.
Despite its struggle, the soul remains resilient and endures its miserable time.
The determined soul tries to melt the iron bars of his heart with his own blood.
So tiny that it can't reach the heart
And the heart starts beating at the wrist.
And the heart of the world also beats...
Writes destiny without permission,
To sell it to us in the price of blood.
The blood is flowing and dams up, forming a pool, ponding...
That's why the heart beats,
Instead of the heart,
we measure by the wrist.
Heart stops...
And the blind man opens his eyes to see his Mother waiting at the vault of the Sky.

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

დღეები

(ქარი – ნატვრის ხე)

ქარს უმზერ, ამ ქარში ათასი ლენტია, -
ფერადი ლენტები ქარ-ტოტებს ანათებს.
ფიქრებში ისეთი ტემპერამენტია, -
სამყაროს დაიტევს, და გიკვირს მარად ეს.
ის სიმარტოვეში მცხოვრები ღმერთია,
რომელიც აგორებს სტრიქონთა კამათელს.
ცნობ ამ ქარს, – ნატვრის ხეს, მზეების ბედიანს,
და ეს წარმოსახვა თვით სულში ანათებს.
ცხოვრება მარადის შეშლილი შტორმია,
ომია, ხოდა წერ ძოწისფერ ბარათებს.
ხანდახან შენს დღეებს წუხილის ობი აქვს,
თუმც გენიალობა ყველაფერს ამართლებს.
დღეებმა ააგეს სიტყვების გოლგოთა,
გრიგალი აანთებს ათასფერ აისებს...
იგი, ვინც წუხილთა ბორკილით ცხოვრობდა,
ბოლოს, სიხარულით, დიად სულს აივსებს...

* * *

ათასწლის სევდას ქმნის დაისი,
ღვინისფერ სევდას...
და ეს ველები,
არეკლილი ცის სიღრმეებში,
აი, ახლა ისე ირწევა,
ისე ფერადად იტალღება,
როგორც ლამაზი ქალის მზერაში
ზღვა-ყვავილებად განფენილი
მარადისობა...

შეუცდომელი – პოეზიაში

(ეს ლექსი ადრე დავწერე. აქ ჩემი ზედმეტი სიამაყე ჩანს, მაგრამ ეს მეპატიება თუნდაც იმიტომ, რომ მე, სიამაყესთან ერთად, თავმდაბლობაც მიყვარს, ხოლო ამ ლექსს ახლა ისე ვუყურებ, როგორც წარსულს)...

მე კონკურენტი არ მყავს,
მხოლოდ სერგისთან ვბრძოლობ,
როგორც ყველაზე მართალს,
ჩემს,,მეს'' მივადექ ბოლოს.
თუმც სამყაროში ვცხოვრობ,
სამყარო ცხოვრობს ჩემში.
ისე აღვიქვამ კოსმოსს,
როგორაც პოეტს შეშლილს.
- კონკურენტიო არ მყავს, -
ბევრი იძახის ამას,
მაგრამ მე ხელში ამყავს
სტროფნი, ფიქრების გამმას
მთელს სამყაროსაც მოვდებ,
კოსმიურ ფრთებს რომ გავშლი.
არ ვედარები ბოდლერს,
ჩემთვის არის, ის, ბავშვი.
გენიალურად კი წერს,
კი, დიდ სივრცეებს ანთებს,
მაგრამ არ არის ქრისტე,
მაგრამ არ არის დანტე.
გენიალურად კი წერს,
ამბობს სხვათაგან უთქმელს,
მაგრამ ვერ წვდება ქრისტეს,
მაგრამ ვერ წვდება რუსთველს...
არ ვედარები სხვებსაც,
ვარ მარტოსული მგზავრი,
და სულს ვიბრუნებ მთებთან,
მზის, ვარსკვლავების გავლით
ისეთ სივრცეებს ვწვდები,
ვით ნათლით მოსილ რამ ხატს,
და არასოდეს ვცდები,
და კონკურენტი არ მყავს...

* * *

ტბის პირი. თბილი წვიმა. აკორდი.
ნელი მუსიკის წვიმით ავსება.
მე ამ დღის ზღაპარს გულში ვამბობდი.
მქონდა დუმილი და აღტაცებს.
მოტივტივებდა ტბაზე ნაფოტი.
წყალზე ნაწერი იყო ხაზებად.
სამყაროს ზღაპარს ლექსად ვამბობდი.
სულში მზე მქონდა და – აღტაცება...

* * *

იქ, მაღალ მთებში
არის ჩემი ფიქრის ქალაქი,
სიზმრის ქალაქიც თუა იგი
ან – სიზმარ-ცხადის?...
მზეთა მხარეში,
ნისლთა მხარეში...
სიმწვანისა და
თოვლის მხარეში...

ლურჯ-მწვანე სივრცე,
თეთრი სივრცე...
სივრცე უამრავი ფერით...
იქ, სიშორეში, სიშორეში,
არის ჩემი ფიქრთა ქალაქი,
ჩემი ქალაქი,
და აქაც – გულშიც!

ო, რა შორს არის,
და, ამავ დროს,
რარიგ ახლოა!..
იქ, ზეციურ სივრცეებში,
არის, როგორც
საოცრება,
ფიქრთა ქალაქი...

კახა ბაციკაძე

* * *

პოეტი, ყავა, კონიაკი, თბილისის დილა,
რაღა თქმა უნდა, აქვე, ახლოს, სიგარის კვამლი...
მუზა გეწვია და ჩამოჯდა შენს მხარზე ფრთხილად,
ამოიზიდა ლექსი, როგორც ამაყი ხვამლი...

გული და გრძნობა – მეგობრები მარადიული,
ფიქრების გემი სულის ტალღებს ებრძვის ისევე,
თუ ცოტა ღვინოც წაუმატე, ბურგუნდიული,
თვალებს ზღვისფერი ოცნებები ამოგივსევენ...

ჩემს თავს

კახა, სისხლისფერ ღამეებს ძერწავ,
ვარსკვლავებს უკვე აღარც კი უმზერ,
ჩუმად გაიშლი ცრემლების ზეწარს
და მორიელებს დაისვამ გულზე.
ქრისტეც გაყიდეს, ბედი ბედია,
მუდამ სჭირდება ვინმე ზვარაკი,
სხვისთვისაც ბევრი გაუბედიათ,
ადრეც ყოფილა მსგავსი არაკი...
ადამიანი არის მიწაზე,
მაგრამ გახსოვდეს: ცაში ღმერთია.
სულგადაღლილი, ზღვაში, იწვა მზე,
ის ზღვას ფურცლავდა ათასგვერდიანს...
შენ შენი გზა გაქვს, ხომ მაინც ახვალ
იქ, სად არწივნი ქარებს ლეწავენ,
და დაიგულებ ცის თაღებს სახლად,
თუ პოეზიის ჯვარზე ეწამე...

* * *

თბილისს
უფეთქავს, მკერდში,
მთაწმინდა,
მე კი
მიფეთქავს, სულში,
ლექსები...

* * *

ზღვასთან არ მივალ, ზღვასთან რა მინდა,
მე შენი თმების ტალღებს მივყვები.
როს სიყვარულის ვდგავარ ნაპირთან,
თოლიებივით ფრენენ სიტყვები.

ცეცხლთან არ მივალ, ცეცხლთან რა მინდა,
შენი თვალების სხივებს ვენდობი...
გულს გაზაფხულის სწამხარ ამინდად,
სივრცემ შეგიცნო მზის ქალღმერთობით...

გრძნობების ქარმა ფიქრების ფოთლებს
წვიმის წვეთებთან ვალსი აცეკვა,
მე მსურს ლექსების სახლში მელოდე,
ერთადერთი ხარ, ჰგავხარ არცერთ ქალს...

ზღვასთან რა მინდა, ჩემი ზღვა შენ ხარ
და შენი თმების ტალღებს მივყვები...
დიდ სიყვარულის ლეგენდა შევთხზათ,
თოლიებივით ფრენენ სიტყვები...

ზეციისკენ

აზრი არა აქვს ზამთარზე ჩივილს, -
ცხოვრება მაინც უფრო მხეცია;
და მე არა მწამს ისეთი ჩიტის,
ფრთები რომ მუდამ დაუკეცია.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად;
და მე არა მწამს ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება.
ცხოვრებისათვის კვლავ არ მცალია,
სული იგუბებს სევდის ნაწვიმრებს,
პოეზია კი ის მწვერვალია,
რომ შეიფარებს გრძნობის არწივებს.
ისევ თან დამაქვს ხმა უწინდელი,
გული ცხოვრებას კვლავ ეურჩება;
და მე არა მწამს ისეთ ფრინველის,
ცას რომ ვარსკვლავად ვერ შემორჩება.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერადფ კონებად;
ვამბობ: არ მესმის ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება...

გიორგი ზუხბაია

გამოუცნობი

ლოდინი თითქოს არ დაილევა,
დიდხანს მოუწევს გონებას მოცდა;
რა იყო იგი? საკვირველება?
თუ იყო ბნედა? თუ იყო ლოცვა?..
(მე მარტოობის ფერად ფრინველებს
ვუცქერდი, როგორც შორეულ ედემს)...
რა იყო იგი? დიდი სიბნელე?
თუ იყო გრძნობა, რომელსაც ვენდე?
რა იყო იგი? დიდი სინათლე,
ვით განღმერთება გოლგოთის შემდეგ?!...
მე ეს არ ვიცი, თუმც ხშირად ვფიქრობ,
თან, ვრცელი ფიქრის, ვუცდი, მე, შედეგს...

მარტოობის განღმერთება

ტკივილს მარადის ფიქრი უძვღოდა.
მოლოდინისგან გრძნობა გამუქდა.
ვიდექი ზღვასთან, და საუბრობდა
ცისფერი შუქი იისფერ შუქთან.
საკუთარ თავთან ვიგრძენი მტრობა.
გულს ოცნებებმა დიდხანს სდიესო.
ვიდექი ზღვასთან, და მარტოობა
ვიდოდა წყალზე, როგორც იესო...

ჰაერის ტაძარი

ჰაერში როცა სიჩუმის სახეს
ჩამოსდის თბილი ზაფხულის წვიმა,
შენ მარტოობას გულზე ხელს ახებ
და მიენდობი სრულიად იმას.
აქ შეჩერებას არავინ გაცლის...
შენ ოცნებები გაიმიზეზე...
და ამ ჰაერის გამთბარი ტაძრის,
დაგრჩება, თვალი, სინატიფეზე...

ახალი ენა

საოცარია, რომ გზაა ქვეყნად,
რადგან გზის ბოლოს არავინ დამხვდა.
გამოვიგონე ახალი ენა,
და ამ ენაზე ვსაუბრობ ახლა...

სამყაროში ვარ და არ ვგრძნობ იმედს,
მე ვხედავ მხოლოდ ტაძარს ჩამომქრალს...
როს ამ ენაზე საუბრობს ვინმე,
სიტყვების ნაცვლად ფიქრებს
წარმოთქვამს...

მზე იყო ერთხელ, მაგრამ დაგვიდნა.
მე გამოუთქმელ განცდას ვიტევდი.
წარმოიდგინეთ, როცა ბაგიდან
ფიქრი გამოდის ნაცვლად სიტყვების.

გამოვიგონე ახალი ენა...
სიტყვა, არყოფნის ტოლი და ფარდი...
საოცარია, რომ ცაა ქვეყნად,
რადგან ზეცაში არავინ ადის...

და სიჩუმეა, სიჩუმე ირგვლივ,
გული კი კვდება ისევ ფიქრისგან,
ყველა აქ ვკვდებით, ამ მიწის შიგნით,
მხოლოდ ლექსებში არის იგი – ცა.

ყველა გავქრებით, მცირეც და მეტიც,
გზა კვლავ დარჩება ასე ეულად,
მაგრამ ამ ახალ ენაზე გეტყვით,
ჩვენ არც არაოდეს დავბადებულვართ.

სწორედ ეს არის აზრი და სულთქმა,
რაც სივრცეს გვიხსნის ასე ულეველს:
იცოდე, რომ შენ არა ხარ სულაც,
და მაინც ტრფობდე და ერთგულებდე...

გამოვიგონე ახალი ენა,
და ამ ენაზე დავწერე ლექსი...

ნანა ცინცაძე

სიყვარულის სიმღერა

ქვეყნად შენი სიყვარულით დავდივარ,
არასოდეს არ დაგტოვებ, იცოდე,
თუ ვერ გხედავ. დამიჯერე, დარდი ვარ,
შენ ერთი ხარ, ცად აჭრილი სიცოცხლე.
მივდივარ და ისევ შენთან ვბრუნდები,
რადგან მინდა სულ გხედავდე ერთიანს,
დამიჯერე, ჩვენ ერთმანეთს ვუხდებით,
სამშობლო ხომ ქართველისთვის ერთია.
შენ და თბილისს გულში ტკბილად გატარებთ,
თქვენ ორნი ხართ, საფიცარი სამყარო,
მზე ამოდის, ცივ ზამთარშიც ანათებს,
უშენოდ ხომ სიყვარული არ ხარობს.
ეს ქუჩები ფიანდაზი მგონია,
შენი ზეცა გვირგვინია თბილი ცის,
ღმერთო ჩემო, რა სამშობლო მქონია,
როგორ შვენის სამკაულად თბილისი.

ჩვენი ჯაზი

უცებ გამახსენდა ძველი წლები,
ერთად ბევრი ღამის გათენება,
არავინ არა თქვას – შევიცვლებით,
როცა ჩვენი თმები გათეთრდება.
არავინ არა თქვას, დრო გადის და
გზაში იკარგება სიყვარული,
მე ვიწყებ ყველაფერს დღეს თავიდან,
მინდა თქენთან ერთად სიარული.
გახსოვთ? ქუჩებში რომ დავდიოდით,
არც რა გვადარდებდა ბედნიერებს,
ფიქრით მეცხრე ცაში ავდიოდით...
ახლა მოგონებებს შევიფერებთ,
მაშინ შეიცვალა პეიზაჟი,
როცა დრომ გვასწავლა დაფიქრება,
ყურში ისევ მესმის ჩვენი ჯაზი,
ძველის დაბრუნება არ იქნება.
ისევ ერთად ვკრიფოთ ყვავილები,
ერთურთი უფრო რომ შევიყვაროთ,
თქენთან არასოდეს დავიღლები,
მოდით, ძველებურად შევიყაროთ.

დროა... ლექსები

სონეტი

დღეს გამქრალია... ხვალ იქნება ადრე რაც იყო,
ახლა ყველაფერს ბანალური მზის სხივი აკრავს,
ხედავთ? ეს წამი რამდენ გამქრალ წამად დაიყო
და ვიღას ახსოვს ან შოპენი, ან მისი დაკვრა.
ხვალ? ხვალ ყველაფერს მიეცემა უკვე სხვა სახე,
ზარმა დარეკა... ჰო, ამ ზარსაც სხვა ხმა ექნება,
რატომ მოგიყვე ვინ მოვკალი, ან სად დავმარხე,
ან რა დამწამეს განდევნილმა ჩემგან ექსებმა.
წყვდიადი დგება, ბუხრის ალი ურცხვად ხარხარებს,
რადგან დაიწვა მოგონების ყველა აქცია,
მაინც ჩემია ის სამხილი, რაც გამახარებს,
ხორცი უძლური, სულმა ჯერაც ვერ მოაქცია.
რა ვქნა, რომ მიყვარს ეს თამაში, ყოვლის მომცველი,
თუკი მომცელავთ? მეორედ ვარ ქვეყნად მომსვლელი.

ეს ჰორიზონტი

ზღვის ნაპირიდან, სივრცედ აშლილი
დრო, მთელ ცხოვრებას იტევს,
ღმერთო, მითხარი, როგორ წაშლიდი,
სულში (გაჩხერილ) ჩარჩენილ სიტყვებს?
ეს ჰორიზონტი წარსულს მაგონებს,
მეც არეული გზის ვარ.
ავედევნები შავ-თეთრ ვაგონებს,
ცივ საფეხურზე ვზივარ.
ცის და ზღვის კვეთის იქით ვისროლე,
რის დაბრუნებაც არ მსურს,
ისევ ის გიჟი ჩამომიქროლებს,
ვინც ისარს პარავს ამურს.

რაც იყო

ცხოვრების გზა გასავლელი,
ტკივილით და აღმაფრენით,
ხან გვატირებს, ხან სიყვარულს გვპირდება,
გამოაღეთ დარაბები,
ახლა მარტოც გავლაღდები,
ვერ ვიჯერებ... უფრო ადრე ბინდდება.
იყო ჩვენით მთვრალი ღამე,
არ ვითვლიდით როცა წამებს,
არაფერი თუმც არ არის გვიანი,
კვლავ დამნათის ციდან მთვარე,
ამბობს – ისევ შევიყვარებ
და ბნელ ღამეს დაერქმევა მზიანი.
ყველა სიტყვას ჩუმად ვამბობ,
საიდუმლოს ქარებს ვანდობ,
ამ ფიქრებით სხვანაირად თენდება,
დრო გაქცეულ დღეებს ათბობს,
რაც არ მინდა, მაინც არ ვთმობ,
ვისაც ვნატრობ, აქვეა და შემხვდება.
ახლა უფრო ხშირად ვფიქრობ,
შუქს, ანთებულს, არ ჩავიქრობ,
არაფერი ქვეყნად არ მავიწყდება,
არ მადარდებს ის, რაც იყო,
მზესთან ერთად ჩრდილებს ვიყოფ,
რადგან ჩემთვის სხვა ცხოვრება იწყება.

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი

ღრუბლები

ხან თეთრი ხარ, ხან შავი ხარ და ხან რუხი,
შეგციცინებთ, რომ გიხდება ახალუხი,
გვასველებ და თანაც გვრეცხაც რახა-რუხით,
როცა გვწუწავ არც კითხვა გვაქვს, არც პასუხი.

ვერ ვისვენებთ, თუ ღრუბლები არსად არის,
ზურგის ქარი ხან სად იყო, ხან სად არის,
ვერ გაჩერებს ვერც კარი და ვერც ჭიშკარი,
ვეღარ გაგნებს გზა სხვისი, თუ საკუთარი.

თვალს გაყოლებთ-გაელვარებს მზის ფერები,
როცა გინდა მიხაკივით იმტვერები,
ხან ბჟუტავ და ხან ბურთივით იბერები,
მე მზადა ვარ, შენზე ვწერო სიმღერები.

ღრუბელი ხარ, თვალჟუჟუნას საწინდარი,
მერე რა რომ მარჯვნივ-მარცხნივ გფანტავს ქარი,
მოგყავს წვიმა საყვარელი-სანუკვარი,
ვერ მასველებ, ქოლგის გაშლა მოვასწარი.

ხან ტოტებად გვეჩვენები ჭადრის, მუხის,
შინ შევრბივართ, როცა იწყებ ჭექა-ქუხილს,
ჩვენ გვაყრუებს-ზოგზოგები ვიწყებთ წუხილს,
ხმა ღრუბლების შეჯახების, რახა-რუხის.

ხან თოვლი ხარ, ხან მგონიხარ ნამქერები,
მეჩვენება, რომ ბავშვი ხარ ნაფერები,
ჭექ და ქუხ და გვემუქრები ამპერებით,
ზედ გეტყობა ძაფები და ნაკერები.

ზეცას ვუმზერ და შორიდან ვეფერები,
მაღლა-მაღლა კენწეროში ვეწერები,
არ ველოდი ღრუბლებისგან, არ მეგონა,
თვითმფრინავებს თუ რეცხავდბენ კერხერებით.

არ ბერდები, არც თმები გაქვს, არც წვერები,
მზის ჩასვლისას შუბლს გიმშვენებს წარწერები,
იწელები, წვეთ-წვეთობით იწველები,
ვიღიმებით შენი დედამიწელები.

მიყვარს თქვენთან საუბარი და ლუღლუღი,
ღრუბლები ხართ ხელგაშლილი და გულუხვი,
ნეტავ იმას, ვისაც ესმის, ვისაც უღირს,
ხმა ზეცაში შეჯახების, რახა-რუხის.

მგონი თქვენი მზერა-ცქერით დავითვერი,
ბევრს ვეცადე, ღრუბლებს შორის ვერ გავძვერი,
დღისით რუხი, საღამოსკენ ვერცხლისფერი,
მე ღრუბლებში მავიწყდება ყველაფერი

ლალისფერი ქვაკუთხედი

კვარტეტი ვართ არც ნაკლები და არც მეტი
დელტა, რომბი, კვადრატი თუ მართკუთხედი,
ჩვენი ხდება მეზობლების საკუთრება,
თუ ქეიფის გავლილი გაქვს ფაკულტეტი.

ვერ ვისვენებთ, როცა ვინმე ფხიზლად არის,
თუნდაც იყოს ვარსკვლავის, თუ მზის სადარი,
გვერიდება ყველა ლოთის, დიდ-პატარის,
ითმენდეს და თუნდაც იდგეს მიღმა კარის.

სელფებს ვიღებთ მტევნებით დახუნძლულები,
ღვინოს ვწურავთ მონდომებით, რუდუნებით,
მარანს ვკეტავთ, საიმედოდ, ურდულებით,
ლოთები და თითქმის ყველა სულდგმულები.

ძილში, ცხადში, ბოცებს ვიჭერთ ანკესებით,
ყველგან ვაზის გვეჩვენება ნათესები,
გამვლელს ვუსხამთ ჩვენი უბნის განწესებით,
ლოთებსაც გვაქვს უფლებები და წესები.

ვეზიდებით ბოცებით და მათარებით,
შუბლზე აგვდის ხან წარბები, ხან თვალები,
თუ აქამდე იატაკზე ვფართხალებდით,
ალაგ-ალაგ თვალებს ვახელთ ნამთვრალები.

ყველა მსმელებს ერთნაირად გვიძგერს გული,
ჩანჩქერები და ტყე გვაკრავს დაბურული,
ღვინო, რომ გვაქვს, იმიტომაც გვიდგას სული,
ყველა ბაღში ქეიფი გვაქვს გამართული.

რა დრო იყო - ვერთობოდით გიტარებით,
ვივსებოდით დამუხტულნი ვითარებით,
არამსმელებს ახლოსაც არ ვიკარებდით,
ვინ ფანჯრებით ვსარგებლობდით, ვინ კარებით.

ყანწებს ვავსებთ, როცა დრო გვაქვს მოცალების
და ვნებივრობთ გრადუსების მოძალებით,
ყველა მსმელებს ჩვენ ვეპყრობით მოკრძალებით,
ძალისხმევით, ძალებით თუ კონტრძალებით.

ხან ვისვენებთ, ხანაც ოფლში ვიწურებით,
ჩვენც ვისხამთ და სხვასაც ვუსხამთ იძულებით,
მტკიცედ ვდგავართ ერთმანეთს შეფიცულები,
ლოთებსაც გვაქვს რანგები და ტიტულები.

ერთადა ვართ ჭიქა-კოკა-ყანწელები
და არ გვტკივა არც ნეკნები, არც წელები,
ყველას შეგვხვდა 40 წლის დაძველებით,
წინ მივდივართ ტრადიციის დამცველები.

ია მისულიშვილი

* * *

ოჰ, ჩემო ცაო, ღმერთო ჩემო, ჩემო ღვთაებავ!
გადმომაფინეთ წმინდა კალთა, ღრუბლის ფთილებით.
რამეთუ შევძლო, ყველა სიტყვის,ჰანგად გარდაქმნა,
შემოგაწოდოთ ეს გულისხმა ფერად სიმებით.

ბინდისფერად დგას სევდა ფიქრის მისადგომებთან
მიხსენით მისგან, ვარსკვლავური გამოსხივებით.
დიად კოსმოსში გაჩენილი გრძნობის საუნჯე –
თვალხილულისთვის დამიწერეთ,ფრაზა-სიტყვებით.

ოჰ, ჩემო ცაო, ღმერთო ჩემო, ჩემო ღვათებავ!
ამ სამყაროში შეცნობილო, ლურჯი სიზმრებით.

* * *

დაუპურებელ ყანის თავთავებს,
ჰგავს სიამაყის მედიდურობა,
დაველოდები მაინც მკათათვეს,
რომ ღირდეს ქვეყნად ჩემი სტუმრობა.
აყვავებული ყაყაჩოები,
ჰგავს სატყუარას, ვითა ცდუნება.
ვნებამ შარბათით თუ გამომათრო,
მომიწევს ფიქრში გადარწმუნება.
ვიდრე ყაყაჩო თმას მაბნევია,
ღიმილი კრთება ცათა ციალში,
გავქრები როგორც თოვლი, მზის სხივზე,
ცხოვრებისეულ ორომტრიალში.
დაუპურებელ ყანის თავთავებს,
ჰგავს სიამაყის მედიდურობა,
დაველოდები მაინც მკათათვეს,
რომ ღირდეს ქვეყნად ჩემი სტუმრობა.

* * *

უმისამართოდ დაწერილ წერილს,
ქარი ტაატით აყოლებს ქუჩას.
თვალს ვადევნებ და ვერაფრით ვშველი,
თუ როგორ იქცევა ნამდვილი ფუჭად.
ვდგავარ უძრავად, უგრძნობი მზერით,
შენზე ფიქრებმა მაქციეს მუნჯად
და სინანულის ცრემლით გაბერილს,
ქარი მიშრობს უპეებს ურცხვად.
ვდგავარ უძრავად, ვერაფრით ვშველი,
უშენობის განცდა მიჩერებს სუნთქვას,
ჩემს გონებაში შემოგინახავ
მოგონებებში სახატავ ფუნჯად.

* * *

სიმარტოვეზე ვსაუბრობ ახლა,
როგორ მაყარა ტანზე ეკლები,
როგორც განდეგილს ღვთის დიდი ძალა,
სახეს შემომრჩა თმენის ტევრები.
მე იმ ანკარა წყალზე ვსაუბრობ,
რასაც დავარქვი მთების ცრემლები,
მისაწვდომებში თუნდაც წაბილწო,
წმინდა სათავეს, როგორ შეწვდები?
დაჭრილ სიყვარულს, ვერ ვუმკურნალე
ვნების ხანჯებით რომ გააწამეს
თუ როგორ შეძლეს, მედიდურ ვარდში
ლურჯი კესანე მყის გადაცვალეს.
მე იმ ღირსების ხმაზე ვსაუბრობ,
გულის ერთა რომ მზის ფერს ვადარე.
გთხოვ მაპატიე... გულის ჩივილი,
თუ სიყვარული ჩრდილით ვატარე.

* * *

მზისფერ ალერსით მათბობ,
მკინძავ სიტყვების რითმად,
რა გული იტევს ამდენს ?
რომ შემისახლე შვილად!
არ გადავტყდები წელში,
სულს დაგებნევი მძივად,
გაგიყვავილებ იმედს,
რადგან მიმიღე შვილად!



* * *

კავკასიონზე თოვლის ნამქერი
ყინულის ლაბადად გადაქცეული,
მასზე მზის სხივის ანარეკლიდან
ვდგავარ აჩრდილი,ვითა ეული.
დღემდე არ ვიცი,თვალის ფოკუსი,
სიჭარბით ფერებს რატომ იჭერდა,
მაგრამ ცხადია რომ ჩემს სხეულში,
მებრძოლი სული გამოიჭედა!
საგონებელში რას არ ვძიობდი,
რომ შემესწავლა ჩემი წარსული,
მაგრამ კითხვაზე პასუხი დამრჩა,
თუ რა დრო არის ახლა გასული?
მას შემდეგ მზის სხივს აჩრდილად დავსდევ,
მთვარეც ძილის წინ მიგებს სასთუმალს,
კავკასიონის თოვლის ლაბადას,
მივიჩნევ ისევე როგორც საკუთარს,
სამყაროს ურიცხვ ფერთა გამაში,
თვალი ყველაფერს ერთად იჭერდა,
ჩემი აჩრდილი კავკასიონზე,
სიყვარულისგან სუნთქვას იწყებდა!

* * *

გონით, პოზიტივზე ვფიქრობ,
გული გავიხარო მინდა,
ერთ დროს ქარიშხალი ქროდა,
ახლა?-მზის სხივები მინდა!
დიახ, მომავალზე ვფიქრობ,
წარსულიდან მოგონება მჭირდა,
ჩემი გრძნობებია მხოლოდ
ასე სასტიკად რომ მსჯიდა.
ახლა ცხოვებაზე ვფიქრობ,
როგორ უსუსურად მთვლიდა,
ვიმსახურებდი თუ არა,
მაინც ტალახში რომ მსვრიდა.
ახლა?- წუთებიც კი ფასობს,
დროის ხარჯვა ამად ღირდა,
მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ,
მზე,რომ ანათებდეს მინდა!

* * *

ეწვიმა მაინც რაიქნებოდა...
სუნთქვას მიჩერებს აშარი ქარი,
იმ დღეს შეგნიშნე, მზე რომ ჩავიდა
და ცას იცავდა ვარსკვლავთა ჯარი.
თვალები...ოდნავ, ზეაპყრობილი,
აფიქსირებდა ფოკუსში გზამკვლევს
და მაშინ მივხვდი, რა იზიდავდათ
შავ ღამესა და ცის ციურ მთვარეს.
მას შემდეგ თითქოს სიცივე მსუსხავს,
შიში მაქვს უცებ დაუძლურების
და არც კი ვიცი, რას დაარქმევენ
გრძნობით წვასა თუ ვნებას ცდუნებით.
ცივი შემოდგომის თეთრი ნისლია,
სინანულით და ნატვრის სურნელით,
ვზივარ სარკმელთან ცრემლების გუდით,
ხელში კალმით და ჭრელი ფურცლებით.
ეწვიმა მაინც რაიქნებოდა...

ეთერ ჭელიძე

ვერ გავიგე

ხელმოცარულ დროს კიარა,
წამ-წუთს გამოვერიდე.
მთას მზისწვერი სანამ ჩავა,
თუ მოვასწარ ჯერ კიდევ...
შუბის წვერით ნისლის კალთას
გავუკემსავ იარას
და ქარაფებს იის ბაფთას
შემოუწნავ მთლიანად.
დავივიწყებ ყველა წუხილს,
გველის ნაკბენ ჭრილობას
და სიკეთეს ვაცლი დუღილს,
სანამ გავტეხ პირობას!
დავიჯერებ, რომ მზის წყარო
ისევ მოედინება,
მადლიც რადგან მისგან ხარობს,
ვინც არაფერს გპირდება!
დრო გადის და შენც ეჩვევი
ტყუილ-მართლის საგზურებს,
ხან ვერაფერს ვერ ერკვევი...
ხან--სამყაროს აბრუნებ...
ხან, ენდობი სიტყვის ხარისხს,
გგონია, რომ მყარია...
ვერ შეიცნობ ვინ ვინ არის,
რა სწყინთ, რა უხარიათ...
მაგრამ როცა რეალობა
არყევს სულის ჯებირებს,
იმედის მზე გეთალხება
,,იმედის მზე“,- ჯერ კიდევ...
მერე, სადღაც, ჩამოტეხილ
კბოდეს ირჩევ მეგზურად
და დროებას, გულგატეხილს
გვირგვინს ადგამ,,მეფურად“!..

*

გაურბივარ სიჩუმეს, მარტოობის მგზავრი.
ჩაკეტილი ოთახი, და შრიალი ფარდის,
ვერ ივსება გატეხილ სურის, როგორც ბზარი,
ქარიც, თავაშვებილი, ბზარებშუა დადის...
სული, როგორც ბათქაში, მონგრეული კედლის,
მიმოყრილი ბწკარი, აჩეხილი ლექსის...
რწმენა, ცრემლით ნალესი, მინავლული ცეცხლი,
ქარიც, თავაშვებული, დადის და, თავს მესხმის...
გაურბივარ სიჩუმეს, არაფერი მესმის...

თეთრი ლოდი

თეთრი ლოდი თავსასთუმლად დაგებული.
დღე და ღამის მოყურადე მეგობარი.
შუბის წვერი მის კალთაზე დაცემული,
დრო, ყველაფრის გამცრელი და შემნდობარი...
თეთრი ლოდი,შენი ყოფის სასთუმალი,
აწმყო,როცა წარსულ ფერებს ეფარება...
ჟამი შენთვის უცილო და გარდუვალი,
ორი ციფრი, ლოდზე მზეს რომ ემალება...

ქართული ბურთი

გამარჯვების მოლოდინში!
ერთი მოგიზგიზე კოცონი,
გული დანთებული ცეცხლად,
ახლა სიყვარულის ვულკანი
თვით დედამიწას ხეთქავს.
წლები გაქცევია მოლოდინს,
ქართველს რომ უნდა ეთქვა,
ბიჭებო, დასცხეთ ბოლომდი
გამარჯვებისთვის ერთხმად!
ფეხზე წამომდგარა საერო,
საიბერიოც ერთად...
მხოლოდ გამარჯვება საჩვენო,
ქართველს რაც უნდა ეთქვა!
რომ,,არ გავახაროთ მტერიო“ --
უნდა შემოვძახოთ ერთხმად.
ჰერიო, საქართველო, ჰერიო,
მხოლოდ გამარჯვების გეთქვას!

ცხოვრება ასეთია

გგონია ცის კამარაზე
მნათობი, არასდროს დასევდილა,
ათასი რამ უნდა გადაგხდეს,
რას იზამ ცხოვრება ასეთია...
არ გახსოვს, ცის შუქი როცა ნახე,
იმ დღეს, მზე ხომ არ დასეტყვილა...
ვარსკვლავი, შენი მოსახელე
სხვის ბედად ხომ არ დაწერილა?
შეგპირდნენ, არასდროს გეტკინება,
ბავშვობა სულ ვარდის ფურცლებია,
იმ ვარდსაც ყოველთვის ელხინება
ვარდს, უკვდავების სურნელიანს.
შეგპირდნენ, მაგრამ რეალობა
რელსიდან გაქცეული ვაგონია,
იმდენი რამე გადაგხდება
თავს ვერ დააღწევ აგონიას...
წამიდან წუთებში გადადიხარ,
წუთებს საათები წაულეკავთ,
დრო, წამ-წუთების სახადია
წლებს, ულაყებივით გაურეკავთ...
უცებ გავიწყდება ქარაშოტი,
არადა ბისონად გახვევია,
სიკეთისათვისაც, განაშოლტი
იარა სულში გამჩნევია...
უძლებ, კიარადა, ეომები
დრო, შენი ფარი და ნამგალია,
ფერდშელეწილი მოგონებით
ხმა შენი, სტვირი და არღანია.
უკრავ სიყვარულის სიმებიან
ისევ სიყმაწვილის გიტარაზე,
შენი ფიქრები რომ გიყვებიან
ამბის, გულის გულთან მიტანამდე...
იქვე, ახლომახლო, გასხეპილი
შენი,,ერთგულების“ ჩიტბატონა.
ჭორებს მიმოფანტავს ატლეკილი
შენზე, გრძნობებმა რომ იბატონა...
ლესავ დღენიადაგ დროის მახვილს,
ფარად, უდროობის ნამსხვრევია...
ნუგეშს დაგადევნებს ვიღაც, დაღლილს,
-რა ვქნათ ეს ცხოვრება ასეთია...
თავზე ისევ გადგას ცა, მბრუნავი,
საწუთროს გზებიც დამღლელია...
ჯერ სიცოცხლეა საზრუნავი,
მერე, ბედის წიგნში რაც წერია...

თუ შენში სიყვარულია

ვერ დაძებნი, ვერ იპოვნი,
ვერ იყიდი ვერსად
დაბადებით თუკი შენში,
იყო, არის დღესაც...
ის არასდროს, არსად წავა,
არსად წავა შენგან,
რადგან სისხლში,
გონში, გულში,
იყო, არის შენთან...
დაგიშენენ, მოგიქსევენ
ოდეს, თუნდაც, დღესაც...
შეგამჩნევენ...შეგჩვენენ,
გიგინებენ ღმერთსაც
მაგრამ ვერას დაგაკლებენ
ბრბო, უგნურნი ერთხანს
რადგან შენში რწმენა ღვთისა,
იყო, არის, დღესაც...
აგირევენ ხვალეს სავალს,
ბილიკს სდევენ შენსას,
თუკი წუთით შეანელებ
მიზნისაკენ ზესვლას...
შეგამჩნევენ, შეგაჩვენენ...
თუკი მაღლა დგახარ...
თვალს არ დაახამხამებენ
მოგიშვერენ ლახვარს.
მაგრამ შენში სიკეთის მზე
იყო, არის, როცა,
დედღვთისა თავის კალთას
შემოგახვევს ლოცვად

ნიკოლოზ კურტანიძე

ვ ა რ ძ ი ა

წინაპართ ცრემლი ქვის ლოდებში, წვეთ-წვეთ ნაჟური,
კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი გასაოცარი,
კედლიდან ხატად მომზირალი – მეფე-ქალწული,
ქართველი ხალხის სიამაყე და სალოცავი.
კაცს ჟრუანტელი დაუვლის და გულზე გულს მოწვავს,
თუ მან შეიგრძნო სულიერად, ეს რა განძია,
მტერს დააფიქრებს, ფრთებს შეასხამს რწმენისას მოყვასს,
მარად უკვდავი, დიდების ხატი, ჩვენი ვარძია.
თითქოს იქ ვდგავარ, კლდეში – ტაძრის გადმოსახედზე,
მზერით ვაცილებ ომში მიმავალ უძლეველ ლაშქარს,
ამოუვლია, ო! შეღმართი უკვე რამდენზე,
ლოცვად მომავალ მეფეთ-მეფე – ფეხშიშველ თამარს.
საუკუნეთა ბილიკებზე გადმოვიქროლე,
მშობელო ხალხო! შემოგწირავ, რაც გამაჩნია,
ოღონდ უკეთეს მომავლისთვის მედგრად იბრძოდე,
აღაშენებდე ახალ გელათს, კვეთდე ვარძიას.

ალბათ, იმიტომ...

რატომ მგონია
ჩემი გული პატარა კორდი,
ზედ ამოსული ნაზი ყვავილით?
რატომ მგონია
რომ უკვე მოვკვდი,
სიცოცხლე ქრება თეთრი კვამლივით...
ხანდახან გვალვას
თუ უსწრებს ცვარი
და პირს უსველებს
ყვავილის ფოთლებს,
მიუალერსებს მას ნიავქარი,
ეჩურჩულება, არასდროს მოკვდეს.
ალბათ, იმიტომ,
უჟმური სიტყვა
მზიან დილას რომ ირგვლივ მონისლავს,
თოვლი დააზრობს ციცქნა ყვავილებს,
მაღლა მთისას თუ დაბლა ბარისას
წყალი ჩამორეცხს ფესვებში მიწას,
გაილუმპება მოშავო ლოდი,
ბურუსში ახვევს
სიცოცხლის მიზანს
და გაუძნელებს საფლავის ლოდინს.

* * *

მხოლოდ სიყვარულს ამოვყვები
ცაში ვარსკვლავად,
უმთვარო ღამეს დავადგები
თავზე გვირგვინად,
მოვევლინები მწვანე ბალახს
დილის ცვარ-ნამად,
ჩემი ხალხისთვის დავიღვრები
მუდმივ ღიმილად.

ავტოპორტრეტი

შუახნის კაცი – დაჭრილი გულით,
სავსე გრძნობებით და სიყვარულით;
თმაში ჭაღარით, ცხოვრებით რთულით,
დღითა და ღამით კვლავ შემართული.
სულ ფიქრობს გასცეს, არაფერს ითხოვს,
არავინ იცის სულს რითი ითბობს,
სიკეთე გზაზე თუ ხვდება ხიდად,
თავს გრძნობს ისევე პატარა ბიჭად.
თუმცა ცხოვრებას სად აღარ დაჰყავს,
სწამს, რომ ხვალის დღეს უკეთესს ნახავს.

მე თუ ვარ!

მე თუ ვარ ქვეყნად, მხოლოდ იმიტომ,
შევუმსუბუქო ვინმეს ტკივილი,
მეტს არ მოვითხოვ, უკან მივიღო
მცირე საჩუქრად თბილი ღიმილი.

სამშობლოვ, შენ რომ გამოგადგება!

გამიტყდა ღამე, საბაბი? – არ მაქვს,
გული კი კვნესის, რატომ? – არ ვიცი,
შენს მომავალზე ფიქრს ხნული გააქვს,
მინდა გერგუნოს ბევრი მაისი;
კრიალა ზეცა გეხუროს თავზე,
მიწამ შეგცინოს ბარაქიანმა,
სიმღერა ყველამ სჭექოს ერთ ხმაზე,
ქვეყნად იხაროს ადამიანმა.
გული საგულეს იყოს ჩამჯდარი,
მშვიდად უმზერდე ლამაზ სამყაროს
იდგეს დარი თუ მკაცრი ავდარი,
რწმენამ იმედი კვლავ გაამყაროს.
სამშობლოვ, შენ რომ გამოგადგება,
შენ რომ მოგიყვანს ნამდვილ მაისებს,
ყველა რომ ისეთ მრწამსზე დადგება,
შენს ავსა და კარგს გაითავისებს,
საკუთარ ბაღში დაკრეფს ყვავილებს,
სამსხვერპლოდ დასდებს მთელ ვარდთა კონას,
თავზე გვირგვინებს დაადგამს წყვილებს,
მუხლზე დადგება შენს ნამდვილ მონად.

შებინდებისას...

ჰორიზონტს მშვიდად დაესვენა საღამოს მწუხრი,
ვარსკვლავებს მიღმა თითქოს ვხედავ რჩეულ სამყაროს,
ჩემი სამშობლოს სილამაზეს მდაბლად ქედს ვუხრი,
მეტს არ მოვითხოვ, ამ სიკეთეს არვინ გამყაროს.
სულმოკლეობას, ჩემთვის უცხოს, ნუ დამაბრალებთ,
ან რისთვის მინდა დაჩემება ღმერთკაცობისა,
დამისხით ღვინო, მეგობრებო, ნუ გამაწვალებთ,
მე უნდა შევსვა სადღეგრძელო მზესთან ძმობისა.
აჰა! მოზღვავდა სულ უბრალო – გრძნობა ჩვეული,
მშობელ ქვეყანას ვადღეგრძელებ ფუძე-კერაზე,
ბახუსისაგან გაბრუებას გადაჩვეული,
ვფიქრობ სიცოცხლის და ხვალის დღის გადარჩენაზე.
კავკასიონზე ვარსკვლავები ჩემს ბედზე სხედან
და ციმციმებენ, ვით თვალები გახარებული,
გარინდებული გავსცქერ სივრცეს მე ზედაზნიდან,
ვტკბები ამ ქვეყნის სილამაზით აღტაცებული.

დ ე დ ა

დედა – სიცოცხლის წყარო მთავარი,
დედა – პირველი წიგნი ცხოვრების,
დედა – მუდმივად შვილის ლამპარი,
დედა – პირველი წყარო ოცნების,
დედა – ყოველთვის დიდი იმედი.
დედა – ბოლომდე კვალის გამტანი,
დედა – პირველი ფესვი ძლიერი,
დედა – შვილისთვის მუდამ დამწვარი,
დედა – პირველი დასაფიცარი,
დედა – პირველი დიდი ნუგეში,
დედა – არასდროს დასავიწყარი.
შვილო, თუ გიცემს გული უბეში!

სიყვარული

ზღვარს გადასული
მე არ მიყვარს
თვით სიყვარულიც,
რომ დაგავიწყებს
ფესვებსა და კენწეროს ყვავილს,
რადგანაც იგი მომაგონებს
წვიმაში ელვას,
გვალვაში უწყლოდ
დარჩენილი ირმების ბღავილს.
სპეტაკ სიყვარულს
მოვლა უნდა, როგორც საუნჯეს,
მსურს, სულ ანათოს
ვით სანთლის ალი,
ლამაზ სიცოცხლეს ფესვში გაუჯდეს
და მიაწოდოს ყვავილებს წყალი.
ააბიბინოს მთები, ველები,
სამშობლოს თავზე
გადაედგას ლამაზ გვირგვინად.
მხოლოდ ის არის ბედნიერი,
დაუვიწყარი,
ვინც ამ წალკოტში დაიგულებს,
პატარა ბინას.

რატომ?!

რატომ გატყდა შიდა ქართლის ციხე?!
რად დაგვექცა ტაოს სალოცავი?!
ან შავშეთის მიტოვებულ ცის ქვეშ
ქართვლის სული ობლად რატომ არის?!
რატომ ვთელავთ თრიალეთის მინდვრებს,
ჯავახეთში წყალს არ ვუსხამთ ყვავილს,
აფხაზეთის მშვენიერი ცის ქვეშ
რად მოგვაჭრეს, ქართველებო, მკლავი.
რატომ?! რატომ?! ვიმეორებთ ყველა,
ვიმეორებთ ერი ვართ თუ ბერი,
ჩვენ ცალ-ცალკე ვეტოლებით ღმერთკაცს,
ერთ ხმაზე კი იშვიათად ვმღერით.
გაგვიხდია სამოსელად თალხი,
გვენატრება ლუკმაპური ჩვენი,
აკვნებამდე ამოგვიკლავს ხალხი,
ქართულ სიტყვის ცოტა დარჩა მთქმელი.
სანამ დროა გავახილოთ თვალი,
ზნეობაზე კომენტარი მიჭირს,
დავიბრუნოთ გადაჭრილი მკლავი,
აკვნებამდე დაკარგული ბიჭი.

ჩემი ეზოს ანგელოზო!

მე მინახავს საოცნებო ბევრი დილა,
დღეც მინახავს მზიანი და დიდზე დიდი,
ჩემი ეზოს ანგელოზო! გთხოვო მინდა,
მოხუცებს და ჩემს ბავშვობას გაუფრთხილდი!
მათი სახე მე სიზმარში თვალწინ მიდგას,
თუ რას ნიშნავს ეს სიზმრები, მე არ ვიცი,
ჩემს ბავშვობას დედ-მამა და ეზო იცავს,
ჩემს გულსა და მათ ჭაღარას გაუფრთხილდი!
მზე ანათებს შემოდგომის რძისფერ ზეცას,
ნამშრალებში დარჩენილა ობლად კომში,
ბოლო ფოთლებს შემოდგომის ქარი ფერთხავს,
ზამთარი არც მეკითხება, ისე მოდის.
ჩემი ეზოს ანგელოზო! ცა და მიწავ!
ზამთარი ხომ ცივია და ღამე დიდი,
ობოლ კომშს და ბებერ კაკლებს ნუ გაწირავ,
ჩემს ბავშვობას, მათ სიბერეს გაუფრთხილდი!
გაუფრთხილდი სიყვარულს და ქვეყნად ძმობას,
გაზაფხულის დღეებისკენ გადე ხიდი,
მაგ ეზოში მოხუცებს და ჩემს ბავშვობას
ახსოვთ წრფელი სიყვარული, დიდზე დიდი.

ედუარდ უგულავა

თემურ ჩალაბაშვილს

ეს არ არის მხოლოდ სევდა,
გულს სიმძიმე აწევს ლოდის...
რა ლამაზად იცხოვრე და
რა კეთილად იღიმოდი.

მზე მოხატულ ცარგვალს გასცდა,
შეეფარა ფიქრის სურებს...
ამ ბოლო დროს, ფანჯარასთან
დგას გეტა და გზას გაჰყურებს.

ან ახალი მე რა გითხრა,
ფიროსმანის დოსტის დარო,
შენ ქართველი პოეტი ხარ,
მამავ, ძმავ და მეგობარო!..

სულ სხვა მადლი ჰქონდა შენს სულს
და ღამეებს, შემკრთალს თეთრად,
ღვინოს, შენთან ერთად შესმულს,
პურს, გატეხილს შენთან ერთად.

პოეზიის აშლილ შამბში
მოასვენე ძვლები ლომმა.
წევხარ ახლა იმ მიწაში,
სამშობლომ რომ მოგიზომა.

დრო მკაცრია, მიდის სწრაფად,
რომ წარსული გადათელოს.
შენ კი მალე, უფრო მძაფრად
ასტკივდები საქართველოს.

სისხლს მიდუღებს ძალა ლოცვის,
მკერდს, გადახსნილს, ვუშვერ ნიავს
და იმ მიწის ნაგლეჯს ვკოცნი,
სადაც მხრები გისვენია.

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

მურმან გელენიძეს

80 წლის იუბილესთან დაკავშირებით

ჩვენი მიწის მადლით და ღვთის უფლებით,
აღმოცენდა კვირტი მძლავრი ფესვიდან,
ხელოვანი – დიდი დამსახურებით,
სიამაყე ხარ ქვეყნის და ერისა.

შენ მოქარგე გორდის დედაბუნება,
შემოავლე ცისარტყელა მთაწმინდას,
მხატვრის ტილო არასოდეს ხუნდება,
როცა ახლავს რწმენა წმინდათაწმინდა.

საამაყო გმირ წინაპართ საქებრად,
შექმენ რწმენის – ენის საგალობელი,
ასომთავრულს, ხუცურს,
მხედრულს – სახელად,
დაამშვენებს შენი შრიფტის შედევრი.

დაგელოცოს მხატვრის ფუნჯი, მარჯვენა,
შემართება კვლავ რომ გააასმაგო,
იდღეგრძელე, იყავ მხნედ და ჯანმრთელად,
რომ სამყარო ჩვენი გაალამაზო.

შენს მძვინვარებას არ ვუხდი ღალას

შავი ზვირთების მაშფოთებს ტალღა,
რაც განსაცდელად ოდითგან დამაქვს...
მოვედი ზღვაო, ჩემი ცოდვები
რომ გადმოვყარო დასტად და დასტად.
ადამიანის ბობოქარ ვნებებს,
შენს მორევებში ითრევ და მარხავ,
ერთ მშვენიერ დღეს, აბრუნებ ფსკერს და...
კაცობრიობას უგზავნი წარღვნას.
დიახ, შენ ზღვა ხარ – ავი სტიქია,
და დემონური გაღვიძებს ძალა,
სიურჩე შენი ვერვინ ალაგმა,
ვით შეგაკავებს ქვიშა და დამბა.
ვერ დავენდობი ვერაგულ ზრახვას,
დაწინდულს -შერწყმულს ავ ქარიშხალთან,
შიში და ძრწოლა ზმანებად დაგაქვს,
როდესაც დგახარ მშვიდად და წყნარად.
შავი ზვირთების ტიტანურ ძალას,-
შენს მძვინვარებას არ ვუხდი ღალას,
ამიტომ გრძნობებს სათუთად ნაზარდს,
ზღვის უფსკრულებში არასდროს ვმალავ.
ახლა, ზეცისკენ მიჭირავს თვალი,
სული მიიწევს მაღლა და მაღლა,
სადაც იხსნება სამყაროს კარი,
სად, მეუფეობს არსობის ძალა.

ემიგრანტ ქალბატონებს

ფუძე-კერის და ოჯახის ამაგდარო,
გაიღიმე, გთხოვ ღიმილი არ დამალო,
შენს სიტურფეს ახლა მკაცრი სუსხი აწრთობს,
მძიმე არის შენი ხვედრი ემიგრანტო.
რაც დრო გადის ასმაგდება შენი დარდი,
უსამშობლო ზეცა არის მუქი ჩადრი,
კუთხე, კერა გენატრება საკუთარი,
მშობლიური მიწა დაგაქვს, ვიცი, ჩანთით.
ძალა გმართებს, კალო შენი რომ გალეწო,
საეჭვოა იქ რომ ვინმემ შეგიბრალოს,
გაძლიერდი, ფიცი შენი არ გატეხო,
დაბრუნდები შინ მშვიდობით ემიგრანტო.
მეც შორიდან გეფერები წრფელი გულით,
შენს სახელზე იმედის ტოტს გადაგირგავ,
განსაცდელი გამოგაწრთობს, – გწამდეს უფლის,
ღვთისმშობელი შეგეწევა, არ გაგწირავს.

ბაბუს წასარეთი

აჰა, მოვედი წინაპრების ნასახლარ ტევრთან,
დღეს მე დავგეგმე მტკივნეული შეხვედრა თქვენთან,
ცოტა ძნელია, წარსულიდან და განტევებით,
როცა გიმზერენ ნასახლარზე ქვის ნანგრევები.
მწამს, იყო ჟამი მოფერების და გაფრთხილების,
ახლა არ ფასობს, წაშლილია ეს ყველაფერი,
დგანან ხეები მოკრძალებით და განრიდებით,
წინაპრის ლანდებს გამოვუხმე და ვესალმები...
წარსულისაგან მტკივნეული დამყვება განცდა,
თუ წუხანდელი უცნაური ზმანება ჩამრჩა,
ბაბუაჩემის ნამზეურევ სამოთხის ბაღთან,
ჭიშკარი დამხვდა მორღვეული და ფარღალალა...
ვინ წარმოიდგენს თუ აქ იყო ოდეს ბაღები,
ტანმორღვეული ტირიფები უღვთოდ ტირიან,
სხივნაფერები იზაბელა ხმება ბარდებში,
ბებერ ხეჭეჭურს დასტყდომია მეხის სტიქია...
ნიგვზის ხეივნებს არ ატყვია კაცის ნამყოფი,
ეზოს ბოლოში კახა-ბლები გადამსხვრეულან,
შემოხვევია უსურვაზი მწვანე ნაყოფით,
ნაზვინავ მსხალზე დარჩენილა სვეტი ეულად...
ნარსა და ეკალს ჩაუნთქია შინდის ბაღები,
დაუზოგავად გაუკაფავთ ბზა და ვერხვები,
ადგილის დედას უსველდება ცრემლით თვალები,
წყაროს სათავე ჩაკარგულა მიწისქვეშეთში.
ბაბუს უყვარდა გასახედნი ოქროს კვიცები,
აგვირისტებდა უნაგირებს ვერცხლის ბოლთებით,
ჩაუქცევია წყალს და მეწყერს ღელის პირები,
არ ამჩნევია ამ მიდამოს კვალი ფლოქვების.
ვერ მივაგენი ფერდობებზე გაფენილ სკასაც,
ახლა, ფუტკარი არ აგროვებს სიტკბოს და ღალას,
ბაბუაჩემის აგებული წისქვილი არ ფქვავს,
ოკაცის პირზე არ ბიბინობს სიმინდის ყანაც.
ეკლის ხეებთან ვერ მოვნახე ძველი ბილიკი,
ვერ გავიკვლიე გასასვლელი კვაკუტის წყალთან,
იქვე, ცივ ქვაზე ჩამოვჯექი ღონემიხდილი,-
უსასოობის და ტკივილის გამიჩნდა განცდა...
გთხოვთ, გვაპატიოთ, გაგიცრუეთ ყველა იმედი,
მაგრამ ცხადია, დაუდევრად, – ხელის აღებით,
უკაცრიელი ჩვენ გავხადეთ თქვენი ედემი,
რომ ვერ ვაჯიშეთ ღირსეული შთამომავლები.
გთხოვთ, მოგვიტევოთ სულგრძელობით აღგვემეტებით,
უღირსი შვილი არ დატუქსოთ, – გთხოვთ გევედრებით.

მალვინა ჭელიძე

აი ასეთი მინდა სამშობლო!

საქართველოს ფეხბურთელებს

ბედნიერების სხივებით შემკულ დროშას შევხარი,
ამ დროში მინდა ღმერთო ყოფნა,
იქნებ დამტოვო!
ნუღარ წაგვიშლი იმედსა და მომავლის რწმენას,
აი ასეთი მიყვარს სამშობლო!

ერთიანობის აჩვენა ძალა ერმა და ბერმა,
და გამარჯვების ჟინმა იმატა!
ხალხი დაიძრა, თითქოს
უფლის საკურთხეველიდან,
იმედის სხივმა, ისევ ინათლა.

უფალო რწმენით გვასაზრდოე,
იმედით, ხვალის...
ეს კურთხეული მიწა იქნებ არ მივატოვოთ,
მარადიული სიყვარული ერთ-ურთის, ამინ,
აი, ასეთი მიყვარს სამშობლო!

საუკუნოვან მუხის ფესვებს შეზრდილი ერი,
უიმედობამ, დარდმა, სევდამ ვეღარ დატოროს...
დღეს ბედნიერი, ცა და მიწა, ყოველი მღერის!
აი, ასეთი მინდა სამშობლო!

ერთიანობით შეიმოსა ქართული ზეცა,
ამ გამარჯვების ჟინი როგორ უნდა ჩავაქროთ?
ყველა ქართველის გულში ბრწყინავს იმედი დღესაც,
ღმერთო, მიმყოფე, ბედნიერი ჩემი სამშობლო!

სიმართლის სხივი

ფუნჯის გარეშე დავიწყე ხატვა,
უსასრულობას ვაფერადებ თვალდხუჭული.
ცისარტყელებში
ვერ აღვიქვი სამყარო, რადგან...
ამოვიჩემე შუა ზღვაში ფიქრის კუნძული.
მე დავემსგავსე უნიჭო მხატვარს,
მოვქარგე მდელო, ნაწვიმარი
სულის სამრეკლო,
ლაბირინთებში ჩაძირული
სიცრუვის მგოსნებს
ვერ მოუხატე ზეცის სამეფო.
ვარსკლავთცვენაში ვხატავდი ნისლებს...
ზეცა მეჭირა ხელისგულებით,
ფანჯრის მინაზე აცეკვებულ წვიმის წვეთების
ვხატე სიტურფე,
დარდი სჭირდათ განუკურნელი...
შავი ფერები უსახსოვრე
ქარსა და წყვდიადს,
ფერთა გამებში ჩაძირული,
მინდა ავეწყო,
ვერ მივაყენებ უსასრულო
სამყაროს ზიანს,
ამ შეუცნობელ სილამაზის
ვალი დამედო.
მოვიშველიე დღეს, ნუგეშად
მშვიდი ფერები,
სინათლის სხივი შემოიჭრა
დარდის გარეშე,
ფუნჯის გარეშე თუ მოვხატე სულის სხეული,
ღმერთო ძლიერო,
მაშინ, რატომ უნდა დავეცე?!...

***

სული ზეცამდე ამაღლებული,
უფალო შენ თქვი
რაც უნდა მეთქვა,
უკუნი ღამე განათებული,
მადლობა ღმერთო
რამდენი მყევხართ.
მთვარე პირქუში თავს
რომ მარიდებს,
თუ გაემიჯნა ამაღამ ზეცას,
რას არ გაუძლებ,
რას არ დაითმენ,
თუ სიყვარულით
ახლოს ხარ ღმერთთან!

დუმილის მიღმა

დუმილის მიღმა არის სამოთხე,
რომელიც გიყვარს, ხან კი გაოცებს...
დუმილში არის აზრთა მარაგი,
თმენის და სიტყვის იგავარაკი!
დუმილი არის სევდის ნარჩენი,
შემოთელილი... ტკივილს ნაჩვევი...
არის გრძნობები, სიტყვა მავანის
ბევრი დათმენა...ბევრი ღალატი...
ამ უსასრულო დუმილის მიღმა,
ვიღაცას უფრთხი, ვიღაცას იცავ!
ზოგჯერ ცრემლები ასველებს მიწას,
ვიღაცა გძულს და ვიღაცა გიყვარს...
გზად განფენილი ეკალ-ბარდები,
გკაწრავენ, მაინც არ დმარცხდები!
დუმილში არის აზრიც და სიბრძნეც,
თითქოს დუელში ვიღაცას იწვევ!.
ფიქრობ და უხმოდ მაინც ნებდები,
ირგვლივ რაც ხდება, თითქოს ვერ ხვდები...
დუმილში არის სულის ომები.
ხან იმარჯვებ, ხან, არ ემონები!
დუმილში არის აზრთა სხვაობა,
ზოგჯერ მცდარი და ზოგჯერ რაობა...
დუმილი შენი თუკი გაძარცვეს
შენ, შენი მრწამსით უნდა გადარჩე!
დუმილის იქით...დუმილის მიღმა,
ვერავინ ხვდება რა ხარ, ან, ვინ ხარ?!

გულო ჩემო❤❤❤

ნუ აყვები გულო
ჩემო შემოდგომის
განცდებს,
ბევრი რამე მიუტევე,
ბევრი რამე დათმე.

*****

თითქოს, შემოდგომის ფერებს შეგადარე,
ზაფხულის ვარდებში დაგაბრუნე,
ზამთრის სუსხს ვეღარ გაგაკარებ,
გულში ჩაგიკრავ და დაგაპურებ.
გაზაფხულის იებად აგაყვავებ,
დარდებს სიყვარულით გაგიქარვებ,
დღეებს შემორაგულს სევდის თალხით,
შევებრძოლებით და გაგიქარწყლებ.

თუკი ჩაიძირე სევდის ტბაში,
ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ,
ფეხთით ფიანდაზად დაგეგები,
ჩემი სიყვარული გადაგარჩენს.
დარდებს, დაგივარცხნი ფაფარაშლილს,
ჩრდილში, მზის სხივებსაც მოგანათებ,
გულში ჩაგიხუტებ როგორც ბავშვი,
ზამთრის სილამაზეს მოგანატეებ.
ყველა სევდას უმალ გაგიქარვებ,
ფიქრებს სიყვარულით დავადუმებ,
ფეხთით მე დაგიფენ წითელ ვარდებს,
უღონდ მთელი გულით შეგიყვარდე.
ისევ ჩაგიქროლებ შორი ახლოს,
ლოცვად დაგადნები ბევრის დამთმენს,
თუკი დამეკარგე სადმე გზაში
ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ!

****

გულო❤შემოდგომის ფერებს შეგადარე,
სევდიან ღამეში მშვიდად შეგიფარე,
მინდა ყველა დარდს და სევდას აგაცდინო,
იქნებდა ერთ დღეს, გულწრფელად გაგაცინო!

მალვინა.....

ნელი საგინაძე

მწამხარ უფალო

ჩემში ნაბადი სული არის ო, რა უბრალო,
საუკუნიდან საუკუნემდე მწამხარ უფალო,
თავმდაბლობაა განძზე განძი ჩემთვის უბადლო
ამისთვის გამჩენს, იმ მაღალ ღმრთს უნდა ვუმადლო!

ჩემში რა სულიც გიბადია ქრისტე უფალო,
ამ სულით მხოლოდ, ჩემს მიწა-წყალს გულით ვუგალობ,
არ ავყოლილვარ მაცდურ სიტყვებს, ქცევებს უგვანოს
გპირდები ღმერთო, საქართველოს უნდა ვუქალო.

უნდა ვირწმუნო, უერთგულო,უნდა უქალო,
საუკუნიდან საუკუნემდე მწამხარ უფალო!!!

ქართული ანბანი

შენ ხარ ანი და ჰოე,
დედის ტკბილი ხარ სიტყვა,
გადაშენება შენი
ღმერთო, ამ ქვეყნად ვინ თქვა?!-

შენ ხარ ია და ვარდი
ზამთარ– ზაფხული ერთად
იმ დღიდან, დღემდე მიტომ
უფლის სამოთხე გერქვა!

ოცდაცამეტი ბგერით
შემოქარგულო ტანო,
შენი დიდების ლოდი
ღმერთთან მსურს ავიტანო!

მარტო სამშობლო კი არ
ანბანთქება ხარ ტკბილი,
დედატაძარი გქვია
კლდეზე ნაშენი ძირით!

ღმერთმა გიმოსა ტანი,
გულს მოგიქარგა ბგერა,
შენს გაბრწყინებას ველი,
შენი დიდების მჯერა!!!

დედოფალო

ამ სულიერ აურზაურს
განმარიდე დედოფალო, განმარიდე,
ყველა ფლიდს და მატყუარას
შენი ძალით ამარიდე,
ღვთისმშობელო, ამარიდე!

დრო და ჟამი ერთმანეთს კვეთს
დამიცავი,შემიწყალე, ხელი მკიდე,
ბეწვის ხიდზე გამიყვანე
შენი ძალით, შენი მადლით
ძნელ აღმართზე რომ ავიდე!

მართალიც და მატყუარაც
დედოფალო, გამოჰკიდე ყველას თვალწინ,
დაფიქრება დიდი მმართებს
დაფიქრება სულიერი დროის აწი,
დროის თვალწინ!

ყველა გზა რომში კი არა
თურმე მიდის, უფლისკენ და დედოფლისკენ,
განგვარიდე მაცდურსა და აურზაურს
დაგვაყენეთ სწორე გზისკენ დედოფალო,
თქვენი გზისკენ!!!

ჩემი საქართველო თურმე ღვთისფერია!

რაც კი ათინათი ციდან დაშვებულა,
ყველა საქართველოს გულზე დაჰფენია,
ხილვა მეგონა და ცხადში დამინახავს
დედა საქართველო, თურმე რა ფერია!

ყველა მთის მწვერვალზე კოშკი დავინახე,
მის გზად მიმავალი ლოცვას ვღიღინებდი,
კორდებს ზურმუხტისფერს თოვლად დაჰფენოდა,
სადედოფლო კაბით თეთრი გვირილები!

ტაძრებს მივაშურე ლოცვად ცად აჭრილებს,
ჯვარი მათი გუმბათს ვხედავ მზისფერია,
ყველამ დაუჩოქეთ ყველამ, გევედრებით,
ჩემი საქართველო, რადგან ღვთისფერია!!!

გამოღვიძების დრო გაქვს "ლაზარე"!

შეუძლებელი არაფერია,
ცად ანგელოზნი დარეკენ ზარებს,
"ოთხიათასი წელი" მთავრდება
გამოღვიძების დრო გაქვს "ლაზარე"!

არვის არ ძალუძს ქართული გენი
მიძინებული ასე ტყვედ ყავდეს,
ალბათ ყველაფერს თავისი დრო აქვს,
დრო სიზმრადყოფნის უნდა დამთავრდეს!

და გაცხადდება ირგვლივ ყოველი,
რაც დაფარულა, დამალულა რაც
მორჩა გვეყოფა ამდენი ძილი
ქრისტე აღვიძებს უკვე ქართველ კაცს!

მოდის სხვა ძალა, სხვა შემართება,
აღმაშენებლად და არა ნგრევად,
ხალხთა გონების გასაღვიძებლად
დღეს ასეთია ძე ღმერთის ნება!

აქ გათავდება ალბათ მელანი,
კალამს გადადებს გვერძე ზოსიმეც,
ჩვენი წმინდანნი, უკვდავნი ბერნი
"ჩონგურს" უბამენ მთლად ახალ სიმებს!!!



თემურ გოგსაძე

გთხოვ ჩამეხუტე!

სამყაროს სიბრძნით,
ნაშობ სიყვარულს,
ყოველი მხრიდან,
სიბნელე უტევს?!
უერთმანეთო დროს-
გადაკარგულს,
როგორ უხდება-
გთხოვ, ჩამეხუტე!...

ჩახუტებაა – გარდამომტანი,
გალაქტიკების,
ენერგო-ველთა!..
ერთდება, ჩვენი, სული და ტანი
ვარსკვლავებს ბადებს,
სიწმინდე, ცრემლთა!..

,,ფეხთბანვის" მადლით,
გაშორებ ცოდვას!...
შენი სურნელიც,
სულ შევისრუტე!...
და ვიმეორებთ,
კოსმიურ ბოდვას-
გთხოვ, ჩამეხუტე!
გთხოვ, ჩამეხუტე!...

ეს ჩახუტება,
კურნავს იარებს!...
და ჩვენს, სიყვარულს,
საკმეველს უკმევს!...
სამყარო, შენთვის, გადმოვიარე,
სამყაროც, ჩემთვის
შენა ხარ, უკვე!...

(14 წლის უცნობი მხატვარი)

იუნკრებიცა და,,აგვისტოს გმირებიც"
სამშობლოს თავისუფლებას შეეწირნენ!
ქართული სახელმწიფო-100 წლისაა(აღდგენის
შემდეგ!) ამიტომ ამ მოვლენებს, სიმბოლურად,
ლევილში დაბადებულ ფრაზებს ვუძღვნი!

– ----------

...ლევილს – საქართველოს სისხლი,
ჯერაც, მოდუღს!
შეცდომებზე სწავლაც-
სიბრძნის ნაწილია!
ყველას, ყველა ქართველს-
ჩოხიანს თუ მოდურს,
ერთადერთი ხსნა გვაქვს! -
და ეს მანძილია:
თავისუფლებიდან –
თავისუფლებამდე,
ერთად დგომის მადლით,
ვსდიოთ მისტერიას!..
მხოლოდ ღმერთისა და
ჩვენი თავის გვწამდეს! -
აღარ დავემონოთ,
არცერთ, იმპერიას!
ერთად- მოვუაროთ!
ერთად – ვუპატრონოთ!
ერთად- ვუდარაჯოთ -
დედა-იბერიას!
ლევილს- დააბიჯებს, ახლა საუკუნე!
,,შეიბნ-შეიმეცნე"
სიბრძნის მახვილია! -
ერთად- ქართველებო!
ერთად- ქართველებო!
ერთად- ქართველებო -
ღმერთის, ძახილია!

ლევილს დააბიჯებს,
ყველა საუკუნე!
ქართულ სახელმწიფოს,
ძლევას დაუბრუნებს!

სიყვარულის აღთქმა

არასდროს მოვალ შენთან და
არც ოდეს,
წასვლა მომიწევს!
გული რად
შეგიქანდა და
შენს დაეჭვებას,
რა იწვევს?!
ირწმუნე,
სამყაროს ხმისო-
ეს არჩევანი, სწორია!
რადანაც, ის მარადისობს,
რაც შენშია
და შორია!...
თვითვეა,
ათვლის წერტილი,
წერტილი დასასრულისა!..
და გვავსებს, თავაწყვეტილი,
სინათლე სიყვარულისა!...
არასდროს არ განელდება!-
ღვთის სხივთა თანასწორია!..
სხვადასხვა დროს,
ლეგენდებად,
გაჰყვება,
ეს ისტორია!..

რომანსი

დაბადებაც და სიკვდილის გზა, არსით ერთია!
ამ წრე-ბრუნვაში, შენ ერთს გეტყვი, როგორ მიყვარხარ!
რადგან ამ ქვეყნად, სიყვარულიც, თავად ღმერთია,
ყველა გრძნობას და მოფერებას
შენთვის ვინახავ!...

იქნება მართლაც, არც დროა და
მუდამ მიყვარდი!
წუთისოფელში, მხოლოდ წუთით, ჩავუშვით ღუზა?!
შენ ხარ, სამყაროს გაღიმება...
და თანაც დარდი!
ჩემი ლექსების ალერსი და
უცვლელი მუზა!..

გადაიქროლებს. გაფრინდება, დრო ნამთვრალები...
ჩვენს ერთად ყოფნას, უსაშველოდ, მოენატრები!
ოცნებას, ჩემსას, ამჩნევია, შენი თვალები...
სხვა პლანეტებზეც, შევხვდებით და,
შემიყვარდები!

ექსპრომტი

ერთხელ მკითხე – რა გინდაო?
რატომ გადამეკიდე?
მართალი ხარ!
სიბრძნის კარი,
ვერ შევაღე, მე, კიდე?!

– შენს თვალებში, სხივი მინდა,
სხივი ბედნიერების!..
სიყვარულის სული წმინდა
და სამყაროს ფერები!..

– ჩემი სულის საბადოში,
ზღაპარს წერენ ბგერები!...
აქაც, იქაც,
ყველა დროში,
გრძნობით მოგეფერები!...

პასუხია, თითქმის სრული,
ნუღარ გამებუტები!...
კოსმიური სიყვარულით,
ყველგან ჩაგეხუტები!

ხათუნა თედიაშვილი

* * *

წუხელ ტკივილმა გამომაღვიძა,
ეს მონატრება ფლითავდა სხეულს,
დედას, შვილები მენატრებოდა,
ავაჰმე ბედო ვეძახდი წყეულს.
უჩემოდ შვილებს სციოდათ ძლიერ,
შიოდათ,მაგრამ ვერ დავაპურე
და ტკივილებით გამსკდარმა გულზე,
უხვი ცრემლები ბალიშს ვაპკურე.
ვხედავდი სიზმრად მათ ლამაზ სახეს,
და მოფერება კი ვერ შევძელი,
მსურდა ჩამეკრა მკერდში და ისევ
მე ის წუთები შემეგრძნო ძველი.
როგორ დავზარდე ოთხი სიცოცხლე,
მათი აკვანი ვარწიე ხელით,
ბევრი უძილო ღამე თუ მქონდა,
ბედნიერებაც თან ახლდა ბევრი.
სახლი, შვილების სუნთქვით გამთბარი,
და კერა სადაც სიცოცხლე დუღდა,
ახლა მარტოა კედლები თითქოს,
მეძებდა მეც და ისე წუხდა.
რომ მე ტკივილმა დამიფრთხო ძილი
და მონატრებამ ცრემლად მადინა,
გათენდა ასე და რეალობამ,
ავაჰმე ბედო, სული მატკინა.

* * *

ახლა როგორა ვარ?თითქოს გავგიჟდი და
ჩემს სულს დასატევად მიწაც აღარ ჰყოფნის,
ცაში გასაფრენად ფრთები შევისხი და
თუმცა ასაფრენად,ძალა აღარ მყოფნის.
ხოდა მომეშველე, სული შემიბერე,,
თორემ დამელეწა ფრთები ნაწამები,
იქნებ ოცნებები ერთხელ ამიხდეს და
ცრემლმა არ ასველოს დარდით წამწამები.
ვიცი სიგიჟეა ახლა ყველაფერი,
ვიცი ერთ სიტყვასაც არვინ გაპატიებს,
თუმცა ვინც კი მოკვდა,ცამდე ადიდეს და
მერე შეცდომებიც,ყველას აპატიეს.
ახლა როგორა ვარ?ვფიქრობ სუიციდზე,
რადგან ეს ცხოვრება ძალზედ დამღლელია,
წუთებს,გადავთვლი და მერე გადავხტები,
თორემ ეს გრძნობებიც უკვე დამელია.

* * *

გიწერდი ყოვედღე უთბილეს სტრიქონებს
და სულში აგიგე ნიში თუ ტაძარი,
დაღლილან თითები თურმე რა ამაოდ,
ლექსებთან ნათევი ჩამიქრე ღადარიც.
დავხიე ლექსები არაფრად მარგია,
გპირდები დღეიდან არც არას დაგიწერ,
და შენთვის ანაგებ უწმინდეს ტაძარში
მონაზვნად აღკვეცილ ცხოვრებას დავიწყებ.

* * *

ღმერთო დავიღალე ასე უსამართლოდ,
ბედი გექცეოდეს ძნელია,
ვისთვის ლხინია და ჩემთვის
დარდის ზარით ახლაც, ტკივილები მდევნიან.
მუდამ ბრძოლა იყო ჩემთვის ეს ცხოვრება,
ბევრჯერ მონაგები,წავაგე,
ისე დავიღალე ძალა აღარ შემწევს,
ვერა ვერაფერი გავაწყე.
მქონდა იმედები კიდევ შერჩენილი,
დღეს კი ყველაფერი დავკარგე,
ხოდა დავიჯერე, სიზმრად რაც კი მითხრეს
ჩემი ბედის წერის, ავ-კარგზე.
ღმერთო დავიღალე, იქნებ დამთავრდეს
და ტანჯვას წერტილი რომ დაუსვა,
თორემ ისე მტკივა სულზე იარები,
ლამის აფრებივით ავუშვა.

* * *

მამი მომენატრე ძლიერ, შენზე ჩახუტება მინდა,
რადგან დავიკარგე თითქოს,ისიც აღარ ვიცი ვინ ვარ,
ხოდა წამიყვანე შენთან, აქ მე აღარ მინდა ყოფნა,
გული ვერ ვიპოვე წრფელი, ბევრჯერ წავიქეცი ლოდთან.
შენთან გვირილების ზღვაა,ჩემთან.....ჭუჭყით სავსე ქუჩა.
ირგვლივ ქაოსი და შური,ბოღმას....თავი აღარ უჩანს,
ყველგან ღალატი და ცრემლი.....არსად გამართლება არა,
ნუთუ, ეს მეწერა ბოლოც, ვერსად..... გავიხარე მამა.
ისე დავიღალე ისე,თითქოს..... ასი წლის ვარ უკვე,
გული ვერ ვიპოვე წრფელი, ყველა.. გამიყალბეს რა უქნეს.
ხოდა წამიყვანე მამა,ისე მომენატრე ისე,
სული გაგიჟების ზღვარზე, ..თვალებს....სევდა ცრემლით მივსებს....

* * *

სიზმრად ლაჟვარდ ცაში ვინავარდე.
მერე ნამი ვკრიფე ია ვარდზე.
ქარაფს მონატრებულს მივეახლე.
ქარსაც გაგიჟებით მივეხალე.
არჩვებს ჭიუხებში გავეკიდე.
მერე ნისლიან მთას ავეკიდე.
ვკრიფე იქ ჩანჩქერთან გვირილები.
ჯიხვებს შევაგებე ღიმილები.
ვკოცნე ჩემი მიწა.ჩემი წყალი.
მალე დაბრუნდები?ეს მითხარი.
ხელი გავშალე და ჩავეხუტე .
ჩქარა მითხარიო.გაგებუტე.
ალბათ დავბრუნდები მე როდესმე.
თუმცა კი დაგტოვე.შენ ოდესმე?
სულში მიზიხარ და მენატრები.
შენგან შორსა ვარ და მედარდები.
სიზმრად ლაჟვარდ ცაში ვინავარდე.
დილის ნამი ვკრიფე ია ვარდზე.

* * *

ლილევ, სად წახვედი ძვირფასო,
ლილევ,შენ გელოდი დიდხანს,
ძილში ეგ, თვალები მესიზმრა
უშგულს, რომ შემომხვდი ხიდთან.
ლილევ, კესანები ყვავიან,
ლილევ, შენს კაბას რომ მოჰგავს,
იფარს ვეწვიე და გიხმობდი
შენი სიყვარული მომკლავს.
ლილევ აღარ მინდა სიცოცხლეც,
ლილევ, უშენობა მტანჯავს
მზის სხივს მოგიგავდა ღიმილი,
ჩემო სიყვარულო სად ხარ.

* * *

როცა ვსევდიანობ კალამს დავეძებ და
მერე თავისთავად მოდის ეს რითმები
,ვცდილობ საფიქრალი ლექსში ჩავატიო,
თუმცა კი ხანდახან ურჩობენ ფიქრებიც.
რადგან გამირბიან,სადღაც დაგეძებენ,
მთაშიც ქარაფებთან,ვხდავ მოგკივიან,
დილას უღიმიან ცისფერ კესანებს და
ბინდბუნდს თეთრ გვირილებს,
ფურცლად მომიყრიან.
აგერ ახლაც ისევ,ურჩი არ მიჯერებს,
მზის სხივს გაეკიდა,ზღვაში ჩავდივარო,
როცა დავუძახე კმარა,დაბრუნდი თქო,
რატომ,რა აზრი აქვს,მარტოდ დადიხარო.
მხოლოდ კალამია შენი მეგობარი,
ვხდავ მუზაც უკვე შენში შემეცილა,
ხშირად გარინდებულს როცა შეგხედავ და,
სულ არ მიმატოვოს,სულო შემეშინდა.
მე კი ისევ ისე,სევდა მომერია,
კალამს ანათრთოლი თითით ვეფერები,
ყველამ,რომ დამტოვოს,ფიქრმაც,ოცნებებმაც,
მხოლოდ პოეზიავ,შენ ვერ შეგელევი.

* * *

გულო გადაღლილო განგრევს არითმია,
ლექსიც არეული ფიქრით ნარითმია,
სახეს ნაკვალევი დარდის აეკიდა,
მერე არამკითხეს მზერაც წაეკიდა.
ცდილობს გაარკვიოს სულში,რა ტრიალებს,
თუმცა მისი მზერა უფრო მატიალებს,
მე ხომ ნაჩვევი ვარ,სულს არ ჩავახედო,
დავჯდე მარტოდმატომ წლებში გადავხედო.
თუკი გახშირდება მერე არითმიაც,
გულო დაითმინე,ლექსი სარითმია,
ცოტა კიდევ გაძელ,სანამ დასასრულით,
მოვა,,მიქელა,, და ჩემი აღსასრული.

* * *

ქარმა ისე ამირია კარგო, სულში გრძნობები,
რომ შლეგიან ტალღებსაც კი, გავუგზავნე კოცნები,
ჩავეხუტე სანაპიროს,ყველა კენჭი დავთვალე,
წლები სწრაფად მიმქროლავი,ნახევარი ავთვალე.
ნავებს აფრა გაუშლიათ და ქარები ახევენ,
თოლიები ვალსს უსტვენენ და სევდაში მახვენენ.
თვალზე ცრემლი წამომსკდა თუ ტალღამ შხეფი მაყარა,
იმ ვალსს ფეხი ავუწყე და მზემაც სხივით მახარა.
გამათბო და ჩამიხუტა, მერე მკერდზე მიმიკრა,
სიყვარულზე საუბრობდა მხოლოდ, ჩვენი მიმიკა.

* * *

ახლა წამიყვანა ნეტავ,მკერდში ჩამახუტა დედას,
იქნებ დამავიწყოს დარდი, იქნებ გადამყაროს სევდა,
ვწუხვარ, სიზმრებშიც კი ვწუხვარ,მისგან დამაშორა ბედმა,
სადღაც უცხოეთში ვცხოვრობ,თითქოს დამეწია წყევლა.
ვუვლი მოხუცებს და იქ კი ვიცი, მელოდება დედა,
წლები წამიწამზე გარბის,თმები ჩამოვერცხლა თეთრმა,
ვკარგავ სიხალისეს ბავშვურს,თვალშიც მოიმატა სევდამ,
როგორ მენატრება როგორ,დედას ჩახუტება მკერდთან.
ვიცი მელოდება ისევ, უცებ გავახარო ცელქმა
დედა შემოგევლოს გოგო, საით გადმოგაგდო ბედმა,
მკერდში ჩამიკრას და მერე, თვალი კვლავ აუვსოს ცრემლმა,
ღმერთო,გევედრები ძლიერ, დიდხანს მიმყოფონო დედა!

* * *

მომენატრა ილტოსპირი,წნორის თეთრი ხეებით,
ბავშვობაში ნაფერები,პაწაწინა ხელებით,
გვირილების სამფლობელო და კვეტარის ველები,
ყაყაჩოთი შეფენილი,საყვარელი ხედები,
ციხეებთან წყაროს წყალი,ანკარა და კამკამა,
ბოდახევზე გადმომდგარი,ნუკრი თვალებმახარა,
ხევგრძელაზე თეთი ხიდი,მორღვეული ჯებირით,
სილიანი სანაპირო,ცელქები რომ ვტკეპნიდით.
ბუჩქის ძირში ნამიანი იის თვალის გახელა,
ღმერთო ნუთუ ვეღარასდროს,ვერ ვიქნები ამხელა,
პაწაწინა ცელქი გოგო,ჯიუტი და თავნება,
ახლა ისე შორს წავიდა და სახლის გზაც აებნა.
მომენატრა ფიქრის გორა, ჩემი ცაცხვის ხეები,
აკაციის ხეივანი,შორი ღრანტი ხევებით,
მერცხლის ბუდე აივანზე,ავსებული კვერცხებით,
ილტოსძირთან ლელიანში,მოშრიალე ვერხვები,
და ჩემს ბაღში ვით წალკოტში,ტურფა თეთრი ვარდები,
თუნდ გზისპირას უმნიშვნელო,ეკლიანი ბარდებიც.
მზის ამოსვლა ბოდახევზე,ნისლიანი ქედებიც,
და ნამგალა მთვარის ჩასვლით მოქარგული ხედები.
დამაბრუნეთ ბავშვობაში თუნდაც აღარ დავბრუნდე,
მონატრება რომ მოვიკლა და სურნელით გავბრუვდე.

* * *

წასვლამდე ჩაგიკრავ გულში და
ბოლოჯერ დავლიოთ სიცოცხლე,
გაგიმხელ ჩემს სათქმელს ლექსით
და მერე დღეიდან იცოდე,
ამ ქვეყნად,უშენოდ არ მინდა,
სუნთქვაც კი ოი,რა ძნელია
და მაინც ძვირფასო მივდივარ,
იქ სადაც, სევდები მელიან,
დაასხი,დავთვრეთ და სიცოცხლევ,
გიტარის აკრიფე აკორდი,
მე ლექსად დაგიწერ ხელახლა,
შენს ნახვას,თუ როგორ ვნატრობდი,
აღარ მსურს გათენდეს ეს ღამე,
კვლავ ცრემლით შემოვხვდე ალიონს,
გაშლილან ნისლები მთაში და
ფეხდაფეხ მოსდევენ მაყრიონს,
დაასხი,,,,რა მოხდა,,,,დავთვერი?
მერე რა,მე უფრო მიყვარხარ,
მოვალ და ბოლოჯერ გაგიმხელ,
ლექსებში,რა დარდსაც ვინახავ,
მსურდა,რომ გვეცხოვრა მთებში და
ჩანჩქერთან დაგვედგა კარავი,
შენ და მე, ცა,მიწა ჩვენს ირგვლივ
და მეტი არავინ, არავინ,

ფეხზე წამოდექი დავით!

ტირის ღვთისმშობელი,
მიწას ყიდიანო,
ფეხზე წამოდექი დავით!
როგორ გაიმეტეს,უფლის ნაბოძები,
უცხოს რომ მიართვეს კალთით.
ხედავ?გაყიდული იწვის სამაჩაბლო,
ქართლშიც გადმოდიან ლამის,
ყველამ მიიტაცა,ვინც კი შემოვუშვით,
ფეხზე წამოდექი დავით!
ისევ აგრძელებენ მიწის გაყიდვას და
სული ამიკვნესდა ჯავრით,
კმარა აღარ რჩება ქართველთ,
საქართველო
ფეხზე ადექიო, დავით!
კრწანისის ატირდნენო
სისხლით ყაყაჩონი,
მთიულთ გაულესავთ ხმალი,
უნდა ვიჩქაროთო,
სულ რომ არ გაჰყიდონ,
სულზე მოუსწარი დავით!

* * *

დღეს ისეთი ლამაზი ხარ ქალბატონო,
რომ წაართვი მზესაც ცაზე ნათება,
ამირიე გულში მწველი ოცნება და
ჩამისახლდი მერე სულში ხატებად.
თქვენ ყოველთვის მარტო გხედავთ ქალბატონო,
მოუყვებით სანაპიროს როდესაც,
თუმც არ ვიცი,ვინა ხართ და ან რა გქვიათ
მინდა გახდე ჩემი ტკბილი ოცნება.
ზოგჯერ ისე სევდიანობთ ქალბატონო,
და თვალები გენისლებათ წვიმებად,
მსურს რომ,მხრებზე შემოგხვიო ხელები
და გიქციო ეგ დარდები, იმედად.
დღეს ისეთი ლამაზი ხართ ქალბატონო,
თითქოს მზესაც ჩამოართვი ნათება,
იღიმით და ბრწყინავს ვარდი მაგ სახეზე,
ლამაზიაა, იჩურჩულეს ხატებმაც.

* * *

ხანდახან როცა შემომწყრება პოეტს, მუზა და
ცრემლები ყელზე,მომიწყობენ ყულფით შეჯიბრებს,
თუ ვერ ამოვთქვი რაც მაწუხებს, და რაც მახარებს,
დარდი, ხავსივით მოერევა სულის ჯებირებს.
მუზა ხან მძინარს შემიშფოთებს ძილის სამყაროს,
გამოღვიძებულს ბნელ ღამეშიც საშველს არ მომცემს,
და თუ იმ წამში ვმორჩილობ და ნებით მივყვები,
ყველა მოვლენას და ოცნებას ლექსად გადმოვცემ.
მაგრამ ხანდახან ისე იცის დარდმა ტკივილი,
როგორც ქარისგან განწირულმა გემის აფრებმა,
და გთხოვ დაბრუნდი მუზავ ჩემო დარდის პოეტთან,
ღია სარკმლიდან რომ არ სურდეს ცაში გაფრენა.

* * *

სულ, ცოტა ხანს გავექეცი რეალობას,
და პატარა,სულ პატარა ვიოცნებე,
ქართლის გზებზე ყაყაჩო და გვირილაა,
მე კი მათი მოყვარული მეოცნებე.
მინდოდა,რომ კვლავ ბავშვივით დამერბინა
და ფურცლები დამეკოცნა მათთვის ნაზი,
ჩამეკრა და გულში თბილად დამეტოვა,
წამეშალა,რეალობის ყველა ხაზი.
მაგრამ, ქარმა ისევ ძლიერ დაუბერა,
შეარყია ოცნებაც და გაჰქრა ცაში,
იქ კი ისევ ქართლის გზებზე,ცეცხლი ენთო
და ყაყაჩო იწვებოდა,ტრფობის ალში.

* * *

გამოიკეტა ჭიშკარიც დედამ,
სულ ჩამოიქცა,მერცხლების ბუდე
და ჩემს თვალებში ჩაწოლილ სევდას,
ვერ შეაკავებს ვერცერთი ზღუდე.

ხოდა ამ დილას,წვიმასთან ერთად
იცრემლებოდა ეს გული მკვდარი,
ემიგრანტობა გეწერათ ბედად
კვნესით მოთქვამდა,ჟღერადი ქნარი.

ილტოზე ბევრჯერ იყვავებს შინდი,
ფიქრის გორაზეც მოვლენ იები,
ობოლ სახლივით დავცარიელდი
თითქოს მესროლეს,ცივი ტყვიები.

შემცივდა უფრო,მხრებზე სიცივით
ამიკანკალდა მთელი სხეული,
ვზივარ და ვფიქრობ ახლა გიჟივით,
რით მოვირჩინო სული სნეული.

მოხუცი დედაც დღეს სხვის მიწაზე
გადააბიჯებს,წლების სიმძიმით,
უფალო შენი,მე ხომ ვიწამე
რაღათ მატირე კვლავ ამ სიმცირით.

რომ ემიგრანტი დაარქვი დედას
და სხვისი მიწის გახდა ხიზანი,
მამას თვალებში უჩანდა სევდა,
როცა სიზმარში მასთან ვიყავი.

თითქოსდა გრძნობდა ყველაფერს სული,
მარტო იჯდა და ნანგრევებს გაჰყვა,
უცებ ვიკივლე,გამსკდარი გულით
მაგრამ,ვერაფრით ვუშველე რა ვქნა.

და ჩემი ცრემლი წვიმებად იქცა,
ტკივილი სულში უფრო აზვირთდა,
მამა მესიზმრა იქ იჯდა იფნთან
მის საფლავზე კი ფიფქები ცრიდა.

ხოდა ვტიროდით დღეს მე და სევდა,
მამით ობოლი კვეტარის შვილი,
ემიგრანტებად დაშლილი კერაც,
უხმო ცრემლებით,მწუხარედ ტირის.

ცრემლიანი დაბრუნება

//ეძღვნება ყოფილ პატიმრის
დანგრეულ ცხოვრებას//

მოდის ბერიკაცი,ხელში გვირილებით,
სახე სევდიანი,თვალში ღიმილები,
რა შორს წასულხარ და როგორ მენატრები,
ტაძარს,შენს სახელზე ვანთე კელაპტრები.
დღესაც მოგიკრიფე,ჩემო ერთადერთო,
შენი საყვარელი თეთრი გვირილები,
როგორ შემიძლია შენი დავიწყება,
როცა თვალწინ მიდგას,ძველი ტკივილები.
შენს თავს დამაშორა მწარე ბედისწერამ,
ხელზე მე დამადო მძიმედ ბორკილები,
წლები გაცრეცილი ცრემლში უიმედოდ,
მაინც არ მოგწყინდა ჩემზე ლოდინები.
წლებმა ისე განვლო ცივი მდუმარებით,
ვერა,ვერ შევძელი მალე დაბრუნება,
ჩემზე მონატრებულს,უფლის ხმა გესმოდა,
იმედს ნუ გაწყვიტავ,ერთ დღეს დაბრუნდება.
ასე მოლოდინში წლები გაილია,
სულიც გაილია,კარგო ნაწამები,
და როს ვერ გიხილე ჩემდა სანუგეშოდ,
ცრემლმა დამისველა,გლოვით წამწამები.
სული ამტკივდა და სული ამიკივლდა,
თუმცა საბრალო ვარ,მაინც ვიღიმები,
რადგან ასე მთხოვე,როცა შევხვდებოდით,
შენთან შესახვედრად,მომაქვს გვირილებიც.

* * * *

ვარდების თვე იდგა,ჰყვაოდა ვარდები,
ბავშვობა ცელქი და არ ჰქონდა დარდები,
სცენაზე ის ხშირად,სხვის ლექსებს ამბობდა
და მერე ცრემლებით,მუზებთან გარბოდა,
რადგანაც,იმ ზღვა გადმომსკდარ წუხილებს,
ვერ უძლო გულმა და ტაშის ქუხილებს,
იცოცხლე პატარავ,რა დედამ გაგზარდა,
იხაროს იმ დედამ,რა კარგი აღგზარდა
სცენაზე ვარდები,ფეხებთან ცვიოდა,
გოგონას თვალებს კი ცრემლები ტკიოდა,
არ იყო ვარდებში ის რასაც ეძებდა,
თოვლისფერ ვარდებს და სიყვარულს ეძებდა,
და ერთ დღეს,როდესაც სცენაზე ავიდა,
სიცოცხლე დაიწყო,თითქოსდა თავიდან,
თოვლისფერ ვარდების,ფურცლებით მოფენილ,
კიბეზე ეწერა,,მე,შენთან მოვედი,,
სცენაზეც ვარდები,ვით თოვლის გუნდები,
პარავდნენ ღიმილებს თვალებს და ქურდები,
ამბობდნენ ჩურჩულით,,სუნთქვა ხარ,მიყვარხარ,
შენს ლექსებს ძვირფასო,ამ გულში ვინახავ,
თვალები ეძებდნენ,სიტყვების პატრონს და
ბიჭი კი,,,ჰო ბიჭი,,,,ღიმილით გარბოდა,
და მერე გავიდა წლები და პატარამ,
ხსოვნა და ტკივილი,რამდენხანს ატარა,
ვერ თმობდა სცენას და თოვლისფერ ვარდების,
ნატრობდა სურნელს,თან კლავდა დარდები,
რადგანაც არ დადგა ის წუთი არასდროს,
თოვლისფერ ვარდების ნატვრა,რომ გააქროს,
ახლა წერს თვითონაც და დიდი გრძნობებით,
კითხულობს სცენაზეც,ის უფლის ლოცვებით
და ხშირად,როდესაც მას ვარდებს სჩუქნიან,
ცრემლები თვალს სწყდება,,სადა ხარ ბუტიავ,,

* * *

ჩემს დარდს დავარქვი შენი სახელი,თუმცა იმედიც ჩემი,შენა ხარ
და ყოველ დილას ცხრათვალა მზის სხივს შენზე ვუამბობ,როგორ მიყვარხარ.
ჩასუნთქვებიდან ამოსუნთქვამდე,ფილტვებს არ ჰყოფნის იცი ჰაერი,
და სველ ტუჩებზე კოცნის კვალს ტოვებს,მზე მცხუნვარე და მოღალატე.
რადგან შეშურდა ეს სიყვარული,შენთვის სულში რომ ჩამიტევია,
მე ბევრი ღამე თვალებზე ცრემლით,შენზე ლოცვაში გამითევია.
ისე წმინდაა,ისე სპეტაკი,ვით თოვლის ფიფქი პირველი ზამთრის.
სულში ნაგები ტაძრის ფრესკა ხარ
თვალშიც ხატება შენი,რომ დავდგი.
პეპლის ფრენა ხარ,სულის ჟრჟოლამდე,
ვენას მომსკდარი სისხლის ძარღვებით,
ისე ტკბილი ხარ,როგორც ბადაგი,
და ის სიცოცხლე გულს, რომ აწყდები.

* * *

ზოგჯერ ისე შემიტევს,დეპრესია წყეული,
რომ მოვლენილ ჯოჯოხეთს,
სული ვერ ძლევს სნეული,
ხოდა ტანჯვად იწყება,ქაოსური ფიქრებით,
მე ცოცხალი მქვია და სულიერად გიკვდები.

ახლაც ისე მოვიდა,მტკივნეული სიმართლით,
სამშობლოსგან მოწყვეტილს,საშინელი მიმართვით,
დაგავიწყდა ვინა ხარ,ან საიდან მოდიხარ,
ფიქრის გორა,კვეტარი და თუთის ხე ბოგირთან.

ნასახლარად ქცეული,შენი სახლის კედლები,
ჩამოქცეულ აივანს არ სტუმრობენ მერცხლებიც,
ცრემლად ჩამოწანწკარებს, ამ დილაზე ჭერმის ხე
და შემხმარი ატმის ხეც,რომ მოგელის ყოველდღე.

ვაზის ლერწიც დაბერდა,თუმცა ისევ ყვავილობს
,შენ კი სად ხარ აქამდე,მამის სულის ყვავილო.
შარშან ია დამირგე და ცრემლებად მეფრქვევა,
ფურისულის ყვავილიც სულზე ნაზად მეყრება.

შენი ჩუმი ჩურჩული,იის ცრემლებს მოჰყვება,
გაიხარეთ იებო ,მამის მიწის მოდებად,
მე თუ მასთან ვერ მოვალ,
თქვენ აპკურეთ ცრემლები
და ჩემს ამბებს შორიდან,მოუტანენ მერცხლებიც.

რომ სულ მახსოვს ვინა ვარ,ან საიდან მოვედი,
სულ სიკეთეს ვთესავ და არაფერს მოველი,
ბევრი ტანჯვა ვიწვნიე,მაინც ფეხზე დავდექი
გზაზე ღალატს შევხვდი და მიტომ განზე გავდექი.

ახლაც ისე ცუდად ვარ,მტკივა მთელი სხეული,
დეპრესიამ მძლია და სული კვნესის სნეული,
ხოდა ტანჯვა დამეწყო ქაოსური ფიქრებით,
მე ცოცხალი მქვია და სულიერად გიკვდები.

* * *

წამოდი გავიქცეთ იქ ზევით მთებში და
კარავი გავშალოთ სულ ახლოს ქარაფთან,
გაგიშლი სარეცელს კესანეს ყვავილთა,
და ვარსკვლავთ დაგიკრეფ ზეცაზე ამაღამ.
წამოდი გავექცეთ ამ ქვეყნის ჯოჯოხეთს,
და მთებში ვიპოვნოთ ლამაზი სამოთხე,
ქარაფთან ვამღეროთ გრძნობათა ბალადა,
თუნდ მერე ეს გულიც ბუდიდან ამოხტეს.
წამოდი გავექცეთ ამ უღვთო სიჩუმეს,
ჭიუხთა ღრიალში ცხოვრება ვარჩიოთ,
ცხრა გოგო, ცხრა ბიჭი ვაჩუქოთ ერთმანეთს
და მათი აკვნები ღიმილით ვარწიოთ.

* * *

სულო მითხარ მგონია თუ ნეტავ,
მართლა გავგიჟდი,
ლექსის წერა გამშვიდებდა,
ახლა ვეღარ დამშვიდდი.
გაზაფხული გწყურია და ყვავილების
თოვა გკლავს,
აბა,ასე დარდიანი ეგ, თვალები რადა გაქვს.
მალე მთებში აყვავდება,
ცისფერთვალა კესანე
და შენც ცრემლით აგევსება,
თვალის უპე კვნესამე.
რადგან ისე გენატრება
ქარაფებთან შეხება,
უკვე ორი გაზაფხული,
მიითვალეს ვერხვებმა.
ხო იქ ვარდიც აყვავდება,
ნასახლარის ფუძეზე
და მერცხალიც მოფრინდება,
თავის ობოლ ბუდეზე.
შენ კი ისე აგრევია,
ფიქრებიც და სიცოცხლეც,
ასე ვიცი უჟანგბადოდ,
დიდხანს ვეღარ იცოცხლებ.
აზრს დაკარგავს ყველაფერი
და ის წუთიც დადგება,
ზღვა სარკმლიდან მოგიტაცებს
და ქარებიც ჩადგება.



გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)

სამაჩაბლოს გახსენება, ანუ, "ფანტის პატრონმა რა ჰქნას?"

(წუხელ მესიზმრა, ფანტს ვთამაშობდით, ფანტი ღმერთსაც ჰქონდა ჩამოდებული. ფანტიორმა ფანტიანი მუჭი, რომლიდანაც სინათლე გამოსჭვივოდა, მაღლა ასწია და შესძახა: "ფანტის პატრონმა რა ჰქნას?")

... ამსვას, დამსვას და გადამსვას ჩემი ბაღჩის პირისპირ.
(ამ ჟამს ისე ველოდები, როგორც წირვას-კვირის წინ)
რიგრიგობით მომალოცა ყველა ნიში, ტაძარი,
ჩემი კუთხის მშვენება და სიამაყე რაც არი.
აღმა-დაღმა მაჯირითა, ვიდრე ქანცის წყვეტამდე,
მავრმა ფრონის წყალი მასხას პეშვით, ბოლო წვეთამდე.
იქ დარჩენილთ მივეფერო, სულს შევეხო, ნატყვიარს,
სამაჩაბლოს კონტურები გულზე შრამად მატყვია.
ფანტის პატრონს ბეჯითად ვთხოვ: მითხარ, ჩემო უფალო!
მშობელ კუთხეს განშორების წლები როგორ ვუთვალო?
ან, დალოცვილ ამ მთა-ველებს ეს რა ღმერთი გაუწყრა?
რუსის დიქტატს შეეხიზნა, ძმებს კი გაყრა გვაუწყა.
ძმად აღდგება ძმა-ძმის მგმობი, ძმა-ძმის ჯავშნის კვნეტიაც,
ძმა-ძმის გვერდით ძმა იქნება, ძმა ხომ – სხვაზე მეტია!
მე კი, ფანტის მეპატრონევ, ამისრულე სურვილი –
გამშრალ მიწას, თუ კაცს–მზის ქვეშ, დავუოკო წყურვილი.
მსურს, მალულად მოლივლივე, მოლი ვკოცნო მალი-მალ,
თიღვის ტაძრის შემხედვარე უღვინოდაც მთვრალი ვარ.
მინდა, მასვა ჩემი წყარო, მის ანკარას ვფიცავ მე!...
სამაჩაბლო გამილაღო მთიდან-მეღვრეკისამდე.
ასკინკილა მომატარო ლიახვის, თუ ფრონის პირს,
მატიანეს შევუხამო ჯავაც, თიღვაც, ყორნისიც.
დღეში ერთხელ ნიავად მქენ, ღობე-ყორეს შემახე,
გავუღვივო ჩანასახი ნახნავ-ნათესს, ვენახებს.
ქართლის გმირთა საფლავებზე შევარხიო ნერგები
და ვაუწყო: გმირთა სულებს შთამომავლად ვერგები.
დავურბინო კენკრის ბუჩქებს, წრე დავარტყა მოცვისას
... მსურს შედეგი მალე დადგეს ქვეყნის ბედზე ლოცვისა...
კვლავ მადლობა ფანტის პატრონს იმ სიყვარულისათვის,
რაც მებოძა ქვეყნისათვის, მოყვრისა, თუ ძისათვის.
და გულდაგულ ვიმეორებ, რაც გონს მუდამ აღელვებს:
წართმეული დაბრუნდება,
აგერ, თქვენ, და
აგერ, მე!...

სამაჩაბლოს ბულბული

ხმები მოაქვს ზენა ქარს
სამაჩაბლოს ბულბულის.
ნახნავს, თუ ნავენახარს
სურნელი სდის სუმბულის.
მადლი სცხია მიდამოს
ბარაქის და ხვავისა.
რაც არ უნდა ვიდავოთ,
დგას იმედი ხვალისა...
გალობს, გალობს ბულბული,
ტოლს არ უდებს ბარე ორს.
მზეზე მბზინავ ბუმბულით
ეხამება გარემოს.
ნუღარ იქმთო საძრახისს,
ომს- უარი ბარემო!..
მოუხმეთო, დაგვძახის,
გონს ორივე მხარემო.
ხმით უგალობს ფრინველი
სამაჩაბლოს მომავალს.
ჰკვირვობს ბევრის მხილველი,
დაფანტულნი რომა ვართ.
ჰანგებს აფრქვევს... დაეძებს
ძმათა შორის სამართალს.
მოიძიებს და ეგეც
გაუყვება გზამართალს.
ახსოვს, ქუში დაისი
სიკვდილს მოჰყვა, ფრთებიანს.
სადაც ომის ხმა ისმის,
იქ ფრინველნიც ფრთხებიან...
მიგვატოვეს გრგვინვებმა,
ცისარტყელაც გამოჩნდა...
ომმა ასე ინება, –
იქცა ყველას გამოცდად.
და ხმაურობს ის ველი,
ძმები შუღლს რომ ვიწყებდით.
მონაცრისფრო ფრინველი
მღერის თავდავიწყებით.
მღერის თავგამეტებით,
მღერის თავდაჯერებით,
გზებზე აღარ ეტევა
ჯადოსნური ბგერები.
ეფინება მანდილად
ხალხებს ჩიტის გალობა.
წვიმად მოვა ნამდვილად
ციდან ღმერთის წყალობა.
გალობს, თითქოს, აკვანთან
იავნანას მღერიან...
...გასროლის დრო დამთავრდა,
ახლა ძმობის ჯერია!..

სამაჩაბლოს ვაზის ცრემლები

შენი მშვენებაა, გონს რომ არ მისვენებს,
შენთვის თავდადება ჩემი გეზი არის.
შენი ვაზის ცრემლით თვალს რომ დავისველებ,
ვხვდები, უკვდავებას როგორ ვეზიარე.
„ჩემეთი“ იწყება ფრონის ხეობიდან
და ლაღად შეერთვის ცასა და ცისქვეშეთს.
სითბო და მზე გულში შენგან შემოვიდა
და იგი უშენოდ მარადის იკვნესებს.
უფსკრულის ნაპირთან მრავალგზის გადარჩა
ხელისკვრას რჯულ-მოდგმა, თუ ზნე-ღირსებები.
ფრონისპირს წამოზრდილს ფესვები მანდ ჩამრჩა
და მაგ ვაზის ცრემლით დღემდე ვიკვებები.

სამაჩაბლოს მისადგომებთან

სამშობლოვ, ფიქრთა ჩემთა საუნჯევ!
გამობრწყინებავ სათუთი ნატვრის!
შენს შორიახლოს, რომ არ დავმუნჯდე,
ლექსს ვღიღინებ და თვალს გტყორცნი მხატვრის.
შენს სიდიადეს, შენს გამა-ფერებს,
ფიქრში ავზომავ, თუ თვალით-ცამდე,
უცხოს ვერაფრით ვერ დავაჯერებ,
ეგენიც, როგორც უფალი, მწამდეს.
სამრეკლოც, თითქოს, რეკს და იმისმა
მადლმა აღავსო დედა-ბუნება.
ფრონეს მოჰყვება რწმენის თილისმა
და ჩემს სამყაროს ესალბუნება.
წარსულიც, ვამჩნევ, ტალღას მოასკდა
და ნაფოტივით ეხლება ნაპირს.
ძველი ეპოსიც ახლოს მოაქვს და
ძმას, ძმასთან მებრძოლს, გააძრობს ცხრა პირს.
ჩემს სოფელს ვხედავ... თვლემს ახალშენი....
კითხვები მოსდევს მისგან ამ შარას....
ვგრძნობ, უჩვენობა ზვრებს აღარ შვენის,
მიშას წყაროსთან* მიწაც გამშრალა.
პულსი აქვს სოფელს ბოლო ვარდნამდე...
მისკენ მსურს ორი ხელის გაშვერა:
მალე შემოვალთ... თოვლის ბარდნამდე...
უფლის ნებით და
პულსის საშველად...

*მიშას წყარო-ჩემი სოფლის ერთ-ერთი უძველესი წყარო.

სამაჩაბლოს საბულბულოდ

განარიდე
ქვეყნის სხეულს,
ზეციერო,
შურით სავსე,
ორგული და უსულგულო.
დღეს რომ უჭირს,
რითმა უნდა მოვიღერო
და ჩემს მშობელ
სამაჩაბლოს
ვუბულბულო.
დაოკდება,
გაგეგება
ფეხქვეშ დელგმა
ბულბულის და ტოროლების
ჰანგთა ტალღით.
განა ლანძღვა
შეაბრუნებს
რუსის ჩექმას,
იგი უფრო მედგრად წავა
წინ და
მაღლით.
სამშვიდობო მისიას ფლობს
ენა მჭრელი,
უსისხლოდ ჩანს
პოლემიკა
ორი მხარის.
შოთამ მყარად
დაგვიბარა:
„გველსა ხვრელით
ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.
მავანს დასცდა სამდურავი,
ზოგჯერ, მშობლის,
ვაგლახ,
თუკი იშვიათად ასეც ხდება.
მეფისტოფელს,
რომ ხარხარებს ბედზე ობლის,
ვაიძულებთ,
შეასრულოს ობლის ნება.
ბავშვობას და ყრმობას ვპოვებ
სოფლის კართან,
მჯერა,
რადგან ღვთისგან არის ამის ნება.
აფხაზეთი
თავს დაუკრავს დედის კალთას,
სამაჩაბლოც
უსათუოდ
დაბრუნდება...



ლიანა ჯანეზაშვილ-თათანაშვილი

ცაზე დავწერდი

ცაზე დავწერდი ლოცვას უფალთან
რაც სიკეთე მაქვს ციდან აფრქვიოს,
გაამთლიანოს ჩემი სამშობლო
ღვთიური მადლი გადააფრქვიოს.
მტერზ შეუმოკლოს გზის არეალი
დაუხშოს ვნება ჯოჯოხეთური.
სახლს დაუბრუნოს ყველა ხიზანი
არ აასრულოს მტერთა.მიზანი
ცაზე დავწერდი დედების ლიცვას
შვილების თავზე ზეცა ბრწყინავდეს,
მზე მუდამ ძლიერი იყოს და
სულ თბილოდეს და არ ყინავდეს.
შვილიშვილები მზეს ედრებოდნენ
ხარობდნენ ცის და მზის იალქნებში,
მწარე არასდროს მათ არ ენახოთ
და ბანაობდნენ ტკბილ მინანქრებში.
ცაზე დავწერდი ღვთისმშობლის ლოცვას
მადლი აფრქვიოს დედებს ზეცუდან,
დედაშვილობის ტკბილი საწმისი
დალოცვილ იყოს თვად ღმერთისგან.

ცაზე ბინადრობს

ცაზე ბინადრობს ერთი ვარსკვლავი
შუქურვარსკვლავად იქ რომ ანთია,
ციმციმებს,გულში სინათლეს გინთებს
გრძნობ,შენი სულის არის ნათლია.
იქ დაგაბრუნებს საიდან მოხველ
ენდობი,სულის დიდი მადლია
შემოგატარებს ციურ სამყაროს
მადლი სიკეთის თავზე გადგია.
მის გზას მიჰყევი საითაც წავა
უსასრულობის გზა და განია,
გაგაცნოს ზეცის გზა და ბილიკი
შენი სუფთა გზა აქ დაგრჩენია.
უნდა ძლიერი იყო ამ ქვეყნად
სულის მიჯნები გადაგატაროს,
იმედის სხივი გულში აგინთოს
დარდის სამანთან ცრემლი დაჰყარო.
მის ნათელ სხივებს აჩუქე გული,
დარდის ბილიკი უკან დატოვე
ლოცვით შეუდექ ციურ ნათებას
უფლის სიყვარულს ნუ მიატოვებ.

სიცოცხლის გამონათება

ნისლიან ცაზე მთვარე ბინადრობს
ცდილობს გააღოს ცისკრის კარები,
აღარ სურს იყოს სიბნელის მწყემსი
უნდა დარეკოს ცისკრის ზარები..
ვარსკვლავთ უბრძანა მეტი სინათლე
გაფანტოს ცაზე ნისლის ფარდები,
უნდა აჯობოს მზის სიკაშკაშეს
სურს იყოს მეფე გამოდარების.
მაგრამ ცის მეფე მზე მაინც მზეობს
კვლავ მეუფეა გამოდარების,
უცებ დააშრო წვიმის ცრემლები
ნება არ მისცა გადაგვარების.
მთვარე მთვარეა ღამის დარაჯი
მზე დილის ჟამის თბილი ნათება,
მაგრამ ვარსკვლავი ცაზე რომ ბრწყინავს
არის სიცოცხლის გამონათება.

წვიმის ფერი

წვიმის ფერი დარდი შემეპარა
ნისლის ფერი ბინდი გადამეკრა,
ღრუბელივით გული აბობოქრდა
ოცნებებში სადღაც გამეპარა.
გულმა უსევ მიერთგულა დღემდე
არსად მიდის, ჩემში რჩება კვლავაც
საიდუმლოს ბევრს და მრავალს იტევს
თუმც ცხოვრება ჯოჯოხეთურ მიტევს
ვუფრთხილდები ამ პატარა ოკეანე საცავს
თან დამყვება სადაც უნდა ვიყო,
ოცნებებში ბევრს მიყვება ზღაპარს
უნდა მხნე და ბედნიერი ვიყო.
თუმც კი წვიმა ნაკურთხი წყლით მნამავს
ზეცა ნისლებს ააფარებს ფარდას
ღრუბლებს სადღაც შორს გარეკავს დინჯად
ხელში მაწვდის მხატვრის ფუნჯს და დაფას.
ფეფად ფერში გამოჰკიდებს აფრას
იმედის სხივს დამაბერტყავს წამლად,
გულს სიამის ჰანგებს ჟღურტულებს
ამ ქვეყნიდან უდარდელი წავალ.
მადლმოსილი გამივლია გზები
და უფალთან ვალმოხდილი ავალ.

წუხელის

წუხელის ლექსის რითმა დავკარგე
არ ვიცი,ჩემთან რისთვის მოვიდა,
დაღლილი ლოგინს ვეღარ დავშორდი
უფალი ჩვენთვის ცით ჩამოვიდა.
სარეცელს რატომ ვეღარ დავშორდი,
დაღლილმა თავი რით გავიმართლე,
ოთხად ვიყავი წელში მოხრილი
""სიზარმაცისგან"" ვერ გავიმართე.
მთელი დღე თავზე ხელები მეწყო
ტირილმა ძალა წამართვა დიდი
ჩემი ცხოვრების გზას გავყურებდი
ნეტავ რამდენი დღე.მქონდა მშვიდი?
სიბერემ ჩემი წლები დათვალა
წინ მივიწევდი ბრძოლით და რიდით,
შვილებზე ლოცვით წლები გავიდა
უფლისკენ სუფთა გავიდე ხიდი.
რაც გზად ვიპოვე ისევ დავკარგე,
წლებს სიხარულით ამაყად ვთვლიდი,
ვერც კი ვაზროვნებთ საით მივდივართ.....
ჩვენი გზა ისევ უფალთან მიდის.
წუხელის ლექსის რითმა დავკარგე
სიბერემ თავის დათვალა წლები,
თურმე ყოველდღე გოლგოთას ვადექ
უფლის შობილი კვლავ მის გზას ვდგები.
წუხელის ლექსის რითმა დავკარგე
ვერ ავუდექი სარეცელს ღამე,
ნუთუ ზარმაცი ვიყავი ოდეს?
მე თუ არ მახსოვს,თქვენ მითხართ რამე.

იყო, არის და იქნება

იყვნენ, ჩვენ ვართ და ხვალ მოვლენ
წავკლნ,წამოვლენ დღეები,
ფიქრობდნენ,ახლა ჩვენ ვფიქრობთ,
ხვალ მოვლენ დანაფიქრები.
შვილები იყვნენ, შვილნი ვართ,
და ხვალაც მოვლენ შვილები,
წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ადგილზე დგანან ქედები.
იდგა, კვლავაც ფეხზე დგას
სამყარო შეუცნობელი,
დიდებით ცდილობს სული
ხორციდან გაჰყაროს
ხან ბრძოლით,ხანაც მშვიდობით.
მაგრამ უფალი დიდია,
იყო,არის და.იქნება,
ვარსკვლავნიც არსად მიდიან
ცას ანათებდნ მნათობნი,
სამყარო ისევ დიდია
იყვნენ,ჩვენ ვართ და
ხვალ მოვლენ... სულნი კი
ღმერთთან მიდიან.
სამყარო ისევ დიდია.

დარეჯან ღონღაძე

* * *

სადღაც დაქანცულ, უფერულ ქუჩას,
შემოჩვევია დაღლილი სუნთქვა,
ბოლო არ უჩანს ამ ქუჩის უბანს,
ამ ქუჩის უბანს, ძველსა და უბარს.

მიმობნეულან აქა-იქ ჩუმად,
ნასახლარები, სახლებიც კუშტად,
როცა სიცოცხლე სულ ყველას უნდა,
ვითომ ცოცხლობენ, ცოცხლებიც დუმნან.

თუმცა, გრძელდება ცხოვრების ბრუნვა,
ჩრდილებიც ჩანან ღამეში ჯგუფად,
ზოგჯერ დღეები ჩნდებიან მუქად,
მაგრამ გაძლება შეგეძლოს უნდა...

სადღაც გაცრეცილ, ნაწვიმარ ქუჩას,
შეეგებება სხივების ნუსხა,
ათინათებში, წვიმების ხტუნვას,
შეუერთდება ეს ჩემი მუზა...

და მე ავივლი ამ დაღლილ ქუჩას,
გზას გავაგრძელებ ბოლომდე ურჩად,
გზაში ავავსებ წყაროს წყლით სურას,
გულს გავუხარებ შემხვედრს და მწყურვალს!

* * *

მე, ველოდებოდი მთვარეს,
მის დაბადებას და ღამეს
და ველოდებოდი სხვა დღეს,
აზრი რომ ჰქონოდა ხვალეს.
    მთვარე მიხატავდა ლანდებს,
    ჩრდილებს უყვებოდა ამბებს,
    ჩუმად მიღიმოდა რამდენს,
    ხანაც მიყვებოდა ზღაპრებს.
ღრუბლებს უკოცნიდა კალთებს,
მერე უსრულებდა ნატვრებს,
თან ეფიცებოდა გამჩენს,
მზეს, ზე სიყვარულის ქალღმერთს.

* * *

დრომ შეცვალა ბევრი რამე,
გამოცვალა დღე და ღამე,
შეიცვალა ირგვლივ ყველა,
ცხოვრება და მისი არე...
წლებმა ბრუნვა განიცადა,
გადაცვალა ავი კარგზე,
ზოგჯერ ღარიბს მოუვლინა,
სასახლე და ქისა სავსე,
ხანაც მდიდარს მიახვედრა,
არაფრით ხარ მეტი სხვაზე!
სიყვარული გაფერმკთალდა,
მაგრამ მაინც სუნთქავს სადმე,
სხვა გრძნობებიც შეიცვალა,
დაიღალა მზე და მთვარე!
კითხვა ისმის ისევ მწარე,
გვეშველება ნეტავ რამე?
სიყვარული თუ გვექნება,
გვეშველება მხოლოდ ასე!

* * *

მოწყენილია ზე სამყარო, იწვიმა
ყველგან, ნისლის საფარი გადაიკრა
აქა-იქ ზეცამ, ჯერ არ მოსულა იისფერი
სიზმარი ჩემთან, თორემ ვნახავდი სხვა
სამყაროს და სულის შვებას... ალბათ
ვნახავდი სხვა სამყაროს და ცაში ფრენას,
მერე ფერებით დავხატავდი უფერულ ზეცას,
მზე, ზღვა სხივებით ათინათებს
                მოჰფენდა ყველგან,
თეთრ მარგალიტებს შეიბნევდა ყვავილი ყელთან...
როცა კი წვიმა ასრულებდა ყვავილთან ცეკვას,
ათინათები სულ ჩნდებოდა სიცოცხლის ხესთან,
მერე ქრებოდა ყვავილებში დაფარულ ცრემლად
და ხელთუქმნელი სილამაზე
                მიჰქონდა ღმერთთან...

* * *

სამ ხმაშიაც გვიმღერია,
სამ ანბანზე გვიწერია,
მამა, ძე და სულიწმინდა,
ერთარსებად გვიწამია.

გვიშრომია, გვიომია,
მტრისთვის ბევრჯერ გვიჯობნია,
სისხლი ბევრი დაგვიღვრია,
გამარჯვებაც გვინახია.

მტერი ბევრჯერ გვიჯაბნია,
მოსისხლე და ტირანია,
ძმის ღალატიც გვიგემია,
მაგრამ მაინც გვიმარჯვია.

რწმენით ისევ გვიომია,
ისტორია შეგვიქმნია,
ბრძოლის დროსაც გვილოცია,
ქრისტეს რჯულით გვიცხოვრია!

* * *

ჩვენ, ვმოგზაურობთ ყველანი დროში,
ვჩნდებით, ვიზრდებით, ვარდებით გონში,
სიტყვა გვეთქმის და გავდივართ ბრბოში
და თუ დაგვჭირდა, ვებმევით ომში!
ფეხი დაგვიცდა? ვარდებით ღორღში,
არ გვინდა ვიყოთ პატარა ქოხში,
ყველას გვსურს ყოფნა დიდებულ კოშკში
და არად გვიღირს მცირედი გროში!
ხან სწრაფად გარბის წამები დროში,
გავრბივართ, როგორც ცხენები დოღში,
ხან კი ჩერდება ეს ყოფა შფოთში
და შენს თავს ხედავ ხელჩართულ ომში!
ხანაც მოვყვებით მოვარდნილ შტორმში,
მერე ვარდებით უეცარ შოკში,
ვირევით, მაგრამ ვლაგდებით მწყობრში,
ჩვენ, ვმოგზაურობთ ყველანი დროში!

მზიური შავაძე

დილა მშვიდობისა
კარგი განწყობით❤

გამომეჯიბრეთ ქალებო

დილითა ვით მზე ამოვალ,
ვახარებ თვალსა ტიალსა,
გვერდითაც ჩამოვუჯდები
მეგობარს ენა წყლიანსა.

იმის ტკივილებს მოვუსმენ
ვახარებ გულდარდიანსა.
ჩემსას თავს როდი მოვახვევ
არ გავხსნი გულს ჯავრიანსა.

ნაღველის მართვა ვისწავლე,
დიდიან, პატარიანა.
ე, იმ მთებივით ავმაღლდი
დევხუნძლე ბარაქიანად.

ვაჯობე ცხოვრების კანონს,
არავის ვაძლევ ზიანსა.
ერთ ცის ქვეშ დავბადებულვართ
ჭირს ვიყოფ თანაზიარად.

ზოგისთვის ვა რა ქალი ვარ,
ზოგისთვის ჰარი – ჰარალა.
სუსტმა რომ წინ გადამასწრო
მაჯობა პატრონიანმა...

არ ვჯავრობ სადა მცალია
ფშუტე თავთავი, თავთავობს?
სჯობს ისევ ჩემი ვაკეთო
დრო უქმად რომ არ დავკარგო.

დილით მზესავით ამოვალ,
ვახარებ თავსა ტიალსა.
გამომეჯიბრეთ ქალებო,
სანამ არ არის გვიანა.

* * *

მდინარე ისე მიყუჩებულა
ჩაუმუქია გულში ფთილები,
ცის მერდინებზე თვალებს ვერ ნაბავს
იქნება დავშრე, აღარ ვიქნები.

ზეციდან ისევ ქუხდა და წვიმდა
ჩამოეყარა ცრემლი საკმელით,
თითქოს ღრუბელი გაჯიქებულა
ასე ამბობდა თავის სათქმელით.

დასველებულა მდინარის ფიქრი
და კალაპოტებს ვეღარ წვდებოდა,
ტალღები ისევ აბობოქრდება
დარდიმანდულად ვერ დამეწევა.

ისე არწევდა ზღვა ფიქრთა რემა
თვით შავ ღრუბლებთან ინდომა ხვევნა,
მოწყურებული მზის კაეშანზე
ტალღებთან ერთად გრძნობების დევნა.

შეგრძნება წვავდა ტალღებს უმანკოს,
გაცისკროვნდება თუნდაც აისი,
და მგრძნობიარე ჩემი მდინარე
სულში ჩაიკრავს რწმენის ხალისი.

დაღლილ ფიქრებში ჩაძინებულან
მდინარე ტალღის გულში ალერსად,
სახეზე ნაღველს სხივი გააქრობს
თუკი მზე თავის ლერწმებს აკემსავს...

* * *

ადრე თუ გვიან მაინც მიხვდები,
როგორ ტიროდნენ ტიტები ბაღში,
და უშენობა გულში რომ ცრიდა
ტკივილნარევი მზე გაქრა ცაში.
თვალები სევდას სულში ეძებდა,
ფეხაკრეფილი დასდევდა კვალში.
მთვარეულივით გათანგულ ფიქრად
გული უწევდა ეხილე გზაში.
დრო გაიყინა ისე გაგრძელდა,
გრძნობა აშლილი გიჟივით ქარში.
ლოდინ დაღლილი მოთოვა უხვად
შენ რომ ეტრფოდი ვერცხლისფერ თმაში.
გაყინულ სულის ნაამბორალი,
დღესაც დაგჩემობსშიშნარევ ხმაში....

ვარდო დევაძე

ეგ სევდისფერი თილისმა
მათრობს,
მარტო სულობა შენებრ
ჩამჩემდა,
უძილო ღამეს მონატრებისგან
ბურუსებივით მთვარეც
ამჩნევდა.
ცქერით ბედავდა სულის
სარკეში,
გასაუბრებას
როგორ ცდილობადა,
თითქოს შეიგრძნო ტკივილთა
რისხვა,
წვიმასთან ერთად ჩემთვის
ტიროდა.
ძილბურანივით მოქარწყლებული
შენი სურნელი სხეულს
ტკიოდა.
ვეძენდი ფიქრში საცალბილიკოს
შენამდე მოსვლას გული
ცდილობდა.
ჟამმა ჩარეცხა წელთა სიუხვე
მე უშენობით რარიგ მციოდა.
იმედის სხივი დაღარულ სახეს
ხავს მოკიდებული ბილიკს
სცვიოდა.
მე უშენობა,გრძელი ბილიკი
ჭრილობასავით,
გულში მტკიოდა.....

* * *

მდინარე ისე მიყუჩებულა
ჩაუმუქია გულში ფთილები,
ცის მერდინებზე თვალებს ვერ ნაბავს
იქნება დავშრე, აღარ ვიქნები.

ზეციდან ისევ ქუხდა და წვიმდა
ჩამოეყარა ცრემლი საკმელით,
თითქოს ღრუბელი გაჯიქებულა
ასე ამბობდა თავის სათქმელით.

დასველებულა მდინარის ფიქრი
და კალაპოტებს ვეღარ წვდებოდა,
ტალღები ისევ აბობოქრდება
დარდიმანდულად ვერ დამეწევა.

* * *

წამები წუთებს მიყვება
დაუღალავი თავქარი,
ფიქრები როდი დუმდება
აშლილან ნიავქარი.

წყურვილი ზღვასაც დააშრობს
მონატრებული ფესვების,
ისე ისრუტავს სამებლად
დაწაფებული ვერხვები.

შეგრძნება განელებულა
წყურვილის მოკვლას ვერხვდები,
ნაოცნებარი მთრთოლვარე
ზეშთაგონილი ეხვევი.

მინამ შესრუტავ სანატრელს
მერდინებს ცის და მიწისა,
შეგრძნება გაცხოველდება
ირგვლივ ყველაფერს იზიდავ.

რამდენ გაზაფხულს ეწამე
და შემოდგომის გწამდა,
გულში ნადები ოცნება
ნაოცნებადვე გწვავდა.

წამები წუთებს მიყვება
დრო დაიღალა რქენით,
დღე ღამეს ისე ეცლება
ნაოცნებარის რწმენით....

* * *

ისე არწევდა ზღვა ფიქრთა რემა
თვით შავ ღრუბლებთან ინდომა ხვევნა,
მოწყურებული მზის კაეშანზე
ტალღებთან ერთად გრძნობების დევნა.

შეგრძნება წვავდა ტალღებს უმანკოს,
გაცისკროვნდება თუნდაც აისი,
და მგრძნობიარე ჩემი მდინარე
სულში ჩაიკრავს რწმენის ხალისი.

დაღლილ ფიქრებში ჩაძინებულან
მდინარე ტალღის გულში ალერსად,
სახეზე ნაღველს სხივი გააქრობს
თუკი მზე თავის ლერწმებს აკემსავს...

მთვარისა ზეინკლიშვილი

სამუდამოდ გავიხადე შავი

სამუდამოდ გავიხადე შავი,
დედას მერე, მე ვიქნები მეორე,
სამწყემსოში მე ვარ უხუცესი და
ამას ვამბობ, აღარ გავიმეორებ.

სამუდამოდ გავიხადე შავი,
თუმც, გულს დამრჩა შავი, სველი ლაქა,
იმედია არ დაგვწყდება გული,
დედა, მანდ შენ და აღარც მე აქა.

უფალს შევთხოვ, მუხლმოდრეკით შევთხოვ,
გაძლიერდეს ჩვენი მოდგმა დედა!
გული მიგრძნობს და იმედით ვხარობ,
შენს ბუდეში ბევრ ბარტყებსა ვხედავ.

სიხარულის უფლება მომეცი,
მე ჩვენს ოჯახს გაბრწყინებულს ვხედავ,
ამას ვამბობ მთელი დარწმუნებით,
ღვთის წყალობით და იმედით ვბედავ.

წმინდა ქალებს და ამაყ ვაჟკაცებს,
ამ სუფრაზე გადმოჰყურებს ღმერთი,
არასოდეს არ მოიცხოთ ლაქა,
თქვენთანა მაქვს თხოვნა ერთადერთი.

არასოდეს უღალატოთ ერთურთს,
არასოდეს ჩასცეთ ზურგში დანა,
ერთმანეთზე ძვირფასი და განძი,
ნუთუ ვინმე გაგვაჩნია განა!?

ჩვენს ოჯახში მობრძანებულ შვილებს,
რძლებს, სიძეებს ვევედრები ერთობ,
მოიყოლეთ სითბო, სიყვარული.
ეს ყველანი დამილოცე ღმერთო!

ვუძღვნი ჩემს ქარელს

საქართველოს კუნჭული,
ჩემი კუთხე ღვთიური,
ცა, მთა, ბარი ლამაზი,
ხალხიც სიმპათიური.

ვამაყობ ჩემ ქარელით,
გარეთა ვარ ძლიერი,
ჩვენ არავინ არა გვყავს,
საცოდავი, მშიერი.

მის ცას როცა შევცქერი,
სილამაზე მძვინვარებს,
თვალი როგორ მოვხუჭო,
როგორ გავძლო მძინარე.

ჩავუკოცნო წალკოტი,
თევზით სავსე მდინარე,
მისი ხილვა მახარებს,
დავდივარ მომღიმარე.

მის ქუჩებს შემოვივლი,
დავფრიალებ ამაყად,
ღამე მთვარე თამადობს,
დღე მზე ადგას ვარაყად.

ბევრი მეგობარი მყავს,
გზაში ვეძებ თვალებით,
ყველას შემოგევლებით!
ყველას გენაცვალებით!!!

მუზის მადლი

მუზამ მომმადლა სიტყვა კაზმული,
ფურცელს დაადნა ლურჯ კალმის წვერით,
მეც სიხარულით, აღფრთოვანებით,
არ დავიღლები მთელი დღე წერით.

არ დავიღლები, არ შევტოკდები,
მშიერ – მწყურვალიც ვნაყრდები მღერით,
ვხატავ სამყაროს, ვუმღერ სიცოცხლეს,
თუმც ვერ ვიკვეხნი მგოსნობას ბევრით.

ჩვევა დამჩემდა ყოველ ცისმარეს,
ალიონს ვხვდები ხელში კალამით,
მომმადლებია მუზის სიუხვე,
თეთრ ფურცლებსა ვრთავ
ლექსთა ალამით.

თვითკმაყოფილი დავხურავ რვეულს,
ცოტა ხნით მტევანს დავადებ ყდაზე,
სურვილი მაქვს რომ შევუტრიალდე,
მერე კი კრძალვით ვდებ მაგიდაზე.

მელოდია

ამ მელოდიამ მომიტანა გულში ხალისი,
ჰარმონიულად მოაფრქვია ცის კიდობანზე,
ნამიან მდელოს აუწეწა მწვანე ქოჩორი,
თუთის ფოთლებიც ააცეკვა დღის აივანზე.

ოხ! ეს მუსიკა მსუბუქი და თან უმძიმესი,
გულში სიმშვიდე, სულისა და ხორცის წამალი,
ღრმად შემოსული ჯადოქარი და საოცარი,
ეს მისი ძალა სამყაროსთვის იყოს ალალი.

თვალს ცრემლს მოგადენს, აგიჩუყებს, ჩამოგაფიქრებს,
ხანაც წარსულში მიგაბრუნებს, გულს აგიჩქროლებს,
თავბრუს დაგახვევს, ნიაღვარად დაგადენს ცრემლებს,
დაგატყვევებს და გაოგნებულს გვერდს ჩაგიქროლებს.

ეს მელოდიაც დამთავრდება, მივა დასასრულს,
ეს აკორდებიც ჩაილევა, მარტო დაგვტოვებს,
გულს ემოცია შემოგვრჩება დაუსრულებლად,
ბოლოს წარსულის მოგონებებს შემოგვატოვებს.

ამ მელოდიამ ამიშალა გულში გრძნობები,
ამ მელოდიამ ამიწეწა სულში ქარები,
ოჰ მელოდიავ! არ მინდა რომ მალე დამთავრდე!
თუმცა ცრემლებით ამომივსე ჩუმად თვალები.

შემოდგომის სურათი

ლალისთვალას შევაწყვიტე,,კიმპალი",
გავსინჯე, უჰ როგორ ჩათაფლებულა,
მზეს სხივებით გაუვსია მარცვალი,
ნამის წვეთით უხვად გაჯერებულა.

არომატით,სიცოცხლით და სინაზით,
ღვთაებრივი გემოთი გავსებულა,
მირონით, ბადაგით მათრობელათი,
თითო ნაყოფი სულ გადავსებულა.

სამშვენისად გადაშლილი ზვრეები,
შეყვითლებულ დინჯი ვაზის შრიალი,
ამ სიტურფის შემხედვარე მოკეთეს,
სიხარულით გულმა მიწყო ფრიალი.

ცოტა შესვენების შემდეგ გლეხ კაცმა,
ბაღ – ვენახში იწყო ორომტრიალი,
ემზადება დიდი საქმე--რთველისთვის,
მზის გულზე ხილეულს გააქვს წკრიალი.

ღმერთო გადააფარე შენი კალთა,
სეტყვისგან დაიცავი მთა და მდელო,
ამ მარცვლებივით მინდა რომ უხვობდეს,
კარგი მომავლით ჩემი საქართველო.

უსასრულობამდე მინდა ვუმღერო,
ჩემი ქვეყნის ტურფა შემოდგომას,
ბოლოს მინდა უფალს ვთხოვო მომასწროს,
საქართველოს ფეხზე წამოდგომას.

სოსო გურული

* * *

ახლა დამჩრდილავს სიკვდილის ლანდი
ვიცი ვერ გნახავ,ვეღარ შეგხვდები.
მარადიული კანონის წილად,
დავსნეულდები და მერე ვმტვერდები.
უმანკო გრძნობის საზღვარზე ყოფნა
და იმ სანთელის ნელი დადნობა,
გახსოვდეს მარად, მარად და მარად
სიყვარულს უყვარს თურმე დანდობა.

და ამ სიტყვებს სითბო თან ახლავს
ვნება და ტრფობა იგრძნობა მასში.
თუ კი თანხმდები ამ ყველაფერზე
მე შენთან მოვალ და კარავსაც გავშლი.
ლანდია მხოლოდ ის სიყვარული,
ბრმა რომ გგონია და თვალებს გაახელს,
არ დამჭირდება ბევრის მარტება
ვიცი ოდესმე ტკივილს გაამხელს.
გახსოვდეს ძვირფასო მე ვინ ვიყავი,
ხვალ რა იქნება მე არ მანაღვლებს
გჯეროდეს ჩემი,რწმენა მჭირდება
ურთიერთობა ყველაფერს დაავლებს.
ვერ დაგივიწყებ, ღრმად შეიჭერი
გულზე დატოვე დიდი იარა.
მრავალი ტკვილი გამომივლია,
თუმცა ასეთი, ასეთი კი არა.
და რომც გაიყრას გზები შენამდის
და რომც ჩაკეტოს ბატალიონმა.
ცოდვას დავიდებ მაინც შეგხვდები
მინდა მოგვისწროს აქ ალიონმა.
რეკავენ ზარები, წასვლის დრო არის.
ვიღაცა თავზე ლოცვას ამთავრებს
ბოლო წვეთამდე ვებღაუეჭები
ამ ქვეყნიური მიწის სათავებს.
უსასრულობას გაყვება დარდები,
ფიქრები ლექავენ უძირო უბსკრულს
მოგონებებით ამოივსება
და გაუყვება ხაზებსაც უსრულს.
რად მოვიგონე შენი სახელი
გვიან ვხვდები და დამღუპველია.
უშენობასაც ვერ წარმოვიდგენ
ალბათ შენს მერე დიდი ველია.
შესასვლელს ვეძებ და ვერ ვპოულობ,
კარები ზიგზაგად სადღაც გაჩნდება.
ჩემი გრძნობების გემო დაიბნა,
თუმცა იცოდე ახლა აქ რჩება.
სრული სიბნელე მოსავს სიცივეს
და შენი გული თანდათან ბრაზდება,
მაგრამ გახსოვდეს ჩემო ძვირფასო
ახლა აქა ხარ, ახლა აქ ხდება.

არ აქვს აზრი დროის გაზომვას,
არ დაგორდება უკან ისრები.
ნუთუ არ ფიქრობ ამ მოვლენებზე,
თუმცა დუმხარ და რითი ივსები.

უკვე ოცნებამ დაკარგა მიზანი,
გახსოვს სხვაგან უნდოდა გაფრენა.
მაგრამ დაჭრილი შენი ტკვილით
კვლავ მოინდომა ქვეყნად დაფრენა.
ის სიუხეშე ისევ თავს იჩენს
ისევ ჯიუტად თვალს მოედება,
შენ კი იცოდე ასეთი გრძნობები
მხოლოდ ერთია, არ მეორდება.
მაგრამ არსებობს ერთი წერტილი
და ამ სიყვარულს ღმერთი რომ ჰქვია,
ისიც ოდესღაც იყო უბრალო
მსგავსი გრხნობები აღარსად ყრია.
დაფიქრდი,დაფიქრდი ისევ დაფიქრდი
არ შემოსძახო გრაძნობების ჯალათს,
რადგან პროცესი მოგებულია და
არ ვაპირებ ხელახლა კამათს.

თუმცა მანამდე შენი სახელი
ამომკაწვროდა გულზე იარად.
ადრეც ვყოფილვარ შეყვარებული
თუმცა ასეთი, ასეთი კი არა

* * *

დამტოვეს, მიმაგდეს, ფეხებით გამთელეს,
მიზანი წამართვეს, მადლობა ქართველებს.
დამხოცეს, მამტვრიეს, შიშებში მაცხოვრეს,
ადგილზე დამაგდეს ვიღაცით ნაცხოვრებს.
გრძნობები შემილახეს, რას არ ამბობდნენ,
ჩუმად იცინოდნენ და ვითომ დარდობდნენ.
ოცნება წამართვეს, მიწაში დამმარხეს
სხვა სამყაროც კი არ დამანახეს.
ტყუილში მაცხოვრეს, რას არ კადრობდნენ,
დახმარებისთვის ნელ-ნელა დარბოდნენ.
შემშალეს, დამრიეს, ჭკუიდან ამრიეს
ტკივილი აღარ გავს უკვე წამიერს.
სულაც გარეკეს, აზრებს მიბლოკავენ,
მიდიან მერე და ვიღაცას ულოკავენ.
დამნაცრეს, ჩამაქვრეს, ფეფრლად მაქციეს,
სიცოცხლე წამართვეს, ვემსგავსე მაქციებს.
სიკეთე გააქრეს, ნდობა წაშალეს,
და სიყვარული ეგრევე დაშალეს.
ჩააქრეს სხივი, დედა უტირეს
ურთიერთობა თანდათან უტრირებს.
ცოდვებში გამრიეს, ვეღარ მოვიტევე
ვიღაც ვიღაცები როგორ მოვიმტერე.
სული დაიჩრდილეს, მერე ჩააქრეს,
გიჟი გახდაო და ხალხში დაარქვეს.
ვეღარ გაუძელი ამდენ სიყალბეს,
აღარ მგონია ხალხი ივარგებს.
წაშალეს ყველაფერი, სამყარო იხმარეს,
ბევრი დატოვეს აი, აი იმ მხარეს.
სიყვარულს მპარავენ, რას არ ჭორაობენ,
ვითომ ერთგულები რომ სხვებთან გორაობენ.
ისე გამამწარეს, სიზმარს ვერ ვნახულობ,
რწმენა შემილახეს, მიტომ არ ვმარხულობ.
ჭკუიდან შემშალეს სიკვდილი მანატრეს,
შიგნიდან მოვგავარ მაგრად დანამტვრევს.
წამებს ვითვლი, წამზომს აკლდება
ჩემი სხეული სამყაროს აკვდება.
გავა დრო და ფერიც იცვლება,
ჩემი სამყარო რომ გარდაიცვლება

გვანცა პაატაშვილი

გალაკტიონს...

ვუხმობ, გალაკტიონს ღამე გავათიოთ
სანამ გათენდება ვთვალოთ საათები,
იქნებ, საფერავიც ჩვენ ორს დაგვემგზავროს,
სანამ ირიჟრაჟებს ვცალოთ გამალებით...

ვუხმობ, პოეზიას ღამე რომ ვაფხიზლოთ,
მთვარე ვამზეოთ და გავხსნათ დარაბები,
იქნებ, იისფრადაც უცებ წამოთოვოს,
სიზმრებს დავემუქრო მათი გაცხადებით.

ვუხმობ, ძილის ღმერთებს,
ვთხოვ სულის სალბუნებს,
სანამ გათენდება, იქნებ გამამთელონ ...
სანამ სამზეოზე იმედებს დავანთებ
სანამ მოვექცევი ისევ საამქვეყნოდ.

ვუხმობ, ღამის ფერებს, გრძნობებს ნაირფერებს
სადღაც, კომეტებსაც იქნებ დავემგზავრო...
იქნებ, ეს ფანჯარა აღარც გამოვხსნა და
მზიან ასფალტებზე აღარც დავენარცხო.

ვუხმობ, გალაქტიონს ღამე გავათიოთ,
ვუხმობ პოეზიას, იქცეს საათებად
მინდა დავინახო ღია სარკმელიდან
ლექსის უკვდავებით როგორ ამაღლდება...

* * *

ცისკენ გარღვეულ ჯებირებს ხედნის,
ებრძვის მოპარულ ჩემს სულში შიშებს,
სხივი ვიწამე მისებურ მზეში!
ასე რომ მიყვარს რას იტყვის ღმერთი?!
იქნებ ჰგონია დავიკარგები?
იქნებ, ამიტომ თელავს ბილიკებს...
იქნებ, ამიტომ ამზიდა ცამდე
მეჯიბრებაო ღმერთი იფიქრებს.
მისგან მოკრეფილ გვირილებს ველი,
მოკვდავი კაცის, მოკვდავ საქციელს.
იქნებ, მოკვდავად სურდა სიცოცხლე
მე კი ღმერთკაცად გადავაქციე...
მისგან დაპყრობილ მწვერვალებს ვეტრფი,
მისგან აღებულ ხილულ ციხეებს,
მისგან ყოველთვის, რაღაც სხვას ველი,
ასე რომ მიყვარს, რას იტყვის ღმერთი?!

ჩემო კახეთო

მედიდგულები ჩემო მზიანო
ვაზის ფესვებში ჩაწნულო მიწავ,
ღვინო შენს ძირძველ ძარღვებში მდენი
და ალაზნებით ნაკურთხი მიყვარს.
ქიზიყში შენი მცხუნვარე გული,
გობორზე შენი ცივის მთა მიყვარს,
შენი ველები იორთან ყვავის,
შენი სიმაღლე მთა-თუშეთს მისწვდა.
მედიდგულები გრემით, ნეკრესით,
შიოს მარნით და შუამთის ხედით,
შენ ალავერდის დამტევო მხარევ
ლურჯი კვეტერით თავად ცას სწვდები.
დგას ყვარლის მთები ამაყი შვილით,
დგას იყალთო და აკადემია,
ცოდნის და სიბრძნის გამომწრთობელი
გზა რომ გაუხსნა მრავალ გენიას.
გულზე მადნები ჩემო თელავო
პატარა კახის, პატარა სახლო
კავკასიონის თვალწარმტაცებას
შენგან დანახულს რა სიტყვა ვკადრო?!
სიმღერით იტყვი სათქმელს კახეთო,
ქართული სიტყვის სულით დამტარო,
შენი ბებერი მხრებით მოტანილს
ჩემს საქართველოს კვლავ შენ სდარაჯობ.

* * *

თებერვალმა სული მთვარეს მიჰყიდა...
ცდილობს მარტშიც ენძელები დათრთვილოს...
პატარძლებად გადაქცეულ ტყემლებთან...
ხეთა ჯარი ემსგავსება მაყრიონს...
არ მინდობენ, დიდდებიან ხევები
გაზაფხული? ვიცი, სადღაც აპრილობს,
ცას ღრიალით ასკდებიან შხეფები
მზეზე ადრე ეღვიძება ალიონს.
მაისამდე სულს მივიტან ნაქარალს,
მერცხლებივით მოვაშენებ სონეტებს,
ზამბახები გამიმხელენ იმ ბილიკს
აუხდენლად რომ ვფანტავდი ოცნებებს.
თებერვალმა სული მთვარეს მიჰყიდა,
ცდილობს, მარტში ჩამისახლოს ზამთრები
ვიცი, მჯერა, გაზაფხული დამეძებს
და მეც თეთრი იასამნით დავხდები...

* * *

ფორმალურია წყება რითმების,
შეუზღუდულია დღეს სითამამე
ამით ვერასდროს ვერ იამაყებ,
ამას ხომ დაბალ დონეს აბრალებ.
მიღებულია ბილწი ხუმრობა,
სასურველია არ გეცვას კაბა,
უხერხულია კაბა მუხლს ქვემოთ
მამას აბოლებ? ეს ალბათ კმარა...
უხერხულია ერთ ბიჭს უყვარდე
და უფრო მეტად თუ ის გყავს გვერდით.
რამოდენიმე თუ არ მოსინჯე
საუკეთესოს პოვნაა ძნელი.
რა საჭიროა გათხოვდე ფატით?
28 წლისას გეჭიროს ბავშვი??
უხერხულია სულ ერთი ქმარი
უხერხულია შენ გერქვას ქალი!!!

* * *

ყაყაჩოს ყვავილით მოქარგულ სარაფანს
შილიფად, თამამად სხეულზე მოვირგებ,
ნაპარავ მზერაში მზერითვე დაგიჭერ,
ხელს გამოგიწოდებ, მაგრამ არ მოგკიდებ!
ყელთან მოთმაშე ალუბლის საყურის
სიტკბოს და სიმჟავეს ერთბაშად შეიგრძნობ,
და როგორც პეპელა მხრებზე შეგეხები
მერე კი გავყვები შორეულ ჰორიზონტს...
მხუთავ და ცხელ დღეებს სიოდ ჩავუქროლებ,
აგიშლი მოწყენით გაჟენთილ ნაფიქრალს
ჩანჩქერად მოვარდნილ თმებს ჩამოვიშლი და
ცურვის უსწავლელად ნაპირზე გაგიყვან...
იონჯის ყვავილით მზის გადმოსახლებას,
ლურჯი ყვავილებით ცაც შემოერევა,
ცეცხლს შემოგინთებ და წყალს მანამ გაპკურებ
სანამ ივლისივით სულზე მოგედება...

* * *

შემოდგომურა მზეებმა გვიხმეს,
დგას უსიცოცხლო თივის ზვინები,
თუ კვლავ ყვავილობს შენში ის გრძნობა...
თუ კვლავ დაგდევენ ჩემზე ფიქრები...
ნუ შეგაშინებს ჩემში სითეთრე,
თმების ხაზებს რომ დეკემბრად დასდევს,
ნუ შეგაშინებს მზერაში ქარი,
თებერვალივით რომ გვინრევს კარებს.
ფიქრობ ზაფხული გადავიარეთ?
ფიქრობ გვეძახის სიმშვიდე დარით?
არა ძვირფასო, მე ის ვარდი ვარ
თოვლის საბანშიც შენთვის რომ ყვავის.
შემოდგომურა მზეებმა გვიხმეს,
ვწუხვარ, ხანდახან დღეც რომ ღამეობს
ობს იკიდებენ თივის ზვინები
ჩვენ კი ჯიუტად მარადვმწვანეობთ...

შენ ისევ ის ხარ

შენ გზის გაღმა ხარ, მე გზის გამოღმა
შენ ისევ ის ხარ, მეც ისევ ის ვარ
და რად ვიტირო, რატომ გიგლოვო
მხოლოდ იმიტომ რომ ვერ გიხილავ?
მე ისევ მესმის შენი აზრების
გიცქერ, სამყაროს ფერების მიღმაც,
ჩვენ ისევ ის ვართ ერთმანეთისთვის
საუკუნოა კავშირი ფიქრთა.
ისევ ვსაუბრობ შენთან ღიმილით
მჯერა, გამიგებ ღრუბლების მიღმაც.
ადრე თუ იყავ თვალსაწიერში
ახლა ჩემს გულში დაიდე ბინა.
შენ გზის გაღმა ხარ, მე გზის გამოღმა
შენ ისევ ის ხარ, მეც ისვე ის ვარ
ადრე თუ სახლში მეგულებოდი
ახლა სულ ჩემთან იქნები ფიქრად.
და მაშინ როცა სიკვდილი ამყრის
სიცოცხლის მტკიცე რკინის ბორკილებს,
მე შენ შეგხვდები ანგელოზებთან,
სადაც ღვთის ნებით დაისადგურე.

ნორა მგელაძე

ვაცოცხლოთ სამშობლო

როგორ გიხდებათ ერთად ყოფნა ჩემო ქართველებო
როგორ ბრწყინდება სიხარულით ამ დროს თვალები,
როგორ მიყვარხართ,მიხარიხართ ღმრთისგან ნაფერებნო,
რა სჯობს ერთმანეთს ვუერთგულოთ, ვიყოთ მართლები...
როგორ გალამაზებთ "ერთ გულ" ყოფნა და გალაღება,
ამ ერთგულებამ მოგვიყვანა ოდითგან დღემდე,
როცა გულობს გული ვერვინ შეძლებს ჩვენს დამარცხებას,
ეს სიყვარული გვაძლიერებს და მეფობს ჩვენზე...
ეს სიყვარული, სამშობლოსადმი ღმერთისგან გვერგო,
ტყუილად როდი უბრძოლიათ ჩვენს გმირ წინაპრებს,
მათ მოგვიტანეს თავიანთ მხრებით ეს საქართველო,
რომ ვაცოცხლოთ და ვაძლიეროთ, უნდა გვიყვარდეს...

დედა

ყველა სიკეთის საწყისი – დედა,
დედა-ღვთისმშობლის წარმოგზავნილი
თავის მაგიერ, ყველა შვილისთვის
შეუცვლელი და თაყვანსაცემი.

დედა-შვილისთვის მუდამ მლოცველი,
ყოველ წამს მისი გზის მაცქერალი,
მისი სისხლის და მისი ხორცისთვის
ასე სათუთად ნაოცნებარი.

დედა შვილისთვის მუდამ ფარია,
მისი მტრებისთვის მშვილდი, ისარი,
გაჭირვებისას სალი კლდე არის,
შეუპოვარი, ვით ამორძალი!

დედა-შვილისთვის ყველაფერია,
სათნო, თბილი და ალერსით სავსე,
ქვეყნად ისეთი არაფერია,
რომ დედის ძალას ის გაუმკლავდეს.

შვილის ტკივილსაც თავისად ნატრობს,
ოღონდაც პირმშოს არა სტკიოდეს,
მერე რა მოხდა, გაუძლებს ავდარს,
ოღონდაც შვილი მას კარგად ჰყავდეს.

დედა დედაა, დიდი გული აქვს,
სიყვარულით და სითბოთი სავსე,
თუნდაც ამბობდეს ზოგჯერ საყვედურს,
მისი თვალები სიყვარულს აფრქვევს.

დედა წმიდაა ამქვეყნად მარად,
ცის კიდესავით უსაზღვრო გრძნობით,
მზის სხივებივით კაშკაშა გულით
და ყვავილებით ნაქსოვი ლოცვით.

დედა ხომ ქვეყნად მხოლოდ ერთია,
სუფთა, კამკამა დილის ნამივით,
წყაროს წყალია დედა შვილისთვის,
მაცოცხლებელი ოაზისივით.

დედა ამქვეყნად ყველაფერია,
 დედა, შვილისთვის თავდადებული,
დედა, დედაა დედასამყაროს,
ბურჯი, სიმტკიცე, სულის ჩამდგმელი!

შეუცნობელი სამყარო

სამყაროს სრულად ვინ შეიცნობს,
ბოლომდე ვინ ჩასწვდეს ბუნებას,
ადამის მოდგმას არ ძალუძს,
ასეა უფლის განგება.
ვინ დაუწესა ამქვეყნად,
სულს სასულეთში სამანი,
იგი მარტოა, ეული,
ნაზი, ვით იასამანი.
ამდენ ქროლვაში, ვინ იცის,
იღლება როგორ, სათუთი,
სავანე მისთვის აქ არის,
უფლისგან არის ნაკურთხი.
ასეა, მართლაც, სამყარო,
მარადი, შეუცნობელი,
სული კი დაჰქრის უსამნოდ,
უფლისგან ნებადართული.

ქარვისფერი ფოთოლი

მოფარფატებს უნაზესი,
ქარვისფერი ფოთოლი,
მოილია დღენი მისნი,
კვირტობიდან მოთვლილი.

ვინ რა იცის, თუ როგორი
გზები გამოიარა
და რამდენი არ ეცადა,
ვერ იშუშებს იარას.

მოფარფატებს უნაზესი,
ქარვისფერი ფოთოლი
და სრულდება გზები მისი,
დაისვენებს ის როდის....

მოფარფატებს, დაჰყვა ნებას,
თავი ანდო ნიავქარს,
არსებობის ბოლო წუთებს,
მზეს შეჰხედავს, ჩამავალს.

დასრულდება ამა ქვეყნად,
ქროლვა მისი, ბოლომდის...
მაგრამ ჯერაც, მოფარფატებს
ქარვისფერი ფოთოლი....

ემიგრანტის სევდა

ჩემი ქვეყანა, ჩემი სამშობლო,
ამქვეყნად მართლაც ერთადერთია,
სადაც ყველაფერს აქვს თავის ეშხი
და სილამაზეც ყველაფერშია.
ყოველ დღე ვუმზერ ცარგვლის იმ მხარეს,
სადაც მეგულვის ჩემი სამშობლო
და ახლა ვხვდები წინაპართ გულში,
რა ცეცხლი დუღდა შორს ყოფნის გამო.
თვალცრემლიანი შევყურებ სივრცეს,
– ნეტავ რა ხდება, იქ, ახლა, ამ დროს?
ჩემი ქვეყნისთვის ნეტავ მოვიდეს
სიმშვიდისა და აყვავების დრო.
მე, ემიგრანტი, ერთ რამეს მივხვდი
და როს მეგონა ვიყავ ძლიერი,
ასე არ გახლავთ, მე უ ს ა მ შ ო ბ ლ ო დ
მოწყვეტილ ფოთოლს თუ შევედრები....
''ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!''

იმედი

უსაშველოდ ღმუის ქარი გარეთ,
უსაშველო ქაოსია სულშიც,
ღმერთო ჩემო, შეუცნობელ რად ჰქმენ,
გზანი შენნი წუთისოფლის გულში.

ქარი ღმუის, გამეტებით ებრძვის,
ხეებს ძლიერ გაუჭირდათ ახლა,
მარტო ხეებს? – ის, რაც ხდება ჩემში,
სხვა რა არის, სულის კვდომის გარდა...

ქარის ძრწოლას ეკვრის ღამე ბნელი,
სულშიც ბნელა, უკუნია თითქოს,
აღარც მახსოვს, ბოლოს როდის ვკვეთდი
მე სიცოცხლის სადიდებელ სტრიქონს.

უსაშველოდ იბრძვის ქარი გარეთ,
უსაშველო ქაოსია სულშიც,
უფლის მადლით, დალაგდება, ალბათ,
აწეწილი ბედისწერა კრული..

ყველაფერს დავიწყებ თავიდან

ცხოვრებამ სად აღარ მატარა,
განგებამ მწარედაც დამცინა,
მრავალი გამიჩნდა იარა
– ყველაფერს დავიწყებ თავიდან!
ფერები დაკარგა ყოველმა,,
სამყაროს შავ-თეთრად აღვიქვამ,
ბედიც უცნაურად მომექცა
– ყველაფერს დავიწყებ თავიდან!
რამე თუკი მსურდა, ვერ შევძელ,
ვერ შევწვდი და წლებიც გავიდა,
ცხოვრება ბრძოლაა და მერეც
– ყველაფერს დავიწყებ თავიდან!
მერე რა, წლებმა რომ მათოვა,
ნაფიქრნი საქმედ ვერ გამხდია,
იმედი არ მტოვებს, არ მიდის
– ყველაფერს დავიწყებ თავიდან!

გულს

– გულო, ეს რარიგად შეგაწუხა
ამ ჩემმა მშფოთვარე ცხოვრებამ,
მიკვირს, რომ ამდენი რამის მომსწრეს,
ძარღვი-მთავარი, არ გიწყდება.
– გულო, ცოტა კიდევ გაუძელი
და არ დამტოვო შუა გზაზე,
სული, უფლისაგან მონაბერი,
ობლად არ დატოვო მიწაზე.
– გულო, კიდევ უნდა მედგე გვერდით,
ახლა ძალზე ძლიერ მჭირდები,
უნდა გავიაროთ ისევ ერთად,
ღმრთისგან ნაჩუქარი დღეები.
– გულო, იმედით რომ შემოგყურებ,
ნუღარ გაიკვირვებ, იცოდე,
მე ხომ უფლისგან ვარ მოვლენილი,
ჯერ კიდევ მწადია სიცოცხლე.
– ჯერაც, კიდევ ველი ლამაზ დღეებს,
შვილები იმედით მავსებენ,
მათი სიხარულით მინდა დავტკბე,
გულო, ხომ მპირდები, რომ შევძლებთ?
– გულო, ეს რამხელა სიყვარული
შეგძლებია და არ ვიცოდი,
თურმე, მტერიც კი გყვარებია და
მისგან ღიმილსაც კი ელოდი!
– გულო, ასეთი მიამიტი და
მიმნდობი სანამდე იქნები?
ზოგჯერ, შენს ხმასაც უნდა ენდო და
განაგდე მტანჯველი ფიქრები.
– გულო ცოტა კიდევ უნდა მყავდე,
ვუმღეროთ სიყვარულს, გამთბარს მზით,
სიკეთე ვამრავლოთ ქვეყანაზე,
მანამ ჩვენს სულს უფალს არ მივგვრით.

ნიკოლოზ გოდერძიშვილი

/მოწონების შემთხვევაში ნუ
მოგერიდებათ გაზიარება ჩოხოსნებო /

ჩოხოსნებს

თეთრი ჩოხა შემოგიცვამთ, როგორც მყინვარს
და მასრები ლომგულ მკერდზე ელვარებენ,
ფაფანაკი გულს გინათებთ მზესავით და
ქარქაშებში სატევრები მღელვარებენ!
ჩოხოსნებო, თქვენ ღვთიური მადლი გმოსავთ,
განსაცდელში ანგელოზი დაგიფარავთ,
საქართველოს სიყვარულში თავგანწირვით
უფლისაკენ ბილიკები გაგიკვალავთ.
ბედაურებს მიაგელვებთ ციხე -კოშკთან,
კლდეზე იფრენთ, როგორც მთებში არწივები,
სიცოცხლესაც გაწირავდით ქრისტესათვის,
მამულისთვის სანთელივით დაიწვებით.
ჩოხოსანთა მხედრობაში მანდილოსნებს,
ღვთისმშობელი მარიამის მადლი გმოსავთ,
უტეხი გაქვთ სული როგორც თამარ მეფის,
საქართველოს სიყვარულში ღმერთი გლოცავთ.
მომავალი ჩოხოსნებიც იწრთობიან,
როგორც ხმლები სახელოვან გმირებისა,
ალგეთს უკვე დაიზარდნენ მგლის ლეკვები,
გორდას კვალი ამჩნევია თათებისა.
შავი ჩოხა შემოგიცვამთ როგორც ნისლი
და მასრები ლომგულ მკერდზე ელვარებენ,
ფაფანაკი გულს გინათებთ მზესავით და
ქარქაშებში სატევრები მღელვარებენ!

საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ჰიმნი!

თეთრი ჩოხა შემოგიცვამთ, როგორც მყინვარს
და მასრები ლომგულ მკერდზე ელვარებენ,
ფაფანაკი გულს გინათებთ მზესავით და
ქარქაშებში სატევრები მღელვარებენ!
ჩოხოსნებო, თქვენ ღვთიური მადლი გმოსავთ,
განსაცდელში ანგელოზი დაგიფარავთ,
საქართველოს სიყვარულში თავგანწირვით
უფლისაკენ ბილიკები გაგიკვალავთ.
ბედაურებს მიაგელვებთ ციხე-კოშკთან,
კლდეზე იფრენთ, როგორც მთებში არწივები,
სიცოცხლესაც გაწირავდით ქრისტესათვის,
მამულისთვის სანთელივით დაიწვებით.
ჩოხოსანთა მხედრობაში მანდილოსნებს,
ღვთისმშობელი მარიამის მადლი გმოსავთ,
უტეხი გაქვთ სული როგორც თამარ მეფის,
საქართველოს სიყვარულში ღმერთი გლოცავთ.
მომავალი ჩოხოსნებიც იწრთობიან,
როგორც ხმლები სახელოვან გმირებისა,
ალგეთს უკვე დაიზარდნენ მგლის ლეკვები,
გორდას კვალი ამჩნევია თათებისა.
შავი ჩოხა შემოგიცვამთ როგორც ნისლი
და მასრები ლომგულ მკერდზე ელვარებენ,
ფაფანაკი გულს გინათებთ მზესავით და
ქარქაშებში სატევრები მღელვარებენ!

ლაშა ტალახაძეს!

ღმერთმა მოგმადლა ძალა გრიგალის,
სალი კლდეებიც ქედებს გიხრიან,
ლაშას წყურვილი ჩემპიონობის,
მთელ პლანეტაზე უკვე იციან.
ოლიმპიადის ოქროს მედლები,
მკერდზე გიბრწყინავს, როგორც ნათება,
სამშობლოს უძღვნი დიდ გამარჯვებებს,
საქართველოა შენი ხატება.
შენ გულში სუფევს ძმაო უფალი,
ხალხში ხარ უკვე დიდი ლეგენდა,
ღმერთსაც უყვარხარ, რადგან ლომობა,
აკვანში ღვთისგან, რომ დაგებედა!
შენ საქართველოს გული გაცოცხლებს,
ყოველდღე იპყრობ დიდების მწვერვალს,
სახელი მძლავრი ოლიმპიელის,
მსოფლიოს ცაზე მეხივით ელავს!
ღმერთმა მოგმადლა ძალა გრიგალის,
სალი კლდეებიც ქედებს გიხრიან,
ლაშას წყურვილი ჩემპიონობის,
მთელ პლანეტაზე უკვე იციან.

მეუფე თადეოზის უკანასკნელი სიტყვები:
"ფეხზე წამომაყენეთ, ქრისტე მოდის, უნდა შევეგებო!.."

სიცოცხლე

სიცოცხლე მოჰგავს არწივების ზეცაში ფრენას,
ორთაბრძოლებში შეჯახებას ჰაერში ქროლვით,
სისხლი ჩამოსდით,მაგრამ მაინც არ ნებდებიან
და გაოცებენ ღრუბლებს ზემოთ აფრენის ლტოლვით.
სიცოცხლედ მაინც ღვთის მოვლენილ გაზაფხულს ჩავთვლი,
დამზრალ სამყაროს სიყვარულით ისევ რომ ათბობს,
იების ზღვები როცა აფრქვევს ტევრებში სურნელს,
აღარ ადარდებს ზეციდან რომ ფიფქები ათოვს!
სიცოცხლე ჩემთვის გულისსწორთან შეხვედრას ნიშნავს,
ეს არის მართლა მოვლენილი ღვთის საჩუქარი,
ვისთან ყოფნაც რომ მეცხრე ცამდე გაბედნიერებს,
და სიყვარულზე აისამდე გსურს საუბარი!
სიცოცხლე ჩვენი ბავშვებია, ლომის ბოკვრები,
მათ უნდა ვანდოთ მომავალში სამშობლოს ბედი,
დედამიწაზე შვილები გვყავს ჩვენდა იმედად
და მაღლა ცაში ყოვლისშემძლე უფალი ღმერთი.
სიცოცხლე ჩვენი სიმღერაა, ტკბილი გალობა,
აღდგომის ღამეს როცა ერთვის სამრეკლოს ზარებს,
სიცოცხლე ჩვენი ცეკვა არის ნაღდი ქართული,
"ფარიკაობა" კავკასიონს რომ აზანზარებს!
სიცოცხლის არსი,რაც ყველაზე უმთავრესია,
ასრულებაა სიყვარულით მაცხოვრის ნების,
წმინდა სამების მფარველობა მრავალჟამიერ,
უფლის წყალობით ნეტარება მიგვეღოს ზეცის!

* * *

შენა ხარ ჩემი აისი, ციდან მზის გამონათება,
აპრილში ვაზის ყვავილი და ღვთისმშობელის ხატება.

შროშანი ველად გაზრდილი,სპეტაკი, თეთრად ელვარე,
ერთი ნახვით რომ დაგატკბობს გულსაც გაგიხდის მღელვარეს.

ანგელოზი ხარ ხილული, ცით მოვლენილი ღვთისაგან,
წყარო ხარ წმინდა, ანკარა, გადმოჩქეფილი მთისაგან.

შენა ხარ ჩემი ვარსკვლავი,ჩემს ბედად დაბადებული,
მიყვარხარ ძლიერ ძვირფასო,ღმერთს მყავხარ ჩაბარებული!

შენ ხარ სამყაროს მშვენება,გვირგვინი სილამაზისა,
გფარავდეს ღვთისმშობლის კალთა და ნინოს ჯვარი ვაზისა!

❤ ლევან გოთუას ❤

დათოვლილ მთებს კლდის ჯიქივით ტორავდი
და იპყრობდი კავკასიის მწვერვალებს,
განთიადზე საქართველოს ლოცავდი,
ღმერთის ხელზე ოქროსფრად რომ ელვარებს!
ნისლში ჩაფლულ მწვერვალს დასალაშქრავად,
მთელი ძალით, შემართებით უტევდი,
საქართველოს დროშას ქარში გაშლიდი,
სიყვარულით გულში ჩაიხუტებდი.
ღმერთის შექმნილ სამყაროს შეჰხაროდი,
მაგრამ ყველას საქართველო გერჩია,
შენი შხარა, მყინვარწვერი, თეთნულდი!
„ვით უფალი სამშობლოც ხომ ერთია“!
საქართველოს საზღვარს მკერდით იცავდი,
იუნკერთა რაზმში მედგრად იბრძოდი,
თავისუფალ საქართველოს ღირსება,
ყმაწვილმაც კი დიდებულად იცოდი.
ყინულმჭრელი გემით გადაგასახლეს,
ბორკილებით ციხე-ციხე გატარეს!
ოცი წელი ტყვეობაში ნამყოფი
ცაში მქროლავ არწივებს შეგადარეს!
ძლიერ ყინვებს ვაჟკაცურად უძლებდი,
ქვას და რკინას ულმობლად რომ ამსხვრევდა,
საქართველოს გულში თბილად იკრავდი,
დიდ ტკივილებს ეს თუ გადაარჩენდა!
„გმირთა ვარამს" ქმნიდი უფლის განგებით,
და მომავალს უტოვებდი საგანძურს,
მოგვითხრობდი თავგანწირვას გმირების,
ისე როგორც ღმერთისაგან დანახულს!
დათოვლილ მთებს კლდის ჯიქივით ტორავდი,
და იპყრობდი კავკასიის მწვერვალებს,
განთიადზე საქართველოს ლოცავდი,
ღმერთის ხელზე ოქროსფრად რომ ელვარებს!

თბილისს!

ვახტანგ გორგასალმა თავის მეომრებთან,
დილით გაილაშქრა ტყეში სანადიროდ,
ცხენებით მიჰქროდნენ ლამაზ ხეობაში,
მშვილდებს ისროდნენ მიზანში სანაქებოდ.
დაჭრილი ირმები წყაროსკენ მიჰქროდნენ,
მისდევდნენ გორგასლის ძლიერი მდევრები,
ცხენების ჭენებით ნადირზე იწევდნენ,
ლომური ღრიალით აიკლეს ტევრები!
მისდიეს კვალდაკვალ და ბოლოს მიაგნეს,
ირმები აცხრობდნენ წყაროზე ნაისრალს
და მეფის მიმინოც ხოხობთან შებმული
ჩაყრილნი უნახავთ წყაროს წყლის ნაპირას!
ვახტანგი გაოცდა ლამაზი წალკოტით,
ჯერ არსად ენახა ასეთი მშვენება,
ბრძანა, რომ დაფუძნდეს ქალაქი თბილისი,
რაც ღვთის განგებას ქართვლისთვის ენება!
ააგეს ტაძრები უფლის სადიდებლად,
ციხე-კოშკები მტერთან საბრძოლველად.
დასახლდნენ ქართველნი რჩეულთა რჩეულნი,
ღმერთის ერთგულება ჰქონდათ საგონებლად!
თბილისში ღელავდა ოქროსფრად ყანები,
ქარვისფერ მტევნებში მზე იყო ჩამდგარი,
თბილისურ აისით, თბილისურ დაისით,
თბილისურ სიცოცხლით სუნთქავდნენ დამტკბარნი.
დიდი მეფეები სიცოცხლეს გწირავდნენ,
გმირთა და წმინდანთა მთავარო ქალაქო,
გულზე გიბრწყინავს მრავალი სალოცავი,
ღვთისგან კურთხეულო თბილის ქალაქო.
დღესაც ღირსეულად დაგვცქერის მთაწმინდა,
მეტეხი. ღვთაებრივი ძალის მმოსავი,
თბილისს სიყვარულით გულში ეფერება,
ვახტანგ გორგასალი ზეციდან მლოცავი!

მირანდა ზაბახიძე

სიკვდილის მერე

სიკვდილის მერეც ცოცხალივით ვილტვოდი შენსკენ....
ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს ჩავწვდი წვალებით,
ცხოვრების სიბრძნე მარცვალ-მარცვალ ჩიტივით ვკენკე,
ამაოება გამეჩხირა ყელში ძვალივით.

მე მაინც ვამბობ–გწამდეთ,რასაც სიცოცხლე ჰქვია,
და ნუ ენდობი მაცდუნებელ ხმასა და მირაჟს.
ყველა გზა წყდება,როგორც სიმი,სამარის პირას
და სულ ერთია –ცოტა ადრე,თუ ცოტა გვიან.

სიკვდილის მერეც ცოცხალივით ვილტვოდი შენსკენ,
ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს ჩავწვდი წვალებით.
ცხოვრების სიბრძნე მარცვალ-მარცვალ ჩიტივით ვკენკე,
ამაოება გამეჩხირა ყელში ძვალივით!

მზე ააელვე

მწველი ზაფხული აწყდა ღილად ჩემს მოგონებებს,
ცხელი დღეების გადავისხი სისხლი ძარღვებში..
კიდევ ერთიც, და სავსე ფილტვებს ბოლომდე დავცლი,
რომ უკვდავებას ჩავაშტერდე მოკვდავ თვალებში ..

გამიფერადდი,სათნოების ნაზო ყვავილო,
მზე ააელვე, სიცოცხლეზე რომ უდგას ფეხი,
გამიფერადდი,დედამიწის ყველა ამინდო
გამიღვთისმშობლდი,სიცოცხლეზე რომ იყო მეტი...

მაგული კორძაია

* * *

ბალახსურნელა ბავშვობას ვეძებ,
ნეტავ ბავშვივით ვიყო ნამდვილი,
მოგონებები შემომისკუპდა
მზემანათობლად, და ვწერ, ამ დილით...
მარილნაწები პანტა ვაშლ პურის
გემო-სიცოცხლედ ამდევნებია,
საახტაჯანოდ გაპარვა მინდა,
ქრთამად მონპასებს* ვაძლევ ბებიას...
ბებო მლოცავს და სიხარულისგან
ჭინკებს თვალებში გზა არევიათ,
ბალახსურნელა მოგონებებში,
ბებო, მზე, სითბო ნურც დაგვლევია.

---

*მონპასი-ერთგვარი კანფეტი

თავქილიკა კაკუნები...

* * *

ხან ლაპარაკიც მეშლება,
ხან ნაწერსაც ვერ ვდარაჯობ,
მერე ღიმილით შევყურებ,
ჩემ თავს,ჩემითვე განაჭორს...

"შუბლის ძარღვს"
ძაღლად არ ვაგდებ,
დროს მივეპარო,მოვერგო,
ან,ჩემით გაწბილებული,
დრო გონს თავადვე მოეგოს...

ხან მგონია რომ მახრჩობენ,
არაფრისმთქმელი წუთები,
ნეტავ სად უნდა გავექცე,
სანამ სულ ჩავიხუთები.

დრო იქედნურად
მიყურებს,
უნიათობას
მაბრალებს,
ფიქრში უჩინო მსტოვრები
ჯვარს მერამდენედ მაკრავენ...

არც ყოფა მერთულება
და არც განსაცდელი
მაშინებს,
ადამიანებს ვითვლი
და მათი
სიმცირე მაშიებს...

ჩემს წილ მზეს მუდამ ვიპოვი,
იქნებ არცა ღირს
ვიშ-ვიში,
ღვინოც ხომ მარგებელია,
მარგებელია ქიშმიშიც.

არც კვარცხლბეკების
იწამოთ,
მიწიდან ცამდე კიბეა,
ხან ცას მიწვდები,
და უფრო,
დაენარცხები კიდევაც...

ერთი ნაბიჯის ბმა არის,
ბრმა წუთისოფლის სავალი,
ვერ დაანახებს
სინათლეს,
ცისკრის მზე ამომავალი.

"გადი, გამოდი გუთანო",
დარდს ნუ მიიტან გულთანო,
ღმერთმა შვა ადამიანი,და
თავად გახდა უთავო....

ჩვენ ჩვენი წილი ჭია გვხრავს,
ასე ყოფილა,უდაოდ,
ზაფხულში თოვლი მოსულა,
დარდ-
მეგობრებთან
ვგუნდაობ...

ხან როცა ჩემ თავს ვერა
ვცნობ,
სტრიქონ მარცვლებში
"ვბუნტაობ",
ხან თავიანი გამომდის,
ხან ვერეკები უთავოდ...

იწილ-ბიწილო სოფელში
შავ-თეთრი
დავახურდავო...
მინდა რომ ყველა მიყვარდეს,
თავიანიც და უთავოც,
შენც დამეხმარე ამაში,
კალამო,
ჩემო გუთანო!

* * *

რა საშიშია ხშირად თავნება,
აკვიატების მსგავსი აზრები,
როცა ვერ უძლებ ნიღბების
გრიმასს და წამებს წურავ,
წამებს გაძლების...

ტუჩის კუთხეში ატუზულ ღიმილს,
გამოფხიზლების
ართმევ უნარს

და
გსურს გაეცალო უგონო ხარხარს,
ხარხარს ყველგან რომ
ასე იმატა...

ნეტავ შენს თავსაც გაეცლებოდე,
შენშიც წრიალებს დემონის ჭია,
ერთი მეორეს არ თმობს და ვიდრე
ადამიანის ნაშობი გქვია,

თავს ვერ დააღწევ სულის
პასკვილებს,
ათასმეერთედ
ფურცლო ზღაპარი,
სულ ტყუილია,
ყველა ნაბიჯზე
სავსეა ვნება,
სულის მხაფავი...

და რამდენჯერაც
აგიწვავს ბეჭებს,
საცეცხლურები
ღიმილით, ყალბით,
შენში იმედი ადამიანის,
ულაპარაკოდ გტოვებს და გარბის...

ასე მუდმივად და უსასრულოდ,
მორგებული გვაქვს "სეფე"როლები,
და ვერც კი ვხვდებით, ეს ყველაფერი,
ღირდაა ჩამოფშვნად,თვალთა ბროლების?!

ვიდრე სინდისი
ნამუსის ზიდვას
სიცოცხლის ფასად შეძლოს,თავს იდვას,
არც სკიპტრით ხელში გაოცდება და
არც გზასავალის
მოუწევს ყიდვა!

ცუდი სენია
კუდაბზიკობა,
სხვას თუ ვერ,
ჩვენ თავს
ვუწამლოთ ვინმემ,
იქნებ დავინდოთ
ა დ ა მ ი ა ნ ი,
ჩამოგვმსხვრევია ცა თავზე,ვინემ...

(ციკლიდან,იყოს...)
სიტყვა გმირების ძებნაში...

სიტყვამ გამხადა, – ჩამაცვი,
სიტყვა სიქასაც გამაცლის,
სიტყვა თავიდან იშვა
და თავიდან ფიქრს თუ დამაცლი,
დღეს თუ ვერ, ხვალ, ზეგ, ამა წლის...
"სიგელ-გუჯრებზე" დავაში,
თავდებად,თამაშ-თამაშით
სიტყვას დავვარცხნი და მაშინ,
მზედ მოქარგული მარმაში
მოასევადებს სტრიქონებს,
სიტყვა გმირებზე შევძლებ და ვიტყვი:
- ვიპოვე სიმართლე!
რაც შარმს და ჯიღას გაუწყდათ
მირონმდინარე მყესები,
სიტყვამ დაკარგა სიმდაბლე,
დაუზიანდა ფესვები.
წინკარში აფხორებულა
დასაწყის დასალიერით,
ძნად შეკრულ "სიტყვის კონებით"
გამარჯვებულის იერით,
გადაგლესილი თმებით და
"გადატკეცილი "აზრებით, უკაცრავადო,
მათ შორის,შენ არც კი მოიაზრები...
სიტყვები,ოჰ,ეს სიტყვები,
გულგამოცლილი თავთავი,
სხვა არა მეფიქრება რა სიტყვაუკმარი,ამ
თავით,
კი ვატრიალე ჯარა და
იმდენი დარჩა სართავი,
წვიმაც კი ქოლგად ვიფარე,
სიტყვის თქეშ-კოხით გავთავდი.
სიტყვაო ოქოოცურვილო,
ნაწერს ავკიდეთ სახადი,
მიმაცილე და მიმყევი,
საუფლო სიტყვის სახლამდი!

ფბ-არქივი

*

გარდაიცვალე,
რომ არ მოკვდე...

*

სულის სამოსელს გაღეღია
ჩვილი საკინძე,
სადაფის ღილებს მჯიღნაცემი
ელფერი დაკრავს,
გადაიცრიცა ბავშვობიდან
რაც კი ავკინძე,
რადგან სამყაროს ლუციფერი
უპირებს დაკვლას...
სადღაც იისფერს
გაუბლანდავს
ზეცა მირაჟად,
უსახურობა გამოიცა
ულევ ტირაჟად,
ვერ გავუძელით ნაზვავარი
სულის კირთებას,
ს ი ნ დ ი ს ნ ა მ უ ს ი
დ ა წ ერ ი ლ ი ც არვის
სჭირდება...
უხმო ჭიდილში იცრიცება
პერგამენტები,
"გარდაიცვალე"?!
- გაიქეცი თავგამეტებით,
რომ
უ კ ვ დ ავ ე ბ ი ს
ს ი კ ვ დ ი ლ ი
არ წამოგეწიოს,
იქნებ უწიო ია -იებს
ზეცის კარებთან,
თორემ აქ ჩვენთან
ღვარცოფები ისე გამეფდა...
"-გარდაიცვალა"....
ვინც არ "მოკვდა",
ვინც არ დანებდა!

დილა ყავა ფიქრი ალოო...

მირა❤მარი

დილა ისევ ფიქრად წავიკითხე,
წავალ, მოვადუღებ "გრძნეულ "სითხეს,
ისე უჩვეულოდ შემიჩვია,
იყოს, არც კი ვერჩი "არამკითხეს"...

სიცხემ დამისველა ხელისგული,
მზეები სულში მყავს,აღარ ვიწვი,
მწუხრის გახუნებულ ფერსაც ვიცვლი,
სითბოდ გალაქტიკა შემოვიცვი...
ვცადე, ხმასაში ხრინწი
მოვაცილე,
ლოცვად ნაღიღინებ მელოდიას,
თრთიან სიყვარულის მზეცარგვალზე,ფიქრში
მეგობრებად შემოდიან...
ხმაურს უცნაური ხმები ჰქონდა,
ახლა სიჩუმეშიც არ ვიბნევი,
ფიქრის აივანმა შემიფარა,
სხივადგაბნეული აი იმ ვნებით...
სულს რომ "სათარეშოდ" არ იმეტებს
ზეცით მორთმეული ყვავილები.
სიცხემ დამისველა ხელისგული,
დარდი უჩემობას მივასხვისე,
ფიქრის აივანი მემსუბუქა,
ყავის სურნელებით სუნთქვას ვივსებ...
ყველას თავისი აქვს საფიქრალი,
ღმერთო,მზის სხივებით მაივლისე,
ალოო...
❤მირა,
მარის ❤
"ესემესი" – მათი მშვიდი სუნთქვით აკისკისე!

"უწონობა" დროში...

ირგვლივ უნდობლობის ძილქუშია,
თითქოს არც არასდროს მიძინია,
მზერა ისეთი პირქუშია,
თვალები სიმწრით იცინიან...
ოჰ, შენ "გონიერო,"
მე უგონოს
არ მსურს არფერი გავიგონო...
ჩემი მოფარფატე
სულით განა
შენი ცოდვა უნდა აიწონოს...
დროვ, ჩემ "სისუსტეში" დააბოტებ,
წამით არ დამტოვე ცნობიერში,
ისე ატრიალე სიტყვა-ეშვი,
ვიდრე არ მომკალი არ შემეშვი.
ახლა ჩარჩო დაგრჩა ასაწყობი,
ხორცის ნაფლეთებად შიგნით ჩამსვი,
მერე შესანდობარს იმ თასიდან მეტყვი,
ოდესღაც რომ შხამი მასვი!
ასე იწყება და არ მთავრდება,
გზები უჩემობის, თუ არ გავცდი,
ო,იმ სიმძიმეა განსაცდელი,
აღარც წყალი მინდა, ნუღარ მაწვდი.
სოფელს არ ეშვება ქარიშახალი,
ერთი ნაკაწრიდან დავიცალე,
სულაც ნუ ჩადგება, ირონიაა,
რაც კი ამ-ქარისაგან დავიცავი.
ისე მარტივია ახლა ფრენა, მეტად
რაღამ უნდა გამაოცოს,
ჩემი "უწონობის"
ფარფატიღა შემრჩა ვერაფერმა დამაოსოს!

* * *

ისევ დამესია მოგონება,
ლექსად მაქცია,არ მომასვენა,
ჰო და ავდექი და ვიჩლექ ენას...
"წერამ ამიტანა", რა ვქნა,
ნენა...
კალამს,კი ბატონო,ვაწებ მელანს,
–ვნახოთ,გამომივა?
-" გაჭრა ველად"...

* * *

სამყაროს იტევს განცდა, როცა წერ,
უბალოდ, წერ...

ᲐᲘᲕᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲛᲘᲡᲙᲣᲞᲓᲐ

მუზა

მივდიოდი...
მაინც შენსკენ ვიწევ,
მოფრენილი სტრიქონები მწვავენ,
წამში თუ არ დავასკუპე სადმე,
არც მკითხავენ,სამუდამოდ წავლენ.
რად "ბურღავს ტვინს", ამოცნობას ვჩემობ,
რად ფართხალებს ყველა ხმაზე მუზა,
სიცოცხლეში იმ სიცოცხლეს ეძებს,
თავისთვის რომ სადღაც გაისუსა...
ვერ მონახა ადგილი და სივრცე,
დუნიაზე რა არ ეყო ნეტავ?
ალბათ ყველგან იმ სიყვარულს ეძებს,
ჩვილს რომ ეჩურჩულებოდა დედა.
ეჰ,ღმერთმანი,
აღარ წავალ შორს და ეს სიამე რაც მარგუნა
ბწკარმა,
ხომ მანებებს თავისუფალ სუნთქვას,
სხვა რაც უნდა, იძალაოს ქარმა...

**

წერას რომ ვიწყებ, ვპოულობ,
თითქოს ჩემს თავში გასაღებს,
როცა მგონია, შევძელი,
რაც კი ფიქრადაც დავსახე,
დავალაგ-დავასათუთე,
ცას ვარსკვლავებად ავსახე...
და რაც დარდია ამქვეყნად,
თუ სიტყვის კონად მოვწყვიტე,
არად დაგიდევ არაფერს,
სიცოცხლეს სულ რომ მივწყინდე.
როცა ვწერ,
როცა ვპოულობ,
კალამს
სანდოს და ნამიანს,
ო,ისე მესალბუნება,
ღამეს მოვგავარ
მთვარიანს,
წყვილს რომ ქარცეცხლში გაახვევს,
ნატვრას აუხდენს "ღამიანს"!
არ ვწუწუნებ და არ ვდაობ,
ტანსშემოხეულ კაბაზე,
"აღალაფელი
მაბაზებს"...
ქოხში გაგიცვლით დარბაზებს.
დედაშვილური
განცდებით
ვზრდი და ვაპურებ
სტრიქონებს,
როცა უფალი ჩემშია,
როცა არაფერს ვიგონებ!
სხვა რა ვუწოდო ამ განცდას,
თეთრი ფურცლების მაგიაა,
მაგია დასაბამი და "თვით უკვდავებაც" მაგია!
"წერას ატანილს" თუ ვგავარ,
ღმერთო,
მადლობა
ამისთვის,
მადლობა ყველა მშვიდი და
თეთრად ნათენი ღამისთვის!
კალამს რომ ხელში ავიღებ,
თავი სამოთხეს
მგონია,
სადაც ერთურთი
აცოცხლებთ,
ჭიანჭველას
და გოლიათს!

"სიტყვაგზირები..."

ჩასაფრებულან "სიტყვაგზირები,"
ვერ აუდიან თავის სიმცირეს,
სიტყვაკეთილი ზეცად გაიქცა,
აქ ვერ გაუძლო სოფლის სიმძიმეს...
ვცდილობ,
ფერნამკრთალ აზრად ვციმციმებ,
მინდა რომ ლექსად გამოვიძინო,
ფილტვდაბერილი აისის სუნთქვა
- მზესტრიქონებად გადავიწვინო,
- თოთო სიკეთე,თითომარცვალი ავაჯეჯილო,ისე იწვიმოს.
სიტყვაგზირობით ქარნაფლეთებად სულისწვა არვინ აღარ იწვნიოს.
სიტყვაკეთილმა ზეცის აკვანი დედაშვილობად გადაგვირწიოს,
იქნებდა მერე ჩასაფრებულიც მიხვდეს და გვერდზე გადაიწიოს...

* * *

ჩემი თავის "სტუმრობით "ვარ გადაღლილი,
მასპინძლობას ვეღარ ვუწევ,
– არც მყოლია სხვა სტუმარი...
გადახსნილი იარებით
შეშლილია
სასთუმალი...
ქარსაც უკვირს,
გზას ვერ იკვლევს,
თავგზას ურევს ლიანები,
დღე ილევა, მახრჩობელა,
შეუფოთლავ ხვიარებით.
არც "გაკვეთილს" ვეწაფები,
 რაც კი დავწვი, ისევ ბოლავს,
წავალ,ჩემთან
მოსასვლელად
სხივის ციაგს ამოვქოლავ.
ღამე ღმერთთან მიადვილებს,
"თავხედურად"გაცინებას... ვერ ვხედავდე,
რა უღონო, რა სუსტი და რა მცირე ვარ.

საგვემი და სანუგეშო
რაღაც ერთგვარ გეშად იქცა,
წასვლა უფრო ადვილია,
განა, ზეცა ჩამოიქცა...
მიწამ გულში თუ ჩაგიკრა,
ჩაგიხუტებს მაშინ, იქ,
ცა!
სულ რომ რაღაც იწყება და
წრებრუნვას რა გააჩერებს,
ზოგჯერ გინდა, წრიდან გასვლა
და თუ სოფელს ეს აჩვენე,
"ბოლო წერილს"უნდა წერდე...
არ დაგინდობს,შეგაჩვენებს.
შენს ნაჭუჭში ჩუმად ყოფნას,
ეცდებიან,შეგაჩვევენ...
"სტუმრის" რანგში, ჩემო თავო,მაინც
შენგან ველი რჩევებს,
ისე შემომატრიალე,
მასპინძლობა დავიჩემო!

თინათინ უზარაშვილი-თორდუა

აფხაზეთს

ჩემი ტკბილი ოდაბადე,
ჩემი ყრმობის აკვანი,
"ჭიჭიკესთან" მონავარდე
ჩემი ლურჯი ზღაპარი.
საოცარი მზის ჩქერები,
ბროლის წყაროს წანწკარი,
აქაფული ჩანჩქერები,
უფსკრულებში ჩამწყდარი.
ჩემი ზურმუხტით და ლალით
მოქარგული მთა-ბარი,
ჩემი სულის გაზაფხული
ვის ხელშია? სად არის?
ჩემი თბილი ოდაბადე,
ჩემი ფიძე-კერია,
სადაცა ვარ,ლანდად დამდევს
შენი მზის მისტერია...
ვინ წამართვა შენი თავი?
ვინ არია გზა-კვალი?
წინაპრების ნატერფალი
ვინ წაშალა სხვა კვალით?!
ღმერთო,გთხოვ,კვლავ გააბრწყინე
ჩემი ბედის ვარსკვლავი,
გამიხსენი სამოთხისკენ
ჩარაზული ცხრა კარი.
ღმერთო,მალე მაპოვნინე
გზა შინისკენ მავალი,
მონატრების,ტკივილების
ერთადერთი წამალი...
ჩემი თბილი ოდაბადე,
ზურმუხტ-ლალის ფერება,
როგორ გნატრობ,როგორ მინდა
კვლავ შენი მოფერება...

წუხელ,ღამით...

წუხელ ღამით,სიზმარ-ცხადში,
შთაგონება მეწვია,
გული გათბა,აფართქალდა,
როგორც ჩიტი მზეწვია...
წუხელ ღამით,ცა გაიხსნა
და გამოჩნდა ცისკარი,
სულმა თითქოს მზე ჩაიცვა
და შეიქნა მზისდარი.
ღმერთო,გულში რა ციური
ელვა,შტორმი და ქარი!
რა ფერები მისტიური,
რა ზღაპრები, ამხდარი...
სად არ ვიყავ,რა არ ვნახე,
გულში მზით და მაისით,
ყმაწვილური სილაღით და
ძველებური ხალისით.
მერე...ფრთები,უნებლიედ,
მზის სხივებზე დავიწვი...
გამეღვიძა და...კვლავ სიზმრის
მონატრება ჩავიცვი...

გულო!

როგორ გაგაწვალე,
როგორ დაგასუსტე,
როგორ გადაგღალე ცრემლით,
სხვას რომ ვანაცვალე,
სხვას რომ შემოვწირე
მსხვერპლად, თბილი ფეთქვა შენი,..
ათას სატკივარზე,
ათას საზრუნავზე
მუდამ გაჩუმებას გთხოვდი,
ჩუმად გაძალებდი,
სევდის ქარიშხალში,
უხმო მოთმენას და ლოდინს.
როგორ გაგაწვალე,
ცოტაც გამიძელი,
ცოტაც...ასეთს ვეღარ გგუობ,
ასე განაწამებს,ამ ბნელ სიცივეში,
მარტო ნუ ჩამტოვებ, გულო!
ცოტაც ..გევედრები,
რა დროს ტკივილია,
რა დროს განშორება მწველი.
ციტაც გამიძელი...
ტაძრის კარებამდე
ჯერ გზა შორია და ძნელი...

ემიგრანტ მეგობარს

(ნ. გიგუაშვილს)

ვერ ვისვენებ,
გამუდმებით შენზე ვფიქრობ,
იმ ნაფერებ,
ახლა- დაღლილ ხელებზე,
იმ თვალებზე,
სამშობლოზე დარდს რომ იდნობს
და ოცნებობს
დაბრუნების დღეებზე.
ვერ გიმეტებ,
სხვა ქვეყნისთვის და ვგრძნობ თითქოს
უცხო ცის ქვეშ
მფეთქავ სულის იარებს...
შენზე დარდი
ტკივილების პერანგს მიქსოვს,
შენთან ერთად,
მეც ვსვამ სევდის ფიალებს...
სული მეწვის...
დრო დროს ითხოვს,კარგად ვიცი,
მაინც მგუდავს
უსასრულო სიშორე...
მტკივა სული,
ავსებული სველი ქვიშით
და...აბეზარ
სევდას ვეღარ ვიშორებ.
მღვრიე დარდი
და გულგრილი ბედისწერა
სულს გიშფოთებს,
ვიცი, ასე ძალიან...
ამიტომაც მედარდები,
თუმცა, მჯერა,
რომ ტკივილი,
ყველა, წარმავალია.
ცოტაც...მზიან
ქარიშხალში აიშლება
ჰორიზონტზე
გაწოლილი ნისლები,
დაბრუნებით
ყველა დარდი წაიშლება,
გახუნდება
ის ტკივილიც, ის წლებიც...
ცოტაც...სულში
ამღერდება სხვა ფერები,
გაძლიერდი,
დაელოდე ალიონს.
შენს ზურგს უკან
სამშობლოა,ნაფერები,
სხვა ღიმილი,
სხვა ცა, მზე- სახვალიო...

ხიდზე

მე ხიდზე ვდგავარ,
მუქი ტალღები
დაუთრთვილიათ ნაცრისფერ ფიქრებს,
მე ხიდზე ვდგავარ,
გაღმა ნაპირი,
ო, ერთხელ მაინც, ვიხილო იქნებ...
მე ხიდზე ვდგავარ,
გზაარეული,
უსასრულობით
წაშლილი კვალით,
მე ხიდზე ვდგავარ,
რომლის წაღებას
ჯიუტად ცდილობს
შეშლილი ქარი ...
მე ხიდზე ვდგავარ...

* * *

ქარი მღეროდა თავის არიას,
სევდა უკრთოდა ხმაში...
და მე მჯეროდა,ღამეს, მთვარიანს,
მისი ესმოდა მაშინ.
და...შენც გვჯეროდა,ისე ძალიან,
"ხვითოს" ნახავდი გზაში...
მთვარე გვშველოდა ნათელთვალიან,
ანც ოცნებების თვლაში.
ქარი მღეროდა თავის არიას,
მე შენ გეძებდი ქარში,
ღრუბლის ჩეროსთან,რა სიზმარია,
შენ რა გინდოდა ცაში?!.
მეც სხვა ვიყავი,
შენც სხვა იყავი,
ქარიც,სხვა იყო მაშინ ...

აღმოჩენა

საკუთარ თავში
ღმერთს ვეძებდი,
რატომღაც, დღემდე,
რომელიც ყველა შეცოდებას გაპატიებდა...
ჰო,ღმერთს ვეძებდი, მაღალს,
კეთილს და ყოვლისშემძლეს...
ვნახეკი-ქალი,
მუხლმოყრილი ფერმკრთალ იებთან....
და ...შემეცოდა
ჩუმი ხსოვნით სავსე სხეული...

ნუ დანებდები!

როცა ოცნება
დამსხვრეულ ფრთებს
ჩამოყრის წამით
და სევდიანი
ღიმი ჩუმად
აკვდება ტუჩებს,
როცა ტკივილით,
მონატრებით,
სიცივით მთვრალი
ფიქრი ბარბაცით
მიუყვება ნესტიან ქუჩებს.
როდესაც შენი სატკივარი
არ ტკივა არვის,
როცა გათიშილ ხელისგულებს
ცრემლებით ითბობ
და შენს ყრუ ქვითინს
ბნელში ფანტავს
ფრთასველი ქარი,
წვეთ-წვეთ იცლები
და ...სრულდება სიცოცხლეც, თითქოს...
ნუ დანებდები!
ნუ მოიხვევ ღრუბლის მანტიას,
ნუ აზეიმებ გამარჯვებას
გულბოროტ დემონს,
ბინდი ასპარეზს
მუდამ უთმობს ნათელ განთიადს,
ნუ დაიჩოქებ,
გევედრები,იმედო ჩემო!!!

* *. *

გარეთ ქარია,წვიმა ხმაურობს,
გულს ქარიშხალთან ყოფნა სწადია,
დაღლილი ფიქრი,უსიხარულოდ,
მიითრევს წელს და
წლები გადიან.
იგონებ წარსულ წვიმების სითბოს,
იგონებ ღამეს,
ფერმკრთალს,მთვარიანს,
ქარში დაკარგულ ოცნების ხვითოს,
გულსავსესა და ნათელთვალიანს...
იგონებ ქარის უცნაურ სიცილს
და ხელჩაქნევას-ქალი ქალია...
იმ განშორებას და ვინ რა იცის,
გულში კიდევ რა ქარიშხალია .
იგონებ ცისფრად მოჩითულ სიზმრებს,
მხურვალე მზეს და მზისფერ გალიას,
ატმის ყვავილთა ფიფქების სისქეს
და სულში რაღაც გტკივა ძალიან.
გარეთ ღამეა,
ვარსკვლავთა ციმციმს
შენი სევდისთვის არა სცალია,
წვიმს და ...ჭადრებთან არავინ იცდის,
წვიმს და ...ქუჩაში მხოლოდ ქარია....

მარტო ნუ დამტოვებ!

ცრემლიან ხელისგულს
სველ მინას ვატოლებ...
გეძახი,გეძებ და
ტკივილი არ მტოვებს.
უაზრო მოლოდინს,
დაღალულს,თვალსოველს
ამაოდ ვაწვიმებ,ამაოდ ვათოვებ...
იქ- შენი ნაპირი,
აქ-მარტოდმარტო მე ...
სულ ცოტაც...მოიცა!
სულ ცოტა მადროვე!
დაისი. სიჩუმე.
მარტო ნუ დამტოვებ

ლამზირა შეყილაძე

ჩვენს ფეხბურთელებს

უფალმა მოგავარაყათ,
მოგცათ ღვთიური ნიჭი.
ძარღვები დახეთქვაზე გაქვთ,
გიდუღთ ქართული სისხლი.
სამშობლოს ესულხატებით
გულწრფელი სულისკვეთებით,
მსოფლიო შეაზანზარეთ,
თავგანწირული ქმედებით.
თქვენ გვაზიარეთ სიხარულს,
გადაიდარეს წვიმებმა,
თქვენით იწყება ბიჭებო,
სამშობლოს გამობრწყინება.
ამ გამარჯვებამ დაღლლ ერს,
სულ სხვა დიდება შესძინა,
სიხარული და უფლის მზე
სიცოცხლედ გადმოგვეფინა.
მტრების ზრახვა და მიზანი
თქვენმა ქმედებამ მოსრა,
მზესავით გეტარებინოთ
ჩვენი ქართული დროშა!

*

მეგობარს ზურგში რომ დასცემ ლახვარს,
მართალ კაცივით იჩეჩავ ბრიყვ მხრებს...
ბოლოს საკუთარ იდაყვსაც დახრავ,
როცა შენს გულში იპოვნი შენს მტერს...

აგიჟ-მაჟეაბა

ჯერ კიდევ გუშინ დაქროდა ქარი
ლამის სამოსი შემომახია
მზემ ალიონზე შემოხსნა კარი
და გაზაფხული შემომაფრქვია.
გავხსენ საკინძე ზე აღტაცებით
გული საგულეს ვეღარ დავტიე
ხომ არ შეგაკრთე ამ აღტაცებით
ეს აღტაცება გთხოვ მაპატიე.
ცად გამიტაცეს ცხელმა კვირტებმა
მზემ დედის მზერით შემომანათა
ამ გაზაფხულის გაცისკროვნებამ
გამახარა და დამაშამათა.
მივაყურადე გულის ჩქერალებს
ფერთა ციალი გულში მადნება
შეშლილ საწუთროს გამიფერადებს
ეს გაზაფხულის აგიჟმაჟება.

ვერ ვისწავლე

ყოველ დილით ბეღურები
საკენკისთვის მოდიან.
საკენკს ვუყრი, ვკვებავ მაგრამ,
მაინც არ მენდობიან...
ადამიანს მინდა ჩავწვდე,
სიყალბეში ვეფლობი,
ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე,
კვლავაც ყველას ვენდობი.
გველთან ბრძოლას შეეცადე
მაგრამ მაინც მაცდუნა.
თუკი ცურვა არ ვისწავლე,
ზღვაში როგორ გავცურავ...

*

ადამიანი... ჩვენ, რომ გვგონია
იმაზე მეტად ყიფილა მომცრო...
ვინც ძლიერ გიყვარს და შენს სულს ანდობ,
სწორედ ის უნდა გადაამოწმო...

სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე

როცა მიხვდები ბრბოთა სიბრმავეს,
თვალხილულს ნაცარს გაყრიან თვალში.
ფეხით თელავენ შენს წილ სიმართლეს,
შენ კი... ტკივილი დაგიდის ტანში.
კარგის მშენებელს მარჯვენას გჭრიან,
ნაჭრილობებში გაყრიან მარილს.
როცა შენს თვალწინ იესოს სჯიან
და შენ კი, მისი შველა არ ძალგიძს.
როცა ცხოვრება გიმეტებს ეულს
და ბარაბები გყიდიან ვერცხლში.
ყვავ-ყორნებივით გჯიჯგნიან სხეულს,
ქეთევანივით გდაგავენ ცეცხლში.
როცა სამშობლოს ხურდაში ცვლიან,
ცრემლები ღვარად ჩამოგდის ღაწვზე.
შენს გამძლეობას სამსჭვალით ცდიან...
და შენ კი მაინც, ლოცულობ მათზე.
როცა მიხვდები, ხარ მარტოდ-მარტო,
შენი ტკივილი არავის ესმის.
დარდი და სევდა გაწვიმს და გათოვს
და სხეულიდან ღრიალი გესმის.
შენი სიცოცხლე არ უღირთ ფასად,
შენი წამებით იხდენენ წადილს,
შენს ირგვლივ მაშინ სიცოცხლის ნაცვლად
გზააბნეული სიკვდილი დადის.
სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე,
ბნელით შეცვალეს დილა მზიანი.
თავის ცოდვები აგკიდეს მხარზე
და მიგატოვეს თვალცრემლიანი.

სტუმარი წუთისოფლისა

მამა მელქისედეკ ხვედელიძეს.

ღვთისგან ხარ გამოგზავნილი,
სანდო მხედარი უფლისა.
ერთი კეთილი კაცი ხარ,
სტუმარი წუთისოფლისა.
დახვალ და გულით თან დაგაქვს
ქრისტესმიერი სინათლე.
ამ ცბიერ წუთისოფელში,
კბილით გიჭირავს სიმართლე.
ტანთ მოთმინება გაცვია,
გულში ღვთის მადლი ჩურჩულებს.
სიკეთის ნერგებს ახარებ,
სულში მტრედები ღუღუნებს.
მრევლს ანეტარებ ლოცვებით,
ქრისტეს მცნებებით ქადაგებ.
სული ისეთი წმინდა გაქვს,
ამბიონიდან ანათებს.
გულზე ასნც გადაგიარა,
ცრუ ჟამსაწუთროს გრიგალმა.
უმწიკვლოდ იხდი ქვეყნის ვალს,
რაც დაგაკისრა უფალმა.
ციური ანგელოზები,
ცის საუფლოდან დაგხარის
და ყოველ დილით მზესავით,
ქალ ვაჟის სული დაგნათის.
ღმერთმა დაგლოცოს ღვთის კაცო,
გაშოროს ავი, მზაკვარი,
ბევრს მიუჩინე შენს გულში,
სიცოცხლის თავშესაფარი.



ირმა ტყემალაძე

* * *

დღენი გაგვითენე
ღმერთო მადლიანი
კაცი არ გვენახოს
ქვეყნად დარდიანი.
ყველა ყოფილიყოს
მუდამ მხიარული,
ხედვა გვქონებოდეს
ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი.
შურიც გამქრალიყოს
ბოღმაც მიმალული,
ზიზღი კიარ იყოს
მხოლოდ სიყვარული.

* * *

ლოცვა მსურდა და ტაძართან მისულს
თითქოს მთელ სხეულს ჩრდილი მიადგა,
უცხო განცდები თრგუნავდა ჩემს სულს
მივხვდი რომ მისვლა დამაგვიანდა.
სიკეთე მსურდა მიმეღო უხვად,
ნუგეში ვთესე ადამიანთა
მაგრამ აქ ყველა თავისას სწუხდა,
მივხვდი რომ მისვლა დამაგვიანდა.
სიყვარულისთვის ვიბრძოდი მუდამ,
ფიქრებს ვმართავდი სამართლიანად,
გაუცხოებულ გულს, გული სძულდა
მაინც ვიწამე ადამიანად.
სადაც ვიარე ვნახე მსგავსება
და ბოლოს რაც კი ძლიერ ვინანე,
ეს იყო დროის ვერ დაფასება
რადგან სულ ყველგან დავაგვიანე.

* * *

სევდა უძლეველი
ცრემლად დადენილი,
დარდი უთქმელი და
ცოდვა ჩადენილი,
ოცნება უსამართლოდ
მსხვერპლად შეწირული,
გრძნობა უთანაგრძნო
ხედვით გაწირული,
მაინც მდუმარების
დიდი მოყვარული,
ტრფობის ყველა ფრაზა
ვნებით მოპარული,
გულის მძაფრი ძგერა
სუნთქვა მოჭერილი
ყელში ყველა ბგერა
ბოღმად მობჯენილი,
სულის მელოდია
ყველა არეული
ღამის მოტრფიალე
ვითარც მთვარეული,
შხამი მომდინარე
სისხლში გარეული,
ფიქრი მგლოვიარე
აზრი არეული
ბევრი მობინადრე
მაგრამ ცალკეული,
ასე ბევრის მცოდნე
და ვერ გარკვეული,
იდგა ბოროტების
ნისლში გახვეული,
ყველა სიკეთეზე
თვალი ახვეული,
ღირსება დაფლეთილი
სინდის დახეული
სიხარბე კაცის ტყავში
ურცხვად გახვეული.

* * *

თუ ისე მოხდა, რომ ვერ შევძლო
შენთან დარჩენა
და თუ ცხოვრების სისასტიკემ
გადამიარა,
თუ ბედისწერის მრისხანებამ
დრო გააჩერა
და თუ სიკვდილმა დამიცალა
სუნთქვის ფიალა,
თუკი უჩემოდ გაზაფხული ვეღარ
გაგათბობს,
თუ შემოდგომა ვერ განკურნავს
მაგ შენს იარას,
იმ მოგონებებს შეეკედლე, ერთად
ყოფნის დროს
ბედნიერების ტალღებად რომ
გადაგვიარა,
დიდხანს წარსულში მოგზაურიც
ნუ გაჩერდები,
არ მისცე ნება დაგიმონოს
სულის იარამ,
უნდა იბრძოლო მომავლისთვის
ნუ დანებდები,
ვერაფერს შეცვლი, ღვთის ნებაა
ჩვენი კიარა,
თუ ისე მოხდა, რომ ვერ შევძლო
შენთან დარჩენა,
მხოლოდ ილოცე ჩემი სულის
გადასარჩენად.

* * *

დაღონებულა დედამიწა,
როგორ დაღლილა,
ამდენ ცოდვილთა შორის
ცდილობს გზა გაამყაროს,
გვიან მივხვდებით რომ
ცხოვრება ამად არ ღირდა,
უსიყვარულოდ რომ დარჩება
მთელი სამყარო.
ადამიანო რისთვის იბრძვი
მაინც რა გინდა?
სხის დასანახად რატომ ცდილობ
ჯვარი ატარო,
ნუთუ სიცოცხლე არ ჯობია
უფრო მარტივად
და სიყვარულის დახარჯვაში
რომ გაატარო?.
გადაიღალა დედამიწა,
დაღონებულა,
ამდენ მოძულნეს რა ძალა აქვს
ბრალი აყაროს,
უმრავლესობა დღეს სიძულვილს
დამონებულა,
უსიყვარულოდ იღუპება
მთელი სამყარო.

"ანდრია" ანზორ შერვაშიძე

* * *

ერთი რამე მაქვს სათქმელი,
გონების ჰწკენის მაგვარი,
წმინდა წიგნებში მრავალი
გვხვდება ნათქვამი ამგვარი;
ამ ქვეყნად ყოველი ქმნილა
მიწისგან ძალით უფლისა,
მან მოახდინა ხორცშესხმა
უსხეულოსი სულისა.
სხეული მიწას ეკრობა
ანდამატისა ძალითა,
სული ზეცისკენ მიილტვის,
იწვება ტანჯვის ალითა.
ხანდახან ისე მოხდება,
რომ სულს იმონებს სხეული,
თავისთავს ძლიერ ჰატივს სცემს,
დრუნჩი აქვს ამოწეული.
ვერ ამჩნევს თუმცა ბევრია
ავადმყოფი და ეული,
გამხდარი, ძვალი და ტყავი,
გაძღომას გადაჩვეული.
რომ არასწყალობს იღბალი,
არ არის ამქვეყნიური,
ტანჯავს და თრგუნავს, ვერ გუობს
ცხოვრება ყოველდღიური.
ბოლოს ორივეს უდგებათ
დღე ფურცლად ამოხეული,
სიკვდილი ყველას მოცელავს
არვინაა გამორჩეული.
პირველი მიწაზე რჩება,
ტალახში ამორეული,
წერაც არამსურს ვერ იტანს
ამ სათქმელს ჩემი რვეული.
მეორეს შვება ეძლევა,
ფრთებს გაშლის თავისუფალი,
სამოთხის კართან დახვდება
მას მომღიმარი უფალი.

* * *

რომ ვკითხულობ ისტორიას
და შენს დღეთა შავ-თეთრ ფერებს,
მინდა მკლავები მოვხვიო
შენს მთებსა და მინდორ ველებს.
მრავალ ბრძოლის გადამტანო,
დაშრამულო საქართველო,
ტკივილგამძლევ და ამტანო,
საოცნებოვ, სანატრელო.
შენს ჭრილობებს ჩემს მკერდზე ვგრძნობ,
ყველა შენი ომი მტკივა,
შენი ტანჯვის დღეთა მსმენელს
სისხლი მდის და ცრემლი მცვივა.
შენთვის მუდამ თავს სწირავდნენ
შენს გულ-მკერდზე გამოზრდილნი,
ელვა-მეხად ეცემოდნენ
მტერს მშვიდნი და აღზრდით ზრდილნი.
მათი სისხლი დღეს ღაღადებს,
მოუწოდებს ქართველთა ჯიშს:
"მტერთან მტრულად მოიქეცით,
მოერიდეთ კრძალვას და შიშს"
სულ ყველაზე პატარა ხარ,
მაგრამ ყველა დიდზე დიდი,
ღვთისმშობელის წილხვედრი ხარ
დაგიდგება შენც დღე მშვიდი.

* * *

დღეს ჯოჯოხეთის გაიღო კარი,
სულს ისევ ტანჯავს სევდის ხვიარა,
დღეს ჩემს ჭრილობას შეახეს ხელი
ისევ ღია მაქვს გულის იარა.
თუმცა ცხოვრებამ აღარ დამინდო,
ჩემი ტკივილი ღმერთამდე ადის
ყრმობის სიკეთე ჩემში კვლავ დარჩა,
ჩემს წყლულს ვარდების სურნელი ასდის.
სევდა ნისლივით დამაწვა გულზე,
შვებას არსაით, არვისგან ველი.
ახლა დავთვრები, მერე სიკვდილზე
ვიმუსაიფებთ მე და გრანელი.

* * *

ბევრი ზამთარი გავაზაფხულე,
ბევრი ვიტანე თოვა და ქარი
და ვერცერთ ზამთრისს ვერ შევადარებ;
სიცივეს ერთი გულცივი ქალის.
ბევრი ვიარე ქვიანი გზებით,
სასტიკი გზებით მთისა და ბარის,
თუმცა, ვერცერთ გზას ვერ შევადარებ;
გულთან მისასვლელს ამ უგრძნობ ქალის.

* * *

მერის

როდესაც გავიგე
 რომ უკვე გათხოვდი,
მეგონა: "ეს განცდა
 სულს ხორცთან გამაცლის"
თითქოსდა ვიღაცა
 გულს ხელით მაცლიდა,
თითქოსდა უდიდეს
 ბრძოლაში დავმარცხდი.
დემონის ოცნებას
 მოჰგავდა ის ღამე,
ცხენს დეზი შემოვკარ,
 მივუშვი სადავე,
გაფრინდა მერანი,
 უგზოდ და უკვალოდ,
მომწყვიტა დარდის და
 ფიქრების სათავეს.
და მაინც თითქოსდა
 ბოროტი ხმა მესმის:
"ის შენი არ არის,
 ის უკვე წავიდა"
მომყვება ეს ხმა და
 კივილით ჩამძახის:
"მარტო ხარ, მარტო ხარ
 ამ მწარე წამიდან."

* * *

ვარ ერთი მთიელი კაცი,
გული სულ მთისკენ მიმიწევს,
ამოვალ თქვენთან მწვერვალნო
თუ ისევ თქვენ ძმად მიმიღებთ.
 რა ძლიერ მომნატრებიხართ,
 ცად აზიდული კლდეები,
 მგონია ფუჭად გავლიე
 უთქვენოდ ჩემი დღეები.
ბედნიერი მე მთაში ვარ,
იქ უფრო ახლოს მყავს უფალი,
იქ სიცოცხლეს ვგრძნობ ფილტვებში,
მე იქ ვარ თავისუფალი
 ნისლს რომ ჩამოშლის მწვერვალი,
 როგორც ჩემ ლურჯას ფაფარი,
 შეზანზარდება სამყარო
 ისმის ზვავების ხარხარი
ელვა რომ გაჰკვეთს ცის ტატნობს,
წვიმაც არ დაიგვიანებს,
მთელ სამყაროს ვგრძნობ ჩემ თავში
მეხი რომ დაიგრიალებს
 ჯიხვი დასერავს მთის კალთებს,
 რქებ დაგრეხილი ბერხენი,
 ჩემ წამონამღერ ლილეოს
 ექოს აძლევენ კლდე-ხენი.

ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

* * *

დალოცვილ იყავ მგოსანო,
უფლისა გედგას ნათელი,
ჩაუმქვრალ იყოს შენთვისა
საკმეველი და სანთელი.
შენს ლექსებს უფრო მეტად ვგრძნობ
რაც დრო გადის და ვბერდები,
დღესაც მეფე ხარ მწერლობის,
დგახარ ვით ჯიხვი ბერხენი.
გიყვარდა ქართული მიწა,
აამეტყველე მთა-ველი,
შენ შესძელ რაც ვერვინ შესძლო,
ერთია ვაჟა-ფშაველი.

ნატალია აბდუშელიშვილი

* * *

როგორ აგიტირეს გული საქართველოვ,
ტყვიამ გაიარა გულთან თანაბარად.
როგორ არ გცხვენიათ, რატომ გაგვიმეტეთ,
რატომ არ გვიცავდით მტრის დასანახად.
ეს ის ბავშვებია სიმწრით გამოზრდილი,
სითბო და ალერსი ყველას რომ აკლიათ,
სული დაკემსილი კვლავაც აწიოკდა,
ძარღვებს მომდგარი სისხლი მოდიოდა.
ცივმა ქარიშხალმა ისევ დაუბერა,
ქართველს ქართველისთვის ტყვია ემეტება,
სიზმრად რომ მენახა, იქაც მოვკვდებოდი,
ამას არ ველოდი, არც კი ვიფიქრებდი,
მამა თავის შვილებს ასე გაწირავდა.

სანაპიროზე

სანაპიროზე ზღვის ტალღები ბობოქრობს, ღელავს,
მზის სხივი აღწევს ჩემს გულამდე, ქვიშა ცხელია,
დაგიჩემე და აქაც შენი აჩრდილი დამდევს,
უშენობა კი საყვარელო, მართლაც ძნელია.
ტალღების ხმაურს უცნაური, ფერები დაკრავს,
გულით სულ დამაქვს საყვარელო შენი ალერსი,
თუ ზღვის ტალღებმა გაიყოლა ჩემი დარდები,
ჩემი გჯეროდეს უფრო ძლიერ შემიყვსრდები!

* * *

თქვენ გენაცვალეთ ბიჭებო,
ეს რა დღე გაგვითენდაო,
რომ ასახელეთ სამშობლო
მეტოქე გულზე სკდებაო.
მამარდა, შენ გენაცვალე,
ეს რა მამაცი ყოფილხარ!
ჰაერში ისე დაფრინავ,
ბიჭო, არწივი მგონიხარ.
შენს გამზრდელს მადლობა ვუთხრათ,
კარგი რომ გამოუზრდიხარ,
ეს რა ბოკვრები გვყოლია,
დაგლოცოთ წმინდა ლომისამ.
სულ გამარჯვებით მოგევლოთ
საქართველო თუ ევროპა.
კარგად დასრულდა ზღაპარი,
კეთილი ყველგან სწორია,
თქვენ ასახელეთ სამშობლო,
აბა, ამას რა ჯობიააა!

* * *

შემომაღამდა, ფიქრი არ მტოვებს,
ფეხდაფეხ დამდევს, არ მომასვენა,
ზღვაში შევცურე თვალცრემლიანმა,
უცბად გაწვიმდა, თითქოს გათოვდა.
შენ ბედის წერავ, რატომ მაშინებ,
რატომ არიე ჩემი ცხოვრება,
ნუთუ სიყვარულს არ ვიმსახურებ,
ჩემი გრძნობების კორიანტელად.
მტრედისფერ მთებზე ნისლი ჩამოწვა,
ცისარტყელამაც შეკრა კამარა
და შენ რომ არა, უფალო, ისევ
ვერ გავუძლებდი ამდენ დანაკარგს.

* * *

გარეთ გახედე როგორ წვიმს,
ეხლა ქუჩაში დაქრის ქარი თავნება,
თუ ჩვენ ამ ზაფხულს ერთად ვიქნებით,
ვერაგი მტერიც ვერ მოგვერევა.
შეშლილი ფიქრი აწყდება კედელს,
სიცარიელე დაბორიალობს
და თუ შენ მეტყვი, არ შეგიყვარო,
მაშინ არასდროს არ დავწერ ლექსებს.
მაჩუქე ეს ღამე, მაჩუქე ეგ გული,
სიგიჟის წუთები მეწვია ძვირფასო,
დღეები, თვეები ზეცისკენ მიქრიან,
გახუნდა, განელდა როგორც ღადარი,
მინდა დაიჯერო უშენოდ მკვდარი ვარ.
ისე დავდივარ როგორც ყაჩაღი,
გინატრე, არ ვნანობ, გავები მახეში,
ჩემს გულში ჩავწერე შენი სახელი,
ხელი ჩამკიდე და ნუღარ შემელევი
წვიმასაც გავანდოთ ჩვენი საიდუმლო!

* * *

ჩემს გულს ჭრილობის კვალი ატყვია,
დასერილია როგორც საცერი,
რად მინდა ფული, ოქრო, დიდება,
თუ არ მერქმევა ისევ ქართველი.

დაინაწილეს, დაშალეს ირგვლივ
თუ დავითს რამე უშენებია,
ყვავ-ყორნების საჯიჯგნად გახდა
გაბრწყინებული კვლავ იბერია.

შენ ჩემო მიწავ, სისხლით მორწყულო,
რამდენჯერ უნდა ზიდო უღელი.
ვიცი, უფალი არ მიგვატოვებს
და არ გავხდებით სხვისი ნაწილი!

***

ნუ დაღონდებით ბიჭებო,
მაჭარი უკვე დაღვინდა,
ქვევრიდან ისე გადაგვაქვს
წვეთიც კი არსად დაიქცა.
ვისურვებ წარმატებები
სულ მოდიოდეს თქვენითა,
გამარჯვებები იწყება
ოვაციებით, მღერითა.
ეხლა იწყება ცხოვრება,
თასი შევავსე ღვინითა,
ისეთ მომავალს გისურვებთ,
ვარსკვლავებს თვლიდეთ ხელითა.
ჩვენც მუდამ თქვენთან ვიქნებით
სიყვარულით და ლხენითა.

ფიქრები

ჩამძინებია წუხელს ფიქრებში,
ჩემს საქართველოს მტერი ესია,
წინაპართ სულის შემონახული
კოშკებს სვიარა შემოხვევია,
იბრძოდა ყველა გაშმაგებული,
არწივებს ბუდე დაუნგრევია,
აღარ ისმოდა ურმული, ნანა,
თურმე ეს მტერი ისევ ჩვენშია,
დასრულდა ჩემი ღამის ტკივილი
დაღლილს დაქანცულს,
გამომეღვიძა ზეცას ავხედე
თვალცრემლიანმა გული
სევდისგან ლამის გამისკდა!

* * *

ამ ბოლო დროს მომეჩვია სევდა,
სიმარტოვეს ვეღარ ვუძლებ ვატყობ,
თმებსაც თეთრად დასდებია თოვლი,
ამას კიდევ უკვე აღარ ვდარდობ.
შენი გულის ძგერა ვიგრძენი,
შევიგრძენი წუთით შენი სითბო,
მკერდთან თითქოს სისხლმა ამოფეთქა,
ამიტომაც მთელ ჩემ ფიქრებს გითმობ.
სითბო კვლავაც ჩაიღვარა გულში,
გადიყრება ნაღველი და წყენა,
მინდა იყო ჩემთვის ერთადერთი,
ჩემი სულის გულის მათრობელა.

* * *

დეკემბერი მიილევა მალე,
მერე მთებზე მოადგება თოვლი,
გადაღლილი მიუჯდები ბუხარს,
ფინჯან ჩაის შევექცევით ორნი.
დაღლილ თვალებს მოადგება ცრემლი,
სიყვარულით გავიხსენებთ ძველ დროს,
როცა კითხვებს დაგაყრიდი, იცი?
მე მიყვარხარ, შენ კი სხვაზე ფიქრობ.

ლეილა ვადაჭკორია

მაინც შენ დაგეწაფები

შენ სიყვარულო ამ ქვეყნად
რა აღარ შემაძლებინე,
შიშის გრძნობა ხომ ჩამიკალ
ჭიუხი მომარბენინე.
ნატვრა მასწავლე, ოცნება
ღრუბლებში დამათვლევინე,
მიუვალ გაუკვალავზე,
ხელთ საჭე დამაჭერინე.
სამყაროს ათას ფერებში
რა სინატიფით დამხატე,
ხანდახან ცრემლიც მადინე,
ხანაც ეჭვებით დამზაფრე.
მაინც შენ დაგეწაფები,
მე უღალატო გვარის ვარ
უსაზღვროდ მოგეფერები,
სულ ხელისგულზე დაგისვამ.

* * *

ღრუბლებმა ცაზე
ყველაფერი არივ-დარია...
ეს რა ხანია
ქუხს და ელავს,
ქარიშხალია.
მზის მოლოდინში
მოლოდინმაც სული
დალია.
იმედის სხივი?
პაწაწინა ნაპერწკალია.
სული უბერე,
აარიდე ავი თვალია,
რომ იგიზგიზოს,
გაანათოს მომავალია.

მამულო
(ხალხურ მოტივზე)

ხან ყვავილნარებს ვუმღერი,
ხან დილას ცინცხალ მზირალსა.
მთა და ბარს გადავევლები,
მზეს შევღიღინებ მცინარსა.
თავი საუფლოს მგონია
თვალს რომ ვუსწორებ მყინვარსა,
მდინარეების ქუხილსა,
არწივს ზეცაში მყივანსა.
შენს მიწას დავეკონები,
სახეს გიკოცნი მძინარსა.
შენ მყავდე კარგად მამულო,
ვერავინ მნახავს მტირალსა.

* * *

დრო გავა და,
ზოგი დარდი,
ქარს და ნიავს
გაჰყვება,
ზოგიც კიდე
ისეთია,
სამარეში ჩაგყვება.
სული შვებას
ვერა ჰპოვებს
თუნდ სამოთხის
მკვიდრია,
სევდა უსასრულობიდან,
სამარემდე ჰკიდია.

* * *

თეთრს შავად ისე მონათლავ,
წარბს არ შეიხრი
წამით,
თან ისე მიხლართ-მოხლართავ
ხან უკუღმა, ხან
წაღმა,
შენ რომ გისმინო, გეთაყვა
რიონი მიდის
აღმა.
როდის მიხვდები სიავე
თავად მოგიღებს
ბოლოს,
მზეს რას დააკლებ,
საკუთარ
თავს თუ დაიწვავ
მხოლოდ.

მეორედ მოსვლა

არ უსმენ მამაზეციერს,
ყველაფერზე გაქვს შეტევა,
ამდენი უაზრო ქცევა,
აღარაფერში ეტევა.
სულ ამოძირკვას რად ლამობ,
ასკილს გაუდგამს ფესვია,
რას ერჩი ვარდის წინაპარს,
ხარობს თავისთვის ტყეშია.
მინდორში ყაყაჩო ყვავის,
ნაომარ და ნასისხლარზე,
ცვარ-ნამი ეალერსება,
თავს ესხმი დილა-სისხამზე.
შენი სამშობლო არ გიყვარს?
რად გეცოტავა იორი,
თერგი, არაგვი, მტკვარი, თუ...
აზვირთებული რიონი.
დუნაი თუ გეფიცება,
თუ ვერ იხსენებ ჭოროხსა,
არ იმსახურებ ქართული
მიწის პატარა გოროხსაც.
`მეორედ მოსვლა~ _ რა არი?!
მკითხე და გაგიმეორებ!
`ილია მართალს~ ესროლეს,
ახლა უმიზნებს `მეორეს~.
ღვთისმშობლის ხატზე ილოცე
აქა გვაქვს მისი კვართია,
ბოდბეში წმინდა ნინოსი
წმინდა სანთლები ანთია.
გელათში, სვეტიცხოველში,
უთვალ სალოცავებში,
ყველგან შენოდბა ითხოვე,
წმინდანს ჩახედე თვალებში.
გაღმელის დაძმობილებას,
სჯობს ჯერ შინაურს იძმობდე,
შენი სამშობლოს ღირსების,
პატივისათვის იბრძოდე.

დიდების ღირსი

ვინც არის მართლა
ბოლომდე წრფელი,
ვინც შეაშველა
სიმართლეს ხელი,
ვინც კაფა ისე
ცხოვრების ახო
არ გაიკარა
სიავე ახლოს,
ვინც არ მოირგო
ნიღაბი სხვისი,
აი, ვინ არის
დიდების ღირსი!

გაყოფის ზღვარი

სულ სხვის უფლებებს
ებრძვი და ებრძვი,
თავის უფლება
რომაა მართლაც.
დაეხსენ ამ ხალხს
ისუნთქონ ლაღად,
სულ სხვის ბუხარში
რად ქექავ ნაცარს?
აგორებულ ქვას
ვერ შეაჩერებ,
ის მაინც მივა
გაყოფის ზღვართან,
მთა – მთა არი და
ბარი – ბარია,
გამოყოფილა
ხმელეთი ზღვასთან
შენ კი ჯიუტად
შენსას არ იშლი,
ყველაფერს შენი
გონებით ნათლავ,
ჩვენი ქვეყანა
მიზანს მიაღწევს,
რადგან მომავალს
ვუყურებთ ნათლად.

* * *

სად არ ვიხეტიალე
დავიღალე ქაოსით,
მაინც არსად მინახავს
მჯობნი ჩემი სამოთხის.
ბოლოს ვნახე სადარი,
ძებნაში რომ დავოსდი,
თუმც სილაღე ვერ ვპოვე,
სხვის დაკემსილ სამოსში.
შვებით ამოვისუნთქე
ჩემს პატარა ბუდეში,
კართან მიცდის სულ ახლოს
სიყვარული, ნუგეში.
მართლა ბედნიერი ვარ,
ხარობს რასაც ვეხები,
კედლებიც კი იღიმის,
ჩემი ხელის შეხებით.
ნუშიც ყვავის, ატამიც,
საპატარძლო ალუბალს
ახლა ტკბილი ბაასი
ჩიტუნებთან გაუბამს.

დავით მოდებაძე

დაპირება

სინათლეს დაგიშლი უამრავ ფერებად,
სიყვარულს აგიხსნი ჯადოსნურ ბგერებად...
ყოველ დღე გაჩუქებ უსაზღვრო სამყაროს,
ხატებთან ვილოცებ, – შენთან არ გამყაროს...
ყვავილებს მოგიტან ედემის ბაღიდან,
ვარსკვლავებს მოგიწყვეტ კაშკაშა თაღიდან...
თეთრ პეპლებს დაგაყრი სხეულზე ფიფქებად,
ვიცი, დაიღვრები ვარდისფერ ფიქრებად...
ქათქათა ღრუბლებში სასთუმალს მოგიწყობ,
ცვრიანი ბალახით სამოსელს მოგიქსოვ...
ნავით მოგატარებ წალკოტის ნაპირებს,-
მენდე, შევასრულებ ყველა დანაპირებს...

სიმართლის წამი

სიმართლის წამი თუ ხელიდან გაშვებულია,
დაუშვებელი კი ხალხისთვის დაშვებულია,
ჩვენი ცხოვრება თუ ვინმესგან გასაწერია
და ათი მცნება ხელთავიდან დასაწერია,
ზნეობის ზღუდე უზნეობით თუ ჩანგრეულა,
განკითხვის ჟამი კიდევ ერთხელ გადაწეულა,
სატირის თეატრს თუ ფარდები აუკეცია,
ჩუმი სიკეთე ყველას გულში ჩაუკეცია,
კაცის სიმართლე თუ ტყუილად გადაქცეულა,
ხოლო სინდისი ტყვეობიდან გამოქცეულა,
გონიერება თუ შიშისგან დაუცველია,

თბილისის ღამე

შენ მეოცნებე, ჭორიკანა, თბილისის ღამე,
ჩემს მარადიულ სიყვარულზე მიამბე რამე...
საით წავიდა ჩემი გოგო, ანდა სად არი,
ამ ქვეყანაზე მე ვერ ვნახე, მისი სადარი...
გულში მინთია ბობოქარი გრძნობის ღადარი,
უნდა შეცვალოს სამუდამოდ დარმა ავდარი...
გთხოვ, დამეხმარე, მეოცნებე თბილისის ღამე
და ჭრილობები მთვარის შუქზე შენ დამიამე...

მოლოდინი

გულს ენატრები, გული ბობოქრობს,
მინდა შენი ხმა სადმე გავიგო,
რატომ წახვედი ასე უთქმელად,
მსურდა, რომ მახე ისევ დაგეგო...
ვერ დავივიწყე შენი თვალები,
შენი ლოყები ცრემლებით სველი,
შენი ღიმილიც ვერ დავივიწყე,
შენი თითები და შენი ყელი...
სული კვლავ წვალობს შენს დანახვაზე,
ისევ ჩემად გთვლი და ისევ გელი,
ჩემი ფიქრები შენსკენ მოჰქრიან,
არ დამეკარგო, ჩამჭიდე ხელი...
მთელი სიცოცხლე შენ მოგიძღვენი,
მაბედნიერებ მხოლოდ შენ ერთი,
გამიფერადე რუხი ცხოვრება,
ხარ სიყვარულის ჩემი ქალღმერთი...

ვხვდები

ბოლო დროს ვეღარ ვხვდები,
რატომ მიჩუმდნენ ხმები,
როგორ გავიდნენ წლები,
გულში ყმაწვილად ვრჩები...
აღარ შემომრჩნენ მტრები,
არც ძველი მეგობრები,
მხოლოდ ახლაღა ვხვდები,
რა ძლიერ მენატრები...
მაგიჟებს შენი თმები,
მე ისევ გელოდები,
ყოველდღე ვიბადები
და მერე ისევ ვკვდები...
უკან დავტოვე მთები,
გადავიფრინე ზღვები,
უკან დავტოვე წლები,
უკვე ფიქრებსაც ვცდები...

ჩემს მეგობარს
კახას

გადაიკვეთა ჩვენი სავალი,
სულს ეფინები როგორც წამალი...
დიდი კაცი ხარ, ყველა გაგებით...
არ დავიღლები შენი შექებით...
იცი ნამდვილი მეგობრის ფასი,
უცხოა შენთვის სიცრუე, ფარსი...
დიდი ოჯახის ფუძეზე მდგარი,
ეკლიან გზაზე ნებით შემდგარი...
მატარებელი ქართული გენის,
სიდარბაისლე ყრმობიდან გშვენის...
ნიჭიერება გვარით მოგყვება,
შენს სიკარგეზე ხალხი მოყვება...
ქართველი დედის ლამაზო შვილო,
ღმერთმა დაგლოცოს საშვილიშვილოდ...
ძმის ერთგული ხარ, მეუღლის ფარი,
ოჯახში ჰპოვე თავშესაფარი...
ლომის სამ ბოკვერს უზრდი სამშობლოს,
დარდი და წყენა ღმერთმა გაშოროს...
მუზათა გუნდი დაგელოდება,
გამარეჯვებები წინ გელოდება!..

თხოვნა

შევუდექი სისხამ დილით აღმართს,
ნაბიჯები ჩემი არის ნელი,
მეგობრებო არ მაქციოთ ზურგი,
გზად მიმავალს შემაშველეთ ხელი...
მომისმინეთ ისე, როგორც უწინ,
თხოვნისაგან ჩამეხლიჩა ყელი,
ამ ბრძოლაშიც გამომყევით ისევ,
მიერთგულეთ კიდევ ბევრი წელი...
განმიკითხოს იმან, ვინც მიყვარდა,
გოლგოთის მთას დაუსვიათ ძელი,
დავიღალე აღსარების თქმისგან,
სიკვდილს თავთან აღუმართავს ცელი...
ნუ დამტოვებ, გევედრები ღმერთო,
თვალები მაქვს ცრემლებისგან სველი,
პატიებას მე თქვენიდან ვითხოვ,
შენდობას კი უფლისაგან ველი...

ამაოება

ღამეს შეერია უცოდველი ფიქრი,
კედელს ეხეთქება დაკარგული რწმენა,
წამწამს დაეკიდა მოფარფატე ფიფქი,
წერტილს მიეჯაჭვა გაყინული მზერა...
ლაქად გადაიქცა გადმოღვრილი ცრემლი,
ზეცას გამოეყო მეწამული ნისლი,
წვიმამ გააგრილა გაბზარული გრდემლი,
მიწამ შეიწოვა დანთხეული სისხლი...
ტალღამ გამორიყა მოელვარე მძივი,
ყინვამ შეიბრალა გაბუტული ვარდი,
ღრუბელს გამოექცა მოკაშკაშე სხივი,
დილას შეეჯახა მტკივნეული დარდი...
მდევარს გადაურჩა მატყუარა ბოშა,
ქვიშით დაიფარა არეული კვალი,
ქარმა მოიტაცა დახეული დროშა,
ბრძოლით დაიღალა უქარქაშო ხმალი...

ბაბუის ხსოვნას

მას უხდებოდა ქამარ-ხანჯალი,
და „კარაკულის'' ბოხოხი შავი,
გულით უყვარდა ყველა ქართველი,
სვანი, გურული, ხევსური, ფშავი...
დააბიჯებდა მხრებში გაშლილი,
თეთრ „ყაბალახზე" ცეკვავდა ლეკურს,
მტრის დამოყვრება არ აშინებდა
თან დაყოლილი ღირსებით შემკულს...
უფრთხილდებოდა აკაკის მირონს,
კარგად იცოდა ნათლობის ფასი,
ყველგან ეძებდა სიკეთის მიზეზს,
გზებს უნათებდა ვარსკვლავთა დასი...
შებინდებულზე მნათობის შუქი,
ეფინებოდა მის სახეს ნათელს,
ლექსის, სიმღერის უბადლო მთქმელი,
დიდი მგოსნის სულს უნთებდა სანთელს...
ღვთით ბოძებული დარბაისლობა
და შევარდენის ამაყი მზერა,
რომ შეხვედროდით, თუნდაც შემთხვევით,
შეიყვარებდით უთუოდ, მჯერა...

ცისანა გვრიტიშვილი

დრო არ ჩერდება

დროის დინებამ დაუნდობელმა,
ნაცრისფერ ღრუბლის წლებით მატარა,
ზაფხულს მასხურა ხოშკაკალ- წვიმა,
ზამთარს მოლიპულ გზით გამატარა.

მიმოვიხედე დავძაბე მზერა,
ვძებნე ჩემსავით ბედის ამარა,
ვნახე სხვაც იყო უმისამართო,
ვერ გაეკვალა კუთვნილი შარა.

გონზე მოვეგე ჯიუტი ქალი,
გამჩენს შევთხოვე შველა საფარად,
შავი ბურუსი ქარისთვის ეძღვნა,
მე შემრჩენოდა ზეცის კამარა.

მართლაც დამიდგა დრო გასახარი,
შვილნი მიმრავლდნენ უფლის ამალად,
ლაჟვარდი ციდან მზემ გამიღიმა,
გულმაც გრძნობებით გაითამამა.

დროის დინებამ კვლავ ჩაანაცვლა,
ზაფხულს-ზამთარი ყინვის პრიალით,
ვარდობა შორეთს ჩრდილებს აფარა,
შემრჩა სიბერე თვალცრემლიანი.

უწინ ჯიუტი, ახლა მორჩილი,
თმენით ვიშუშებ სულის იარებს,
ტკივილს მიყუჩებს უფლის იმედი,
მწამს ნაშრომ-ნაჯაფს გამიმზიანებს.

ფარული გრძნობა

ზამთარს ნაგროვი უტყვი გრძნობები,
გულში მალული ნაცრისფერ ნესტით,
მზეს მიუფიცხე გამოსაშრობად,
ვერ გავიმეტე დავტოვე ერთი.
ეს გულმა იცის ვისი წილია,
ფარული გრძნობა, ცეცხლი წარსულის,
ახლაც რომ კვნესის გულის ფიცართან,
უჭკნობ ძარღვებში ფესვჩახლართული.
უჭკნობ სიყვარულს ფერი წაერთვა,
ცეცხლისფერ ვარდებს ჩამქრალის ფერი,
სიომ დაბერა უძალო ფურცლებს,
მიწას მოფინა, როგორც ნამქერი.
ზეცა დაღონდა გრძნობის გაქრობით,
თეთრი ღრუბელიც დარდით გალურჯდა,
იჭექა ელვამ, ღრუბლები გაჭრა,
წვიმის ლოდინით მიწაც დამუნჯდა.
ზღვად წამოვიდა ზეცის ღვართქაფი,
თვალმაც დაღვარა გულის ცრემლები,
ორივე ერთად ზეცა და გული,
მხოლოდ ერთ გრძნობას მოვეფერებით.

მებრძოლი სული

მარტოობა ზამთარივით მათოვს,
დარდის ქარმა შემაჟრჟოლა ტანში,
ხალხმრავლობა მომენატრა ირგვლივ,
უძლურობით ვერ გავდივარ ხალხში.
ჩემი ფიქრი არ მასვენებს მიწვევს,
სული ფრთებით გასაფრენად მიდის,
გრძნობის ცეცხლი მაახლოებს მიზანს,
ძალას მაძლევს სიძლიერე მიწის.
თუ წინ ჩადგა უკუნითი ღამე,
იმედად მყავს პირით ბადრი მთვარე,
ალიონზე ტოროლასთან ვიფრენ,
ცის სიღრმეში გუმბათების მხარეს.
ფრენით მოვივლი მთასა და ველებს,
ქედებზე ჩოქვით დავკრეფ გვირილას,
შინ მოუსვლელთა საძვლეს მოვკაზმავ,
ცრემლს შეუერთებ მტკვარს და ყვირილას.
სანთელს დაუნთებ წინაპართ საფლავს,
რადგან თაობა მათტან ვალშია,
აკვანთ სიმრავლე თუ გადაგვარჩენს,
მტერთა სამიზნე ჩვენკენ ცდაშია.
გვიჯობს მივხედოთ მშობლიურ მამულს,
არვინ მოგვისწროს მთვლემარს და მძინარს,
ბევრჯერ ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ,
არვის დაუთმობთ ღვთისმშობლის მიწას.

* * *

დრომ ჩემი გრძნობა წვეთ-წვეთ წაიღო,
გულს ჩამიტოვა დარდების ქისა,
ზეცამ ცის ნამი წამლად გაიღო,
სიცოცხლისათვის სხივები მზისა.

ჩემი ოცნება ფიქრში დავხატე,
ისიც გაფრინდა ღრუბლებში დარჩა,
უწინ მეგობრად ვინც კი მივიღე,
ისიც ბოლო დროს მომდური დამრჩა.

* * *

ჩემმა ცხოვრებამ მიმუხთლა,
გულს დამაჩნია ბზარები,
წასვლა მეწადა ვერ წაველ,
ვერსად გავაღე კარები.

დავჯექ ფიქრისგან დაღლილი,
ცას მოვატარე თვალები,
ღამე ითვლიდა ვარსკვლავებს,
არ დაჰკლებოდა თავნები.

ოცნებით ნაკვებ გონებამ,
მაცნემ სამყაროს ამბების,
ძილი დამიფრთხო მაფხიზლა,
არ მახუჭინა თვალები.

ფიქრმა ღრუბელზე შემომსვა,
ტყე-ღრეზე გადამატარა,
მუხების ჩუმი გოდება,
დაღლილ გულს შემომაყარა.

მანახა ტყეთა კორომი,
განათებული მთვარითა,
ძოვდნენ ქორბუდა ირმები,
საამო იყო ნახვითა.

ღრუბელს ეძალა ნიავი,
მთის წვერისკენ გამაქანა,
პირიმზეს ქორფა ყვავილთან,
ჩამახუტა-გამახარა.

ეჰ...კარგია ფეხით მოვლა,
ციხე-კოშკის, მთა- ველების,
უფლის მადლით აზრი მწყალობს,
რითაც სევდას მოვერევი.

წარსულ ცხოვრებას ეჭვით გავხედე,
ლაბირინთებში ყველგან ვიცქირე,
ვერსად მოვძებნე ჩემი აუგი,
თუ ვინმეს ვავნე ან თუ იწყინეს.

ეს კარგად ვიცი ცოდვის შვილი ვარ,
რწმენის სიმტკიცით თუგინდ დამსაჯონ,
უფლის მოშიში მათხოვრის კაბით,
მზად ვარ ვეახლო უფლის სამსჯავროს.

* * *

სამყაროს დამბადებელო,
შვილთა მფარველო ზეციდან,
მწარე ტკივილი ჩამიცხრე,
გულის სიმშვიდე მეღირსა.
არწივის ფრთები შეასხი,
საჯიშე ვაჟებს გვარისას,
დიაცებს ზეცის მნათობებს,
თვალი ვერ ერჩით ავისა.
დამრჩა ოცნება ტრიალი,
დაუცხრომელი ფიქრებით,
იმ ქვეყნის ბედი მაწუხებს,
როცა მე აღარ ვიქნები.
მჯერა მარადჟამს იცოცხლებს,
უფლის ნაკურთხი ქვეყანა,
ფხიზელი-მუხლჩაუხრელი,
ქრისტეს მრევლია ყველგანა .
ქალნი გულსავსე უბითა,
შვილებით დახუნძლულები,
სახლები მყარი საძირკვლით,
ქვით ხუროს მზა ქონგურებით.
ტაძრებს მლოცველთა სიმრავლე,
ალიონს ცისკრის ზარები,
საკურთეველთან წყვილები,
ჯაჭვის ქვეშ განატარები.
მე დრო დამიდგა დავეშვი,
სიცოცხლის ქედის ფერდობზე,
კვლავ ვიბრძვი ეკალ- ბარდებთან,
მზერას ღრუბლები მიღობებს.
ძლიერ ქვეყანას თუ დავტოვ,
რაზეც ვათევდი ფიქრებით,
ნუ დაიშურებთ შენდობას,
იმ ქვეყნად როცა ვიქნები.

მანანა სამყურაშვილი

წარსულის დამშვიდობება...

ვწუხვარ – ვერ ახდა შენი წადილი,
ქალო, ბადალო გაზაფხულისა!
ვერ გახდი,,მერი"-ღირსი ნამდვილი
და ჭეშმარიტი სიყვარულისა!..

აღარც ფიქრები, აღარც დარდები,
აღარც განცდები და აღარც სევდა,
აღარც ტიტები, აღარც გვირილა,
აღარ მსურს – ჩემგან,
რაც წლობით გდევდა...

დღეს უნდა შევძლო და საბოლოოდ,
წავშალო ჩემში შენი ხატება,
ჩვენი წარსული ფარსია მხოლოდ
და არასოდეს მომენატრება.

მაშ, იდილიას – ყოფას უცრემლოს,
შენ დაგიტოვებ, ხარ უდარდელი,
გიტოვებ სევდას-ტრფობის სიმბოლოს,
სიყვარულს დარჩეს წმინდა სანთელი!

დიადი გრძნობის დასაფლავება,
იქნება ჩუმი, უხმო, ფარული...
მიწას ცრემლების ნაცვლად ჩაჰყვება
სიცოცხლე, რწმენა და სიყვარული...

სულის სიმშვიდეს როგორ მიიღებ,
როცა წარსული არა მშვიდია,
თუ აღარ გიყვარს და ვერ ივიწყებ-
ეს სიყვარულის პანაშვიდია!..

შენ რომ ოდეს, საპატარძლოდ გეცვა...

ცად, დოღია ცრემლისა და თქეშის,
მზის კეცებზე წვიმა წამოსულა,
მზე ბუხართან გასათბობად დაჯდა,
კრთის, სიცივით- გარს ვერ გამოსულა.

დედამიწას დარდიანს და შეშლილს,
ნისლის ფარდა მსუბუქ ჟინჟლად ეცრას,
ცრემლი რატომ არა გწყდება ცაო,
წვიმის არა, მზის კაბა მსურს გეცვას!

შენმა დარდმა შემიბუდნა გული,
შემკრთალ სულმა ცრემლი ჩამოწვიმა,
რა შეგცოდეთ, მზეო, ნეტავ მითხრა?-
მიგვატოვა შენმა თბილმა სხივმა?!

ცა დამუნჯდა ცრემლითა და სუსხით-
როს იხილა ვარდი კრთის და სცივა,
დედამიწა შეიშალა დარდით,
ამოუშვა შემზარავი გმინვა...

აიკეცე ცაო, ნისლის კალთა,
მზესთან ერთად მოგიხდება ცეკვა,
დამავიწყდა- რა დრო იყო მაშინ,
შენ რომ ოდეს, საპატარძლოდ გეცვა!

უფალო, შენთან ხომ სხვაგვარად თენდება...

მომგვარეთ, შევკაზმო ველური რაშები,
ცის ლურჯი კაბის ქვეშ დავიწყებ ანცობას,
დამისხით, დავთვრები ღვთიური ბადაგით,
ახლა კი არ ვიწყებ ადამის გაცნობას!...

მომყვება წარსულის დაფლეთილი წლები,
პირ- უშნო ლომები საზარლად ბღავიან,
ედემში გველი და ის ტკბილი ვაშლები
ევას შესაცდენად ერთადა ყვავიან!...

მომგვარეთ ამორძალს ველური რაშები,
ოქროს ფლოქვთა ზრიალს ისმენდეს ის მთები-
რომელნიც მისტიურ გზაწვრილებს ითვლიან-
და კლდენი ამაყი შუბლით,ჯიხვებს რომ ისვრიან!...

დიახ, მე ამორძალს, მორკინალს ლომებთან,
მომდევს ჩემი მთების წყნარი მელოდია,
მგონია მე ვგავარ დარჭრილ ამირანს და
კარგად ვასრულებ არწივთა პაროდიას!...

სირცხვილის ალმურით ეშმა არ იწვება,
წუთიერ დუმილსაც ის როდი სჯერდება...
შენს ხელისგულებზე მორჩილად მაქციე-
უფალო, შენთან ხომ სხვაგვარად თენდება!...

უფლის წმინდა ხელით ჯვარი დასწერია!

ჩემი საქართველო დროშაა ხუთჯვრიანი,
სიწმინდე ქვეყნისა და ერის საუნჯეა,
ნურვინ გაბედავს და ნურვინ შემირაცხავს,
დედა ღვთისმშობლის კვართის ნაჭერია!

ჯვარი უფლისა და ჯვარი მეწამური,
წამებული ქრისტეს სისხლით ნაფერია,
ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს
კალთას, დიადი წარსული სისხლით აწერია!

იმღერეთ ჰიმნი და დროშა ზე ასწიეთ,
ხატად, საქართველო ღვთისმშობლის ნაწერია,
სრულად გოჯი -გოჯ და სრულად მისხალ- მისხალ
დედა საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრია!

ჩვენი წინაპართა სისხლით ნაპოვარი
მამასა და პაპის ხმლებით ნატარია,
ილოცეთ მასზე და გულით შეიყვარეთ
ჩემი საქართველო, ქრისტეს ტაძარია!

დედა საქართველო, ხატია ღვთისმშობლისა,
მისი წმინდა ხელით სისხლით ნაწერია,
ცრემლი უნდა შეწყდეს თვალთა მდინარისა,
უფლის წმინდა ხელით ჯვარი დასწერია!!!

ექოდ მომწივის...

გავიდიდგორებ,წივის, ვატყობ სისხლი ქართული,
ძელქვას ეხვევა ხმლითნაწყვეტი ძარღვი პაპისა,
მე ვერაფერი დამიმარცხებს ქართულ ჯიშ-ჯილაგს,
ექოდ მომწივის გააფთრებული ხმალი კახისა!...

ჭრელ ბაღდადივით გაიშლება ლოცვა ქართული,
აჭიხვინდება შლეგი ცხენები ფაფარაშლილი,
ასწიე თასი,თქვი სადღეგრძელო მრავალტანჯულის-
სამშობლოს სული ვინც დაუტოვა აფრააშლილი!...

მღელვარე სული სასმისივით დაცლის სიცოცხლეს,
მზე ჩამოდნება, ტაძრად დარეკენ გლოვის ზარები.
ვის უნახია მუხლს დაცემული მეფე, ქართველთა,
მათ სადიდებელს შავ აფთარივით ყეფენ ქარები...

კვლავაც ავკენკავთ სულის ბაღში მანანას მარცვალს,
ამოვიცოხნით ოდეს ჩაყლაპულ სიცოცხლეს ტიალს,
ნამცვრევ ბალახზე გალაქტიკა დაუშვებს ფარდებს,
პეშვით მოგიტანთ მიწისგულმკერდზე მობნეულ იას!

ზოგ სულს ღმერთი მოსავს თურმე...

ფარ ხმალს ნუ დაჰყრი ადამიანო,
ღმერთმა გიბოძა მებრძოლი სული,
არ დაივიწყო მამა- პაპანი, ხელის
გულებზე გადაშალე მათი წარსული.

შენ დაგენათლა კავკასიონზე
ამირანივით კლდეთა ფერება,
ჯიხვი ხარ, ჯიხვი მაღალი მთისა
ამორძალობა შეგეფერება!

რაგინდ გესროლონ ტყვია ვერაგი,
გჯეროდეს სული არ დაიჭრება,
ზეციურ მამის ნაბოძვარს ძალუძს,
ფრთათა შრიალით ცად აიჭრება.

სიტყვა ხომ იცი ბევრჯერ მყრალია,
დარდი უეცრად გულს შეგეყრება,
მაგრამ იციდე, ესეც გჯეროდეს
ძაფი, ყველა მახათს როდი ეყრება.

ფარ ხმალს ნუ დაჰყრი ადამიანო,
მტერი უღვინოდ, შიშით დათვრება,
მებრძოლი კაცის სახელი ქვეყნად
ლაჩრის კი არა, გმირის დარჩება!

იარე იმ გზით ღმერთი რომ გიხმობს,
მაცდურის გული ვერას მოგიწყობს,
ეშმას არ ანდო შენი ფიქრები,
მოულოდნელად გულ- ხელს დაგიწყობს!...

კაცის გული ვერაგია,
ვერ გაიგებ მას რა აწყობს,
ზოგ სულს ღმერთი მოსავს თურმე,
ზოგს კი ეშმა გამოაწყობს!...

თენგიზ ფანცულაია

ვინც იარა გაგვიმთელა

მომისმინეთ მეგობრებო,
ასე მწამს და ასე მჯერა,
არასოდეს დაგვავიწყდეს,
ვინც კი ოდნავ წაგვეშველა.

ვინც ტყვიაზე მოგვყვებოდა,
წაქცეული აგვაყენა,
ვინაც ჭირში არ გვშორდება,
ვისთან გვიხარია ლხენა.

ვინც ხიფათი აგვარიდა,
ვინც იარა გაგვიმთელა,
ვინც რომ სიტყვით შეგვეწია,
დაგვარიგა, მოგვეფერა.

ვინც რომ სწორი გზა გვიჩვენა,
ვინც ჭრილობა გაგვიკერა,
ცხოვრებაში უფლისაგან,
დალოცვილი გვყავდეს ყველა.
პ.ს.
ვინც ჩვენ მხარი მოგვიშალა,
ძმობის გრძნობა გაგვითელა,
ვინც სამშობლოს უღალატა,
ცუდი ქცევით დაგვანელა.

ვინც რომ რწმენა უკუაგდო,
დაივიწყა მისი ენა,
ვინც მავნებლობს ზნეობრივად,
შხამს გვაპარებს ნელა ნელა.
--
ბევრი არის დასასჯელი,
ვის სულშიაც ძალზე ბნელა,
არ ვაგინებ და არც ვწყევლი
ღმერთმა განიკითხოს ყველა.

არ მოვიკითხო? მე მისი

ისეთი ყოფა დაგვიდგა,
დრო აღარ არის თმენისი,
ვინაც გვმტრობს აღარ გვეშვება,
დედა ვატირე მე მისი.

ეპიდემია მძინვარებს,
ბნელი საშიში სენისი,
ვინც ახალგაზრდებს გვიწამლავს,
მოკითხვა მაგის დედისი.

ვის გიხარიათ სიმრავლე,
მოძალადის და მკვლელისი,
ვინც მათ საქციელს ამართლებს,
დედა ვატირე მე მისი.

ვინაც ალიმენტს არ იხდის,
დაგროვილს ბევრი წელისი,
ოჯახს ფულზე,რომ გადაცვლის,
კაცობა რა ვთქვი, მე მისი.

ვინაც რომ საზღვრად გახადა,
ხერგილ-ოძისი, დმენისი,
ვინაც უკუღმა გვატარებს,
დედა ვატირე მე მისი

ვისაც დანახვა არ გინდათ
ერის შეკრულის, მთელისი,
ვინც ამას ნატრობს, მავნებლობს,
დედა ვატირე მე მისი.

პ.ს:
ვისაც გინდებათ დანახვა,
ღიმილიანი მტერისი,
ვინც ჩვენ ერთობას ხელს უშლის,
არ მოვიკითხო?! მე მისი!!!.

აფეთქდება ბუნება

აფეთქდება ბუნება,
ნაირნაირ ფერებით,
ბიჭი ვეღარ გაძღება,
სატრფოს კოცნა-ფერებით.

გამეფდება სიმწვანე,
სუნით გვათრობს ყვავილი
და ფურირემს დაეძებს,
ხარირემი ბღავილით.

შიში აღარ გვექნება,
სენის ანდა შტამების,
ჟრიამული ატყდება,
ონავარი ბავშვების,

მალე შემოიჭრება,
ვარდობისთვე, მაისი,
მოიმატებს გულებში,
სილაღე და ხალისი.

პ.ს
ეს პატარა თენგოა,
ბაბუს გულის ხალისი,
გამრავლებას გისურვებთ,
ხალხო თქვენი გვარისი.

სახალისო

თვალს მიპაჭუნებს ქალაო

თვალს მიპაჭუნებს ქალაო,
თან აიფარა მარაო,
გრძნობამ თავი ვერ მალაო,
სატრფოსთან მიმიყვანაო.

სითბო არ დაიზარაო,
სულთან გზა გამიკვალაო,
მეცხრე ცას ამიყვანაო,
გულს გამიჩინა ჭვალაო.

აქვე გვაქვს წყნარი ჭალაო.
ხელი ჩამკიდე ქალაო,
ადე, გამომყევ ჩქარაო,
სანამ მზე მიეფარაო.

ვერას დაგიცავს მარაო,
მოდი, გიკოცნო თვალაო,
გეფერო ალვისტანაო,
მერე არ მითხრა კმარაო.

ვატყობ ეშმაკობ ქალაო,
ტუჩქვეშ ღიმილობ განაო,
ჩუმად მანიშნებ თანაო,
გავიმეოროთ ხვალაო.
პ.ს:
ვერ გაუგია ამ კაცებს,
საით ანიშნებს მარაო,
მართლა უარობს დიაცი,
თუ მისკენ უხმობს ჩქარაო.

სანამ იქნება ამ ქვეყნად,
კაცის და ქალის „პარაო“,
მუდამ ინტრიგას დათესავს,
მაცდური ქალის მარაო.

გულს ვერაფერი აჩერებს,
წესია ამისთანაო,
ანდამატივით გიზიდავს,
გაბნევს, გზას გირევს თანაო.

ჩემი შეტყობით სითბოსკენ,
რომ დაიქნიონ მარაო,
სატრფოს ვარდები მიართვი,
რომ აღარ გითხრას არაო.



მირზა ვარძუკაშვილი

რა საუცხოოდ დაღამდა დღესაც....

რა საუცხოოდ დაღამდა დღესაც,
ვარსკვლავთ კანდლები აენთნენ ცაზე.
სადღაც ობობა მის ბადეს ქსელავს,
როგორც მანტიას საბერმონაზვნეს.
    გამოდის მთვარე მზის სენაკიდან,
    როგორც მოძღვარი სამწუხრო ჟამზე.
    ქუჩის სტიქარით მთა შემოსილა,
    სიო საცეცხლე ნახშირს ამზადებს.
დრო მედავითნე ჟამნებს კითხულობს,
კლდეს სამეუფე სამოსელს აცმენ.
შაშვი სამწუხროს უნოტოდ გალობს,
ცა ვარსკვლავთ კანდლებს მორჩილად ავსებს.
    ცას საუცხოო მწუხრი აქვს დღესაც,
    ჩამოილოცავს ცისკარსაც მალე.
    დრო გადასახვს ჯვარს ქართულს ზეცას,
    და ალიონი მოჰფენს მზის ნათელს.

დამილოცნია....

თუ რამ წყალობა ქვეყნად არის ღმერთმა მოიღო,
შექმნა ადამი და ნეკნიდან მისივე ევა.
გრძნობა შეგძინა სიყვარულის ადამიანო,
და უკვდავების საძიებლად ათივე მცნება.
    მაშ ამ სოფელში რაღა დაგრჩა საძიებელი,
    მშობელი შვილი მტერ მოყვარე ყველაფერი გაქვს.
    დასაცავია მხოლოდ მათში გრძნობა მგრძნობელის,
    და თუ ეს შესძელ ჩათვალე რომ შენ უკვდავი ხარ.
დამილოცნია ქართველთაგან ყველა ოჯახი,
სად მორჩილება უფროსის და უმცროსთ წესია.
აქ დევს იცოდეთ ზეცის კარის გასაღებელი,
იქ სადაც სახლობს მართალთა და ცოდვილთ ღმერთია.
    მაშ წინ ზეცისკენ გოლგოთის და ჯვარცმის ბილიკით,
    ჭეშმარიტებით მოთბინებით დებო და ძმებო.
    აქ დავიტიოთ ერთმანერთის გულის ტკივილი,
    უკვდავებისთვის სიყვარული მოგვმადლე ღმერთო.

ამ მიწის გულის სულ მესმის ფეთქვა...

ამ მიწის გულის სულ მესმის ფეთქვა,
სულის კივილი აღწევს ჩემამდე.
მუდამ შენივე სისხლ ხორცი გგლეჯდა,
საშველად ვერსად მოვე შენამდე.

რამდენი სისხლი მკერდით დაგდინდა,
შვილნი იმ ტრფიალს ვერცხლის
ვერ აცდნენ.
ჯვარს აცვით ახლაც ისევ ყვირიან,
მოსამართლენი ხელებს იბანენ.

მიწავ წილხვედრო მარიამისა,
მიწავ ქართველთა სულის ზედაშევ.
ჯვარცმა მართალთა განაჩენია,
ბრალი ვინც შენით გახდა მევახშე.

ამ მიწის გულის სულ მესმის ფეთქვა,
ვერაფრით ვშველი მას რაც მე მანდე.
მოვალ ერთ დღესაც იმ უძღებ შვილად,
და ერთად მივალთ მიწავ ზეცამდე.

ნიავ ქარივით გადაიარეს...

ნიავ ქარივით გადაიარეს,
ერთ დროს მტანჯველმა
ძველმა ფიქრებმა.
ახლა სიახლის ვარ მონაწილე,
წვიმა ზაფხულზე ლექსებს მიყვება.

ჩამოიქცევა ზეცა ისევე,
ელვის ხმა მთების ბოლოს მისწვდება.
ახლა ისე ვარ ვით ცაზე მთვარე,
რომ არ უკარგავს ღამეს ღირსებას.

გამოაცოცხლა მაისმა წვიმით,
ვარდის სურნელი ბარად ირწევა.
დრო გრიგალივით გულცივად მიდის,
სასიყვარულოდ მზე ცად იწვება.

მალე ივნისი გაიზაფხულებს,
დღე სულიერად ახლა ივსება.
მე რასაც ვამბობ ქალო გესმოდეს,
სიყვარულს უყვარს გაუკვდავება.

მწამს სიყვარულით მე სიცოცხლის გაუკვდავების....

ისეთს ნურაფერს ნუღარ იტყვი რაც დაგამცირებს,
გთხოვ დაუფიქრდე ყოველ სიტყვას სათქმელს ჩემდამი.
დამთრგუნველია ვუყურებდე დამჭკნარ გვირილებს,
მაშინ როდესაც მსურს ბრწყინავდე გულში მზესავით.

მე ხომ არასდროს არაფერი არ მითხოვია,
აგაყვავილე გრძნობის ველზე გვირილასავით.
ეს სიყვარული გზად მიმავალს არ მიპოვია,
ღმერთმა მიბოძა სულის უკვდავ მინიმასავით.

გრძნობის ფესვები ჩემს ლექსებში ისევე გიდგას,
ვრწყავ სისხლძარღვებში ნადუღარი სისხლის წვეთებით.
შენ ქვეყნიური სილამაზე თურმე გხიბლავდა,
მე კი უკვდავი სიყვარილით მაიმედებდი.

ამ ჩემს ლექსებში იცი ისევ ისე ყვავილობ,
ვგრძნობ რომ მკითხველსაც ლექსთან ერთად შეუყვარდები.
ვერ მოვითბინე რაც აქამდე ყველაფერს ვნანობ,
მწამს სიყვარულით მე სიცოცხლის გაუკვდავების.

ახლა ის დროა.....

ახლა ის დროა გვირილები რომ ყვავილობენ,
ტანად იმოსვენ თვალის მომჭრელ კაბებს მზის ფერას.
რატომღაც ახლა გამახსენდა ის სიკოხტავე,
მაგ სილამაზეს რომ შვენოდა სიმორცხვით მზერა.

ალბათ არ გახსოვს ის სიანცე გრძნობა გულწრფელი,
ვაჟი სიყვარუს ერთგულად რომ გეფიცებოდა.
ან რა ვიცოდი ჩაივლიდი ქარის სიშლეგით,
რას ვიფიქრებდი ნიავი თუ გეყვარებოდა.

აის სეზონი გვირილობის ახლაც მახარებს,
რა დამავიწყებს იმ შენს კაბას ყვითელ მზის გულას.
ერთხელ თუ მაინც შეყვარებულ ვაჟს გაიხსენებ,
ჩავთვლი რომ ბედმა უკვდავების შვილად მიგულა.

ისევ ის დროა ყვავილობენ ზღვა გვირილები,
შეყვარებულნი ისევ წნავენ უწყვეტ გვირგვინებს.
აგირჩევია სადედოფლოდ ახლა სხვა ფერდი,
მე სიყვარულით ახლა მხოლოდ მზე თუ მიშვილებს.

გადავიღალე.....

გადავიღალე წუთისოფლის ამაოებით,
ვერ შევეჩვიე ამ უაზრო დროის დინებას.
მე ისევ იქ ვარ სად ხეს უდგას მყარად ფესვები,
სადაც იცავდნენ წინაპარნი ქართულ ღირსებას.

მე ისევ ვმღერი ძველებურად ქართულ ჩაკრულოს,
საგალობელი სულს მიხარებს შენ ხარ ვენახის.
ვერვინ შემიცვლის გონაშვილის ნამღერ ურმულოს,
ვერც მომაწონებს რაც არ მომწონს იმას ვერავინ.

ისევე იქ ვარ სადაც სძინავთ მტრის მარისხებელთ,
სადაც ჭედავდნენ ქუროებში ორლესულ ფრანგულს.
ვერ შევეგუე ამ დროებას სულის მწვალებელს,
ვერც ორგულობას უგრძნობელად ვინმეს სიყვარულს.

ამაოებამ გადამღალა ამ წუთისოფლის,
ვერ შევეგუე მოსამართლეთ ცრუ ხელთა ბანვას.
რაც მაქვს მცირედი სიყვარული ყველასთვის მყოფნის,
გამაძლებინებს დრო ჟამისგან ვგრძნობ ღმერთი ჯვარცმას.

ახლაც ვღიღინებ მხოლოდ ქართულს გული რასაც მთხოვს,
და ვიღიღინებ კიდეც ბოლო ამოსუნთქვამდე.
ვერვინ შემიცვლის სხვა სამშობლოთ ჩემს საქართველოს,
და ვერცვინ გამყრის მას სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

რამდენჯერ ვცადე....

რამდენჯერ ვცადე გადმოხრა შენსკენ,
მსურდა სევდიან გულზე მეკოცნა.
იმდენჯერ თავი იბრუნე გვერდზე,
ვერაფრით შევძელ შენი შეცნობა.

ახლა მე ხშირად ზეცას შევყურებ,
და ვაკვირდები ღრუბლებს ცრემლიანთ.
ამ მიწას შევრჩი ბებერ მეგუთნედ,
ველზე ხარებიც აღარ მელიან.

ვზივარ და ვფიქრობ რა იყო დღემდე,
ან ეს საღამო რისი მქმნელია.
ლექსს მეტყვის ალბათ ნამგზავრი მთვარე,
კაცთგან რომ არვის დანაწერია.

რამდენჯერ ვცადე მესმინა შენთვის,
ამ გულის რიტმთა ზე სიმფონია.
ვერ შეიყვარე შენ ჩემში ღმერთი,
ჩემ სულში ახლა ზეცის ფონია.

დღეს კიდევ ერთხელ შემეყარე....

დღეს კიდევ ერთხელ შემეყარე ზურგში მსროლელო,
პირმომღიმარი ამოვსდევდი მე კიბის ჭალებს.
ჩემ დანახვაზე თავი ნეტა ჩახარე რატომ,
სიმართლე თუ კი ჩვენ ორ შორის იყო თქვენ მხარეს?

ვინ იცის კიდევ მაგ უტვინო თავს სად არ ჩახრი,
სად არ მოგიწევს აუტანლის კიდევ ატანა.
თქვენთან ისე ვარ იუდასთან როგორაც ღმერთი,
ნამოქმედარის გამო გიწევთ ჩემგან დამალვა.

ჩემი წამება ისე შეგრჩათ როგორაც ჯვარცმა,
ახლაც ხელს იბანთ ცოდვის გამო პილატესავით.
დღესაც არ მძულხართ შეგინდობდით მონანულთ მაგრამ,
რა ვქნა რა გიყოთ რომ ისევე ხარობთ ბარაბით.

მერამდენეჯერ შემეყარე თვალწინ ჯვარმცმელო,
მე ისევ ვიდექ მდუმარედ და თვალმომღიმარი.
ჩემს დანახვაზე თავი ნეტა ჩაღუნე რატომ?
თუ კი ჰფიქრობდი რომ იყავი თვითონ მართალი.

გარდაცვალების საგალობელს ასრულებს წვიმა...

გარდაცვალების საგალობელს ასრულებს წვიმა,
ტონს აძლევს ნისლი ვით მგალობელთ დიდი ლოტბარი.
ამ შუაღამეს აღმოხდება დღეს ბოლო გმინვა,
და მიიბარებს მის უკვდავ სულს მზე ცის მოძღვარი.

გაყურსულია ეს მიდამო სამყარო გლოვობს,
გარდაცვლილ ღამეს თავს უნთია მთვარე კელაპტრად.
სულთა თანაო წვიმის ისმის გალობა მხოლოდ,
ღამის სასახლეს ვარსკვლავები ზეწარად აკრავს.

კლდენიც დამდგარან დროს ელიან გამოსვენების,
უნდა უმარჯვონ თენებამდე ღამის დაკრძალვას.
ნელ ნელა წყდება წვიმის წვეთთა საგალობელი,
და მკვდარი ღამეც სულით იწყებს მზისკენ აღმასვლას.

ბელა მოდებაძე

ეი, რატომ მიყვარს იასამნები...

ეზოს გაშლილა ხეივანი იასამნების,
თავს იწონებენ, სურნელებას ირგვლივ აფრქვევენ,
ფერთა გამაში გაწყობილა ფოთოლი, კვირტი,
და ყოველ საათს, დღეს თუ კვირას გვილამაზებენ.

ხეივნის ძირას, ფიფქებივით გვიცქერს გვირილა,
ბაბუაწვერაც თავს იწონებს ბამბის ქულებით,
ყოჩივარდებიც ამოსულა, ია-იებიც,
ნეტავ იცოდეთ ამ სამყაროს, როგორ უხდებით.

როცა დაბერავს დაუნდობლად ძლიერი ქარი
იასამანი ჩვილებს ტოტებს გადმოაფარებს,
მანამ იხუტებს დედასავით იმ თბილ უბეში,
სანამ დათბება და მზე ისევ გამოანათებს.

ასე ატარებს თვის სიცოცხლეს სხვების ზრუნვაში,
იასამნები ნაადრევად დაბერებული,
თუმცა უფალმა სიცოცხლისთვის ცოტა დრო მისცა,
ცოტაა, მაგრამ აზრიანად გატარებული.

დაუვიწყარი ემოცია...

ყოველთვის მინდა ვიღაღადო მეგობრობაზე,
რადგან ეს გრძნობა, გულში მუდამ მესათუთება,
თუ გვერდით გიდგას, როგორც შენი მყარი კედელი,
ასეთ მეგობრის, ვიცი ჩემთვის მისაკუთრება.

მადლობას გიძღვნით, სითბოსა და სიყვარულისთვის
და იმ უტკბესი ემოციის, თვალზე კურცხალის,
როცა გიყურებთ, ფერადდება ირგვლივ ყოველი
შური და ბოღმა, სიძულვილი, ჩვენგან შორს არის.

თუმც ვიცი, გული დაღლილია სევდის ტკივილით
მაგრამ არ იმჩნევთ და სხვების წინ არ იწმენდთ ცრემლებს,
ემიგრატობის ტვირთი მხრებზე ჩამოგწოლიათ
და მაინც ცდილობთ არ ღალატობთ ჩვენს ქართულ წესებს.

სხვა რაღა გითხრათ, რა სიტყვებით მოგეალერსოთ
მე თქვენ მიყვარხართ, სულ გახსოვდეთ და მინდა გწამდეთ,
მე ვენაცვალე ემიგრანტის იმ კეთილ თვალებს,
ვინც უცხო ცის ქვეშ არ ღალატობს საკუთარ ქართველს.

==========

ვუძღვნი ჩემს საყვარელ ემიგრანტ მეგობრებს იტალიაში, კომოს პროვინციაში❤მიყვარხართ❤

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს

(ისტორიული გამარჯვება – 2:0)

თქვენ გენაცვალეთ ბიჭებო
იმედად, ქვეყნის გულადა,
მოყვარეს მოყვრულად ხვდებით
მტერს კი ექცევით მტრულადა.

გაერთიანდა ქართველი
დიდი, მოხუცი, პატარა,
პირველივე წუთს კვარასგან
რომ მოხდა გოლის გატანა.

ახლა მამარდას შეხედეთ
კარში დგას, როგორც ავაზა,
შენს გამზრდელს ვენაცვალები
უნდა იაროს ამაყად.

გფარავდეთ ლომისის მადლი
გლოცავთ, მეყოლეთ ჯანმრთელნი,
მრავალჯერ მსურს ასახელოთ
საქართველო და ქართველი.

მიყვარს მაისი...

მაისის თვეა, გაზაფხულის სურნელი მათრობს
იასამანის კვირტში თითქოს მიფეთქავს გული,
მაისის თვეში, ყველა ჩიტიც აჭიკჭიკდება
და ამ დროს თურმე არნახულად მშვიდდება სულიც.

მიყვარს მაისი, მიყვარს მისი ფერადი ფერი
ცა მოწმენდილი, ხანდახან კი თქეში წვიმისა,
მაისის თვეში ყველა ვარდიც ერთად იშლება
და ეს თვე არის სიყვარულის ტკბილი თილისმა.

ყვავილთა შორის იასამანს ვაღმერთებ მუდამ
თვით ღვთისმშობელმა მას უბოძა მადლი ულევი,
რომ სილამაზით და სიტურფით იყოს განთქმული
ხოლო სურნელით გააბრუოს ირგვლივ ყოველი.

ალბად ჩემსავით ბევრი ელის მაისის მოსვლას
სულის სიმშვიდეს, მზის სხივების აელვარებას,
თუ ცისარტყელას შვიდი ფერით ვერ შეიმოსა
აბა სხვაგვარად, მაისს მართლაც არ ეკადრება.

ოჰ ფიქრო, ფიქრო...

ჩაფიქრებული მივუყვები აღმართზე ბილიკს
ფიქრმა წამიღო და სამყარო შემომატარა,
ღრუბლის აკვანში ჩამაწვინა, გადამარწია
მეც გავინაბე, როგორც ცელქი ბავშვი პატარა.

და წამით თითქოს ჩამიჩუმდა ყველა ტკივილი,
თვალი დავხუჭე, მსურს მოპარულ ფიქრებს მივენდო,
ჩემს გულს თუ არა, ან გონებას თუ არ ავყევი
აბა მითხარით, უფრო სანდოს ნეტავ ვის ვენდო.

ყოველთვის მწველი, როდი არის ჩემი ფიქრები,
ზოგჯერ გულშიაც ისადგურებს იმედის სხივი,
მე შვილები მყავს ისე, როგორც მყარი კედელი
მათ მივეყრდნობი, მადლობა ღმერთს, არაფერს ვჩივი.

მომნატრებიხარ სოფელო ...

ერთი სურვილის ახდენის
რომ მომცემოდა უფლება,
გავიქცეოდი იქ, სადაც
დაძაბულობაც დუნდება.

შემოვირბენდი მთა-ველებს
ჩავუყვებოდი მდინარეს,
წყაროსთან შევისვენებდი,
გავათენებდი მთელ ღამეს.

დილით კი გამვლელ-გამომვლელს
სალამით გავახარებდი,
მერე კი ნელი ნაბიჯით
ჩემს აღმართს ავათავებდი.

მეზობლებს შემოვურბენდი
მათთან ბავშვივით ვლაღდები,
მაგრამ ვაი, რომ ვინც მიყვარს
ზოგი ამქვეყნად არ მხვდებით.

ცხოვრებას თავის წესი აქვს
ამ ქვეყნად არვინ არ რჩება,
მოყვასს, ავს სიტყვას ნუ ეტყვით
ტვინსა და გულში ჩარჩება.

შენდობა უნდა ვისწავლოთ,
ხანდახან, დარიც-ავდრდება,
თუ გავაღვივებთ ნაკვერჩხალს
კერას, ცეცხლიც არ ჩაქრება.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა ...

გაზაფხულია, ყველა ტოტში აფეთქდა კვირტი
და თვით ბუნებამ, თითქოს უცებ ფერი იცვალა,
გაზაფხულია, მიმოფანტა მზემაც სხივები
ეს დრო კი ჩემთვის,მერამდენედ ჩამოითვალა.

მსურს სამშობლოში გამითენდეს ყოველი დილა,
მერცხლის ჭიკჭიკი ჩამესმოდეს დილით ფანჯრიდან,
თუნდაც რომ წვიმდეს, თქეში წვიმაც მეამებოდა
სხვა ნატვრა არ მაქვს, სხვა განცდებიც, არა არ მინდა.

გზა ემიგრანტისა...

სასოწარკვეთილს გაგიტაცებს მწველი ფიქრები,
ზიხარ და თითქოს გეშინია, მოსვლა ღამისა,
რადგან ვერავინ ვერ გაიგებს ტკივილს სულისას
როს უნდა შედგე, გზას უმძიმესს ემიგრანტისა.
ჩალაგებული ჩემოდანი მოგელის კართან,
შენ კი კედლებსაც ეთხოვები ცრემლმორეული,
აცნობიერებ, ტოვებ შვილებს, დროს კი ვერ საზღვრავ,
სუნთქვა გეკვრის და სახლს შორდები, ლანდად ქცეული.
გადიხვეწები უცხო მხარეს, უცხო ტომივით,
შემოგაწვება მძიმე დარდი, დრო ვეღარ გაგყავს,
აგიჩქარდება გულისცემა, თითქოს ეცემი
გინდა იტირო, მაგრამ ამის უფლებაც არ გაქვს.
დარდის დროს უცებ, გახსენდება შვილების სახე,
გინდა ეფერო, მაგრამ თითქოს გაკლია რაღაც,
ეკრანის მიღმა, როგორ უნდა იჯერო გული,
ვერ ეხუტები, ვერ ეხები ... კვლავ იწყებ თამაშს.
სწორედ რომ ყველა, დედა ასე ვთამაშობთ შვილთან,
როგორ ხარ დედა?!... უპასუხებ:-,,კარგად ვარ შვილო",
გაიღიმებ და უცებ იღებ ბედნიერ სახეს,
აქეთ კი ჩუმად, თვალზე ცრემლის მოწმენდას ცდილობ.
ალბად ყველანი მაპატიებთ რაც მინდა რომ ვთქვა,
არ ვთქვა და იქნებ, უთქმელობა ვინანო კიდეც,
მე კი ყოველთვის მირჩევნია სათქმელი ითქვას
ხოლო სიმართლე, ყველასათვის თქმად უნდა ღირდეს.
ჩვენ, რომ წავედით, განა მართლა გაგვაგდო ვინმემ,
ან ძალადობით დაგვაშორა ოჯახებს, შვილებს,
არა ბატონო, ჩვენი ნებით გადმოვიხვეწეთ,
ჩვენივე ნებით, ამ ტკივილის ატანაც გვიწევს.
მაგრამ სადა ხართ, ზოგიერთი ოჯახის წევრი?!...
ვის მაგივრადაც, ჩვენ დედებმა გავიღეთ მსხვერპლი,
სად დაიმალეთ, როცა გვერდში დგომა გვინდოდა?....
რად არ შეგვიშრეთ, დარდიანებს თვალებზე ცრემლი.
სად ხართ, როდესაც მონატრებით სული გველევა?!...
სად იკარგებით, რად გვაყვედრით სიტყვას მადლიანს?...
ერთხელ დარეკოთ, მოგვიკითხოთ, მოგვცეთ იმედი,
ნუთუ არ იცით, აქ ყოველდღე რა გზას გადიან?!....
და თუ არ იცით, მაშინ გეტყვით სათქმელს პირდაპირ,
ყველა ვერ უძლებს ემიგრანტის მწარე ტკივილებს,
ზოგი ჭკუიდან შეიშალა, ზოგი დაეცა,
ზოგიც კი ალბად ვეღარასდროს ვერ დაიჩივლებს.
ამიტომ, სანამ დრო გაქვთ, გიჯობთ ხელი მოგვხვიოთ,
ყველა ემიგრანტს, მინდა გულში სითბო გათოვდეთ,
ნუ დაივიწყებთ, ჩვენ რა მსხვერპლიც გავიღეთ თქვენთვის,
რისთვის წავედით, აქ რატომ ვართ, უნდა გახსოვდეთ.

ბელა ალანია

*

... და როცა გარდავიცვლები
კლდის ქიმზე დამასაფლაონ,
შვლები, ირმები, ჯიხვები
უშიშრად რბიან საცაო,
მაღლა ორბნი და არწივნი
სამშობლოს ზეცის კარსაო,
შემოუფრენენ ირაოს,
არ გადაჰკვეთენ ხაზსაო...
ერთი ბოლო აქვს ავს და კარგს,
ჩავიბუტბუტებთ: საწყალო,
ცრემლით მორწყულო საფლავო –
ჩავლილ ცხოვრების საწყაო.
დრო გავა, აღარ ვიქნები
გამოკიდული ცასაო,
შენც, სულისცალო, ოდესმე
ჩემს გულზე დაგასაფლაონ.
სამოთხის მოლაღურები
სტვენით მოგვცემენ ბანსაო.

ლექსები...

ლექსები – სულის ჭიდან ამოღებული ანკარა წყალი;
უდაბნოში ამოსული ყვავილები;
მზით გახუნებული ჩითის პეპლიანი კაბები;
მოწმენდილ ცაზე მოლივლივე ჩიტები: ჭრელ-ჭრელები,
თეთრგულა-ღაბუები, კუდმაკრატელები...
ლექსები – უსიერი ტყიდან ექოდ დაბრუნებული ხმა ცუდი და
კარგი დღეების,
ცუდი და კარგი ამინდების,
ცუდი და კარგი ამბების...
ლექსები- კალენდრები, დროის აღმრიცხველები, წლებში
ვერჩატეული,
გაუმაძღარი ახალგაზრდობა... თუ სიბერე;
ლექსები- სიყვარულის გულამდე გზამკვლევები, სიყვარულის
ჩაუქრობელი ჩირაღდნები;
ნაჟური წვიმის წვეთები,
ცის ნაჩუქარი ფიფქები;
ლექსები- ცხოვრების სარკეები – მარტოობის გრძელი
დერეფნები;
თავის მოურჩენელი უსაშველო ტკივილები;
სიცოცხლის და სიკვდილის ერთსტროფიანი გაელვება;
ლექსები- ჩემი და შენი შვილების თვალები,
ჩემი და შენი შვილების ღიმილი და ცრემლი...
ლექსები – უჟამო ჟამის მსახურები!
თიხის სუროსავით ხელით გამოყვანილი, უბრალო ქაღალდზე
გადმოსული სულჩადგმული ლექსები...
მოდი და დაკრიფე ჩემი სულის მდელოზე მოჩითული მინდვრის
ყვავილები!..
გაიყოლე სახლში ჩემი ნუშის ყვავილივით მათრობელა
გაზაფხული,
ჭორფლიანი ზაფხული,
თავთუხისფერი შემოდგომა,
ჩემი სიჩუმისხმიანი ზამთარი!
ცხოვრების თავსხმა წვიმებს გადარჩენილი ჩემი წილი მზეც,
მოდი და გაიყოლე!..
იქნებ შენც გაგათბოს!

*

მოდი, სანამ მიხარია შენი ნახვა,
სანამ მინდა, უფრო ძლიერ მიყვარდე,
მოგინატრო, შენს ნაბიჯებს ვდარაჯობდე
და ფეხის ხმას ვცნობდე შორიგზიდანვე.
        მოდიოდე წვიმასა თუ ქარაშოტში,
        თუნდ მეწყერმა გზები გადაგიხერგოს,
        შემეკითხო, იქნებ აღარ გიყვარვარო,
        წავიდე და უკან არ მოვიხედო.
ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს, ვიდრე გვიყვარს
ერთმანეთი ციდან დედამიწამდე...
მოდი, სანამ ჩაგეხუტო მინდა გულში
და არასდროს აღარ გადამიყვარდე!

*

არ ვიცი, რატომ მგონია,
რომ შენთვის ვხდები უცხო,
აღარ წამიყვან შატილში,
არ გველოდება მუცო.
არ მეტყვი, (როგორც გჩვევია),
რომ ის დღეები მძულსო,
როცა არ დარდობ, რა მტკივა,
რა მიგანგაშებს გულსო...
გვერდს უღიმილოდ ჩამივლი,
გამერიდები უხმოდ,
შორს კი მაინც ვერ წამიხვალ,
მოგენატრები უფრო...

მარინა მანჯგალაძე-თამაზაშვილი

ნეტავ, რად ყოფნა მერჩივნა...

რად გავჩნდი ადამიანად,
ლექსად მეკინძა დარდები?
რომ ამეტანა ტკივილი?
მაინც უკვალოდ გავქრები..

ტიალო წუთისოფელო,
ბევრჯერ, რა მწარედ მატკინე,
მაგრამ ცხოვრების უღელი,
მაინც ერთგულად გავწიე..

ნეტავ, რად ყოფნა მერჩივნა,
ერთი ლამაზი ჩიტისა?
ჩამოვჯდებოდი ყვავილზე,
მახარობელი დილისა..

ყვავილად გავჩენილიყავ,
ჩემზედ ეკრიფათ ვარდები,
იქნება გადამეყარა,
გულიდან, მძიმე დარდები..

იქნება, თოვლად მოვსვლოდი,
დალოცვილ არე -მარესა,
დავედებოდი დილით მზეს,
ღამით, ნამგალა მთვარესა..

მაგრამ შემქმნელმა ინება,
ჩემი ამგვარად გაჩენა
და მოვალეც ვარ..ვიტვირთო,
ადამიანად დარჩენა..

გეძებს რითმები

თოვლმა მაინც თქვა თავის სათქმელი,
პირველი თოვლი,პოეტთა რითმა,
როგორ ლამაზად, ფიფქებად ათოვს,
შენს ლამაზ თვალებს..
გაკოცო...მინდა..

ქათქათა ფიფქის თვალებზე დნობა,
ციდან დაშვებულ ვერცხლისფერ კიბეს,
დავეკიდები, გადავეშვები,
იქ, ჩვენს წარსულში,
ათასჯერ კიდევ..

თოვლმა მოქარგა თეთრად მიდამო,
ცვივა ფიფქებად,ლექსებად ცვივა,
დაგეძებ ყველგან,
გეძებს რითმები
და უშენობით ო...,
როგორ მტკივა.

მხრებზე მეყრება ეს სილამაზე,
და ხელისგულზე დნება ფანტელი,
რამდენი რამე დამრჩა უთქმელი,
უძილო ღამე კიდევ, რამდენი..

ყაყაჩოები ყვაოდნენ წითლად

იისფრად ქუხდა იასამანი,
სურნელს ერწყმოდა პალიტრა ფერთა,
მზე ბანაობდა ალუბლებს შორის,
ეს ჰარმონია, აქონდა ღმერთთან..

ყვაოდა წითლად, ობლად ასკილი,
მორცხვად თავს ხრიდა ეულად, კენტად,
მეფე ლირივით ავტირდი უცებ,
მომნატრებიხარ ყველაზე მეტად.

მზე ჩამეხუტა, გამომიცეკვა,
თმას ჩამაბნია ლურჯი კესანე,
ამ ულამაზეს სამყაროს ველზე,
უკვე, რამდენჯერ გარდავიცვალე.

ცეცხლი ეკიდათ, ყვითლად ღელავდნენ
მზეზე, ვან გოგის მზესუმზირები,
ამ მშვენიერი სურათის ფონზე,
ცეკვავდნენ, დეგას ბალერინები.

ყაყაჩოები ყვაოდნენ წითლად,
რა მშვენიერი ქონდათ სიწითლე,
ზედ აჩნდათ მხატვრის ფუნჯების კვალი
და მე, სიკვდილი გადავიფიქრე....

* * *

ცისფერ კაბაში..თვალხატულა დედოფალს გავხარ..
დაგეძებ ყველგან..ვერ გპოულობ..ნეტავი სად ხარ..

დედას

როს ღმერთმა შექმნა ეს სამყარო.. მრავალი წლის წინ,
მყისვე კეთილი ანგელოზნი გამოჩნდნენ ცაზე,
თვით მამა ღმერთმა, ამ სამყაროს გადასარჩენად
დედების სახით გამოგზავნა, დედამიწაზე.

მე, ჩემი მერგო ანგელოზი,სულის მოძღვარი,
განა სიტყვები იპოვება დედის ამაგზე?
მეიმედები ჩემი გულის ნათელ წერტილად,
შენ მე სიცოცხლე, უსასრულოდ გამილამაზე.

შენს გვერდით წლები უდარდელად, ლაღად გავლიე,
შენ ამ ცხოვრებას მიხატავდი ნათელ ფერებით,
რამდენი ტკბილი მოგონების წლები მაჩუქე,
ახლა, რომ მყავდე, როგორ თბილად მოგეფერები..

დედის უბეში გამოვლილ წლებს ახლა ვიხსენებ,
მოგონებები მინათებენ სულში მზესავით,
დედის სიყვარულს, ვერაფერი ვერ შეედრება,
მგონი არავის ვყვარებივარ დედა, შენსავით.

მე, ჩემად გეტყვით, მოუფრთხილდით, სანამ გვერდით გყავთ,
განა მის ამაგს ქვეყნად რამე დაეტოლება?
დიდ სინანულს და მონატრებას, მაშინ შეიგრძნობთ,
როცა ერთ დღესაც დედა, გვერდით არ გეყოლებათ.

ველად გაჭრილო აპრილო

ველად გაჭრილო აპრილო,
წყალობ დეკას და იელსა,
ამ გულს მალამოდ ედები,
თერგივით ღრმას და მღვრიესა.

ნაზამთრალ სულის მკურნალო,
აგრემაც გენაცვლებიო,
ყველა სულდგმულის მშველელო,
მარტოს შენ გენაღვლებიო.

წყაროს წყალს დავეწაფები,
მიწის გულს, მშვიდად მდინარეს,
შენი თვალები მაკრთობენ,
მღვიძარესა თუ მძინარეს.

მომნატრებია ჩანჩქერთა,
ალმასებრ ქვებზე ღრიალი,
ე, მაგ თოლების მზერა და
ლექსები შაირიანი.

აპრილო, ველად გაჭრილო,
სწორედ, რომ დროზე გნახეო,
შენს გულში, ბინას ვეძებ და
ჩემადამც შემინახეო.

იყო მარიტა და იყო გედია..

ყვავილებით მოქარგული მიდამო,
გვირილებად, წვიმა მოდის ციდანო,
მზე, მარიტა, გედია და თეთრონი,
წვრილ ბილიკით ეშვებიან, ციდანო.

არ აცალეს, არ შეარგეს ერთურთი,
სიყვარული ფაქიზი და სათუთი,
გადაწყვიტეს, რომ მარიტა,,შეთესო" -
ჰოდა, ადგნენ, უკითხავად შერთესო.

ღმერთო, ხედავ? ეს რა მწარე ხვედრია,
შეეწირა ამ სიყვარულს, გედია,
შეეწირა ამ ოცნებებს მარიტა,
მისი ბედიც უსაშველოდ განრისხდა.

ციციკორე, სოფლის ბნელი თავკაცი,
უსწავლელი, უმეცარი, ავკაცი,
გადაწყვიტა, რომ მარიტა,,შეთესო"
მერე ადგნენ... და უსიტყვოდ შერთესო.

ჰოდა აკლდა ზეცას კიბე, ზღვას ხიდი,
სოფელს ყავდა ციციკორე, ცრუ, ფლიდი,
ჩაწრა გრძნობა სათუთი და ხილული,
სიყვარული არა კვდება,,ნინული"

იყო ლოცვა ..ალიხე და მალიხე,
აყვავილდა ნატვრის ძებნით, ნატვრის ხე,
გაიყინა ნატვრის ძებნით ელიოზი,
ქართველს ყავდა, დიდი გოგლა, გენიოსი..

უტას ზმანება

წვებოდა ბინდი სარკინეთის მთების უბეში,
წვიმის შხეფები მეყრებოდა მდუმარედ თმებზე,
თუმცა ყინვა და მისი სუსხი კვლავაც იგრძნობა,
გაზაფხულს ელის თებერვალი, ზედაზნის მთებზე.

იძალა ქარმა, გადალალა შავი ღრუბლები,
კაშკაშა მთვარემ გაანათა სვეტიცხოველი,
კედლის კიდეებს მიყვებოდა უტას ზმანება,
მის გვერდით კიდევ, მშვენიერი ქალი,,,ფხოველი"

მტკვარი შეყრია სამიჯნუროდ არაგვს მცხეთაში,
ჯვარი, დიდებით გადმოსცქერის, თვალნათლივ ვხედავ,
ამ ჰარმონიის სიდიადის შეგრძნებას ვცდილობ
და მათ საქებრად, ხელში კალმის აღებას ვბედავ..

საუკუნეებს ძინავთ ჩუმად მცხეთის კედლებზე,
თუმცა წარსული საამაყოდ, დიდხანს ეყოფა,
დიდ კონსტანტინემ გააცოცხლა სვეტიცხოველში,
სრულყოფილების რენესანსის დიდი ეპოქა.

ღამე დამშვიდდა, გადიყარა შავი ღრუბლები,
და ხატაურა ფარჩის კაბაც ტალღებს გაყვება,
სვეტიცხოველი რჩება წლებთან მებრძოლი გმირი,
სატახტო ქალაქს ანდამატად, სულ თან გაყვება.

ჩემი დედულეთის გაზაფხული მიყვარს

მარტი აპირებს შემოაღოს მალე კარები,
რა საამურად უსტვენს ხეზე ჩიტი თავნება,
ზამთარგამოვლილ ცხვარს და ძროხას, ბეწვი უშრებათ
და კისრისტეხით მოდის მთებში წყალი,,ყარნება".

გლეხი გასულა თოხით ხელში, ყანის ბოლოში,
გადაუფარავს მიწა შავად, დიდი ბელტებით,
ტკბილი ნადიმი გაუმართავს კრუხს და წიწილას,
დაფარფატებენ მინდვრად უკვე, ჭრელი პეპლები.

წყარო კისკისებს, მოჩუხჩუხებს, შორით იღვრება,
და ანც პატარებს მურა დასდევთ თონის გარშემო,
ბებო დერგიდან ჭყინტ ყველს იღებს, პურებს დატეხავს,
თან პურ-მარილი იმართება მართლა საჩვენო.

დაბალ ტაბლასთან სამფეხებზე შემოსკუპულან,
თუ შინაური, გარეული, ამას ვინ მოთვლი,
შემდეგ მარნიდან ცივი ღვინო მოაქვთ თუნგულით,
სადღეგრძელოებს სვამენ ლექსად, ამ ლამაზ სოფლის.

აიშლებიან სიყვარულით ვნებააშლილნი,
როცა მთებს შორის ბინდისფერი ნისლი ჩაწვება,
ტყემლის და ატმის, ვაშლის რტოებს კვირტი დაუდევთ
და გაზაფხული იმერეთში,,მოიკვანწება".

თეთრი ჰორტენზიები

როგორ ლამაზად დაიწყო თოვა,
ეს სიყვარული, ჩემზე დიდია,
და ვეჯიბრები ამ სპეტაკ ფიფქებს,
ბედის ვერდიქტიც მხრებზე მკიდია.

განაჩენია ეს განშორება,
მიყვარს, ქათქათა ფიფქი ყოველი,
გიცდი დათოვლილ ჭადრების ხის ქვეშ,
შენს გამოჩენას, თრთოლვით მოველი.

მთის წვერზე, მოჩანს მეწამული მზე,
ფიქრებს დავიღლი შენზე ძიებით,
მოგძებნი ყველგან, მოგძებნი,
სადაც ხარობენ.. თეთრი ჰორტენზიები..

იყო მარიტა და იყო გედია..

ყვავილებით მოქარგული მიდამო,
გვირილებად, წვიმა მოდის ციდანო,
მზე, მარიტა, გედია და თეთრონი,
წვრილ ბილიკით ეშვებიან, ციდანო.

არ აცალეს, არ შეარგეს ერთურთი,
სიყვარული ფაქიზი და სათუთი,
გადაწყვიტეს, რომ მარიტა,,შეთესო" -
ჰოდა, ადგნენ, უკითხავად შერთესო.

ღმერთო, ხედავ? ეს რა მწარე ხვედრია,
შეეწირა ამ სიყვარულს, გედია,
შეეწირა ამ ოცნებებს მარიტა,
მისი ბედიც უსაშველოდ განრისხდა.

ციციკორე, სოფლის ბნელი თავკაცი,
უსწავლელი, უმეცარი, ავკაცი,
გადაწყვიტა, რომ მარიტა,,შეთესო"
მერე ადგნენ... და უსიტყვოდ შერთესო.

ჰოდა აკლდა ზეცას კიბე, ზღვას ხიდი,
სოფელს ყავდა ციციკორე, ცრუ, ფლიდი,
ჩაწრა გრძნობა სათუთი და ხილული,
სიყვარული არა კვდება,,ნინული"

იყო ლოცვა ალიხე და მალიხე,
აყვავილდა ნატვრის ძებნით, ნატვრის ხე,
გაიყინა ნატვრის ძებნით ელიოზი,
ქართველს ყავდა, დიდი გოგლა, გენიოსი..

ჩემი სამშობლო გულზვიადი საქართველოა

ჩემი სამშობლო გულზვიადი საქართველოა,
ვერა, ვერ გავცვლი წინაპართა მე ჩემს საძვალეს,
ოდითგან გმტრობდნენ, გაოხრებდნენ, ვენახს გიჩეხდნენ,
ძირს გაგასწორეს, გაგწირეს და როგორ გაწამეს.
მაინც ფეხზე ხარ, თუმც ღალატმა დღესაც დაგტანჯა,
შორიდან გლოცავს დიდებული ოშკი და ზარზმა,
დღეს, ქართველები ერთმანეთში ისე ქიშპობენ,
რაც ვერ დაგვაკლო შაჰ-აბასმა, ოსმალომ, სპარსმა.
ლამის ამოხტდნენ საფლავიდან წყვილად ვაჟკაცნი,
არაგველები, ოპიზარნი და გმირი ცხრა ძმა,
მეფე ერეკლეც მოიჩქარის მახვილით ხელში,
ბიძინა, შალვა, ელიზბარი, ხვდებიან გზა -გზა.
აღმაშენებელს გული უცემს საომრად ისევ,
ვახტანგ გორგასალს ვერ უცვნია თავის თბილისი,
მეფე თამარი დიდუბეში, მძლავრ ლაშქარს ლოცავს,
უფალს ავედრებს დაიფაროს თავის თილისმით...
ამ ერთი ციდა ღვთისმშობლის წილ საქართველოში,
აქ, სადაც ღმერთმა დაგვაბერტყა ბარაქის კალთა,
გონიერება, სისადავე, ივერთა კდემა,
ღმერთო, მოგვმადლე სიყვარული ქართველებს, ძმათა.
გამოვიფხიზლოთ, გვეყო ჩაგვრა, გვეყო წუხილი,
ერთ მუშტად შევკრბეთ, დავაჩოქოთ მტერი ვერაგი,
უჭირს სამშობლოს, მოვუშუშოთ სულის იარა,
შემოვახვიოთ ჭრილობებზე,,ჯაჭვის პერანგი"
ვერ დააჩოქებს ძალით ქართველს, ვერა, ვერავინ.

ოო.. აფხაზეთო

რა სიმშვიდეა, ზღვის ტალღებიც კი გაყუჩულან,
მონუსხულივით ვუმზერ წყალზე არეკლილ სხივებს,
თითქოს ზღვა თვლემს და აფახულებს წამწამებს მორცხვად,
თან ტანზე მაყრის წყლის შხეფების ქათქათა მძივებს.
კავკასიონის ფერხთით ძინავს, უსასრულო ზღვას,
მის ახლოს ვზივარ და ვდარაჯობ მე, მის სიმშვიდეს,
შარავანდედად თავს დაადგა მზის დისკო ფსოუს,
რა დიდებულად დაეკიდა მაღლით, ცის კიდეს.
მზის ცხრავე სხივი, აენთო და გააჩახჩახა,
ზედ გადააწვა კავკასიონს გულზე ნათებად,
ერცახუს მთაზე შეაჩერა მან არჩევანი,
ოქროს გვირგვინად შემოეჭდო მის ქიმს, ხატებად.
რა სინათლეა, თან მზეა და თანაც ღამე,
თვალს ძლივს ვუსწორებ მზის სინათლეს, თვალები მომჭრა,
ზღვა მეფერება, მუხლის თავებს მიკოცნის წყნარად,
თან ბიჭვინთასთან, დაღდასმული საზღვარი მოჭრა.
რა დიდებულად იდგა სხივი, ერცახუს მთაზე,
კავკასიონის ფერხთით იწვა ზღვა უსასრულო,
კოდორი, ბზიფი, ჩალბაში და ზედ კელასური,
ნეტავ, რამდენს უნდა გაუძლო, ჯერ კიდევ გულო.
იქ დაბრუნება, რატომ გახდა აწ...უსასრულო?!

ნანიკო (ნანო) ხარძიანი

❤

ჯვარის სიმაღლე რაარის თუკი,
ფესვებს მომიჭრი რწმენის ტაძართან,
თუკი წამართმევ სიცოცხლის სურვილს,
შენს გარიგებით ტიალ ეშმაკთან.
ენა რაარის თუ კი ქართულად,
ვერ ავამღერებ ჩონგურს სევდიანს,
ანბანს კი რისთვის გვიქმნიდა ღმერთი,
თუ შენ ქადაგებ ისევ ,,სპარსულად".
დედაშვილობა რად ჰქვია მაშინ,
თუკი უარყოფ აკვანს არტახით,
წმინდა გიორგის მხედრობა სადაა,
თუ კაბას იხდენ დალალ-ნაწნავით.
სად არის მაშინ გმირთა დიდება,
თუკი უარყოფ მუხას ფესვიანს,
რად გქვია მაშინ რჩეული ერი,
თუ კი ღვთისმშობელს ტოვებ ეულად.
,,ჩემი დედაო" რად იგინები,
რატომ ახარე გულს სარეველა,
ვინც გულით ყველგან ატარა ღმერთი,
ეშმა ვერასდროს ვერ მოერევა.
მაშ რად დაგვერქვა ჩვენ იბერია,
და ივერიის დროშის დიდება,
თუკი წაშალე ყველა ქართული,
ბედნიერება როგორ გვექნება.
ჩემო ქართველო ვერცხლი რომ გიყვარს,
დაღად ატყვია მიწას დარდიანს,
ნუთუ არარის გონსმოსვლის ის დრო,
რომ ეზიარო,,გარდაცვალებას"
თორემ სიკვდილით ხომ ყველა კვდება,
ვერ ავიცილებთ გზას სასუფევლის,
მაშინ იფიქრე!!! როგორც შეგშვენის!!!
წარსდგე უფლის წინ სულით ქართულით.❤

❤

ლეგა ღრუბლებიდან ისევ მოვწყდები, შევკრავ ირაოს,
და ფრთების შრიალს მყინვარებზე ექოდ გადავცემ,
ტაძარს მოვივლი ფეხზე გავიხდი მიწიერ ,,წუღებს"
და,,ქალამნებით" კვლავ ავივლი ბილიკს სიცოცხლის.
ყველა ფერს ერთად შევაგროვებ ტყეთა შრიალში,
მთვარიან ღამით ისევ ვიფრენ რჩეულთან გულის,
ისევ დავხედავ ქარეფებზე ხაფანგებს მზაკვრულს,
შვებით ავაფრენ ბარტყებს ისევ, ბუდიდან სულის.
ლილეოს ხმებზე გამაჟრჟოლებს მყინვარის წვერზე,
მზის სხივების კი...სითბო ისევ შვებით მასხივებს,
ჩემი სამშობლოს მონატრების ლექსის ბწკარებში,
დავიბადები და ავფრინდები ისევ სიცოცხლედ.

ზოგჯერ დუმილი შეგშლის ჭკუაზე,
ზოგჯერ კი ღელვა დაგშლის მარცვლებად,
მაგრამ სიყვარულს ამ ქვეყანაზე,
ვერ მოერევა ყორანთ,,ფეთება".

ისევ მოვწყდები ლეგა ღრუბლებს,შევკრავ ირაოს,
და ჩემს სამშობლოს მოვევილნები ლოცვა-ვედრებად.

❤

ვენას გადაიხსნის ღამე შარიანი,
მაინც შემოივლის ბილიკს ჭიუხებზე,
გვირილების მდელოს ბაგე ნამიანი,
მთვარიანი ღამის ჩრდილში ნაამბორებს,
ნიავს მოუყვება,,ჭორიკანა" ფიქრებს,
საუკუნის მიღმა ნათქვამს და ნაფერებს.
ბებერ კოშკს კი გულში, ისევ ჩახუტებით,
შენახული სულის ნაზი სიმფონია,
მოუყვება ღელვით, ღამეს სასთუმალთან,
სადღეგრძელოს ლექსით, დარდი გაუთქვია.

ჩუმად ღელავს ზღვა და გემის იალქანი,
მიუყვება ტალღებს, აშარს თავქარიანს,
მყინვარებზე ღამე,ტრფობით ნათენები,
სანაპიროს გაჰყვა, განთიადზე გვიანს,
მარცვალ მარცვალ ქვიშას აგროვებდა პეშვით,
აშენებდა ხიდებს, ოცნებების მზიანს.
თვალხატულა მთვარემ ჰორიზონტზე ისევ,
შემოჯარულ ღრუბლებს თავგზა აუბნია,
ღამე ჯიუტი კი კვლავ მიჰყვება ბილიკს,
მყინვარების სარკეებს, გული გაუღიათ,
ვარდებს მზის სხივების ველურ სიყვარულით,
კოკორსაკინძეზე ღილი შეუხსნიათ.

კალამს ღამისმთეველს, ნატვრით ნაფიქრები,
ვარსკვლავების ბადედ ცაზე გაუშლია.

❤ მე ქართველი ვარ!

მე შენი ფესვის სუნთქვა ვარ,
ვაზო ნამყენო ზვარშია,
დავბადებულვარ დიდ მთებში,
მდინარედ დავალ ბარშია,
ცვარი-ნამი შენი ბალახის,
სურნელი ყვავილთ კვალშია,
მდელო ვარ ლაღად გაშლილი,
იალაღების ცხვარშია.
მწყემსი ვარ, სალამურითა,
ქარქაშს ვატარებ ხმალშია,
ცეცხლი ვარ ტრფობით დამწველი,
უსასრულობის ზღვარშია,
ლოცვა ვარ, სანთლად ნათქვამი,
ცრემლად დავდნები დარდშიაც,
ელვა ვარ... მეხი ცის კიდეს,
შევხვდები ცისკრის განთიადს,
ნაზი ვარ როგორც ყაყაჩო,
წყლის წვეთი, მწყურვალწამშია,
თამარის ხიდის,,ბაჯგი " ვარ,
ილორის ლოცვა ხატშია,
აფხაზი,,მორდუს" გულისხმა,
ფიცვერცხლნაჭამის,,ჯამშია",
სვანური კოშკის სიძველის,
მესაიდუმლე, მთაშია.

სიონის ზარის დიდი ხმა,
და ძველი,,მეფაიტონე".
,,მუხამბაზი " ვარ ნამღერი,
რუსთველის ტრფობის სიწმინდე,
გალას უკვდავი სუნთქვა ვარ,
სვეტიცხოველის სიდინჯე,
ფრესკა ვარ ტაძრის სულისა,
ჩუქურთმა ვაზის მტევანის,
თასი ვარ სავსე,,გრაალისა"
კელაპტარჩაუქრობელი.
რწმენა ვარ უფლის ლოცვისა,
რჩეული როგორც ეული,
ღვთისმშობლის თეთრი მანდილის,
ნისლები მთებზე ბნეული,
მხედარ ვარ წმინდა გიორგის,
აკვანი მზისწნულრწეული,
მრავალჟამიერ მქვია მე!!!
ლილეო მთებში რხეული!!!
ნარიყალა ვარ, ნაცრემლი,
მეტეხის ხიდი რჩეული,
ასიათასი მოწამე,
ქრისტესთვის სისხლდანთხეული.
ცოტნე ვარ წამებდათვლილი,
ლაზი დარდისგან სნეული,
მესხი ვარ ისევ ვეფარვი,
სამშობლოს ცრემლად ქცეული.

საქართველო ვარ ქართველის!!!
ნაწამებ წუთად ქცეული,
ნატვრა ვარ გადახვეწილის,
შვილების დარდად ქცეული,
კიდევ ზღვის ღელვა მქვია მე!
ნაპირი მზისთვის რჩეული,
შენ ჩემო ტკბილო ქართველო,
რად მტოვე მარტოდ სნეული.

❤

ივნისსაც ათოვს, გვირილების ნაზი ფანტელი,
მწვანე ხარვერდებს მდელოები მოუჩითიათ,
მარგალიტებად ნაგროვები წვიმის წვეთების,
მძივი ლორთქოზე სიყვარულით გაუბნევია.

უკიდეგანო ზურმუხტისფერ ლამაზ ზეცაზე,
მზისა და მთვარის ბორიალის წუთის წამია,
ღამეს ვარსკვლავთა ათინათი
ელვად სიცოცხლის,
სულ წამიერად ალიონზე დასიზმრებია.

იასამნების სურნელებით მთვრალი კესანე,
თავის მთების გულს სიყვარულით ჩახუტებია,
უყვება ამბავს ამაყ ვარდებს ზაფხულის მთებზე,
და ალუბლების ღიმილები დასთენებია.

ყაყაჩოების მორცხვი, ნაზი ჩუმი ღიმილი,
აკაციის კი გიჟმაჟური თავბრუსდახვევა,
იელი ქალის სურნელებით სულ გაჟღენთილი,
სავსე თასია ზაფხულის კი გვირგვინმშვენება.

ადიდებული ენგური კი ლიახვს გასძახის,
სავსე გული აქვს დიად მთების ამაყ მშვენებას,
მტკვარი დუდუნით კვლავ უმღერის
თბილისის ზეცას,
ულამაზესი სიყვარულის ხატს და მშვენებას.

და მე მივყვები ისევ ისე ვით ოდეს იყო,
ჩემი სიცოცხლის ბილიკებზე ქართულ მიწისა,
მოჩუქურთმებულ სულში ნარჩენ მტკივან ღიობებს,
შევავსებ მიწით და სურნელით ჩემი მთებისა.

❤ ❤ ❤ ❤ ❤

ღამის სტრიქონები ისევ სიჩუმეში,
ნიავს აყოლილი, ჩუმი სიმფონია,
იყო მთვარის შუქის სხივთა ათინათი,
ძოწისფერი ბაგე სევდას დაუპყრია.
აჩრდილები თითქოს მთების
მწვერვალებზე,
სიდიადეს ისევ, თოკით მიჰყვებიან.
ქალწულ ვარსკვლავებს კი ზეცა უსასრულო,
გულში ჩახუტებით უხანგრლივებს ციალს.
მწიფე ალუბლების საკინძეზე ღილი,
ქარებს გაავებულს, ვნებით აუხსნიათ,
ლამაზ სტრიქონებზე მიძინებულ ასულს,
სიზმარეთის კარი ისევ გაუღია.
ბოდიალობს მუზა, ლაგამაწყვეტილი,
კალამს ეტრფის გრძნობით ვნების მორევშია,
რიჟრაჟების ნაზი ამოსუნთქვის ფერი,
მელნად მის ბწკარებეზე ნაზად დაუსვია.
ბულბული კვლავ კვნესით ეტრფის
ვარდის სურნელს,
ცვრიან ბალახს გულზე მდელო გაუშლია,
ზღაპრის გმირებს ისევ ქალამნები რკინის,
უკვდავების წყაროს ძებნად ჩაუცვიათ.
მე კი ისევ ვუსმენ,,გალას" მოწიწებით,
ბროწეულებს ღიმილს კვლავ ვუკოცნი მზიანს,
,,ცოტნეს" კვლავ ვუამებ წყლულებს
ტანზე დაყრილს,
კოშკებს ვეფერები პირქუშს, გულდარდიანს.
უტყვი ღამის ნათქვამ, ყველა სიტყვას ვუსმენ,
ფიქრებს სულ ვამღერებ, გრძნობით ხმატკბილიანს,
დილის ალიონს კი მერცხლის ჭიკჭიკებით,
ვეგებები ლოცვით, უფალს სულ მადლიანს.

❤

მთვარეს სავსე მკერდი, ბროლის ყელსაბამით,
თითქოს სადღაც მიაქვს, ფერთა სიკაშკაშით,
ღამე მარტოსული, ღამე მთვარეული,
მიჰყვება და მიდის...
უსასრულობის კი ფიქრთა ხვედრი ასე...
დასასრულის ხიბლს სულ, ცივ ქარებში ებრძვის.
რიჟრაჟს ელოდება, დილის იმ განთიადს,
რომ ინათებს ცისკრის, მოელვარე ფერთა,
ლალ-ალმასებს დაყრის, მდელოს დილის ცვარზე,
და გუგუნით სისხლი ვენებს მოწოლილი,
კვირტებს დაუხეთქავს ბაგეს ტკბილნამიანს.

იალაღებს ისევ დარახტული რაში,
წარსულ წამებს ითვლის უბელოს ჟინიანს,
საკინძეზე ჯეჯილს პურის მარცვალს უყრის,
გუთნისდედას დარდი გულში ჩარჩენია.
მთვარე სავსე მკერდით ეფერება მთის გულს,
ვნებას ვერ იოკებს, თითქოს იფერფლება,
სიოს ჩურჩულით კი სულ უამბობს როგორ,..
ეძებდა და დარდით ცრემლიც დასდენია.

იავნანას ისევ, მთვარიან ღამეში,
სიყვარულის ნაყოფს ქალი ურწევს აკვანს,
და ტაძარში ლოცვის, მადლიანი ენით,
უკვდავების სულის, გუგუნია ხმათა.
იადონის ენას, ბულბულის ხმა ერთვის,
შაშვის გალობა კი ვარდებს ტრფობით ესმით,
მთვარიანი ღამის იდუმალი ფიქრი,
უნაზესი გრძნობის და სიცოცხლე სიყრმის,
აზვირთებულ ტალღებს ბეჭზე შემოისვამს,
და გაჰყვება ღამეს ... სავსეს და მთვარიანს.

❤

ქარებს ავყევი და ღამის სიჩუმეში,
ფიქრად აგედევნე ლამაზ სიზმარისა,
გულში ფორრიაქით მღერის სიყვარული,
ცაზე ვარსკვლავებად გრძნობით გაბნეულა,
მიდის უჩვეულო ფიქრი ნაწამები,
მთვარეს მისდევს ისევ ჩრდილთა სიჩუმეში,
მთებზე ბილიკს შენკენ გამოვყვები ახლაც,
ჩეროს კვლავ მოვხატავ შენი წამწამებით.

ისევ ფხიზლობს გული, ჩანჩქერი კი ლაღობს,
თითქოს დაავიწყდა მისი სიყვარული,

ქარებს ავყევი და... ღამის სიჩუმეში,
მოგიძღვენი ჩემი ნაზი სუნთქვის ფერი.
მიდიხარ და ისევ, მესმის შენი გულის,
მოგუგუნე სისხლის ჩქრიალების ხმები,
მინდა ასე სულ რომ, ასე იღიღინო,
მე კი მოგყვებოდა უსასრულოდ გვერდით.

ქარებს ავყევი და უსასრულო ლოდინს,
მივუძღვენი სტროფთა ამღერებულ ბწკარი,
უსასრულო გზებზე მიდიხარ და სევდა,
ქარებს მოაქვთ ჩემთან მონატრების წამის.

მოდი

მოდი ჩამოჯექი და ავწიოთ ერთად,
თასი სიცოცხლისთვის სევდამორეული,
დედას გეფიცები, მე ხომ ლოთი არ ვარ,
გულის გრძნობას ვიტყვი, გრძნობამორეული.
მოდი გაგიმხილო, ერთი საიდუმლო,
მოქარგული სულში თეთრი გვირილებით,
სისხლის წვეთის სითბოს ცვარად გაბნეულებს,
შევაგროვებ პეშვით, დარდით გალეული.
მოდი ჩამოჯექი, გულის კარის ახლოს,
ფიქრთა ხეტიალში მოდი,,მთვარეული"
ზურმუხტისფერ ზეცას ერთად ავხედოთ და...
მთვარეს გავუღომოთ ღვინომორეული.
ისე უბრალოდ და ისე უჩვეულოდ,
მომიყევი გზების ბილიკხვეულები.

მოდი ჩამოჯექი თასი მოგაწოდო,
დანთებული სანთლის ცრემლის სადღეგრძელო,
დედას გეფიცები, მე ხომ ლოთი არ ვარ,
ქართულ სულში ვმღერი,,ლოთიანის" ბგერით.

❤ ❤ ❤ ❤ ❤

ქუჩას მიჰყვებოდა ჯოხით ბერიკაცი,
თითქოს გულის დარდებს სულაც არ იმჩნევდა,
მხრებში ოდნავ მოხრით სალამს ღიმილით კი,
მადლიანი გულით ყველას ურიგებდა.
თვალზე ნამს იგრძნობოდა
დაღლილ-დაქანცული,
დაეძებდა ნაპირს, სულის სიმშვიდისა,
ჯიბეს მოძებნიდა, დაკეცილი ფურცლით,
კალამს მოფერებით ისევ უღიმოდა.
სულის ტკივილების მაამებელ სტროფებს,
მთვარეს უმღეროდა ლექსთა აგონია.
სათუთ ანბანს გულში ისე ინახავდა,
არ აკარებს ნიავს, ცივსა და შარიანს.

შარაგზების მუხთალ და ბრმა სიდუხჭირეს,
შეუვსებდა ლექსის ტკბილი ჰარმონია,
ტივზე ამღერებულ ყარჩოღელთ ტრფობას,
თასსაც შეუვსებდა ღვინით სულმადლიანს.
ლამაზ ქალის ალვის ტანის შემხედვარე,

სისხლძარღვები მისი არ წყვეტდნენ
სულ ჟრიალს,
მიჰყვება და მიდის ბერიკაცი გზაზე,
თითქოს არც ადარდებს გზები სულ ქვებიან,
ზეიმი აქვს სულში, გიჟურ ვნებების და...
ხოტბას ასხამს წვიმებს, ნეტარს ქარიშლიანს.

იცოდა რომ ისეც,,გიჟად" შერაცხავდნენ,
სიცოცხლეში ბედკრულს, ამაყს, თავაზიანს...
მიჰყვებოდა ჯოხით ბილიკს ბერიკაცი,
უკვდავების გვირგვინს ცა ადგამდა მზიანს.

ნანა ჩარკვიანი

მე უშენობა მკლავს

სევდა მიწეწავს ფიქრს,
ქარი მიწეწავს თმას,
უკან ვიტოვებ წარსულს,
ვუცქერ გასავლელ გზას.
        იმედი მაძლევს ძალას,
        უფალი მიჭერს მხარს.
        გუშინდელს სჯობნის დღეს,
        ხვალ,უკეთესის მწამს.
რა ვქნა,ეს მიწაც მიყვარს
და იტალიის ცაც.
მიყვარს ტყე,მინდორ ველი
და ბუმბერაზი მთაც.
        ამ ბილიკებზე გადის
        ემიგრანტობის გზა.
        ბევრი ნატვრა და დარდი
        და გაბზარული ხმა.
ვერ მოვატუუებ ვერვის,
ვერც მოვიტყუებ თავს,
ჩემი სამშობლოს მიწას
სულ სხვა სურნელი აქვს.
        და როგორც ავგაროზი
        სულ მუდამ თან დამაქვს,
        ჯვარდაქარგული ქისით
        ქართული მიწა მაქვს.
დავუბრუნდები,ვიცი,
ჩემს კერასა და სახლს.
ავაგიზგიზებ ბუხარს
დარდებს გავატან კვამლს.
        მთვარე მინათებს სარკმელს,
        ზღაპარს მიამბობს თან.
        სიო მიმღერის ნანას,
        მე უშენობა მკლავს.

თვითონ მწერს ლექსი

,,მე არ ვწერ ლექსებს,თვითონ მწერს ლექსი",(ტიციანი)
სულში შემოდის ლამაზ ზმანებად.
ჩემს გუნებას და განწყობილებას
სტრიქონებში ქსოვს ფერად ზღაპრებად.

მე ვინ ვარ,ვწერო ჩემი ცხოვრება,
უფლის ხელია აქ გარეული.
ლექსი ჩემს სულში ხელს აფათურებს
ზოგჯერ შლეგია,გადარეული.

ზოგჯერ ნაზია,როგორც პეპელა
და გაზაფხულის სურნელსაც აფრქვევს,
ლექსი მწერს,ისეთს როგორსაც მხედავს,
ლექსი ჩემს სულის, სიღრმეში აღწევს.

ზოგჯერ,ცელქია,მოუსვენარი
მინდვრის ყვავილებს კოცნის და ათრობს,
ზოგჯერ ცდილობს, რომ გული გამითბოს,
გათოშილ რითმებს,მზის გულზე ათბობს.

დისკუსიაც მაქვს მე ჩემს ლექსებთან,
ზოგჯერ ვხუმრობთ და ზოგჯერ ვკამათობთ,
ზოგჯერ იალქნებს ავშლით ოცნების
ცის ლაჟვარდებშიც ერთად ვნავარდობთ.

ემიგრანტობის მოსაწყენ დღეებს,
ლექსიც ჯიუტად უმღერს არიებს.
თუმცა არ მიყვარს წუწუნი,მაგრამ
მონატრებებმა მთლად გადამრიეს.

ქართული სული,ქართული გენი
ჩემს სულში მუდამ ბობოქარია,
ლექსი თვითონ წერს დარდს და სიხარულს,
რა ვქნა,განა ეს ჩემი ბრალია?!

არ ვარ პოეტი, როგორ გავბედავ
როგორ გაკადრებთ ჩემს აბდაუბდებს,
ეხლაც ლექსი ზის ჩემს სულში ხედავთ?!
ზის და რითმებში ხელს აფათურებს.

დედა

დედის ლოცვა,მყარია და ძლიერია,
დედის გული სიყვარულის მორევია,
დედასავით ვერავინ ვერ შეგიყვარებს,
დედის ძალას ვერაფერი მორევია.

დედა არის იმედის და ნათლის სხივი,
შვილებისთვის უფლის ხატთან დაჩოქილი,
მისი ლოცვა,მისი ცრემლი ალალია
და უფლისგან მუდამ არის შესმენილი.

შვილისათვის დედა კლდესაც შეებმება,
ეს სათუთი,თითქოს სუსტი,ნაზი ქალი.
დედის ამაგს ვერასოდეს გადავიხდით
ამიტომაც მუდამ გვრჩება დედის ვალი.

გაუფრთხილდით,მოეფერეთ გულს ნუ ატკენთ,
დედა ქვეყნად უფალივით ერთი არის.
თორემ მერე გვიანია ცრემლების ღვრა,
როცა დედა ამ ქვეყანას აღარ არის.

დედის გული,სიყვარულის მორევია,
მდინარეზე გადებული არის ხიდი.
როცა შვილებს სასიკეთოდ დაიგულებს
მაშინ არის ბედნიერი,ლაღი,მშვიდი.

და თუ გინდა,იამაყო შენი დედით
შენც იყავი სასახელო მისი შვილი.
უფლისაგან დაილოცოს ყველა დედა!
უფლისაგან დაილოცოს ყველა შვილი.!

დედა წყარო,სიცოცხლის და სათნოების,
დედა ბოძი და ოჯახის საძირკველი.
არ მოგშლოდეთ მისი ტკბილი იავნანა
არ მოგშლოდეთ დედა,ფუძის მასპინძელი.!

მიმძიმს უფალო



ძეო ღვთისაო დაბნეულ ფარას,
შენ მოევლინე,მხსნელად და მწყემსად.
თუმც სათნოების იყავ საუნჯე,
მაინც გაგყიდეს ოცდაათ ვერცხლად.
ვერ შეგიცნეს და ვერ დაგაფასეს
ჯვარზე გაგაკრეს უმანკო მსხვერპლად.
ჯვარზეგაკრულიც ხალხზე ფიქრობდი
და იღვრებოდი, ლოცვად და ცრემლად.
შარბათის ნაცვლად გასვეს სამსალა,
თავზე დაგადგეს გვირგვინი ეკლის.
დედაღვთისმშობლის ჩუმი გოდება
იერუსალიმსს დღესაც კი ესმის.
გამოისყიდე ჩვენი ცოდვები,
ნალურსმანები შენი სხეულით.
მოგკლეს და მერე შენი აღდგომით
იყო პილატე გაკვირვებული.
მძიმე სევდა მაქვს ამ ღამით გულში,
მამლის ყივილიც უკვე მიჩუმდა,
უარყოფილს და მსხვერპლად შეწირულს,
დღეს მერამდენედ გაგცემს იუდა.
წითელ პარასკევს მიმძიმს უფალო!
მეც შენს ტანჯვაში მიმიძღვის ბრალი.
მაგრამ მახარებს აღდგომის მოსვლა.
აღსდგება ქრისტე! გამოვა დარი.!

ცხელი ზაფხული

იღვრება ციდან სითბო და
სხივები გულშიც აღწევენ,
მეზობლად წაბლის ხის ჩრდილში
ჰამაკში,ბავშვებს არწევენ.

ზოგიც აუზში გრილდება,
ზოგიც მზეს მიჰფიცხებია,
ზოგიც ბურთს ისვრის კალათში
რა ჟრიამულის ხმებია.

ვუყურებ,გული მითბება,
ჩემები მომნატრებია,
ემიგრანტების ცხოვრება,
ღმერთო! მართლა რა ძნელია.

როგორ მინდება მეც ამ დროს
შვილისშვილებთან თამაში,
ბავშვები ნათლის სვეტია
ცხოვრების ამდენ დრამაში.

ზაფხული ქშინავს სიცხისგან
არეული აქვს რელსები.
მე აივნიდან გავყურებ,
სხვის ბავშვებს ვეალერსები.

ხან წვიმს, ხან კი დარია

გაზაფხულის წვიმებმა
ამინდები არია,
ხავერდივით ბალახი
წვიმამ მთლად გადარია.

ყაყაჩოებს,გვირილებს
დაუსველა კაბები,
ღიღილოებს ცრემლებით
ამოევსოთ თვალები.

ზოგჯერ გადაიკარებს
მზის სხივები ანათებს,
ატირებულ ტირიფზე
ათინათებს დააბნევს.

სიო ჩამოუქროლებს
ზოგჯერ ბაღში ვარდებსაც
შეარხევს და წვიმის წვეთს
ფურცლებიდან დაფერთხავს.

ყვითელ კაბა პეპელაც
მზის სხივებთან თამაშობს,
ლამაზი და სათნოა,
როგორ ნაზად ფარფატობს.

ნაკადული ასკდება
აქეთ იქეთ კალაპოტს,
უერთდება მდინარეს,
ზღვა ვნახოო, თან ნატრობს.

გაიტაცებს მდინარე,
სიყვარულით დაათრობს,
შეერევა ზღვის ტალღებს
მერე,ზღვაში ნავარდობს.

ასეთია სამყარო,
ხან წვიმს და ხან დარია.
მათ გარეშე ვერ ხარობს
ჩვენი ყვავილნარია.

ცეკვა წვიმაში

მთვარე ღრუბლებმა გადამალა
ვით გველეშაპმა მსხვერპლი თავისი
და ვარსკვლავებიც გაუჩინარდნენ,
როგორც ფოთლებში ედელვაისი.

ისევ იწვიმებს,ალბათ ამ ღამით
ისევ იცეკვებს წვიმა ფანჯრებთან,
და ამ ღამესაც მხრებზე მოვიცვამ
ჩემს ოცნებებთან და ჩემს დარდებთან.

იქნებ ინებოს ძილმა სტუმრობა,
სიზმრად მოხვიდე და დარჩე ჩემთან,
იქნებ ეს ღამე ვნებით დავათროთ,
და გავიღვიძოთ,ორივემ ერთად.

არც ძილი მოდის,არც შენ სიზმარში
გარეთ მიხმობენ წვიმის წვეთები,
სულ არ მადარდებს,თუ დავსველდები
წვიმასთან ერთად მეც ავცეკვდები.

ჩამომეშლება თმაზე კულული,
დამისველდება წყალში ტერფები,
შენ არ მოხვედი ჩემთან ამ ღამით.
წვიმა მკოცნის და მეც დავნებდები.

გამოექცევა,,ტყვე"მთვარე ღრუბლებს,
ცას გაანათებს ვარსკვლავთა ჯარი.
დაინახავენ,როგორ დგას ზღურბლთან
გაწუწული და მთრთოლვარე ქალი.

ბოდიში სიბერევ

მოგონებებში ჩაძირული
მიღოღავს ღამე
და უკუნს არღვევს ცაზე
ციცქნა,ნამგალა მთვარე.

ვარსკვლავნი ცაზე
ჩნდებიან და იკარგებიან.
მთვარეს კი,ახსოვს
შენი დედაც,შენი ბებიაც.

როგორ მოდიან,
ამ ქვეყნად და იბადებიან,
მერე კი,როგორც
ვარსკვლავები ისე ქრებიან.

მთვარეს რამდენი
საიდუმლო შეუნახია.
არ გაუთქვამს და
გონებაში დაუმარხია.

ზოგჯერ ღრუბლები
შემოუსხამს მხრებზე თალხია,
ზოგჯერ პირბადრი მნათობია,
როგორც ბალღია.

მთვარე იზრდება,
ცოტავდება,ახლიდან ჩნდება.
ადამიანი ერთხელ მოდის
და ერთხელ კვდება.

როგორც ყვავილი,
იბადება,იშლება,ჭკნება.
მხოლოდ ალბომში,
სურათებში,კადრებად რჩება.

სარკე არ სტყუის,
ნაოჭები თანდათან ჩნდება,
გული უცვლელი, ახალგაზრდა,
ბოლომდე რჩება.

ღმერთო!რა ფიქრი შემომიჩნდა,
ხომ არ ვბერდები,
შენთან ბოდიში სიბერევ და
ვერ დაგნებდები.

მოგონებებში ჩაძირული
მიღოღავს ღამე
და უკუნს არღვევს ცაზე
ციცქნა,ნამგალა მთვარე.

მადლობა უფალო

მადლობა უფალო
ყოველი დღისათვის,
სიყვარულისათვის
და სულში მზისაზთვის.

მადლობა უფალო
დისათვის,ძმისათვის.
და სახელოვანი
ჩემს წინაპრისათვის.

მადლობთ შვილებისთვის
ღირსეულ ქმრისათვის.
მადლობთ მოყვასისთვის,
აქა-იქ მტრისათვის.

ჩემი თვალხატულა
ბადიშებისათვის,
ქართველ ქალობის და,
კარგ ვაჟობისათვის.

მადლობა ხნულისთვის,
ღვინო და პურისთვის.
მიწა და წყალისთვის,
მთასა და ბარისთვის.

მადლობა,ნუგეშო
ემიგრანტ ქალისთვის,
სამშობლოს პირნათლად
მოხდილი ვალისთვის.

მადლობა სახლისთვის,
მადლობა კარისთვის.
თავს აცილებული
უამრავ დარდისთვის.

მადლობა,მეგობრის
შეხიდვად,მხარისთვის
ცაზე ვარსკვლავისთვის,
მზისა და მთვარისთვის.

მადლობა საოცარ
ბედნიერ წამისთვის,
იმედებისათვის,
იმ მძიმე ჟამისთვის.

მადლობა სიცოცხლით
ტკბობის და განცდისთვის,
ჯანმრთელობისათვის,
დიდებულ განძისთვის.

მადლობა ცხოვრების
ყოველდღე სწავლისთვის
და კიდევ,უამრავ
უამრავ,რამისთვის.

მაკა მექერიშვილი

აფხაზეთს

არ იქნა და არ გეღირსა
შეშრობა მაგ ცრემლების...

გული მტკივა აფხაზეთო,
სხვისთვის არ მემეტები.

საქართველოს ნაწილი ხარ,
როგორც ხელზე თითები...

შენი დიდი მონატრებით,
გულშიც აღარ მეტევი.

* * *

იქნებ და ჩემო ძვირფასო,
უწამლო ყველა იარას.
ჭრილობებს ვერაფრით ვშველი,
ვერ მივაკვლიე იარაღს.

გულს უშენობით მტირალსა,
სევდის ჩამოსდის წვეთები,
თუ მესტუმრები უთუოდ,
სიცოცხლეს ისევ ვეცდები.

არ მინდა არც რა წამალი,
ქირურგიული ჩარევა,
მხოლოდ შენს თვალებს დავეძებ,
სიხარულით რომ მავსებდა....

ესაა ჩემი მკურნალი,
ყველა წამალზე ძლიერი,
მოდი მომხვიე ხელები,
რომ შევიცვალო იერი....

დედა!-რა არის სამშობლო?...

-ის წმინდა მიწა წყალია,
რითაც არსებობს ქართველი,
ოდითგან მისთვის იბრძოდნენ,
ასე რომ დარჩა მტკაველი.

ხან მტერმა მხარი მოჰკვეთა,
ხანაც განგმირა შუბითა,
რადგან იმ სენმა შეიპყრო,
ახლაც რომ ცოცხლობს შურითა.

თვალს ვერ უსწორებს მთა-გორებს,
გვირილებს ამოქარგულებს.
წმინდა კედლებში მომლოცველ
ლამაზ მანდილით ქართველებს...

სამშობლო ერთადერთია,
ამხელა დედამიწაზე,
აქ სულ სხვა ფერი ცა არის
და სულ სხვა ფერი სინათლე.

ჩვენი ვალია- დავიცვათ,
მტერს არ მივუგდოთ საჯიჯგნად,
ჩვენ თუ მის ფარად ვიქცევით,
ვერ მოერევა ადვილად.

* * *

დედის მოყოლილ ერთ ზღაპარს,
თურმე სხვა ფერი ჰქონია.
შვილის თვალებში ღიმილი,
სულ ორმაგდება მგონია.

ერთ ზღაპარს ღმერთო რამხელა,
ძვირფასი გრძნობა მოჰყვება,
სანამ თვალებს არ დავხუჭავთ,
ალერს არაფრით მორჩება.

შვილის სულ ყველა ბგერაში,
სიცოცხლის დიდი წვეთია,
სულ რომ გინდა რომ უყურო,
ის მოფარფატე მტრედია.

* * *

წამიყვანე ღმერთო იმ თბილ სამყაროში,
სადაც ეს ცხოვრება, არ იქნება რთული.
მინდა დავინახო წრფელი სიყვარული,
სადაც ბოროტება არ ექნებათ გულში.

გამატარე თუნდაც, ეკლიანი გზებით,
გზის ბოლოს კი დამხვდეს უანგარო გული.
თუ მექნება რწმენა, შენი სიყვარულის,
არ იქნება ვფიცავ, არაფერი რთული!...

წამიყვანე ღმერთო, ამიტაცე მხრებით,
მინდა რომ შევიგრძნო ადამიანები,
რომ იყოს სიკეთე უანგარო, წრფელი
სადაც ეყვარებათ მუდამ ერთმანეთი.

* * *

როიალს დასცვივდა ძველი კლავიშები
და კვლავ ფოთოლცვენა სტუმრობს შემოდგომას...
ლალს და ზურმუხტს ვკინძავ ლამაზ სამკაულად,
ისევ წაქცეული, ვცდილობ წამოდგომას....

* * *

მიტომ გვქვია ქართველები,
შევიყვაროთ ერი ჩვენი!....
საქართველო ავაყვავოთ,
ვისაუბროთ დედა ენით!...

წიგნი თუ კი სუვენირად,
გავიხადეთ აღარცა ვშლით,
ასე მხოლოდ საკუთარ თავს
და ცხოვრების,სავალ გზას ვსჯით!...

* * *

როცა სიყვარული შემოიჭრა,
მთლად მას მივენდე და შევეფარე.
სატრფოს უნებურად გავუმხილე,
გრძნობა პირველივე შეხვედრაზე.

თვალში ჩავხედე და ამღვრეული,
მე უმალ შევნიშნე თვალის სკალპი.
ვუთხარ -ღიმილები გაიმეტე,
რომ ჩემს სიცოცხლეს მიეცეს აზრი...

ქვეყნად არ არსებობს,მასზე კარგი,
გული, მე რომელიც მეყვარება.
მძინავს მესიზმრება,ვერ ველევი,
ცხადშიც მისი სახე მელანდება.

ვფიცავ შევიყვარე სამუდამოდ,
ვერვინ ვერ ჩადგება ჩვენ ორს შორის,
როცა სიყვარული გავუმხილე,
მზერაც დავიჩემე ნაზი ტრფობის!.

ზოგჯერ უბრალოდ გვიანია....

ზოგჯერ უბრალოდ გვიანია,
ბევრი ხომ კიდეც გვინანია....
ხან საქციელზე გაგვცინვია,
ხანაც რამდენი გვიტირია!
და თავად ცხოვრებამ დახატა,
ნახატი რთული აღსაქმელი,
ფუნჯით მოხატა ლაბირინთი,
ფერი არ დარჩა აღარცერთი!....

ხელი ჩამკიდე.

ხელი ჩამკიდე და არ გამიშვა!
გულთან მიმიშვი თბილ საბინადროდ,
შემომატარე სულის წიაღში,
გზები მიკვალე იქ სახიფათო.

ხელი ჩამკიდე და არ გამიშვა!
ვშიშობ უშენოდ ძირს არ დავეცე,
შენს გვერდით ისე ძლიერად დავალ,
არ მსურს ამ გრძნობას სადმე გავექცე.

დარეჯან მაჭარაშვილი

გაიარე!

სხვისი ცოდვა არა –
შენი დაითვალე,
თვალი ვინ დახუჭოს –
მიდი, გაითვალე.
სადაც ძალა ვერ ჭრის –
შუბლით გაიტანე,
რაც სხვამ აიტანა –.
შენც ის აიტანე!,

სხვაზე ფიქრის ერთი
ღამე გაათიე,
ცოდვა–მადლი ერთად
მუჭში ჩაატიე,
სხვისი ტვირთი ერთხელ
ზურგზე მოიკიდე,
სხვა რომ დარდიანობს –.
შენაც მოიწყინე!

მე რომ ამივლია, –
ის გზა აიარე,
ფეხით ნუ გათელავ
ყვავილს გვალვიანებს,
აღარ შემომიხსნა –
პირი ნაიარევს,
თუკი არ მოგწონვარ –
ისე გაიარე!

მომენატრა

ჩემი სოფლის "სუნი" მომენატრა,
წყარო ანკარა და.... ლელიანი,
სადაც ყველაფერი თავს მაწონებს,
სადაც ყველაფერი ჩემი არის!
ჩემი ბავშვობა და მინდორ– ველი,
ატალახებული გზებიანი,
წვრილი,საცალფეხო ბილიკები,
ადგილ–მამულები ზვრებიანი!
ღამე ტოლ–სწორებთან ჭორაობა,
საზღვარს გადასული ხეტიალი,
სტუმრად ჩამოსული გოგო–ბიჭის,
ჩუმი გამოხედვა ვნებიანი!
ღამეს მოპარული კოცნები და
მერე სიყვარული ფრთებიანი,
ფეხით შემორბენა ადგილების,
სადაც ზვინები და ძნები არის!
იქვე–ჭორიკანა ბებიები,
თავშალწაკრული და მხიარული,
ბევრი უმიზეზო სიცილი და
ბევრი უგზო–უკვლოდ სიარული!
ბაღში შეპარვა და სიჩქარეში
ტოტებდამტვრეული ხეხილები,
დაგვიანებული სახლში მისვლა,
მამას ნახსენები"კეთილები"...
ახლაც ის ალაგი მენატრება,
ხან ღელეებიც რომ შლეგი არის,
სადაც ზღვარი არ აქვს მონატრებას,
სადაც სიყვარული ბევრი არის,
სადაც შეხვედრისას ღიმილია,
თვალი–სიხარულის ცრემლიანი,
სადაც კანტი–კუნტად უცხოა და
უფრო უმეტესი"ჩემიანი"!
– – – – – – – – – – – – – –
ეს მოგონებები მაცოცხლებს და
თავად სიცოცხლეზე მეტი არის,
და ეს ყველაფერი იმ ბავშვობის
სულ ციცქნა– ზღვაში წვეთი არის!!!

***
ისევ წუხილი და ისევ მონატრება,
ისევ სევდიანი ღამე...
მერე უსასრულო, ჩამქრალ სიყვარულზე
ჭორებს გაავრცელებს მთვარე!.
დარდი აზვირთდება,ვით ზღვა ქარიშხალში,
აღარ დასრულდება ღამე,
მე კი სიბნელეში ხელებს ვაცეცებ და
ვეძებ საიმედოს, რამეს!
სული გაძარცული იქნებ გადამირჩეს,
რწმენას შემოვიცვამ ტანზე,
იყო არა იყო, ვინაც მაწყენია
ვინაც მახე მიგო გზაზე!
ისევ ავმღერდები, ისევ გავდიდდები
ვინმე საიმედოს ხმაზე,
მერცხლის ბუდესავით შევკრავ ღიმილებს და
აღარც დავიდარდებ რაზე!
ცუდი სიზმარივით წყალსაც მოვუყვები
აღარ დავიტივებ დარდებს,
მერე ნარ-ეკლებით ხელებდაკაწრული,
გზა-გზა ავაყოლებ ვარდებს....
– – – – – –
აღარც წუხილი და აღარც მონატრება,
აღარც სევდიანი ღამე....

ვაი–თუ

შემომეპარა ლურჯი აპრილი
გრძნობა მიბნია ფერხთა,
ვაი–თუ შენზე მიყვება ამბავს
ჩუმი შრიალი ხეთა,
ვერ შემოგბედე გულის ნადები
სიოს ვაბარე შენთან
ნეტავ გითხრა თუ დაკარგა გზაში
შენთვის რაც უნდა მეთქვა!
ფანჯრის გადაღმა თავს იხრჩობს მწუხრი
იქნებ დამცინა ბედმა,
იქნებ ის არ ხარ, ვინაც მგონია,
იქნებ ჩემთვის გშვა ღმერთმა!
ფიქრი სასთუმალს წვება დაღლილი
გულის მაწვალებს ფეთქვა,
ვაი–თუ–ჯობდა რომ არ გითხარი,
ვაი–თუ....
უნდა მეთქვა!!!

მოდი

უშენობით გამიჭირდა სუნთქვა,
ცა პირქუშობს,
ტოტებს არხევს ქარი,
ქუჩა–ქუჩა ვეხეტები უქმად,
დაღლილი და სიყვარულით მთვრალი.
თუ არ მოხვალ, დავიბნევი სულ მთლად,
თუ არ მოხვალ, ამერევა კვალი,
სიცოცხლესაც ჩაუვლია უქმად,
თუ გამყვება სიყვარულის ვალი,
იქ, შორეთში ელვა კაწრავს ზეცას,
აქ კი ჩემს გულს შენ დაატყვე ბზარი,
მოდი, სანამ გელოდები მეც, და..
სანამ სადმე მომისროდეს ქარი!!!

იყო და არა იყო

როგორ გაფრინდნენ წლები,
ქარს აედევნენ თითქოს,
ის ღიმილები მწველი
იყო და არა იყო!
გული, დაღლილი ფიქრით
დარდის დაფარვას ცდილობს–,
"ეჰ, უდარდელი ხანა
იყო და არა იყო"
ფიქრის შემიჩნდა ჭია,
უნდა მიმონოს, მიყმოს,
თავზე დამჩხავის–, კმარა
იყო და არა იყო!
სად დაიკარგა ნეტავ,
ის სიამე და სითბო,
ახლა გაყინულ ხელებს
მოგონებებით ვითბობ!
სევდამ გაკაწრა გული,
ტოლ–სწორმა ვეღარ მიცნო,,
ის სიყვარულიც წრფელი
შემომეხარჯოს ვინძლო,
სიყვარულს ბნელში ვეძებ
გამოწვდილ ხელებს ვითხოვ,
როდემდე მაარსებებს,
იყო და არა იყო?

თეა ბარბაქაძე

* * *

სისხლივით როდის წასკდები კალამს,
ნეტავი ძარღვებს როდის გასცდები...
ფურცელზე როდის დაანთებ ხანძარს
და ფენიქსივით კვლავაც აღსდგები...

შენს ლაჟვარდებზე გონებას ვკარგავ
და მისტერია შენი თვალების...
გაურანდავი სტროფების ქარგას,
დემიურგივით მიქანდაკებდი...

ნაზარეთის ცას, მოგვების ნახატს
და თაბორს –
ნათლის სვეტით შემოსილს,
თუ საიდუმლო სერობას ხატავ,
შეძლებ დახატო სულის სამოსი?

ვიცი დახატავ ხორცსა და სამოსს,
ვით შემოქმედი ქმნიდა ქმნილებას...
რა კალამს წამსკდარ სისხლის პათოსი,
მელნიდანაც კი ღმერთი იქმნება...

AVE MARIA...

გავილუმპები შენი თქეშით დედა მარიამ,
შენი ზარები მეცხრე ცის თაღს გლეჯს ლამარია,
შენს საგალობელს ღრუბელთ დასი ნათლავს არიად,
Ave Maria...

ეგ გუმბათები – ცას მიდგმული ცათამბრჯენები,
თავაწყვეტილი ოცნებების თეთრი მაგია,
თეთრ პერგამენტზე შეფენილი შავი მერცხლები,
Ave Maria...

ვაზი, შეკრული ნაწნავებით, მორცხვი ქალწულის,
ღმერთის ენაზე დაწერილი შენი არია,
ეგზისტენციად ჩამოწნული შენი წარსული
და მომავალი,
Ave Maria...

"PIETA' "

ენა, რომელზეც თვით უფალი წერდა ფსალმუნებს,
მარადისობის მონუმენტი, პროტო ქართული...
ტოსკანის თეთრი მარმარილო, როგორც " Pieta' ",
ვისთვის გოლგოთა, ვისთვის ალბათ ვნების ალმური...

შენი "Pieta' " – რა სიღრმეა და რა სიმაღლე,
რა ჟრუანტელი ვერცხლით მოგვრილ გრძნობის დიდების
და ჟრუანტელი, მაშინაც კი როცა გროზგავენ
და გონიათ, რომ გერევიან შენზე დიდები...

ჟრუანტელი ხარ, სანთლის სუნზე მოსული ღმერთის,
ეჩურჩულები, გონზე დარჩე და არ გარეკო...
მაგ თვალებიდან აფრენილი სამოთხის მტრედის
ფრთების შრიალი, ღმერთთან მისვლას ალბათ არ ეყო

და შენი სისხლი, თუ ჯვარცმიდან მადლად მეპკურა,
რაც შემოქმედმა ჩემგან შექმნა ალბათ ეს არის,
ტოსკანის თეთრი მარმარილო – ქვა თუ " Pieta' ",
ვისთვის გოლგოთა, ვისთვის ალბათ თეთრი ვერსალი...

* * *

ჩადის ცის იქით, მიყავს – ყველა სხივი და ღმერთიც
და დედამიწას შემოახვევს იისფერ ნისლებს,
ცა გადაიხსნის ლაჟვარდების უნაზეს მერდინს
და უსასრულო თვალებიდან ღმერთივით გიმზერს...

შენს ცისფერ ლაჟვარდს, ვით ღვთის მშობელს, ჩამოსდის ცრემლი
და ფრესკებიდან "მონა ლიზა" ვარსკვლავებს გიკრეფს,
როგორც – და ვინჩის, ამოფრქვეულ ვულკანის ცეცხლი,
სტრიქონზე ვკვდები, როგორც ჯვარზე გვიკლავდნენ ქრისტეს...

* * *

გილგამეში, თუ ბილგამესი, თუმც რა აზრი აქვს,
რა აქადური, ყველა საზღვარს გასცდა ქართული...
შენმა ჩაკრულომ გალაქტიკას ჭერი ახადა
და ასტრალებსაც გადაუსხა სისხლი ქართული...

გასცდი ყოველგვარ მიწიერს და სახლობ ასტრალებს,
შენში ნაძერწი აკვნებიდან იშვნენ ღმერთები,
ჰო, ის ღმერთები, გოლგოთა რომ გამოატარე,
რომ მერე სისხლით გადეწერათ შენი მცნებები...

ნეტავ გადავრჩი, თუ სარეცელს შევრჩი სიკვდილის,
მე ცოცხალ-მკვდარი შენს ლაჟვარდზე როგორ მარწიე,
შენ აქადური მითოსივით ბრძოლის წყურვილით,
მე სიყვარულის სარეცელზე გადამარწიე...

გამომატარე ყველა ჟამი – წარღვნის, დიდების...
ფერფლად ნამყოფიც შენს ასტრალში ღმერთად ამზიდე...
შენ ნატაძრალი, ნამეხარი, მეხამრიდებით (ჰო, წმინდანებით)
ყველასაგან გამომარჩიე...

რა ეპოსები,
მისტიციზმი,
დროთა დინება,
წამოღებული აქადიდან შენი სილაღეც,
მაგრამ სულ სხვაა გადატეხილ ვაზის ჭრილობა
და ნაწნავებით შეხვეული შენი სინაზე...

* * *

შენს ცაზე მერცხლები ირაოს ხატავენ,
შენს ცაზე ვარსკვლავნი მუხამბაზს მღერიან,
მოზიდეთ მშვილდები, მიუშვით სადავე,
დღეს ქრისტეს მხედრები სტრიქონზე კვდებიან...
ხსნილია ლაჟვარდი, მიდი და იფრინე,
შენს გონში მოსული ჯვარცმული ღმერთია,
სტრიქონი, რომელიც ჯვარცმამდე ითმინე,
დაწერე, რას უცდი და ჯვარი გწერია
იმისგან, ღმერთივით სტრიქონზე გაგაკრან,
წერტილიც სამსჭვალს ჰგავს, შეთითხნილ ცოდვების,
ქრისტე, თუ ბარაბა? ხარხარებს სატანა,
არ გინდა ატანა ამდენი ზომბების?
შენს ლაჟვარდს, როგორც ღმერთს, კვალდაკვალ ვუდგივარ,
შენს ვარსკვლავთ პლეადას კვალდაკვალ მოვყვები,
ამ თიხის მოზელა თუ ასე უღირდა,
ამიტომ სტრიქონად მიგზავნა მოგვები...
ბაგაზე სიცოცხლის აკვანი ირწევა,
მაჯაზე ყუჩდება რწმენა და სამსჭვალი,
შენს ცაზე მერცხლები, ვითარცა ცის ელვა –
სამყაროს ყველაზე სათუთი ზღაპარი.

* * *

რა შეედრება შენს გულ-მკერდზე დაწურულ მტევნებს,
იავნანას და ღვთის მშობელის დარწეულ აკვანს,
როგორც ზღაპარში – მხრებზე უდგათ სამშობლო დევებს,
ამ გოლგოთასაც გავივლით და გადაგწერ ზღაპრად...

შენ უკვდავებად მიგაჯაჭვეს ღმერთებმა კბოდეს,
ღმერთის ტოლი ხარ, ამიტომ შენც ღმერთივით მყავხარ,
უსასრულო ხარ, არ უსმინო არავის ბოდვებს,
ვიცი სტიგმები გტკივა, თუმცა ღმერთივით დგახარ...

ჯვარზე გაკრულსაც, გაყიდულსაც ღმერთივით გგმობენ
და ავიწყდებათ, რომ აღდგომის სუნი აქვს ღალატს,
საზიარებლად მოელიან ღმერთებს და მოგვებს
და ავიწყდებათ, რომ უფალმაც გაიღო ღალა...

სამშობლო რაა, სისხლი ძარღვში თუ არ ამღერდა,
მავთულხლართები სულს და ხორცს თუ არ გიწიოკებს,
როგორც აკვანში, ჯვარზეც ისე ნაზად მარწევდა
ღვთის მშობელი, რომ გოლგოთაც კი გამიიოლე.

* * *

მაჟრჟოლებს, როცა შენი სუნთქვა გულზე მეხება,
აპოკალიფსი აამღერე თითქოს ძარღვებში
ლექსები, როგორც ჩემი სულის ციებ-ცხელება,
მელნად მოვარდნილ რაფსოდიად დადის ძარღვებში...

რა გადამარჩენს, როცა შენი შველა მჭირდება,
როცა ძარღვიდან წვეთი მელნის აღარ გადმოდის,
დამშრალ ძარღვებში ლავასავით ამიხირდება,
ღმერთის ენაზე სიყვარულიც იად ამოდის...

უნდა გადავრჩე, რადგან ღმერთმა ასე ინება,
გემუდარები არ დამტოვო შენით მწყურვალი,
რადგან ამ ენით გაცხადდების,
რწმენით
და
ნებით,
თუნდაც ჯვარს მაცვი,
ჰო,
ჯვარს მაცვი
როგორც უფალი...

* * *

სიმაღლე მიწიდან კი არა,
ფესვიდან გიმღერის ღმერთამდე,
ცრემლებიც იებად ღვივიან, ანცობენ ჩემიდან შენამდე,
დამარხული არს ენაი მეორედ მოსვლისა შენამდე,
ფესვიდან ანთილი სანთლები მღერიან ღმერთების ენაზე...

" განა ვღირდით?"

იყავი ზევსი – აფროდიტე გარგუნოს ბედმა,
იყავი ღმერთი, რომ შენს კართან დიოდეს მრევლი
და რომ სიკეთე ზეიმობდეს მიწასა ზედა,
რომ ხელმეორედ ჯვარს არ ვაცვათ ჯვარცმული ღმერთი.

დავითვლი წუთებს, უშენობით ნატანჯ ღამეებს,
როცა არ ხარ და სასთუმალთან ჯვარზე ვეცმევი.....
ყოველი ღამე ჯვარცმაა და ჩემი ცრემლები -
კელაპრებია უშენობით განვლილ დღეების.....

არ დავნებდები, თუნდ ღმერთებმა მაქციონ ზურგი,
თუნდ შეიშალოს, ამიმხედრდეს მთელი სამყარო.....
არ მინდა ვიყო სამყაროსთვის – ლანდი და ურგი,
არ მინდა ზეცამ დედამიწას ადრე გამყაროს.

მაჩვენე გზანი ჭეშმარიტნი – ვიდოდე ზედა.....
თვალნი მიხილნე – მტყვანს და მართალს ვარჩევდე ქვეყნად,
რომ შენი სჯული შეიყვაროს ერმა და ბერმა
და დასასრული არ ექნება სუფევას შენსას.....

კითხვა მიჩნდება: – განა ვღირდით ამად უფალო,
უმადურთათვის – თავი თვისი შემოგეწირა?
- ძალა არ გვეყო ცოდვილ სულის გადასარჩენად,
რომ, ვითომ ერთგულთ – ღვთის სხეული არ გაგვეწირა.....

მეც თქვენებურად ღარიბი ვარ, როგორც – იესო,
რაც მაბადია – სიყვარულით სავსე გულია.....
გთხოვ მაპატიე, ვერ ვაპურებ ყველა მშიერსო,
სულს თუ ატირებს ხომ მოყვასის სიყვარულია.....

დაგგლიჯეთ, დაგგმეთ, უარგყავით, ვერ გაგიფრთხილდით,
არადა – უნდა სიყვარული ცამდე გვეზიდა
და გეკითხები : – განა ვღირდით ამად უფალო,
უმადურთათვის თავი თვისი, რომ გაგეწირა???

ინგა ლობჯანიძე

სხვა საქართველო არსად არ არის

თითქოს ბორგავენ,წინაპართ ძვლები
ცოდვილმა მიწამ იწყო ზანზარი,
ღვთით კურთხეული ჩემი სამშობლო
გამხდარა ბევრის სულთა ბაზარი.

ვისაც რა უნდა, იმასა ჰყიდის
და მას ყიდულობს ეშმას ვაჭარი,
“დაგდებულია”სვავთა საჯიჯგნად
ჩემი სამშობლოს ტურფა მთა-ბარი.

მწუხარე ნისლი დაცურავს მთა – მთა,
ჟამი დამდგარა მართლაც საზარი,
სისხლის ყივილით გულანთებული
გმირი ქართველი ნეტავ სად არის.

ნეტავ სად არის, ლომგულ ვაჟკაცთა
მხრებით ნაზიდი სიმართლის ჯვარი,
ვისაც სამშობლო გულზე მზედ ენთო,
ვისზედაც დღემდე დუდუნებს მტკვარი...

აღარსადა სჩანს ძველი დიდება,
ყველა სიტყვით ვართ სხვაზე მაგარი,
უსიყვარულო ქორწილს ვზეიმობთ,
გზად მიგვაცილებს მტრისა მაყარი.

კაცმა გასწირა კაციც, ბუნებაც,
მიწა, ღვთისმშობლის კალთით ნაფარი,
ღვარცოფს და მეწყერს მიაქვს სამშობლო,
მტკივა ყოველი მისი ნაპრალი.

რატომო, ყველა უმანკოდ ვამბობთ,
რატომ გაგვიწყრა ღმერთი მაღალი?!
იმიტომ კარგო, რწმენა დავკარგეთ,
არ გავახარეთ კაცი მართალი.

სიყვარულს ფრთები გზა-გზა ვაცალეთ,
ლაჟვარდს გაისმის ყვავთა ყრანტალი,
სიკეთის მთესველს ხნულში ვუპნიეთ
სიძულვილის და ღვარძლის მარცვალი.

საწყალ კაცს ყველამ რაღაც წარვსტაცეთ,
არ შევარჩინეთ მცირე საგზალიც,
იმედის ნაცვლად გულს გავუტარეთ,
ვერცხლით ნაჭედი, ცოდვის სამსჭვალი...

აღარც ნიშა ჰყავს, აღარც ნიკორა,
აღარც მეხრე სჩანს მათი სადარი,
მთას სალამური მონატრებია,
დადუმებულა მწყემსის სახლ-კარი.

იალაღს ცხვარი მონატრებია,
რაკრაკა წყაროს კოკითა ქალი,
სარკმელს სინათლე მონატრებია,
კერას გიზგიზა ცეცხლისა ალი...

მე საქართველო მომნატრებია,
დავითისა და თამარის ხანის,
ბედნიერება მომნატრებია
და უკვდავება დიდებულ წამის.

ვაზის ცრემლები მომნატრებია,
ვაიოს ველზე დაღვრილი ზვარის,
პურის თავთავი მომნატრებია,
სურნელით სავსე, მესხური ყანის.

მე ქართველები მომნატრებიან,
უფლის რჩეული წინაპართ დარნი,
ზრდილნი, მამაცნი, დიდ გრძნობით სავსე,
ჭირშიც და ლხინშიც გვერდიგვერდ მდგარნი.....

დედას, როგორც ხატს თაყვანს რომ სცემდნენ,
უფროს – უმცროსის იცოდნენ ზღვარი,
მტერს ვაჟკაცობით რომ აკვირვებდნენ
მოყვარეს გულის მზიანი დარით.

მინდა ბრწყინავდე, ისევ ქართველო,
ზეცას სწვდებოდეს შენ სხივთა კვალი,
არ დაივიწყო ვისი გორის ხარ,
მედგრად იხადე სამშობლოს ვალი.

სხვაგან რას ეძებ, შენსას რად ჯიჯგნი
ღმერთმა გვაჩუქა მიწა ზღაპარი,
სხვა საქართველოს ვერსად ვერ ნახავ,
სხვა საქართველო არსად არ არის.

მამის სათხოვარი

შვილო, შეხედე ამ მთა- ბარს
ღმერთს როგორ დაუქარგია,

სარეველასგან წინაპარს
მუხლიჩოქ გაუმარგლია.

უბეს ჩაუწნავს წალამი,
დაუხნავს, დაუბარია

სამშობლოს ბედზე უფალთან,
გაუბამს საუბარია.

აქ აუგია ტაძარი,
აქ დაურეკავს ზარია,

რწმენით უნთია სანთელი,
აქ შეუწირავს ცხვარია.

ეს მიწა, სისხლით მორწყული
გმირების ნაომარია,

შენი ხელგამრჯე ბაბუის
ნაჯაფარ, ნაოფლარია...

ნუ მ ი ა ტ ო ვ ე ბ იმ ალაგს
სადაც მათ გაუხარია,

სადაც ცოცხლები ლაღობდნენ,
დღეს განისვენებს მკვდარია.

მათ სულს სიმშვიდე მიეცი,
შეაღე სახლის კარია,

ცივ კედლებს კერა აუნთე,
გუთანს შეაბი ხარია.

მოაზღრიალე ეზო-კარს,
კრუხი, წიწილა, ვარია,

ვაზს შეუმშრალე ცრემლები,
მტევნებს უკოცნე ცვარია.

მაღალ მთას აახმიანე
ცელისა საკვერავია,

საწნახელს ღვინოდ ადინე,
ლამაზი საფერავია.

გახსოვდეს შვილო, ეს მიწა
ღვთისმშობელს დაუფარია,

სხვაგან ასეთ ცას ვერ ნახავ,
სადაც გულს გაუდარია.

ჰოდა, ამ ნაკურთხ მიწაზე,
მიმრავლე მონაგარია,

სუფთა ხელებით დასწერე
შენს შვილებს უფლის ჯვარია.

აღზარდე საამაყონი,
ქართველთა შესადარია,

რომ ცოცხლებს მიწად გელხინოთ,
ზეცად ვხარობდეთ მკვდარია.

შენი წინაპრის ნატერფალს
შენიც დაატყვე კვალია,

შვილო ღირსებით აგრძელე
შენი ჯიშისა გვარია.

ვინ იცის...

დედებო, დალოცეთ შვილები,
გულები დაუნთეთ სანთლებად,
ილოცეთ!!! ილოცეთ!!! ილოცეთ!!!
ვინ იცის, ხვალ მათ გზად რა ხდება.

დედის ლოცვა, ხომ მაღლა ღმერთს
და თვით ჯოჯოხეთს ჩასწვდება,
დედებო დალოცეთ შვილები,
ვინ იცის, მათ გულში რა ხდება.

დედის გულწრფელი ლოცვანი,
ანგელოზის ფრთას სახლდება,
განსაცდელს ფრთებს გაშლის წმინდანი,
თქვენს შვილთ მფარველად დადგება.

წყევლა?! წყევლა არც გაბედოთ!!!
ვინ იცის რა როგორ ახდება,
სიკეთე, სიკეთე აკეთეთ
თქვენს შვილებს გზადაგზა დახვდებათ.

შვილებო, ახარეთ დედები
დადექით მათ გულთა საყრდენად,
არცერთი საცდური არა ღირს,
ამ ქვეყნად მათ ცრემლთა სადენად!!!..

არც კი მეყოფა სიცოცხლე,
შენთვის მადლობის სათქმელად,
უფალო, მარადჟამს აბრწყინე
შვილები, დედების სარკმელთან.

ღმერთმა დალოცოს

ღმერთმა დალოცოს ის დედა,
ვინც აქ აკვანი არწია,

ვინც სადიდებლად ააგო,
ზარზმა, საფარა, ვარძია.

ვინც ხერთვისს ციხე აშენა,
მის მწვერვალს დროშა ასწია,

ვინც მოსისხლე მტერს სიმართლის
ისარი გზად დააწია.

ვინც ჭულეს ზარი დარეკა,
კლარჯეთს აფარა მანტია,

ვისაც ამ ნაკურთხ მიწაზე
ტაძრები მოუფანტია.

ვინაც ვაზისა ცრემლები,
მირონად გადააქცია,

ვინც ეს ლამაზი მთა-ბარი
მართლაც სამოთხედ აქცია.

ვინაც თამარის წყაროზე,
წყალი ღვთის რწმენით დალია,

ვინაც მესხეთის მიწაზე,
სული გმირულად დალია.

ვინც წინაპართა ნაოფლარს,
გულში მოუწყო გალია,

ვინაც ეს წუთისოფელი,
მართლაც კაცურად გალია.

მესხეთო, შენს ტანჯულ მიწას
რა აღარ გადუტანია,

დიდება!!! ვისაც ეს მიწა
ჩვენამდე მოუტანია.!!!

ორი მზე

ორი მზე დაბადებულა
ამ ქვეყანასა ზედაო,
რომელი რომელს სჯობია
ვუცქერ და თქმას ვერ ვბედავო.

ერთ ალაგს ვერ დატეულან
სხივებსა ჰფენდნენ ბევრსაო,
ერთი ცად გაბრწყინებულა,
მეორე ფუძე – ჭერსაო.

ცამ მზეჭაბუკის აკვანი
ლაჟვარდებს გამოჭედაო,
ლამაზი, ლურჯი თვალებით
სახლის მზეს გადმოხედაო.

დედა, ნანინას მღეროდა,
შვილს ტკბილად აძინებდაო,
ანგელოზს ფრთა გაეშალა
ყრმას მძინარს აცინებდაო.

მღვიძარეს ეფერებოდა
ტაატით ატარებდაო,
დაცემულს გულში იკრავდა
ღვთისმშობელს ავედრებდაო.

“ხომ არაფერი იტკინე,
შენ შემოგევლოს დედაო”,
გზა – გზა ყვავილებს უფენდა
გულს ფიანდაზად დებდაო.

მის თვალზე, პატარა ცრემლიც
დედის გულს ადარდებდაო,
ხარობდა, როცა მის სახეს
მზის სხივნი ანათებდაო.

მასთან თამაშით გართული,
ბავშვივით ტიტინებდაო,
მის ენით ლექსსა ჰყვებოდა,
მასსავით ღიღინებდაო.

მისი ჰაერიც ის იყო,
გულიც მისითა ძგერდაო,
შვილის ნათქვამი “დ ე დ ი კ ო,”
ანგელოზის ხმად ჟღერდაო.

მისი წკრიალა სიცილი
სიცოცხლის წლებსა ჰძენდაო,
მისი ცხოვრებით ცხოვრობდა,
მის ლხენით მოილხენდაო.

მამა – პაპათა ნაკვალევს,
შვილს სანთლით უნათებდაო,
მის იმედსა და დასაყრდენს
გულს რწმენით უკაჟებდაო.

გზაზე მიმავალს გასცქერდა,
პირჯვარს ჩუმადა სწერდაო,
დედის ბაგეთა ლოცვანი,
ღმერთთან ზარებად რეკდაო.

დაჰფოფინებდა ლამაზ შვილს,
სიყვარულს არ აკლებდაო,
ცისარტყელების ლამაზ ფერს
მის გზა – კვალს თავს ავლებდაო...

ცასაც მოუნდა დედობა,
მზე შვილად დაიბედაო,
სამყარო გადაუშალა
ოცნების ნატვრისხედაო...

დედა – შვილობის დიდ მადლსა
უფალი მირონს სცხებდაო,
მისი ძალა და სიწმინდე,
მასაც კი აოცებდაო...

რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი,
იმას ახლაღა ვხედავო,
მზეს სხივნი მეტი ჰქონია
სითბოს მეტს აფრქვევს დედაო.

როგორც კი სხივებს აკრეფენ,
იმ წამსვე დაღამდებაო,
სამყაროს ბნელი მოიცავს,
კედლები გაცივდებაო.

ღმერთო მრავალჟამს აბრწყინე,
ცაზე მ ზ ე, სახლში დ ე დ ა ო.

ყველას დაგილოცავთ შვილებს,
მრავალი წელი გეხაროთ
ერთმანეთით უფალი ფარავდეს
დედა-შვილობის
დიდ მადლს🙏🙏🙏

ჩემი გვარი

ჩვეშოდან ღებს გადმოსულა
ჩემი დიდი წინაპარი,
და გამხდარა ზღაპრულ მთების
საუკუნო ბინადარი.
ხელმარჯვე და გამრჯე რაჭველს
აუვსია ბეღელ- კარი,
ბევრი მოუშენებია
ცხენი, ძროხა, თხა და ცხვარი.

აუგია ციხე- კოშკი
მტრისგან თავის შესაფარი,
ქვეყნად მხარე არ ყოფილა,
მისთვის რაჭის შესადარი.
ხოშიტა ლობჯანიძისგან
წამოსულა ჩემი გვარი,
ალალი და მართლის მთქმელი,
ფესვძლიერი, შტომაგარი.

გაშლილა, განშტოებულა
მოუქარგავს მთა და ბარი,
რვა მოძმედ და ორმოცდაერთ
სავისიანთოდ
დაყოფილა დიდი გვარი.
გივეენი, ნაშოენი, ნიკოლეენი,
კანკალეეთ მოძმე არის,
სიყვარული ყოფილიყოს
ამ დიდ ძმობის საწინდარი.

სოფელს სოფელი უშვია,
გვარს შემატებია გვარი,
აუგიათ დედაღვთისა
რწმენის დაუდგიათ ჯვარი.
ბატონ-ყმობის მძიმე უღელს
მათთვისაც უტყვია კვალი,
ბატონ სამ ძმა არიშიძეს
მთისთვის დაუდგია თვალი.

უღირს ბატონთა ყმობითა
ხალხი იყო დამაშვრალი,
ღებელ ზვიად ლობჯანიძეს
კაცურად უხდია ვალი.
მოუსყიდიათ გაგნიძე
არიშიძეთ მოურავი,
მასაც ქონია ბატონთან
მისი წილი სამდურავი.

მთების ასულს, მამაც დოდიკს
აუბია მათთვის მხარი,
რივნის ტალღებს ჩამოუკრავთ,
არიშიძეთ გლოვის ზარი...
თავისუფლების მოყვარეთ
დადგომიათ გულში დარი,
ისევ აუყვავებიათ
რაჭის ტურფა მთა და ბარი.

აუსრულებიათ ღებელთ
დოდიკისა სათხოვარი,
დღემდე ცხვება კვერი რაჭას
დოდიკის სულთ სახსოვარი...
ჩემ გვარს ბევრი ჰყოლებია
საამაყო, სანუკვარი
ვისაც რაჭა გულს მზედ ენთო,
ვისიც იყო საფიცარი.
გაიხარეთ რაჭველებო,
გაგიმრავლდეთ მონაგარი,
ღმერთმა დალოცოს, ახაროს
ყველა ღირსეული გ ვ ა რ ი.

იზა შუბითიძე

*

მთვარემ იმეფა ცის კამარაზე,
შემოიკრიბა ვარსკვლავთა ჯარი.
გზად მიმოფანტულ ფერმკრთალ მზის სხივებს,
მადლით აკმევდა გუმბათზე ჯვარი!

და სიყვარული ლექსად ნაფეთქი,
დამწვარ ფურცლებთან მდუმარედ მჯდარი,
ამბავს გიამბობ და მერე წავალ;
წავალ, წამიღებს ქვიშა და ქარი. –

შავ-თეთრ საწუთროს ფერებით ვრთავდი,
როცა რეკავდა სიცოცხლის ზარი.
ზოგს სიყვარულის ალი ვაწვიმე,
ზოგმაც თვით მასვა ნაჟური მწარი.

ბოლოს კი დადგა ვერცხლის ზეობა,
და ამარიდა მოყვასმა თვალი.
კაცთა ლაჩრობამ ღმერთიც გაყიდა,
ჟანგმა შეჭამა ფარი და ხმალი.

დედის გულიდან ნანინაც გაჰქრა
და დედაც გახდა უბრალოდ ქალი.
საკუთარ დედის ნამუსს ლანძღავენ:
ვაჰ, ღმერთო ჩვენო, ვაჰ, ჩვენი ბრალი!..

ცხოვრების ჩონგურს ვუმართავ სიმებს,
გულში სიმღერად მეხვევა ჯავრი.
ამ დაუნდობელ ქვეყნის ქარიშხალს
ნეტავ როდისღა მოჰყვება დარი?!.

*

ჩემი ჰერეთი

მზის სხივი ამ მხარეს მადლად დაეფინა,
საამო სურნელი აქ თავბრუს დაგახვევს,
ზეცა რომ სიცოცხლეს პეშვებით გადმოღვრის,
მოდი და გპირდები- სამოთხეს განახებ...

როცა გაზაფხული კვირტებად იფეთქებს,
და ხნულის სურნელი დაივლის სანახებს,
როდესაც თვალებში ჩადგები ნუგეშად,
გპირდები: მოდი და სამოთხეს განახებ..

❤❤❤

მზის გულივით თბილი მოლი,
ყაყაჩოთა სისხლის ფრქვევა,
ჯეჯილებში ჩამალული
ლაღი შურთხის წამოფრენა.
ნამი – მიწის შვილობილი,
ნამში – ოქროს ცისარტყელა,
დილა – მზის სხივს მინდობილი,
ლერწამმა რომ ამეტყველა.
ქარი ტირიფს ნაწნავს ურხევს,
და ყაყაჩოს ღვინით თვრება,
ნაზამთრალ და ნამარხულევ
მძინარ ვარდებს თავს ევლება.
გვირილების ნაფეხურებს,
მზე რომ ადგას ოქროს გედად,
უფლის პეშვი დაარწყულებს
კვლავ სიცოცხლის გამგრძელებლად.

❤❤❤

...

წლები არა ჰგავს ირმებს,
მიჰქრიან და ვერ ესვრი,
ხომ უნდა ვიყო ვინმე,
რაკი ამოვთქვი ლექსი.

ქარში სტვენს მუზის შოლტი,
მეჩურჩულება თითქოს :
-რაც ფიქრთა ველზე ძოვდი,
რად ვერ მიეცი სტრიქონს?

ღმერთს შეავედრე ცრემლით,
ზეცაც შეგაწევს ექოს,
რომ შენი ლექსი, ვრცელი,
საფლავს იქითაც გეყოს.

•••

ახლა რა დროა?
თუმც დროს არა აქვს არაფრის ფასი!
ატყვია თვალებს თრობა და ბორგვა
და მუმლი ცოდვის, როგორც ძველ მუხას ხავსი.

ო, როგორ მინდა ზამთრის დღეები!..
ფანჯრის მიღმიერს ჰფენდეს სითეთრეს.
ვგავარ ახლებულ სიცოცხლის მძებნელს,
მარადისობით შემკრთალ სიდჰართჰას.

მწყუროდი, როგორც ნაჟური მთების,
დაურწყულებელ ნადირის მსგავსად.
შენ სისხლი შენი ჩაწურე ქვაში,
რომ ვერ შეიცნე სხეული თასად.

დგას ძველი სახლი, ძეგლივით უხმო,
სულ სხვა ფერებით, შეუსაბამო...
ვით კარნავალი და ყალბი სცენა,
წალეკეს წლებმა ჩვენი საღამო.

ატყვია თვალებს თრობა და ბორგვა
და მუმლი ცოდვის, როგორც ძველ მუხას ხავსი.
ახლა რა დროა, ახლა რა დროა?
თუმც დროს არა აქვს არაფრის ფასი.

*

წვიმით და ფიქრით დამძიმებული
ცას შეჰფენია ფარა ღრუბლების,
ნეტავ გენახათ თოთო ყვავილი
თქვენი დარგული ბროწეულების.
ფოთოლცვენამაც გადაიარა,
დატენილია თოვლით დამბაჩა,
აღარც ზამთარი არ მოუხდება
იმ ეზოს, სადაც ბავშვობა დამრჩა.
ფიქრი ხომ ჩემი ბედისწერაა,
შვებას არა მგვრის ძიება ახლის,
და არ მასვენებს მკაცრი ბრალდება,
მიტოვებული მშობლების .

* * *

გრიგალი ღელავს და მიაპობს გემი ზღვას,
შორიდან მოისმის ორთქმავლის კივილი,
და როცა ღრუბელი წვიმით ცას შერისხავს,
გაკრთება ტუჩებზე მაცდური ღიმილი.

ბაქნიდან მგზავრები ლიანდაგს კვეთავენ,
თითქოსდა ნაგრილზე სული წევს გოგენის,
ჰორიზონტს გასული ბრუნდება მენავე,
თუმც იცის ნაპირთან არავინ მოელის.

*

❤❤❤

ნეტავი არაგვო შენს ტალღებს,
ნაფერებს, მთის მკლავებგამოვლილს.
ვნებადაუმცხრალს და მშფოთვარეს,
ბნელ ხევში ამაყად ჩამოვლილს.

ნეტავი, არაგვო, შენს სავალს,
უნახავ სიზმრებს თან ერთვები,
კალთაზე ემთხვევი გვირილას,
სიცოცხლედ რომ დარჩეს წვეთები.

ნეტავ თქვენ, ჭაღარა ნისლებო,
ფიქრები რომ გესმით მთებისა,
ოცნების ბილიკებს მიჰყვებით,
მგზავრებო არწივის ფრთებისა.

თუკი სიყვარულის არა გწამს,
აბა იმ სიცოცხლეს რა ჰქვია?
ნეტავი, არაგვო, შენს ტალღებს,
უმისოდ არაგვიც არ გქვია...

*

❤❤❤

სათქმელი ჯერ კიდევ დიდია,
სანამდე ცის კიდეს შევწვდებით,
საღამო დღეს უფრო მშვიდია,
ჩვენც მშვიდი ღიმილით შევხვდებით.

ნელ-ნელა, ფეხდაფეხ გავიგნებთ,
წყვეტილი ძაფივით შარაგზებს,
და მერე ერთ ბინას დავიდებთ,
ჩვენც შევუერთდებით ქარაფებს.

დილით რომ მზის გვირგვინს დამადგამ,
ღამით რომ ვარსკვლავებს მომიწყვეტ,
თმებში ლურჯ იებსაც ჩამაწნავ
და მერე ზამთარიც მოგვისწრებს...

ჩვენს ზამთარს თეთრი ზნე უხდება,
გაზაფხულს – საჩვენო აპრილი,
შენ – ჩვენი შვილების მამობა,
მე – თეთრი, სულ თეთრი მანდილი.

ერთურთის ტრფიალით დამთვრალი,
დავლეწავთ საწუთროს დარაბებს,
სათქმელი ჯერ კიდევ დიდია,
ეს ჩვენი ტრფობა რომ ალაღებს...

უცნობი

გულნაზ ხარაიშვილს

არსთა გამრიგემ გამოგარჩიათ იმ სიდარბაისლით,
რაც თქვენში ღვივის სხეულის და სულის საზღვარზე,
წიგნები მხოლოდ წვეთებია იმ გრძელი ტალღის,
გზას რომ მიჰყვება და თან იწერს ამ გზის ნაკვალევს

ასე ავსებენ ცარიელ სიტყვებს თურმე ლექსები,
და ოცნებებსაც ასე ხდიან ახდენილებად,
ამ ოცნებებს ხომ არ უწერიათ არასდროს დაღლა,
ავტორიც მათი არასოდეს გარდაიცვლება.

თქვენ ძალგიძთ იცნოთ გული შორიდან, თუნდ უსახელო,
ასეთი ნიჭით გამოგარჩიათ მაღალმა ღმერთმა,
ამიტომაც გყავთ შვილობილნი – ლექსთა ავტორნი.
და მათ კი ყავხართ შეუცვლელი გულნაზი დედა.

თქვენთვის მოძღვნილი სტრიქონები არ მიძებნია,
ერთმა ამოთქმამ მაწერინა ნაფიქრი ჩემი,
გთხოვთ მომიტევეთ თუ სიტყვებმა მცირემ ვერ შეძლო,
შემემკო ქალი დიადი და დარბაისელი.

თინათინ ხაბურზანია

მოგონებების თაიგულით

თაიგულით ლამაზ მოგონებების,
მივარღვევ ცხოვრების ცეცხლოვან რკალს.
სამყაროს დახატულს მახინჯ ფერებით,
ვითმენ ვით ყელზე შემოჭერილ რვალს.
    უსაშველობის მანტია მოსხმული,
    ვერ ჩაწვდი ჭეშმარიტების არსს,
    რომ ყველა სიმართლის მცველად მოსული
    რად ვერ ხსნის ცხოვრების ჩარაზულ კარს.
ვით ნაძვი ჭრელ-ჭრელი გირჩებით მორთული
შევცქერი სიხარბით ფეხმძიმე ცას.
ცხოვრება უზნეობით დღეს ფეხმორთხმული
თავს მიშენს დამცინავ ისრების ჯარს.
    თაიგული ლამაზ მოგონებების,
    შემრჩა ვით მწუხარება შაოსან ქალის
    ღრუბლები კი მკვდრადშობილი ოცნებების,
    ალთა – ბალთას დააქვს ჰაერში ქარს.

მამულის საგალობელი

შენ კალთა გფარავს დედა ღვთისმშობლის,
კვართი უფლისა გულს დაიწვინე
ყველა კეთილის თუ ავისმყოფლის
სისხლის და ცრემლიც ბევრი იწვნიე.

შენ წმინდა ნინო გემთხვია რწმენით,
ჯვარით ვაზისა, როცა გაკურთხა.
იმიტომ გაჩნდა შენს გულში ღმერთი,
რომ სიმართლის იდექ მუდამ მსახურად.

და იყო მერე, რაც მერე იყო,
ბედმა მიგაგდო მტრების საჯიჯგნად.
მაინც აქამდე ვერავინ გიყმო,
სული ბრძოლებში იწრთო მახვილად.

მამულო ჩემო! გადამწვარ ტაძრებს,
დაჩეხილ ვაზებს როგორ იტანდი.
ჩამქრალ კერებს და სიავეს ამდენს,
ამ ვარამს ან რა ზურგით ზიდავდი.

გადადიოდი დანის საპირეს,
შენ თაობებით კიდევ მრავალთა
და მტრისგან დახსნა რომ დააპირე,
შადიმანობაც ნახე მავანთა.

მამულო ჩემო! ომში დაღლილო,
შენ კირით ხუროვ ქართული ჯიშის.
სულ მუდამ ლხინის სუფრად გაშლილო,
არ დაჩოქილო არასდროს ჯიბრით.

მკერდზე იწერდი ვეფხისტყაოსანს,
იკვეთებოდი კლდეში ვარძიად.
გულში ლოცავდი დედებს შაოსანთ,
გმირთა აკვნები ვინც დაარწია.

მამულო ჩემო! მკერდგადაშლილო,
შენ მაშრიპიდან ვიდრე მაღრიბით.
ამ სამზეოში ვეღარ წაშლილო,
დამპურებელო ობლის ღარიბის.

დავითი იყო პირველი სხივი,
მტრის კარს ლეწავდა მეფე ირაკლი.
არ შეგშრობია პაატას სისხლი,
ქეთევანის ძვლებს გულში იკრავდი.

მამულო ჩემო! ოფლად დაღვრილო,
სიკეთის მარცვალს თესავდი სიყრმით.
და ღვთის წინ ლოცვად შენ თავდახრილო
მადლის ნაცვლად, რომ სულ სასჯელს იმკი.

სხეული ბევრჯერ დაგინაწილეს,
გულს გიკორტნიდა კასტა ყორანთა.
მტერიც, მოყვარეც იყოფდნენ წილებს,
მოკეთე მტერიც დრომ მოგაყარა.

მამულო ჩემო! ამ სამზეოში,
შენ სხვა კერია არც გქონია არსად.
და ქვეყანაზე ვინმე პატრონი,
არც გყოლია შენი მარჯვენის გარდა.

თუმც კალთა გფარავს დედა ღვთისმშობლის,
კვართი უფლისა გულს დაიწვინე.
დრო შენი ცხვება ვით კვერი ობლის,
სიმართლე კი ურმით, წინ ნელა მიიწევს.

ნინო მოსაშვილი

შენ ის ხარ!!!

ის მოგონება ჩაწოლილა მთების ნისლივით,
...და სიზმარივით ახდენილო, შმაგივით გჩემობ,
თუ არა ცხადი, აქ ყველაფერს რად დასდებია,
ის მათრობელა შენი სუნი და შენი გემო?!
ყოველ ცისმარე შემოდიხარ იმ მონატრებად,
უსიხარულოდ იზლაზნება მრუმე წამები,
ასე მგონია, შენ ისა ხარ და თუ ისა ხარ,
შეგისუნთქავ და წყურვილივით დაგეწაფები !!!

ლაბირინთს აართვი შეშლილი არტახი

მინდა, რომ ამ შეშლილ სამყაროს გავექცე,
სადაც კი ლაბირინთს ბურუსი ჰფენია,
მაგრამ თუ აქა ხარ, აქა ხარ, აქა ხარ,
იმიერს მითხარი, იქ რა დამრჩენია?!
დუმილი, დუმილი აყრუებს ამიერს,
სატანა მძვინვარებს ჩვენ შორის ჩამდგარი,
სულის ტაძარი კი მოგელის ლოცვისთვის,
სად გაჰქრა წარსული, მითხარი, სად არის?!
დაიფშვენ ხუნდები ნაჭედი ხელებზე,
არ მინდა, უსუსურს, უმწეოს გხედავდე,
მინდა, რომ ზეციდან მესტუმრო თოვაში,
აკაფე მანძილი შენიდან ჩემამდე!...
...მიყვარხარ, მოგიხმობ, ზეციდან მოგიხმობ,
ჩამოჰყე ცის კიბეს, მოგიყვანს მიწამდე,
აქ კოცონს დაგინთებ, გრძნობებით ნაჯერებს,
რამეთუ ზეციდან მიწამდე გიწამე!...
...მიყვარხარ! მიყვარხარ!
მიყვარხარ! მიყვარხარ!!!....

ლამის ავედევნო შავეთს ა ღ ს ა ს რ უ ლ ა დ!!!

როცა ჩემგან გარბიხარ და
სხვასთან მიგაქვს სიყვარულის აგონია,
მინდა გადავლესო ტვინის ნაოჭები,
რომელშიც ჩემი გრძნობა ასვენია!!!
მინდა, სამყარო ჩამომექცეს,
ქვესკნელს ჩავყვე სანიაღვრეს,
რათა აღვესრულო, იმიტომ, რომ
მინდა, არ მიყვარდე, მინდა არ მიყვარდე!!!
გული ამახლიჩოს საგულეედან,
ჰადესს შევაკივლებ ყველა დარდებს,
რამეთუ ცოცხალი ვერ გავუძლებ,
შენ რომ სხვა გიყვარდეს,
შენ რომ სხვა გიყვარდეს!!!
ქარაფს მივეცემი უყოყმანოდ,
ამორძალს არ მჩვევია შიში, ძრწოლა,
ჰადესს დააკვდება, მკერდზე ვიცი,
თანადგომის ჩემეული ნაზი კოცნა,
ჩემი ანთებული გული ნაწამები,
ჩირაღდნად ეჭირება ხელში როცა!
მინდა სამყარო ჩამომექცეს,
ქარაფს ჩავყვე სანიაღვრეს,
რათა აღვესრულო იმიტომ, რომ
მინდა არ მიყვარდე, როგორ
როგორ არ მიყვარდე!!!

თემიდა

აჰა, წაიღეთ აწმყო საზარი,
ვისთვის ზღაპრული, საარაკევი,
ვისთვის კოშმარი, ვისთვის ნათება,
ბედნიერებით ნავარაყევი!

გაცისკროვნდები, დღეო, ნათელო,
ჩემთვის ბნელდები, ვისთვის ანათო?!
არა, ჩაინთქი, მზეო, ქვესკნელში,
და არასოდეს გამოანათო!!!

....ვინძლო აღგავოთ ეს გარემოცვა,
დამტოვეთ მარტო, დამტოვეთ მარტო!!!
...მე ვახშამი მაქვს, სამხეცეში, ჩამოდგა უქმე,
როგორც ვამპირი გავილოკავ სისხლიან ტუჩებს!!!

არსთაგამრიგე, მომიტევე,
შევიშალე, ასე ვხელდები...
მომივლინე ზეციური შენი თემიდა
არ მაჩვენო, არ მაჩვენო, არ მაჩვენო,
სისხლიანი ჩემი ხელები!!!

* * *

დასაბამით ერთი გზაა ასარჩევი,
საწუთროა უტყუარი გამოცდა,
ქართველობა ჯილდოც არის და სასჯელიც,
წინაპართა ჯიში თუ არ გამოგყვა!!!

ჩემი მამულის განთიადი ამობრწყინდება!!!

ჩემი აისი წარსულისფერს აღარ წააგავს,
აღარც ჩიტები მიგალობენ ძველი ჰანგებით,
და დრო ჩაირთო, ავბედითი წივის წამები,
აბორგდა ქარი – განაჩენი ალბათ განგების!

შემომეძარცვა სიყვარული ფერებ- ფერებით,
ნაბიჯ- ნაბიჯ, როგორც ჩემი მამული მიწა,
მიუსაფარი, გაძარცვული დავიარებით,
მიწა, რომელიც წინაპართა საძვალედ იქცა!!!
ჭიქა არაყზე მყუდრო დუქანს შეგვეგებება,
არღნის ღიღინი, საზანდარი, ვით მეგობარი,
ამღვრეულ თვალებს გაუსაძლის მზერას მივაპყრობთ,
რომ შევსვათ ჩვენი ტკივილების შესანდობარი!!!....
ამორძალი კი შეფრენილი ლურჯა მერანზე,
შხვართი სხეულით, გრძელი წვივით
ცხენს რომ აკვდება,
ისრის სისინი აბორგებულ ქარს გაკვეთავს და,
გაიჭრება სიყვარულის,,გადასარჩენად"!
ცეცხლი იფეთქებს, თვალებიდან ცეცხლი იფეთქებს,
,,ამაყ სულსა" და ბორკილების ლეწვას დიდება,
დამიბრუნდება ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ,,ნასათუთები"❤
ჩემი მამულის,, გ ა ნ თ ი ა დ ი ც" ამობრწყინდება!!!

ლავანდისფერი აიცისკროვნებს შეშლილ აისთან...

დილა მოისხამს მრუმე მანტიას,
შეიმოსება რუხი ფერებით,
როცა დალანდავს, გადაგიყვარდი,
ის გამაბრუებს შენი ფერებით...
როცა გაკრთება ცაზე ელ-ჭექად,
გულგრილობა და ჩემი ფეთება,
მთიებს შეშლილი ჩაეღიმება,
თვალს გამიმშრალებს კოცნით, ალერსით,
მიტოვებლს რომ ამეტირება,
ჩავეხუტები უფლის კვართივით,
სლუკუნსლუკუნში ჩამეძინება.

...ლაჟვარდებს აწვიმს, შორეთს აცივდა.. თ ე თ რ ი ვ ა რ დ ე ბ ი

დილა ყოველთვის შენით მეწყება,
შენით მთავრდება მწუხრიც, ედემიც,
შენ ჩემი გრძნოის პატიმარი ხარ,
და მის საკნიდან ვერ გამექცევი!!!
ამიტომ ყველა დილა ჩემია,
ყველა ალერსი, ყველა ფეთება,
ქალი, რომელიც ოდეს გინახავს,
მე ვერასოდეს ვერ შემედრება!
,,გული გაფრენას ლამობს," როდესაც,
რომ გაიელვებ სულის ტაძარში,
როცა ვლოცულობთ მხოლოდ სამნი ვართ,
უფალი, შენ და მეტი არავინ!....

როგორ გავიღიმო?!

როგორ გავიღიმო, თუკი მენატრება?
თუკი სუნთქვა მიჭირს უმისობით,
თუკი არასოდეს გამიმართლა,
თუკი ვიტანჯები უიღბლობით...
როგორ გავიღიმო, როგორ გამიხარდეს,
როგორ გავიმშრალო ეს თვალები...
მინდა შემეფეთო თეთრი მერანივით,
შენ კი უმოწყალოდ მემალები...
როგორ გავიღიმო, როგორ ავღიღინდე,
წამიც არ მაჩუქე ნეტარების,
როცა სუდარისფრად გამითენე,
როცა უსაშველოდ მენატრები!!!

არსთაგამრიგე!!!

რწმენადაცლილი ფეხშიშველი დავძრწი სანახებს,
ეშმა ხარხარებს, ამაზრზენი ეშმა ხარხარებს,
გამომიწოდე, შენი ხელი გამომიწოდე,
ეშმა მიხურავს ნაღმერთევი რწმენის დარაბებს....
შემაწიე შენი თემიდა, რამეთუ ვცოდავ,
დასაბამიდან დღევანდლამდე გულით გიწამე...
მე მეშინია ჩემი თავის, თუ არ დამინდე....
წაიღე შენი ნაბოძები ჩემი სიცოცხლე,
და კოჯოხეთის კართან მ ი მ ა გ დ ე ! ! !
....უფალო, მომიტევე კადნიერება!!!

ნინო უძილაური

საქართველო

უფლის ხელდასმულო,
უფლით მადლმოსხმულო,
დარდი, ცრემლი არ მაჩვენო,
ისევ იზრდებიან ალგეთის ლეკვები,
იბრწყინე მამულო ჩემო.

ჩემო საფიცარო, დედა საქართველო,
ლელოს კვლავ გაიტან დღესაც,
ძმებო ქართველებო,
რჯულის დამცველებო
ლოცვით ვწვდებით მზეს და ზეცას.

ჩემო მზის ალაგო, ცაო ქართლისაო,
მთებო, ჭიუხებო ჯიხვთა,
არწივთ სამფლობელო,
ჭირთა მედგრად მთმენო,
მიწავ საძვალეო გმირთა.

ქრისტეს გზის მგზავრებო,
ლოცვავ მადლისაო,
ქართველთ რწმენავ ვაზის ჯვრისა,
მრავალჟამიერო ერო ქართველთაო,
რწმენა არ მოგაკლდეთ ღვთისა.

წარსულს არ ივიწყებს აწმყო წამიერი,
მიწა გმირთა სისხლით თბება,
ისევ ისმის ჩვენი მრავალჟამიერი
ხარობს მამული და ტკბება.

კვალი

თოვლს დაეფარა სიცივისგან დამსკდარი კანი
და ბროწეული თავდახრილი ცრემლებს ყლაპავდა,
ფერმკრთალ მარცვლებზე აღარ ჩანდა სიცოცხლის კვალი,
მკაცრი ზამთარი ამ სილამაზეს ვეღარ მალავდა....

უძილაურთა გვარისა

ფშავს შაიყარნენ ფშავლები,
უძილაურთა გვარისა,
სწყალობდათ კოპალას ხატი,
მადლი ლაშარის ჯვარისა.

მზე იდგა უკანა ფშავის,
ზე შემაღლებულ მთის წვერზე,
ისხდნენ ფშავლები არაგვთან,
სიო ეფინა მზეს მხრებზე.

ეფერებოდნენ პურ-ღვინით,
წარსულს, აწმყოს და მომავალს,
ლოცავდნენ ადგილის დედას,
სამშობლოსა და მონაგარს.

ვინა სთქვა გადავიწყება,
გმირი კოპალას ხატისა,
ფშავლების ადათ-წესის და
უძილაურთა გვარისა.

დუმილი

სიჩუმე სიტყვებით დარღვეული,
წაგებულია ომში,
მხოლოდ არტახებდახეული
დუმილი იმარჯვებს ორში.

ნაცადი ხერხით მორგებული,
ასჯერ გაზომილი გზებით,
დროსთან მაშინ ვართ მოგებული,
როცა მოგონებად ვრჩებით.

რადგან ამ დუმილით ეს სიჩუმე,
ისევ უსასრულო გახდა,
ჩემთვის, როგორც უწინ, კვლავ ვისურვე,
ღმერთის სიყვარულის განცდა.

მთვლემარე ზღვასთან

ღამის უკუნში ჩამოვჯექი მთვლემარე ზღვასთან,
მსურდა დარდები გამექარვა მთვარესთან მარტოს,
ერთი სურვილი გამეგზავნა იმ გულის ხმასთან,
რომელიც ფიქრში მოგონებად დღესაც არა გთმობს....
და მინდა ისევ მაფხიზლებდეს ღამის ჩურჩული,
სიო ტალღებად მეხებოდეს მთვლემარე ზღვასთან.

ჩემო

მე სიყვარული მქვია,
ჩასახლებული შენში,
თბილ სიოდ მონაბერი,
მოგესალბუნო ყელში,
ვარ სიხარული შენი,
შენი ფიქრი და დარდი,
მსურს შეგისახლდე მკერდში,
მოგფინო ია – ვარდი,
მოგეალერსო მარად,
შემოვეფარო ჩეროს,
ჩემი ცხოვრების ფარად,
ხარ გაჩენილი ჩემო.

თეიმურაზ კვარაცხელია

***

ლაზეთს სევდა გავატანე, საინგილოს ფიქრები,
სამაჩაბლოს ბევრი ცრემლი, აფხაზეთს კი იმედი,
ართვისს ჩემი მოგონება, ნიკოფსიას სიზმრები,
ილთისსა და კოდას მხარეს ბევრი, ბევრი კითხვები...
ტაოს, სულის უწყვეტობა, კლარჯეთს სისხლის ნაწილი,
ჯიქეთს ხორცის ნაფლეთები, სანიგეთს კი მზის სხივი,
არტანუჯის ცაში ახლაც დაქრის ჩემი არწივი,
დვალეთს შავი ღრუბელი და ჰერეთს გრძნობა სიცივის....
ჭოროხს ახლაც მიუყვება მაშინდელი ნაპირი,
როცა ნერგი სულს ირგებდა, ნაყოფობდა მამული,
ფსოუს წყალი შემოაკლდა, რატომ, ახლა არ იტყვით?
მის ძმადნაფიცს ენგურს რადგან,
გვერდს ვერასდროს აუვლის...
ბასიანის ფერდობიდან ვხედავ დედა ცრემლებს ღვრის,
არტაანის მისადგომთან, მოძმე ლაზის ხმა ისმის,
კოლხ-მიწების საძვალეთებს მტერი ზიზღით ავსებდეს,
არა, არა ამის მსგავსი, სიტყვითაც კი არ ითქმის...
დარუბანდს რომ სადაც ვეძებ,
დერბენდს არქმევს მოძულე,
ნიკოფსიას, ვეჭვობ რაც მსურს,
სხვა ჩემსავით შეთხოვდეს,
საქართველოს ასე დაშლას, ვერავინ ვერ გაუძლებს,
როგორია, იქ რეკდეს და ზარი მე აქ მესმოდეს? -
როგორია, მტერს სურდეს და ხმას არავინ იღებდეს,
გარეჯობას აქ ვილოცო, იქ კი არვინ მიშვებდეს,
სადაც ერმა კლდეთა კლდეში გამოკვეთა ტაძარი,

რწმენით ჩემს ხალხს უსაჩუქრა უამრავი სიკეთე...
ქოთოქლოს რომ სამება დგას, რატომ, ვერ გამიგია?
ლექართს შვიდი მონასტერი, სხვისად რატომ მიცვნია?
ან ქურმუხის წმინდა სული, სად ის სული ბინადრობს,
დიდგორს ვინც რომ მუსრი ავლო, მტერს ბოლომდე მისდია?..
ან ოპიზა, ოშკი, ტბეთი, ხახული და ახიზი,
ერმა ასე რატომ დათმო, სხვისად რატომ მიქცია,
ხანცთა ხახულს დააშორა, ოსკიპარს კი ჰნევანქი,
ასეთი რა ჩავიდინეთ, ცოდვამ იქ რომ გვიწია, -
სადაც აღმართს ლხინშემდგარი, სულაც ერთი ნაბიჯი,
აკლდა მიზნის მისაღწევად, არა, არა არ ვიცი,
იქნებ ჩვენ ვართ ამის ბრალში, იქნებ კიდევ სხვა ვინმე,
რა აზრი აქვს მიზეზთძებნას, როს დრო უკვე არ იცდის, -
რა აზრი აქვს ხელების შლას, ან უაზრო სიჩუმეს,
როცა ჩემი ქვეყნის მიწა, სხვებმა მისად იგულეს?
სხვა დროს როდის, თუკი ხმალი ახლა არ მოვიმარჯვეთ,
მტერს მტრულად რომ დავხვდეთ იქვე, თვითონ სადაც ისურვებს..
სარეველა პაპის საფლავს შემორტყმია გალავნად,
ჩემს ტაძრებში მოლა გალობს, მოლა მიხსნის სამართალს,
მსურს გახსოვდეს, ნეფე იქ ხარ, სადაც გებატონება,
სადაც ცის კვერთხს სხვა კი არა, შენ მიართმევ პატარძალს...
ბედიის სულს ელოდება სვეტიცხოვლის სიწმინდე,
არაგვის და მტკვრის შესართავს, მონასტრების სიმშვიდე,
ილორს უხმობს ალავერდი, ნინოს ჯვარი კანანელს,
საქართველოს წრფელი გული, იმდენს, ვერვინ ითვლიდეს...
ცის კაბადონს გამოკვრია რწმენა დედა ღვთისმშობლის,
მისი კალთის მადლი გვფარავს, ვინც კი ოდეს ვითხოვდით,
საქართველო წილხვედრია, წილხვედრია სიწმინდის,
ამიტომაც ის მიიღებს, ვინც ღირსია ცის ნდობის...
ერო, ბერო, მასპინძელო, როცა გმტრობენ, სადა ხარ?.
შენად როცა გეგულვის და უცხო გინგრევს ნასახლარს?.
მონობის სულს თუკი ვერ თმობ, ვერასდროს გაიხარებ,
მამა-პაპის რწმენით გმართებს ამტკიცებდე სამართალს.
ლაზეთს სევდა გავატანე, საინგილოს ფიქრები,
რად დაღვარა სისხლი ერმა, მიწას სხვას თუ მივცემდით?
განგაშის ზარს უნდა რეკდეს, ყველა დიდი, პატარა,
თუ გვინდა რომ გაიბრწყინოს საქართველომ ღვთის ნებით,-
თუ გვინდა რომ სამაჩაბლომ, აფხაზეთის ქედებმა,
სხვებმა ჩემად გამოწვრთვნილმა უკანასკნელ ფესვამდე -
ინაყოფოს იმ მიწაზე, სადაც ნერგად ჩაირგა,
ქუდზე კაცებს უნდა ვუხმოთ, ბოლო სისხლის წვეთამდე.

***

ესაუბრება პოეტს კალამი,
ლექსაც გაუჩნდა გრძნობა, იკითხოს:
„სოფლად თუ ჭარბობს ჭირი, ვარამი,
მტრად, თუ მოყვარედ ლექსმა ვინ იცნოს?“
მტერი ის არის, აბა როგორ ვთქვა,
ვიტყვი, გაიგოს იქნებ გამგონმა:
მტერია, ვინაც ვერ ისამშობლა,
ვერ ჩააბარა უფლის გამოცდა...
ვერ ვუსამშობლეთ, ვაი რომ მამულს,
ისე, როგორაც ჩანდა წარსული,
კაციც ვერ კაცობს, თუმც ვეჭვობ დარდობს,-
ერი რომ გახდა სხვისი მსახური...
ვერ იმზეურა ერის იდეამ,
სისხლით, რომლითაც დიდგორს იდინა,
ვერ იგიორგა, არც კი ინება,
ვყოფილიყავით უფლის იმედად...
გადაიხარა აწმყოც იქიდან,
სადაც იტვირთა ჯვარცმა მართალმა,
ქეთევანობა დრომ არ ინება,
ვერ ადავითა სული ტაძარმა...
მოიშაბათა როს ერმა რწმენით,
ცათა ბინადართ მადლობა უთხრა,
ნუთუ არა ვართ ღირსნი იმ ცრემლის,
გადაუტვირთოს სამშობლოს სუნთქვა?-
ახალი სუნთქვით მოვიფსალმუნოთ,
ვამოციქულოთ დიდგორის წესი,
ერეკლეს ნაფიქრს სული ჩავუდგათ,
გამოვუღვიძოთ სიყვარულს ნერვი, -
ვასვეტიცხოვლოთ სურვილი ნინოს,
ვაზის ჯვრით ხელში, წინ რომ ვიაროთ,
ყველა ქართველმა იქნებ და იგრძნოს,
რა ელის ვარსკვლავს, თუ ვერ კიაფობს...
ნარიყალობით, რაც აკლდა თბილისს,
იმედის ქუდი თავს დავახუროთ,
რომ ორ შაურად ვინც ყიდის სინდისს,
მიხვდეს, რით ვჯობნით, ბევრ უწარსულოს...
ეჰეი, მომღერო უაზროდ ყელის,
რა გესაქმება იქ, სადაც მრევლი,
ვეღარ ბულბულობს, როგორც ლოტბარი,
ღირსებს არა აქვს უფლება ბევრის,-
ვარდსაც ვერ გუობს, სადაც ეკალი,
მიზეზს ვერ ადგენს მოძღვარიც, სევდის,
ხომ არ ჯობია, სიახლის სამოსს,
ადამიანმა არჩიოს ძველი?-
ხომ არ ჯობია, მეციხოვნობა,
როგორც დარაჯი ღვთიურო სულის,
კვლავ დავაბრუნოთ, როგორც გოლგოთამ,
გვაბრუნებინა ეპოქა უფლის?.
როცა სოფელში ჭარბობს რეგვენი,
სულელს ეძლევა უფლება მეტი,
ხომ არ აჯობებს, ამ დროს მეფენი,
არჩეულ იქნან ნებართვით ღმერთის? -
ხომ არ აჯობებს,?... ეჰ, დრონი დრონი,
მეტი რაღა თქვას პოეტის ენამ,
როცა ვხედავთ კაცს, ზნე აღარ ჰყოფნის,
რად არის მღვდელიც, განგაშს არ ტეხავს?-
ან, რატომ დუმან ტაძრის ზარები,
მრავალი წლებით განაწამებნი,
როცა ირჩევენ უვიცნი ბელადს,
ღირსნი მოჩანან, როგორც გვამები...
გაითავისო მინდა სიცოცხლევ,
რასაც ქართველი ჯვარზე ცმით მიხვდა,
ცოდვაა, რომ ვერ გაისისხლხორცე,
აღასრულებდა რაც ერის მიზანს...
ოცდაათ ვერცხლად ვინც ყიდით მამულს,
მინდა მოგმართოთ ასეთნო, ყველას,
თუკი ფესვებით ვერ აგნებთ წარსულს,
რაღა აზრი აქვს, ქართველი გერქვას.

***

წვიმის წვეთებს ვესაუბრე, ცრემლს აფრქვევდნენ მინდორ-ველებს,
მითხრეს: თუნდაც ერთი კოცნა, გაპოვნინებს, რასაც ეძებ,
ცას ავხედე, გადავწყვიტე, სიყვარული დავსვა ტახტზე,
ურომლისოდ ამ სოფელში გინდ ყმა იყავ, გინდა მეფე..
ხელისგული შევუშვირე, ცელქი სიო ნისლს აქრობდა,
გადაღლილი ნიავ-ქარი ლტოლვილ ტალღას დარაჯობდა,
ფურცლებს შლიდა სიყვარული, წვიმის მუზას აფრთხილებდა:
„თუკი მეფე ჯვარზე აცვეს, სიყვარულსაც არ აწყენდა!“..
ჭრილობები დავითვალე, ფიქრი ვანდე წარსულ დღეებს,
პაპაჩემი თოხს იქნევდა, დედაბერი შლიდა ხელებს,
წინაპარი გამახსენდა, ცას ავხედე, მათ ხმას ვენდე:
„აზრს ნურასდროს ნუ შეიცვლი, თუკი გიყვარს, შენ ხარ მეფე!“

***

მიყვარს გაღვიძებისას, ცა რომ საბანს იხდის,
დილის მადლის სურნელი, სიყვარულს რომ მიხსნის,
მიყვარს გაზაფხულება, ჩემი ლექსით სიტყვის,
კიდევ იმის უფლება, დავფასდები რითიც...
მიყვარს მიყურადება, ხმა რომ მესმას უფლის,
მზისკენ თვალის აყოლა, სხივს რომ ფერებს უცვლის,
ფიქრის გამოღვიძება, ცას რომ გადოს ხიდი,
მზის სხივების ლაციცი, ზღვაც კი ქედს რომ უხრის...
მიყვარს შინდისფერებად, სულს რომ სტუმრობს მუზა,
მიყვარს მოწყურვილებულს, რომ არ ვაკლებ ზრუნვას,
ფარავნებად მოდენა ნამკურნალევ დროთა,
ცა რომ ქუდად ახურავს, ჩემი ტაძრის გუმბათს...
ჩოხას ვაცმევ სიცოცხლეს, ნუ მაკადრებთ სხვაგვარს,
რადგან ერთხელ სხვაგვარი, წესმა ჯვარზე აცვა,
გაცვეთილი როდესაც ვერ ერგება სურვილს,
მიყვარს მსგავსი მოვლენის, ცის სიტყვებით ახსნა...
ვერსგზით ავცდი სურვილებს, სუფრას ვუშლი სიკვდილს,
იმიტომ რომ ამ ქვეყნად, არაფერი მიკვირს,
ოცდაათმა ვერცხლობამ ამიხილა თვალი,
ამიტომაც ცის ლექსით, ვკვალავ დროთა ბილიკს...
ვცდილობ ლექსის სტროფები, შემოვსაზღვრო დროით,
სანამ ის არ ჩადგება ცას და მიწას შორის,
სიყვარულს რომ ელოდოს საპატარძლო კაბით,
მოაფრქვიოს გრძნობები, საზრდოდ სულს რომ ჰყოფნის...
ვიიოლებ ცხოვრებას, როცა იმას ვხვდები,
ლექსის აღმართს რომ ნამავს, ქალის წმინდა ცრემლი,
ნუ დამძრახავთ იმისთვის, რასაც ახლა ვიტყვი:
მიყვარს ქალს რომ სიყვარულს, ვუხსნი კალმის წვერით...
ვგრძნობ, ამ დროის პოეტი, ვით მყინვართა წესი,
ვუზავდები იმ ფერებს, სიცოცხლეს რომ შვენის,
ანარეკლებს ცის თაღის, დავსდევ გოგლას კალმით,
მისი ლექსის ფანტელით, მეც მასსავით ვთვრები...

მენდე, მენდე მკითხველო, სათქმელს გიმხელ ლექსით,
რითმებს სულს ნუ მოვაკლებთ, მის წესს თუკი ერჩის,
შევიყვაროთ სიცოცხლე, ვკინძოთ დროის წიგნად,
მომავალს რომ ჩამქრალი, გავუღვიძოთ ნერვი...
მე ვინა ვარ, წყლის წვეთი, თუმც ვქადაგებ იმას,
რაც მაცხოვარს უთქვია, ცოდვისგან რომ გვიხსნას,
შევიყვაროთ მტერიც კი, მიზნად თუ გვაქვს ფრენა,
უხილავი სამყარო გვიმასპინძლებს რითაც.

მიყვარს სულის ტარება, მადლმოსილი ცეცხლით,
დამგზავრება სურვილთან ზეციური ეტლით,
დევნა ლექსის სტროფებით, მზეს ვერ მომწყდარ სხივთა,
ამორჩევა მრავალში, მხოლოდ ერთად-ერთის.

***

როგორც პოეტი,
მე შეიძლება,
მე შეიძლება
წვეთი ვარ ზღვაში,
მაგრამ, როდესაც ჭირი ჭირს მამულს,
ვერავინ შემცვლის, ვერავინ მაშინ.
მე ჩემს ცხოვრებას
აბობოქრებულ,
აბობოქრებულ მდინარეს ვადრი,
არ ეშინია ავდრის რომელსაც
არც ფრთად გაშლილი
მაღალი აფრის,
არც წვიმის წვეთის,
არც თოვლის ფიფქის,
არც მზის სხივების მხურვალე ალის.
როგორც პოეტი,
მე გრძნობებს ვხარჯავ,
სიწმინდის თესლი
რომ გავაღვივო,
ფიქრებს რომ მივცე
განცდა და წესი,
ერი ძილისგან
რომ გავაღვიძო.
და ამის შემდეგ,
მითხარით ერთი,
მითხარით ვინმემ
რა ვუყო წერტილს,
რომელსაც დღემდე სულით ვეყრდნობი,
რომლის იმედით შევყურებ მერმისს.
როგორც პოეტი,
შთაგონება ვარ,
ცოდვებისათვის ხარკს ვუხდი უფალს,
ჩემი ლექსებით სინათლეს ვეძებ,
რომ არ წავიქცე მიწაზე უცბად.
დიახ, ასეა ჩემი ცხოვრება,
ასეა ჩემი განვლილი წლები,
ერთი იცოდეს, მინდა, სუყველამ
სანამ ერს ტკივა – არ გავჩერდები.
არ გავჩერდები, სანამ სამშობლოს
სულზე სიმძიმე ცოდვების აწევს,
სანამ ტკივილით ტირილი ისმის,
დარდი გულამდე ვერაფრით აღწევს.
როგორც პოეტი,
მე შეიძლება,
მე შიეძლება
წვეთი ვარ ზღვაში,
მაგრამ, როდესაც ჭირი ჭირს მამულს,
ვერავინ შემცვლის, ვერავინ მაშინ.

მამა თეიმურაზი უკვდავად დარჩება

„ჩვენ გავურბივართ სიყვარულს, ეს არის ჩვენი პრობლემა! დაეცა? წამოაყენე! – შეეშალა? აპატიე! – ვერ გააკეთა რაიმე სათანადოდ? ანუგეშე და შენ გააკეთე! – უჭირს? დაეხმარე! – გაგლანძღა? აპატიე! – გაგინა?დალოცე! – ზურგი შეგაქცია? ილოცე მისთვის! – რამდენჯერ? სიკვდილამდე! აი, ასე გახდება სამყარო მშვენიერი და ცხოვრება სიხარულის მომტანი! განა ბოროტებას, შურს, ლანძღვას, დაცინვას, როდესმე სიკეთე მოუტანია? განა არის რაიმე სიხარულზე და სიყვარულზე უფრო დიდი? მაშინ რატომ გაურბიხართ მას?! რატომ ხდით ცხოვრებას ისეთს, როგორიც არ არის ის...“

მამა თეიმურაზ ქორიძე

წერილი ახალშობილ ქალიშვილს

გიყურებ ერთ ციცქნა გოგონას და გული განუზომელი სიყვარულით და მადლიერებით მევსება. გაღიმებული დაიბადე. წრფელი და უანგარო ღიმილი გინათებდა პატარა სახეს და გთხოვ, მუდამ ასეთად დარჩი.

როდესაც კეკლუცობას და გაპრანჭვას დაიწყებ გახსოვდეს, რომ სამყაროში ყველაზე ძვირფასი სამკაული – ღირსებაა და ნეტა იცოდე, როგორ შვენის და უხდება ეს სამკაული ადამიანს.

შენ მოხვედი სამყაროში, სადაც უმეტესად ხელს არ აწვდიან დაცემულს – არამედ ხელს იშვერენ მისკენ. გთხოვ, არასოდეს შეხვდე გულგრილად სხვის დაცემას, გაუშვირე დაცემულს ხელი და გულში ჩაიკარი. არ უთხრა საყვედური – გაიქცევა. უბრალოდ ჩაეხუტე და გაათბე, დანარჩენს თვითონ მიხვდება.

გთხოვ, იყავი გულწრფელი. გულწრფელი ყველაფერში. ეს ფარია, რომელიც ფარისევლობისგან დაგიცავს.

შეიყვარე – ოღონდ გემუდარები უმიზეზოდ!

მინდა ღმერთზე გესაუბრო, მოსიყვარულე და მზრუნველ ღმერთზე, მაგრამ თუ გულწრფელი იქნები, მაშინ შენ გულში თავად იხილავ მას და მერე ვისაუბროთ...

მაპატიე. აკი, გითხარი ამ სამყაროში ხელს ხშირად იშვერენ-თქო. ხოდა, შენსკენაც გაიშვერენ ხელს, რადგან მღვდლის ოჯახში დაიბადე და ამის გამო ხშირად გამადიდებელი შუშით დაგიწყებენ ყურებას. ამან არ დაგაბნიოს და შეგაშინოს. იყავი ის, ვინც ხარ. შენ, შენი ცხოვრება გაქვს, შენი თავისუფალი ნება, რომელიც იმ მოსიყვარულე ღმერთმა გარგუნა ახლა შენს პატარა გულში რომ ფეთქავს.

ჩვენ ბედნიერებისთვის შევიქმენით. ასე, რომ იბრძოლე ბედნიერებისთვის. მე ვერაფერს შეგპირდები, შეიძლება არაფერი დაგრჩეს ჩემგან. მაგრამ ერთს კი, გპირდები - მთელი ცხოვრების მანძილზე ვეცდები, რომ ღირსება დაგიტოვო, როგორც უძვირფასესი ძღვენი და უმთავრესი ქონება შენი მამიკოსაგან. მადლობა! მიყვარხარ – უმიზეზოდ! აბა, შენ იცი ...
შვილი, რომ მკითხავს ადამიანობა რას ნიშნავსო? ,,შენზე მოვუყვები მამაო“

თუ ტკივილებმა დაგღალეს შვილო,
არ დაიჩივლო!
შენი ცრემლები თუ გაუხარდეთ,
არ დამწუხარდე!
ყველა განსაცდელს ღირსებით შეხვდი.
მამი, გამხნევდი!
სიკეთის გზაზე - მტერიც რომ გყავდეს,
ყველა გიყვარდეს!
ყველა გიყვარდეს!!
ყველა გიყვარდეს!!!

ეს ლექსი გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე დაუწერა მეუღლეს:

ვიცი ჩემს სიკვდილს ვერ აიტანს შენი სინაზე
და გაციებულ შუბლზე კოცნა გეუცხოება.
ერთადერთ წამად ჩაიქროლებს თვალთა წინაშე
მარტოდენ ცრემლში დატეული მთელი ცხოვრება.
სულს აატირებს მკლავმოკვეთილ დედის წუხილი,
გაყინულ სისხლად მოაწვება დარდი საფეთქელს.
და როგორც მარტი ზამთრის დღეთა გამოძახილი
ეს ჩემი გულიც, შენი გულის ცემით იფეთქებს.
გამოუჩნდება ჩვენს სიყვარულს ბევრი მთხრობელიც,
ბევრი მათგანი აღმოაჩენს კიდეც საერთოს.
სხვა გულის ცემას უმასპინძლებს ქუჩა რომელიც,
ქუჩა რომელიც, მარტო ჩვენი გვეგონა ერთ დროს...

/ეძღვნება მამა თეიმურაზ ქორიძეს/

ტკბილო მოძღვარო, მეც მასწავლე,რასაც იქმოდი,
პირმომღიმარი მოყვასისთვის ხშირად მიქროდი,
ასე მალე რომ წახვიდოდი ალბათ იცოდი,
მუდამ მექნება საამაყო შენ რომ გიცნობდი.

მამა თეიმურაზს

შენს საფლავზე იები,
უშენობას იტირებს,
შენი სულის მთიები,
წლებს არ გამოიტირებს.
რადგან შენ ხარ უკვდავი,
ღვთის მოსავი მამაო,
ლოცულობდი მუდარით,
სახტარს ყოველ საღამოს.
შენს სხეულში გრძნობები,
შადრევანად მჩქეფარე,
ბევრჯერ მოაგონდები,
მელქიდეკს და სტეფანეს.
შენს თვალებში ციმციმობს,
ზეცის ლამპიონები,
აბა როგორ ვიცინო,
გიხსენებ და ვღონდები.
შენ სხვა იყავ მამაო,
ღმერთის სახის სადარი,
აგვისტოს დღის საღამოს,
ფოთლებს იცვენს ჭადარი.
,,ათინათში" ლექსები,
შენიც აისახება,
აქ დარჩები ფესვებით,
წმინდა სულის ხატებად.
არ ჩერდება სათქმელი,
იცრემლება ზაფხული,
გულში იწვის სანთელი,
ოშკისა და ხახულის.
ეს რად მოხდა მამაო,
მიწას ცრემლი ამძიმებს,
შენ კი ტკბილად საღამოს,
ღმერთი გამოგაძინებს.

დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

მამა თეიმურაზ ქორიძეს

უფლის სახე და უფლის გული გიმკობდა სხეულს,
რაღაცა უცხო, ზეციური, მნათობთ ქვეყნიდან,
გაგიხსენებენ, უსპეტაკესს ღვთისმოსავ რჩეულს,
ღვინოს დალევენ, დაგლოცავენ სულის ქვევრიდან!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ლიკა ქათამაძე

რამდენ რამეს შევცვლიდი

რომ შემეძლოს?რამდენ რამეს შევცვლიდი,
გადავხევდი ყველა ფურცელს სევდიანს,
წარსულიდან გავაქრობდი ტკივილებს,
სადაც უწინ შეცდომებით მივლია.
გავაჩერებ დროის საათს სივრცეში
და დავიწყებ ათვლას ისევ თავიდან
კალამს უკვე აღარავის მივაწვდი,
თავად დავწერ მხიარულს და შარმიანს,
შევეცდები ფრთხილად ვხატო შტრიხები
ყვითელ ფერებს შევუხამებ დარდიანს,
მუხლის ჩოქვით აღარასდროს გავივლი,
მხოლოდ უფალს დავუჩოქებ მადლიანს.
რომ შემეძლოს რამდენ რამეს შევცვლიდი
დავიწყებდი ამ ცხოვრებას ხელახლა,
გეფიცებით უშეცდომოდ ვიცხოვრებ
რადგან ბრძოლამ ბევრი რამე მასწავლა.

სამყარო მეპაექრება

თითქოს სამყარო მეპაექრება
რატომ?რას მერჩის არ ვიცი ოღონდ,
როგორც კი ცაზე გამოანათებს
წამსვე სიბნელე სინათლეს ახშობს.
სიცილს ვერ ვასწრებ ადგომის შემდეგ
ისევ ვეცემი ცრემლები მახრჩობს
რატომ ან რისთვის მოვედი ქვეყნად
თუკი მე ბედი არასდროს მწყალობს?
კამათელს მოჰგავს ჩემი ცხოვრება
დუშაში მასში არასდროს ხარობს,
სულ მარტო ყოფნა, ხვედრია ალბათ
და ასე მხოლოდ დარდები მათბობს.

შეცვალე დღესვე

დღეს თუ შენში არაფერი არ შეცვალე
ხვალ უთუოდ უაზრობით გათენდება,
ბედს ნურაფერს ნურასოდეს დააბრალებ
უჭკუობა არაფერში გამოდგება..

ნუ იქნები გულუბრყვილო ცხოვრებაში
თუკი დათმობ გული მეტად გეტკინება,
ზღვარი მუდამ დააწესე შენს გარშემო
საკუთარ თავს მოუარე ნუ გათელავ
.
არ იფიქრო შეგიყვაროს ვინმემ მეტად
შენი თავი თუკი შენ არ გეყვარება
შენ თავს თუკი წინა პლანზე დააყენებ
დამიჯერე ყველაფერი შეიცვლება.

არ ისურვო უგულო და მოღალატე
ვინც მრავალჯერ საძიძგნელად გაგიმეტა
არასოდეს დაუჯერო დაპირებებს
მოღალატე ?არასოდეს შეიცვლება..

მიუტევე, ყველაფერი დაივიწყე
ქრისტე ჯვრისთვის უგუნურმა გაიმეტა,
არასოდეს დაუბრუნდე იმ გარემოს
 ყველა შენი მეგობარი ვერ გახდება..

არასოდეს მოითხოვო სიყვარული,
ყურადღება ძალადევად არ იქნება
არაფერი არ ისურვო სამათხოვრო,
შენი წილი ყველაფერი წინ დაგხვდება

დღეს თუ ცრემლი უსამართლოდ დაგადინეს
თუკი გულში ჭრილობები განახლდება
იმედები ეს ცხოვრების დევიზია
გახსოვდეს რომ მუხა ფეხზე კვლად დადგება..

ყვავილები არასოდეს იყვავილებს
არ იფიქრო მარტო მზის სხივს ევალება
თუკი წვიმა ფესვთა არეს არ გაათბობს
მათ გარეშე ვერასოდეს გაიშლება..

ასე ხდება ცხოვრებაშიც ყველაფერი
ცრემლთა შემდეგ ღიმილები დაგმშვენდება
ღამის შემდეგ უსათუოდ დილა დგება
ზამთრის შემდეგ გაზაფხული მობრძანდება.

* * *

ვკინძავ და ვკონკავ,
ლამაზ დღეთა სიწრფელის ფურცლებს,
სივრცეში სადღაც,
კვლავ მეძახის ის ძველი ექო,
დაბრუნდი, კმარა,
ტკივილები წარსულში დარჩეს
დაბრუნდი, ჩვენთან,
ეს სამყარო შენ ისევ გიხმობს.
მივყვები უხმოდ,
სულ არ მესმის ეს ხმები თითქოს,
სრულიად მარტო გარიყული
არაფერს ვფიქრობ,
არ მჯერა რა ვქნა აღარაფრის
დამთავრდა ის დრო
როცა გვიყვარდა ერთმანეთი
რა კარგი იყო.
მაგრამ შენ გაქრი და ეს გული
ისევე გიხმობს
მიყვარხარ ისევ როგორ უწინ
ლამაზო ბიჭო,
სამყაროვ როგორ მეპაექრე
გამთელე თითქოს,
წარმართი ის და დაბრუნებას
მე მაინც ვითხოვ.
სხვა რაღა დამრჩა ის ხომ ჩემი
ცხოვრება იყო
უფერულ დღეებს ვეფერები და
ნიღაბს ვიმკობ,
ამბობენ წლები მოგვიშუშებს
ნაწამებ სისხლ-ხორცს
თუმცა შენ ცხოვრობ და იცი რომ,
მკვდარი ხარ თითქოს.

* * *

სულო, გაუძელი ტკივილს
გულო, შფოთვის ნება არ გაქვს
ყველას მიუტევე უგნურს
ღმერთი დაგანახებს მართალს,
თუკი უსამართლოდ გმოძღვრეს
სისხლი დაგადინეს მართალს
მრავლად ჭრილობები გეწვის
მაგრამ გაუძელი კვლავაც..
ყველა გასავლელი განვლე
მხოლოდ დაუჩოქე უფალს
არა არ დაეცე მათ წინ
შენ ხომ სიძლიერე თან გაქვს...
მაინც ვერ გამტეხეს წელში
ალში გამახვიეს ახლაც
მთელი ბავშობა და დღემდე
ურემს მივათრევდი მარდად..
ეხლა?ეხლა ისე მტკივა
სიკვდილს გავუსწორებ თვალსაც
მაგრამ ვერასოდეს დამცემთ
მაინც გავაგრძელებ სავალს.

ნინა გიორგაძე-გაჩეჩილაძე

სიტყვა

ღრუბელს დაუგორდა ცრემლი...
წვეთად კიაფობს და კრთება,
ერთ დღეს იბადება კაცი,
ერთ დღეს უცილობლად კვდება.

სიტყვა ვერ ვიწამე ფარსი,
მლახვრავს, ცხელ კოცონზე დამწვავს,
კვდომის ვერ გაიგეს ფასი...
სახე- ნიღბიანი, არ მწამს.

ვეტრფი სუყველაფერს ხალასს,
ნამდვილს- თუნდაც იყოს მწარე...
დილას, მზე ახარებს ამბავს,
მწუხრს კი ეფინება მთვარე.

* * *

სულს შევუბერავ ბაბუაწვერას,
თვალს გავაყოლებ ოცნების რონინს,
თან გავყვები და მთებში ირმებთან-
ირმების ჯოგთან გავიშლი ლოგინს.

ცისკარზე ზეცა მოაფენს ნათელს,
ცის თაღზე ღმერთი მზის კალთას გაშლის,
ზიარებამდე მოვასწრებ სათქმელს,
მწარე ცრემლების ყველა კვალს წავშლი

დავეწაფები წყაროს ანკარას,
კლდის ნაპრალიდან წანწკარით მავალს,
აღარ მომიწევს ხვატის ატანა...
მშვიდად შევხვდები გულთეთრა ზამთარს

ტყემლის ხე

ქარი ქროდა და
ცემდა ტყემლის ხეს,
შეუბრალებლად
უგრეხდა ტოტებს,
როგორ ციოდა...
როგორ ტკიოდა-
გადაღლილ სხეულს
ამ ხეში მყოფელს.
ტოტიდან სწრაფად
აფრინდა ჩიტი,
შეკრა კამარა,
ქარს შეებრძოლა...
ცხელი ცრემლებით
ატირდა ხვედრი:-
-არ ღირდა არა
შეჭრა- შეყოლად!...
ქარს შერცხვა
შლეგი დაუნდობლობის,
ჩადგა, შეწყვიტა
აშარი რბოლა...
ზოგჯერ სჯობს
იყო მიუსაფარი!...
არ ღირდეს არად
არავის ყოლა.
ხეებს- ნაყოფი,
მწარე ან ტკბილი...
წელში ხრის და დრეკს
ყოველი წელით,
მწვანე სინორჩე და სიხასხასე
გაიკაფება სიკვდილის ცელით.
რამდენ ქარიშხალს
გაუძლებს განა?!...
რამდენი ზამთრის
გულქვა სიცივეს?...
ტყემლის ხე ხმება
ფეხზე დამდგარი...
საკუთარ ყოფას
ცრემლად იტირებს.

წვიმის წვეთები

წვიმის წვეთები
ვარდის კოკრებს ისე ამკობენ-
როგორც ქალის ყელს
მარგალიტის მძივების კრება,
წამი, წამია!
გაქრება და დაიკარგება...
ო, რა შორია!...
ლურჯი ცა და ცის უკვდავება.
მშფოთვარე სული
ბროლის ბოთლში გამოკეტილი-
შფოთავს, მძვინვარებს,
გამალებით აწყდება კედლებს...
წვიმა ჩაივლის,
ნაწვიმარი დარჩება კვალი...
გაანჩხლებული სისხლის ჩქერი
აწყდება ხელებს.
წვიმის წვეთები
ვარდის კოკრებს სულს უბრუნებენ,
არ გაბედოს და
ფურცელ-ფურცელ არ დაიშალოს...
ვარდის სურნელი,
ვარდის ეშხი- ბაღს რომ ამშვენებს-
არსად წავიდეს,
არ გაქრეს და არ დაიკარგოს.

მეფე თამარი

მზე ჩაესვენა ჰორიზონტს მიღმა...
გაყვა ღრუბლები ჯარის სადარი,
ცის თეთრ ტილოზე- მერანზე მჯდარი
მხედრებს უძღვება მეფე თამარი.

ბრწყინვალე ფერში ლივლივებს ზეცა,
ზარები რეკენ...ქუდზე კაცს იხმობს,
სამშობლოს მკერდზე ვინ დაეფერფლოს?!...
სამშობლოსათვის სიცოცხლეს ვინ თმობს?!...

ააფრიალებს დალალებს ქარი,
შორს, მიუწვდომლად, ზმანება კრთება,
ბრძოლის ყიჟინით, ვით ამორძალი,
მეფეთა მეფე- თამარი კვდება!

ყაყაჩოების ცეცხლი წვავს შამქორს,
და სისხლისფერად ელავს დაისი,
წარსულის ლანდი ათბობს ბასიანს,
თამარქალობას ეტრფის მაისი.

მედროშე ასწევს ხუთჯვრიან დროშას,
ლალეს ხაფი ხმით ჭექავს ლაშქარი,
ჩამავალ მზეში – მზე დედოფალი,
ბრწყინავს ღვთაებრივ- მეფე თამარი.

მიყვარხარ

შენ რომ ქალი გიყვარს ...
ისა ვარ!...
შენი მოალერსე
ნიმფა ვარ!...
ჩურჩულითვკვლავ გეტყვი
ჩემს სათქმელს-
მიყვარხარ...მიყვარხარ...
მიყვარხარ!
ოცნებას მწვერვალთან
მივყავარ...
შენ რომ ქალი გიყვარს-
ისა ვარ!...
მთის ნაკადულივით
წმინდა ვარ
და...ამ წმინდა გრძობით
მიყვარხარ!

ია მაჭარაშვილი

* * *

მინდორში მარტოკა იდგა ტირიფის ხე,
იდგა და ლამაზი ცრემლებით ტიროდა,
იქნებ ფოთოლცვენა ატირებდა ტირიფს
ან იქნება გული ძალიან სტკიოდა.

მე კი შემეცოდა საბრალო ტირიფი,
ჩემსავით გატანჯულს ნაზად მივესალმე,
ერთხელ შემომხედა აცრემლებულ თვალით,
იქნებ ერჩია რომ სულ არ დავენახე.

მუხლებზე დავეცი, პატიება ვთხოვე,
ყურიც არ ათხოვა ჩემს ოხვრა გოდებას,
მერე ავდექი და ჩემს გზას გავუდექი,
იქნებ გაეხარდა ჩემთან განშორება.

მას შემდეგ მარტია ტირიფი თავისთვის,
არავის აწუხებს თავის ფოთოლცვენით,
თუკი ის ტირიფი სატრფომ მიატივა,
არავის აწუხებს თავის სიმარტოვით.

წავედი, დავტივრ, გული მასთან დამრჩა,
გულში დარდი დამრჩა, დარდი შენეული,
მინდორში მარტოკა იდგა ტირიფის ხე,
თურმე მარტოობას იყი მიჩვეული.

* * *

დღეს თოვლის ფიფქი დაათოვს
ჩემს ნამტირალევ წამწამებს,
გულით დაგლოცავ ყოველთვის,
სიყვარული რომ მასწავლე.

მაგ ლამაზ თვალებს ძვირფასო,
ვერ დავივიწყებ ვერასდროს,
მზეში, ქარში თუ ავდარში,
მაგ თვალთა ეშხი დამათრობს.

მაგ შენი ბაგის ღიმილი
გულში მექნება მარადის
და ვერ წამართმევს ვერავინ,
ვატარებ კუბოს კარამდის.

ზამთარი მოვა, დამათოვს,
გულს გამიჩნდება ფიქრები,
ოცნებით გულში ჩაგიკრავ
და მერე ერთად ვიქნებით.

ასე შევხვდები სიკვდილსაც,
სიციცხლის ბოლოს ნაწამებს,
ზამთარი მოვა, დაათოვს
ჩემს მივიწყებულ საფლავზე.

* * *

მწვანედ მობიბინე ველზე
ფარა გაუშლია მწყემსს,
მინდვრის შუაგულში მალულად
ბუდე აუგია მწყერს.

დაქრის მოალერსე ნიავი,
ბანს აძლევს ცხრათვალა მზეს,
გლეხი გამოსულა ყანაში,
უსვავს ნამგალსა და ცელს.

ტოროლა აფრენილა ზეცაში,
ფრთები გაუშლია ლაღად,
ვაჟკაცი ყანაში მუშაობს,
ვერ გრძნონს ტკივილსა და დაღლას.

სადაც ია ვარდი ყვავილობს,
სიციცხლის ხალისი სჩქებს,
ბუდე აუგია მწყერს,
ფარა გაუშლია მწყემსს.

* * *

ეს პატარა გული რატომ დამიტანჯე,
ანდა სიყვარულში რად არ გამიმართლე,
მე შენს მეტს არავის მივსტირი ამ ქვეყნად,
რადგან სიყვარული მხილოდ შენ მასწავლე.
მხოლოდ შენ დამიტაბჯე ფიქრებით მე გული,
თვალები გამიხადე კარგო,სევდიანი,
ნუ გაგიკვირდება თუ სადმე შემოგხვდეს
ცხივრების გზაზე თვალები ცრემლიანი.
ეს ჩემი თვალები იქნება უეჭველ,
ჩქარა მომეფერე, თირემ გაგიქრები,
როგირც, რომ სანთლები ღმერთის სიყვარულში,
მე შენს სიყვარულში ისე დავიწვები.
რატომ დამიტანჯე ეს პატარა გული?
თვალებზე ცრემლები რატომ დამადინე,
ხანჯლები რად ჩამარტყი შიგ გულის ფიცარზე
და ან სამუდამოდ რატომ დამაძინე.
პასუხი გამეცი, ასე რად მექცევი?
რად არ გეციდება დაკოდილი გული,
მე ხიმ წმინდა გრძნობა მხილოდ შენ მასწავლე,
რატომ ჩამიკალი გულში სიყვარული.
რატომ დამიტანჯე ეს პატარა გული?
მითხარი, რატომ მკლავ, ასე რად მაწამებ,
მე შენს მეტს არავის მივსტირი ამ ქვეყნად,
რადგან სიყვარული მხოლოდ შენ მასწავლე.

* * *

გაზაფხულის საამო დღე იდგა,
ქარიც აღარ ზუზუნებდა მთაში,
შენ დაღლილი მოდიოდი ჩემთან
და ჭაღარა დაგტყობიდა თმაში.

შემოგხედე, გულმა ტკენა იგრძნო,
სიჭაბუკე გამქრალიყო შენში
ცხოვრებისგან დატანჯული გულით,
მყუდროებას დაეძებდი მთებში.

ჩემს ბილიკებს სყკ გზადაგზა დასდევ,
მეც სავალი აგირიე გზები,
უშენიბით დამეჩაგეა გული,
უშენობით დამიჭაღრდა თმები.

უშენიბით გულმა სევდა იგრძნო,
ჩვენს სიყვარულს არ უხდება დაღლა,
ცხივრებისგან გადაღლილი გული
ვეღარ იფრენს მაღლა მთებში ლაღად.

შენ დაღლილი მოდიოდი ჩემთან
და ჭაღარა დაგტყიბიდა თმაში,
ცხივრებისგან გადაღლილი გულით
მყუდროებას დაეძებდი მთაში.

* * *

ასე მგონია ყველა პოეტი თავსა გრძნობს მარტო
ვფიქრიბ, თუმც დღემდე ვერ გამიგია რატოა მარტო,
სიცარიელე შემოპარულა ჩემს გულში ვხედავ
დამისაკუთრა და დამიმონა დარდმა და სევდამ.

ყველა პოეტი თავს მარტო გრძნობს ყველასგან მარტო
მხოლოდ ლექსები ასულდგმულებს ლექსები ართობს
მისი ცხივრება მხოლოდ ლექსების წერაა ვხედავ
მისი სიცოცხლე დამსგავსებია შემართულ მხედაეს.

მეც ასეთი ვარ,ვერ გავუგე რატომ ვარ მარტო
ჩემი ლექსები მასულდგმულებს, ლექსები მართობს,
თითქოს მომბეზრდა ყოველივე ქვეყნად რაც ხდება
დამისაკუთრა დამიმონა დარდმა და სევდამ.

იზოლდა მოშიაშვილი

პაატა იოსებაშვილს

ადამიანის ზნეს და ხასიათს,
ბუნება ქმნისო, არის ნათქვამი.
მინდა გიწოდო "კაცი ლეგენდა",
რადგან ეს არის სრულად მართალი.

არ გავიწყდება ზღაპრული მხარე,
ახალგაზრდობის ლამაზი წლები,
მიწის სურნელი, დედის "ნანინა,"
სიზმრად ნახული, მთები და ზღვები.

სამშობლო მიწის გესმის ღაღადი,
ბეთამიკდაშის, ცრემლით ნაბანის,
ფუძე ძლიერი შენ აქ შეჰქმენი,
სამშობლო შენი მხოლოდ აქ არის.

სულით ძლიერო, სიტყვა მართალო,
კაცთმოყვარე და დაუღალავი,
ყოველი საქმე შენით ნაკეთი,
შუქია მომავლის დაუფარავი.

ორ სამშობლოსთვის იღწვი, იხარი,
რომ მეგობრობას დაუდგა ძეგლი,
სიყვარულისთვის ჩუქნი სიყვარულს,
რომც გზანი იყოს სავალი ძნელი.

თუმც კი იცვლება ირგვლივ ყოველი,
წუთისოფელსაც აქვს კანონები,
შენით დარგულ ხეს წყალს აპკურებენ,
გზას იკაფავენ სხვა თაობები.

მშვიდობა გვინდა

მაღლა, შორეთში მზე ჩაესვენა,
ცამაც გადიკრა შავი ღრუბელი,
და ბოროტებამ კვლავ იზეიმა,
რომ ააკვნესა დედა მშობელი.

მუსიკის ჰანგებს სცვლიდა გოდება,
და ბობოქრობდნენ ავი სულები,
სულ გამქრალიყო რწმენა, ღვთის შიში,
ეწირებოდნენ ძუძუმწოვრები.

მათ ულმობლობამ წითლად შეღება,
მიწა, მდელო და სახლის კედლები,
ბოროტებამ კი შთანთქა ყოველი,
ძე ხორციელი, ირგვლივ მყოფელი.

შიშით თენდება ყოველი დილა,
ზეცის ნამს ერთვის დედის ცრემლები,
ხელებ გაშლილი, ლოცვად ქცეული,
ღმერთს შველას შესთხოვს, ჩუმად, ვიდრებით.

ღმერთო ისმინე ლოცვა-ვედრება,
გვაკმარე ტანჯვა და ცრემლთა დენა,
მოგვეც ცხოვრება ყველას ნანატრი,
შენ დაგვიბრუნე ქვეყნად მშვიდობა.

და ამ მშვიდობას ეწირებიან,
სამშობლოსათვის თავდადებულნი,
მათი სახელის უკვდავსაყოფად,
მარად ენთება, წმინდა სანთელი.

წუთისოფელი ასეა

ირგვლივ ყვავის ყოველი,
სჩქეფს სიცოცხლის ფერები,
მარტოდ სივრცეს გავცქერი,
წარსულს კვლავ ვეფერები.

სადაურმა სად დავიდე ბინა,
იქ, შორეთში ფიქრით დავეხეტები,
მაგონდება უდარდელი ბავშვობა,
იქ განვლილი ის ლამაზი წლები.

გაზაფხული ზაფხული
ბობოქარი ტალღები,
წლები ისე მიჰქროდნენ,
არ ვიყავი დამთვლელი.

ბედმა გვითხრა სათქმელი,
აფრიალდა ირგვლივ თეთრი აფრები,
ვეზიარეთ მიწას ღმერთის ნაკურთხს,
ავიხდინეთ ჩვენს წინაპართ ნატვრები.

და ცხოვრების სავალ გზაზე,
ვკრიფე ბევრჯერ ვარდები,
მაგრამ ზოგჯერ ეკალმაც,
გულს დასტოვა დარდები.

წუთისოფლს ვერ გაუგებს ვერავინ,
სად და როდის იხურება კარები,
ნეტავი მას ვინც სიძულვილს უმტრო,
სიყვარულს კი ვრცლად გაუღო კარები.

ჩვენ ცხოვრების ვითვით ბოლო აკორდებს,
ამ ქვეყანას ვერვინ შევაბერდებით,
რაც ვაკეთეთ უკვალოდ არ გაქრება,
და გადივლის ვით ლამაზი კადრები.

ბედმა ფართოდ გამიღო,
სულიერი სარკმელი,
დედადა მყავს ისრაელი,
საქართველო გამზრდელი.

საქართველოს

საქართველო, მხარე ზღაპრად ქცეულო,
მოხატულო ნაირ-ნაირ ფერებით,
საოცნებო, მონატრების სურვილით,
შორეთიდან მე კვლავ მოგეფერები.
დაგილოცავ ფუძეს ქართველ კაცის,
ცას უღრუბლოს, ნათელსა და მზიანი,
მსურს მარადის ჟღერდეს შენი დიდება,
და გხედავდეთ მხრებგაშლილს და მთლიანს.
დაგილოცავ წარსულს, აწმყოს, მომავალს,
გმირთა სულებს სამშობლოსთვის ზიარს,
დაგილოცავ ხალხთა შორის სიყვარულს,
მასპინძლობას შენებრ ბარაქიანს.

მონატრება

აკვნესებული გული,
და განდიდება სულის,
იფერფლებოდა მზე და
იდგა საწყისი მწუხრის.

ქარიც ზუზუნით ქროდა,
ცდილობს მოყოლას ამბის,
კარ-ფანჯრებს ელამუნება,
მიტოვებული სახლის,

მბჟუტავი შუქი სანთლის,
ეფინებოდა ირგვლივ,
და ამავ სანთლის შუქზე,
იკვეთებოდა ლანდი.

რამდენი გულის ტკივილი,
სევდის მომგვრელი ღამე,
რამდენი თქმული, ბევრიც უთქმელი
სულის ჩივილად ვსახე.

მზის სხივებმა ამოქარგა,
ცაზე შენი სახე,
ეს სურათი მონატრების,
ღამე სიზმრად ვნახე.

ია ხალვაში

* * *

დღე დღეს მისდევს,
ღამეს ღამე,
ფიქრებს დარდი
და მზეს მთვარე,
წლები ისე გაფრენილან
ვერ გავიგე,
ვერ დავთვალე...
ერთხელაც არ დამცდენია
გამჩენელო – ,,დავიღალე".
ჰოდა ჩქარა,
ჰოდა მალე,
დღეს თუ არა
იქნებ, ხვალე
კიდევ ერთხელ შემინდე
და
კიდევ ერთხელ შემიწყალე...
ჩემი ფიქრი,
ჩემი დარდი
და იმედი-მოელვარე,
მხოლოდ შენთვის მომინდვია,
მხოლოდ შენ ერთს მოგაბარე.
წირვა დილით
და ვედრება,
გადმოსული მადლი მწუხრის,
სულიწმინდა ჩავისახე
დაე, იყოს ნება უფლის...

* * *

იძარცვება და შიშვლდებიან ბერი ხეები
და მიჰყვებიან ნაფიქრალი დრონი საჩვენო...
ეს მერამდენე ფოთოლცვენა გადავიტანე,
განსაცდელების ქარტეხილში ჩემო გამჩენო.

ქარი ბობოქრობს ულმობელი, თუმც ზაფხულია,
წელთა თარეში დატყობია სახის ნაოჭებს,
კარგად რომ ვიყო ალბათ უფრო გასაკვირია,
ჩემი თმენა და ბედ-იღბალი უფრო მაოცებს...

მაინც მადლობა, გამჩენელო ამ წყალობისთვის,
მყარად ვდგავარ და ვილოცები ნაჯიშ ფესვებზე,
ორი შტო არის გაფოლილი,აყვავებული,
იმათ გარეშე მე სიცოცხლეს ერთ დღესვერ შევძლებ.

და..დამილოცე გამჩენელო ჩემი შვილები,
ჩემი სიცოცხლის გაგრძელება შენვე მოგანდე,
ყოველი წამი ძვირფასია მომადლებული
დაბადებიდან და ოდესმე განშორებამდე.

როგორ მეიმედებიიი....როგოორ

მეგობარო...შენ რამდენჯერ გაითენე ჩემთან ღამე,
გულში სევდა, სულში დარდი
მერამდენედ დამიამე?...
არ გბეზრდება ჭირში დგომა
ვით მედგარი სალი კლდისა,
არ ვეცემი სულიერად,
მეგობრობის გრძნობას ვიცავ...
დავეცი და შემაშველე
ღონიერი შენი მხრები
ჩემს გვერდში ხარ ჭირშიც,ლხინშიც
არასოდეს არ იღლები...

დიაახ, გეტყვი რომ მჭირდები
სულს მინათებს შენი მზერა,
თვით უფალმაც აგირჩია
და ტკბილ ხმაზე აგამღერა..
არ მოგვშლოდეს შენი ნანა,
შენი მრავალჟამიერი..
დაგელოცოს ფუძე ჭერი,
იმერი და ამიერი..
საქართველოს გულში ფეთქავს
შენი ტკბილი,,რამდარირო,,

და სულ მალე შენს შვილებთან და
ჩვენს გვერდით დამდგარიყო

* * *

გარდაცვალება არაფერია..
გარდასახვაა მხოლოდ..
უსიყვარულოდ? – ეს სასჯელია
და ამიტომაც ვბრძოლობ
ღმერთოოოოო..
ისმინე ჩემი ვედრება
და გთხოვ ნუ მომკლავ ისე
არ მოვაგონდე, არ დავენანო,
არ მოვენატრო ვისმე...

* * *

არავითარი ხვალ...
არავითარი ზეგ....
გთხოვთ მომეფერეთ ახლა
სანამ გრძნობებით ვწერ.

ფიქრი იღვრება მუზად,
დარდი იფრქვევა მზედ..
არავითარი ხვალ...
არავითარი ზეგ...

ვიღებ ღიმილებს კვლავაც,
ვაცილებ სევდის დღეს,
მხოლოდ ეს სითბო შემრჩა
და...გეფერებით ბევრს.

არავითარი ხვალ,
არავითარი ზეგ,
მოდით, ჩაგიკრათ გულში,
დღეს გელოდებით, დღეს...

სიზმარი....

ამ ბილიკებს კვლავ ამჩნევია
შენი წაუშლელი ნაკვალევი...
ღამე, ბუხრის პირას მილეული
ბედნიერებაში განათევი.

სარკმელს ასხლეტილი მზის სხივები,
დილის ციალს ჩვენში რომ აკრთობდა
ვერა, ვერ ვივიწყებ მერე რა რომ
თმებზე უნებლიედ დამათოვდა..

..თუმცა შეიცვალა ყველაფერი,
ისე ვეღარ მათბობს ბუხრის ალი,
თითქოს მუგუზალთან დაიფერფლა
ჩვენი სიყვარული საფიცარი.

გაზაფხულიც დარდობს განშორებას
ვგონებ მისებურად სძლია ზამთარს..
კვირტი აფეთქვია ჩვენს ეზოში
შენი სახელობის იასამანს.

* * *

გამიჯიუტდა მარტის თვესავით ეს მონატრება,
ქარი ქრის, არხევს მოძველებულ გულის იარებს...
ფიქრების ზღვასთან თოლიები თმებში მერევა,
ჩემი ხომალდი უსასრულოდ დაიგვიანებს....

(ექსპრომტად)

ცისანა ხუციშვილი

ჩემი ბარტყები

სანამ იჩეკებიან და ბუდეში ზიან,
მანამ არიან ჩვენი,
ულამაზესი და უსაყვარლესი ბარტყები.
მაგრამ როცა ისწავლიან ფრენას
და ლაღალ გაშლილან ფრთებს,
უკვე ვეღარ მოიხელთებენ:
მშობლები,ბებია-ბაბუები,
ბიძები, დეიდებ-მამიდები.
ეს კარგად უნდა გვესმოდეს და
ტყუილად ნუ ავიშლით ნერვებს
და ტყუილად ნურც მათ გავუბრაზდებით!
სხვა არ ვიცი,მაგრამ მე,
იმითაც ბედნიერი ვიქნები,
თუ დავრწმუნდები,ჩემს ფრთებქვეშ დაზრდილი და
უკვე არწივებად ქცეული ხუნდები,
ლაღად რომ დაფრენენ
საქართველოს ულამაზეს მთებში.

აუჰ!

ვიტირ-ვიქოთქ-ვივაგლახე.
და კვლავ გამოვაჩინე ჩემი
ნამდვილი სახე,
რითაც ჩემს თავს,
კიდევ ერთხელ დავუგე მახე.

არა გჯერათ არა?
მაშინ აგვისტოში,
მწყერთან ერთად,
მახეში გაბმული,
თქვენი თვალით მნახეთ!..

ჟურნალ "ათინათი"–სთვის!"
უჰ!

ვიჯექი და ცხარე ცრემლით დავტიროდი
მე საკუთარ სხეულს,
ტკივილიანს, არაფრისმაქნისს და ეულს.
დასაწერად და გულის გადასაყოლებლად,
ჩემს გვერდზე შემოსულმა ისთი ადამიანი რომ დავინა-
ხე მივხვდი,
ყველაფერი უაზრობაა და სანამ ღმერთს სურს,
ყველაფერს უნდა გაუძლო,რადგან არიან მეგობრად-
წოდებული ხალხი,ვაითავმოყვარენი,
თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩემნაირებთან
საჩხუბრადაც რომ მზად არიან.
თუნდაც მათ დასახვედრად უნდა ავიტანო ყველა ტკი-
ვილი,რათა "ურთიერთმოყვარულთ" ერთად ვამღერო
ზედმეტი სიყვარულით გამსჭვალული რომანსი, თუ
ტკბილ-მწარე არია.
ღმერთო დაილოცოს შენი სამართალი,
ამ ქვეყნად რა სჯულის და ჯიშის ხალხი აღარ არის.
(მე)

***
მწუხარების დროს
თვალიდან კი არ მივარდება ცრემლი,
ზედმეტად ვიკრიბები ენად,
რაც მძიმე ლოდად აწვება გულს
და ნელ-ნელა კლავს.

***
ჩემი ნება რომ იყოს,
წუთითაც არ ვისუნთქებდი
ამქვეყნიურ ჰაერს.
ახკა მხოლოდ იმასა ვთხოვ ღმერთს,
უახლოეს დღეებში,ზეცად წამიყვანეთ!

***
მომწყინდა ამდენი ვაი,
ღმერთო,რამე მაცნობე კარგი,
ცოტათი მაინც რომ შემეცვალოს
ხასიათი და შევწყვიტო სულის
ცრემლთ ღვარღვარი!

***
მწუხარების დროს
თვალიდან კი არ მივარდება ცრემლი,
ზედმეტად ვიკრიბები ენად,
რაც მძიმე ლოდად აწვება გულს
და ნელ-ნელა კლავს.

***
ყოველთვის ვცდილობ,ვთესო სიკეთე,
რათა მე თუ არა,მოიმკას ჩემმა მომავალმა,
სიკეთის თესვის პროცესში
თავს ბედნიერად რომ ვგრძნობ,
საამაყოდ და ორთავ სოფელსა შინ
თავის დასამკვიდრებლად, ესეც მეყოფა.

***
მე,როგორც ადამიანი,ვარ წილადი,
რომლის მრიცხველია,ჩემი სინამდვილე,
ანუ რაც ნამდვილად ვარ,
მნიშვნელი კი რა წარმოადგენაც მაქვს საკუთარ თავზე
და რადგან მრიცხველს ვერ შევცვლი,
წილადი ერთს და თავი ადამიანობას
რომ მივუახლოვო,
თავს ყოველთვის ვითამდაბლებ...

სამშობლო

სამშობლო ჩემთვის ყველაფერია.
ხან პურია და ხან ხაჭაპური.
ხან დედაჩემის იავნანაა,
ხან კიდევ მისი ცივი სხეული.

მარხვაში პური მაძღებს-მანაყრებს,
გამოიმარხვებს?-ხაჭაპური ხდება ნუგბარი.
ძილის წინ დედის ნანინად ვისმენ,
როცა სიცხე მაქვს,ცივი სხეულით ვიგდებ ამ სიცხეს.

სამშობლო მზეა,სულ რომ კაშკაშებს,
არასოდეს რომ არა მწყინდება.
რაც უნდა დამწვას,დამფუტკრ-დამდაგოს,
მისი სითბო რომ სულ მომწყურდება!

შეჩერებული დრო

შეჩერებული დრო და
შეჩერებული წამი.
ცხოვრება უსახური,
თავ-ბედი ნაწყევარი.

სული ტკივილით მთვრალი,
გული კი ნაორგული.
დიახ ასეთი არის
სიცოცხლე გიჟი ქალის!

მზე, მე და ვარდები

კაშკაშებს,ბრდღვიალებს მზე.
ვიწვი და ვიხარშები მე.
ვარდები თვალებს ჭყიტავენ
და მახარ-მაბედნიერებენ!

მიდიან.მიდიან.მიდიან.
მიდიან და ტკბილ-მწარე
მოგონებებს მიტოვებენ და
სულს მიფორიაქებენ.

ღამეა,მხოლოდ ღამეა,
ჩემნაირები,არგათენების
იმედით რომ შევყურებთ,
მაგრამ ჯერ ვერ მივაღწიეთ.

მიდიან.წლები მიდიან.
იმედები და ოცნებები
მას თან მიჰყვებიან და
ჩვენ უნუგეშოდ გვტოვებენ!

იწვის და იღვენთება სანთლები.
ტვინის უჯრედები კვდებიან,
მაგრამ ვერაფერსაც ვერ შევცვლით,
რადგან ჩვენი ბედი ასეთია!

ცხრათვალა მზე

ამ ცხრათვალა მზემ,
ვით კიბორჩხალამ
ცხრავე მარწუხი,
ცხრას შემომხვია
მისი ცხრა სხივი
და კი არ დამწვა,
ცოცხლად შემწვა და,
ვითარც მაყალზე
ღორისა მწვადი
და როგორც ამ მწვადს
ქონისა ცრემლი,
ისე მადინა
ოფლის ღვარცოფი!

მაია ქასრაშვილი-რამიშვილი

ლექსად დაწერილს

ლექსად დაწერილს სიმღერად გიმღერებ,
ლამაზ ფერებში დავხატავ სიყვარულს,
გულს მოგცემ, სულს კი ჰაერში გაუშვებ,
რომ წვიმის წვეთებად დაეცეს მიწაზე.
თვალებში ჩამხედე, თვალები გეტყვიან,
თუ როგორ მიყვარდი, მიყვარდი ძალიან,
მერე რა მოხდა დრომ წლები წაიღო,
სიყვარული კი დარჩა ფიქრებად.

ცხოვრების ბილიკებს

მივალ მიუყვები ცხოვრების ბილიკებს,
წვიმს, თვალებს კი სევდა შემორჩენია,
გული ფეთქავს სული ბობოქრობს,
რას იზავ, სხვა გზა არ დამრჩენია.
გავყურებ ნაპირს მინდა გავცურო,
მარტო დარჩენილს ვიკრიბავ ძალას,
უფალო ღმერთო შემაძლებინე,
ხელი ჩამკიდე რომ შევძლო გასვლა.

გაიღიმე

გაიღიმე თორემ ეს ცხოვრება შეგშლის,
გაიღიმე სანამ შენი გული ფეთქავს,
გაღიმება მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია,
შენი სულის განკურნება მხოლოდ.
გაიღიმე ჩემთვის, შენთვის, სხვისთვის,
სანამ კიდევ სიყვარული მეფობს,
გაიღიმე ჩემო გულის ფეთქვა,
რადგან ეგ ღიმილი შველის ირგვლივ ყველას.
გაიღიმე და გაშალე ფრთები,
გაიღიმე არ შეწყვიტო ფრენა,
სანამ კიდევ სიყვარული მეფობს,
იფრინე და თან განკურნე ყველა.

სულის სევდა

სევდა მიეჩვია ფიქრებს,
ცრემლი მომადინა თვალზე,
რატომ შემაჩვიე ფიქრებს,
რატომ შემაჩვიე დარდებს,
ისე მომეჩვია ღამეც,
მარტოობასა და ფიქრში,
რატომ გამიმეტე ასე,
ღამის მონატრების ფიქრში.
ვიცი ვეღარ მოვალ შენთან,
ვიცი ვეღარაფერს შევცვლი,
ღამემ შემაყვარა შენზე,
ლოცვა, ოცნება და ფიქრი.
გავა, გაიქროლებს წლები,
ისევ ცამოწვება ნისლი,
ისევ დაღამდება ვიცი,
და მეც დავილევი ფიქრში.

ჩემი ჩიტი

ყოველ დილით სადღაც შორიდან,
ჩემს სარკმელთან მოფრინავს ჩიტი,
მე მის თვალებში ამოვიკითხე,
დიდი სევდა და დიდი ტკივილი.
ნეტავ რა სტკივა,
 რას ფორიაქობს,
რა სტანჯავს ასე,
ალბათ სამშობლო ენატრება და ეძებს
საშველს,
მე ის ჩიტუნა შემიყვარდა და შევეჩვიე,
ყოველ დილით ველოდები მის გამოჩენას,
მაგრამ მასინებს ცუდი ფიქრი ჩემს ჩიტუნაზე,
ვიცი რომ ერთ დღეს ჩემი ჩიტუნა,
ჩემს სარკმელთან რომ აღარ მოვა.

მონატრება

გულის არეში მე მესმის სუნთქვა,
სუნთქვაა ნატვრის, შორეულ ლანდის,
ისევ ქარია ძლიერი ქარი,
წვიმა და ქარი, ფიქრი და დარდი.
გულის არეში მე მესმის სუნთქვა,
სუნთქვა ფიქრის და მონატრების,
ფიქრები ისე დაჰქრიან ყველგან,
მათ არ აშინებს წვიმა და ქარი.
გული კი ფეთქავს ლოდინით, დარდით,
ლოცულობს მალე დაბრუნდეს სახლში,
როცა სუნთქვა ბრუნდება სახლში,
გულიც წყნარდება,
რადგანაც სუნთქვა დაბრუნდა სახლში.

ჩემს ტყიბულს

იმერეთის ტყის გულში არის ერთი ქალაქი,
ტყის გულია ლამაზი, ჩემი ტყიბულ ქალაქი,
ნაქერალა დასცქერის, ლოცავს ჩვენი ცხრაჯვარი,
თბილ გულაა ლამაზი, სიყვარულის ქალაქი.
ჩემი ტკბილი აკვანი აქ დაირწა პირველად,
ჩემმა ტკბილმა დედიკომ იავნანა მიმღერა,
აქ მასწავლეს პირველად დედა ენა ქართული,
სიყვარული წრფელი და მეგობრობა ნამდვილი.
ჩემი გოგო ბიჭები უკვე თმაჭაღარები,
უდარდელი ბავშვობა მოგონებად ქცეული,
სიყვარულის ქალაქი ოცნებებად ქცეულა,
ჩემი ტყიბულ ქალაქი სიზმრად გადაქცეულა.
შენ სულ სხვა ხარ იცოდე,
ტყის გული ხარ ნამდვილი,
ჩემი სანატრელი და
გულში ხატად ჩარგული.

მე მოვალ შენამდე

მე მოვალ შენამდე და გეტყვი ყველაფერს,
გეტყვი ყველაფერს რაც მქონდა სათქმელი,
სიყვარულს გაგიმხელ ამ წლების ნატარებს,
ნატარებს გულით, რაც მქონდა სათქმელი.
მინდორში წაგიყვან დაგიკრეფ ყვავილებს,
გარითმულ ლექსებსაც სიმღერით გიმღერებ,
ხელში აგიყვან და ისე გატერებ,
ცის კიდით კიდემდე არც დავიღლები.
ავაციმციმებ ცას კიდით კიდემდე,
ვარსკვლავებს დაგაბნევ ყელზე მძივებად,
გულში ჩაგიკრავ და ისე გატარებ,
მთელი ცხოვრება ვფიცავ ღირსებას.

სიყვარულის აკორდი

დო-ქით წყაროდან წყალს მოგიტან დაგალევინებ,
რე-კავს ჩემს გულში სიყვარულის ზარები,
მი-ყვარხარ მინდა რომ გითხრა ჩემებურად,
ფა-რ ხმალი ავლესო, შემოვკრა ზარები.
სოლ-ო მიმღერე სევდა მომერია,
ლა-მაზი სიმღერით, ლამაზი ჰანგებით,
სი-ყვარულს გაუმარჯოს, ის ერთადერთია,
აღმერთეთ, გიყვარდეთ, მოხვიეთ ხელები.

ჩემს ნათიას

მადლობა ღმერთს რომ გაჩნდი
ამ ქვეყნად,
მე მაგრძნობინე შენი დედობა,
ჩემი გოგო ხარ ამონათება,
ჩემი ნათია, ჩემი ხატება.
გული ვერ იტევს ამ დიდ სიხარულს,
შენა ხარ ჩემი სულის სამყარო,
დილის მზეც, მთვარეც და ვარსკვლავები,
დღედაღამ რომ ანათებს და მათბობს.
დედის გული ხარ ჩემო სიცოცხლე,
დედის წმინდა წყარო ანკარა,
დედის სამყაროს წმინდა სანთელი,
და სალოცავი ჩემი პატარა.
დედი გილოცავ დაბადების დღეს,
მადლობა რომ გაჩნდი ჩემთვის
ამ ქვეყნად,
შენა ხარ დედის ვარდი პატარა,
ჩემი ნათია "ჯნოპჯა" პატარა.
მადლობა უფალს ქვეყნად მარგუნა
შენი დედობა,
მადლობა შვილო ჩემო პატარავ,
მე შენ გისურვებ რომ უსასრულოდ,
ღმერთმა დაგლოცოს ჩემო პატარა.

თეთრო თოლია

ზღვას მოცქერალო თეთრო თოლია,
ნეტავ რა ნატვრა გაქვს ახლა,
მოდი მოფრინდი, ჩემთან მოფრინდი,
და ამაფრინე ცაში სულ მაღლა, მაღლა.
გადამაფრინე ჩემს სამშობლოში,
გთხოვ ამისრულე ნატვრა,
მოდი გიამბო ჩემი ფიქრებიც,
იქნებ დამთანხმდე მართლა.
გთხოვ დამეხმარე ჩემო თოლია,
თორემ დამლია დარდმა,
მოდი მოგხვიო ხელები მაგრად,
მეც ამაფრინე, სულ მაღლა, მაღლა.
ჩემო თოლია, თეთრო თოლია,
გთხოვ ამისრულე ეს ერთი ნატვრა,
გადამაფრინე ჩემს სამშობლოში,
მოდი მოფრინდი ჩქარა.

სიყვარულს ვეკითხები

სიყვარულს დავეძებ და ვეკითხები,
რას ეძებ ჩემს გულში?
სულ რატომ მაკლიხარ, სულ რატომ მჭირდები.
რას ეძებ ჩემს გულში, შენ გეკითხები?
გულში ქარივით რომ შემოფრინდები.
სიყვარულს ვეკითხები, რა თამაშს თამაშობ,
მითხარი ვიცოდ, რა სიტყვებს მპირდები,
ჩემი ფიქრები სულ რატომ დაგეძებს,
სულ რატომ დაგეძებს, სულ რატომ მჭირდები.
სიყვარულს დავეძებ და ვეკითხები,
რა თამაშს თამაშობ, მეც არ მეკითხები,
თითქოს და ბავშვივით სულ მებუტები,
სადა ხარ მითხარი,
სულ რატომ დაგეძებ,
სულ რატომ მჭირდები.

ჩემო სამშობლო

ჩემს სულს შენი მონატრება დაღად დატყობია,
ჩემო სამშობლოვ, შენი შვილის, შენი ყვავილის,
ჩემი ტკივილი უცხოეთის მთებსაც რომ ესმის,
შენი შვილი სხვის მიწაზე ემიგრანტად წოდებული.
რამდენი შვილი გადახვეწილი უცხო მიწაზე,
შენ შემოგნატრის ჩემო ტკბილო, ჩემო სამშობლო,
შენი ფესვები ჩვენს გულებში გადმონერგილი,
ყველას უყვარხარ, სულზე ტკბილო, ჩემო სამშობლო.
მაგრამ ვერ თქმული ემიგრანტისთვის გულში მარხული,
შენი ძარღვებით აქაც ვცოცხლობთ უცხო მიწაზე,
შენს მიწას მოწყვეტილი ყვავილის ფურცლები,
სხვის მიწაზე ცოცხალ მკვდარი დავიარებით.
შენს თავს ვფიცავართ ჩემო სამშობლო არ მიგატოვებთ,
შენს თავს ვფიცავართ,გულით სიყვარულს შენსას ვატარებთ.
შენს თავს ვფიცავართ, ჩვენ ვართ შვილები შენი ერთგული,
შენს თავს ვფიცავართ, როს დავბრუნდებით,
ხელებ გაშლილი გულში ძლიერ ჩაგეხუტებით.

მარინა დიერაშვილი

ნ ა თ ლ ო ბ ა

თუ კიდევ ერთი უნდა გახდეს ქრისტეს მხედარი,
მოინათლოს მოუნათლავი,
არ უწერია საქრთველოს გადაშენება,
არ არსებობს წინასწარი ბედის მწერალი,
ადამიანის განმკითხველი მხოლოდ ღმერთია!
და თითოული ჩვენთაგანი თვითონვე ირჩევს,
ღმერთს ემუშაკოს თუ ერჩივნოს ამქვეყნიური,
ის, რაც აქ არის.... და დაივიწყოს
სული უკვდავი, ღმერთთან მყოფი,მარადიული...
ხორცი კი- ხრწნადია და წარმავალი, ამქვეყნიური.
არ დავივიწყოთ, არ დავივიწყოთ სული უკვდავი, მარადიული!

ნათლობისას კი, რწმენის მარცვალს ჩვენ ვთესავთ ახალს
და შევუდგებით ღვთისკენ მავალ მისასვლელ გზას, რთულს და ეკლიანს,
განსაცდელებსაც გამოვივლით, ქარტეხილებსაც და ვივლით ისე..
წმიდა მამები, როგორც გვეტყვიან....
იმათ ხომ ის გზა გ ა ი ა რ ე ს, რასაც ვადგავართ,
შეცდომების აღარ გვინდა გამეორება...
ყველა კითხვა დასვეს, პასუხიც გასცეს...
გ ა მ ო ვ ი ძ ი ო თ, რაც ყოველთვის გვემახსოვრება!

მონათვლით კი არ ასრულდა სულ ყველაფერი,
ამით იწყება ადამიანის ცხოვრებაში რაღაც ახალი...
რწმენა კი უნდა გ ა მ ო ზ ა რ დ ო შენც გაიზარდო,
არ არსებობს სხვა უკეთესი გამოსავალი!
ურწმუნოება უნაყოფო ხესავით არის.
მორწმუნის ყოფა კი მიაგავს ნაყოფს სასურველს, ვიცხოვროთ ისე,

ღმერთის მცნებებს რომ ვასრულებდეთ...
რა მოელის მას, ვინც უფლის ნებას არ აასრულებს...

ბედნიერება, სიხარული და სიყვარული

ბედნიერება თვითონ არ მოდის
ბედნიერება- ეს ხომ ჩვენშია,
მას ხომ ხელითაც ვერ შეეხები,
მას გრძნობ და ფიქრობ კიდევ შეხვდები.

არც სიხარული დაგენახვება,
შენს გულში ისე შემოსახლდება,
თუ კი ღირსი ხარ შენი ცხოვრებით,
სიხარულს მუდამ ემახსოვრები.

სიყვარული კი – შესაძენია,
სიყვარულს მუდამ კვება სჭირდება,
სიყვარული ხომ გასაზრდელია,
სიყვარული ხომ არ გვავიწყდება.

უნდა გვიყვარდეს ღმერთი, მოყვასი
და მტერს კი, თუ კი ვერ შეიყვარებ,
მისთვის ილოცე, მას გულს გაუთბობ,
ყველა გიყვარდეს, ნუ შეიძულებ.

...და სიყვარულის მოციქულიც ხომ,
სიცოცხლის ბოლოს, მას ქადაგებდა
რომ ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს
და ამ სიყვარულს ღმერთთან მივყავდეთ!

თამრო ნიჟარაძე

მფრინავი ანგელოზები

დაუღალავო ლომებო,
წარმატებებით იარეთ,
თქვენ ასახელებთ სამშობლოს,
და მომიშუშებთ იარებს.
მუშტად შეკარით ქართველნი,
შემოიბრუნეთ დიდება,
მე აქ, აგინთეთ სანთელი
და საქართველო ბრწყინდება.

* * *

ჩამიფრინა თვითფრინავმა თვალწინ,
საით მიქრის ან ვინა ყავს მგზავრი,
განვლილ დრომ კი ისე ჩაიცინა,
გამახსენა ტკივილებით ჯავრი.
მაინც სივრცეს თვალი გავაყოლე,
დავაბარე მოკითხვები ბევრი,
თვალის ცრემლი გულს თან დავაყოლე,
ვუთხარი რომ ვარ დარდების წევრი.
ემიგრანტი ვტირი უხმოდ სადღაც,
სხვის მიწაზე დავაბიჯებ წლობით,
გულს შევატყვე დღეს ძალინ დაღლა,
ვესაუბრე ფიქრსაც კეთილშობილს.
საქართველოს გაუგზავნე კოცნა,
შევპირდი რომ დავბრუნდები მალე,
დაჭირდება მას ცოტახნით მოცდა,
გავისტუმრებ სიყვარულის ვალებს.

ნაბოლარა შვილიშვილი

ბაბო ლოცავს დაბადებას,
ნოეს მოსვლას ქვეყანაზე,
ის იქნება ჭკვიანი და
არავის არ გააბრაზებს.
ხუთ შვილშვილს შორიდან მე,
ფიქრით ვუმღერ იავნანას,
მე აქ ვშორომობ ბებიკონა,
და სხვებს ვუვლი თქვენისთანას.
ბებო როგორ აბრიალებ,
ლამაზ დიდრონ
ჯიხვის თვალებს,
გენაცვალე ნაბოლარა,
ბე... შორიდან გითვალთვალებ.

ხშირად მეკითხებიან

საქართველოში
როდის მიდიხარო,
მეკითხებიან ხშირად...
ვჩუმდები...
არაფერს ვამბობ,
ვზივარ დარდების პირას.
მათმა არ იციან ჩემი გულის კვნესა,
რას განვიცდი და რამდენს ვტირი.
ვინ რას გაიგებს შენსას,
ემიგრანტის გმირი.



მადლობა უფალს

მე სიყვარული ძლიერი ვიცი
და პატიებაც ძლიერი მასწავლეს,
ნიღბით ცხოვრებას არ ვარ ჩვეული,
ღმერთო უნიღბო სახით მატარე....
ტყუილი და ღალატი ჩემგან შორს არის,
მეც განმარიდე ასეთ ხალხს ღმერთო,
დახმარების ხელს უფალი მიწვდის
მადლობა უფალს, ამ ყველაფრისთვის,
სხვისი სიხარული მუდამ მახარებს,
სხვისი ტკივილით მეც მტკივა გული,
მე კი ირგვლივ ვეღარ დავთვალე
ნიღბით შემკული ბოროტი სახე,
ბევრი დავკარგე ბევრმა დამკარგა,
გზა ფართოა და მისთვის იარონ.....
ამ ცხოვრებაში ბოროტი და კეთილი,
ძლივს გავარჩიე,.. გვიან.. მაგრამ,
მადლობა უფალო რომ დამანახე,
თუ წაიქეცი ტალახს გესვრიან, თუ წამოდექი,
ზურგს შეგაქცევენ, დრომ მიჩვენა მე ყველას სახე,
მადლობა უფალს რომ დაგინახეთ,
ჩემგან პასუხს ნუ ელოდებით,
უფალს მივანდობ მე თქვენ სიმართლეს!!!

ქალი

ქალს ნუ განიკითხავთ ნუ ესვრით ტალახს,
ქალის გაგება ძალიან ძნელია,
ქალი თუ გზააბნეული დადის,
თავშესაფარს ეძებს, ბოროტი სულისგან...
ნუ განიკითხავთ, კითხეთ რა უჭირს?
რად ტირის ის დღე დაღამე,
რად დაიარება გზააბნეული,
თვალცრემლიანი და მწუხარე,
მას დაეხმარეთ ნუ განიკითხავთ,
თავშესაფარს ეძებს, ბოროტი სულისგან,
ქალის გაკიცხვა ძალიან იოლია,
ქალის გაგება კი ძალიან ძნელი....
არავინ იცის მან რამდენჯერ ჯოჯოხეთი
გამოიარა შიშველი ფეხით,
ნუ განიკითხავ და ნუ გაკიცხავ,
ქალის გაგება ძალიან ძნელია,
ქალი ძლიერია ხანაც უძლური,
მაგრამ ქალის დამარცხება კი
ძალიან, ძნელია!!!

ესტუმრეთ სვანეთს

ესტუმრეთ სვანეთს
სტუმართმოყვარეს,
ჯიხვთ საუფლოს და
კოშკების სამეფოს,
უშგულის სილამაზე თვალს მოგტაცებთ,
მიდით შხარასთან,
იქ თეთნულდი და ამაყი უშბა
გულს გაგიხარებთ,
წმინდა ლამარიას ლოცვა და მადლი
გზას გაგინათებთ,
თამარის კოშკთან ჩამოისვენეთ,
უშგულს გადაავლეთ თვალი,
უშგული კოშკების სამეფოა
და მოსაყოლი აქვთ ძალიან ბევრი.
თუ ეს სილამაზე არ ნახე,
თუ არ გაესაუბრე ენგურს,
ლამარიასთან თუ არ ილოცე,
არ თქვა საქართველო ვნახე.

ვალია კვაშილავა

მე მგონია

მე მგონია უჩემობით ტირის ლექსი,
უჩემობით თვალს აკლდება სინათლე,
პოეზია არ დამინდობს,ალბათ შემშლის,
უნდა ითქვას დაფარული სიმართლე!

თუ უფალმა დაგვიბედა ერთად ყოფნა,
ულექსობით მეწვის სისხლის ყველა წვეთი,
მხოლოდ ლექსით შეიძლება ცეკვით რომ ვთქვა,
რას ჩამძახებს უფალი და ლექსის ღმერთი!

ლექსი არის სიყვარული,ძალა ღვთისა,
ვიდრე ჩემი აღსასრული დარეკავს,
სანამ გული სიყვარულით გაითიშა,
სანამ ლექსი საიქიოს წამლეკავს!

ჩემი ფიქრის გორა

წვიმამ ჩამორეცხა ჩემი ფიქრის გორა,
ნისლიც გაიკრიფა ჩუმად,
ისევ მიღიმიან ჩემი ტირიფები,
მაგრამ უშენობით დუმან...

გულში ქარიშხალი ისევ ამოვარდა,
ვეღარ მოვერიე ფიქრებს,
სულის სიზმარეთში მეხიც ჩამოვარდა,
თავი მოვუყარე რითმებს.

ისევ მივაკითხე ტირიფს ატირებულს,
სულს რომ მილოკავდა რტოთი,
ტანი აუყრია,როგორ გაზრდილია,
გულში ვიხუტებ და ვკოცნი!

წლები გაფრენილი ვეღარ დავიჭირე,
ვეღარ დავეწიე, გაქრა,
წყარო ტირიფებთან მსურდა მენახა და
ისიც უშენობით დაშრა!

დამრჩა უსასრულო შენი მონატრება,
შენი სიყვარული, სითბო,
ახლა ტირიფის ქვეშ მარტო ჩამოვჯექი,
სული გეძახის და გიხმობს.....

დაპატარავდა

დაპატარავდა სახნავ-სათესი,
არ შეუძლია,მოხუცდა მამა,
ხალხმა დაკარგა ადათი, წესი,
მაგრამ ყველას ხომ გვჭირდება ჭამა,

დაპატარავდა საცელი მიწა,
მამა,-პაპური მიაგდეს ცელი,
დრუჟბა ცელს ლესვა თუ არ ჭირდება,
საწვავის ყიდვა ხომაა ძნელი?

უფროსის სიტყვის პატივისცემა,
დავიწყებია სოფელშიც მავანს,
ასე ცხოვრება თუ გავაგრძელეთ,
ჩვენ უხამსობას მოვიმკით მრავალს!

ჩემო მამულო,ერო და ბერო,
განა ამისთვის თრთოდა დიდგორი?
ჭყინტი სიმინდი ვეღარ მოვხარშოთ,
დაცარიელეს ჯოგით მინდორი!

მოდით, გეძახით ,,მიწის ყივილი",
აცრემლებულა ბაღებში ნუში,
მშობელი მიწა დანაღვლიანდა,
ქართველებისთვის სახუტი გულში!

განთიადზე დაიბადა

განთიადზე დაიბადა,
სულ ახალი ლექსი,
მე ვიქნები ვარდით ხელში,
ახლა მისი მწყემსი!

ჯერ ჩვილი და პატარაა,
უყვარს დედის სითბო,
ვუალერსებ, ვეფერები,
თან ახალზე ვფიქრობ.....

ყველა ლექსს აქვს დაბადების,
თვე,თარიღი,წელი,
დაერქმევა დაწერისას,
თავისი სახელი...

ისე როგორც თვითეული,
მოვალთ ღმერთის ნებით,
ლექსიც ასე იბადება,
პოეტის დაწერით!

მიყვარს აგვისტო

მიყვარს აგვისტო მზიანი,
ბავშვით გავსილი ეზო,
და სითბოს თანაზიარი,
ეკა, ნუცა და რეზო,!

მიყვარხარ ჩემო მამულო,
მიყვარს ნიკა და მარო,
სიცოცხლის გამგრძელებელი
და ერი სათაყვანო!!.....

. *. *. * .

დავუბრუნდები იმ ძველ ნაპირებს,
სადაც გულს მტკენდა შენზე ფიქრები,
ედემის ბაღში გავინაპირებ,
უსასრულობის მსხვერპლი ვიქნები.

წარსული წარსულს მიემატება,
გულში მენთება მაინც ალები,
მე დავინახე სიბერის კართან,
კვლავ ცეცხლოვანი შენი თვალები!

თუ არ ჩამქრალა ის სიყვარული,
და თან დაგყვება შმაგი და ხელი,
კვლავ ძველებურად ჩამიკრავ გულში,,
გავინაპიროთ, მომეცი ხელი!

იქნებ მოხვედი რომ გამიმრთელო,
გული ათასგზის ნაიარები,
იქნებ მოაქრო გულში ხანძარი,
ვნებისგან მწვავდეს შენი თვალები!

ლ ე ქ ს ი

გადმოდის ლექსი,როგორც ჩანჩქერი,
ჩემი სულის და სისხლის დინება,
მიგზავნის ღმერთი,ქვეყნად გამჩენი,
შეუჩერებლად მოედინება!

ჩემი ტკივილის და სიხარულის,,
ხმამაღლა მთქმელი და განთიადი,
ვერ შეგელევი მუზავ,იმედო,
მოდი და მოდი, ამოფრთიანდი!

ფეხდაფეხ მდევდი ავდარში,დარში,
დღესაც უსიტყვოდ შენად მიგულე,
შენ მიმეგობრე ჯერ კიდევ ბავშვი,
საბნად იმედი წამოვიხურე!

და თუ ცხოვრება მაინც გამწირავს,
მზისკენ სწრაფვაში,როგორც,,იკაროსს",
ო, მირჩევნია ლექსებში ჩავქრე,
ლექსის ცუნამმა გადამიაროს!

ლია ალადაშვილი

სული არასდროს, არასდროს კვდება!

მარადიულად იცოცხლებს სული,
გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს,
მარადისობას შეუერთდება,
ვინც თავის მამულს კბილით დაიცავს!
არა და არა,არავინ კვდება,
სული ზეცაში უფალთან რჩება,
მისი მადლით და მისი წყალობით,
სული არასდროს, არასდროს კვდება!

* * *
ეს ღამეც ისევ შემომათენდა,
არ მტოვებს ფიქრი, ფიქრი წარსულის,
არ ფერმკრთალდება, უფრო მუქდება,
ფეხდაფეხ დამდევს არ აქვს სასრული.

ბედის ტრიალი ყოფილა ძნელი,
ქარებმა თავზე გადამიარა,
და შენ რომ არა, უფალო ჩემო,
ვერ გავუძლებდი სულის იარას.

თუთქოს გაყუჩდა ტკივილი გულის,
ვიარე ბევრი, ზღვებით ხან მთებით,
მაგრამ ვერაფრით სულს ვერ ვუწამლე,
მისმა ტკივილმა დამრია ხელი!

* * *
დროებით ღამევ... სიზმარო ტკბილო,
მსურს მზე ვიხილო პირმომცინარე,
სიზმარში თუკი რამე მინახავს....
ცხადში ამიხდა, ის რაც ვინატრე!

უფალო, ჩემო, რომ მინათებ გზას,
და შენი მადლი, მკვებავს მუდამდღე,
მძინარეს მუდამ ის დამასიზმრე,
რომ ვამარცხებდე მტერსა მძვინვარეს!

ტკივილო!

მხოლოდ ამას გთხოვ ტკივილო ჩემო,
ტკივილად ვიცი, ჩემს გულს შერჩები,
მაგრამ სათხოვარს მაინც შეგბედავ,
გზაზე ნუღარსად ნუღარ შემხვდები!

მუხას ნუ უთხრით ფესვებსა!

ვუყურებ გული მიკვდება,
ძმა- ძმას რად ებრძვის ქართველი?
დაფიქრდით მტერი ვინაა...
ბრძოლით ვინ არის ჯამრთელი?!

ერთურთსა წაჰკიდებიხართ,
უცხოსის გულსა ახარებთ,
ტოტს იჭრით, რაზედაც ზიხართ,
მტერიც იმიტომ ხარხარებს.

არასდროს უმტროთ ერთმანეთს,
მუხას ნუ უთხრით ფესვებსა,
დაქსაქსულსა და უძლურსა,
აღარ მოგიძღვნით ლექსებსა.

* * *
თვალს ძილი არ ეკარება,
მუდამ ვარ ფიქრში გართული,
ფიქრები მარტოს არა მტოვებს,
ერთურთს ვართ გადაჯაჭვული.

.ერთად სად აღარ ვიარეთ,
შორსაც ვიყავი წასული,
ვერაფრით ჩამოვიცილე,
ფიქრებს არა აქვს სასრული !

* * *
გთხოვ მიმასპინძლო ღრუბელო ცაში,
გადამახვიო თეთრ სამოსელში,
ნეტავ არასდროს აღარ გაწვიმდე,
გამარჯვებული ვინ არის ომში?

ღრუბელო, თეთრად კი ვართ მოსილნი,
ვინ ტირის ნეტავ აქედან ორში?
ვიკმაროთ ცრემლი აღარ დაგვცვივდეს,
ნურც ჩავებმებით ნურასდროს ომში!

გიყვარდეს მოყვასი

მუდამ გიყვარდეს მოყვასი
ჭირშიც დაუდექ გვერდშია
დროშა ზეცამდე აწიე,
მამულს უყურე ერთიანს.

მიდიან!

მიდიან,სწრაფად ეს დღენი,
ბაღში ჭკნებიან ვარდები,
გავლენ წლები და ჩვენც ყველა,
მჭკნარ ვარდებს დავემგვანებით.

სანამ ვართ წუთისოფელში,
გვწამდეს უფლისა, სამების,
სიბოროტეს და სიავეს,
რას გამოვრჩებით არ მესმის!

ვადიდოთ ჩვენი ქვეყანა,
მისი გმირების სახელი,
და ჩვენს მიწაზე ხარობდეს,
მუდამ ია და ვარდები!

* * *

ნეტავ სად გაქრნენ ვარსკვლავნი,
რატომ არ სხედან ცაზედა?
არ ბრწყინდებიან არ სჩანან,
გამკვირვებია ძალზედა.
ადრე ცა იყო ისეთი,
მორჭმული ვარსკვლავთ ჯარითა,
აფერადებდნენ შავ ღამეს,
ვხარობდი ხილვით მათითა.
ცას შევცქერ,თვალთ ბინდი მეკვრის,
გული საგულეს აღარ მაქვს,
ღამის ცა აღარ ლამაზობს,
მთვარეც იმალვის აღარ სჩანს!
ახლა ვზივარ და გავცქერი,
ამ ღამეს უვარსკვლავოსა,
რას ვიზავ, დაველოდები,
ვგევარ კაცს უფარხმალოსა.
უფალო, შენ დაგვიფარე,
ბნელი ცა აბა რად მინდა,
დილით, მზევ, ცა გამინათე,
დარდი არ მქონდეს ღამისა!

ქარი დაქრის!

ქარი დაქრის ჰოდა, ძილსაც რას დამაცდის,
გულს მიწუხებს მისი ფრთების შარი-შური,
რად ძალაობ ქარო, ასე გამეტებით,
მტრობა რატომ ჩაგიდვია ნეტავ გულში?

შენს თვალებში მოსჩანს დიდი სიძულვილი,
გიღირს ეს კი? რად ბობოქრბ ან ვის ებრძვი?
შენც დამშვიდდი ნუ ჩამძირავ სევდის ფიქრში,
დარდის რქებით მეტაკები როგორც ვერძი!

უფალო!

ღმერთმა ისმინა ვედრება...
რომ ვუთხარ ჩემი ამბავი,
მანუგეშა, გულს ჩამიკრა,
მითხრა რომ ვიყო ალალი.

მუდამ ვცხოვრობდი ალალად,
მხოლოდ შენ მყვდი პატრონი,
ვიარე სად არ ვიარე,
ჩემს დარდს სიმღერით ვათრობდი

ბოროტსა, ეშმაკს გვერდს ვუვლი,
არ მინდა მათი სალამიც,
გზას მივდევ მართალს,თან ვშრომობ,
ლუკმა შემერგოს ალალი.

გლახასა გულში ჩავიკრავ,
მდიდართან არც მაქვს სავალი,
სულის სიმაღლით იცნობა,
კაცი, მშრომელი ალალი.

არ მინდა ოქრო და ვერცხლი,
თვალ-მარგალიტი რად მინდა,
ლექსია ჩემი სიმდიდრე,
სიმღერა, ჩემი ნანინა.

ვინც მიყვარს

მე შენ მიყვარხარ ყველა შენი მიეთ-მოეთით...
ისე მიგიღე, როგორიც ხარ და ჩემი გქვია.
მადლობელი ვარ ჩემი ბედის, ერთად მოვედით
ერთ ეპოქაში, არც ადრე და არც ცოტა გვიან.
მე შენ მიყვარხარ, ყველა ნაკლით, ყველა ღირსებით,
წლები მიდის და მე ამ გრძნობით უფრო ვივსები,
და როცა წავალ, შემირევენ უცხო ნისლები
თუ მეყვარები, არ მოვკვდები, გარდავიცვლები.

ადამიანო!

სტუმრად მოსულო სოფელსა,
ხალიჩას გზად ვინ დაგიფენს?
იშრომე, შენი მარჯვენით...
დაგლოცავს ქვეყნის გამრიგე.
დრო მიდის, დრო არ დაკარგო,
ბედი კარს ყველას არ უღებს,
მიჰყევი უფლისა მცნებას,
გულსა უფალი გაგიღებს.
ადამიანო, სტუმარო,
მოსულო ამ ქვეყანასა,
გმირი იყავი მამულის,
ნუ, მიეცემი სევდასა!

შვილიშვილს

აი მოხვედი, ამ სამყაროს უკვე შეეხე,
და გაამდიდრე შენი ჯიში, შენი გვარის ხე
უმანკო თვალით შემომხედე, "ბებო, როგორ ხარ..."
მე რაღა მომკლავს, შენ მოხვედი, ახლა კარგად ვარ.
საოცრება ხარ, რა ბურთუკა და რა ჯანმრთელი,
ჯვარი გწერია, გაიზარდე კარგი ქართველი.
ამრავლოს ღმერთმა შენისთანა ლომის ბოკვრები,
რომ არვინ იყოს ჩვენი ქვეყნის მძლე და მომრევი.

სიყვარულს

გემოთ გაუჩნდი ჩემს რითმებს
ლექსი გყვირის და ვერ გითმენს.
ფიქრები ჰგვანან ა, იმ ცას
ბოლო არ უჩანს ლექსად თქმას.
თვალს ვხუჭავ, გიქრი ბობოქრობს,
სულში ვაგრობებ საღ ოქროს.
შაქრდება, ტკბება ყოველ დღე
მიმყვება ვიცი ბოლომდე.
ცის აქეთ მომწონს სიცოცხლე,
არ მეყო ჯერ, რაც ვიცოცხლე
ცის იქით თუა ედემი
ოდესმე მოვალ, შეგხვდები.
მომწონს მე დედამიწაზე,
აქ შეგხვდი, გიცან, გიწამე.
როს არ ვიქნები, წავალ ცად
სულში ჩაგტოვებ, წახვალ სად.

მას...

გაჰყვა სიშორეს მზერა
ჩაქრა სიცოცხლე შენი.
ვერ მოვივონე მე სხვა...
ლექსს ვწერ და ლექსი მშველის
გადადღაბნილი ზეცა
მე ჩემებურად ვხატე,
სულში ჩავტოვე მზე და
გაღიმებული სახე.
ბორგავს, ბობოქრობს მიდის
საწუთრო, ჩემი წილი.
ლექსს და ფიქრს შორის ხიდი
ვცფილობ, არ იყოს მწირი.
ჩემს ხასიათებს ბაძსვს,
მგავს, რა თქმა უნდა ლექსი,
არ გადაუხვევს სხვა გზას
ჩემი ფიქრები ესმის.
გადადღაბნილი ზეცა
ფერად ფერებში ვხატე.
სულს დავახატე მზე და
გაღიმებული სახე.

დაკეტილ სახლთა სევდა

სახლის პატრონი სად არის
ჟანგი რადა სჭამს ჟიშკარს
ეზო სამოთხის სადარი
რად გადუვსია ჭინჭარს.
სად არის ვაზის მტევნები,
ჭის სახელური რად დუმს.
სახლ-კარი გამოკეტილი
კაცის არყოფნას რად სწუხს.
ეზო სამოთხის სადარი
რად გადუვსია ჭინჭარს.
სახლის პატტონი სად არის
რატომ არ აღებს ჭიშკარს.

მოხდება ხოლმე

მოხდება ხოლმე, სულს ვეღარ ვითბობ
ორომტრიალი ჩამითრევს და შენ
არ მახსენდები, ვივიწყებ თითქოს
უამრავ ნაგროვს, ნაფიქრალს, ნაშენს.
მერე ვანებებ ყველაფერს თავს და
შევიხიზნები ჩემს მესთან, შენთან,
მოვყვები ფიქრით ქარონის ნავს და
ბეწვის ხიდზედაც გავდივართ ერთად.

მოვედი...

როგორ ხარ, ცაო, როგორ ხარ...
რა იუო, რატომ მიკვირვე.
შენც ხომ ასე ხარ, ხანდახან
ჩაიდენ საწმეს, საკვირველს.
მეც არ ვიცოდი, გნახავდი
ღმერთმა ინება ასეო.
ფიქრში რომ მჭირდა სახადი
ლექსებადა ვწერ მასზეო.
ჰო, და...ლექსებმა ჰპოვა გზა
ხედქვ? მის გამო შენთან ვარ.
მინდოდა მეთქვა კიდევ სხვა...
გამოგიზოგავ, გეტყვი ხვალ.

თიბათვე კორბოულში

ცელს ძმა მამასავით იქნებს
შხუის ძველებურად იგი,
ნაცნობი ხედია, ისევ...
გაჩნდა ჩაცელილის რიგი.
ზევით კი ბავშვობის ცაა,
ფიქრიც მისებურად მღერის,
ჰო, და...მგონია საცაა
ცელს აუფრინდება მწყერი.
და, ძმაც, მამის მსგავსად, მზერას
ბოლომდე მიაყოლებს მეყერს.
თავს ზევიყ მიყიმი მზე, რას?
აწმყო ლექსს წარსულიდან წერს.
ძმის დემდეგ მოცელავს ვაჩე,
მის დემდეგ იქნება სხვა.
ვლოცავ ამ ედემის გამჩენს,
მიყვარს აქ ბალახიც და ქვაც.

იცი?

კიდევ უამრავს ვიტყვი,
კიდევ უამრქვს დავწერ,
მეყო რაც ვიყავ უტყვი
შარშან, მის უკან, ამ წელს.
დავწერ, მიყვარხარ როგორ,
შენ კი არ გესმის ჩემი,
შორს მყოფი ჰგავხარ კოცონს,
ვიწვი და ვერა ვთბები.
გაბნევ რითმებად ლექსში,
ხშირად მიტირის იგი,
ზოგჯერ თუ მოჰგავს შეშლილს,
ზოგჯერაცაა მშვიდი.
ლექსში სულ შენზე ვწერე
გაგიწილადე ფიქრში.
იცი? მე მოვკვდი ერთხელ
მერე თავიდან ვიშვი.

თუ მკითხავ

თუ მკითხავ: "რა გიკვირს?.." ვერ გეტყვი: "არც არა".
გეტყვი, რომ მირკანმა მიმტრო და დამნაცრა.
ლაღი და სულმთელი მატირა, გამლახა,
რა იყო სიკვდილი, თვსლნათლივვ მანახა.
მეგონა დამყავრდა, სიცილი მომიკვდა
და ზურგზე ცხოვრებამ, სიმძიმე მომკიდა.
ლურჯი ცა რრუბლებიყ გაივსო, გაბაცდა,
რომ ფეხზე დადგომის არ მქონდა არც ძალა.
მეგონა დამთავრდა, დამტოვეს მუზებმა,
დარდი ყუ რაც იყო, ამკიდეს ზურგზედა.
გამოცდა მომიწყო ბედმა ყუ განგებამ...
ორი გზა მრჩებოდა, მოგება, წაგება.
ყუ მკითხავ: "რა გიკვირს", ვერ გეტყვი: "არც არა",
გამოცდა გრძელდება, დრო იქნებ არც კმარა.
ჯერ კიდევ მაკვირვებს ბევრი რამ, მთავარი?
თუკი არ გიყვარს და...სიცოცხლე რა არი?

*

სად არ მოგძებნე, გიპოვე ვერსად,
უმისამართოდ წასულხარ სადღაც.
არც შენ არ იცი დავდივარ მე სად...
მინდოდა მეთქვა ამბავი რაღაც.
რადგან არა ხარ, ამ ფიქრს ამ სათქმელს
უმისამართოდ გავგზავნი, რა ვქნა.
"კარგი გამგონე უნდა კარგად მთქმელს",
ფიქრებით ვწვდები მიწიდან სხვა ცას.
არ მომეწყინა მე ხეტიალი,
გატკბილდა უფრო წუთისოფელი,
ვერც დარდი მოვკალ ოხერტიალი,
ვერც გავხდი შენი უარმყოფელი.
რაც უნდა მეთქვა ის დამავიწყდა,
იცი? მიყვარხარ ასე ხმამაღლა.
ხშირად ვერ მიტევს ეს დედამიწა
ვარ მერე თავზეც და ცაზეც მაღლა.

ცას ვთხოვე

ცას ვთხოვე ჯანყი გადეძრო
ცოტა ხნით გაემზიანა
გამოჩენოდა დარდებს ძრო,
აღარ მტკენოდა მე, არა.
გადიძრო, გამისარკვევდა,
მითხრა: "შეხედე შენს თავსო".
უძირო იყო სარკე და
ვხედავდი მარტოს იქ ქალსო.
ოღონდ სხვა იყო, უცნობი,
გადაბელილი დარდებით,
მე კი მას ლაღსა ვიცნობდი
პირზე ღიმილის ვარდებით.
შევშინდი, ჩემს თავს ვუთხარი:
"იმღერე, ჩუმად ნუ ხავი".
დავანთე ფიქრის ბუხარი,
დავწვი ის დარდი, მწუხარი.

ირინა ბერიანიძე

დილა

*

დილით როცა ავდგები,
ლოცვას ვიწყებ თავიდან,
გავიხსენებ ჩემს შვილს რომ,
ნაადრევად წავიდა.
მერე ვლოცავ ცოცხლებსაც
და მეც ვიწვი სანთლებთან,
ჩემი ფიქრი ლოცვის დროს,
უფლით გამონათელდა.
გონი მიწვდა ამერს და
გონი სად არ გაფრინდა,
სიყვარულით ვიცოცხლებ
სხვა სიცოცხლე არც მინდა.

ლენა კაპანაძეს

სამართლიანი იყავი მუდამ,
თანამდებობამ
 არ მოგცა შიში,
ვაფასებ კარგო შენ შემართებას
სიცოცხლის ფასი იცი.
არ გიცხოვრია
სხვისი კარნახით,
ხალხის დამცველად იშვი,
არ გეშინია წვიმის- ძანძახის,
სიმართლისათვის იბრძვი
ხალხის ტკივილი ძალიან გტკივა,
გვერდში უდგიხარ ყველას,
მთავარი არის იყოს მართალი,
დაიწყებ იმ წამს შველას.
შენ კედელი ხარ საქართველოსი,
ჩემთვის მზე ხარ და მთვარე,
ვამაყობ შენით ჩემო ქალღმერთო,
სიმართლით გამახარებ!

ნატვრა

ვნატრულობ შენსავით რომ ვფლობდე მაგ ფუნჯებსს,
მოლბორტზე ვაზავო ფერები,
ვხატო უსასრულოდ მზე მთვარე და ...
დუმილით რომ ეფერები.
მუდამ შევიგრძნობდე მეც აღმაფრენას,
ცის და დედამიწის სამყაროს,
ვხატავდი ყველაფერს უსასრულოდ,
დარდი ბედისწერამ მაკმაროს!

ოჯახის სიწმინდე

არ წაიშლება რუკაზე საქართველო და ერი,
ღვთისმშობლის ხელსმით ყოფილა ჩვენი არსი და ბერი.
ვერას დაგვაკლებს გადამთიელი,თუ ოჯახია წრფელი,
თუმც ბევრს სწადია სიკვდილი,გადაშენება ჩვენი.
მხოლოდ ერთობა გვაკლია,ღმერთო მოგვმადლე ხელი,
ჭკუა გონებით აგვავსე,თანაც გვაშორე მტერი!

ჩემს მაიკოს

მეამაყები და შენით ვხარობ,
იმედის სანთელს გინთებ,
შენი გულისთვის დარდსაც არ ვკარობ,
ტკივილებს შენით ვითბენ.
დაბადების დღე იჩქარე დედი
რვა თვის გამიჩნდი შვილო,
სიცოცხლე უნდა გამიხანგძლივო,
ჩემო თაფლივით ტკბილო.
პატარა იყავ ცელქი ძალიან,
ახლა ხარ შვილო მშვიდი,
შენზე ამბობენ კარგი ქალია,
ყველას აქვს შენი რიდი.
კეთილშობილო მრავალჟამიერ,
გამიფერადე წლები,
შვილო და შვილიშვილებო,
თქვენი სიკარგით ვტკბები!

მეთევზე

*

ტბასთან ერთად საიდუმლოს მალავ,
ელოდები თევზი
                  როდის მოვა,
წვიმაშიდაც ფიქრებს იმედს ძალავ,
ებრძილები
          ბედისწერის თოვას.
მედიდურად ელოდები ტალღას,
და უყურებ წყლის ბუყბუყს და ტრიალს,
შენ არ იცი თუ
რა არის დაღლა,
გაუძელი ბედის ორონტრიალს .

ბაზალეთზე

*

ბაზალათზე ყვავის მინდორ ველი,
სიმშვიდეა მზე ისვენებს მინდვრად,
მეც ჩემს გულში ღვთის გაზაფხულს ველი,
რადგან გულში თოვდა კიდეც წვიმდა.
ბევრის მომსწრეს თუმც ტბასა მოსდის ცრემლი,
ყრმის აკვანი აწვენია წყალში,
ისტორია ყვება დარდით წარსულს,
მეგობრებო მზეს დავწძებ ქარშიც.
ვერიდები ბოროტსა და ავსულს,
სიყვარულით გულს მსურს მივცე შვება,
მტკივა ისევ მეგობრებო მტკივა,
რადგან წყალი ცრემლით წარსულს ყვება

მარინა წიკლაურს

*. *. *

ბაზალეთმა დაიბნია შემოდგომის ბაბთა,
დარდი გაყვა
 სადღაც ნიავს,
მარი შენით დათბა.
ლამაზ ფერში მოფენილა,
ყვავილები წყებად,
ადრე ბევრჯერ მოვწყენილვარ,
ვერსად ვნახე შვება.
იომორით მინდა კარგო,
დარდი შევამცირო,
გულში უნდა დაგიქრგო,
ზოგჯერ გავიცინო.
მწვადის შეწვას მოუხდება,
წალამი და ბია,
ჩემო კარგო მარიკუნა,
შენ გული გაქვს ღია.
მასპინძლობას თამ მოყვება,
მეგობრობის ფიცი,
გულმა რადგან
 იგრძნო შვება,
გახდი დადნაფიცი!

მზის დაბნელება

ჭორად მახსოვს მიყვებოდნენ მზის და მთვარის ამბავს,
მზე ჯობნიდა და ჯაბნიდა მთვარეს ღამის დარაჯს.
ასი წელი პაემანზე იდგა მთვარე მწყრალად,
ბოლოს ისევ გადიკვეთნენ და შეერთდნენ ჩქარა!

იღბალი

*

იღბლის მაწყევარი
უფალსაც არ უყვარს,
რადგანაც ტკივილი
 მას უფრო აწუხებს,
მე დავგმე ამიტომ
 ცრელი და წუწუნი,
გავურბი ბედისწრის მარწუხებს.

წინ ვიყურები
მომავლის იმედით,
ცრემლით და წუწუნით
უფალო არ დაგღლი,
რწმენით კი მე შენთან
გულწრფელად მოვედი,
თვალიდან ცრემლებსაც გადავღრი!

მზია გირგვლიანი

სიბერე

თარეშის უფლება არ მისცე
სინანულს,
ჭაღარა ფერია წლების...
დათოვლილია მინდორ-ველებიც
მიწაც დამსკდარა გვალვისგან
მრავალგზის.
სიცივემ ნაყოფი ხეს წაართვა
უდროოდ.
დამცინავი ხმით ნუ ეტყვი
სიბერეს.
არასდროს გაბედო დაცინვა
სიბერის.
ცოტაა ძალიან, სიცოცხლე
ძალიან.
თვალებთან ნაწვიმარს პატივი
მიაგე.
სამდურავს ნუ ეტყვი სიბერეს,
იცოდე!

დამშრალა სული

დამშრალა სული
მაწუხებს ყოფა,
როცა სადღაც,
გულის სიღრმეს
წუხილი ახლავს,
როცა ვერსად იპოვი
კეთილისმყოფელს.
განცდა მაწუხებს
უსუსურობის.
გრძნობის ხელმა
შემხსნა საკინძე.
ზვირთი წყენის
ადიდებულა...
უსასრულოდ...
სივრცემ შემახსენა.
სევდა გაბნეული.
მზე კი მიწერს ბწკარებს,
სულსი შემონახულს!

საქართველო

ლაღად გაშალა შენი ფრთები
თავისუფლებამ
დაჭრილ არწივს, რომ შეგადარა
ვაჟა-ფშაველამ.
დიდო წარსულო, ჩემი ქვეყნის
მეამაყები,
ქარტეხილებს გამოგატარა,
წინაპრებმა – შენ გაღიარა!
შენი წარსულის ისტორია,
სულში ფრიალებს,
მტერმა ფესვებზე გადაგიარა,
შეგქმნა ძლიერად,
ვერაფრით დაგაჩოქა,
ვერაგმა მტერმა.
სისხლის წვეთი ხარ,
გადმოღვრილი ცხრა აპრილზე.
სულის სანთლად შეიწირე
გმირებისათვის, ჩემო მამულო!

უფლის მხარე

მშვენიერ არეს ვუცქერ,
გრილი ნიავი დაჰქრის,
კურთხეულ უფლის მხარეს,
მეფური ძილით სძინავს.

ფარდა ეშვება მთვარის,
გზებით შეუცნობელი,
იდუმალ კართან ჩრდილი,
ჩვეული გზნებით წვება.

ლაღი საღამო მოდის,
ვარსკვლავთა წყება ჩნდება,
თაღი იცილებს ოქროს,
და წვება სიბნელეში.

ჭაღარა უჩანს მწვერვალს
ჩრდილი წარსულის ელავს,
ქარი ღიღინებს ეშხით,
მთები ხართ ლამაზები.

მიდის დრო...

მიდის დრო და მე მივყვები,
ბილიკების სილაღეს.
მთების სულის სიდიადეს,
ნისლებს მთებზე გაფენილს.
ყვავილების სინაზეს და
სურნელებას დაფენილს.
მიდის დრო და წვიმა ისევ,
კისკისებს და ზოგჯერ თქმით,
სულს რომ ააგიზგიზებს.
დროს მიჰყვება ჩემი გზები,
უსასრულო ფერების,
მაინც მოგდევ და მოვდივარ,
სიცოცხლეო, დაგეძებ.
დრო მიდის და არ ჩერდება,
ბედის ორომტრიალი.
მთის არწივის მსგავსი გავხდი
ბედის ორომტრიალში.

შევახსენოთ წინაპრები

არწივების საბუდრების,
ღვთის ამბებით იდუმალი,
საუკუნეებს რომ მოჰყვება,
საარაკო ლეგენდებით.

მიყვარს ჩემი უშბა, შხარა,
თეთნულდი და შხელდა,
ნისლებიან დიდ ქარაფებს,
დილის შუქი მოვაფინოთ.

ლაჰილს, ლაჰლა ჭალაის
საუკუნეებს გვახსენებენ
ღვთის ამბებით, არაკებით
ლეგენდებით შემოსილა.

ჩვენი სვანური კოშკები
ცად აზიდული და ამაყები.
ენგური და ცხენისწყალი,
მათი ველური ბუნებით.

მიყვარს ლილეო და რიჰო,
ჭუნირი და ჩანგი,
გაუკვალოთ გზა პატარებს,
შევახსენოთ წინაპრები!

დიდი ძალა სიყვარულის

სიყვარულით
გიძღნი გულნაზი-დე!

ჩემი გულის იმედი ხარ,
ამ სიკეთით ვხარობ ისევ.
სიყვარული შენ გაჩუქე,
გულით მოგიძღვენი.

სიყვარულმა დამიწერა ლექსი,
ბედმა შენთან მომიყვანა.
სიყვარულის იმედი ხარ ჩემი,
გაბრწყინება სიყვარულის.

მომემატა გრძნობის სითამამე,
სიყვარული ლექსით დაგანახე.
შენს ნაკვალევს ვეფერები,
სიყვარულის გავხდი დარი!

მწვერვალი ხარ სიყვარულის,
მუდამ ბრწყინავს არ ხუნდება.
სიცოცხლის სურვილი და...
დიდი ძალა სიყვარულის!..

შვილების ლოცვა

დედავ უფლისა, გავედრებ შვილებს
მუხლმოდრეკილი,
ქართულ სიცოცხლეს ნუ მოაკლებ,
დაიფარე ამ ქვეყანაზე,
ყველა შვილი ყველა დედისა
მიიღე ლოცვა გულწრფელი
მწინდა გიორგის.
შემოიარე მთები, მინდვრები
ლოცვავ დედისა...

წმინდა სანთელი ბრწყინავდეს
ზეცა დედის ლოცვითა.
დედავ მზიანო დაიფარე შენი
კალთით,
შვილები დალოცვილი უფლის
მადლითა.
წმინდა სანთელი მავედრებელო
ღვთის მშობლის,
დაულოცე ყველას შვილი და
მიიღე ლოცვა გულწრფელი.

მლოცველი ჩემი მიწა-წყლის

ღმერთო, მოვედი დავიბადე დღე
აღსარებად,
უფლის ვედრება და მლოცველი
ჩემი მიწა-წყლის,
გადმოვდინდები სიყვარულად
მიწის გულიდან,
მოვედი ღმერთო, დავიბადე დღეს
აღსარებად.
ქალის ვედრებაა ჩამოღვენთილი
სანთლის ცრემლებად,
მარტის ღამეში ურჩი ქარები.
დაეხეტება გულის ტკივილით.
მიყვარს უნაზესი სიცოცხლის ფერთა,
ფერად ყვავილთა სურნელება.
მოვედი ღმერთო, დავიბადე დღეს
აღსარებად!
უფლის ვედრებით და მლოცველი
ჩემი მიწა-წყლის!

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

პატარა ჩიტო

იქნება კარგო შენც გტკივა რამე,
არავინ იცის, ვის ან რას ელი,
ტოტზე შემოჯექ სისხამ დილაზე,
იქნებ ჩემთან გაქვს რამე სათქმელი.

ვიცი, რომ გინდა სიცოცხლით დატკბე,
კამარა შეკრა ლამაზი ფრთებით,
გისმენ, ჭიკჭიკებ უტკბილეს ხმაზე,
შორიდან იქნებ გულისწორს ელი.

იქნება თეთრად ათენე ღამე,
ულევ ფიქრებთან ვეღარ გაჩერდი,
ჩემო პაწიავ ყოველთვის გწამდეს,
ღმერთი არ სწირავს თავის გაჩენილს.

იქნებ ჭიკჭიკი შენც ძალას გაძლევს,
მაშინაც, როცა არ ჩანს საშველი,
რას იზამ ჩიტო, მტრების ჯინაზე,
აქაც ყოველთვის მღერის ქართველი.

ნურაფერს შეცვლი

თუ სიყვარული მარად ბრწყინავდა,
მე რად ვინატრო ოქრო და ვერცხლი,
ამ დიდ საგანძურს გულში ვინახავ,
უფლის საჩუქარს ვუვლი და ვეტრფი.

ზეცაზე ქარი ღრუბლებს გაფანტავს,
ფოთლებსაც მოწყვეტს წაიღებს ხევში,
მე შენით შევძელ დარდის ატანა,
რადგან უთქმელლად გულის ხმა გესმის.

მზე სიყვარულის ზღაპარს გვიხატავს,
რომ გაბრწყინდება ყვავილთა ტევრში,
ლამაზი გოგო შენ რომ გიყვარდა,
არსად წასულა კვლავ ცოცხლობს ჩემში.

მინდვრად გვირილებს მზის სხივით ნაქარგს,
მოხვალ და ჩუმად ჩამიბნევ თმებში,
ისევ მოვიხდენ ყვავილთა კაბას,
ვით ალუბალი აპრილის თვეში.

სიყვარულსა აქვს უშრეტი ძალა,
წუთიც არ მინდა უმისოდ ერთიც,
გვირილასავით მზე გულით დამაქვს,
სხვა რა ვინატრე ამაზე მეტი.

მერე რა თმებში თუ დაგვიზამთრდა,
ოქრო იწრთობა ყოველთვის ცეცხლით,
გულში ყოველთვის იმედად მყავხარ
და თუ გიყვარვარ ნურაფერს შეცვლი.

მაშინ ხარ მდიდარი

ნუ შფოთავ,ნუ დრტვინავ და ნუ ხარ მწუხარი,
რას გაძლევს წუწუნი,გარჯაა ეს მცირე,
გახსოვდეს, მოუხმე, შენშია უფალი,
მიენდე, მცირედზეც მადლობა შესწირე.

ზოგჯერაც განსაცდელს საშველად გიგზავნის,
თუ გნახა ურწმუნო, ცოდვებში მძინარე,
შეგანჯღრევს,გაფხიზლებს,რომ იცნო ვინც არის,
ალერსით ცრემლს მოგწმენდს, სახეზე მდინარეს.

თუ უფლის მცნებებით ცხოვრებას ისწავლი,
გარგუნებს ძალას და თვით დაძლევ სიძნელეს,
არ დაგთმობს წუთითაც,ხელს გიწვდის,იჩქარის,
გაუღე გული და გაფანტავ სიბნელეს.

შეხედე მზე დილით სხივებს რომ გიგზავნის,
ყოველ დღეს ღვთიური მადლით რომ გითენებს,
შენც სიყვარული გაეცი მზისდარი,
რას გასცემ ბრუნდება უკანვე ისევე.

გახსოვდეს, ამ ქვეყნად ყველა ვართ სტუმარი,
ეცადე ღვთის სიტყვის ტკბილ წყაროდ ედინე,
ბოღმას და სიძულვილს უთხარი უარი
და მთელი სიცოცხლე სიყვარულს შესწირე.

მის ხატად რომ შეგქმნა მიზანიც ის არის,
შვილი ხარ,უყვარხარ,მიტომ ვერ გიმეტებს,
თუ გულში ღმერთი გყავს მაშინ ხარ მდიდარი.
აგროვე ამქვეყნად მადლი და სიკეთე.

სილამაზის წყარო

მოდი წავიდეთ მთის ცივ წყაროზე,
ისევ ბავშვურად გავუყვეთ ბილიკს,
სადაც წვეთები მოწანწკარობენ,
ისე ცივი რომ დალევა გვიჭირს.

სადაც წიფლები დგანან ამაყად,
ტანთ ამოკაწრულ გულებში ისრით,
შემორჩენიათ ტრფობის ბალადად,
სახელი ლამაზ გოგოს და ბიჭის.

ფოთლის შრიალით მგზავრებს ართობენ,
ბოლო არ უჩანს ჩიტების ჭიკჭიკს,
ჩრდილს შეფარებულ უცნობ ნაცნობებს,
წყალს რომ აწვდიან შეორთქლილ ჭიქით.

მინდვრად შეფენილ ყვავილებს ნაზებს,
ცელქ ნიავზე რომ იწყებენ კისკისს,
თვალს ვერ მოწყვიტავ ამ სილამაზეს,
მთებს ხან მზე შვენის და ხანაც ნისლი.

დედა ყვებოდა ამბავს წყაროზე.
ნათელი სახით გვაფრქვევდა ღიმილს,
პირს თუ დაიბანთ გაგალამაზებთ,
დალევთ, გახდებით უკვდავთა ღირსი .

ბავშვებს გვხიბლავს ტურფა სამოთხე,
ვეგებებოდით წყაროზე მზის სხივს,
პირს ვიბანდით და გვჯეროდა ყოველს,
ამ სილამაზის წყაროს წყლის მითის.

კამკამა წყალში ვხედავდით სახეს,
ვარსკვლავებს ვგავდით ციმციმას ცისკრის
და ჯოხოულის წყაროს წყალს ნაქებს,
დღემდე შემორჩა სიტკბო და ხიბლი.

წლები მიდიან სადღაც ჩქარობენ,
წლებმა დანდობა სულაც არ იცის,
მოდი წავიდეთ მთის ცივ წყაროზე,
რომ უკვდავების კვლავ გავხდეთ ღირსი.

მზია გომართელი

ვაი თუ დაგკარგო!

ვაი თუ ვერ გნახო, ვაი თუ დაგკარგო.
ობოლი ფიქრები შენზე მიყვებიან...
ფიქრები სათუთი, თრთიან შორს წასულნი.
ყინვაში დამზრალნი, მზეს ეფიცხებიან!
იქნებ ვერ იხილეს, ვისზედაც დარდობენ..
გზები დათოვლილა, რთულ გზას მიჰყვებიან.
კლდეებთან ჭიდილში ძალა დალევიათ,
ამაოდ ცდილობენ--დარდს ემიჯნებიან!
ფიქრებსაც თავისი კი აქვს დასასრული...
ხან ვარსკვლავებიც ხომ თავისით სწყდებიან!
მოწყვეტილს მწარე სინანული სწვევია...
ვარსკვლავთა გუნდიც ხომ იმ ერთს უმღერიან.
ვაი თუ დაგკარგო, ვაი თუ ვერ გნახო
დაღლილი ფიქრები სულ მუდამ გელიან!!

დაგელოდეგი!!

დაგელოდები, მრავალი წელი
უფლის საყდართან!
სულსწრაფვა არა, როდი მჩვევია –
ლოდინი ვიცი.
გზები ძნელია გადასავლელი, გუდამაყართან...
მაგრამ შეხვედრა საოცნებო
უფროა – დიდი!
გადაიკარა, გადაიარა ღრუბლებმა კართან..
გრძელი გზა განვლეს ქუხილისა და ქარის ზუზუნში.
დაგელოდები, დაგელოდები გზა გასაყართან,
მაგრამ სწრაფვა და მონატრებაა უფრორე – დიდი!
იცი ბევრი რამ გამოვიარე, ქართან ჭიდილში.
დიდ განსაცდელსაც გადამატარა,
განგებამ ვიცი,
მაგრამ გული ხომ გადაიღალა, ორომტრიალში.
დიდმა ქარებმა როდი იციან, დანდობა სხვისი.
თუ გადაურჩი, დიდ უშველებელ, ვეშაპის ხახას.
გაგინათდება გზააბნეული გონება მყისით.
ქარბორბალასგან დაგებულ ხაფანგს,
უთუოდ გახვალ...
განსაცდელები გამოვლილი გაქვს,
- უფრო დიდ ჭირში!
გადაიკარა, გადაიარა ღრუბლებმა კართან.
გრძელი გზა განვლეს წუხილისა და ქარის ზუზუნში,
და ეს შეხვედრა უფლის მიერი, ალბათ იქნება.
მისი ხელითგან გამოწვდილია -შენდობის ხიდი!
დაგელოდები დაგელოდები, გზაგასაყართან...
მაგრამ სწრაფვა და მონატრებაა -უფრორე დიდი!

* * * * * * *

რა საშიში ხარ ადამიანო
ამაზე ფიქრმა გული გალია..
ხან ანგელოზად მოგვევლინები,
ხან ბადესა ქსოვ და გიხარია!

როცა მსხვერპლს უკვე ბადეში აქცევ,
მაშინ იხსნება ნამდვილი სახე,
ნიღაბმა უკვე გადაამეტა,
და გააკეთა თავისი საქმე!

ახლა ფიქრობ რომ, სალტეს მოუჭერ...
სად გაგექცევა და ათამაშებ,
კმაყოფოლება რომ გაწერია
და ირონიაც ზედ დაგთამაშებს!

ეს მდარე ქცევა თუ დაფიქრდები,
მდაბიურობის ალბათ ბრალია.
ვინც ვერ ელევა მოყვასის მტრობას...
მისთვის ნათელი უკვე ღამეა!

თითქოს ბუნებაც უერთდება და
შენ ბუნებასთან შესადარია.
აღარ გვეღირსა ლაღი დღეები,
მზეც აღარ მზეობს, სულ ავდარია!
ნეტავ როდისღა გამოანათებს,
თაკარა დღეებს, ვისთვის სცალია?!

* * *

გემმა სად გადაუხვია,
სად წაიყვანა ქარმა.
მესაჭე დაბნეულია,
ვეღარ აბრუნებს წაღმა!
ეს მერამდენედ ნისლებმა,
გადაუარეს "შარმად"..
მსოფლიო მთლად გააკვირვა,
მოზღვავებულმა ტალღამ.
"საშუალება ამართლებს მიზანი"
რასაც ახლავს...
ბოროტი ვერ მოერევა,
გონება ნიჭებს მართავს!..
ძალიან ბევრსაც დაგითმობ,
თავსაც დაგიდებ წამლად...
მაგრამ თუ გადაამეტებ და
დამესხმევი მართლად!
თავდასხმა მოგონილია,
თავდაცვას ისეთს ჩავრთავ!
მაშინ გვიანი იქნება
ნუ გადაისხავ თავს ლაფს.
გული თუ ვეღარ იგულებს,
ცრემლიც რომ ღვარო მრავლად!
ანკესი ჩაგდებულია,
ვინ რას დაიჭერს ვნახავთ?!!

საშაირო სალაღობო!

რაც უფრო მეტი გავეცი,
მით მეტი დამხვდა შარები.
მოყვარედ ვინაც ვიგულე,
მან მომიხურა კარები.
გონით ვალებში გამხვია,
სულ დამიბრავა თვალები.
გადახდა არ შემიძლია,
მიტომ მროზგავენ ყვავები!..
რატომ უფალო ნეტავი?!
ვისი რა დამსდევს ვალები.
როცა არა სურთ ვერ მხედვენ
"გადამსქრინავენ" წამებით.
ქლესობა მე ვერ შევძელი
და არც ვიბრუნებ ძალებით.
შენ უსამართლო ცხოვრებავ
იქნებ მომიდგე გაგებით.
ნუღარ ძალადობ, ფართხალებ
ვერ შემაშინებ დამნებდი...
უფალო გთხოვ რომ შემინდო
გულისთქმებს ვუდგე დარებით,
გთხოვ მტერიც დამალოცვინე
ვერ გადავუხდი მწარებით!

* * *

ხან იკუმშება ხან
ბრდღვინავს,
გულს შემოასკდა ტალღები.
დრო გარბის მას
არ ადარდებს
წალეკვა საღი აზრების.
ვაი, რომ საძებნელია,
სიტყვა სალხინო სათქმელი.
იქვე ახლოა მპარავი,
ჩასაფრებული აფთრები.
სიკეთე ავით დაფარონ,
თან გადაჭიმონ აფრები!

. . . . . .

ყველგან სიცრუე, სიყალბე
მგონი დროს ვეღარ ვეწევი.
გულში ნაწვეთებ ტკივილებს
რა გადაფარავს
ვერ ვხვდები.
ხან ნაწილებად უშლება,
ხან საყრდენუა ფესვები,
გულო ნუ დაიფლითები,
აღსდექი ნუ დაეშვები!

. . . . . .

შენში შემოჭრილ
ყველა ფიქრს,
განაგდე ნუ ესესხები...
გულში ნაწრთობი იმედი,
სხივებს გიგზავნის პეშვებით.
დაბლა დაცემულს
დავარდნილს,
ფეხით ნურასდროს შესდგები.
ძირს დაყრილ ობოლ
ფოთოლსაც
გასრესით ცუდად ექცევი.
მას ხომ თავისიც ეყოფა,
რა დაგიშავა ვერ ვხვდები!!

. . . . . .

სიმართლით მოპოვებულს კი
ადვილად ნუ შეელევი.
ამაოდ მითვისებული,
ვერ შეგერგება რას ელი!
ქარით მოტანილს ქარივე,
წაიღებს ნუღარ მოელი.
გაეცი სხვებს დაეხმარე,
მისგან ნურაფერს ნუ ელი.
სიკეთე მაშინ ბრუნდება,
იმსახურებ და...არც ელი!

ქარი ვითარ ამორძალი!!

ქარი ვითარ ამორძალი,
თრთოდა როგორც
სულთ-მობრძავი.
დაენარცხა კიდევ ერთხელ,
აღარ არის სამართალი..
თვალზე ცრემლი
შეუმშრალი,
ბრწყინავს ვითარ,
ნამზე ცვარი.
ნეტავ ვიღას გააკვირვებს,
ავდარი და სეტყვა-ქარი!?
არა ერთხელ უმძლავრია,
მაგრამ ახლა სულ სხვა არის.
გამეხებულ სულის ფარდას
აჩერდება ვით საპყარი!
ტანთ-აბჯარი,
სულს კლდე-კარი,
მოუყაროთ ერთად თავი.
ნუთუ ასე დაცლილია,
გრძნობით სავსე გულის კარი:
დროა მწყრალი,
ღობე მწყდარი,
ბევრი კიდევ ფესვმომწყდარი.
სულით მკვდარი, ქედმაღალი,
ზოგიერთი, განზე მდგარი.
ერთურთს ხელი შევაშველოთ,
აქ ძლიერობს ღრუბელთ ჯარი!
ჩამოჰკარი- რეკე ზარი,
შეუმცდარი არვინ არის...
კიდევ სცადე ახმიანე,
გაანათე უფლის კარი!
ქარი როგორც ამორძალი,
დაქრიალობს გრძნობა
მკვდარი,
გაწყვეტილა შუბლზე ძარღვი,
აღარა აქვს სიტყვას ძალი,
სადღა არის სამართალი!?
მას კი რჩება მძიმე ჯვარი!!

ნანა გიგუაშვილი

უსასრულობა

ატომის გულში კვლავ გუგუნებს იქსი დიადი,
ფრთხილად მივყვები ასტრალიდან ამ ფილაქანებს,
შემომხვევია უდროობის დიდი წყვდიადი,
მატრიალებს და სიბნელისკენ კვლავ მიმაქანებს.

იქ, სადაც ალბათ არ არსებობს მარადისობა,
სულის სამშვინველს კვლავ ეხშობა ორთავ კარები
და პარკუჭებში გატყორცნილი სისხლი დინდება,
წინაგულების სარქველიდან განატარები.

გამოვაღწიე და ვიხილე კაენის კვდომა...
ახლა აბელის ფესვებიდან მშვიდად მოვედი,
შეგვაძლებინე უსასრულოდ ფეხზე დადგომა,
მაღალო ღმერთო,
საქართველოს შველას მოველით.

ღირსება

ღირსებას ვერვინ ჩაგაცმევს, მისით დღითიდღე მშვენდები,
ენით და სარწმუნოებით მამულში განაშენდები,
მტერი ვერ აგყრის იარაღს, თუ ნებით არ დანებდები,
სამშობლოს სიყვარულისთვის თუ ნაცრად არ ჩანელდები.

სანამდე გულში ღმერთია, სანამ ცრემლებით ვლოცულობ,
შევუერთგულდეთ ერთმანეთს ერო, სიწმინდით მოცულო,
საყრდენად გამოსადეგო, ძმაო სიკეთით მოსულო,
იმედის გემად გამოჩნდი, იქნებ ჩვენამდეც მოცურო.

რამდენი ტანჯვა ვიგემეთ, გულს ტყვიად განატარები,
წლებმა მოისრა საწუთრო, ერი გადარჩა წვალებით,
ღირსებას ვერვინ წაგვართმევს, არს ხელარდანაკარები,
სადა გვაქვს მიწა ქართველებს სხვის საფლავს ჩასატანები?!

მამული – ჩვენი სამშობლო, ქართული გენის აკვანი,
ენა – ლაზარეს სახელით უფლის გულამდე ამყვანი,
სარწმუნოება – მართალი, ღმერთის სახელის თაყვანი,
ჩვენი გმირული წარსულის ფესვიდან ამონაყარი.

ეს არის ერთი მთლიანი, ქართველი კაცის ღირსება,
ამ ერის გადაშენება არავის არ ეღირსება!
თავად უფალმა სულებში რწმენის ტაძარი გვიშენა,
მამული, სარწმუნოება,
ჩვენი ქართული – ღვთის ენა.

ახსენით ტაბუ

მეამბოხე სული მეწვის,
არ მეთმობი დასაკარგად,
გასავლელი ხიდი ბეწვის
ელოდება სხვის განკარგვას.

გაიყიდა საქართველო
გოჯი-გოჯად, მისხალ- მისხალ,
მტერი, თუკი არ ქარველობ,
შენს ვენებში სხვა სისხლს გისხამს.

და ყოველი წუთის ფასი,
რომ ვიცოდეთ, დროა მართლაც!
გადაივსო თმენის თასი
და დაიწყო დროის ათვლაც.

გული ერთურთს გაუხსენით
ქართველობის წმინდა ფიცით,
ერისა და ბერის ძმობა
უსტორიით ბევრი ვიცით.

ჰა, ჟამია და ახსენით
ტაბუ უფლის მოსულ სიტყვას,
რომ ქართული გენის წესი
ამ სიმართლით მტკიცედ ითქვას!

მიგულე უფალო

მიგულე უფალო, შენი ვარ მორჩილი,
შეხსენი ჩემს გულში ''ლურსმული დარაბა'',
მოგვმადლე ქართველებს ხმა კეთილმოსილი,
რომ აღარ ვირჩიოთ სიბრმავით ბარაბა.

ჩაკეცილ მადლის კარს აუგდე ურდული,
ჩამწყვდეულ სიმართლეს მიეცი ნათელი,
არ ესმის არავის ხმა გამოგუდული,
ღვთის სიტყვას მინდა რომ დავუნთო სანთელი.

დაშალე ცოდვის და სიბნელის გოდოლი,
თბილისში რა უნდა ''სახანოს'' არაბთა,
სად არის სინდისის მოწნული გოდორი,
სად არის ბრძოლებით ნაჯერი მარაბდა?..

მიგულე უფალო, შენი ვარ მორჩილი,
შეხსენი ჩემს გულში ''ლურსმული დარაბა,''
მოგვმადლე ქართველებს ხმა კეთილმოსილი,
რომ აღარ ვირჩიოთ სიბრმავით ბარაბა.

ემიგრანტის იმედი

მადლობა უფალს, რომ გავჩნდი ქალად
და საქართველოს დამაქვს ღირსება,
რწმენით ავსილი იმედით დავალ,
რომ დაბრუნება მეც მეაღირსება.

ყველა განსაცდელს შევხვდი გულღიად,
უფლის ხელშია ჩემი მხნეობა,
ბედის სიმძიმის მიუხედავად -
თან მიმატებდა გამბედაობას.

იქ ვდგავარ, სადაც ღმერთმა მომკერძა,
ჩემი აქ ყოფნა არის ლოდინი,
დარდისგან ბევრჯერ მუხლში მომცელა,
კვლავ წამოვდექი მე მოლოდინით.

რომ ისევ ისე ვიხილავ მამულს,
დავუბრუნდები ჩემს სახლს მადლიანს,
შემოვიძარცვავ წუხილის მარწუხს
თან უსამართლის,
თან სამართლიანს.

სიცოცხლე დავარქვი

გულიდან გულამდე მიტანილ სიყვარულს,
მოყვასის დაცვას და მტრის ზურგით გაყვანას,
ტკივილზე მალამოდ დადებულ სინანულს,
უფლისთვის ლოცვას და უფლამდე აყვანას...

სიცოცხლე დავარქვი აქ მოსვლის მისიას,
ბნელიდან ნათელში გამოჭრილ გვირაბებს,
ცხოვრებას,
რომელშიც მარადი ნისლია,
ჭრილობას, რის გამოც სიცოცხლეს ინატრებს.

სადარდელი

ვეღარსად ვპოულობ სიმართლეს,
სამყარო გამხდარა ცბიერი,
თვალები ეძებენ სინათლეს,
წყვდიადის ქარია ძლიერი.

ზღვა ცაში აზიდა მზის სიცხემ,
ლიქენიც დაგვირჩა მშიერი,
მწვანე ტყე დაბუგა სიფიცხემ -
გამხდარა საფარი ფხვიერი.

მზე მიწას შიგნიდან ჩაკვრია,
ლუციფერს შეცვლია იერი,
სიცოცხლეს ფერები აკლია -
ერთ წამში გამხდარა ხნიერი.

უფლის გამოცდას გავდივარ

უფალის სიტყვას კი არა, ეშმაკის საცდურს მივდიეთ,
ცდასა და მკითხაობაში დათქმული ვადა მივლიეთ,
არც უფლის სიტყვა მივიღეთ, დალაგებულიც მივრიეთ,
ეს რა გვჭირს ჩემო ქართველნო,
სულ რატომ გადავირიეთ?

გულისკარს გვიღებს მორჩილად უნეტარესი სიონი,
ჩვენ კი კალაპოტს ვშორდებით,
როგორც თერგი და რიონი,
უფლის გამოცდას გავდივართ, მართლაც არ არის იოლი,
სხვა ეძებს' ჩვენ კი
თვალწინ გვაქვს ხვამლი და კავკასიონი.

ხელი შემაშველე

ხელი შემაშველე ანგელოზო,
მტკივა ნატყვიარი ჭრილობები,
სხვისგან ოქროს ფარდაგს არ ველოდო,
შენი დამიფინე ჭილოფები.

ოღონდ დამიამე სატკივარი,
ერში სიყვარულად ჩამელხინე,
გვეყო, აგვარიდე სატირალი,
ჩამქრალ თვალებიდან ამეხილე.

წვიმები

წითელ ცას წვიმები შეცვლიან,
აპრილში ხშირია დაისი,
ნისლები მირაჟებს ერთვიან,
ვარდისფრად ღაღანებს მაისი.

ქართულ ცას აპრილიც უხდება,
ნაწვიმარ დილაზე – აისიც,
უწვიმრად სიცოცხლე რუხდება .
დამტირის უფერო მაისი.

რომ შემეძლოს

მეც ავმაღლდები ჩემს თავზე მაღლა,
დავიბადები ისევ თავიდან
და იმის მსგავსად აღარ ვიცხოვრებ,
წინა ცხოვრება როგორც გავიდა.

წლებმა უაზროდ გამფცქვნა ხახვივით
და სიმწრისაგან ცრემლი მადინა,
არ დავიტიებ არც წვეთს და მისხლივ
ყველას მიუჩენ თავის სადინარს!

სიტყვად მოვალ

აქ ავტირდები, ცას ავტკივდები,
ჰაერი სუნთქვას ხვნეშით დაიწყებს,
სიტყვად მოვალ და გამოვვლინდები,
მუზების რაში საბელს აიწყვეტს.

მოვალ სიმღერად, წვიმად ზაფხულის,
გამოვაცოცხლებ ნამით ბალახებს,
გადავიკითხავ ლექსად დაწერილ
სიტყვას, რომელიც წამით მალაღებს.

მთლად მივენდობი მაღალ შემოქმედს,
შემოვინახავ მუზებს კიოდად...
მე ის ლექსი ვარ, რაშიც უფალმა
გამოამწყვდია, რაც კი მტკიოდა.

ჩვენი ცხოვრება ცეცხლის ალია,
თანაცხოვრება- ცეცხლის ღადარი,
თუ სიყვარულად აქ არ მოსულხარ,
მაშ არსებობის აზრი სად არი?

გალას სარკმელი

არც მე არ ვიცი როდის მოვრჩები,
როდემდე ვივლი ან დავმთავრდები,
როდის იტყვიან უფრო ხმამაღლა
ჩემს ყველა სათქმელს ეს დავთარები...

როდის შეწყდება ხორცის გაგლეჯა,
დანაყრდებიან ტურა-აფთრები,
როდის ამოვა დედამიწის მზე
და გადიდარებს როდის ავდრები...

არ ვიცი თუკი ოდესმე მაინც
ამიხდებიან ჩემი ნატვრები,
სუნთქვა მეკვრება ამ დაბალ ცის ქვეშ,
სულის კარიბჭე გახდა სამტვრევი.

როდის იქნება ის ღვინობისთვე,
რომ მშობლიური მერგოს ნართვლევი,
ან როდის მომცემს უფალი ძალას-
გამოვაღვიძო ერი ნათვლემი?

მომნატრებია სულის მოძღვარი,
სურნელი ჩემი ტაძრის საკმევლის,
ნეტავ არასდროს გაიღებოდეს
გადასაფრენად გალას სარკმელი.

ნეტავ ეს ფიქრიც დამთავრდებოდეს,
სადარდებელიც მქონდეს ნაკლები,
დროზე დასაჯოს [1]თავად უფალმა
ქართული მიწის როკვით ამკლები.

ამ ცრუ სამყაროს რატომ ერთვიან
ჩვენი სამშობლოს
,,სეფე-ამქრები,,
რად ავიწყდებათ ჩვენი მისია,
ჩვენი წარსულის ნაიარევი.

რატომ ჰგონიათ დღევანდელობა
ზღვაზე აშლილი თეთრი აფრები,
რატომ ფიქრობენ გადარჩებიან,
თუკი ამ ქვეყნად ყველა გავქრებით?

იქნებ მიპოვო ჩემო უფალო,
რომ ყველას ვუთხრა ჩემი სათქმელი,
მტერს თვალწინ შენი სიტყვა ვუფარო,
ფიქრს დავუკეტო გალას სარკნელი.

ქართული გენი

არ დაგავიწყდეთ ჩვენი საზღვარი,
ნამუსის ძაფი არ გავიწყვიტოთ,
გულზე შებმული ნათლობის ჯვარი
არავის გამო არ ავიწყვიტოთ!

ჩვენ სხვა სისხლი გვაქვს, გენი კოდილი,
ვერავინ შეძლო მასში შეღწევა,
ვილოცოთ, რადგან ეს სიყვარული
სუყველას გზაში წამოგვეწევა.

ვით აფხაზეთი

ჩამოცხა გარეთ, ისე ჩამოცხა,
ძარღვებში ლამის სისხლი გამოცხვა.
ჩრდილს დაევალა ჩვენი გამოხსნა,
მცხუნვარე მზიდან სხივი ჩამოხსნა.

ბევრი იცელქა სხივმა მიწაზე
და გადაეშვა ტბაში რიწაზე,
შემოტრიალდა მერე იმწამსვე,
იქვე დაბრუნდა, ისევ იმ ცაზე.

გოგონა ნიღბით

მისი სამყარო არვისას არ ჰგავს,
გოგო წავა და წყალში მზეს დარგავს...
აქ კი დრო თავის მაქმანებს ქარგავს
და მერე თავის სისუსტეს მართავს.

ქუჩაში – ხალხი, ხალხში – სიჭრელე,
ვიღაც გონდოლას ფეხთან გიჩერებს,
ვენეციური ნიღბის "სინჩერებს"
ამ ცნობიერში ვერ გაიჩერებ.

შვილებო

ჩემს ლოცვას თქვენამდე მოვიტან,
ცრემლებით, ბუტბუტით ნაფერებს,
გალობით გაზაფხულს მოგიყვანთ,
ღამეებს ლექსებში ნათენებს.

ჩვენს შორის უფალი ტრიალებს,
ეს გრძნობაც ძალიან ძველია,
გაჩენის წუთიდან მიყვარხართ,
უთქვენოდ მიჭირს და ძნელია

ამაღლება

უფალი ზეცად ამაღლდა
და სიყვარულიც განახლდა.
სინანულს მოჰყვა სიწმინდე,
თვალს ცრემლი ჩამოვიწმინდე.
იქ სადაც იდგა, მივედი
და ჩამესახა იმედი.
ტაძრად ვარ, უფალს მოველი,
გაბრწყინებულა ყოველი.

ჩვენთვის ყველაფერს ეცადა,
ამაღლებულა ზეცადა.
მაინც ბარაბა ვარჩიეთ,
ენა გონს გადავაჩვიეთ...
ამ მწუხრის შემდეგ იბერნო,
კვლავ სიყვარულით ვიბევროთ,
რომ ვთქვათ უფალი ამაღლდა,
ადამის მოდგმა განახლდა.

ენძელა

ვაითუ ვეღარ გავსწორდე,
ვერ ამოვხეთქო მიწაზე,
თოვლის საფარმა დამძლიოს
ამ ჩემი გულის ფიცარზე.

ვაითუ კვირტი დამიზროს,
ფეხით დამთელოს ავდარმა,
გაზაფხულობის დაწყება
გადაავადოს ზამთარმა.

ნამქერმაც კი არ მომისწროს,
მომტაცოს ზედა საფარი,
ვინ შემიბრალებს საცოდავს,
ვის ვთხოვო თავშესაფარი?...

ასე გალია ენძელამ
შიშებით თავის ცხოვრება,
ერთ გაზაფხულად არჩია
მოსვლა, იქ სულის ცხონებას.

და ამოხეთქა მინდორზე,
ტყეში, ველებზე ბიბინად,
წვიმამ წვეთებით შეავსო,
მზის სხივიც გადაიბირა.

ის პირველობა შეირგო,
სიამით გამოიხილა,
მერე ზაფხულიც მოვიდა,
ენძელა ვერვინ იხილა.

ფიქრში დაღლილი

აღარაფერი არ მაწუხებს ფიქრებზე მეტად,
ასე მგონია ამოვწურე ჩემი რესურსი,
გულდაწყვეტილი უცხო მიწას შემოვრჩი კენტად,
ვერ ამოვხსენი მიგრაციის რთული რებუსი.
გამოდარების მოლოდინმაც გადაივადა,
ბალიშს მისველებს მონატრების ცრემლი დაღვრილი,
დროს ვეძებ ფიქრმა წარსულში რომ გადაიტანა,
საათის ისრებს დავცქერივარ ფიქრში დაღლილი.

სველი იგრიკა

სიმართლეს ვიტყვი, წუხილისგან დავცლი ფიალას,
ცრემლად ნაწუხი, ცას წვეთებად დავეკიდები,
ემიგრანტი ვარ, ჩემი ქვეყნის მტკივა იარა,
მისი სიმტკიცის გალავანში ჩავეკირები.
წლობით ნათენებ მარტოობას მხრებით მივათრევ,
ქანცგაწყვეტილი მოლოდინიც გადაიდრიკა,
შთამომავლობას ხსოვნისათვის წიგნებს მივართმევ,
იქ ვაყვავილე მონატრების სველი იგრიკა.

დე ცისკარელო

როცა ცუდად ვარ, ვერა გწერ,
არ მინდა დარდი გარგუნო,
წუხილი შენიც გეყოფა
ცის კარზე ჩამოქარგულო..
მხოლოდ ღიმილი გეკუთვნის
საზრდოდ, ჩემს გულში დარგულო,
უცხო მიწაზე ჩემთან ხარ
ფიქრებით გადმოკარგულო.
როგორ ხარ დედი, რა ხდება?
რად მოწყენილა ტირიფი,
ვგრძნობ საქართველოს წუხილით
ჩემებრ გინდება ტირილი.

შენი საბრძოლო სიმღერა
ლექსებად გულში დავკონე...
ნეტავ რად არ სურთ მშვიდობა
ქართული სულის არმქონეთ?
ილოცონ ჩვენი ერისთვის
სამყაროს გადასარჩენად,
უფლის სიტყვაა მოსული –
ტყილ-მართალის სარჩევად.
ღმერთით ფონს გავალთ უეჭველ,
დარდს მოგვაცილებს უფალი,
მალე გვეხილოს სამშობლო
დიადი, თავისუფალი!

კიოდი

შენ კიოდი ხარ, საღვთო ენის წმინდა საცავი,
ედემის ბაღი, საოცარი და დასაცავი,
რით შევეგუო ორგულობას ძმებში რაც არი,
რით ავიტანო საქართველოს თვალში ნაცარი?

რა დამაყენებს, რომ არა ვთქვა, ვერ შევჩერდები,
დარდით აღარ ვარ, წუხილისგან გზა-გზა ვჩერდები,
თანაც რა ვუყოთ, თუ რწნმენაში ვერ შევჯერდებით,
რასელის მოდგმავ ჩვენ – ქართველებს ვერ დაგვჩემდები!

უღმერთობაა, მიდის ბრძოლა, გულში ჩეხვები,
ატირებულან სამებასთან ჩემი ვერხვები,
ჩამოასკდება ზეციური ძალით მეხები
და დაისჯება ჩვენი მიწის მტრულად შემხები.

გადავლილია შეცდომების დიდი შარაგზა
და ორგულობა ჩაანაცვლა ახლა მარაზმმა,
მე კი მგონია, რომ უფალმა ზეცა ჩარაზა,
ჩვენს დასაცავად ანგელოზთა დასი დარაზმა.

გადაიაროს, დაიწმინდოს გული დუღილმა,
რომ მიგვატოვოს განსაცდელმა, დიდმა წუხილმა,
წინაპრის სულმა იგრძნოს- ბრძოლა ამად უღირდა,
სამყარო შეძრას უფლის სიტყვით ჩვენმა ქუხილმა!

მზია ელიაძე

წუთისოფელში გუშინ მოსული

მიდის საათი შეუჩერებლად,
მიაქვს კარგიც და ცუდიც ყოველი...
მონოტონურად,შეუნელებლად
მიჰყვები კაციც დრო-ჟამს,
გონებით!..

ქორფა,პატარა ხდები მოხუცი,
სწორედ სურათის მსგავსი,
ეული...
...წუთისოფელში გუშინ მოსული
შვილი ხარ,შვილი,უფლის,
გრძნეულის!..

შეგონება-დარიგება

ნისლი დაეშვა მთათ წვერზე,
ჩამოეფინა კალთებზე:
-ვკვდებიო,ვქრები მიწაზე;
რა არის ჩემი სიცოცხლე?!.

-გულს ნუ გაიტეხ,ნისლ-ჯანღო,
უგვან ფიქრთ აუტანიხარ...
მიწას ემცვრევი,მის სამწყსოსს
რწყავ,კვებავ,მეტი რა გინდა?

შენი საქმეც ხომ ეგ არის
ცა-მიწას შორის ტრიალი...
მარად გაქვს ღია ზე,კარი;
არც დაიზარო ტრფიალი...

თუ კარგად გაისარჯები,
გგონია დაიკარგები?
...არასდროს გარდაიცვლები,
მდგომარეობით იცვლები!..

ღვთის სიბრძნეს – უფლის განძს მიაღწევ!

(შვილებს ვალენსია)

ნისლისფერ სამოსში შემოსილს
თვალს ცრემლის კურცხალი რას ანცობს!
არ გინდა,ნუ დაიზაფრები,
იმედი განძია ხვალისა...

საკუთარ ლანდივით შემოკრთის
გზა, შენი სავალი, ცრიატობს
გამაგრდი,არ დაიკარგები,
არ გირჩევ არევას კვალისას...

გაუძელ, ძვირფასო ყოველს, გთხოვ,
ცად შენი ვარსკვლავიც კიაფობს...
სიცოცხლე მადლია კაცისა
და გვემაც მისია,თანმდევი!..

გეტყვი, შენ, უფალი არა გთმობს;
მის ხელქმნილ სამოთხეს
რას ამკობ!
თავს შეუძახე რომ ვარგიხარ,
სამზეოს ამშვენებ,
მაღლდები!..

ღიმილი მეხია დარდისა,
მტერს არ დაანახო ნაღველი;
ისე იმოქმედე,გინატრონ
იარებს მაგ გულს ნუ დაუთმობ!

მზეც ზეცის პარმაღზე სატკივარს
მიაფენს, რა ვნებით მიაბნევს...
შენ, ჩემო სულისდგმავ,მინდა,რომ
გჯეროდეს ღვთის სიბრძნეს*მიაღწევ!..

---

*ღვთის სიბრძნე-აქ; შენი კუთვნილი ბედნიერება

მაგული ღვინიაშვილი

მომენატრა

მომენატრა ჩემი ქვეყნის განთიადი,
გარიჟრაჟზე აფრენილი ტოროლა,
კახეთისკენ წამოწვერილი მზის სხივი,
ბაგის პირზე გამობმული ბოჩოლა.

მომენატრა ჩემი ქვეყნის გაღვიძება,
ოდა,ოდა გადაძახილი ხმები,
ორღობეში მოჭრიალე ურემი და
ნისლდაყრილი,ცადაწვდილი ქედები.

მომენატრა ჩემი ქვეყნის განთიადი,
ერთი ტკბილი მოფერება მომინდა,
დამილოცე, გთხოვ,უფალო საქართველო,
დამილოცე,ღმერთო ყველაზე წმინდა.

* * *

გარეთ ცივა,თოვს და ბარდნის,
ქოხში შეშა ტკაცუნობს,
ბუხრის პირას სარწეველა
სიძველისგან ჭრაჭუნობს.

შიგ ჩამჯდარი მოხუცები
ჩაბღუჯული ხელებით,
ვერ დაღლილი სიყვარულით,
ერთმანეთის ფერებით.

ვერ წაშალა სიყვარული,
ულმობელმა დრო-ჟამმა,
ვერ წაართვა სუფთა გრძნობა,
ვერც გადაღლილმა ჯანმა.

გარეთ ცივა,თოვს და ბარდნის,
ქოხში შეშა ტკაცუნობს,
ბუხრის პირას სარწეველა
სიძველისგან ჭრაჭუნობს.

ჩემი ახა

ღობე-ღობე,შუკა-შუკა
მოჭრიალე ურმები,
სოფლის თავზე გაწოლილი,
სქლად დაყრილი ღრუბლები.

მთის ფერდობზე, იალაღზე
შეფენილი ნახირი,
და დროდადრო -ჰამო ჰოო-
მენახირის ძახილი.

ხრამის პირზე გადმომდგარი
პაპა გაღმა გასცქერის,
ხელით თვალი მოუჩრდილავს
მუდამ შვილებს რომ ელის.

დაბლა ხრამში მოჩუხჩუხე
მთის მდინარე ანკარა,
ქვებში ნებად მომდინარე
ხან ჭკვიანი,ხან არა.

მდინარე ტოტებმოჭრილი,
შიგ ჩადგმული ფაცერი,
წყალში თევზი აღარაა,
მარტო წყალი გასცერი.

მდინარე რომ ძირს ულოკავს,
მერცხლების სადგომია,
კლდეში ბუდე გაუკეთავთ,
სხვაგან არსად ნდომიათ.

ცოტა ზევით სოლოს წყარო
მოდის ცივი,ანკარა,
გაგრილდები ვერას გავნებს
მცხუნვარე მზე,თაკარა.

იქვე გამოქვაბულია
კლდეში დიდი მაღარო,
შესვლას თუკი დააპირებ
თავი უნდა დახარო.

უფრო ზემოთ საძოვრები,
იალაღი იშლება,
ზაფხულობით ველმინდვრები
მთიბავებით ივსება.

სახლის გვერდით ანთებული
ფურნე ალებსა ლოკავს,
პურის ცომით ხელში ბებო,
უფლის დიდებას ლოცავს.

და იფრქვევა ცაში სუნი
გამომცხვარი პურების,
ღმერთო სუნი მენატრება
და სურვილი ყურების...

რექვიემივით...

ყველა რაც ბრწყინავს განა ოქროა?
ანდაც ალმასი ხელდაუდები.
ამ მზის სხივის ქვეშ ხომ ყველა ბზინავს,
მაშ,ბრწყინვალებას რათ ვერ ვუგებდი.

ხეზე დამჯდარა,ყრანტალებს ყვავი,
მოუპარია გლეხისთვის ყველი,
და მით ჰგონია პატრონი არის,
უკვე დაიპყრო ირგვლივ მთა-ველი.

ქარი ჰქრის,ლეწავს,ანგრევს ყველაფერს,
ურცხვი ხარხარით წაიღო ყური,
ცის სიკამკამეს რატომ ვერ იტანს,
გულში რად უდევს ბოღმა და შური.

მთა დანისლულა,მჭმუნვარე შუბლზე,
შეჰყუდებია მყინვარი წვერით,
და მის ნაპრალში ჩამჯდარი ეშმა,
სამყაროს გასცქერს მოჭუტულ მზერით.

თავქვე ბობოქრობს მდინარეები,
მორბიან ქვებზე რახა-რუხებით,
ეს დღე მათია,თუმცა კი მჯერა
დათვლილი არის მათი წუთები.

ყველა რაც ბრწყინავს განა ოქროა,
ან კი ვინც მღერის ყველა ბულბული,
გული მითხარი,შენ კაცის გული,
ადამიანზე შეყვარებული.

ემიგრანტი

არ დაიჯერო გაღიმებულს თუ დაინახავ,
ან ამღერებულს,აცეკვებულს და ხელებგაშლილს,
არ დაიჯერო,არ გაკიცხო და არ შეგშურდეს,
რადგან ვერ ხედავ ღიმილის ქვეშ ტკივილებს წაშლილს.
არ დაიჯერო თითქოს მუდამ ის კარგად არის,
არ დაიჯერო,არ შენატრო მის ამგვარ ყოფას,
არ დაიჯერო როცა ღიმილს შემოგანათებს,
თუ დაინახავ სურათებში მის ამაყ დგომას...
რამდენ ტკივილებს უხმოდ იტანს ნეტავ იცოდეთ,
ყელში გაჩხერილ რამდენ ლუკმას ცრემლებით ყლაპავს,
მონატრებებთან შეჭიდებულს პატარა მხრებით,
ყოველდღიური ბრძოლა უწევს თუმცა არა კლავს...
არ დაიჯერო,არ შეგშურდეს მისი ღიმილი,
არ დაიჯერო ცრემლნაყლაპი მისი სიცილი....

* * *

მზეს შეჰხარის და მით უფრო წითლდება,
ეს სიწითლე მერე როგორ უხდება,
მწვანე ველზე სიოც ეალერსება,
გულს უხარის,ასე ლაღებს რომ ვხედავ...
ხო ყაყაჩოს ეს სიმორცხვეც უხდება,
ატკერცილი,ალეწილი ლოყები,
მის სიწითლეს ვეტრფით,ვეალერსებით,
სიყვარულით გულდამწვარი ლოთები..
იქ კრწანისის ველი ალბათ ბიბინებს,
ვაჟკაცების სისხლით განაბანები,
იქ ყაყაჩოც უფრო მეტად ხასხასებს,
გულს გიხარებს პაპის დანაბარები.
იქ სადაც კი დარწეულა აკვანი
და დაზრდილან ალგეთს მგლების ბოკვრები,
იქ ვეფხვებთან მორკინალი ყრმა არის,
მიწას ბუღრავს ცეცხლოვანი მოზვრები ...
ცადაჭრილი არწივების კივილი,
ხევხუვებშიაც მოდგაფუნე წყლები,
მთებში ნისლი და მზე დანაბინდები...
მათ გარეშე გაფრენილი ეს წლები....

სიყვარულის დღეო...

განა ყველა გათენებული დღე სიყვარულის არაა?
სიყვარულის დღეო...
განა სიყვარულით არ შექმნა ღმერთმა
ეს ცა და ქვეყანა?

სიყვარულის დღეო...
განა მხოლოდ ერთი დღე უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი.
სიყვარულის დღეო...
განა მხოლოდ ამ დღეს უნდა გახსოვდეს შენ ჯიში და გენი?..

სიყვარულის დღეო...
განა მხოლოდ ერთ დღეს უყვართ
დედას შვილი,შვილებს მშობელი?
სიყვარულის დღეო...
ამ ერთ დღეს ეუბნებიან,,მიყვარხარო" ირგვლივ ყოველი?

სიყვარულის დღეო...

განა ღმერთი სიყვარულით
არ გვაღვიძებს ყოველ ცისმარეს.
სიყვარულის დღეო...
ან უფალი სიყვარულით
არ გვავიწყებს ყველა სიმწარეს....
სიყვარულის დღე,
სიყვარულის დღე.
სიყვარულის დღე.

ქუჩას სერავს ბოშა ქალი
თეძოების რხევით,
წყვილი თვალი მიაცილებს,
ნაღვლიანი მზერით.
ბოშა კუთხეში გაჩერდა,
მოტრიალდა უცბად,
თითქოს სურდა დაენახა,
ვინ უცქერდა ცუდად.
თვალით თვალებს შეეფეთა,
აილეწა მორცხვად,
თითქოს წუთით დაიბნა და
დაიწვაო ცოცხლად.
ეს გაგრძელდა საუკუნედ?
არა,მხოლოდ ერთ წამს,
თავისთვის ჩაიბუტბუტა
არ არსებობს,არ მწამს.
გადიყარა ზურგზე შავი
აწეწილი თმები,
აუთრთოლდა ტანზე ცერად
გაწოლილი მთები.
ერთ წამს თვალები დახუჭა
მონუსხული მზერით,
მერე ქუჩა გადასერა
თეძოების რხევით..

მარინა თოფურია

ანბანი, ღმერთი, სიყვარული – მესაუნჯება.

ამ სულის სიმი განვალაგე
ენის ხაოზე
მხოლოდ სიყვარულს დავღიღინებ
ნუ გაგაოცებთ.

ანბანის ხიბლი დავაქარგე
ბილიკ-შარა-გზას
ამ გულის თალხი სიყვარულით
გამოვარადდა.

სხვა რა შევკადრო უფლის ანბანს
ოდენ ტრფობისა
რაც ძველით მომდგამს მე ეგ მყოფნის,
მარად მოდისად

სულის სიმები დავაქარგე ენის ხაოს და
სიყვარულია რაიც ღმერთობს
გვიწყობს გამოცდას.

ღმერთს ელოცვება,
სულს სხვამც არ ძალუძს, არმც რა უნდება
ანბანი, ღმერთი, სიყვარული, მესაუნჯება.

ენის ლიბოზე სულის სიმი გადამიკვრია
 სასიყვარულოდ კარი გულის ღიად მიგდია

არ ველტვი მოდას,
არცა ვდევ და არ ვჩხრეკ რადარებს,
სიყვარულ – ნაკლე სამყაროა,
                  რაიც მადარდებს

ამიერ ქართული ბედისწერა

კოსმოგენები არ თრგუნავენ ცნობიერებას...
მარადისობას აალებით შევუერთდები,
სულნამცეცობას თუ რამ წასცდა, ლმობიერება
მოკვდავს ვით ძალუძს მომიტევებს
თავად ღმერთები ...
ცნობიერების მიღმიერი მახსოვრობიდან
განსასჯელია, მართლყოვნების წრფელი მისია...
გონ ჭვრეტა გვმართებს რით და
რაგვარ მოვალთ ოდიდან
რომ, წამ-ხარაჯა სამერმისო გასაგისია ...
ზე ციურიდან წინაპართა მესიჯებს ვშიფრავ,
ვინ ეროსია,
ვინ ვენერა,
ვინ აფროდიტე,
რომ დედამიწა ბრძენ მედეას კეთილ კვალს იმჩნევს,
კვალსაკეთილოდ
ჰელიოსის – ცირცეა მიმზერს...
სულაც არ მთრგუნავს გარდასახვის უცილობლობა...
პარნასზე მხოლოდ პარაგონის თითო ხიდია...
ზნე რჯულ ქართული ბედისწერით
მერგო ობლობა,
მეყო ობლობა შვილობილად
                ღმერთთან მივდივარ.

*

და
ხმამამომაღლოდ დავარისხებ
ამ გულის გვრინვას:
სამომავლო რაც,
ძირძველ
ქართულ ზნეს ემყარება,
ეჰეი...!!!
ქართველი:
ენით, რჯულით, დარაჯად მიდგა,
დედომიწაზე კაცობრიობის საუკვდავებლად

ქეთევან გელაშვილი

დედა ენა

დედა ენას ფესვები აქვს
ჩატანილი უკვე ქვესკნელს
შენ ვერ შეძლებ, ვერ აღმოფხვრი
ვერ დაარღვევ ქართულ წესებს.
ან ვინ მოგცა ეგ უფლება,
რომ ჩაგვიქრო ღადარი
გოგებაშვილს ვის შეადრით?
დიახ! არ ყავს ბადალი.
არ იყო და არ იქნება
ვარდის ადგილს ვინ წყვეტს იას,
დიდი მწერლის ნამოღვაწარს
ვერ გავატანთ ქარს და ნიავს.
დედა ენის მტარვალებო
ნუ გექნებათ მცდარი რისხვა!
ვინც მის გაუქმებას ითხოვთ
უკვეთესს სად ხედავთ სხისას.
გოვებაშვილს არ შეშლია
ია-ვარდის წიგნად ქცევა,
ჯერ დაწერეთ უკეთესი
მერე იწყეთ აღმა ფრენა.
არა ჩვენ არ გასამართლებთ,
უფალია მოწმე ერთი
სუყველაფერს კარგად ხედავს
მაღლა ციდან მამა ღმერთი.

საქართველო

საქართველოს სილამაზე არ აკლია
მომადლებულ მარიამის მადლით.
ახლა უფრო ლამაზდება საყვარელი
აღმავლობა ემატება ადლით.
საქართველოს ოთხი კუთხე შეგვიმოკლეს
არ დატოვა ჩვენთვის ოხერ მტერმა
ბევრი ომი, გლეხთა ჩაგვრა განვიცადეთ
თუმცა ბევრი იქადაგა ბერმა.
შემოჭრეს და შეამოკლეს ყველა კუთხე
ისე,როგორც მოკლე კაბის მკერავმა
ვერ გატეხეს მხოლოდ ხალხი ურყევი
მუჭი უფრო ქვად გადიქცა ხელადა.
შემოკლებულ კუთხეს ვლოცავ ზევიდან,
რომ მოჰყვება დიდ ალაზნის ნაპირებს
საქართველო მარიამის წილ-ხვედრი
ისევ გაზრდას განდიდებას აპირებს.
მტკვარს ქალაქის ელფერი აქვს იღიმის,
ამაყად,რომ მოაბიჯებს ,რჩეულად
ამინდია მის კალაპოტს არ სცდება
ზევით მიდის მისებურად ჩვეულად.
დაუყვებით დასავლეთის მხარეს და
უხვები ვართ მდინარეთა დინებით
სიზმარშიც კი გაზრდილს ვხედავ ჩვენს მიწას
მე არ ვამბობ უფალს ვხედავ ხილვებით.
მდინარეს და აქ ბუნებას რა დალევს,
მაგრამ მაინც ბევრი-ბევრი წაგვართვეს
სადაც "ღონე ვერ აჯობებს იცოდეთ!
იქ ხერხია გავხერხავთ და ავართმევთ."
რაც ჭამეს და მიითვისეს მიწები,
ხალხი კიდევ,როგორც ნივთი იყიდეს
გადიხადონ! დრო მოდისო ურყევი
სული ალბათ აქაც ეშმაკს მიჰყიდეს.
გამარჯვება უფლისაა იცოდეთ
თავის შვილებს, დედა არსად აჩერებს
თუ ცუდი ყავს? იმას უფრო იცოდებს
და ზურგს გლახას ის არასდროს აჩვენებს.
უფალია მომხმარეო და მოწყალე
სამსჯავროზე რიგმა უკვე უწია.
საქართველო დაბრუნდება მთლიანად
ცოტა ხანში ვიტყვით ისევ ლუწია.!

ნათია ჯიქურაშვილი

ანა შ.მჭედლიშვილს!

წახვედი და შეერიე ღრუბლებს,
მერე თვალზე წვიმის წვეთად გაჩნი,
რახანია, ცივ ქარიშხლებს ვუძლებ
ზოგჯერ იას, მომაკვდავსაც ვგავდი.

ფურცელ-ფურცელ დაშლილია გული,
მზის სხივებად ჩამიდგები მკერდში?
ამ სიცოცხლის უსათუთეს წყურვილს
ლექსის კაზმულ ჩუქურთმებით გეტყვი.

მერე რა რომ ქარს გაჰყევი ერთხელ?!
მწვერვალებზე სევდით დაწვა ნისლი
და მე ისევ სხვის სიყვარულს შევცქერ,
 ის კი მგონი სამყაროდაც იძვრის.

 სათავეში რა დავარქვათ გრძნობას,
(ილუზიებს სულ ემსხვრევათ ფრთები)
გულში ვამბობ შენთან აღარ მოვალ,
მერე...მერე ამ ფიქრებით ვკვდები.

ფერმკრთალია ცის ტატნობზე მზე და...
სულში ისევ გაწვიმების პირი...
დროსთან ჭიდილს აწი ვეღარ ვბედავ
და შენ სად ხარ, ამ გრძნობისთვის იბრძვი?!

მკლავებს მომხვევს სიმყუდროვე სახლის,
ცასთან ახლოს დამიდია ბინა,
თვალს დახუჭავ, სინანულით იტყვი,
ა, იმ სახლში ჩემს სიყვარულს სძინავს.

საქართველოს!

აქ ხომ ნისლიც კი სხვანაირად კოცნის მწვერვალებს,
ახედავ ცარგვალს, ლაჟვარდები გაგატიალებს
აქ ფერხთით წვება ყველა ქარვით მზე და ციალებს
მერე ამ სულში ჩარდახებით ლექსად წრიალებს.
აქ ყოველ კუნჭულს წინაპართა კვალი ატყვია,
გადარჩენისთვის ქვა-ღორღშიც კი სისხლის კვალია,
ალგეთს ლეკვები, ვაჟკაცები ყლორტად ამოდის
მრავალჟამიერ ქართველობის რწმენის მანტიას.
არ მინდა არა მე ამ გენის გარდაცვალება,
ვაჟი ვაჟს ჰგავდეს, ქალი იყოს მანდილი მერმის,
რომ სიყვარული უხრწნელია, გულში აქვს ფესვი
და ის არასდროს არ გაქრება, ბევრ რამეს შექმნის.
ღვთისმშობლის კვართი,
 გაბრიელის ლოცვა თუ გვიცავს,
ეჰეი, მთებო, მარადიულ სიტყვას თუ მეტყვით
მე ჩემი ქვეყნის ერთ მუჭ მიწას ვატარებ მკერდით
თიხა ვარ მისი სანამ... ცაში წამიყვანს ღმერთი.
აქ სხვაგვარია უკვდავების წყაროთა დენა,
დევით ნატორი დავინახე ქვაბული ერთი,
სად ტარიელი მონატრებით, ხილვებით კვდება
ველად გაჭრილი ვეფხვს იხუტებს და ქალის კდემას -
მზერაშიც კი გრძნობს,
 სატრფოს სულსაც ბოლომდე ხვდება.
აქ სხვაგვარია სიოს ღელვა, სხეულში კრთომა
აქ მარტივია რომ აღმოგხდეს ის ერთი ლექსიც,
მეორედმოსვლა, ვიცი, როსმე, დღეს თუ ხვალ მოვა,
აქ, საქართველოს შეუდგება ვაჟკაცი მხრებით.
დღეს ვაჟას დაბადების დღეა!

ვაჟა-ფშაველა კეკეს!

მინდვრის ყვავილებს მოგიკრეფ
სულ მოჩითულებს ველად
ნიავიც აღარ მოითმენს,
კაბის აფრენას ბედავს.
მზერაში სხივი ჩადგება
და თვალს გარიდებ - რატომ?
შენს სულში კდემა დაეშვა
გაგაცისკროვნა, ქალო!
გულმა იგრძნო და სიამე
ა, იმ ყვავილებს ჰგავდა
ბროლის მკერდზე რომ მიიკარ,
შენი სურნელი აჰყვა...
და მივხვდი ცის და მიწისთვის
ჩემთვის გაჩენილ ქალის
ყვავილიც ზოგჯერ გრძნობისთვის
სამყაროს ტოლი არის.

ელენე დარიანი პაოლოს!

იქით მდინარეა, აქეთ - მე,
იქით ქარია და მზე გულში,
ვიცი დღესაც როგორ მინატრე,
მე კი ავდექი და გაგიშვი...

წყალს რომ თავი მისცე მე რა ვქნა?!
უთქმელ დარდებად რომ გპატრონობ,
იქნებ ის ცისკარიც შენახარ
ცაზე ლექსს რომ მიწერ ბატონო!

იქნებ გულში ჩაკვრაც გწადია
წყალში მეორედაც შემოვალ?!
იქით ისევ ქარიშხალია,
შენში ჩასადგომად მელოდა.

ახლა გზებს უმზერ და კი იცი,
გაღმა დაგრჩენია სიცოცხლე,
შორით კვლავ ისრუტავ სიმძიმილს,
ღამეს მერამდენედ ეომე.

წინ გზა, უკან შლეგი მეწყერი
წამიც კი შეჩერდა იქ შენთან,
სანამ ისევ მე არ შემხვდები,
მანამ სულ იქნება ბნელება.

ერთხელ ცივ ტალღებსაც შეებმი,
(ყოფის მდინარესთან მეომარს)
მერე ვეღარ ვიტყვი: შეჩერდი!
მერე ჩემს მკლავებში შემოხვალ.

პაოლო იაშვილი ელენეს!

(სამწლიანი ლექსების ციკლი)

ასე ნატიფი და სევდიანი
გულში სიხარულად გამჩენოდი
შენებრ ნათელი და ფერიანი
ცაზე მზის სხივიც კი არ ამოდის!

ყველა განრიდებას გადვუდგები,
რადგან სიყვარულად ამობრწყინდი,
ბოლოს შენს დარდებსაც შევუდგები
იქნებ ჩასახვევად არც მელოდი?!

ათას მწველ ბაგეს თუ განვერიდე
ღრუბლის თეთრ ფთილაში ჩაგეკარი
იქ შენს გზებზე უნდა წამოვიდე
დაე, წინ დამიხვდეს ნარ-ეკალი!

დაე...ჰო, ყივჩაღმა ისხვაფერა
მოვვართქაფდებოდი უცებ, შლეგურ
ქმარსაც მოგიკლავდი ნებიერას
მერე წაგიყვანდი მთებში მე თუ!

ნაბდისქვეშ ნაზ სხეულს ჩავიხუტებ,
ამბორს გამოვტაცებ დილას ნათელს
მერე ჩემს მკლავებში დაგიგულებ,
მერე? - სიკვდილსაც კი არ ვიდარდებ!

იქნებდა...

არ ვედევნები უსაფუძვლო სიტყვის ქარიშხალს,
საქმეა მაინც გამოწვდილი უფლის მტევანი
და რაც დრომ ასე წარიტაცა, ჩემგან გარიყა,
რა ამაოა მღელვარება, თითზე კბენანი.

რა თანადგომა? - იუდამაც ღმერთი გაყიდა,
რა რწმენა? - როცა პილატეა ხელის დამბანი,
ზოგჯერ სულ მარტო ავუყვებით ყოფის გზაწვრილსაც,
საკუთარ ლანდს რომ არ დავშორდეთ, არის მთავარი!

ჰო, სიყვარული ვისთვის როგორ იქნებ ფრთებია?!
დაყრდნობაც, ალბათ, და იმედიც ამ გულის ფარად,
ზოგჯერ იქნებდა ჩაჩოქება რარიგ მერჩია,
რომ დამენახა კვლავ ხელგაწვდის ნეტარი ძალა!

ოლია ოკუჯავა გალაკტიონს!

შემოემსხვრია დღესაც სინათლე,
როგორც მეომარს ტანზე ჯავშანი,
სისხლი დასდინდა ვარდსაც სილაზე,
მზეს აუწითლა ბროლივით ღაწვი.

...და ამ დროს თუკი ჩუმად გინატრე,
იმ ერთ მარადის ლექსად წამომცდი,
ღამე დაღვრილი ფიქრთა სინაზედ,
ჩემი სარკმლიდან მთვარე გადმოდის...

რომ მიალერსოს შენებრ ფაქიზად,
(ჰო, რახანია, ვცდილობ მიყვარდე)
დრომ ცხრა მთის იქით ჩემგან გაგრიყა
და დამავიწყა შენი ტკბილბაგეც...

გული ჯებირებს ამსხვრევს შეყრისთვის,
გზაჯვარედინებს რკალად აერთებს,
მადლობელი ვარ მე იმ ბედისთვის,
იმ წუთისთვისაც, როცა შენ გნახე...

ესეც გაივლის! - ნაცადი სიბრძნე
სულში წრიალებს და ხსნას მოელის,
როგორც მეწყერი მოხვალ და ისევ
მკლავების წნულში ტკივილს მოვრჩები.

ღრუბელთა კრთომას ჰგავს ჟრუანტელი,
შენით ჩემამდე გაშლილი სივრცე,
სხვადასხვა გზებზე გვათოვს ფანტელი
და ამ გულს ხელით ბოლომდე ვიჭერთ.

რომ დავამსხვრიოთ ერთურთის ფერხთით,
ეს მონატრება სამსჭვალგაყრილი
როგორც ნესტანი მე გელი ისე,
შენ კი სადღაც ხარ ველად გაჭრილი.

მესხეთში, ვანის ქვაბებში, წმინდა გიორგის
ეკლესიის კედელზე მონაზვნის მიერ ამოტვიფრული
წარწერა - სახელად უკიდეგანო ტკივილი:
"14 წლისა აღმკვეცეს და 74 წლისა აქ შევიქენი.
რა ლამაზი იყავი ბიჭო!"

არ შემეძლო არ დამეწერა ეს ლექსი

...და ჩემ მაგიერ!

ვერ გადვუდექი ღმერთსაც და
ბოლოს მიტოც დაგტოვე ასე ცისდარი,
რაღა აზრი აქვს რისთვის და როგორ?!
შეუცნობია გზანი ღვთისანი.

უფერო დღეებს დაჰყვებათ სევდა
და იმ წუთების გავხდი ხიზანი,
შემოეხია ტანზე მზეს ზეცა
და დაბნელებით თუ შეგიცანი.

ახლა ეს თალხი სამოსელია,
განდევნილი ვარ შენი განცდიდან
ჰო, უჩემობა არც გდომებია
გულზე ტკივილის ლოდი დაიძრა.

შეგთხოვ ეს წასვლა მაინც შემინდო,
ფიქრების ჯვარი დამაქვს მკერდითაც,
მინდა, უფალი ისევ შევიტკბო,
მაგრამ ამ გულში შენ ხომ ღმერთი ხარ.

ვლიტანიობ და თავს დამართს თუ ვცემ,
ვინ იცის ჯვალო რა გზნებას მალავს?!
უშენობაა სასჯელი მძიმე,
გულზე ღმერთივით რომ მიყრის სამსჭვალს.

მაგრამ თვალები მახსოვს შუქმფენი,
სანამ ვიცოცხლებ, ხილვაც მწადია
და ამ გრძნობისთვის ვიყავ უძღები
ტანზე გადვიცვი რწმენის მანტია.

დაე, მონაზვნის სამოსლის მიღმა
ქალი სევდიან სერაფიტს ვგავდე
იცოდე ჩემი ლოცვები გიცავს
და ჩემ მაგიერ იხარე, ამენ!

და მე ვარ მაინც...

ფეხის წვერებზე დგება აისი
და მე ვიღვიძებ... მრუმეა ზეცა
პუანტებს იცვამს ფარდა ამ დილით
და ჩემთან ერთად ოთახში ცეკვავს.

ქარი შლეგია, დარაბებს ამსხვრევს
(ჩემთან ვერარას გახდება ისეც)
მე ისევ ისე ვწერ ნაზ წერილებს
და ყოველ დილით სულ ერთ კაცს ვირჩევ!

ჰო, ყოველ დილით ჟანგბადს ვისუნთქავ,
მაღიზიანებს ოთახში კვამლი,
რომელიც ასდის ამ შენს სიგარეტს
დაუსრულებლად არ აქრობ რაკი...

ფეხის წვერებზე ვდგები მაისურს -
იის სუნი აქვს და მომნუსხველი,
თეთრი მკლავებით, რიტმული რხევით
ვტრიალებ და ჩემს პარტნიორს ველი.

ტანგოს ცეკვავდა ამ დილას ქარი,
ამიყოლია და ჭიქა ვისკი
ფერხთ დავამსხვრიე, რადგან მგონია
არც მოწევა, არც დალევა ვიცი...

და არც სიცილი წრეგადასული,
ღიმილი ბაგეს ოდნავ რომ ხლეჩს და ...
მე არ ვარ ა, ის თამამი ქალი,
კაცებს რომ თვალი მუდმივად რჩებათ.

...და ყოველ დილით წერილს ვწერ მაინც
ისე ფაქიზად, როგორც სული მაქვს
და მაინც მე ვარ ოცნების ქალი,
რომელსაც უმზერ ისევ შორიდან.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ჰიმნი

რაჭის ჰაერით ვსუნთქვთ და...
ტყეს და ბარს ვეალერსებით,
დედის გულივით სუფთაა,
მთა და წინაპრის ფესვები.
თვითონ ჩვენა ვართ მამული,
ქალაქი, დაბა, სოფელი,,
ნერგი ვართ ხელით დარგული,
ვართ დროის წუთისოფელი.
ამბროლაურის მეორე,
სკოლა ვართ სწავლის სურვილით,
საწუთროვ, გაგვამეორე,
ცოდნის და შრომის წყურვილით.
ენა ვართ იაკობის და...
ვიცით ვინ იყო ილია...
სწავლაა ჩვენი ჰობი და..
აქ, მთაც მზესავით თბილია.
ამბროლაურის მეორე,
სკოლა ვართ სწავლის სურვილით,
საწუთროვ, გაგვამეორე,
ცოდნის და შრომის წყურვილით!

მეცოდება

გულით მინდა ნამეხარ ტოტს ვუმკურნალო,
შევუხორცო ღრმა ჭრილობა, სეტყვით ნავნებს...
იმედის რაშს გამოვუცვლი ნაცვეთ ნალებს,
გადამხმარ ვარდს რწმენა ისევ გაამწვანებს...
გულდაჭრილი, თან უიღბლო მეცოდება,
იარებით გული რომ აქვს დასერილი...
უბედობამ შემიყვარა, არ მშორდება,
მეცოდება ჩემნაირად დასევდილი.

ძალა მომეცი

სიმდიდრე არა ძალა მომეცი,
მტერი ცუდისთვის არ გავიმეტო,
მე სიყვარულის დედად მოვედი,
ეს გრძნობა მინდა რომ გადაედოთ.
რაღაცა უნდა გამოვიგონო,
ნაშრომი უნდა შევქმნა სიკეთის,
ბოროტი კეთილს რომ მივამგვანო,
წამალი უნდა შევქმნა ისეთი.
ზღვასავით გრძნობა უნდა ღელავდეს,
შიგ ბანაობდნენ დიდი – პატარა,
მტერს რომ მოდევდნონ მევე ვმალავდე
და ცრემლსაც ვღვრიდე მისთვის თაკარას!

სულის კერია

გზად შეგახვედრებ გულს გრძნობით სავსეს,
აგიფერადებ სევდის სამყაროს,
ახლაც ამ წუთში
 სიყვარულს გასმევ,
დარდებსაც უნდა ჩქარე გაგყარო.
შემოგაქუჩებ უბეში შვილო,
მოგიალერსებ როგოც ფერიას,
უკვე მიყვარხარ ძალიან ტკბილო,
გნატრობს და გელის სულის კერია!

ვარდისფერი სათვალე

მოვიხსენი ვარდისფერი სათვალე,
ვერ გიცანი შემეშინდა, გავოცდი,
მერე ჩუმად ათჯერ მაინც დავთვალე,
მოთბინების საზღვარს უკვე გამოცდი.
ამ ჩემს გულში ის ადგილი დაკარგე,
რაც გქონდა და ახლა აღარც გპირდები,
განდიდებას თუ ოდესმე დახარბდე,
მაგნაირებს მუდამ განვერიდები.
დალოცვილი იყავ სადაც წახვიდე,
უამრავი გქონდეს სამკაულები,
მე რაც მქონდა წიგნებისთვის გავყიდე,
დავაგროვე სიყვარულის გულები!

ვძლიერდები

ვძლიერდები უხილავი ძალით,
ზეციური იდუმალი სივრცით,
ვარ უბრალო და ალალი ქალი,
თუმცა მტერის დახვედრაც კი ვიცი.

ფიქრის ქუჩა

დავწერ მისამართის ნომერს,
ფიქრის ქუჩა მადლის სახლი,
ყველაფერი რაც ვიშრომე,
ყველაფერი არის ხალხის.
სიყვარულით ავაშენე,
ლოცვით ვზიდე აგურები,
სულის კოშკი დავაშენე,
ერთად ყოფნის სადგურებით.
კედლები სულ სიპი ქვაა
მარილიან ცრემლ- ნაზელი,
ჭიშკარი კი ირმის რქაა,
სახურავი არის ძველი.
არაუშავს თოვლს გაუძლებს,
თუ არ გაძლო გამოცვალეთ,
განაცვალებთ გადაღლილ ძვლებს,
თუ სიცოცხლე დამაცალეს.
რად შრომობსო ჩემზე უთქვამთ,
რად შექმნავო მოსავალი,
ასეთებსაც ხორბალს ვუფქვავ,
არავისთან არ მაქვს ვალი.
მტერს ვუძლებ და მოკეთეს კი,
რაც კი მქონდა სულ მივეცი,
გული ბევრჯერ გამკვეთეს და ..
მეტკინა და არ დავეცი!

ზეცა მპატრონობს

ბედო ნუ მომდევ ცელივით,
ვპატრონობ წიგნის სამყაროს,
აყმუვლდა ფიქრი მგელივით,
ფარხმალი არ მსურს დავყარო.
წიგნია განძი, საუნჯე,
ერთ სტროფსაც არვის ვაჩუქებ,
უწიგნურს სურს რომ დავმუნჯდე,
ცდილობს ნაფიქრი გაუქმდეს.
ზეცა მპატრონობს რად მინდა,
ცბიერთა დაფიდუფები,
ვიქეცი კეთილ ამინდად,
თუ წავალ კვლავ დავბრუნდები.
მოვალ პოემად, წიგნებად,
სული კი ცად აფრინდება,
დღეს თუ წვიმებით ბინდდება,
ხვალის დღე სითბოს მპირდება!

გავბედე

გავბედე გულს ფიქრის სანთელი,
დაგინთეთ – ჩაგიჩურჩულეთ,
გარდაცვლილთ გქონოდეთ ნათელი,
მე ვუძლებ ცხოვრებას ურთულესს.
უთქვენოდ ცხოვრება ან რაა,
არცა-რა გზას მაინც მივყვები,
კვლავ ვცდილობ სიკეთე გამოვცრა,
სუყველას ძველ ზღაპრებს ვუყვები.
იარეთ ვარსკვლავად აინთეთ...
გაფანტეთ ღრუბლების სიბნელე,
ქმარშვილო, სანთლები დავამთე,
დარდი კი ვერ მოვინელე.
ხუთო ძმავ, დათავ და მშობლებო,
ტკივილო მწარევ და თაკარავ,
ცად მოფრინალო ხოხბებო,
ჩემთვის არ გამოიდარა.
კვლავ მაინც ვუღიმი გაზაფხულს,
რომ კვირტმა ფოთლები გაშალოს,
ვამხნევებ გულს დარდით გამოხრულს...
ქარი დაძრწის და აშარობს.
იწოწიალოს შარაზე,
ანდა რა უნდა წამართვას,
გულის კარები ჩავრაზე,
კონცერტს ზეცაში გამართავთ!

ტყემალს არ ვჭამდი

იქნებ არც გჯერათ რომ მე სინდისის,
ვიყავ დამცველი რადგან მიღირდა,
მტკივა ტკივილი ჩემი შინდისის,
გზადაგზა მტერი გულმკერდს მიღრნიდა.
ტყემალს არ ვჭამდი რომ ჩემს მომავალს,
არ მოკვეთოდა ის სიბრძნის კბილი,
და ასე სუფთად ვიმკი მოსავალს,
ვარ ყველას დედა და თანაც ტკბილი.
უნდა იწამოთ რომ ღრუბლის ფენას,
წინ ვეფარები ვით ბრძოლის ფარი,
გავრბი და მომდევს ეს ფოთოლცვენა,
არ ჩერდებოდა ძლიერი ქარი.
აგერ შევჩერდი მოდი მესროლე,
მამულისათვის ეს ბრძოლა მიღირს...
არ ვარ მშიშარა ვიღაც თებროლე,
ჩემს დანახვაზე სიკვდილიც მირბის!

სამყაროს დედა

აი, სადა ვარ, აი ვინ მიყვარს,
რწმენა და სული ჩემი პოეტთა,
ქადა – ნაზუქებს სხვა კი არ მიკრავს,
პირიქით ქარმა წელში მომტეხა.
რწმენას მოუხმე და სიყვარულმა,
უკიდეგანოდ ფრთები გაშალა,
თუმც დრომ ბოროტად შემოპარულმა,
იწოწიალა ჩემს წინ გარშემო.
ბევრჯერ გადავაწყდი შრომის ბილიკზე,
რადგანაც ტვირთი ჩემზე მძიმეა,
სიკეთისათვის გამაქილიკეს,
თქვეს ესეც ერთი დიდი ვინმეა.
სიტყვა არა ვთქვი ვდუმდი მუნჯივით,
გაშლილ სუფრაზე სხვა ქეიფობდა,
დავაბიჯებდი მძიმე ხურჯინით,
მხოლოდ უფალი ჩემზე ფიქრობდა.
გთხოვ მიუტევე ცოდვილთ ცოდვები,
უფალო მე გთხოვ დედა -მშობელი,
უნდა შეუნდო სულელთ ბოდვები,
ჩემებია და თან ახლობლები.
ჩემი თვალები მხოლოდ მზეს ხედავს,
ღრუბელშიც მინდა თვალის სინათლე,
ვცდილობ რომ ვიყო სამყაროს დედა,
ვარსკვლავო ციდან ჩამომინათე!

ჩამოგინათებთ

მომავლისათვის ვაშენებ კედლებს,
ეს სახლი მადლით ავავსე შვილო,
მე უნდა ვთხოვო თქვენს გამზრდელ დედებს,
კალმოსნები რომ მე მომაშვილოს.
მხოლოდ მოვითხოვ თქვენგან მწირ სიტყვას,
ათინათს სადღაც რომ არ დამალავათ,
სამყარო ისეც მუშტს ცხვირში ირტყავს,
მადლი გახსოვდეთ სანამ დამკრძალავთ.
როცა ზეცაში შევაღებ კარებს,
თქვენ დაგიტოვებ ჩემს ათინათებს,
ოღონდაც დედი თქვენ გაიხარეთ,
იმ სამყაროდან ჩამოგინათებთ!

ამაღლებაა

კედელს სურვილი ჩავაქვიტკირე,
განაჩენი კი უფლის ნებაა,
იმ ჩემს ტკივილებს გამოვიტირებ...
დაგლოცავთ დღეს ხომ ამაღლებაა!

მადლის ბილიკს მივყვები

ჩემი გულის მადლსა ჰგავს,
ჩანჩქერები დინებით,
არც სხივები მწვავსა და ...
არც თოვლს არ ვუშინდები.

დარდიც მხრებზე მახურავს,
ჩემსას სხვას არ მოვახვევ,
დავტოვ მამაპაპურად,
სანამ თვალებს გავახელ.

ჩემი ფიქრის ბაგიდან,
მხოლოდ ლოცვა გაისმის,
სხვისი ოქროც არ მინდა,
მყოფნის ჩემი მაისი

დარდი ჩუმად ვიგლოვე,
სიძლიერე ჩემშია,
რწმენა კი არ ვითხოვე,
ჩემს სისხლსა და გენშია.

მადლის ბილიკს მივყვები,
იებს დავრგავ გზადაგზა,
ზღაპრებს კი არ გიყვებით,
მტერს რომ დავხვდე მზადავარ.

ვერ შევიძულე

ვერ შევიძულე უფალო მტერი,
განვერიდე და გთხოვ მაპატიე,
მისი სიკარგით ვარ ბედნიერი
მისი სიკარგე არ ამატირებს.
რა სჯობს სიყვარულს ფაქიზს და სათნოს,
უბოროტოს და ალალს გულღიას,
შენ ჩემო გულო უნდა დაგათრო,
დედშვილობის გრძნობის ბუღია!

ქვეშის ციხე

ქვეშის ციხე გადაჰყურებს ბოლნისს,
ყურძენივით მიწურულა ჟამი,
დუმს წარსული ეგუება ლოდინს,
აღარ ტირის ჩიტო გიო ღამით.
მოვეფერე მყარად ნაშენ გუმბათს...
წმინდა ხატებს შევავედრე ერი,
დარდი გაქრა წამიერად გულთან,
ის დღე იყო ჩემთვის ბედნიერი!

მნათობის როლი

ცის სილურჯიდან ვარდების სურნელს,
გორდში თვით ღმერთიც მოუხიბლია,
აქიდან ცაში ხმას ვაწვდენ სულებს,
და ფურცელ- ფურცელ ვფურცლავ ბიბლიას.
ციურ ანგელოზს, ცვარნამის ეშხით,
ნიას ვარდისთვის უჩურჩულნია,
გამოიცეკვა, ნაძვი და ვერხვი,
ნია ვარდივით გაფურჩქნულია.
ჩვენ დავმეგობრდით, ვით მზე მნათობებს,
წამებში გავხდი მე მისი ტოლი,
ნიაკო მინდა გულს, რომ მითბობდეს,
გაითამაშოს მნათობის როლი!

მოდით

სიყვარულის კოცონს ვანთებ,
გაიყინა სამყარო,
მოდით ჩემთან რომ ინათებს,
დარდს მსურს ყველა გაგყაროთ.
ვარსკვლავსა გავს ჩემი.გული,
ბნელს და უკუნს ანათებს,
თუ ალალად შემოუვლით,
გამოგკითხავთ ადათებს.
გული ხვდება უმეტყველოდ,
თუ რას ფიქრობთ,- განიცდით,
შვილებს უნდა შემოგევლოთ,
თუ ჩამორჩით დაგიცდით.

ვსუნთქავ...

გეფერები ცაო ისე,
დედა შვილს რომ ეფერება,
გულს რომ მწირი შვება მივცე,
ბედისწერა მემტერება.
ვალი არ მაქვს ლურჯო ცაო,
არც ახლის და არც წარსულის,
ჩემი ცრემლით გაჩნდა ზღვაო,
გზები შემხვდა დაქსაქსული.
ის ბილიკი მაინც ვნახე
 სადაც გავივლიდი სუფდად,
გავხდი სულის მევენახე,
ლექსთან თავისუფლად ვსუნთქავ!

სამომავლოდ

ჩემი ფიქრის ნაშენ კედლებს, მივამატე,
აგურები საშენებლად ცის და მიწის,
ძველებურად ქარი კედლებს როცა ამტვრევს,
სევდით გული მზის მკლავებში მაშინ იწვის.
რა ჩააქრობს დარდს ბედისწრით აალებულს,
მეძებარი მწევარივით ვპოტნი მიწას,
გამოვუშვებ ფერად,- ფერად ახალ კრებულს,
სევდის ცეცხლმა ვაზის ტოტი არ დამიწვას
სამომავლოდ ჩამოვიწევ იმედის ტოტს,
მზის აგურით ავაშენებ სულის ჭურჭელს,
ვასაზრდოვებ გაზაფხულის მოსხმული ყლორტს
და...
არ დავტოვებ ეკლებს ბაღში გამოუჭრელს!

მე და ჩემი ათინათი

ერთად ვცხოვრობთ ერთ დიდ სახლში,
უქმად არსად წამოვწვებით,
ვარდსაც ვთესავთ ბევრჯერ ქარში,
არ ვართ მტრისიც გამომწვევი.
მარგალიტებს ... სულის საზრდოს,
ათინათის გული იტევს,
ერმა აღარ დაიდარდოს,
სახრე ისეც გულში ურტყეს.
წნინდა ხატი ათინათის,
უბოროტო... რწმენით სავსე,
ცეცხლასაც უძლებს გულში ანთილს,
მკითხველს ცოდნის წყაროს ასმევს!

მოვაძლიერებ

მოვაძლიერებ სულის სამრეკლოს
სულიერ შვილებს გულში ჩავისვავ,
ძირში მოგკუპავ გულის ნაეკლო,
შენს ხელში ვარდმა არ იმაისა.
კიდევ არ მიცნობ რა შემიძლია,.
მე ჩემს წიწილებს როგორ ვპატრონობ,
ნატკენ გულს ვეღარ გამომძიძგნიან,
ნუ ცდილობ ჩემსას დაეპატრონო.
წადი შენი გზით ფრთები გაშალე,
იარე წინ და გქონდეს სიუხვე,
აქ მოსასვლელი გზები წაშალე,
ჩემს ბილიკისკენ ვეღარ მოუხვევ!

ჩამოვედი

ჩამოვედი მოგიკითხავთ,
აბა როგორ მყავხართ ხალხო,
მტერს არასდროს განვიკითხავ,
ახლოს არ მსურს დავინახო.
ქონდეს ოქრო, მილიონი,
სამკაული ფირუზ-ლალი,
მე კი სულის იონი და...,
ერთგულებით ვიყო მთვრალი.

ძალიან მაფიქრებს

ვცდილობ რომ არ გაწყდეს მოთმენის ძარღვები,
ნათოვლარ გულის პირს ისევ არ დათოვოს,
როდისღა გავთბები, ან როდის დავლღვები,
ქართველი ქუჩაში რამდენი მათხოვრობს.
კვლავ ვცდილობ დავლაშქრო მთა დაულაშქრავი,
შევძლებ კი ყოველთვის ცარიელ ხელებით,
თან მახლავს ფიქრების არმიის ლაშქარი,
თვალს უნდა აღიქვას სამყაროს ფერები.
ამოილაჟვარდოს ჩემს ახლოს არწივმა,
ხან მთებით იფრინოს ხან გავდეს შევარდენს,
დამიღრნა ძარღვები ბედისწრის ნაწვიმმა,
რადგანაც სამშობლო ძალიან მადარდებს!

რთველია თბილისს

მელოდებიან სიყვარულის რთველია თბილისს,
უნდა დავკრიფო ჩემი წილი ბროწეულები,
ჩემს სოფელშიაც შემოსულა მსხალი და თხილი,
უჩემოდ ვიცი იქნებიან მოწყენილები.

*. *. *. *
ღირს კვლავ სიცოცხლე ყვავილმა მითხრა,
შენში სიცოცხლის ცეცხლი ანთია,
მოკრძალებულად მომიკითხა და...
მერე ჩემს ლექსთან ღამე ათია.

დაველოდები

დაველოდები ღვთისმშობელის ლოცვას ზეციდან,
თორმეტ საათზე განათდება დედა სამყარო,
წილნაყარ მიწას მოეფერე დედავ, შეცივდა,
თორემ დაშრება იმედების მთების ცხრა წყარო.

არ მინდა მჯეროდეს

გავრბი და მომდევნ ფიქრები არ ყოფნის,
მად არა დათა შენ აქ უნდა მღეროდე,
ადგილი არ შეგხვდა აქ შენი საყოფი,
ჭალვანში რომ არ ხარ არ მინდა მჯეროდეს.
იმ, ბედს კი რა ვუთხრა გულქვას და უგულოს,
ასეთი ვაჟკაცი დედას რონ წაართვა,
ჩემს ძმიშვილს შავებში მე როგორ ვუყურო,
შენ ვიცი ზეცაში დიდ ზეიმს გამართავ.
ლექსებსაც მოყვები კიდევაც იცეკვებ,
გადაშლი მხარმკლავებს ლამაზი ვაჟკაცი,
მზე ბიჭი მნათობებს მწამს გამოიცეკვებ,
ოთხ წელში,,ღიმილა" ვიცი რომ დაკაცდი!

სიზმარში

ხშირად გნახულობ სიზმარში,.
ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს,
ხან იწკუმპლები წვიმაში,
ყვავილი არ გაგიშავდეს.
შენს სილამაზეს ვამგვანებ,
საქართველოს და მომავალს,
ბოლქვს როცა მიწას დარგავენ,
ისევ ყვავილად ამოვა.

ფერს შეიცვლის

ჩიტი კენკავს ჩემი ეზოს ნაყოფს,
მწიფე ლეღვს გავს სიტკბოთი და ფერით...
მიზნობრივად მათ დრო ისე დაყოფთ,
შემოდგომის იყოს შესაფერი.
ფერს შეიცვლის დამწიფდება თითა,
ყურძნის მტევნებს დაამძიმებთ ტანი,
კაკლის გულებს კანი დაეფლითათ,
შეიცვალნენ უკვე ვერ ვიცანი.
ჩემი ბაღის დაშაქრებულ ყურძენს,
ვუწილადებ მშიერსა და ობოლს,
სამომავლოდ ბებერ მუხის კუნძებს,
არვინ უთხრას არის უსამშობლო.
საზღვრისპირა სოფლებს ცრემლი ცვივა
დრო გარდაცვლილ სიყვარულზე ყვება,
წნელისის მთებს თუკი ისევ ცივა,
ძველი სითბო მზის სხივს ჩამოყვება,
დამოყვრდება ქართველი და ოსი,
არვინ მითხრას ეს რომ არ მოხდება,
ყოველ ღამე გავათენებ ლოცვით,
უფლის ნებით ნატვრა ამიხდება!

ხარაიშვილებო

დღეს ჩვენი დღეა ნაკურთხი და მირონცხებული,
ხარაიშვილებს დაანათლა ღმერთმა ზეობა,
არ გვეშინია მგელის ხახის გამხეცებულის,
სულის სიმდიდრე არის ჩვენი კეთილდღეობა.

ხარის ძალა გვაქვს გამტანობა და სიყვარული,
გვიყვარს მოყვასი საქართველოს მიწა, ბუნება,
ვიცით დახვედრა თუ მტერია შემოპარული,
ჩვენ ის გენი ვართ, სამშობლოს რომ ებულბულება!

გავერიდები

გავერიდები სევდის ყანებს თოვლისგან ნასუსხს...
იქ, დავსახლდები სადაც ვერხვი აშრიალდება,
რომ ჩემს მომავალს შეუცდომლად კვლავ ვცემდე პასუხს,
დედამიწა რომ უშფოთველად დატრიალდება.

იქ, დავსახლდები სადაც შრომის ფასი იციან,
სადაც სიყვარულს არ ჭირდება განძეულები,
ჩემი სიცოცხლე ერთგულების შენაფიცია,
ნდობის საამქროც ჩემში არის გამოულევი.

იქ სადაც ადრე

იქ სადაც ადრე ბურბონები იკრიბებოდნენ,
ციხე სიმაგრის სიახლოვეს ჩამოვისვენე,
მამულისათვის იბრძოდნენ და ბევრიც კვდებოდნენ,
ო, მაპატიონ თუ სხვაგანაც ჩემსას ვიხსენებ.

მინდვრის სიმწვანეს შევახვიე გულის სურვილი
შევუქართულე დედაენით უცხო ყვავილებს,
საფრანგეთშიაც საქართველოს მკლავდა წყურვილი,
სხვა შევიყვარო??? ამას გულშიც როგორ გავივლებ!

მაინც ის მიყვარს

სხვისი სამშობლოს სილამაზე როდის მიკვირდა,
ერთგულებას კი სულ დავეძებ დასაბამიდან,
თუ სხვის მიწაზე იმედები გამოიკვირტა,,
უსაქართველოდ თვით სიცოცხლეც აბა რად მინდა.

მოვეფერები ჩემი მიწის გამხმარ ბალახსაც,
სადაც სურნელი მწვანე ხავსაც შემორჩენია,
ახლა ამჟამად ყველაფერი დრომ თუ გალახა,
მაინც ის მიყვარს ამ ყვავილებს ის მირჩევნია!

ნუ ჩაიცვამ

კაბას ბიჭო ნუ ჩაიცვამ,
ქალს რად გინდა დაემგვანო,
შენი თავი გამოიცან,
ქალ-კაცად არ იგოგმანო.

თუ ავად ხარ იმკურნალე,
არასოდეს არ გაგკიცხავ,
ვაჟო, კაცად იბრწყინვალე,
შენი თავი გამოიცან.

ერი ვინღა გაამრავლოს,
ქალს რომ ქალი შეუყვარდეს,
მერე სხვას არ დააბრალო,
თავს რომ ბავშვიც გაგიყადრებს.

პირამიდებს მიწვდი გრძნობით,
გაამრავლე ფუძე შენი,
გული გულთან შენადნობი,
ქალს ცოლობა კაცთან შვენის.

ვალში

ისევ ჩამოწვიმა დილას,
კაკლებივით სეტყვას ისვრის,
მოვეფერე ღრუბელს ფრთხილად,
სითბო ვინათხოვრე მზისი.

იმედების წყაროს ვეძებ,
ჩემთვის არა თქვენთვის მინდა,
სუფთას უმანკოს და წმინდას,
რომ სულ იყვავილოთ შინდად.

მხარზე დამაფრინდა შაშვი,
საცოდავად აწრიპინდა,
ციცქნა იყო როგორც ბავშვი,
თითქოს იყო სული წმინდა.

გამიკვირდა ენა ესმის,
გავემზადე სამასპინძლოდ,
წყალი მთხოვა ერთი პეშვი,
ტკბილად უნდა ვუმასპინძლო.

ჩიტმა შემომხედა კრძალვით,
ცრემლი გადამალა თვალში,
მასაც ვუყურებდი დაღლილს,
დავრჩი მასპინძელი ვალში!

ძირულიდან ვარ

მათ რომ ეგონათ ჩამოწურეს გონის ჭურჭელი,
ისევ ავივსე ენერგიის უხვი მარაგით,
თუმცა არ დარჩათ გულის კუნთი გამოუჭმელი,
ეს ყველაფერი სათქმელადაც ჩემთვის არა ღირს.
ძირულიდან ვარ, პოეზიით დაუშრეტელი,
შვილი ვარ, დედა, ბებია და სხვათა დამხმარე,
ზეცის შვილი ვარ, კავშირია განუწყვეტელი,
მე ასეთი ვარ, ჩემთან ახლოს მტერსაც ვახარებ.
არ მეშინია, სიკეთეა ჩემი აბჯარი,
ხან ვიექიმე მოვარჩინე ენით დაჭრილი,
ჩემი გენია სიძლიერის ხართან ნაჯვარი,
თუმცა სულია გაზაფხულის თეთრი აპრილი!

ვალდებულება

ერთხელ მოვსინჯე გამეცურა უცხო მდინარეს
და უსასრულო აღმაფრენის ტალღებს მივდევდი,
უცხო სტუმრის სიყვარულით გამომდინარე,
ზღვის გედს გავყევი როგორც იქნა ნაპირს მივედი.
მოკრძალებულად შემეგება მთები ნაპირზე,
ვალდებულაც მოიხადა უცხო სტუმართან,
აბა რა მეთქვა ვებერთელა ლამაზ პარიზზე,
ჩამოისვენა იქვე ახლოს ლექსმა სუფრასთან!

ფიქრი

ნაძვებივით მარადმწვანე ფიქრი,
უჩინარი დარდის თოვლის ხროვა,
ნეტავ რაა ცათა მთების იქით,
ვინც წავიდა ნუთუ მართლა მოვა.
ველოდები ყოველ დღე და ღამე,
კარებს ვტოვებ ძალზე ხშირად ღიას,
გაზაფხული მიფერადებს წამებს,
დედის ცრემლით რომ ამოდის ია.
ღამით მთვარეს შევეკითხე კრძალვით,
თოვლ- ქარბუქში რატომ იმალება,
გზაზე მიდის სევდიანი ქალი,
რომ ვერ ხედავს მტერსაც ესალმება.
ყური მოკრა ჩვენს საუბარს ზეცამ,
გადმოაგდო ელვის გრძელი ენა,
სულ რომ ტანზე მწვანე კაბა მეცვას,
ვერ შეამჩნევ თუ დაკარგე რწმენა.
დავუჯერე ლურჯი ზეცის რჩევას,
ღრუბლის ფენას მზის სხივები შლიდა,
ვინც წავიდა ისევ ჩემში რჩება
და ღვთის რწმენამ გული დამიმშვიდა!

იმ მზეს ველი

ჯერ გამათბო მაისის თვემ,
კვლავ ისევე მახვევს ქურქში
მყინავს აბა როგორ გავთბე,
როცა დარდიც მიდევს გულში.
დილით მზეა საღამოთი,
წამოუშენს სეტყვას ზეცა,
დალოცვილო თუ გამოთბი,
ამიხსენი ტანს რა მეცვას.
ისევ ამოვქექე ძველი,
რაც გამაჩნდა სამოსელი,
ყინვას ვეღარ გაუძელი,
ვინც გამზარდა იმ მზეს ველი!

საინგილოს ვარდები

ბილიკ-ბილიკ გზის აღმართზე,
ვარდს ვეძებდი ვერსად ვნახე,
სხვას არასდროს არ წავართმევ,
უბრალოდაც ხელს არ ვახლებ.

საინგილოს ვარდის კონა,
მე მომართვეს, ჩემი არის,
დავხედე და მომეწონა,
ვერ წამართმევს ამას ქარი.

წყალს დავუსხავ ყოველ დილით,
სურნელებას თვითონ აფრქვევს,
შორი გზა აქვს გამოვლილი,
მე მას საქართველოს ვარქმევ!

ოქრო თუ ლექსი

მეკითხებიან როგორც მოსწავლეს,
რა გირჩევნია, ოქრო თუ ლექსი,
ჩამჩიჩინებენ როგორც მოვალეს,
არადა ლექსი ძილშიდაც მესმის.

განძს წამართმევენ ლექსი კი ღრმაა,
ოკეანეში როგორც წყლის ფსკერი
მერცხლის ჭიკჭიკიეს ლექსის ხმაა,
გაზაფხულებას ლექსივით მღერის.

ლექსთან ვიძინებ, გადავშლი მკლავებს,
ხან საბანივით შემოვიკეცავ,
სიმდიდრისათვის ერთმანეთს კლავენ
მე კი მსურს ლექსის სამოსი მეცვას!

ორი ჩიტი

სკუპ და ხიდან გადმოფრინდა,
ორი ციცქნა ჩიტის ბარტყი,
მათთან ყოფნა უკვე ღირდა,
დარდიანი უცებ დავტკბი.
ხან დახტოდნენ წყალის მხარეს,
ხანაც ჩემთან სურდათ ყოფნა,
თუმც ხელი არ დავაკარე,
ფრთა სირბილით გაეოფლათ.
მოვეფერო ჩიტებს მინდა,
საკენკიც კი დავუყარე,
ერთი ხელზე დამაფრინდა,
თვალი- თვალში გავუყარე.
მისი ენა რომ არ ვიცი,
ჩიტუნიას მე რა ვუთხრა,
მიყურებს და ჩიტი მიცდის
დუმს და მზერა გულს მითუთქავს.
ჩემთვის რაღაც ვიბუტბუტე,
არ მიმიღეს მასპინძელად,
ბოლოს თითქოს გამებუტნენ,
ჩემთან ყოფნა გაუძნელდათ.
რა იციან ამ ჩიტებმა,
 ანაბანა ქართველების,
გედებმა და ან გვრიტებმა,
გენეტიკა მთასვლელების.
გამახსენდა ხერგიანი,
მთის არწივი და კლდის ვეფხვი,
გავხდი უცებ სევდიანი,
ცრემლებს ღვრიდა კლდის პირს ვერხვი!

პაპაჩემო

ვალი მოვიხადე პაპაჩემო,
შენზე რომ შევქმენი ისტორია,
პაპა, ჩემი მამის გადამრჩენო,
რამდენ ტკივილებით გიცხოვრია.
წიგნი მოგიხღვენი შვილიშვილმა,
ვალი მოვიხადე რკინის კაცო,
გულმა უშენობით იშიმშილა,
იქნებ ამტანობით გაგაოცო.
ვიცი სხივს მიგზავნი რომ ყინულმა,
რომ არ გაგიყინოს შვილიშვილი,
ბევრჯერ გადამყლაპა უკუნმა და...
მაინც საქმითა ვარ გადაღლილი.
ლოცვით შემიმაგრე ჯებირები,
რადგან მარტო შევრჩი მტრის ბანაკებს,
ვფიცავ სულ არავის ვეჯიბრები,
ხეზე ქრისტესავით გამომაკრეს!

ყურადღება

ვერცხლსაც დათმობ ოქროულსაც,
სახლსაც. ხელით აშენებულს,
ახლობელს და შორეულსაც,
ვენახს შენით გაშენებულს.
მხოლოდ გქონდეს ყურადღება,
ასაკში რომ შეაბიჯებ,
სხეული რომ დაბერდება,
მოხუცს სხვას არ შეგაჯიბრებს.
ეყვარები როგორიც ხარ
რაღაც უშნო შესახედად,
გული თუ არ გამოგიხრა,
ლუკმა თუ არ დაგაყვედრა.
არ დაგცინებს როცა დაწერ,
ლექსს ძვალივით როცა დაღრნი,
შენს ჯამს გვერდზე რომ არ გაწევს,.
ხელს წაგატანს დარდით დაღლილს.

ცხელი ღუმელი

კოპებშეკრული არასოდეს დღეს არ ვითენებ,.
ამჯერად მინდა ჩემი სახის ფორმა შევცვალო,
ჩემი ლექსები მერცხლებვით მაშინ იფრენ,
რაც ტკივილი მაქვს ერთიანად უნდა დავცალო.

გული თბილი მაქვს არ შეშინდეთ არა ვბრაზდები,
მე რას დამაკლებს მოფარფატე შავი ღრუბელი,
დამაქვს სიკეთე უშურველად ფიანდაზებით,
ჩემი გულია ძვირფასებო ცხელი ღუმელი!

მირჩევნია

უქმად ყოფნას ისევ შრომა მირჩევნია,
დასვენებას ვერ ვიფერებ პარიზში,
რადგან წლები სიფუსფუსეს მიჩვევია,
დამიწესეთ გაჩერების ტარიფი.

უნდა შევქმნა რაღაც უცხო სამომავლოდ,
რომ კვლავ შევსვა ერთგულების ფიალა,
სიყვარული ძალით კი არ დამავალოთ,
დაგიტივოთ გრძნობის თასი მთლიანად.

მუხლი მიჭრის ისე როგორ გავჩერდები,
ვერ ვიფერებ მზრუნველობას სხვისას,
ჩრდილში ჯდომითაბა როგორ დავბერდები,
უშრომელად არაფერი მოდის!

ზეცა იწვა

ზეცა იწვა დედამიწის მკვლავებში
და სიწმინდის სამოსელში სუნთქავდა,
კრთოდა წამი ვარსკვლავთ ლამაზმანებში,
ღამის ქვაბი დარდებს ცაში ფუფქავდა.
თეთრ ნისლებში ჩავიკარგე ...დავნებდი,
წამწამებში მიიძინა ტკივილმა,
გალაქტიკის უსასრულო განედი,
შეაფხიზლა მნათობების ღიმილმა.
იის ფერით ირიჟრაჟა სამყარომ,
მზის სხივები კალმახებთან თამაშობს,
საფრანგეთის ჩანჩქერების ცხრა წყაროს,
იმედებით უნდა შევეთამაშო!

და მაინც

ძლიერი მაშინ ხარ
როცა გულს გწიწკნიან,
შენ მაინც სიყვარულს
აგზავნი გზავნილით,
ყველა მე მესროლეს
სადაც რომ ხიწვია,
კეთილი კვალია
კვლავ ჩემგან გავლილი!

ბოროტება კი გადაიფიქრეთ

ამბობენ დარდმა გადააგვარა,
გული ჰქონდაო თბილი მანამდე,
მე კი ხასიათს ავხსნი ამგვარად,
დარდს სატკივარი თვითონ გავანდე.
ვუთხარ რას დამდემ დილა-საღამოს,
აჯობებს ისევ უკან გაბრუნდე,
ისედაც მტკივა შენ გსურს დამღალო,
ანდა რად გინდა ცრემლით დავბრმავდე?!
დარდებს ვაჩუქე იმედის წიგნი,
მერე გავაღე რწმენის კარები,
ასე ვიარე ზღვის ფსკერზე შიგნით,
სიძულვილის გზას არ ვეკარები.
თქვენც გირჩევთ მშვიდი ნახოთ სამყარო,
ცუდზე არასდროს აღარ იფიქროთ,
დარდის ღრუბლები უნდა გაყაროთ,
ბოროტება კი გადაიფიქროთ!

ცაში

ცაში ვარსკვლავები გადავთვალე,
მერე მთვარეს წყნარად ვესაუბრე,
დარდი იმედებით გადავთალე,
ბედს კი სამუდამოდ დავეუბრე.
ციდან მიღიმოდა ცისარტყელა,
თითქოს ნაცნობი და მეგობარი,
გული რაღაც ძალამ დაატყვევა,
ერთად შეიკრიბა მთა და ბარი.
ჩემი საჩივარი განიხილეს,
ბედს რომ გულის კარი მიუხურე,
მთვარე – მოსამართლე გავაფრთხილე,
მართალს რომ არავინ გაამართლებს.
დარდი გულში აღარ დამეტია,
მზე რომ ხელოვნურად გაამწვანეს,
ეს დრო მდიდარისთვის კამფეტია,
ღარიბს სიკეთისთვის გაამწარებს!

ღმერთი გწყალობდეს

არ გაგეხარდეს სხვისი წაქცევა,
როცა სხვას უჭირს ნუ გაიცინებ,
ბრმა ტყვია ზოგჯერ შენც არ აგცდება,
მლიქვნელს ტალახს ვერ მოიცილებ.
ხან მზე იქნება და ხანაც ელვა,
ცუდი და კარგი არ დაილევა,
ნუ დაიფიცებ ტყუილზე დედას,
თორემ სამყარო გადაირევა.
შენც ხარ სტუმარი ამავ სოფელის,
ლექსი რითმებით ააგალობე,
არ ხარ სიკეთის უარმყოფელი
და ჰოდა კარგო ღმერთი გწყალობდეს!

ვისაც უკვდავების სჯერა

მალე შემოაღებს კარებს,
შეეგებეთ წიგნად მოსვლას,
წვიმდა... ალბათ გადიკარებს,
ათინათებს" სხივი მოსავს.
შეეგებეთ მატიანეს, სიტყვით ნაქარგს,
ლექსად ნაძერწს,
სულის მზეს რომ ანიავებს,
საუკუნე მჯერვს გაძლებს.
როგოც ,,ბადროს" ციდან ნატყოცნს,
რომ გიზგიზებს სახლის კერა,
უკვდავება ყველა ავტორს,
ვისაც უფლის სწამს და სჯერა.

ცხოვრების ხიდი

დიდ ხიდსა გავს ეს ცხოვრება,
ხან გახვალ და ხან გამოხვალ,
დარდი არსად არ გშორდება,
თუ გაჯობა გულს გამოგხრავს.
ჰოდა, მიტომ გავეცალე,
კეჭებივით გადავყარე,
ჩემი სხვაშიც ვერ გავცვალე,
მერე დარდიც შევიყვარე.
ჰოდა, ვცხოვრობ დარდთან ერთად,
ჩემს ბალიშზე ხვრინავს ბევრჯერ,
ჭირში-ლხინშიც არის ჩემთან,
თუ წავიდა სხვასთან ვეძებ .
ამ ცხოვრების ხიდის ჯებირს,
ორთავ ხელით ჩავეჭიდე,
ეს დრო იწყებს დროსთან შეჯიბრს,
ნეტავ ხალხს არ გაუჭირდეს.
გული დარდით რას გახდება,
ჯებირს არღვევს ფულის არხი,
გაჭირვებულს კლდე დახვდება,
გამომძღარი თავს არ დახრის!

ვიარე ციცაბო აღმართზე

ძნელია იარო კლდეებზე,
ვით ჯიხვი შებედო ქვაფენილს,
მაღლიდან დაეშვა ფერდობზე,
თან სდიო არწივებს აფრენლს.
ვიარე ციცაბო აღმართზე,
არასდროს ვიკადრე ღალატი,
არ მინდა წავიქცე – დამთავრდე,
გული მაქვს ვით ნაზი ბარხატი.
უკან მოხედვაც რად მინდა,
ისევე წინ უნდა ვიარო,
გავძლებ თუ ისევ გაწვიმდა,
გულზეც რომ გადამიარონ.
ხან კლდეც ვარ სიპი და უტეხი,
არადა სინაზეც მიხდება,
მტერს ბევრჯერ წინ გადავუდექი,
ვინ იყო თვითონაც მიხვდება.
წყლისა და სიპ ქვებთან გაზრდილის,
არც უნდა გიკვირდესთ ეს ბრძოლა,
ნუ გეჩვენებით დაღლილი,
კვლავ შევძლებ ჯარის გაძღოლას!

დ უ მ ი ლ ი

მდინარის დუმილი მიკვირს მე რადგანაც,
ებრძვის თან უძლებს ბედისწრის ნალექებს,
წაპირზე ყოველთვის გულზე ფეხს ადგამენ,
მდინარის სათავეს ვიღაცა აქეზებს.
ო, არა დამშვიდდი მდინარის ტალღებო,
სიამის ფსკერზე რომ იცუროს თევზებმა,
ნუ ყეფავთ ქუჩაში უაზროდ ძაღლებო,
სამშობლოს საჯიშე ბოკვრები ეზრდება

სახლი სახლასა გავს

თითქოს ბუნება ერთნაირია,
სახლი სახლსა გავს
ვარდები ვარდებს,
მაინც ფიქრები უცნაურია,
მონატრების ეჭვს
ყოველ დღე ბადებს.
რა სიმშვიდეა ყველგან ქუჩებში,
არ კამათობენ ლანძღვის სიტყვებით,
იებიც ყვავის მინდვრად ბუჩქებში
და ხიდან ხეზე ხტიან ციყვები.
ვარ საფრანგეთში
ვზივარ და ვფიქრობ,
ჩემი სამშობლო რით განსხვავდება,
დარდი რაც გამყვა
ვერაფრით ვიქრობ,
დანაშაულის დგება ბრალდება..
ისე გავსხალით
ვაზის ტოტები,
რომლის ყლორტებიც
სხვაგან იზრდება,
ჩემი ფიქრების ნატურმოტები,
ქართულ მიწაზე გადაიზრდება
ვინ დახსნას მიწა პაპის გუთანით,
სახლს მწვანე ხავსი ვინ გააცალოს,
ვწუხვარ და ფიქრი
კვლავ ფიქრს ვუთხარი,
სამშობლო სულ არ გარდაიცვალოს!

ციცაბო კლდეს გავს

კვლავ ეს ცხოვრება გავს კლდეს, ციცაბოს ...
მზე დედამიწას არ ეფერება,
ან რა დავწერო, ან რა გიამბოთ,
არ ვიცი დროის შესხვაფერება.
რას მომშორდება სევდა ულევი,
არეულ ღრუბლს როცა ვუყვირებ,
მხრებზე დავიდგი სიტყვის უღელი,
გულს ეს საკენკად გადავუყვარე!

მე ის დედა ვარ

მე ის დედა ვარ შვილის გულისთვის,
რომ დავთმე თუ რამ დასათმობია,
დროს არ ვკარგავდი ბოღმა-შურისთვის,
გული ღვთის რწმენით განათბობია.
თუ ვინმეს ტკივა მათი დედა ვარ,
და ვყოფ თხილის გულს ნაწილ-ნაწილად,
რომ სულ ვიბრძოლო მუდამ მზადავარ,
მერცხლებმა იგრძნონ თავი არწივად.
მე ის დედა ვარ სხვებსაც რომ ზრდიდა,
როგორც შვილი და სულ ახლობლები,
რომ არ უჭირდა ტვირთის ზიდვა და...
ეცოდებოდა ბრმა და ობლები.
მე ის დედა ვარ, როცა შიოდა,
სხვის შვილს რომ ხელი გამოუწოდა,
თვალიდან ცრემლი ჩამოდიოდა,
იმანაც ბევრჯერ დედა უწოდა.
მე ის დედა ვარ რომ მიბრძოლია,
სიტყვით და საქმით როგორც წესია,
არასდროს მითქვამს ერთზე ორია,
რადგან სიმართლე მუდამ ჩემშია.
მე ის დედა ვარ, კვლავ რომ შრომობდა,
ეკალ- ვარდები გზად რომ ხვდებოდა,
მაინც წვალობდა, მაინც ომობდა,
ტყვიებს სროდნენ და არა კვდებოდა.

მჯერა

სითბო გამატანე ბევრი,
რომ არ შემამცივნოს გზაში,
სუნი მომენატრა კერის
ხმები... მოჭიკჭიკე შაშვის.

დროს არ შემოვცვითავ შურით,
წუთსაც სიყვარულით მოვქსოვ,
ცეცხლი მომენატრა ბუხრის,
მტკვარის ქაშაპი და ლოქო.

შენ კი დაგილოცავ კერას,
გმადლობთ მასპინძელო კარგო,
შენი ერთგულების მჯერა,
მჯერა გულკეთილო ფრანგო.

დაგრჩეს ერთგულების კვალი,
გული სამშობლოსი არის,
ვარ მე ის პოეტი ქალი,
რომ არ ეშინია ქარის.

ვედრება

გთხოვ უფალო,
დაამშვიდე დედამიწა,
ღრუბლები და
მზის სხივები შეარიგე,
სიძულვილის სახრე
არავინ გადამიწნას,
ო, ამაზე ფიქრებსაც
კი განმარიდე.
მაპოვნინე გულიანი
სულის ხალხი,
ძალიანი უსუსურს
რომ არ ჩაგრავდეს,
კუდის ქიცინს არ
იწყებოდეს როგორც ძაღლი,
რომც შიოდეს სიმდიდრისთვის
არ დაბრმავდეს.
გულით წამდეს ერთგულების
ძმობის ფასი
და რას ამბობს სიტყვა
ბევრჯერ შეარჩიოს,
სულ ახსოვდეს
წუთიერი ყოფნის არსი,
რომ მოვიდა წასვლასაც
რომ შეაჩვიო.

... და პირველ რიგში ადამიანი

მეორედ მოსვლა მე ასე მჯერა,
რომ აღმოვცენდე სიბრძნის ფესვებით,
ახლა მომავალის სამოსელს ვკერავ.
არ მიხმარია სიტყვის ნემსები.
არ დავაყვედრი მათ რაც შევქმენი,
ის სამომავლო სახლის კედელი,
არც გავთამამდე სხვისი შექებით,
თუნდ მეპატრონე ვიყო ედემის.
თუ შხამს შევურევ იმ ჩემს მომავალს,
ჩავთვლი მაშინ რომ არც მიცხოვრია,
სიტყვის ნიაღვრად თუკი წამოვალ,
თუ სიძულვილით ვიწყებ ბორიალიას.
მაშინ თვითონ ვჭრი მოსვლის იმ ტოტოებს,
თუ შხამ- ბალღამით გული ივსება,
თუ ჩემს სიკეთეს მე თვითონ ვკორტნი,
ჩემით დავმარხავ თვითონ ღირსებას.
მე უნდა ვიყო სიკეთის ქვევრი,
პირამდე სავსე გრძნობის ფიალით,
ყველას დედა და ოჯახის წევრი
და პირველ რიგში ადამიანი.

მთავარია

მთავარია ღმერთს უყვარდე,
თუნდაც შეგიძულოს ასმა,
დრო რომ მოვა მას ჩაბარდე,
დაფასდები ერთი ასად.
ხიდი ჩემი გასავლელი
უნდა შევძლო გავიარო,
მტერი იმ გზით წასასვლელი,
ჩემს მეგობრად ვაღიარო.
არ გავყიდო მეგობარი,
თუნდაც ლუკმა პურისათვის,
ღმერთს არ უყვარს მეომარი,
რომ სცალია შურისათვის.
მე მატკინეს მაგიერი,
ჩუმ- დუმილით დავუბრუნე,
ყველას მრავალჟამიერი,
ფეხი არვის გადუბრუნდეს.
ისიც მტკივა ვინც მრუდ გზაზე,
დადიოდა, დადის ახლაც,
არის მუდამ ჩხუბის შარზე
ობოლს რომ არ გამილახავს.
სული უნდა გქონდეს წმინდა,
მოქათქათე ვითარც ფიფქი,
ადრე ცოტაც დიდად მწყინდა,
გული დარდით ჩამოვიფქვი.
შევიცვალე... ღმერთი ხედავს,
რაცა ვარ და რაც ვიქნები,
ასე გავხდი მტრისიც დედა,
მგელსაც არ შევუშინდები!

სხივი

ისე შემოიჭრა სხივი,
როგორც ნაზი ცისარტყელა,
ალბათ არის ზეცის შვილი,
სიყვარულით დამატყვევა.

იქნებ იყო ჩემი შვილი,
ან დათა და ჩემი ძმები,
მზეს ჩამოყვენ გარდაცვლილი,
ჩამესმოდა უცხო ხმები.

მოვილოცე და დავლოცე,
ცრემლიც მწარედ ჩამომცვივდა,
სხივმმა ისე გამაოცა,
ვგრძნობდი რაცხას განიცდიდა!

კოლხო ქალბატონო

გული არ გეტკინოს ქალბატონო,
გული ნაზია და სათუთია
დარდი წარსულისა არ ატარო,
ციდან ვარსკვლავები დაგნათიან.
შებ ხომ პოეტი ხარ
ღვთის რჩეული,
ლექსი წამალია იარების,
ფეხით ეკლესიას შემოუვლი,
ღმერთის რწმენითა
და ზიარებით.
კოლხო ქალბატონო უნდა მენდო,
იქნებ ტკივილებმაც გაგიაროს,
ჩემი სიძლიერე გადაგედოს,
მე ხომ შვილად უნდა გაღიარო!

თვალი გადავავლე

წიგნებს გადავავლე თვალი,
განძს და უკვდავების წყაროს,
ჯერ ვერ მოვიხადე ვალი,
წიგნი კვლავ აკლია თაროს.

ო, ეს დალოცვილი განძი,
ჩემი და ბევრიც სხვისი,
ციდან ცისარტყელა მაწვდის,
ყველა ნათლულია მზისი.

მე ვარ მასპინძელი სტუმრის,
ვუვლი, ვპატეონობ და ვკინძავ,
ჩვენ არ შეგვიძლია შური,
შრომით მივაღწიეთ მიზანს.

ხეთა ჩრდილებს

დამავიწყდა შემოდგომა... ფოთოლცვენაც,
გაზაფხულის სამოსელი შევიკერე,
სათათბიროდ მოემზადა მინდვრის სცენა,
დარდის გუდას პირი სწრაფად გადავკერე.

ხეთა ჩრდილებს მწვანე კაბით ვეთამაშე,
სამომავლოდ გეგმებიც კი დავისახე,
მაინც მომწვდა დარდის წვიმა მოთარეშე,
დავიჩიქე ერს პირჯვარი გადავსახე!

უცხო მდინარე

გავდა,,ძირულას" უფერო წყალი,
მივუალერსე მორბენალ თევზებს,
გულს ეუცხოვა ის მიწა წყალი
თუ, მე ვეძებდი უბრალოდ მიზეზს.

მეჩვენებიდა საკმაოდ მკაცრი,
იქნებ არც იყო ეჭვები მღრნიდა,
ფიქრით გავავსე თევზებით ვარცლი,
გედიც ნაპირზე გამოღიღინდა.

რეალობაში ასე არ იყო,
არ მიმიკრა წყალმა საერთოდ,
მინდოდა ჩემი გამოდგარიყო
და დარდიანი გული გამერთო.

აგვისტოს თვეში სიცივის სუსხმა,
შემაჟორჟალა, ზურგი ვაქციე,
კალმახებმა და ბომბორა ზუთხმა,
წყალი პირიდან გადმოაქციეს.

მათ არ ეამათ უცხო სტუმარი
და შორს გამართეს ლამაზი სცენა,
გამოვტრიალდი როგორც უბარი,
მეც არ მესმოდა თევზების ენა!

რამ გამაკვიროს

რამ გამაკვიროს თბილისის პატრონს,
საფრანგეთშიაც ვხედავდი მცხეთას,
თუმცა კეთილ კვალს აქაც კი დავტოვ
წერილსაც დავდებ ერთ ლამაზ ხესთან.

ქართულად ნაწერს ქართველი ნახავს,
წაიკითხავს და კიდეც იტირებს,
ტკივილს და დარდებს იქვე დამარხავს
ნოსტალგიას კი გამოიტირებს.

მხოლოდ სიმშვიდე მაოცებს ქუჩის,
ხალხი დუმს ვითარც წყალში თევზები,
ყურს არ ჩამესმის სიტყვები ურჩის,
მიკვირს ქალაქო რატომ მბეზრდები.???

ვსუნთქავდე ჰაერს არ შემიძლია,
დედაენის ჰიმნს რომ არ მღერიან,
ეს რაც აქავარ არ შემიგრძვნია,
თუნდაც უბრალოდ მინამღერია.

ფიქრებს გავექეცი

სევდას უსასრულოს ფიქრებს გავექეცი,
ღრუბლებს შევურიე დარდი გასაფანტად,
ისევ დავიღალე ... ისევ წავიქეცი,
გულმა ეს სამყარო ვეღარ გადახატა.

ძლივსღა წამოვდექი... ძალა მოვიკრიფე,
წმინდა სიყვარულით დილა გავაჯერე,
არვინ შევიძულე... არვინ განვიკითხე,
ისევ მოთმინებით დარდთან გავიმარჯვე.

სიამაყეა იცნობდე

უკვდავ ლეგენდას ბატონ ჯუმბერის,
სიამაყეა ახლოს იცნობდე,
მოგზაურობდა მარტო ჯუნგლებში,
ეს მომავალმა უნდა იცოდეს.

სიცოცხლეშვე სიმდიდრედ მერგო,
მანდო სახელი დაუნანებლად,
,,ათინათების" ნერგი დარგო და...
დარჩა ცოცხლად და დარჩა ზმანებად...

ქებათა-ქება ცოცხალ ლეგენდას,
რაც წლები გადის კვლავ რომ ბრწყინდება,
უცხო ერებშიც ქართველს ეძებდა,
ახლა ზეციდან გადმოფრინდება.

მზის სხივებივით ციმციმს დაიწყებს,
მოვა სიცოცხლის,,ათინათებად"
აკადემიის ფიცს რომ გაიგებს,
ხვალის იმედად გამონათდება !

ციცაბო კლდეს გავს

გავს ეს ცხოვრება კლდეს დიდ ციცაბოს ...
მზე დედამიწას არ ეფერება,
ან რა დავწერო, ან რა გიამბოთ,
არ ვიცი დროის შესხვაფერება.

რას მომშორდება სევდა ულევი,
არეულ ღრუბლს როცა ვუყვირებ,
მხრებზე დავიდგი სიტყვის უღელი...
სულის საკენკად გადავუყვარე!

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

სიმართლის მზე

ბედის მჯერა ოი, ისე მჯერა,
როგორც დედის ტკბილად ჩახუტება,
ამ პატარა წმინდა სახლის კერას,
ზოგს ვუყვარვარ, ზოგიც მებუტება.
შემორჩება ბევრი სულის ხატად,
საქართველოს მადიდებელ სიტყვად,
ერის შვილებს გულში გადმოვხატავ,
შრომისათვის თავში რომ არ მირტყავს.
არ არსებობს გულს რომ ვინმე ძულდეს,
სიყვარული არის ჩემში მხოლოდ,
მაშინ მოვკვდე მტრისიც თუკი მშურდეს,
ღვთით სიკეთე წინაპრიდან მომდევს.
შენ მეწვიე ირმა როგორც ლექსი,
ჩემს წინ ზიხარ არა მჯერა მაინც,
თუ რამ მტკივა უთქმელადაც გესმის,
მიცისკროვნებ სიმართლის მზის დაისს!



სიკვდილის დევებს

მგელი არ იყავ ბეჟან ცხვრის ტყავით,
იყავ წმინდა და მხრებგანიერი,
თუ სხვას უჭირდა შენ იქ იყავი,
იყავ პოეტი და მეცნიერიც.
აზრი – ფიქრების ფილოსოფია,
რაჭა-სვანეთში მოგზაურობა,
შენი წიგნები მთის ნაყოფია,
მეძებარივით ჯიხვთან სტუმრობდა.
გაგწირეს მაგრამ შენ არ გაწირე,
სიკვდილსაც შეხვდი როგორც მეგობარს,
მე კი შემოვრჩი წლების ნაწვიმებს,
და დავემგვანე დაჭრილ მეომარს.
მივჩერებივარ სურათს სიმწარით,
შენსავით მაღალს დიდ წიფლის ხეებს,
გული ბედისწრის ცეცხლზე მიმწვარი,
უშენოდ ებრძვის სიკვდილის დევებს.

მოვინათლეები

(+წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის
წინამძღოლს, მამა მელქისედეკ ხვედელიძეს)



უფალი მიმიყვანს კვლავ ტაძრის კარამდე,
,,ათინათს" დაიცავს ციური ვარსკვლავი,
დათესილ სიკეთეს სხვა რომ არ მპარავდეს,
რად უნდა გათხაროს ბოროტმა საფლავი.?!
გავრბივარ, მომდევნ, ცელით და დანებით
და მაინც ყვავილებს გამოვრგავ გზადაგზა,
მომრავლდა, უფალო, კაენისთანები,
მე მადლის სათესად ყოველთვის მზადავარ.
ტაძარში მორჩილად სანთელი ავანთე,
დავლოცე, ის, ვინაც მახსენა აუგად,
ლოცვებში ყოველთვის ღამესაც გავათევ,
ვწუხვარ, რომ უძღები ბოროტ გზას გაუდგა.
იმედი მაჩუქა კეთილმა მამაომ,
ვაზის ტოტს დაესხა მტევნები სიცოცხლის...
ახალი ყლორტები ტოტებზე გამოვა,
მჯერა, რომ ეს გული დარდს ამოიცოხნის.
ამ ტაძარის სიმშვიდემ ცრემლის ზღვა დააშრო,
სხვა ფერით განათდა ღვთის რწმენის სანთლები,
სიცოცხლის იმედი არ უნდა ჩავაქრო,
სიკეთის სათესად კვლავ მოვინათლები!

ხვთისმშობლის კალთა

კალთა გფარავდეს დედაღვთისმშობლის,
ღვთიურმა ძალამ მოგაძლიეროს,
შეიგრძენ სუნი ქართული ხორბლის,
ლონდონში გული აბედნიერო.
ნოსტალგიაა შენთვის ყველა დღე,
მონატრებული ფიქრები გაკრთობს,
შორიდან გართმევ პოეტს თბილ ხელს და...
დარდს სტრიქნებით ვფანტავ და ვართობ.
დაბადების დღე მაის თვეში
რა დამთხვევაა ჩემი და შენი,
აქ სადღეგრძელო მე ლოცვით შევსვი,.
სიყვარულით და კვლავ ნახვის თმენით.
დედაღვთსმშობელს ვაბარებ შენს თავს,
დარდი განდევნე შვილო სიცილით,
მე შენი სახით გოგონა მყავს და...
გულში სხივად რომ შემოციცინდი!

დღეს ორმოცდაათის გახდი



შენს დაბადებას მოყვა სხივები,
ლამაზი დილა გააცისკარა,
გულს ძარღვებივით ისე მიები,
წვიმდა და უცებ გამოიდარა.
გონით უსაზღვრო ცამდე აწვდილო,
ფერად- ფერადი სულის სამყაროვ,
შენ ჩემო ბიჭო, შვილო ნამდვილო,
სხირტლაძეების გუდამაყარო.
პოეტო, აზრის სულის ზიარო,
უსაზღროების ნიჭიერებავ,
თუ გინდა ფეხით გულზე იარო,
შენა ხარ ჩემი ბედნიერება.
ჩემი შვილების სისხლო და გენო,
ლექსებით სად არ დამოგზაურობ,
ბევრის გუჯა ხარ, მე მაინც გჩემობ,
მინდა შენს სულში მამოგზაურო.
შენს დანახვაზე გასუსულები,
მოკრძალებულად ფეხზე გხვდებიან,
გერგოს სიცოცხლე თანაც ულევი,
თუმც პოეტები არა კვდებიან!

* * *

ჩემი ბექა თამუნას
აკვირდება თვალებში,
თმების შეჭრა მოუნდა,
წავა ლამაზმანებში.
ბექა დედის გულისთქმავ,
ცელქო – თვალბრიალა,
სიტყვას როდის ამოთქვამ,
წიგთან რომ გეტრიალა

მოვედი

სიკეთის მერცხალი, მოვედი დედიკო,
სიცოცხლე გაჩუქო შენ სამარადისო,
სიცელქით გაბრაზებ ლამაზო ბებიკო....
ბექა ვარ უშიშრად კიბეზე ადისო.

დები ვართ

დები ვართ, ოჯახის ერთგული,
მადლი გვსურს ქვეყანას მოვფინოთ,
თუ ეთო კარგად მეგულვის,
ერთ ლუკმას ყოველთვის ვყოფინობ.
ასეა თვითონაც თხილის გულს,
შუაზე გამიყოფს დაიკო,
მის გულში ნერგივით გადარგილს,
უნდა რომ ისევ მან მარიგოს.
არადა უნცროსი იგია,
მე კი ვარ წლებს იქით გადაღმით,
რას მერჩის ვერ გამიგია,
შიშობს რომ ლექსები გადამღლის.

პედაგოგი

(ნელი საგინაძეს)

სულით ფაქიზსს... გრძნობის ყანას,
აღმზრდელს ბევრი სხვათა შვილის,
პედაგოგის ანა-ბანა,
დედასავით არის ტკბილი.
მშობელს უამრავი ბავშვის,
ესმის სირინოზის ხმები,
არწივივით ფრთებს რომ გაშლით,
ცუდ გზას რომ არ დაადგებით...
უამრავი მზის სხივებით...
აღუზრდია პატარები,
საქართველოს იმედები,
ნაწრთობი და ნაფერები!

ანანოს და მარიამს

სიყვარულის,,ელადას",
ანანოს და მარიამს,
ენატრებათ დედა და...
მოლოდინში არიან.
თვალის ლამაზ ციცინში,
სევდა ჩაბუდებიათ,
ცრემლნარევი სიცილი,
წამში ისევ ქრებიან.
დედა იტალიაში,
ნაღვლიანად ღიღინებს,
ბედის ორმტრიალში,
ბევრჯერ შემოუღრინეს.
ოი, ბედის აღმწერო,
შენ არა ხარ მართალი,
დააწესე საწევრო,
რომ შენ რამედ ჩაგთვალო.
ანანოს და მარიამს,
დედის სითბო სჭირდებათ,
მზეა... მათთვის ქარია,
დროც არაფერს პირდებათ.
ამ თვალების ყურებამ,
მომიმატა ტკივილი,
გული არ იკურნება,
ასე ყალბი ღიმილით!

გელოდები

გელოდები, ძირულის პირს ვიკენჭაოთ,
ვითომ ისევ ბავშვები ვართ უდარდელი.
წამოვკრიფოთ, საათისთვის, ჭილი ჭაობს,
გავიხსენოთ კვლავ, ბავშობა უწინდელი.
ძველებურად ბორბალები ყვავის ფერდობს,
მარად მწვანე, ყინვის დროსაც რომ არ ჭკნება,
ვიჯილაოთ, და გავავსოთ თევზით ვედრო,
დავრჩეთ წარსულს, დრო ახალი იკბინება.
გავერიდოთ, ამ ტკივილებს, ავყვეთ ნაპირს,
ბედ-ნაყინ გულს,
ერთად ყოფნით გავათბობდით...
დაველოდოთ, გაზაფხულის ლამაზ აპრილს,
ვიჟღურტულოთ, დაო, ანერ, საათობით!

მერცხლები მოფრინდნენ

საღამო დაღამდა ნაზი და ფერადი,
ნენე რომ გამიქრობს შეთოშილ წარსულსაც,
მისია ოქროსფერ კაბას რომ ვკერავდი,
დარდები ისედაც თავისიც წასულა.
სიცოცხლეს შევხარი ნაბარტყი ფესვების,
ვარდების ნაზ ყლორტებს
თოთოს და გაუშლელს,
მათია რაც ვწერე ოდესმე ლექსები,
მერცხლები მოფრიდნენ აღარსად გავუშვებ!

არ შემიძლია

რომ ვთქვა უარი არ შემიძლია,
ამ სიყვარულის აღმაფრენაზე,
თუკი ოდესმე გულს შეუგვრძნია,
მას არ გადავცვლი ლამაზ ნენეზე.

ჩემს შვილთაშვილებს მზეს შევადარებ,
გამიცისკარეს სულის ბნელეთი,
გულის წვიმები დაიდარებს და ...
დარდი გაბრუნდა ელეთ- მელეთით.

განა დიდია ჯერ ბაღში დადის,
დააწკიპინა ნენემ პურები,
თან ნაზი არის ვით დილის ვარდი,
გული დაამდა მისი ყურებით.

რაჭველ დანიელს ვინ შეედრება,
ცომს რომ უბრტყელებს დინჯად დაიკოს,
გადავიქეცი უფლის ვედრებად
დარდი რაცა მაქვს უნდა გავრიყო!

ნიკოლოზიბას გილოცავ

რა ვთქვა ისეთი გავაკვირვო მთელი სამყარო,
ნიკოლოზიბას მოგილოცავ სიძე ბატონო,
ბექას სამშობლო კაცურად მსურს
რომ შეაყვარო,
როს მოხუცდებით მშობლესაც
რომ მოგეპატრონოთ.
სიცოცხლე არის ოჯახური ბედნიერება,
სხვა ყველაფერი იფერფლება... წარმავალია...
ოჯახი არის ცის და მიწის მშვენიერება,
ბექასნაირი გაამრავლო შენი ვალია!

როცა ესმის

როცა ესმის შენი გულის ცემა,
მოსწონს შენი გაკაფული გზები,
განიცადა შენი ფოთოლცვენა,
სიკვდილამდე მის მეგობრად რჩები.

... და როგოც და გიყვარს თავისთავად,
არის შენი დარდის შესაფარი,
მზის სხივს იწვევ სულის მოსართავად,
გულის- გულში ოქროს შესაკრავით.

სალოცავი ხარ

შენ ხარ ბებიკოს სიკეთის სხივი,
დედასამყარო და გული ჩემი,
ნაზი, ფაფუკი, ძალიან თბილი,
ჩემი სიცოცხლის ხარ გადამრჩენი.
დაბადების დღეს გილოცავ ბებო,
მზის სხივებივით შემომციცინებ,
ბებოს სტატუსი მე შენით მერგო,
ციცქნა ბაგეგეთი რომ გამიცინე.
დამაგვიანდა მოლოცვა რადგან,
დღე და რიცხვები სულ ამერია,
მე ვეფერები შენს ფეხის ნადგამს,
დღეს ეს სტროფები შენთვის მღერიან.
ო, რა ძალიან მიყვარხარ თაკო,
გიბრწყინავს თვალი დილის მზესავით,
მინდა სულ შენზე ვილაპარაკო,
შენი ქმარშვილიც მიყვარს შენსავით!

გარდავიქმნები
(ნანიკოს)

ღიღილოები გამიხარე
 ხვალის იმედად,
შემაზიარე შენს
ფესვებთან როგორც ცოდვილი,
ისე წრფელი ვარ ...
 რეალური... ისე იმდენად,
ნაზიარები და ცხოვრების ვალებმოხდილი.
გულში გამომრგე ვარდებივით
კვლავ გავიხარო,
შემაზიარე ფიქრის სახლის სადღაც კუნჭულში,
შემომეშველე თუ წავიქცე,
თუ მოვიხარო,
გზა გამიშუქე წყვდიადში
 და ღამის უკუნში.
გამაუკვდავე ჯერ შენში
 და მერე ფესვებში,
დამლოცე მაშინ
როცა უკვე აღარ ვიქნები,
სული ეძებე სხვაგან არა
მხოლოდ ლექსებში,
მეორედ მოვალ კვლავ სიკეთედ
გარდავიქმნები!

ხაბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი

ურთიერთზრუნვა

მე შენთვის და შენ ჩემთვის
უნდა გავისარჯოთ;
სიზარმაცემ არასოდეს
არ უნდა დაგვჯაბნოს.

სიხარულსაც მოგიტანს
სხვისი დახმარება,
შენ ხომ გაგიხარდებოდა,
სხვასაც ეამება.

დახმარების გარეშე
ყოფნა ძნელი არი
ჭამაშიც კი,,მარტო კაცი''
არის თურმე ბრალი.

მე შენზე და შენ კი ჩემზე
მზრუნველობა გვიწევს,
გავუფრხილდეთ ერთმანეთს
შევიყვაროთ კიდეც.

სიყვარულის გარეშე
ყოფნა არის ძნელი
და ვიზრუნოთ ერთმანეთზე,
მეგობრობა გვშვენის.

ივნისი

გაზაფხულის სურნელი,
გაიყოლა ქარმა;
ზაფხულმა გამოგვაღვიძა,
ისე ვით სიზმარმა.
ცვივა ხილი ხეებიდან,
ბაღჩეულსაც ველით,
ეს ზაფხული ფერადია,
პეპლის ფრთების ფერი!
...
განთიადს კი ფრინველების
გუნდი უგალობებს;
ისე კი არ გათენდება...
მზე ამოჰყრის ტოტებს!
როცა ამ მზის მცხუნვარების
პიკი ჩამოდგება,
ქარი უკვე დაღლილია,
აღარც აბღავლდება!

...ზღვის ნაპირი მოთენთილა,
მზე ვარდება ზღვაში,
ვერცხლისფერი ბილიკები,
ირეკლება წყალში...
დედამიწის ძილს დარაჯობს,
ზეცით ვარსკვლავები,
მთვარე აფრქვევს
თავის ნათელს,
გაშლილი მკლავებით!
განთიადს რომ შეეგებოს,
ის ზღვის თავზე ცურავს,
კიდევ იჭყიტება წყალში,
კეკლუცობს და ბრწყინავს!
...ღამე გატყდა,ირიჟრაჟა,
ამოწითლდა ზეცა,

მზეს სცივები გამოექცა,
ცის ტატნობზე ცეკვავს...

მკერდს მიუშვერ დილის სიოს,
შაშვი იგალობებს,
მერცხალი თავს დაგვჭიკჭიკებს,
ბეღურები ბჭობენ...

დილიდანვე ხმაურია:
-ბიჭო,გოგიაო...
მზე ამოვა,აიჭრება,
ცაში ტოროლაო!

გაზაფხულს თავის ხიბლი აქვს,
ამ ზაფხულს კი- თვისი,
ეს ცა, ეს მზე ჩვენია და
ა რ ა ს ო დ ე ს სხვისი!

ფერები, ფერები

იისფერი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ცისფერი,
ყავისფერი, შინდისფერი, შავი, თეთრი, წითელი,
კიდევ შოკოლადისფერი, არის მუქი წითელი,
კიდევ ნარინჯისფერია..
ნაცრისფერი, კრემისფერი, ჟოლოსფერი, წყლისფერი,
ვარდისფერი, ბროწლისფერი და იასამნისფერი!

რ ა ფ ე რ ი ა მითხარი?

რა ფერია ყოჩივარდა, რა ფერია ია?
გაზაფხულის მოსვლა, ყველას შეგვიტყვია.
იის...

მზესუმზირის ყვავილი, რა ფერია ნეტავ?
დილიდან მზეს უყურებს და მზის ფერად ვხედავ.
ყვი...

რა ფერია ზღვა, რა ფერია ცა,
ზოგიერთი ქლიავი.. შეგიძლია თქვა.
ლურ...

რა ფერია წიწვი, რა ფერია ფოთოლი?
ბუნებაში ერთნაირს, ვერასოდეს იპოვი.
მწვ...

დღისით, მზისით, მითზარი, რა ფერია ცა,
არც წვიმს და არც თოვლია, ცა რა ფერის ჩანს?
ცის..

და ყავას რომ მიაგავს, რა ფერია ნეტავ?
ირგვლივ მიმოიხედავ, ამ ფერს ხშირად ხედავ.
ყავ...

რა ფერია მითხარი, მოწეული შინდი?
ყველა გამოიცანი,ახლა ამას მიხვდი.
შინდ...

როცა მოდის წვიმა, რა ფერია ცა?
რა ფერია მიწა, უკვე უნდა თქვა.
შა...

სანამ დაწერ -დახატავ, რა ფერია ფურცელი?
როცა გააფერადებ, ფერებს მერე იპოვი.
თე...

პამიდორი რა ფერია და ზოგჯერ კი წიწაკა?
აბა, რა ფერს აიღებ და რა ფერით დაგვიხატავ!
წი..

ტკბილეულის ჭამით არ დაიწყო დილა,
აბა, რა ფერია შოკოლადის ფილა.
შოკო...

რა ფერია მითხარი, ზოგს რომ უყვარს ჭარხალი,
არის ნეტავ რის ფერი, სხვას არა ჰგავს ის ფერი!
მუქი წი...

რა ფერია მითხარი, ამოთხრილი სტაფილო?
მოუპარავს კურდღელს და...დამჯდარა და სადილობს!
სტა...

შეშა რომ დაიწვება,მორჩენილი რაც არი,
რა ფერია მითხარი დაეჩენილი ნაცარი?
ნაცრ....

სანამ ფერებს შეურევენ,კრემი არის რის ფერი?
არც თეთრია, არც ყვითელი, ის არ არის სხვის ფერი!
კრემ...

მე რომ მიყვარს ფერი, არის ერთი მხოლოდ,
რა ფერია მითხარ, მოწეული ჟოლო.
ჟოლ...

გამჭვირვალე...ფერი არ აქვს,არის არაფრისფერი,
მგონია რომ წყალს მიაგავს და ის არის რის ფერი?
წყლის ....

ვარდობის თვეს ვარდები, გასაშლელი ბევრია,
გამოიცან ძირითადად ის რომელი ფერია?
ვარ...

შემოდგომით უამრავი ხილია და ბოსტნეული,
რა ფერია ბროწეული, როცა არის მოწეული.
ბროწ...



როცა დაიყვავილა...დაეკარგა ფერი
პასუხად სათქმელი, არის ხის სახელი
ის მიაგავს იას,სულ არ არის ძნელი!
იას...

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

ბოროტის გზაა მოკლე,
კეთილს ხმალი აქვს ელვის,
დიდი სიცოცხლის მოკვლა
ხელეწიფება ვერვის.
სივრცე სივრცეთა შორის
და სივრცეების იქით...
აქ ცისარტყელა ორი
მზის სხივოსანი ჯიღით....
ზოგის სიცოცხლე რადგან
კვლავ ეჭვების გზით მიდის,
ეს სასწაულიც დადგა
ბეჭედადა სულიწმინდის.
იყო ვედრების ჟამი,
წვიმა, ღრუბლების გროვა,
მაგრამ დათრგუნვად ღამის
თვითონ წმინდანი მოვა.
მისი ღიმილის შუქში
ლივლივებს ცა და მიწა,
ის კაცი იყო გუშინ,
დღეს ანგელოზად იქცა.
გვესაუბრება ციდან
ჭექაქუხილის ენით,
დიდი, მართალი, წმინდა,
მარად მფარველი ჩვენი.
ბოროტის გზაა მოკლე,
კეთილს ხმალი აქვს ელვის,
მან თვით სიკვდილი მოკლა,
რომ ერს მოსწმინდოს ცრემლი.

რა დიდი გზაა აღსავალი ცათა კარამდის დიდებულ მერაბ კოსტავას ხსოვნას

ერის რჩეულო, ღვაწლმოსილო, წახველ ადრიან,
ნათლით მოსილი წარუდგები დიდთა წინაპართ...
მამულის იქით, სხვა რამ ნატვრა არც გინატრია,
შენი კაცობა, მზისქვეშეთში, მადლით ბრწყინავდა.

გვირგვინს გიბოძებს, დაუჭკნობელს, უზენაესი,
რადგან აქ, ცეცხლში იწრთობოდა შენი ღირსება,
ნანას გიგალობს საქართველო დედის ალერსით
და შენი სულის საწყაული ცით აღივსება.

აწ განისვენე, დამაშვრალო მამულიშვილო,
ბევრსაც გვავალებს სანატრელი შენი სახელი,
სამოთხის ბაღში უჭკნობელი ყვავილი შლილობს,
ტკბილი მამულის სიყვარულის გამომსახველი.

ცა გახსნილობით - სვეტიცხოვლის ელვა - მარადი,
შენთვის გახდება სახილველი ცათა განგებით.
რა დიდი გზაა აღსავალი ცათა კარამდის,
სად მგალობლობენ ანგელოზნი ღვთიურ ჰანგებით.

მოგეგებვიან გალობით და ციურ ჩანგებით,
ვინაც კარგობით ანგელოზად არის ქცეული,
რომ გულს აგყარონ სააქაო დარდის ჭანგები
და დაასვენონ გადაღლილი შენი სხეული.

მას ნეტარება, ვინც ქვეყნისთვის ვალმოხდილია,
ვინც წმინდა სანთლად შეიწირა და ცით გვინათებს,
პირზე ღიმილით შეგეყრება დიდი ილია.
ერის სინდისი, საუკუნის დიდი სიმართლე,

მშვიდობა შენდა! გეთხოვება შენი ქართველი -
წმიდაა შენთვის ერის ცრემლი და უანგაროც...
ცათა მოგითხრან, გასახარი შენდა სათქმელი
და განკვირვებას ვერ ფარავდეს მთელი სამყარო...



ბეჟან ხარაიშვილი

*

გახსოვს? მოდინახე,
ღვინო ალისფერი,
მთვრალი მგზავრები
და შორი გზები...
წამომელანდები
კლდეზე შემომდგარი
და ხელს გამოგიწვდი მორიდებით!
სიო ჩაიყუჩებს წამწამთ სივაშეში,
შენ კი მთებს
გაჰყურებ ნისლიანებს,
თრთოლავს გიტარა
და მწვანე მოლზე,
ღვინით სასმისები ივსებიან!
გახსოვს? -- მოდინახე...
მზეი ჩამავალი,
გულთა იდუმალი
ბგერის გადაცემა,
ხედავ? ჩაგჩურჩულებ
და მთის ნაპრალიდან,
ქალაქს გადმოვხედავთ ალმაცერად.
ეკლებს გაურბოდი,
წუხდი დამკაწრესო,
თმები შინდის რტოზე დაგეწეწა,
ვკრეფდი ფირუსულებს,
ახლად დაჩიტულებს,
იებს იმედიებით გიწოდებდი,
ნისლიში ირწეოდა მოდინახე,
ჟამთა ნასეტყვი და ნაწვიმები,
...დავრჩით ხელგაწვდილი
მთის მწვერვალზე,
დავრჩით ასაფრენი არწივები!

ხელი არ დამადო

გულთან არ დამადო ხელი...
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ
მკერდზე ძარღვებით,
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
ნეტავ რა ხელმა აიღოს უნდა,
რომ ვერ დაძალავს --
ისეთი გუნდა?!

ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო,
და შენს ფანჯარას,
გარშემო უვლის,
ყველაზე
დიდი სასაფლაო
გული!

მოლოდინი

მაღლა მთიდან პატარა რუ,
სოფლის
ნაღველს ჩამოლექავს,
საცალფეხო
ხიდზე შემდგარს,
ქარი გულმკერდს გაგიქექავს
და დახედავ იმ თაიგულს,
წეღან სხვამ
რომ მოგიტანა,
მოღალატე-მოღალატე,
ჰკივის ქარი ჭორიკანა.
მოლოდინი ვეღარ შეძელ,
თუ ყვავილმა გაგაბრიყვა,
გული განა იმად მოგეც,
რომ ორგული გამხდარიყავ???

დავით გამთენაძე

განშორება

თბილ ღიმილით მაცილებდი თუკი,
მიმყვებოდა თვალნი მოციმციმე,
გუშინ ისე შემაქციეთ ზურგი,
თითქოს უკან აღარ დაგრჩათ ვინმე.
წახვედი და ჩემი გულიც გაგყვა,
მარტო შევრჩი სევდასა და ლოდინს,
ფანჯარასთან ნაძვი იდგა კენტად
და შენს ნაცვლად დამიქნია ტოტი.

მზე მიტოვებს სათქმელს.

მზე მიტოვებს სათქმელს,
ჩადის ცხრა მთას იქით,
შემომიღებს სარკმელს
ღამე წვით და ფიქრით.
უხილავი ძალით,
მირხევს სულის სიმებს,
მაყვლისფერი თვალით
მშვიდად გამიღიმებს.
მომიყვება ამბავს
,,ვეფხისა და მოყმის",
ამქვეყნიურ ზღაპარს
მტერისა თუ მოძმის.
მოქათქსთე ფურცლებს
რჩებათ ღამის კვალი,
სათქმელის ზღვას ულევს
უციმციმებს თვალი.

ზაფხულის ღამე

დღე გვირგვინს იხსნის,ღამე შემოდის,
მთვარე ვარსკვლავთა მინდორში იწვის,
ციცინათელას დასდევს ეზოში
თვალებმერცხალა პატარა ბიჭი .
გულის კარები გახსნეს ვერხვებმა,
ასეთი მშვიდი ღამე სად არის,
ბიჭი კისკისებს დაღლას ვერ ხვდება,
ციცინათელას თვითონ სადარი.
გარბის, გამორბის ციცქნა ყმაწვილი,
სახე ედემად გადაქცევიაო,
ციცინათელამ აბა რა იცის,
მზეთუნახავმა ღამის ფერიამ,
რომ გაიზრდება მხედარი მისი,
მამულს მოურჩენს წყლულს და იარებს,
იმ ნაპერწკალით ახლა რომ იწვის
ზღაპრულ ბავშვობას გაუმზიანებს.

* * *

რად ჩაგვისახლდა სულში ძალა გამოუცნობი,
ერთმანეთისთვის ძმები რატომ გავხდით უცხონი,
მითხარ რად ვანგრევთ სიყვარულით ნაგებ-ნაშენებს,
ნუთუ უკეთეს საქართველოს ამით ვაშენებთ?!

შერმადინ ქალდანი

სიზმარი – ცხადი

მამულის ღამის მთეველად
კლდენი დამრჩალან ფრიალო.
მოწყენით დგანან კოშკები,
ჩარდახში ქარნი ქრიანო,
არც საით მოვა სტუმარი
არც მასპინძელი ხმიანობს...
დაბერებულან ლომები,
გზა-შარას მელნი დიანო.
„ვაი დედასა მტრისასა
თაგვნი ყანასა მკიანო“.

სვანეთს

სხვაზე როგორ გაიცვალოს,
შეეგუოს ან სხვა ცა ვით.
ღმერთმა ნუ ქნას დაიცალოს
საქართველოს სისხლსაცავი.

მთებს

ზეცას ეკვრება ღამე მაღალი,
ანთებული ხარ ზამთრის ტყეო და,
თუმც ქეეყნის ოთხმხრივ ღიაა კარი
მე მირჩევნია თქვენი ტყვეობა.
ეს თქვენით ვიცი: არის მთავარი,
მამულს რომ ზიდვა უნდა უღლითა...
როგორც თეთნულდთან პირსავსე მთვარე,
ისე ამოდის ლექსი გულიდან.
რამდენი სიტყვა დამირჩა გვერდზე,
კვლავ უთქმელობის მიმყვება ჯავრი.
რა ვქნა, დედაზე ლექსებს თუ ვერ ვწერ,
ამ წუთისოფლის დაღლილი მგზავრი.
ღამდება თქვენით, თენდება თქვენით,
მთებო, გიხდებათ სიდარბაისლე.
მაღალ ღმერთებთან ჩურჩული გშვენით,
მომავლის ბურუსს თქვენ ამაისებთ.

გზა

ვეღარ გავიგე სოფელი ესე,
ჭრიან მუხას და ცვივა ნაფოტი,
ღვარძლის მაგიერ თუ იფქლი თესე
ან ჯილდო გელის, ან ეშაფოტი.
დღემუდამ მზის და სინათლის მძებნელს
ირგვლივ კუპრივით ჩამოგდის ღვარი, –
აქ ხომ ციხის და ტაძრის მშენებელს
ორივეს ჰქვია ხუროთმოძღვარი.
გზაგასაყართა ქვასთან მდგომელი
მეც ვარ და საით, როგორ მისანო,
მითხარი ერტი, გზა სჯობს რომელი,
რომ შემდეგ მხარი აღარ ვიცვალო.
თუმც ანგელოზთა ისმის გალობა,
არდაბრუნების გზა ვერ წავშალე.
სხვასავით ვუცდი მეც ღვთის წყალობას
და დუმილისთვის ვარ დამნაშავე.
არჩევანია რადგანაც გზათა,
ცოდვილი მიწაც სანამ ტრიალებს,
უხილავო და მპყრობელო არსთა
შეუცნობ გზაზე მახეტიალე.

* * *

რომ არ ემღერათ წინაპრებს „ლილე“,
ინაპრებს „რიჰო“ რომ არ ემღერათ,
რით ვუგალობდი ნეტავ ამ დილას
ამ მზისთვის ყელი ვით მომეღერა.
რომ არ აეგოთ რუხი მურყვამი,
შავი მაჩუბი რომ არ აეგოთ,
რომ არ ჰქონოდათ ლიბო ურყევი,
ურდონი ხმელზე რომ არ აეგოთ.
რომ არ ებრძოლა წინაპარს ვეფხთან,
კერიის ცეცხლი რომ არ დაენთო, –
ვინ მერქმეოდა ნეტავი დღეს და,
თუ ვიქნებოდი ქვეყნად საერთოდ...
რომ არ ემღერათ წინაპრებს „ლილე“,
წინაპრებს „რიჰო“ რომ არ ემღერათ.
რით ვუგალობდი ნეტავ ამ დილას
ან მზისთვის ყელი ვით მომეღერა.

* * *

ღრუბელო საით მიცურავ,
აღარ მოგწყინდა წანწალი.
სულ მიხვალ-მოხვალ, არ მეტყვი?
რასა იქმს ჩემი წაწალი.
ტანად გასატყორც ისარს ჰგავ,
არცა ღაწვი აქვს უფერო.
თუ ნახო, ყოფნას ჰკითხავდე,
აბა, შენ იცი, ღრუბელო.

თარგმანები

გულნაზ ხარაიშვილი
Gulnaz Kharaishvili

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი –
მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი.
Mzia Kvirikashvili Lawrence – Translator,
Philologist, poetess.

მე და სანთელი

ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, მე და სანთელი,
ერთად ვიღვიძებთ ... ერთად ვიძინებთ,
მთელი ცხოვრება ჩვენ ვართ დათმენით,
ცუდად არავის გამოვიძიებთ.

წმინდაა ფიქრი და უბოროტო,
დაუბადებელ ბავშვივით სუფთა,
გული რად უნდა გავაბოროტო,
მე სანთლის ალის ჰაერით ვსუნთქავ.

გულის წამალი სიყვარულია,
დედაშვილური ტკბილი – უბიწო,
თავზე ქარიშხალს გადაუვლია,
სულელურად და სულაც უმიზნოდ.

ნეტავ ცოტა ხანს მაცადონ ლოცვა,
მადლმა აჯობოს ბოროტთა ხროვას,
სულის სამრეკლოს გადმოგილოცავთ
და თუ წავედი ისევე მოვალ.

CANDLE AND I

We live together, me and a candle
We sleep together and up together.
In our whole life, we are too patient,
Don't hurt or never blame anyone.

Our thoughts are holy and innocent,
Pure and sincere as an unborn child,
Why should I turn my heart embittered?
I breathe the air of the flame of a candle.

Love is the medicine of the painful heart,
Chaste and sweet like a motherly hug,
A storm passed many times over us,
And, often, in a fullish way, without reason.

May I be given some time to pray,
May grace prevail over the wicked pack,
I leave to you my soul tower...
And if I go, I will come back.

მაინც ის მიყვარს

სხვისი სამშობლოს სილამაზე როდის მიკვირდა,
ერთგულებას კი სულ დავეძებ დასაბამიდან,
თუ სხვის მიწაზე იმედები გამოიკვირტა,
უსაქართველოდ თვით სიცოცხლეც აბა რად მინდა.

მოვეფერები ჩემი მიწის გამხმარ ბალახსაც,
სადაც სურნელი მწვანე ხავსაც შემორჩენია,
ახლა ამჟამად ყველაფერი დრომ თუ გალახა,
მაინც ის მიყვარს ამ ყვავილებს ის მირჩევნია!

MY LOVE FOR IT ENDURES, UNWAVERING!

I've never been surprised by the other land's charm,
But only loyalty is what I adore from the start,
If the hopes were bloomed on someone else's land,
Anyway, there won't be life fulfilled without Georgia.

I will caress even the dry grass of my land,
There, even green moss remains its fragrance.
Now, when time destroys everything around,
I still love my land; I prefer it to these flowers!

სამყაროს დედა

აი, სადა ვარ, აი ვინ მიყვარს,
რწმენა და სული ჩემი პოეტთა,
ქადა-ნაზუქებს სხვა კი არ მიკრავს,
პირიქით ქარმა წელში მომტეხა.
რწმენას მოვუხმე და სიყვარულმა,
უკიდეგანოდ ფრთები გაშალა,
თუმც დრომ ბოროტად შემოპარულმა,
იწოწიალა ჩემს წინ, გარშემო.
ბევრჯერ გადავწყდი შრომის ბილიკზე,
რადგანაც ტვირთი ჩემზე მძიმეა,
სიკეთისათვის გამაქილიკეს,
თქვეს ესეც ერთი დიდი ვინმეა.
სიტყვა არა ვთქვი, ვდუმდი მუნჯივით,
გაშლილ სუფრაზე სხვა ქეიფობდა,
დავაბიჯებდი მძიმე ხურჯინით,
მხოლოდ უფალი ჩემზე ფიქრობდა.
გთხოვ მიუტევე ცოდვილთ ცოდვები,
უფალო, მე გთხოვ, დედა-მშობელი,
უნდა შეუნდო სულელთ ბოდვები,
ჩემებია და თან ახლობლები.
ჩემი თვალები მხოლოდ მზეს ხედავს,
ღრუბელშიც მინდა თვალის სინათლე,
ვცდილობ რომ ვიყო სამყაროს დედა,
ვარსკვლავო, ციდან ჩამომინათე!

MOTHER OF THE UNIVERSE

It is where I am; it is who I love.
It is my poet's spirit and faith.
No one sweetens me with Nazuk-Kada,
On the contrary, the wind broke my waist.
I called on faith and almighty love,
It spread its immense and broad wings,
Though time that sneaked in wickedly,
It ambled and roamed about me.
Hard work has shattered me many times,
And my burden was a mountain upon me,
They mocked me up, for goodness sake:
"What does she want? Who thinks she is?"
I remained silent, my words unspoken,
Others were feasting at the open table,
I would step with the heaviest saddlebag,
Only the Lord thought of my poor fate.
Please forgive the sinners, my kind Lord,
Lord, I beg you, as a mother, trustee;
It would be best if you forgave the fools,
They are all my blood and my relatives.
My eyes only see the life-giving sun,
Even in the clouds, I need the light,
I try to be the Mother of the Universe,
Shine on me from the sky, my Star.

ძირულიდან ვარ

მათ რომ ეგონათ ჩამოწურეს გონის ჭურჭელი,
ისევ ავივსე ენერგიის უხვი მარაგით,
თუმცა არ დარჩათ გულის კუნთი გამოუჭმელი,
ეს ყველაფერი სათქმელადაც ჩემთვის არა ღირს.

ძირულიდან ვარ, პოეზიით დაუშრეტელი,
შვილი ვარ, დედა, ბებია და სხვათა დამხმარე,
ზეცის შვილი ვარ, კავშირია განუწყვეტელი,
მე ასეთი ვარ, ჩემთან ახლოს მტერსაც ვახარებ.

არ მეშინია, სიკეთეა ჩემი აბჯარი,
ხან ვიექიმე მოვარჩინე ენით დაჭრილი,
ჩემი გენია სიძლიერის ხართან ნაჯვარი,
თუმცა სულია გაზაფხულის თეთრი აპრილი!

I AM FROM THE DZIRULA

When they thought they'd drained my brain's supply,
I have filled again with an abundant reserve of energy,
However, the muscle of the heart was not left uneaten,
All this is not worth saying to me, not even for a message.

I am from Dzirula, and I am inextinguishable from poetry.
I am a child, mother, grandmother and helper of others,
I am a child of heaven; the connection is unbreakable,
I am like that; I make even the enemy close to being favourable.

I'm not afraid, as kindness is my strong armour,
Sometimes, I've healed a wounded by the evil tongue,
My genius was with the potent bull crossbreed,
However, the spirit is the white April of spring!

ზეცა იწვა

ზეცა იწვა დედამიწის მკვლავებში
და სიწმინდის სამოსელში სუნთქავდა,
კრთოდა წამი ვარსკვლავთ ლამაზმანებში,
ღამის ქვაბი დარდებს ცაში ფუფქავდა.

თეთრ ნისლებში ჩავიკარგე ...დავნებდი,
წამწამებში მიიძინა ტკივილმა,
გალაქტიკის უსასრულო განედი,
შეაფხიზლა მნათობების ღიმილმა.

იის ფერით ირიჟრაჟა სამყარომ,
მზის სხივები კალმახებთან თამაშობს,
საფრანგეთის ჩანჩქერების ცხრა წყაროს,
იმედებით უნდა შევეთამაშო!

რწმენაა ჩემში

გადაყვითლებულ წიგნის ფურცლებს გავს,
გული, რომელშიც მასალებია,
ვდუმ თევზებივით, მხოლოდ უფლის მწამს,
ფიქრი ნაზ რტოებს ემსგავსებიან.

თეთრი ღრუბლებით ცას მივაშენე,
უფაქიზესი ოცნების სახლი,
ახლა ხეივანს გავაშენებ და. ..
თავთავებივით თავს დაბლა დავხრი.

არ ვიამაყებ, არ განვდიდები,
უბრალოების ბილიკს მოვძებნი,
აღარც დარდების ზღვად ავდიდდები,
რწმენაა ჩემში ღვთით ნაბოძები!

ვინც გავზარდე

არა ევნოს ვინც გავზარდე უფალო,
არ დასაჯო ჩემზე ცუდის მთქმელიც კი...
ცის მსაჯულო, შენ ყველაზე მართალო,
გთხოვ დაინდე ჩემი გულის მკვლელიც კი.

მე ვპატიობ შეცდომებს და ანცობას,
მაჯობონ და მთა და ბარი დაიბყრონ,
ერთგულება არის კაიკაცობა,
ერთი ლუკმა ძმებმა უნდა გაიყონ.

შევეჩვიე, უბედობას, ტკივილსაც,
შევეჩვიე, დიდ თოვლიან ამიდსაც...
ბევრჯერ სუსხი მოყოლია ივლისსაც,
მაინც ცუდი არავისთვის არ მინდა!

THE SKY WAS BURNING

Heavens lay in the arms of the earth,
and it breathed the garment of purity,
I enjoyed my time among starry beauties,
The cauldron pot was boiling human sins.

I got lost in the white mists...and I obeyed,
The pain fell asleep in the eyelashes,
The infinite latitude of the galaxy,
The luminaries' smile awakened it.

The world has dawned with a violet colour,
The rays of the sun play to the trout,
I have to play with my sweet hopes
With nine springs of France's waterfalls.

FAITH IS IN ME

It's like the yellowed pages of a book
The heart is where my materials are kept.
I am silent like a fish; I only believe in the Lord,
My thoughts are like tenderest branches.

I built on the sky with white clouds
My beautiful and tenderest dream house,
Now I will build an alleyway and...
And like wheatear, I'll bow my head down.

I won't be proud; I will not boast,
I will find the path of simplicity,
I won't be raised as a sea of sorrows,
I have faith that God built in me!

WHO I RAISED

My Lord, please save all who I've raised,
Don't punish those who wish me evil.
Judge of the sky, you, the most righteous,
Please forgive even the killer of my heart.

I forgive all the kinds of mistakes and mischieve,
Let them win over the mountains and fields,
Loyalty includes an understanding of humanity,
Brothers should be able to share one bite.

I got used to unhappiness and misery,
I also got used to the heavy, snowy weather,
Many times, I face frost, even in July,
But, anyway, I want goodness for everyone!

გულის სანთელო

არ ჩაიფერფლო გულის სანთელო,
მარტო ეული არ მიმატოვო,
ისევ მინდა რომ გამაჯამრთელო,
თოვლმა ზეციდან არ დამათოვოს.

გულს დავიბნიე ხმელი ბალახი,
დამასაჩუქრა რითაც მამაომ,
მხრებს შემოვისხი სხივის ხალათი,
შემომციცინა თბილმა საღამომ.

მონატრებულებს თვალით ვეძებდი,
ლამპიონები ცაზე აინთო,
მეფერებოდნენ ეკლის ძეძვები,
გარეჯის მადლმა გული გამითბო.

იქ, სიახლოვე ვიგრძენი ზეცის
ვარსკვლვთმრიცხველი რაღაცას წერდა,
წამით უეცრად ცოტათი შევცბი,
ვგრძნობდი რომ რწმენა გადამარჩენდა!

CANDLE OF HEART

Heart's Candle, don't burn down yourself,
Please, don't leave me in the dark, in loneliness.
Could you give me back my health?
Don't let Snowflakes make me moisten.

I fasten dry grass on my heart with a pin,
My saint father gave it to me by its hand,
I put a ray robe coat on my shoulders and
I felt the warm evening smile at me.

I was looking for my long-missed loved ones,
The lantern luminaries lit up in the sky,
Caressed me hedges with Jerusalem thorn,
And Gareji's grace was warming my heart.

There, I felt the heaven's proximity,
The star enumerator was writing something,
And it made me a little confused suddenly,
I felt hope that faith would save me!

საინგილოს ვარდები

ბილიკ-ბილიკ, გზის აღმართზე,
ვარდს ვეძებდი, ვერსად ვნახე,
სხვას არასდროს არ წავართმევ,
უბრალოდაც ხელს არ ვახლებ.

საინგილოს ვარდის კონა,
მე მომართვეს, ჩემი არის,
დავხედე და მომეწონა,
ვერ წამართმევს ამას ქარი.

წყალს დავუსხამ ყოველ დილით,
სურნელებას თვითონ აფრქვევს,
შორი გზა აქვს გამოვლილი,
მე მას საქართველოს ვარქმევ!

SAINGILO ROSES

From trail to trail, up the road,
I was looking for a rose...
Other's belongings I never touch,
I can't do it; it is not my nature.

But, soon, I was given a rose bunch,
From Saingilo, my soul to calm,
As I looked at it, I fell in love,
The wind can't grab it; I can't give it up.

I'll look after it, I will moisten it,
And its fragrance it will emit itself,
She has come with me from a long way,
Its name has been "Georgia" since today.

ია მოსულიშვილი
Ia Mosulishvili

* * *

ჰორიზონტს მიღმა სამყაროს ვეტრფი,
მიწის სიცხადე დუმილს მავალებს.
ვხედავ, თუ ნისლი როგორ ეშვება
და მეც მორჩილად ვხურავ დარაბებს.

ვერწყმი ოცნებით ცის სილაჟვარდეს,
ვაწყდები ნატვრით გრძნობით ქარაფებს,
უსასასრულობა როგორც მორევი,
მატრიალებს და სიღრმეს გადამცემს.

აქ, ამ მიწაზე მარტოსულობა,
კვლავ სიმუნჯეს და დუმილს მავალებს,
რადგან სიწმინდეს შეგილახავენ,
როგორც კი გახსნი გულის დარაბებს.

***

Beyond the horizon, I adore the universe,
The clarity of the land adjures me silence.
I see how the fog descends towards earth,
And I obediently close my shelter entries.

With my dreams, I merge the heavens azures,
I am facing the turbulence of feelings,
And infinity as a whirling vortex
It turns me and drags me into its depths.

Soul loneliness here on this empty land
It orders me to be silent and dumb,
Because they'll violate your sanctity,
As soon as you open the doors of your heart.

***

ოჰ, ჩემო ცაო, ღმერთო ჩემო, ჩემო ღვთაებავ!
გადმომაფინეთ წმინდა კალთა ღრუბლის ფთილებით.
რამეთუ შევძლო ყველა სიტყვის ჰანგად გარდაქმნა,
შემოგაწოდოთ ეს გულისხმა ფერად სიმებით.
ბინდისფერად დგას სევდა ფიქრის მისადგომებთან
მიხსენით მისგან, ვარსკვლავური გამოსხივებით.
დიად კოსმოსში გაჩენილი გრძნობის საუნჯე –
თვალხილულისთვის დამიწერეთ, ფრაზა-სიტყვებით.
ოჰ,ჩემო ცაო,ღმერთო ჩემო,ჩემო ღვათებავ!
ამ სამყაროში შეცნობილო, ლურჯი სიზმრებით.

***

Oh, my high heavens... my God, my Deity,
Spread out over me, the petals of clouds.
To be able to transform all the words into a melody,
And to pass my heart's voice to colourful strings.
Sadness stands dimly on the verge of thought,
Please, save me from it with your starry glow.
And the feelings barn that was created in the cosmos,
Write for me, for a mortal, in phrases and words.
Oh, my sky, my God, perfect and divine,
Perceptible in this world, with your blue dreams.

თინათინ უზარაშვილი
Tinatin Uzarashvili

მენატრები

მენატრები, უსაშველოდ მენატრები,
ქარი არხევს გადაპენტილ ალუჩას,
სასოებით დანთებული კელაპტრები
უხმოდ ქრება, ლოდინს ბოლო არ უჩანს.
მენატრები, ფიქრს, დასერილს ტკივილებით,
ენანები ქარში დასაკარგავად,
გზა მიჩვენე, სად ვიპოვო გვირილები,
ჩანისლული სულის მოსაქარგავად…
ჰაერივით მჭირდები და მენატრები,
უხმო ლოცვად, ტკივილად ვარ ქცეული,
მენანები, დასაკარგად მენანები,
რა ამაოდ გიხმობს სული, ეული.
მენატრები, უსაშველოდ მენატრები, ირგვლივ
მხოლოდ ამღვრეული ნისლია, ჩაღვენთილან
სულის ციცქნა კელაპტრები… ეჰაა! მზე და
სიხარული სხვისია… მენატრები!!!

სინანული

რარიგ სწრაფად გაიკრიფნენ წლები,
როგორ ჩუმად მომეპარა ღამე,
როგორ მტკივა დაწყვეტილი გზები,
სინანული წვეთ-წვეთ წყდება თვალებს.
  მხოლოდ ცა და სუსხიანი ბინდი
  და სიცივით შეჭირხლული მთვარე,
  მოგონება სველ ბურანში მიდის,
  ცივი ქარი ეხეთქება კარებს.
მხოლოდ ცივი ჟრუანტელი ტანში,
მხოლოდ სველი, ნესტიანი ღამე…
კიდევ ერთი ვერცხლის სიმი თმაში
და იმედი – ეს დღეებიც წავლენ…
  როგორ ჩუმად გაიკრიფნენ წლები
  და ფინიშთან, მარტოსული ვდგავარ.
  ფერად სიზმრებს შეტრუსვიათ ფრთები…
  ღმერთო! ჩემს თავს თითქოს აღარც ვგავარ…

I MISS YOU

I'm helpless... I miss you so much.
The wind sways the over-whitened plum,
It keeps disappearing without a sound,
The candle, lit with tenderness and love.
I miss you... my thoughts being cut into pieces,
Don't want to sacrifice you to be lost in the wind,
Please show me the way where to find daisies
To embroider my soul... shrouded in mist.
I miss you so much now; I need you like air,
I've become a silent prayer of suffering pain,
I don't want to lose you; I'll regret my loss,
I call you, but my soul has been left alone.
I miss you, I miss you, I miss you so much,
It is a hopeless day, fog only all around,
My soul's tiny candles have already melted,
Eh! My Sun and my joy are someone else's now.
I miss you!!! There is no end to the wait.

REGRET

How quickly the years have passed
How quietly the night sneaked into my heart,
Hurts me my roads, severed half-way,
Regret falls drop by drop from my sad gaze.
  Only the sky and the freezing twilight
  And the cold moon, hurt by soul pains,
  The memory goes to the wet half-sleep,
  And the cold wind is ready for the gate to hit.
Just a cold shivering in my worn body,
And only a wet, damp, moist night...
Another silver thread in the hair and
I hope – these days will also pass...
  How silently the years have vanished,
  It is the end of my life, and I'm still alone,
  Colourful dreams have the wings burned.
  God! I don't look like myself anymore...

ბელა მოდებაძე
Bela Modebadze

დედა...

არ დამიბერდე, ჩემო დედა, არ დამიბერდე,
მე ხომ ამ სიტყვებს გამუდმებით გეჩურჩულები,
არ დამიბერდე, არ გამიშვა ხელი არასდროს,
ძალა მეძლევა, როცა ახლოს მესულდგმულები.

მომნატრებიხარ, ისე ძლიერ მომნატრებიხარ,
ამ მონატრებას ვერ ანელებს შენთან სიშორე,
მინდა ხელები შემოგხვიო, გულში ჩაგიკრა
როგორ მიყვარხარ, ჩემო დედა ნეტა იცოდე.

შენ ხომ გმირი ხარ, შვილებისთვის თავდადებული
მთელი ცხოვრება შემოგვწირაო, ვიტყვით თამამად,
თუკი ჩვენშია სიკეთე და უბრალოება
მხოლოდ იმიტომ რომ აღგვზარდე ასე ალალად.

დიდხანს მიცოცხლე დედაჩემი, ჩვენს საიმედოდ
ღმერთო მაღალო, გვიდღეგრძელე გვყავდეს
მანამდე,
სანამ ძალა აქვს მის გულიდან წამოსულ სიტყვას
მინდა გვლოცავდეს უკუნითი უკუნისამდე.

MOTHER...

Do not get old, my dear mother; do not get old,
I keep whispering these words endlessly to you,
Do not get old, don't let me go, hold me the hands,
I get strength when I feel the beating of your heart.

I miss you, Mom, my dearest; I miss you so much,
Distance from you can't slow down my longing,
I want to wrap my arms around you, too, Mom,
How I love you, my mother, you should know it.

You are a hero, self-sacrificing to your family,
We feel proud that you devoted us your whole life,
Know that all the simplicity and goodness we have,
Just because you brought us up well, my mom.

Oh, divine God, grant long life to my mom,
Let her encourage us and be our angel-guard,
As long as the word has power from her heart
To give her blessing to her children forever.

მთვარე, ჩემი ფიქრის მესაიდუმლეა...

როგორ გარინდულხარ მთვარევ
წყვდიად სიბნელეში მარტო,
დინჯად მიუყვები ღრუბლებს
ჩუმად ბევრ რამეზე დარდობ.
თითქოს გინდა გვითხრა რაღაც,
მაგრამ ვერ იპოვე სანდო,
ვისაც გადაუშლი ფიქრებს
ვისაც გულის დარდებს ანდობ.
როცა შემოგხედავ ღამით
წამით გამიელვებს სევდა,
როგორ სილამაზეს აფრქვევ
სხვებიც თუ ამჩნევენ ნეტავ.
სითბოს და სიყვარულს გატან
შვილებს მიუტანე ჩემგან,
ყურში ჩაჩურჩულე ჩუმად
გამოგიგზავნაო დედამ.
მე კი მოუთმენლად ისევ
ერთ დღის დაღამებას ველი,
ვიცი, არ დამაღალატებ
მჯერა... იმედი მაქვს შენი.

THE MOON, MY STEADFAST CONFIDANT.

How silently do you observe, Moon?
Alone in the pitch dark, in solitude,
With a slow temper, you follow the mist.
And to bear your weight, you have your worries.
As if you want to tell us some of your affairs,
But you couldn't find a reliable friend,
To whom you could open the sorrows of heart,
To whom you entrust your soul disturbance.
When I look at you at night
Sadness instantly flashes in my mind,
What a beauty do you spread around,
I hope others notice it, too.
I send you my immense love,
For my children, you to pass,
To whisper them in a quiet voice:
Mom sends it to you with eyes moist.
I will wait for you with patience,
For one day, to meet you again,
I know you won't betray me
I believe you... I hope of it.

ნელი-ნენო სანებლიძე
Neli-Neno Saneblidze

მადლობა

დატყვევებულო ქართულო სიტყვავ,
მე შენით მშვენის განდობა ფიქრთა.
შენა ხარ ღმერთის ნება და აზრი.
სიბრძნეს ფლობს შენსას ბებერი ლაზი.

თურმე ლაზარე რქმევია ქართულს
და შეუნახავს იდუმალთსიტყვა.
ჩვენი წინაპრის ნაანდერძევით,
გაგვანდობს იგი ჩვენ ყოვლადწმინდას.

ქართველს ის დარჩა ელოდოს რწმენით,
რომ აუსრულოს ღმერთს თვისი ნება.
და მოწიწებით მადლობა ვუთხრათ
ბრძენი ზოსიმეს "დიდება-ქებას".

THANKSGIVING

The Georgian word, being in long thrall,
I love confessing within you my thoughts,
You are the will and essence of God,
Lazi Man's pride, his hidden wisdom.

It turns out that Lazarus is called
Georgian Language and keeps secret words.
And with the will of our ancestors,
It reveals the mystery of the divine Lord.

And the Georgian waits – wait with faith,
To fulfil Heaven's will and grace.
And for the Georgian Language, praising
Thanks to Zosime's wisdom, with esteem.

უკმარობის სევდა (შენ!...)

უთვალავჯერ შენაცვლელო ფიქრო,
უსაშველოდ მონაჩვენებ ყოფავ,
სიცოცხლეო, ნეტავ როდის იტყვი?
დაისვენე, უკვე დროა - მორჩა...
        სასაცილო ფუსფუსია ირგვლივ,
        არაფერი არ გვცოდნია, ჰოდაა,
        გაუღიმე, რაც რამ სევდას გგვრიდა,
        არაფერი იქეთ აღარ გინდა...
მიგაქვს მხოლოდ დიდი სიყვარული
და გიერთებს მშობლიური მიწა...
სიყვარულის უსამანო ღმერთი,
უსასრულო, განა ერთი ციდა,
        მოვლენილხარ მისთვის მაღლა
        ციდან,
        ეს ცხოვრებაც საამისოდ ღირდა...
        მარადიულ სამყოფელში წასულთ,
        სევდა დარჩათ - უკმარობის სევდა,
ერთ სიცოცხლეს ვერ გადააააწვდინეს,
ფიქრში, რასაც თავისუფლად ვბედავთ...
(მაგრამ შენი საზღვარია იგი -
რაიც ზენამ დაგიწერა ბედად)...
        ...მივუყვებით დღეთა აურზაურს,
        სიბრძნეს მართავს დიდი მდუმარება...

THE SADNESS OF FAILURE...
(To you!...)

My mind had changed countless times,
Seams unbearable my helpless being,
When would you like to say my life:
Rest now, enough, it's already time...

        It's a perpetual enigma that surrounds us.
        We do not know about anything else,
        Smile at everyone that makes you sad,
        You don't need anything beyond this land.

What you carry beyond it's only the love,
Native land holds you in its tender heart,
O, Amour, Amour, the great god of love
Infinite, boundless, immense and vast.

        You have come from the blue azure sky
        To feel this life with a sense of pure love,
        Who left and have gone to the eternal land,
        Sadness remained - sadness of soul lack.

One life given to us is not enough
For our thoughts what we freely dare…
(But it is a limit of your action and
What heaven gave to you as your luck)...

        We follow the bustling life's commotions,
        Wisdom is governed by golden silence.

***

ნატვრით ვხვდები ღიმილებს,
სიყვარულს ვებარები,
სანამ ქვეყნად დავდივარ,
არც მიწას ვეზარები…

მერე როცა დრო მოვა,
ცას ვერ დავეკერები,
სითბოს ყვავილად დავრგავ,
იმედს, დავესესხები…

წავიმძღვარებ იმქვეყნად,
რასაც რომ ვეფერები,
ჩემეული გრძნობებით,
ცის და მიწის ფერებით,

მერე წვიმად წამოვალ,
ყველას დავენამები,
გულით ვინც ამიკინძა,
სულში, მარგალიტები..

***

I meet smiles filled with daydreams,
I belong only to pure feelings,
And while I'm here and I can walk,
My love saves me in this world.

Then, when my departure time comes,
No one lets me stay above this land,
I will hold warmth as a flower bunch
And my hope will be my concomitant.

I will carry them to the new world
Whatever I touch and with love I hold,
With my immense and boundless feelings
With the colours of sky and earth...

Then I'll return as drops of rain,
And I'll water mountains and fields,
All who beaded for me beautiful pearls,
Who I have in my heart, with holy spirit.

ნორა ედიშერაშვილი
Nora Edisherashvili

***

მივჩერებივარ დაბინდულ სარკმელს,
დავეძებ მიმქრალ ნისლის ბორიოს,
სცვიოდა ღვენთი შანდალში სანთელს,
ვიღაც ხატავდა დილის ორიონს.
ცხოვრება ჰგავდა ამღვრეულ მორევს,
ღრენით მოგვდევდა მშიერ ძაღლივით…
შენ ლაჟვარდები მითხარი, თორემ,
წლებიც მეყოფა ფიქრით დაღლილი.
მამულო, შენი სინათლე მსურდა,
მხიბლავდა ლურჯი ზეცის სიმაღლე,
ველური სივრცე და მიწის სუნთქვა,
შენი ამაყი დიდი სილაღე…
უბრად მიდიან წელიწადები,
საწუთრო თავის არშინით გვზომავს…
რჩება ტკივილი, გულის დარდებით…
და ცხოვრებასთან ამაო ბრძოლა…

* * *

I am staring at the misty window,
I am searching for north wind in the fog.
A candle is melting in a Chandelier,
Someone is painting Morning Orion.
Life has been like a muddied meal-storm,
It is chasing us like a hungry dog.
Perhaps you can show me the azure clear sky,
As it is enough, my tired years.
I want your light, my precious fatherland,
It fascinates me your high blue sky,
Your wild space and your soils breathe,
Your pride, your grace and incredible strength.
The years are going by; they are running fast,
This world measures us in its own way.
There is pain, and it remains,
Fighting with fate, it is in vain.

* * *

სად დგანან, ნეტავ, ზამთრის ჯარები,
რომელ პოლიგონს შერჩნენ ღრუბლებად?!
არცა სიმშვიდე, მინდვრის ქარების
და არცა თოვა - გადაუღებლად…
მიჩვეული ვარ პატარა ქალაქს,
მის ვარსკვლავიან ზეცის მინარეთს
და როცა გულში ტკივილი მსჭვალავს,
როგორც მკურნალი, მხვდება მდინარე.
დროს ჩაბარდება წვიმაც და თოვლიც,
ვერ ვპოვე ფიქრის თავი და ბოლო,
სავსე ვარ მძიმე განცდით და თრთოლვით,
სიმწრის ცრემლები მასველებს მხოლოდ.
სულში ღამეა და ცივა გარეთ,
ვუსმენ ქარების აწყვეტილ კივილს,
შემომიღებდე ოღონდაც, კარებს,
ამაცილებდე წუხილს და ტკივილს…
სად დგანან, ნეტავ, ზამთრის ჯარები?!

* * *

If only I knew where winter troops guard!
At which regiment did they remain as clouds?!
No serenity, nor meadow winds,
Not even snow – unceasing falling.
I am used to living in a small city,
I love its sky embroidered with stars,
And when pain pierces my heart deeply,
A river appears as its best healer.
Rain and snow will pass in time,
I could not find any sense of life,
I am full of feelings and trembling,
Tears of bitterness wet my being.
Inside me a night, and cold outside,
I hear the screams of the raging winds,
I wish you to open my long-locked gates,
To save me and avoid anxiety and pain...
If only I knew where winter troops guard!

ვინ დამიქარგავს?!

დაუტოვიათ ღმერთებს საუფლო,
ცათა და ხმელთა ძოწის სავანე…
შენს ნაფიქრალთან ვით ვისაუბრო,
ვინ ამიწეწავს გიშრის დალალებს,
ვინ დამიქარგავს ზეცის საფირონს,
პარნასში სძინავთ თეთრ აკაციებს…
გიცდი…მივყვები… ვფიქრობ… ვჯახირობ…
ტორტმანით მივდევ გიჟმაჟ გრაციებს…
…
დაუტოვიათ ღმერთებს საუფლო,
ცათა და ხმელთა ძოწის სავანე…

WHO WILL EMBROIDER?!

It seems the gods abandoned their kingdom,
The abode of coral of heavens and earth.
How can I talk to your mind and thoughts?
Who will disorder my plaited hair?
Who will embroider the heaven’s sapphire?
White acacias are sleeping in Parnassus.
I wait for you, I struggle, follow my thoughts,
I am lurching after mischievous Graces.
...
It seems the gods abandoned their kingdom,
The coral abode of the heavens and earth.



კახა ხოშტარია

გავუყევი მე საღამოს ბინდებს,
ჩემო კარგო, შენ არ შეგეშინდეს.
მივადექი მე სიცოცხლის კიდეს,
ნუ შეკრთები, მოიშორე რიდე.
დარდი ყველა გულზე ჩამოვკიდე.
გასავლელი დამრჩა ცოტა კიდევ.

***

ზღვა, წყალი, ტალღა.
შემოერტყა სამყაროს სალტე.
არ ვიცი სად ვარ, რას ვუმზერ
და რა სიტყვას ვიტევ.
გარდასულია დღენი ყველა,რომლებიც
ნელა იკარგებიან წყვდიადში, თითქოს.
რა ვქნა, არ ვიცი, მე შიში მიპყრობს.
იქნებ მოვასწრო მზესთან შეხვედრა
და დავასრულო შემოქმედება.
იმედის სხივი ამარცხებს წყვდიადს,
ვხვდები სხვა სივრცეს, ვხვდები განთიადს.
ახლა ვიგრძენი რა არის დაღლა,
მაგრამ ნათელი ისევ რომ გაქრა…
სინათლე ჩაქრა, დაჭკნა ყოველი…
რაღას მოველი?
დაისადგურა დუმილმა ირგვლივ…
დავმშვიდდები და ცოტას გავივლი…
რა მძიმე გახდა ნაბიჯი, ყოველი.

სურნელი სიტყვის...

ჩრდილი, დაჩრდილვა, ჩრჩილი დაფრინავს
და დაჩერჩეტობს ჩოჩორი ჩორთით;
მწვანედ იელვებს ტყე, აქოჩრილი,
მე კი წინ მივალ, ოღონდაც, ფორთხვით.
მწვერვალი არ სჩანს…
ციცაბო ფერდით
კვლავ მივუყვები აღმართს, ეკლიანს.
არსად ვჩერდები, იმედს არ ვკარგავ,
რომ სადღაც, მაღლა, მართლაც მელიან…

I have followed the evening twilights.
And you, my dear one, do not be afraid.
I reached the end of my life, and you
Don't quiver; get rid of your fear.
I hung my worries in my heart.
I have a little more to go, dear.

***

Sea, water, wave...
The belt surrounded the universe.
I don't know where I am, what I'm looking at
And what word to say.
The days have gone;
They lost slowly in the dark.
I don't know what to do,
I am afraid.
Maybe I will meet the sun in time
And finish the creation at last, after all.
A ray of hope defeats the gloom,
I meet another space, and I meet the dawn.
Now I feel what tiredness is,
But when the daylight went out again,
The electric light also went out...
Everything that I could wait for—withered.
There is silence reigning around.
I will calm down and walk a little, and
How my every step got overburdened.

THE FRAGRANCE OF WORD...

Shadow, shade, a moth is flying.
And a silly foal trots aimlessly,
With raised hackles, the forest glows green,
And I go forward, but with crawling.
No peak in sight...
With a steep slope
I still follow the strict, thorny uphill.
I don't stop anywhere; I don't lose hope
That somewhere, above, they wait for me…

ტაძარი

ტაძრიდან ისმის ბუბუნი ლოცვის,
როგორც გუგუნი დედამიწისა,
და წარმომიდგა სვეტიცხოველი
შემაერთებლად ცის და მიწისა.
მჯერა, სიკეთე დაისადგურებს
და დამარცხდება მტრობა და შური
განწმენდილ გულთა კვლავ შეერთებით
აღორძინდება სამშობლო სრული.
მადლი ლოცვისა მოეფინება
უკლებლივ ყველას, მთა-ბარს ქვეყნისას
და დავინახავთ, რომ უფლის ნებით
აღორძინება ისევ გვეღირსა.
გავითავისებთ თითოეული
ყოფიერების აზრს, სიღრმისეულს,
ამაოების ბურუსს გავფანტავთ,
თუკი შევისმენთ სიტყვებსა გრძნეულს.
სიკეთის მადლსა შევიცნობთ გულით,
ღვთის მფარველობა არ მოგვაკლდება,
ჩვენი სამშობლოს კლავ გასახარად
ნათელი აზრი დაიბადება,
ჩვენი წინაპრის გმირული სული
აღარასოდეს დაიკარგება.
ისევ მომესმა ბუბუნი ლოცვის,
თითქოს გუგუნი დედამიწისა
და დავინახე სვეტიცხოველი,
შემაერთებლად ცის და მიწისა.

TEMPLE

From the temple is heard prayer mumbling,
Like the droning and hum of the Earth,
Svetitskhoveli erected in front of me,
As the connective of Heaven and Earth.
I believe kindness will reign on the Land,
And enmity and envy will be defeated,
With the reunions of our cleansed hearts
We will revive our homeland.
The grace of prayer will be spread on
Utterly everything _ mountains and meadows,
And we will see that by the will of the Lord
We will revive and will go on and on.
Let each one of us assimilate
The deep meaning of the sense of existence,
We will dispel the fog of vanity,
If we use heartfelt, sincere words.
If we feel the grace of goodness in our hearts,
God's protection will never leave us,
And for the joy of our motherland
A new clear thought will be born.
The heroic spirit of our ancestors
It will never be lost again.
And now, again, I have heard the sound of prayer
and the hum of the Earth...
And I saw Svetitskhoveli,
As the connective of heaven and Earth.

შაკიკი

სუსხი დეკემბრის. თავის ტკივილი და
გულისრევა.
ზამთრის სიცივე, სისუსტის გრძნობა
და დასასრულის მოახლოება.
აღვიდგენ ძალებს? კითხვა, მთავარი.
 გონების ძაბვა ფიქრთა დენს აღძრავს.
უნდა ვუფრთხილდე მე მოკლე ჩართვას.
 შუკა, შაკიკი, შარშანდელ შუქზე შუშპარა შოკი
რამდენიც გინდა, იმდენი ლოკე,
შავი აჩრდილი დაქრის და ტოკავს
და მოლოდინი დიდი ნათების
ფიქრის დინებას ვეღარა ბორკავს...

MIGRAINE

It's a freezing December: headache and nausea.
Feebling, weakness and approaching of an end.
Will I regain my strength? It is the main question.
The tension of the mind stirs up the current of
thoughts.
I have to be careful of short circuits.
Alley, migraine, playful trauma in last year's light,
You can lick it as many as you wish,
The black ghost whiffs and puffs, swaying
And the waiting for a great light
It can't stop the flow of thought anymore.

იოსებ დიასამიძე
Ioseb Diasamidze

ჩამოთქვი, ჩემო ჩონგურო

ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო, აჭარაზე მომართულო:
ნაირფერებით ნაქარგო, ედემისდარო ქობულეთო,
მხარე მეორე სად არის? - ოქროსფერო მთიანეთო,
მთის გულმკერდში დამალულო - მზიანეთო შუახევო.
სიცოცხლეო საამურო - შუამთაში შენარხევო,
ჭირნახულით დატვირთულო – ქედავ, ღამე მთვარიანო,
ქედავ, ბაგეთაფლიანო, ზვარევ, მტევნებგიშრიანო,
ბედნიერი ხალხის გარჯით – ხულოვ, ოქროდ მოსირმულო.
დიდ-აჭარავ, ქრისტეს რჯულო, ჩემს მამულში მიღებულო
ციხე-კოშკად ნაშენებო, გონიოვ - შენ მადლიანო,
მტერმა გნახოს, შემოგხედოს - გული დაუდარდიანო,
მოყვრის გულის გასახარად,მთებო, გულმკერდ გადაშლილო.
გამხელილო სიყვარულო, მთის ცვარ ნამში განბანილო,
აჭარულო "შუამთობავ", მწყემსი ბიჭის სალამურო,
და ბათუმო - ჩემო გულო, ნაჟური ხარ ჩემი სისხლის,
გალობა ხარ ჩემი სულის, და გუგულის დაძახილის.

SING OUT ON THE LUTE GUITAR.

Please address it to Adzharia: play a lute and sing it out,
For my precious Qobuleti, for my Eden, pray aloud.
Where can be the other side, golden-coloured highland,
Oh, my sunny Shuakhevi, hidden in the mountain heart.
Mesmerising Shuakhevi, celebrating among mountains,
Harvest-burdened yieldy Qeda, with unusual moonlit glow,
Honey lips sweet bees and Zvare with its black jet grapes bunches,
Embroidered with gold threads, Khulo with its glee citizens.
Did-Adzharia, the law of Christ, accepted in my estate,
And Gonio - a castle tower - with the highest virtue and grace,
Let be burst the enemy's hearts, who can envy your achievement,
Holly Mountains gladden the goodies with kind and sincere sense.
Cleansed in the dew of the mountains, the Divulged feeling of purest love,
"Shuamtoba" celebration, heartfelt pipe-sound of a shepherd,
And Batumi – love of my heart, my blood vessel, my morning star,
You are the song of my soul and orphaned cuckoo's a sad night's cry.

ჩემო სამშობლოვ

ჩემო სამშობლოვ, შენს ტკივილს
მინდა მალამოდ დავედო,
წყლულს მოვუპოვო წამალი,
ცოცხალი ხიდად გავედო.

ერთ დღეს მე მინდა რომ მედგას,
სამშობლოვ შენი უღელი,
ვიყო ხარივით მომთმენი,
მასსავით ქედმოუღლელი.

სამშობლოს ოფლი მდიოდეს,
ბრძოლაით და შრომით დაღლილსა,
ეგებ მაშინ ვთქვა დალხენით
სიტყვა სათქმელი კაცისა.

იდიდგორე საქართველო!

უტკბილესო ქართლის მიწავ,
ხარ სამოთხის ტურფა ბაღი,
ქართველ კაცის სუნთქვა გქვია,
და ლომგულთა საბუდარი.

ვაზის ლერწო, რთველის ეშხო,
უფლის პეშვი დაგელოცოს,
შენს მზესა და შენს დილაზე
აბა, როგორ არ ვილოცო?!

მიყვარს შენი ცა და მიწა
ორ ზღვას შორის შენი ლელო,
ჩვენს იმედად, მტერთა რისხვად
იდიდგორე საქართველო.

"შუამთობა"

შუამთობა – თვალსეირი საამური,
შუამთობა მთის და ბარის სიყვარული,
შუამთობა ცის და მიწის სიხარული,
შუამთობა – ქალ-ვაჟების სიყვარული.

შუამთობა – დახარბება ცივ წყაროზე,
შუამთობა - თვალწარმტაცი მთა და ჭალა,
შუამთობა - მწყემსი ბიჭის სალამური,
შუამთობა – ტანხერტალას განდაგანა.

შუამთობა – მთები გულ-მკერდ გადაშლილი
შუამთობა - ცა ფირუზად ჩამოთლილი,
შუამთობა – ატეხილი მთის ჭალები
და ჭალებში გამხელილი სიყვარული.

HOMELAND!

I want to cure you, be your balm,
To heal all your ulcers, my homeland.
For your bitter pains, I to be medicine,
And I to become your saving bridge.

One day, I want it to feel, yes, I want,
Over my shoulders, my share yoke,
I to be strong and patient as an ox,
Haughty like him, able to turn mountains.

To be sweaty with homeland's love,
Be over tired with work and battle,
Then, I will say it with pride and pleasure,
I lived as a man and kept the honour of man.

RESEMBLE DIDGORI!

The sweetest land of my Georgia,
Mesmerizing garden of Heaven,
You are the breath of a Georgian man,
And the cradle of the lionheart.

A vine shoot and the charm of vintage,
Let you have ever God's bliss,
Well, how can I not to pray
On your sun and your morning?

I love your sky and your earth,
Between two seas, mountain fields,
In our hope, in the rival's wrath
Resemble Didgori, my beloved Georgian.

SHUAMTOBA

(A celebration deeply rooted in our culture and tradition).

Shuamtoba – a fascinating sight-seeing,
Shuamtoba - the great love of the hills and fields,
Shuamtoba - the delight of heaven and earth,
Shuamtoba- love adoring between males and girls.

Shuamtoba - greediness for a cold spring,
Shuamtoba - picturesque mountain and march,
Shuamtoba - shepherd boy's a lute greeting,
Shuamtoba – Slender maidens "Gandagana" dance.

Shuamtoba– the heart spread widely through mountains,
Shuamtoba - the azure blue sky turned to turquoise,
Shuamtoba – possessed by passion mountain floodplains
And the love revealed in the flood marsh fields.

მურად დიასამიძე
Murad Diasamidze

მარტი

მარტის თვეო, არ ხარ მარტო,
შენთან არის სუნთქვა დედის...
სიყვარული, სითბო გვათბობს,
სხივი ბრწყინავს კვლავ იმედის.

თმაში თეთრი ისევ გაკრთა,
დაახვავა წლებს ჭაღარა...
მაგრამ სიბოროტე გაქრა
მზემ სიცოცხლით გაგვახარა.

დედავ ჩემი გულის ფეთქვავ,
წყაროვ ჩემი კარგად ყოფნის,
შენი ხმა რომ მომესმება,
სურვილი მაქვს კვლავ სიცოცხლის.

MARCH!

Do you feel lonely? Why do you bother?
Look at the shadow of a dear mother...
Don't you feel her warmth and abundant love?
A ray of hope shines again in the heart.

What if more glistens hair with silver,
It is turning grey and shines in the light,
But the evil is gone, don't you be scared,
And life rejoices us, glees and delights.

Oh, Mother, my dear, beating of my heart,
You are my breath and a joy of my existence,
Life encourager, Harbinger of a miracle,
The source of goodness, the first initial.

***

საქართველოვ, შენზე ფიქრში დამათენდა,
შენზე დარდში გაილია ღამე,
ერთხელ რატომ არ გამანდე საფიქრალი?
იქნებ მართლა შეგაწუხა რამემ?
ბევრს გავიღებ ძლიერ საქართველოსათვის,
მისთვის დავთმობ ქვეყნად ყველა სიკეთეს,
ოღონდ მთხოვეთ: ნამდვილ ქართველობისთვის,
მსხვერპლი რაა? სასწაულს გაგიკეთებთ...

***

It dawned on me, in thoughts about you,
Because of your pain, troubles and sorrows,
Why don't you share your worries with me?
Show me the roads; direct me, please.
I can die for you, my beloved motherland,
I do anything for the Georgian's courage,
Not only for Georgia but for anyone else,
I can do miracles if one loves my land.

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი
გაგრძელება
(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28-32, 45-52-ში)

ბატონო სტუდენტებო

ღმერთმა ნუ ქნას, ოდენ ჩვენი ყოფის გაუკეთესებაზე ვზრუნავდეთ.

ქართველი მწერალი და მეცნიერი ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც საქართველო ცხოვრობს.

შეიძლება ცოტა უარესადაც.

ჩვენ ყველაფერს ავიტანთ, მაგრამ ვერ ავიტანთ ქართული მუზეუმების გაჩანაგებას, ქართული ფენომენის შეურაცხყოფას, ქართული სულის ჩაწიხლვას, ქართული ისტორიული რელიკვიების გაპარტახებას.

* * *

ურვეთში მეგობრის მამის დაკრძალვაზე ჩავედი, თებერვლის სუსხიანი წვიმიანბურუსიანი დღე იყო. ჭირისუფლებში ჩემი მეგობრები ვერ შევნიშნე, სასაფლაოზე გაყოლოდნენ ვიღაცას. ეზოში შავად გაბარჯღული ბებერი ბლის ქვეშ გავჩერდი. საოცარი იერი აქვს ზამთარში ხეს. თუ დააკვირდებით, ზამთარში უფრო შთამბეჭდავია იგი, ხე კი არა, ხის ჩონჩხი უფროა, გაძარცვული, ზეცისკენ ხელებაპყრობილი, კივილად დამდგარი. მწვანით დაფარული ხე სხვაა, კმაყოფილის, ბედნიერის, გამძღარის, დამცხრალის იერი აქვს. დაკრძალვამდე თუ მეტი არა, ორი საათი მაინც რჩება.

თუმცა ხეებს გავცქერი და არაფერს ვიმჩნევ, მაგრამ ვგრძნობ გარს მივლიან, ცნობისმოყვარედ მიცქერიან, ჩემს ირგვლივ წრე ვიწროვდება, აი, ახლა გადმოდგამს ნაბიჯს მათ შორის ყველაზე გაბედული და მკითხავს:

– რას იტყვით, ბატონო ვარლამ, გვეშველება რამე? ვინ მამაძაღლი დაამადლის პასუხს, მართლა რომ ვიცოდე გვეშველება თუ არა საერთოდ და თუ გვეშველება, როდის.

სანამ პეტრე მოვა, პავლეს შერჩება თუ არა ტყავი და გამრთელდება თუ არა დაჩეხილდალეწილი საქართველო.

ბრძენის პოზის მიღებას და „საერთოდ გაზაფხულზე იონჯა ამოვას“ ანდაზას ვერც ამ ხალხს ვკადრებ და არც მე მეკადრება.

ყველამ ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის.

ეთნოგრაფიულ მუზეუმს ავაკითხავ, დროსაც მოვკლავ და ხალხსაც გავერიდები.

მუზეუმი მაღლა გორაკზე ამილახვართა სასახლეშია, აქედან შორს არ არის, დათვალიერებული როგორ არა მაქვს, მაგრამ რას ვნახავ უკეთესს. თანაც სამი წელია აქეთ არ ვყოფილვარ. სამანქანო გზა მარჯვნივ ხვეულად მიუყვება მთას სასახლემდე. ვიწრო ორღობით საურმეზე გავედი და მუზეუმს სამხრეთიდან მივადექი.

კარგა ხანს ვიძახე „მასპინძელო, მაპინძელო“ და იმედი რომ გადამეწურა, სწორედ მაშინ გამიღო გალავანში დატანებული წნული რკინის კარი მაღალშუბლა, სანდომიანი სახის ქალმა, ლურჯ ხალათზე თეთრი შალი რომ მოუსხამს და ნიკაპს საყელოში მომხიბვლელად, ქალურად მალავს. – ჩემი სიკვდილი... ალბათ დიდხანს იძახეთ. საყდრის მხარეს ვართ ყველანი, აქეთ უფრო თბილა. აქეთა მხრიდან არ ველით სტუმარს და გვაპატიეთ ბატონო... თქვენ...

ეჭვი რომ გაუმართლდა, გაეხარდა. შემობრძანდით, ბატონი ჯიმშერიც აქ ბრძანდება. მე უბრალო ექსკურსიამძღოლი ვარ, თვითონ ბატონი ჯიმშერი მოგემსახურებათო.

ნუ შეაწუხებთ... არც დრო მაქვს იმდენი... ახალი ექსპონატების დასათვალიერებლად ამოვირბინემეთქი, მაგრამ არ დაიშალა. რომ არ გავაგებინო ძალიან ეწყინება, კატეგორიულად ვყავართ გაფრთხილებულიო.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ჩემს წინ სახელგანთქმული არქეოლოგი, ურვეთის ექსპედიციის ხელმძღვანელი, მუზეუმის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი ჯიმშერ წავკისელი იდგა. თეთრწვერა, სათვალიანი მოხუცის ჩა-

ვარდნილ ლოყებზე, განზე გასულ ყვრიმალებზე და წარბებს შორის ცხვირის ზემოთ სამ შვეულ ნაოჭზე ბერის სიმტკიცესიჯიუტე და თვითგვემის კვალი იკითხებოდა. დაბამბულ ქურთუკს შიგნით ლურჯი პიჯაკი და თივთიკისსახელოიანი, გაცრეცილი სვიტერი უჩანდა.

ჩემი მოსვლით კი არა, საერთოდ სტუმრის მოსვლით იყო გახარებული. ამას ასე კატეგორიულად იმიტომ მოგახსენებთ, რომ მე არაფერ შუაში ვარ. ჩემი სახელი ექსკურსიის განმავლობაში არაერთხელ დაავიწყდა და ბოლოს, გითხრათ სიმართლე, მეც აღარ შემიხსენებია.

ექსკურსიამძღოლ ქალბატონს გასაღებების შეკვრა ამოატანინა და მუზეუმის დათვალიერება ამილახვართა ეზოდან დავიწყეთ.

წყალსატევის ფსკერგამორიდებული მეთორმეტე საუკუნისდროინდელი მექოთნეკერამიკოსის სახელოსნო და სამოცდაათხჩონჩხიანი მეთერთმეტე საუკუნის სამარხი არც კი გვქონდა გავლილი, მაჯისკენ რომ ჩავაპარე თვალი, სამს აღარაფერი უკლდა. მიცვალებულს სადაცაა გამოასვენებენ, მაგრამ მოდი და უთხარი, ბატონო ჯიმშერ თუ შეიძლება, ცოტა დავაჩქაროთ, დაკრძალვაზე მიმეჩქარებამეთქი.

სხვას შეიძლება გაებედა ამის თქმა, მე ვერ გავბედე.

კაცი მთელი არსებით გიყვება, გიხსნის. შთაგონებით იგი ახლა იქ არის, დავითის და თამარის ეპოქაში და რა კადნიერებაა რომ შეაწყვეტინო, გამოიყვანო ეს სახეგანაზებული ხმაათრთოლებული მოძღვარისტორიკოსი თავისი გრძნეულების საუფლოდან.

ქრისტიანობამდელი არქეოლოგიური ექსპოზიციის დაწვრილებით გაცნობას რომ მოვრჩით, მუზეუმის სარკმელში უკვე მოღონიერებული ღამე იმზირებოდა, პროფესორმა ლამპით შემომატარა დანარჩენი სამი დარბაზი, კოშკის თავზე პატარა სენაკიდან ქონგურებიან აივანზე რომ გავედით და მთვარით განათებულ დაბას გადავხედეთ, შუაღამის ჟამი მოწევნულიყო.

ციოდა. უსიამო, შემაშინებელი სიჩუმე იდგა ირგვლივ. და სხვათა შორის მითხრა იმ ღამეს ბატონმა ჯიმშერმა:

ეს მეორე წელია დავტოვე თბილისი და აქ გადმოვსახლდიო.

სხვა გზა არ მქონდა. გაპარტახდებოდა აქაურობა. მუზეუმისთვის თავშეწირული ორი თანამშრომელი შემრჩა. დანარჩენებმა ვერ გაუძლეს შიმშილს და დამეფანტნენ.

დარაჯიც მე ვარ და დირექტორიცო.

მესამე წელია მიწაზე ბარი არ დაგვიკრავს, არქეოლოგიისთვის კი არა, საბავშვო სახლებისთვის არა გვაქვს ფული, რა დროს გათხრებია ბატონო ჯიმშერ, ასე მითხრა ერთმა მინისტრმა და თითქოს ბაგეზე ლოდი დამკიდეს, ხმა ვერ ამოვიღეო.

ბოლოს აღარ მახსოვს მერამდენედ, ნაახალწლევს მესტუმრნენ ავტომატიანი ყაჩაღები. შუაღამისას ლოგინიდან წამომაგდეს და სანამ ყველა კარი თუ სკივრი არ გამახსნევინეს, არ მომეშვნენო. სულ მუჯლუგუნკინწისკვრით დამატარებდნენ ოთახიდან ოთახში. ბოლოს მაინც არ დამიჯერეს, რომ აქ ოქროსა და ვერცხლის ექსპონატებს არ ვინახავთ, ეზოში ჩამიყვანეს და შესაშინებლად ავტომატი მომიშვირესო. ასე მივეჩვიე დამცირებადატუქსვას, ნანასავით ჩამესმის ყურში ბანდიტის გამყინავი, დაგუდული, უტიფრული სისინიო.

უნდა მაპატიოთ, უხეირო მასპინძელი ვარ. ჩემი პროფესორული ხელფასი, რა ვქნა, გამხელა მრცხვენია, პურის ფულადაც არ მყოფნისო.

ამ ერთი კვირის წინ ჰუმანიტარულ დახმარებად ათი კილო ბარდასოიო დაგვირიგეს. ყოველდღე სოიოს ფაფას გეახლებით და მოვითქვი სულიო.

მოწუწუნე კაცი არ გეგონოთ, ამ მუზეუმს არ დამინგრევდნენ, ხუთიათასი წლის ფიალებს არ დამაფშვნიდნენ თავზე და მოვითმენ ყველაფერსო. ცრემლი მომერია, მადლობა მოვახსენე და წვერზე ვაკოცე.

რბილი და ფაფუკი, მაგრამ ცივი წვერი ჰქონდა.

ტალახიან შუკაში ვეშვებოდი და წამდაუწუმ ექვთიმე თაყაიშვილი მახსენდებოდა.

ერი, რომელსაც მეოცე საუკუნის დასასრულს კიდევ შერჩა ბატონი ჯიმშერისთანა მოხუცები ღვთისაგან განწირული არ უნდა იყოს.

ბატონო სტუდენტებო

ახლა, როცა ჩვენ უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში ერთმანეთს ვხვდებით და მე, მოხუცი პროფესორი, ქართლის ბედზე გესაუბრებით, თბილისიდან ოცდახუთიოდე კილომეტრში დამპყრობლის ჯარი დგას.

„დგას“ მეთქი გითხარით? კი არ დგას, ასპიტივით ნელ-ნელა აქეთ მოიწევს.

იცით რა არის „მცოცავი ანექსია?“

თითქმის ყოველდღიურად გადმოსწევენ საზღვრის ნიშს და ახალი მავთულხლართებით ნთქავენ ქართველთა ეზოებს, შუაზე ჭრიან სასაფლაოებს, ღობის იქით აქცევენ საყდრებს...

უილაჯობამ და უიმედობამ ლამის სული ამომხადოს.

***

წავის მთიდან ყვავი აფრინდა.

კუსფერი ნისკარტით რაღაც ეჭირა და ფრენის დროს თავს მი და მო აქანავებდა. ისე გულდაგულ მიფრინავდა, იფიქრებდით, შორი გზა უდევსო.

უეცრად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ფრთები ღონივრად დაიქნია, ჯერ შურდულივით ძირს დაეშვა, მერე მაღლა ამოვარდა და უკან გაბრუნდა.

სექტემბრის ცხელი სიო დაძვრებოდა ხოდაბუნებზე. ბერყენასა და კაკლის ხეებს ჯიუტი ქოჩორივით აუშრიალაუფრიალებდა და ყვითლად გადახატულ ჭალაზე გაიშლებოდა.

სოფელ კეცის ბოლოს, სარწყავი არხის გასწვრივ, რუსი ჯარისკაცები მწვანედ შეღებილ ბოძებს მიწაში რკინის ურობით ნახევრამდე არჭობდნენ და ზედ მავთულხლართებს ამაგრებდნენ.

აგერ მესამე დღე ჩამოიმარცვლა, კეცელები ამ სურათს მწუხარე სახეებით შეჰყურებდნენ.

ქალები იწყევლებოდნენ. კაცები ყელში მოწოლილი ბოღმისგან კვნესოდნენ და გულში მჯიღს იცემდნენ.

სხვა რა უნდა ექნათ.

ჯავშანჟილეტსა და სკაფანდრჩაფხუტში ლამის თვალებიანად ჩაწნეხილი რუსები რუს გაღმა შეკრებილ სოფლელებს ზედაც არ უყურებდნენ. აქაოდა, აქ რაც ხდება, ამათ არ ეხებაო.

ღობის იქით დარჩა კეცელთა საძოვრები, საყდარი, ხეხილის ბაღები, სარწყავი არხი, სასაფლაო და სოფლის განაპირას მცხოვრებთა შვიდიოდე სახლი.

თერთმეტს აღარაფერი აკლდა, ცოტნე კეკუაშვილის სახლის კიბეზე სამნი რომ ეშვებოდნენ.

რუსი პოლკოვნიკი წინ მოდიოდა, უკან ოსი რწმუნებული მოჰყვებოდა, ბოლოს თვით ცოტნე.

– უთხარ, კაცო, ენგრე ჩქარა სად წავიდესთქო. ამ სახლსაბადებელს რა ჯანდაბა უყოსთქო, – ეუბნებოდა ცოტნე „ოსეთის ხელისუფლების“ წარმომადგენელს.

– მე რა უნდა ვუთხრა, ცოტნე. შენა გგონია, ჩემსას გაიგონებს? ხო გაგაფრთხილეთ, შენ კიდენა სახლის გადატანა არ დაგიწყია.

– რას ჰქვია, კაცო, გადატანა. განა სპიჩკის კაროპკაა ამოტოლა ქვიტკირის სახლი რო ავიღო და გადავდგა. იცი კი ვისი აშენებულია?

– ვისი?

– პაპიჩემის მამის. სუ დუღაბით არის ნაგები. მოდი, ნახე როგორი სანგრევია.

– მე არაფერი ვიცი. ეგენი, ხო იცი, ზაკონის ხალხია. ჩემი რო იყოი, ჩემსასაც დაანგრევენ.

– სამართალი არ არის ამ ქვეყანაზე?! რა წყალში ჩავვარდე, კაცო. ხვალ საღამომდე რა დოზანით დავშალო სახლი.

– ჩტო გავარიტ? – მოიხედა რუსმა.

– სდელაეტ, – მშვიდად მიუგო ოსმა – გავარიტ, ჩტო ოჩენ ტრუდნო, ნო სდელაეტ.

– ზნაჩიტ ტაკ. პუსკაი სნესუტ დო სემი ჩასოვ. იასნო? პატომ პოზდნო ბუდეტ.

იდგა ცოტნე თავის ჭიშკართან და ჯავშნოსანი მანქანისკენ მიმავალთ შეჰყურებდა. მერე ქუდი მოიხადა და მიწას დასთხლიშა.

სამზადიდან ურო და ორი რკინის „ლომი“ გამოიტანა. მეზობლებს დაუძახა და მამაპაპეული სახლის ნგრევა დაიწყეს.

დედაკაცებს სახლიდან ძველთაძველი კარადასაწოლები და ჯამჭურჭელი გამოჰქონდათ და კიბის სიახლოვეს აწყობდნენ.

ვიშვიშებდნენ, ტიროდნენ, იწყევლებოდნენ, იგინებოდნენ და მაინც საკუთარი ხელით შლიდნენ საკუთარ საბუდარს – ასწლეულობით სიმწრით მონაგარმოწეულს.

***

შუადღისას კეცის ჭალა ხალხით გაივსო.

ჯერ მეზობელი სოფლებიდან იწყეს დენა. თავისი საქმით გართულ რუს „მესაზღვრეებს“ ქართულად არცთუ სასიამოვნო სიტყვებს ეძახდნენ. ამ სიტყვებიდან რუსებმა მხოლოდ „ოკუპანტის“ მნიშვნელობა იცოდნენ, მაგრამ ვერ გეტყვით, ოკუპანტის გაგონებაზე ტანში აჟრჟოლებდათმეთქი. მშვიდად, უდრტვინველად განაგრძობდნენ დაწყებულ საქმეს.

რამდენიმე გლეხი ოკუპანტებს სამიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა, მაგრამ ჟილეტოსანმა მესაზღვრემ მუშტი რომ მოუღერა, უკან დაიხია.

– პრავაკაციაზე არ წამოეგოთ! – გაჰყვიროდა წითელსამკლაურიანი „თანამშრომელი“, რომელიც ამ ბოლო დროს
თავს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლად ასაღებდა, გულის სიღრმეში კი პირწავარდნილი „ნაციონალი“ იყო.

– რაზე არ წამოვეგოთ? – იკითხა ქარვისფერი ხელაბანდით თავწაკრულმა, მსხვილმკლავება ქალმა, რომელსაც ტიტლიკანა ბიჭუნა მარჯვენა მკლავზე შემოესვა. ბავშვის თეთრი დუნდულები მკლავს იქეთაქეთ გადაფარებოდა.

– პრავაკაციაზე – მიუგო „თანამშრომელმა“ და ქალი აათვალიერჩაათვალიერა.

– აკი არ წამოვეგე, გამოვერიდე, მეტი რა მექნა, – ამაყად ჩაილაპარაკა გლეხმა, რომელსაც წელან რუსმა ჯარისკაცმა მუშტი მოუღერა.

გზისპირას ორი ავტობუსი გაჩერდა.

მომიტინგენი ჩამოგრიალდნენ და მკვირცხლი, გაბედული ნაბიჯებით წამოვიდნენ „თე-

ატრონისკენ“.

მავთულხლართებთან ოციოდე ნაბიჯზე გაჩერდნენ და ტრანსპარანტები გაშალეს.

ომახიანად დაიწყო სიტყვა მოქადაგემ. ჩვენაო, რუს დამპყრობლებს ამას არ ვაპატიებთო. მთელი მსოფლიო ჩვენს გვერდით დგასო. ესაო, მცოცავი ოკუპაციაააო. მოდით, ყველამ ერთად მსოფლიოს გასაგონად დავიძახოთ, რომ ვგმობთ რუსეთის არმიის ამ დამპყრობლურ პოლიტიკასო.

– ვგმობთ! ვგმობთ! ვგმობთ! – ისე ხმამაღლა და ვაჟკაცურად ყვიროდნენ მომიტინგენი, რომ ნახევრადგამხმარ პანტამსხალს მარტოხელა კოდალა ააწყდა და გაურკვეველი მიმართულებით გაფრინდა.

– კაცო, მცოცავები რუსები კი არა, ჩვენა ვართ. ორასი წელია ასე დავცოცავთ რუსები წინა და ხმა ვერ ამოგვიღია, – ჩაილაპარაკა განაპირას მდგომმა ნაბდისქუდიანმა, ჭაღარა კაცმა. ოღონდ, უნდა ითქვას, იმანაც ისე, სხვათა შორის, დაბალ ხმაზე „ჩაილაპარაკა“. ისე რომ, მხოლოდ ახლომალო ბუჩქებს გაეგონათ.

მცირე სადილობა გადასული იყო, როცა რუსებმა მუშაობა შეწყვიტეს და უზარმაზარი ჯავშანმანქანის უკან გაუჩინარდნენ.

– გავიმარჯვეთ! – იყვირა სტუდენტმა და სიხარულისგან ტირილი დაიწყო.

მეგაფონი დეკლამატორპაროდისტმა მოიმარჯვა და მიტინგს გამარჯვება მიულოცა.

ხალხო! ისტორიული მომენტის მომსწრე ვართო. რუსებმა მცოცავი ანექსია შეწყვიტესო. ეს გამარჯვება ჩვენმა ჯიუტმა პროტესტმა და საერთაშორისო საზოგადოების თანადგომამ მოგვიტანაო. დიდი მადლობა გაეროს და ევროკავშირსო. აწ და მარადის ნატოსკენ ჩვენი გზა ხსნილიაო. რუსი ოკუპანტი დამარცხდა და მორალური კაპიტულაცია გამოაცხადაო.

ამ გამოსვლასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, აღტაცების ჟრიამული და ცაში ქუდების სროლა მოჰყვა.

არწივივით შევარდა წრეში ჩაუქი ვაჟკაცი, კულტურის სახლის „წამყვანი“ მოცეკვავე.

მას სხვებიც აჰყვნენ და კეცის ჭალაში ისეთი ცეკვათამაში გაიმართა, რომ მტვერბული ცაში ასწლოვანი კაკლების სიმაღლეზე ადიოდა.

რას ზეიმობენო, უკვირდათ ჯავშნოსნის უკან საველე სამზარეულოსთან შეჯგუფებულ რუს ჯარისკაცებს და თვითონვე ასკვნიდნენ: ალბათ, დღეს რაიმე სახალხო დღესასწაული აქვთ, თორემ ისეთი სულელებიც არ არიან, მიწას ვართმევდეთ და უხაროდეთო.

ეჰ, რას მიხვდებოდნენ რუსები, რომ ჩვენს სიმღერაზეიმს სხვა, დიადი მიზანი ჰქონდა.

ჩვენ ამ ცეკვაბრაციბრუცით გულზე ვხეთქავდით რუსებს: აქაოდა, თქვენი მცოცავი ანექსიით გორისციხეც რომ „ჩაგვიყლაპოთ“, მაინც ვერ დაგვაღონებთ და დაგვაჩოქებთო.

ერთიც ვნახოთ, მომიტინგეებს მშვილდისრიანი ახალგაზრდა გამოეყო. მშვილდი და თავზე რეზინის „დამცველწამოცმული“ ისარი მოჭიმული ჰქონდა.

იგი მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა ოკუპანტთა ჯავშნოსანს და ისარი სტყორცნა.

„სტყორცნა“ ნამეტანი ვაჟკაცური ნათქვამია, რადგანაც რეზინისთავიანი ისარი იქვე ოციოდე ნაბიჯზე ბალახბულახში ჩაეშვა.

„ისარი გვესროლესო“, ჯავშნოსნის ფერდიდან რუსი მესაზღვრე გამოხტა და მშვილდოსანს გამოეკიდა.

მშვილდოსანმა იკადრა გამოქცევა.

რუსმა მესაზღვრემ ხუთიოდე ნაბიჯი გადმოდგა და ფეხები დააბაკუნა.

მშვილდოსანი მოწყენილი სახით გამორბოდა.

ვინ იცის, გულში ფიქრობდა, რა მშვილდისარი ამიტყდაო.

თავი რომ სამშვიდობოს დაიგულა, მოიერიშე მშვილდოსანი შეჩერდა და მდევარს მოჰხედა.

რუსმა ჯარისკაცმა ისევ დააბაკუნა ფეხები და მშვილდოსანი „თავდამსხმელი“ ისევ გამოიქცა.

გამორბოდა იცით, როგორ?

გილაურს რომ დახვდა ახალ ზელანდიაში ვიზიტის დროს ფოლკლორული ცერემონიის წარმომადგენელი ლამის შიშველგავოსანი ახალ ზელანდიელი...

ტელევიზიით ვნახე ეს ცერემონია და სამუდამოდ დამამახსოვრდა, თორემ ახალ ზელანდიაში რა მინდოდა.

***

მზე რომ თავდაღმართზე დაეშვა, მომიტინგენი დაიღალნენ, როგორც შევატყვე, მოშივდათ კიდეც, ტრანსპარანტები დაახვიეს და ნელნელა აავტობუსდნენ.

რუსმა ჯარისკაცებმა სადილობა დაამთავრეს და ისევ გაისმა კეცის სანახებში ურო ცემა და ტაკატუკი.

მავთულხლართი საყდრისკენ მოიწევდა. მოიწევდა, როგორც უთავბოლო შავი გველი. ცოტნე კეკუაშვილი და მისი მამითადი სახლის დანგრევას განაგრძობდა.

აქ ყველამ თავისი საქმე იცოდა; ცოტნეს ოქროსფერი შავდრუნჩა ნაგაზის – ლომიას გარდა.

ლომია ადგილს ვერ პოულობდა.

ხან მნგრეველთ შეჰყურებდა გაოცებული, ხან კიბის ჩრდილში თვლემდა.

დროდადრო ღობემორღვეულ ეზოში გამოვიდოდა და ცას შეჰყეფდა, ცას – საზღვარდაუდებს და უკიდეგანოს.

მესამე ნაწილი
SiSi?!

ბატონო სტუდენტებო

ამით დავამთავროთ ჩვენი ცოდნის მასშტაბებში მოქცეულ საქართველოზე ფიქრი და ცოტა მომავალშიც გადავიხედოთ.

მე შევეცადე მეჩვენებინა თქვენთვის, როგორი იყო სამასი წლის წინანდელი საქართველო და როგორია ახლა.

დღეს კი წაგიკითხავთ ორ მოთხრობას ხვალის საქართველოზე დაწერილს.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე მოხდეს.

ღმერთმა ნუ გაამართლოს ჩემი შიში.

* * *

კუნძულ საპრასიაზე თოვდა.

თოვლი ფთილაფთილა ეფინებოდა და თეთრ სუდარაში ხვევდა საპრასიულ მითაჟამისდროინდელ კოშკებს, უსახურავო საზოგადოებრივ საპირფარეშოებს, გაძარცვულ მაღაზიებს და უპატრონო, ცალბორბალშერჩენილ ურიკებთან მიგდებულ სალეს ჩარხებს.

ბაობაბის გიგანტურ ხეზე ენოტის მსგავსი, თვით ზოოლოგიის ლექსიკონისთვისაც კი უცნობი და მხოლოდ საპრასიაში შემორჩენილი ზვიგენისცხვირა ფრინველი, „აპი“, იჯდა და ნაცრისფერ ზღვაზე დარწეულ უამრავ თოლიას გასცქეროდა.

შორიდან გეგონებოდათ, თოვლის ფანტელები ზღვაში ჯერ უკვალოდ ქრებოდნენ და მერე თოლიებად აჩნდებოდნენ მომაბეზრებლად, დაუღლელად, ერთნაირად ადგაფუნებულ ზღვას.

ნავსადგურს მძიმე ჯაჭვებით მიბმული სათევზაო კატარღები ბეტონჩამოკიდულ გაცვეთილ საბურავებს ეხლებოდნენ.

თეთრ ქუჩაზე ქსუტუნით გაიარა რაიხისდროინდელმა, ჟანგისგან ფერდებდახრულმა „ფოლკსცვაგენმა“ და თოვლზე რეიხის იაფფასიან ნაკეთობათა ფირმის სარეკლამო კვალი გაავლო.

თითქოს „ფოლკსცვაგენის“ გავლას ელოდაო, უშურველად წაფენილმა თოვლმა კვალი ათიოდე წუთში წაშალა.

ყველაფერს მორეოდა თეთრი ფერი ნაცრისფერი ზღვისა და ქალაქის ცენტრში შავკლდესავით აღმართული ოთხი ათასი წლის ბაობაბის გარდა.

ნავთობსადენის ურმისთლვისხელა წითელ, დალუქულ ონკანთან ათიოდე ნაბიჯზე მიდგმულ ბამბუკის ქოხში სინათლე ჩაქრა თუ არა, ფანერის კარი შეირხა და ეზოში ყაბალახწაკრული, ბრეზენტისმანტომოსხმული, გამხდარი, შავულვაშა კაცი გამოვიდა.

ჯერ მანტოს ქვემოთ შეიყო ხელი და, თითქოს დიდ, სერიოზულ საქმეს აკეთებსო, უკანალი გულდასმით მოიქექმოიფხანა, მერე ქოხისწინ ქოლგასავით გაშლილ პალმის ხესთან მივიდა და, როგორც შეეძლო, ისე დაარხია.

ყაბალახმხრებზე დაცვენილი თოვლი გაძვალტყავებული შავი ხელით ჩამოიბერტყა.

– გადაგიშენდა მომგონი... ჩემთვის თოვს ახლა ეს, მეტი არავისთვის... ჩემს ჯინაზე თოვს, არ უნდა ლაპარაკი.

ქუჩაში გამოდევნებულ ყურჭრელა ძაღლს დაუცაცხანა და ეზოში შეაბრუნა. ძაღლი მილსადენზე შეხტა და უკმაყოფილოდ გახედა თოვაში ჩქარი, საპრასიული ნაბიჯებით მიმავალ პატრონს.

სპილოს ეშვის ნაკეთობათა ერთკაციან სახელოსნოსთან შეჩერდა და, მისალმების ნაცვლად, ძველ გაზეთს ჩაჩერებულ ხელოსანს ჰკითხა:

– ჩააქვრეს აქანაც?

– აპა რა ქნეს. ერთ საათზე მეტხანს ვერ ვმუშაობ. გადაიხადეო, წურწუმიამ გუშინ. მაგენს გოდოვუხდი ტიფას. უსაქმოდ ვარ ამხელა კაცი მთელი დღე.

ფანჯრის გასწვრივ, ოთხფა თაროზე, სპილოსძვლის სამაჯურებს, ბეჭდებს, თუთიყუშებს და მაიმუნებს გახედა.

– ან რაც გააკეთე, ვის რა იმათ უნდა.

– მაგაშიც მართალი ხარ, – დაეთანხმა სპილოს ძვლის ოსტატი და კითხვა შეუბრუნა, – რა ქენით გუშინ?

– რა უნდა გვექნა. რაც ჩვენ ვიყავით, ქე იყვნენ გუგულებივით. რომ წამოვედით, მერე რა ვიცი, რას იზამდენ.

– ხანდახან იმნაირი კივილი გამოდის, გეგონება, დაჭრეს ყელი ერთმანეთსო.

– ცხრაჯერ ვუთხარი, თუ არ გინდა, გოუშვი თავის გზაზეთქვა. არ დაშორებია ცოლქმარი ერთმანეთს?

– არ ვიცი არაფერი. ვერ გოვუგე მაგენს ვერაფერი. ხომ მასე ჭამენ სამი წელიწადია ერთმანეთს, დეინახავ აგერ და იმნაირი ტკბილი ჭუკჭუკით მოდიან, გეგონება, ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდითო.

ნავსადგურის მხრიდან თოვლბურუსს ცოცხულვაშა კაცი გამოეყო. სახელოსნოს რომ გაუსწორდა, ცერად გამოხედა მოსაუბრეთ და, თითქოს არაფერი მკითხონო, ნაბიჯს მოუმატა. ხვნეშით მიმავალს ცხვირპირიდან გამოსაბერ-

ველებულ ორთქლს ქარი უკანვე უბრუნებდა.

ორიოდე წუთში ცოცხულვაშას არანაკლები ტემპით, ოღონდ ხელებისქნევით მიმავალი, შოტლანდიურ „შაროვარში“ გამოწყობილი მოხუცი მიჰყვა.

მოხუცს კვალში ჩადგომოდა თავზე ცარიელ გობდადგმული ორი, დაახლოებით ოცდაცხრამეტ სხვადასხვა ფერის კაბამოსასხამიანი, სამოსთა სიმრავლით გავაგაგანიერებული, შავთვალწარბა ქალი.

– საით გარბიან ამ დილაუთენია ყურტები, თუ იცი?

– შენ გაიგებ? მაგენი ტყვილად არ გეიქცევიან, – უპასუხა მასპინძელმა და სპილოს ძვლისგან გამოძერწილ მუშტისხელა სპილოს ამღვრეულფეროვანი ჩვრით თავხორთუმი გაუწმინდა.

კაცს ცნობისმოყვარეობამ სძლია და ყურტებს მიჰყვა. სხვა უფრო სარფიანი საქმე რომ ჰქონოდა, ამას არ ჩაიდენდა. ვისი რა საქმეა, რაზე გარბიან ყურტები მტკიცე გადაწყვეტილებით და გაფაციცებული სახეებით.

სანამ ჩვენი გმირი სერობის ადგილამდე მიაღწევდეს, ორიოდე ცნობას ვაუწყებ მკითხველს კუნძულ საპრასიისა და მისთა მკვიდრთა შესახებ.

საპრასია აფრიკასა და აზიას შუა არცთუ ძალიან წყნარ ოკეანეში მდებარეობს. ერთ დროს ნიდერლანდების კოლონია გახლდათ, მაგრამ მესამე მსოფლიო ომის შემდეგ ნიდერლანდმა კოლონიზატორებმა თავიანთი ნებით (სხვების დაუძალებლად) დაუშვეს ალამი და წავიდნენ. საპრასიის სკოლებში კი დღემდე ასწავლიან, ნიდერლანდელ მტარვალთა დამხობა საპრასიის ეროვნულგამათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად „დაგვირგვინდაო“. თუმცა იმ სხვა სისულელეებთან შედარებით, საპრასიის სკოლებში რომ ასწავლიან, ეს შეიძლება, მართალს ჰგავდეს. ყოველ შემთხვევაში, მრავალტანჯული საპრასიის ისტორიას ძალიან უხდება.

საპრასია ეროვნული შემადგენლობით ერთობ ჭრელი კუნძულია. ადგილობრივი აბორიგენული, მკვიდრი (მეცნიერები რომ ავტოქტონურს ეძახიან) ტომების – ქალდების გარდა კუნძულზე ცხოვრობენ ყურტები, არტები, ფაკები, ქუსქუსები და სხვანი მრავალნი.

როგორ მოხვდნენ ქალდების კუნძულზე მსოფლიოს ხალხთა მოხეტიალე (უკეთესი) რასის წარმომადგენლები, ამის დადგენას ქალდი მეცნიერები ცდილობენ, მაგრამ ხელისუფალთა მხრიდან, ტრადიციულად, დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან. კუნძულის პრიმასენატორ ბჟალავას არ უყვარს ეროვნულ წარმომავლობებში მოქექავე მეცნიერები. საპრასია ინტერნაციონალური კუნძულია, მორჩა და გათავდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ როდის მოვიდა და ვინ საით წავა. ისედაც ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართო, ფიქრობს პროქუსქუსურ დიალექტზე ტვინაწყობილი ბჟალავა.

საპრასიის სენატმა ბჟალავას დასტურხელდასხმით ამ ათიოდე წლის წინათ საპრასიის ტერიტორიაზე გააუქმა ყველა ეროვნება და საპრასიის ყველა აბორიგენი თუ სტუმრად მისული პირი ერთ ზედწოდებად – „საპრასიის მოქალაქედ“ გააერთიანა.

თუმცა საპრასიის აბეზარ მოქალაქეებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, პრიმასენატორისდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახსოვთ, ვინ ქალდია, ვინ არტი, ვინ ქუსქუსი და ვინ კიდევ მოსინიკი.

ყურტების იდუმალი მარათონი ეროვნულ უმცირესობათა ორსართულიან შენობასაწყობთან მთავრდებოდა.

სამი ჭიშკრიდან უერთდებოდნენ გრძელ რიგს ქალაქის ყველა უბნიდან დაძრული ყურტები. ზოგ მათგანს საკვოიას ტყავისგან შეკერილი, გაცვეთილდაჯვარჯნილი, ცარიელი ხურჯინი ეკიდა მხარზე. ზოგი უხურჯინოდ იყო.

საწყობიდან გამოსულთ იღლიაში მუყაოს ჭრელი ყუთები ამოეჩარათ. ეზოსთან შეგებებულ თვისტომს ყუთს აწოდებდნენ და თვით ხელახლა დგებოდნენ რიგში.

– რა არი შით. თუ გახსნა ვინმემ? – ისეთ ხმაზე ჩაილაპარაკა წინ მდგომ ფართობეჭება ყურტს რომ გაეგონა.

ფართობეჭება შემოტრიალდა. კაცი თავიდან ფეხებამდე აათვალიერჩაათვალიერა.

– რა იქნება. კილონახევარი ბურღული, ორი კილო ყვითელი სიმინდის ფქვილი, ორი ხამსის კონსერვი და ერთი ლიტრი ზეთი. გადაგყობიენ ახლა თან.

– ვინ გამოგზავნა, თუ იცი?

– ჩვენმა დიასპორამ ამერიკიდან. სხვას ვის ვახსოვართ.

გაჩუმდა. ცნობისმოყვარეობისთვის მეტი გაქანების მიცემა სახიფათო იყო. საათნახევარზე მეტი მუნჯად იდგა რიგში. ერთი პირობა გაბრუნება დააპირა, მაგრამ შიმშილმა გადააფიქრებინა.

ლურჯხალათიან მორიგეებს რომ მიუახლოვდა, სირცხვილისაგან შუბლი დაეცვარა.

არაფერი უკითხავთ. ქაღალდზე ჯვარი დაასმევინეს და ყუთი გაუწოდეს.

სამ ნაბიჯზე არ იყო რიგს გამოშორებული, რომ ზურგსუკან მოესმა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა.

– ეგ ყურტი არ არის!

– რა თქვი?! – შემობრუნდა.

ახალგაზრდა, თავზე ტომარაწაფარებული ბობრი ყურტი უტიფრად უმზერდა.

– ეგ ყურტი არ არის! – გაიმეორა ბობრმა, – ქალდია!

რიგი ახმაურდა.

წინ წასული ფართობეჭება ყურტი მოახლოვდა და ახალ

გაზრდა ყეყეჩს უქიმუნჯა.

– ვინ გკითხავს შენ?!

– სწორს ამბობს... მე ყურტი არა ვარ, – იგრძნო, ენა როგორ გაუშრა, – მე ქალდი ვარ.

– არა უშავს, წაიღე, წაიღე – ფართობეჭებამ ხელი მოჰკიდა და წინ გაიძღოლა, რიგი ისევ აყაყანდა ყურტული ყაყანით. ყუთი გაწვდილი ხელებით უკანვე მოიტანა და მორიგეს

ფეხებთან დაუდო.

წელმოწყვეტილივით გააბიჯა ჭიშკრისკენ.

ფართობეჭებამ ჯერ ენაგრძელ ყურტს შეაგინა და ყურე

ბის დაგლეჯვით დაემუქრა, მერე ქალდს დაედევნა.

– ეს ჩემი წაიღე, თუ ძმა ხარ. არ გეწყინოს, ტუტუცია. გამომართვი, ბავშვებს გაფიცებ.

– არ მინდა. მადლობელი ვარ. – არ მოუხედავს, ნაბიჯს მოუჩქარა. ტროტუარზე ფერშემღვრეული თოვლი გაქექა, ფრთხი

ლად ამოპეშვა და პირში ჩაიცალა. ესიამოვნა თოვლი. ცოტა დამშვიდდა.

მიტოვებულ პლაჟზე ჩავიდა. ზღვამდე ვიწრო ქვაფენილს ჩაჰყვა, გაცვეთილ „შიბლეტებში“ ქვიშა რომ არ ჩაჰყროდა.

შუაზე გადატეხილ ხის შეზლონგზე ჩამოჯდა და ზღვას მიაჩერდა.

დასავლეთიდან თოლიების ახალი გუნდი მოფრინდა. უსიამოვნო ყაშყაშსტვენით დაეშვნენ ზღვაზე, მაგრამ ტალღებზე მსუბუქად, გაუნძრევლად მსხდომი თოლიების ყურადღება ოდნავადაც რომ ვერ მიიქციეს, თვითონაც გაირინდნენ და ზღვის აკვანს მისცეს თავი.

კაცს ყაბალახსჩამოყოლილი წყალი კისერში ეღვრებოდა. თავიდან ფეხებამდე გალუმპული იყო, მაგრამ მაინც იობის მოთმინებით დიდხანს, ჯიუტად გასცქეროდა ზღვას.

მოსაღამოვდა.

თოვა შეწყდა და ზღვაზე მქრქალი, გამჭვირვალე ბურუსი ჩამოწვა.

შორს, მეოთხე ნავმისადგომთან, მესამე დღეა არტების ბორანს სცლიდნენ.

იცოდა, არტი მტვირთავები არ ჩააყენებდნენ, მაგრამ მაინც იქეთკენ გააბიჯა.

შლაგბაუმთან შეაჩერეს.

– შენ საით?!

– მტვირთავი ვარ.

– დღეს მუშაობდი? – ავტომატგადაკიდებული ახალგაზრდა არტი მიუახლოვდა.

– დღეს არა... ვერ მოგატყუებ. ავად ვიყავი. საერთოდ, მტვირთავი ვარ.

– არტი ხარ?

– რა მნიშვნელობა აქვს.

ავტომატიანმა პატრულმა ჯიხურისკენ გაიხედა. ჯიხურიდან ბერეტიანი, დაბალი, უიმედოდ მსუქანი კაცი გამოვიდა. მოსასხამის ბოლო თოვლზე დასთრევდა.

ახედდახედა და შეუბრალებელი კატეგორიულობით დაუგდო:

– აბა, მოუსვი აქედან!

შლაგბაუმს სიტყვისშეუბრუნებლად გაერიდა. იცოდა,

პინგვინივით მოსიარულე მენეჯერთან ვერას გააწყობდა.

კიბეს შუაში, თოვლთხელ ადგილას აუყვა.

შინისკენ მიმავალ გზას დაადგა.

დეპარტამენტის შენობის გვერდით, გაუქმებული სკოლის თავზე რეკლამა ენთო: „გვჭირდება კომპიუტერის და ფაკური ენის მცოდნე ტერნერზე მომუშავე მოხდენილი გოგონები 25 წლის ასაკამდე. ქალდები ნუ შეგვაწუხებენ“.

სპილოს ძვლის ნაკეთობათა ოსტატს ჯიხურზე ფანერის დარაბა დაეშვა და ხის ურდულით კეტავდა.

– გაყიდე რამე?

– გაიგონია? ამ ყიამეთში დასათვალიერებლადაც არავინ შეჩერებულა.

– სად წევიდა ეს ხალხი.

– სადაა მყიდველი. ტყვილად ვჯახირობ, მე რომ ვიყო, ვიყიდი ამ მაიმუნებს და სპილოებს? არ ვიყიდი. ასეა სხვაც.

– ისე... ამ დასაწვავ საპრასიაზე ყველას პატრონი ჰყავს ჩვენ გარდა...

– რა თქვი?

– არაფერი... არაფერი... დღესაც ხვარ უჩხუბიათ?

– ბაიბური არ ისმის. დილიდან არ გამოსულან. ფეჩიც არ ოუნთიათ.

– ხვარ დაახრჩვეს, ვითამ, ერთმანეთი?

– არა მგონია... ხმას გევიგებდით – ხელოსანმა გაიცინა

ისეთი სიცილით, ხველებაში რო გადაეზრდებათ ხოლმე. შინ გვიან დაბრუნდა. ნავთობსადენის ქვეშ ძაღლი აღარ იწვა.

არც მოუკითხავს. გულის სიღრმეში გაეხარდა კიდეც, რომ ძაღლი კუდის ქიცინით და წინა ფეხების ჭიმვაზმორებით არ შეეგება.

ბამბუკის ქოხს კარი ჩამოხსნა და შუაზე

გახერხა. ხერხავდა ჟანგიანი, გაბმული ხერხით, სვენებსვენებით, ჯიუტად.

მერე ხუთიოდე ლურსმანი და ჩაქუჩი ჩაიდო ბრეზენტის მანტოს ჯიბეში, გახერხილი კარის მომცრო ნახევარი ამოიიღლიავა და ბაობაბის ხისკენ წავიდა.

ხის ძირას დასასვენებლად არ დამჯდარა, არც უკან მოუხედავს, გაცრეცილ ნისლში ჩაძირული ქალაქისათვის რომ თვალი შეევლო, ათასწლოვანი ხე – ძეგლის ფუღუროში შეძვრა და შესასვლელი შიგნიდან ამოჭედა.

ფუღუროში ნესტის და ობის ძველთაძველი, შენახული, შეუმკრთალი სუნი იდგა.

ფანერით გადაკეტილი თავისი სარკოფაგი ბოლო ლურსმნით რომ გაამაგრა, ბაობაბზე მთელი დღის განმავლობაში გაუნძრევლად მჯდომი „აპი“ აფრინდა.

ჩაქუჩის ყრუ ხმამ დააფრთხო?

ზღვაზე დარწეული თოლიების ცქერა მოსწყინდა?

თუ, უბრალოდ თავის „აპურ“ საქმეზე გაფრინდა?

ვინ იცის.

***

იდგა 2096 წლის 7 აპრილი.

ჟვანიას სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ათასფრად აციალებულ პლანეტარიუმს ჰგავდა.

ღამეულ ცას კარგად თუ დააკვირდებოდით, სამხრეთდასავლეთისკენ შეამჩნევდით ძლივსმბჟუტავ, ბებერ მთვარეს, „ნამლევ მთვარეს“ რომ ეძახდნენ ქართველები.

კომპიუტერული ცენტრი სკასავით ბზუოდა.

დარბაზში ტევა არ იყო.

ერთნი ნერვიულად მიმოდიოდნენ ისე, რომ თავიანთ ნერვიულ მიმოსვლაში ერთმანეთს არც კი ელაპარაკებოდნენ. მეორენი სავარძლებზე მიწოლილიყვნენ, მაგრამ, როგორც სავარძელზე მიწოლის დროს იცის ხოლმე, ღრმა ფიქრებში კი არ იყვნენ ჩაძირულნი, შვიდკუთხა მინის დარბაზის სამხრეთაღმოსავლეთით კედელტაბლოს გაფაციცებით შესცქეროდნენ.

„ვაცლავ კვატაშიძე“ – დაჩნდა ტაბლოზე.

ციცრისფერმოსასხამიანი, პერპენდიკულარულადთმადავარცხნილი, საშუალოასაკგადაცილებული მამაკაცი წამოხტა და ტაბლოსკენ გაიქცა. ექვსიოდე გრძელი ნაბიჯი რომ გადადგა, შემოტრიალდა („შემოტრიალდა“ და „შემობრუნდა“ ერთი და იგივე შინაარსის მქონე სიტყვაა, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ „შემოტრიალდა“ სიჩქარეს უსვამს ხაზს, „შემობრუნდა“ უფრო ნელია), თეთრ რიდეს და მონიკელებულ მინიჩემოდანს ხელი სტაცა და არავის დამშვიდობებია, გაღიმებითაც კი არავისთვის გაუღიმია, სერიოზული, ზრუნვითპყრობილი სახით, წელანდელზე უფრო დიდი ნაბიჯით გაექანა ტაბლოს ქვემოთ, თითბერის უზარმაზარი კარებისაკენ, რომლის თავზეც ამასობაში წითელი ნათურა ჩამქრალიყო და მწვანე ანთებულიყო.

წუთის შემდეგ კვატაშიძე ოთხკუთხთავიან კომპიუტერრობოტის წინ იჯდა.

რობოტი პოლიპებიანი კაცის ინტონაციით, უსიამოვნო ყიყინა ხმით, მაგრამ მკაფიოდ გამოთქვამდა სიტყვებს:

„გილოცავთ, კომპიუტერმა თქვენი ქართული წარმომავლობა დაამტკიცა. თქვენი პაპისმამა ბუთხუზ კვატაშიძე 1993 წელს ლტოლვილა ჰოლანდიისკენ და მოჩვენებითი სტაბილიზაციის შემდეგაც იქ დარჩენილა. თქვენ ათ წუთში მიიღებთ საქართველოს მოქალაქის პასპორტს. კიდევ ერთხელ გილოცავთ“.

რობოტის შუბლზე ცისფერი ნათურა აციმციმდა.

– გმადლობთ. როგორ იქნება დასახლების საქმე?! – რობოტის თავყურს ჩასძახა კვატაშიძემ.

– ვერ გავიგე, რას მეკითხებით და საერთოდ, თუ შეიძლება ხმადაბლა ილაპარაკეთ, რა გაყვირებთ.

– ბოდიშს ვიხდი, – ჩურჩულზე გადავიდა ჰოლანდიის ყოფილი ქვეშევრდომი, აწ უკვე საქართველოს მოქალაქე – სად დავსახლდე, მიწის საქმე როგორ იქნებამეთქი.

რობოტი წამით ჩაფიქრდა. – თქვენმა პაპისმამამ ბუთხუზ კვატაშიძემ ჰოლანდიაში გაქცევის წინ ალი უსუპ ოღლის მიჰყიდა საადარაკე მიწის ნაკვეთი სოფელ მუხაწყაროში, ხოლო თბილისში ოროთახნახევრიანი ულოჯო ბინა მდებარე თეიმურაზ ჩალაბაშვილის ქუჩის მეორე ჩიხში გაასხვისა მოქალაქე სარვაროვზე.

– რა ვქნა აბა მე. იქნებ ხელისუფლებამ გამომიყოს სადმე მცირე ნაკვეთი როგორც იმიგრირებულ ემიგრანტს.

– სამწუხაროდ, სახელმწიფოს თავის განკარგულებაში ერთი მტკაველი მიწაც არ გააჩნია.

– ეს როგორ?

– 1996 წელს მიღებული მიწის კანონით პარლამენტმა მიწა კერძო მფლობელობაში დაკანონა, მიწის თავისუფალი ყიდვაგაყიდვის უფლებით.

– მერე?

– იმდროისათვის ქართული მიწების დიდი ნაწილი ღორმუცელა ფუნქციონერების მიერ უკვე მიყიდული იყო არაქართველებისათვის. პარლამენტმა ამ დანაშაულს სასწრაფოდ წააფარა კანონი. დარჩენილი მიწები 19962000 წლებში გაიყიდა.

– ვინ იყიდა? – ვისაც ფული ჰქონდა. ძირითადად უცხოელმა – არც ჩვენს მიწაზე მცხოვრებ

არაქართველებს დაუკლიათ ხელი. – რა უფლებით?

– ისინი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. იმ წლებში ტელევიზია პროვოკაციულად იმეორებდა კანონის ერთ პუნქტს: „მიწის ყიდვაგაყიდვის უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ეძლევათო“. დოყლაპია ქართველებს „საქართველოს მოქალაქეები“ მხოლოდ ქართველები ეგონათ.

– კი მაგრამ, ქართველებს რატომ არ ჰქონდათ ფული?

– რატომაც არა აქვთ ხოლმე, საერთოდ, ბედოვლათ, მოქეიფე, გულარხეინ ადამიანებს. ესეც არ იყოს, სხვებს თავიანთი დიასპორები გაფაციცებით უგროვებდნენ ფულს – არიქა, ქართველები მიწას ყიდიან და დაეპატრონეთო.

– ქართველებმა არ იცოდნენ, რომ უმიწო ერი ჰაერში რჩება და განწირულია დასაღუპავად?

– ვინც ეგ იცოდა, იმას ერი არ უსმენდა. კაცმა რომ თქვას, ერი არც მარიონეტულ ხელისუფლებას უსმენდა, უბრალოდ მაშინ მძიმე სიტუაცია იყო და უცხო ტომებმა ამით ისარგებლეს.

– რა სიტუაცია იყო ასეთი?

– შიმშილი მძვინვარებდა. სახელმწიფო თავის მოქალაქეებზე იოტისოდენასაც არ ზრუნავდა. გლეხი მიწას ტექნიკა– სასუქის უქონლობის გამო ვერ ამუშავებდა. ახალგაზრდობის ლამის მესამედი სოფლად და ქალაქად ნარკომანი იყო.

– შიმშილმა და ნარკომანიამ გამოაცალა მიწა საქართველოს?

– ოღონდაც.

– ჩემი სამშობლოს მიწა ხომ მეც მეკუთვნოდა, ასი წლის მერე დაბადებულ ქართველს.

– მაგაზე პარლამენტს და ხელისუფლებას უნდა ეზრუნა. მიწის გაყიდვის უფლება როდი უნდა დაეშვა, პირიქით, მიწის გასხვისებაზე სასტიკი სასჯელი უნდა შემოეღო. იმ დროს ასე იყო საჭირო. მიწა სახელმწიფოს თავის ხელში უნდა აეღო – ხელშეუხებელ საკუთრებად უნდა გამოეცხადებინა. მაგრამ იმ დროს პარლამენტის წევრებს თავისი თავი სოლომონ ბრძენზე უფრო ჭკვიანი ეგონათ.

– რა ვქნა ახლა მე? – სასოწარკვეთილი ხმით იკითხა კვატაშიძემ.

– ჩვენ რჩევებს არ ვიძლევით, – დაიყიყინა რობოტმა.

– იქნებ საყიდლად მაინც ვიშოვო სადმე მიწა საქართველოში.

– მიწის ბირჟის ბოლო მონაცემებით საქართველოში მიწის ფასი მსოფლიოში ყველაზე მაღალია. რაც შეეხება ყიდვას, მოიმარჯვეთ ბლოკნოტი და ჩაიწერეთ: „ზემოქართლის ზონა, პკბჩგნიანცის კანტორა – 1 კვადრატული მეტრი ორმოცდაათიათასი დოლარი, მესხეთის ზონა, მკრტიჩიანის კანტორა – 1 კვადრატული მეტრი ორმოცდარვაათასი დოლარი, ქვემო ქართლის ზონა, ყურბან ყურბან ოღლის კანტორა, 1 კვადრატული მეტრი – ორმოცდათორმეტი ათასი დოლარი, იმერეთის ზონა, ზურაბოვის კანტორა – 1 კვადრატული მეტრი – ორმოცდათხუთმეტი ათასი დოლარი. გურიის, სამეგრელოს და კახეთის ზონაში გასაყიდი მიწები აღარ არის“.

„კიდეც რომ იყოს ჰოლანდიიდან ჩამოყოლილი ორიოდე კაპიკით ამ დევურ ფასებს მე მაინც ვერ შევწვდებიო“, გაიფიქრა კვატაშიძემ და იგრძნო, როგორ დაუარა უიმედობის ავმა სიცივემ ფეხის ფრჩხილებიდან ხელის ფრჩხილებამდე.

– როგორ მოვიქცე. იქნებ რაიმე მირჩიოთ, გემუდარებით – გმინვა ისმოდა იმიგრანტის ხმაში.

– ხომ გითხარით, ჩვენ რჩევებს არ ვიძლევით.

– გამონაკლისის წესით.

– ჩვენ გამონაკლისებს არ ვაკეთებთ – რობოტს, ცოტა არ იყოს, მკაცრი, კატეგორიული ხმა ჰქონდა.

– ჩემი პაპისპაპის საფლავის მიწა ხომ მაინც მე მეკუთვნის. იქნებ მითხრათ, სად არის დასაფლავებული ნეტარხსენებული ბუთხუზ კვატაშიძის მამა?

– ბუთხუზ კვატაშიძის მამა, ანუ თქვენი პაპისპაპა გიგლა კვატაშიძე დასაფლავებულია ქუთაისში, ყოფილი ოღასკურას სასაფლაოზე, მთავარი შესასვლელიდან მარცხნივ, მეცხრამეტე საფლავი.

– გმადლობთ – კვატაშიძე ნელა წამოდგა. – მოითმინეთ, პასპორტი წაიღეთ, – ამ სიტყვებთან ერთად რობოტმა რკინის პირი გააღო და პასპორტი გადმოაგდო.

დასასრული შემდეგ ნომერში

მირანდა ზაბახიძე

* * *

გარეთ გავედი,
და წყლის დინებასავით მივყვებიდი ქუჩის ხმაურს. ჩემში კი რაღაც,გალიაში დამწყვდეულივით, ბორგავდა ისევ,წრიალებდა....
მე ჩემებურად გავჯიუტი.
თითქოს გავარვარებული ასფალტიდან ამოუღწევიათ ჯოჯოხეთის ალიფერ ენებს.
ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა მორწყულ ტროტუარს,და შეფაკლული გამჭვირვალე შუშის ღაწვები ღუოდა.ვეღარ გაარჩევდი დედამიწაზე საგანთიადო შუქი ენთო თუ სადაისო.
მზე აღარ ჩანდა...ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით ორ ნაკადად დიოდა ხალხი,თითქოს ამით ხაზს უსვამდა,იქითურებს აქეთურებთან არაფერი ჰქონდათ საერთო:რომ სწორედ მათი არჩეული გზა არის სწორი.
ასე ფიქრობდა ერთი მხარეც.
ასე-მეორეც.
და მე გავხევდი-მესამე გზას ვერ მივაგენი.
ნუთუ არ არის-შევტრიალდი -გამოსავალი?!
ბრბო ხარხარებდა...
სად მსმენია მსგავსი ხარხარი?
ჰო,ცირკში...
ახლა არენაზე იდგა კლოუნი.
თუ სულიერად ავადმყოფი,როგორც ჩანდა ის მათ თვალში-მნიშვნელობა არ ჰქონდა,რადგან საბაბი იყო უმთავრესი...
ბრბო ხარხარებდა..
ფრთხილად, სეირის მოყვარულნო,ტლანქი თითებით ნუ შეეხებით გასართობად ტკივილის სიმებს.
გზადაგზა ადამიანთა გამომშრალ თვალებს ვაგემოვნებდი,ზოგს ტყუილის გემო ჰქონდა,ზოგს შურის,ზოგსაც კი სიკეთის.

მიცქერდნენ და თან მეუბნებოდნენ: არაფერს დაგიშავებთ,არ ვართ საშიში!
წამიც და....

მე მის თვალებში ამოვიკითხე:
ნახტომისთვის ემზადებოდა,თან ორჭოფობდა.
ლომს არ ჰგავდა იგი სრულებით,
თან იღიმოდა -თან მარწმუნებდა რომ არ მერჩოდა.
და მე გადავხტი-

დაიხია ხალხმა ერთბაშად!
ყველა ეშვებოდა მზერაში.
რამეც რომ დაეკლოთ არ მეშინოდა,არაფრად ვთვლიდი სიკვდილს,რადგან ჩემს უკან ღმერთი მეგულებოდა,ვიცოდი რომ არ განმკიცხავდა,არ მისაყვედურებდა.
ჩემგან ხომ სულ ესმოდა :ღმერთო,მე ყველა გზა მოვსინჯე შენამდე მოსასვლელი,ახლა კი შენ გამომიდექი გზაზე,შენი დროამეთქი.

ოღონდ ჩემს გამო არ იტირო ღმერთო,ოღონდ შენ არ იტირო!
მე შენს ერთ ცრემლადაც არ ვღირვარ.უბრალოდ ადექი და გამომეგებე.

და მე ვხედავდი როგორ მოჰქონდა სიმშვიდე მხრებით,თვალებით სიკეთე და ძალა ხელებით. ვიცოდი,რომ უძღები შვილის იგავზე სიტყვაც არ დასცდებოდა და არც სიზიფეს ლოდიდან ამოზრდილი მითი ვეგონებოდი.

არც თვალებდათხილი ციკლოპის ამბის გახსენება მსურდა,არც მეფე ლირის სიმარტოვის შეგრძნებას ვნატრობდი,ახლა ვერც გილგამეშის ბრძოლას ვერ წარმოვიდგენდი ღმერთთან,ვერც ვისრამიანის სამიჯნურო ამბავს, ვერც ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობის ეპოსსა და აპოლოგიას და მითუმეტეს ვერც ევას ჩაკბეჩილი ვაშლის გემო წამსკდებოდა ცოდვად.

ახლა მხოლოდ იმ ერთადერთ გზაზე მომავალ უფალს ვხედავდი,რომელიც მე ვერ ვნახე და მხრებით მოჰქონდა საოცარი სიმშვიდე და შემაძრწუნებელი უბრალოება....

თუმცა,
მე, ისევ ადამიანთა გამომშრალ თვალებში ვხედავდი საკუთარ სახეს და გათავისუფლებას ველოდებოდი...
ვგრძნობდი, როგორ გადადიოდა უწონო სხეული ასტრალში....

* * *
როდესაც წელში გავიმართე და დავინახე
ორი ცოცხალი კედელი და საოცრად გრძელი ხეივანი დერეფნით-ქუჩის ბოლომდე,
რომელზეც თითქოს დავიწყნოდათ ნოხის დაგება,
ჩამოვიბერტყე უხეიროდ კაბის კალთა,
და ამის ნაცვლად,
რომ ამპარტავნულად გამევლო,
მივეყრდენი კედლებს აქეთ-იქით,თვალებდაბინდული.
თითქოს გალიას უბრუნდებაო გაწვრთნილი მხეცი...

თავხედობაა სიყვარულზე ყვირილი მართლაც,
ისევე როგორც შენი სატკივარის ვინმესთვის თავზე მოხვევა,
სიყვარულიც ხომ ტკივილია!
უნდა იცოდე,რატომ ფასობს დუმილი ოქროდ.

იმ დღიდან მე და ჩემს არაფრის მაქნის სიყვარულს არა გვაქვს დავა.
თვალში არავის არ ვეჩხირებით.
და ჩემი ასვლა ტრიბუნაზე ვინმეს ბრძანებით,

დამთავრდებოდა წუთიერი დუმილით მხოლოდ.
ეს სულ არ ნიშნავს რომ მე ხალხი გადავიყვარე,
ვერ გადაურჩა სიყვარული ცოცხლად დამარხვას,
არა,პირიქით სიყვარულმა დამაწერინა
აი ეს ლექსიც.დღესვე უნდა გადავამრავლო,
ოთხად დავკეცო და დავგზავნო ოთხსავე მხარეს.
მისამართს შეგნებულად არ ვაწერ კონვერტს.....
Gulnazi
Gulnazi Kharaishvili
სადღაც, ერთ-ერთი სკოლის კედელზე წავიკითხე:,,ღმერთი ნაგავს არ ქმნის".

თითოეულ ჩვენგანს შეუძლია,გარკვეულ სრულყოფილებას რომელიმე სფეროში მაინც მიაღწიოს.სწორედაც რომ,ეს ყველაფერი შენშია ჩადებული,შენშია ის უნარი,რომლითაც შეგიძლია სულ მცირე ერთ სფეროში, კარგი შესაძლებლობის ადამიანის დონემდე მიხვიდე. საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობაა,რომ აღიარო ფაქტი უსაზღვრო შესაძლებლობები გაქვს,რომლებიც აქამდე ხელუხლებელი იყო.ახლა შეგიძლია ნებისმიერ მიზანი განახირციელო,რომელსაც დაისახავ,ოღონდ იმ შემთვევაში,თუ მზად ხარ,ამისთვის დიდხანს და თავდაუზოგავად იშრომო.

ერთმა კომედიანტმა, ბილინგსმა დაწერა: ადამიანს ის კი არ ვნებს რაც არ იცის,არამედ ის,რაც იცის და სიმართლე არაა...

მჯერა, რომ რისი ჩაფიქრებაც და დაჯერებაც შეუძლია ადამიანს,მიაღწევს კიდეც მას,რადგან შინაგანი ცნობიერი ქცევების შეცვლით ცხოვრების გარეგნული ასპექტების შეცვლაც შეიძლება.მნიშვნელოვანია რომ შენი მიზნები შენს ღირებულებებს შეესაბამებოდეს.სწორედ ამიტომაცაა ღირებულების სწორად განსაზღვრა წარმატების მიღწევის წინაპირობა . ლიდერი ადამიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისება ის გახლავთ,რომ იციან ვინ არიან და რისთვის იბრძვიან.

P.S.
საკუთარ თავთან ჰარმონიაში უნდა იცხოვრო.(Life is lived from the inside out.) პიროვნების საფუძველი ხომ მისივე ღირებულებებია,სწორედ ისინი გაქცევენ იმ ადამიანად,ვინც ხარ.

და ბოლოს,სათქმელს მარკუს ავრელიუსის ჩემი საყვარელი გამონათვამით დავასრულებ: ,,სამყაროში ერთი ღმერთი და ყოფიერების ერთი პრინციპი ბატონობს, და ყოველი მოაზროვნე არსება ერთ კანონს, ერთ მიზეზსა და ერთ სიმართლეს ემორჩილება".....

ნელი საგინაძე

გულში გადამალული საქართველო

ნოველა

– ეჰ, რა დროება მოვიდა ქალებო!

– ეჰ სადღაა ის საქართველო!

– დღემდე ალბათ, ქართველი ვაჟის კაიკაცობასა და ქალის სულკეთილობასა აქვს მოზიდული მამა-პაპური ადათები მხრებითა თორემ,უკვე დიდი ხნის მივიწყებული და დაკარგული გვექნებოდა ქვეყანაცა და ეროვნებაცა, ნამუსიცა და ზნეობაცა.

– რას ამბობ ლიზიკო, ეგ აზრები საიდან მოგივიდა დედაკაცო, – გაოცებულმა შეჰხედეს გოგიტელაანთ უბნის გრძელ სკამზედ ჩამომსხდარმა ბიჭიკოაანთ კატიამ, გურამას მეუღლემ მაიმ და მათთან საღამოს, აგვისტოს სიცხეებისაგან შეწუხებულმა და საღამოს ჰაერზე სულის მისადრეკად და საბაასოდ, მეზობლებთან გასულმა მერაბას ცოლმა ლამარამა.

– ეჰ, რაღა რას ვამბობ ქალებო, აგერ კაცობა და ქალობა ჩვენს დროში იყო თუ იყო, – ახლა?

– ახლა ისეთი ჭრელი დრო დადგა, ვეღარც კი იცნობ დღევანდელ ცხოვრების ფერებში გამოწყობილ კაცსა და ქალსა, ბიჭსა თუ გოგოსა და საერთოდ ხალხსა და მათ სულებსა. ქალები ცოტა არ იყოს ჩაფიქრდნენ. თვალები ამ დროების ყოფაქცევის უხერხულობისაგან, გეგონება თავად ყოფილიყვნენ დამნაშავენი მაღლა, თამამად ცისკენ კი არა, დაბლა, დედამიწისაკენ დაუშვეს .ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

სკამზე მყოფმა ქალებმა, ზოგმა კაბის ბოლო შეისწორა, ზოგმა თმებზე გადაისვა ხელი. ბოლოს სიჩუმე მაინც დაარღვიეს და გულისტკივილით უთხრეს მეზობელ მასწავლებელსა.

მართალი ხარ ლიზიკო, მართალი!

– ვერ შეგედავებით ნათქვამშია და ნააზრევშია.

– ჰაი დედასა, სად წავიდა და სად დაიკარგა ჩვენი ახალგაზრდობის დროება ნეტავი? ქალი ქალობდა, კაცს კაცობა ეტყობოდა და მერე როგორა. ბიჭებსა მამა-პაპის ნაკვალევზე გავლა და ქართული ვაჟკაცური საქმეების სწავლა უწევდათ.მამულის დაცვა უყვარდათ. ჯაბანად არავის გაუხდებოდნენ.სიყმაწვილეში შესულ ქალებსა კი სადიაცო საქმეებიის სწავლა და კეთება ხელობად და ჩვევადა ჰქონდათ გადაქცეული ჩემო კარგებო.

– წიგნიერებაც აუცილებელი იყო და შრომის სწავლაცა.

– უფროსის დაფასებაცა და მათ მიმართ ზრდილობიანად მოქცევაც მოგვეკითხებოდა-ასე არ იყო ლამარ?! – ხმამაღალი სიტყვებით თვალები შეაჩერა ლამარას გურამას მაიკომა. – ასე იყო ასე ჩემო მაიკო, მაგრამ ახლა? – უპასუხოდ არ დაუტოვა კითხვა მაიას ლამარამა.

– ეჰ, ძალიან გაფუჭდა დროება ძალიან. წაიბილწა ხალხიცა და ქართველობაცა. ისე ქალს ვინ გაათხოვებდა ადრე, რომ საოჯახო,ხელში გამოსადეგარი ყველა საქმე არ სცოდნოდა. ყველაფერთან ერთად ხომ სწავლა-განათლებულებიც უნდა ვყოფილიყავით. ზრდილობა და სინდიდსი ხომ ჩვენი უპირველესი მოვალეობა იყო ჰა?

– აბა ერთი კარგად გაიხსენეთ!

– მაშინა ჩემო კარგებო,დიდი სირცხვილი იყო უსაქმურობაც, უცოდინრობაც და უნამუსობაცა.

ახლა კიდევა ეს ნამუსგარეცხილობა და ტყუილი ხალხს ზნე-ჩვევად და მორალად გაუხდია – სიტყვა თქვა კატიამა და თან ცოტა გაბრაზებაც თან მიაყოლა დღევანდელ ყოფა-წესებზედა.

– კი, კი კატი, მართლაც რომ მასე იყო, მასე. ან კიდევა მაშინ ქალებო, როგორ შეხედავდა გოგონა ბიჭს თვალებშია. ახლა კიდევა ბარი-ბარს არ უდებენ, სიტყვას პირველად თვითონ ამბობენ და ლამის იქეთაც თავს ამეტებენ ვაჟებს ყველაფერშია.– გაფუჭდა ჩემო კარგო დროება გაფუჭდა ძალზედა – სახეზე ხელმიყრდნობილმა და თავის ქნევით თქვა ლიზიკომა.

– აბა რაა, მაშინ ქალი ქალობდა და ღვთივსათნოებდა.

– ახლა, ახლა კი ყველა ღალატობს ქვეყანასა!– სიტყვა გააგრძელა კატომ.

– ვისა? – კითხვა გაუმეორა მაიამ კატიასა

– ვისა და ქვეყანასა, მშობელ ქვეყანასა.

– ქვეყანასა თუ თავის თავსა? – თვალი შეაჩერა ახლა ლამარამ კატიასა.

– გოგო, ქალი რომ თავის თავს და ოჯახს უღალატებს,სინდისს გაირეცხავს ეს ქვეყნის ღალატის ტოლფასი არ არის?– მაშ რა არის!

– ქვეყანა კიდევა სინდისზე,სიყვარულზე და სიმართლეზე დგას.

– რაო გოგოებო, რაზე საუბრობთ ნეტავი ვიცოდე– სიტყვა შეაპარათ ახლადშემოსწრებულმა ჭაჭიკოაანთ სოსოს ნაადრევად დაქვრივებულმა ცოლმა, ქეთინომ მეზობლებსა. რაო და მისმინეთ ქალებო! – სიტყვა გააგრძელა კატიამ.

გაჭირვება რანაირი აღარ გვქონია და გვინახია, მაგრამ ეგრე კი არ დავცემულვართ, როგორც და ახლა სჩვევიათ.

სწორე ხარ კატი, სწორე – თავი დაუქნია ქეთინომა.

– მაშა გოგო, გათხოვილი ქმრიანი ქალი, რომ ფულის გულისთვინა, სხვისა ქმარს დაუწყებს თვალებში კეკლუცსა და ნაპარევ ღიმილსა,ესა თქვენ ღალატად არ მიგაჩნიათ ქვეყნადა?

– ან კიდევა,ცოლიანი კაცი, რომ სხვის ცოლს შეაპარებს თვალებსა თქვენა ადამიანობა გგონიათ ეგა?– გულისტკივილით შესჩივლა კატიამ მათ გვერდით ჩამომჯდარ, ისიც ნაადრევად დაქვრივებულ ბორიას ცოლს ნინოსა.

კაცები დღეს,ისე უღალატებენ ალალგულა ცოლებსა და და ისე ღიმილნარევი სახითა და მაცდური, ენაწყლიანი სიყვარულიანი სიტყვებით შევლენ სახლშია თითქოს ბუზიც კი არ აფრენოდეთ თავზედა.

არადა რა იციან, რომ ეს ალალგულა ცოლები ათასი თვალით იყურებიან, ყველაფერს აკვირდებიან, ვარაუდს უწევენ, რომ უეცრად მის ოჯახს მოულოდნელად ვინმემ არ შეაპაროს დამანგრეველი, ბოროტი, უსირცხვილო და ნამუსწამხდარი თვალები.

ისე კი გამიგია ძველი ხალხიდანა, რომ კაცი შვიდგზის პატიოსანი უნდა იყოს ქალზედაო. კაცების უმეტესი ნაწილი მცონარა და ლოთი გახდა. ქალების უმრავლესობა კიდევა სხვისა ქმრების თვალებში მაყურებელნი ფულისთვინა.

ადამიანობა და კეთილშობილება დაკარგეს დღეს ადამიანებმა!

– ჩემო კატი, ადამიანობა სადღაა – სიტყვა თქვა შავ კაბაში გამოწყობილმა, მთელი დღის სიცხისაგან შეწუხებულმა ნინომ.

– ღალატი ისწავლეს და შეიყვარეს კაცებმაცა და ქალებმაცა!

– სწორე სიტყვა სთქვი ნინო, სწორე სიტყვა, ღიმილნარევი ღალატი ისწავლეს ყველამა. ღიმილში მალავენ თავიაანთ უმსგავსობასა და სწორედაც, რომ ეს ყველაფერი ღმერთისა და ქვეყნის ღალატის ტოლფასია – ხმამაღალი სიტყვა შეაწიათ იქვე ახლოს, ეზოს კარიდან გამოსულმა, კარგა ხნის დაქვრივებულმა ვაჟას ცოლმა ლალიმ.

– ქვეყანა კაცითა და ქალით არის, ქალი და კაცი ოჯახითა. ერთ მუშტად შეკრული ოჯახი პატარა ეკლესიაოო ჩვენში, ხევსურეთში ესე ამბობდნენ ხოლმე წინაპრები-თქვა ლამარამ და ოდნავ გაბრაზებულმა გააქნია თავი.

– სადღაა ადამიანობა და ქართველობა ქალებო სადღა?!-

– ეჰ, ვიღას მოჰკითხავ ახლა ამასა!

ჩვენ ჩვენი საქართველო და მომავალი გვედარდება ასეთების ხელშია. ღმერთმა დაიფაროს ასეთების უმრავლესობა იყოს თორემა, ხომ წაგვლეკეს და გადაგვიარეს თავზედა.

– ჩვენ ჩვენი წილი პატიოსნება და სისუფთავე შეუბღალავად მოვიტანეთ აქამდისა,სუფთა გულითა და პატიოსანი თვალებით ვუყურებთ ქართულ ცასა.

– ისე გოგოებო, მთლად ნუ გადავიწყვეტავთ იმედსა– ხმამაღლა თქვა ქეთინომა. – აბა დამიგდეთ ყური!

უბნის გრძელ სკამს თანდისთანობით შემომატებოდნენ მეზობელი ქალები – ბიჭიკოაანთ კატიას რძალი ქეთინო. რობოს ცოლი მანანა, არსენაანთ ნანა, გოჭებაანთ ლიანა და ბასასანთ მაყვალა.

– უფალსა ვგონებ ჩემო კარგებო, სულ შემონახული ჰყავს თავისი უფლის რჯულიანი და ტრადიციების მოყვარული ხალხი ერშიაცა და ბერშიაცა.

– აბა, ქართველ, ღვთისიმედიან ხალხს დაგვიკარგავს უფალი?!– არა მგონია რაღაცა! – მაშ ამოდენა ჩვენი ქალები და კაცები რომ არიან გასულები საზღვრებს გარეთა, დღესა და ღამეს რომ ასწორებენ აქ,ოჯახების ფეხზედ სადგომადა, პატიოსნად ლუკმა პურის სახლში შესატანადა,მაშ იმათ გულში, სულში, მონატრების ცრემლების ქვეშ რომა აქვთ გადამალული საქართველო,ეს როგორ, აბა ისინი უფლისანი არ არიან?! – რას ფიქრობთ თქვენა!

– უფლისანი არიან მაშა, უფლისანი! – ჩაილაპარაკა მანანამა

– ანდა კიდევა აქ დარჩენილები,არანაირ მძიმე, ფიზიკურ სამუშაოებს რომ არ ერიდებიან სიცხე-პაპანაქებაშია,ყინვა- სიცივეშია მთელი წლების განმავლობაში წელებზე ფეხს რომ იდგამენ და ცხოვრების მძიმე, მამაპაპურ უღელს ამაყად წინ რომ ეწევიან, ესენი ვისებიღა არიან?! — – რამდენს ღმერთო, რამდენს გადაუმალია გულში ჩუმად საქართველო აქაცა და საზღვებს გარეთ მყოფებსაც!

– ეს ყველა უფლისები არიან – უფლისები! – სიტყვა დაამატა ისევ მაიმა

– მაშ ეს ვინღაა, უფლისა არ არის, ქმრის სიკვდილის შემდეგ ერთი წუთი, რომ არ შეუსვენია ოჯახისა და შვილიშვილებისთვისა– სიტყვა გააგრძელა ნანამ და ქუჩის კარებთან გამოსულ, მათკენ მიმავალ კაჭალაანთ ვახტანგას ცოლ, თბილისიდან ჩამოსულ ქრისტინესაკენ გაიხედა.

– მესმოდა თქვენი საუბარი ქალებო, მესმოდა და გული ვეღარ გამიჩერდა სახლშია.– სიტყვა შეაწიათ მეზობლებისაკენ მიმავალმა ქრისტინემა.

– მადლობა უფალს, რომ თქვენისთანა ხალხი კიდევ არსებობენ და კიდეც საღად აზროვნებენ, თორემ ლამისაა წაგვიღო ამ სულელურმა, მოდა შემოსულმა ჩვევა- კანონებმა. სოფელი ძლიერია ჩემო კარგებო. სოფელი სუფთაა.სოფელი წრფელი ხალხითაა სავსე და ამიტომაც მეც იმედს ჩვენი ერის გადარჩენისას სოფელზე უფრო ვამყარებ– ღიმილიანი და იმედიანი სახით თქვა ქრისტინემა.

– ყველა პატიოსნების მატარებელი უფლისაა აბა ვისია?– უფალია ჩვენი გადამჩენელი,უფალი!

– ხოდა ქალებო გული ძალიან ნუ დაგწყდებათ და იმედს ნუ გადავიწურავთ ბოლომდე.აბა ნახეთ ღმერთს რამდენი ხალხი ჰყავს შემონახული საქართველოსა და ქართველობის გასაგრძელებლადა.

– ეხ, გული იმაზედ დაგწყდება კაცს, რომ ქართველებს ღალატი არ უხდებათ, ღალატი სინდისისა და საქციელისა – სიტყვა დაამატა ლამარამა.

ისე გოგოებო, კარგი იქნებოდა ყველას სუფთა თვალი ჰქონებოდა ამ ქვეყნის გზებზედ სავალადა. ჩვენ თუ ასეთები ვართ რა, რაიმე გვაკლია თუ ვინმეზე რამით ნაკლებები ვართ. ცხოვრება ჭამა და ჩაცმა კი არაა და მისთვის ყველანაირ უკუღმართობაზე წასვლა. ცხოვრება სისუფთავეა, სისუფთავე თვალისა, გულისა და სულისა – სიამაყით თქვა ლალიმ.

– გეთანხმებით ლალი, სწორედაც რომ მასე უნდა იყოს – უთხრა ლიანამ და გვერდზე მჯდომმა მანანამ, მაყვალამ და ქეთინომაც დაუქნიეს თავი.

– ამ ქვეყანას ერთი, უფლის მეტი ვერავინ გაასწორებს ვერავიან, მაგრამ მინდა, რომა ქვეყანაში მცხოვრები ქალიცა და კაციც მართლა ქართველობისათვის შესაფერისნი იყვნენ– ხმამაღლა თქვა ასაკით ყველაზე უფროსმა კატიამ.

– უფალია ქალებო,ჩვენი პატრონიცა და მფარველიც უფალი – ერთმანეთს ანუგეშებდნენ ასეთი თბილ-ტკბილი ქრისტიანული სიტყვებითა და ლაპარაკით უბანში საბაასოდ გამოსული ქალები.

ამ საუბარში მეზობლებს ისე შემოლეოდათ საღამო ხელშია,ისე წამოსდგომოდათ მთვარე თავზედა, ღამის ბუნდი ისე ჩამოსწოლოდათ მხრებზედ დღევანდელი საქართველოს მდგომარეობის გარჩევაშია, რომ ვერც კი ეგრძნოთ დაღამება თითქმისა.

კარგა ხანს გააგრძელეს საუბარი საჭირბოროტო საკითხებზედა. კარგა ხანს არჩიეს მტყუანმართალიცა და ყველა ქართული ტრადიციების დამკარგავ-შემომნახველიცა.

– უი, რამხელა დრო გასულა გოგოებო უკვე– მთვარეს აჰხედა ლამარამა, შემდეგ ხის ფიცარს ხელი მაგრად დააყრდნო, ცოტა გაჭირვებით წამოიწია სკამიდანა და მეზობლებს დაემშვიდობა.

– აბა წავედი ქალებო სახლშია!

– რა ძალიან შემოგვღამებია საუბარში გართულებსა.

ამის თქმა იყო და ყველა ერთნაირად წამოდგა, ყველამ ერთდროულად დატოვა გოგიტელაანთ გრძელი სკამი და სახლის ეზოებისაკენ აიღეს გეზი.

– ცოტა არ იყოს ბეჭებზეც შემამცივნა, წავიდეთ, წავიდეთ – თქვა მაყვალამა.

– ჰო, რა ძალიან სიგრილემ წამოგვკრა მხებზედა – აყიჟინდნენ მეზობლები. – მეც შემცივდა გოგო მეცა!-შეგრილებულ მკლავებზე შესათბობად ხელს ზევიდან ქვევით მაგრად ისვავდა კატიას რძალი ქეთინო.

ყველა ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

– ღამე მშვიდი,პატიოსანი მოგვცეს უფალმა და დილაძლიერებისა გაგვითენდეს თავზედა ჩვენცა და სრულიად საქართველოსაცა!

– ეგრე იყოს მეზობლებო ეგრე!!!

უკვე კარგა შებინდებულზე, ყველა იმ გრძელ, უბნის სკამზე მჯდომი მეზობლები წყვილ-წყვილად,ისევ დინჯი საუბრით თავის ეზო – ყურისაკენ მიეშურებოდნენ.

მათთვის შეუმჩნევლად კი, მაღლიდან ცეცხლისფერად ამონათებული აგვისტოს სავსე მთვარე დასციმციმებდათ თავზედა და უშურველად უნათებდათ უბნის ქალებს სახლებისაკენ მიმავალ ბილიკებსა!!!

ხათუნა ჩიტაძე

* * *

საიდან მოვიდა, არ ვიცი, მაგრამ ამოვიდა, მკლავები გაშალა და დაინაყოფა... არ ველოდი, ის კი გველოდა, იზრდებოდა და იხუნ-ძლებოდა.

მზისფერ ეზოში სამოთხის ვაშლის ხე დამხვდა... ფორთოხლისფერ სხივებში ცისფრად იხედებოდა, დახუნძლული, ბარაქიანი, ტანმორჩილი და მცინარა სამოთხის ვაშლის ხე! მსხმოიარე და ზურმუხტისფერი, კეკლუცი და ციდან ამოსული... რამდენიმე დღე თვალებით ვეფერებოდი, მერე თვალსა და ხელს შუა გაიბაბთა და გაყვითლდა. ჩემი ნაბოლარები ხეს შევასიე და საოცრად მრგვალი, ლოყააბრაწული პაწაწა ვაშლები ნახევრად გავკრიფეთ. ხო და ახლა სამოთ-ხის ვაშლის ქარვისფერი მურაბები და მისი სურნელი ტრიალებს პაპისეულ სახლ-კარში, ზამთარ-ში თავს რომ შეგვახესენებს და მასზე ფიქრს რომ მოგვგვრის. ეს სამოთხის ეზოა, სამოთხის ვაშ-ლის ხითა და სამოთხისფერი ქარვის მურაბით...

დევი

/ციკლიდან,,ბავშვობა და სიზმრები''/

მთელი ბავშვობა მეშინოდა სხვადასხვა მისტიური, თუ ზღაპარში მოყოლილი არაამქვეყნიური არსებებისა, მითუმეტეს, როცა უფროსი ძმები გაშინებდნენ და სხვადასხვა ამბებს გიყვებოდნენ „შავ ხელზე“, ეშმაკებსა და ურჩხულებზე.

არ ვიცი, ამას დავაბრალო თუ არა დღემდე არასასიამოვნო შეგრძნებები, თუ ჩემს წარმოსახვას, მაგრამ ახლა რასაც მოგითხრობთ, თქვენთვისაც საინტერესო იქნება. ამ ამბავმა სამუდამოდ დაივანა ჩემში და ამდენი წლის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი მაშინდელი განცდები და ეს ისტორია გამეცნო თქვენთვის.

მაშინ ჯერაც პატარა ვიყავი. ასე 5-6 წლის. სოფელში ვისვენებდით, ჩვენს ზვარეში. მაშინ, რიმა ბებოც ჩვენთან იყო და ვფიქრობ, ბაბუაც (მამის მხრიდან). ზაფხულის მშვენიერი საღამო იდგა, როგორც ყოველთვის ზვარეში საკმაოდ გრილოდა. ნაწვიმარ ბალახს და ეზოს სამშვენის სამყურებს სასიამოვნო სურნელი ასდიოდა. მე ეზოში გამოვედი, დედას შევძახე, კაკლის ქვეშ ვიქნები-თქო. ჩვენს სახლს მარცხენა მხარეს აღმართი აუდის ეზოდან, ზემოთ ულამაზესი კალო გვაქვს, რომელიც სახლის სახურავს უსწორდება. აღმართზე და კალოზე უძველესი მუხის ხეები დგას. 200-300 წლისანი. ეზოს უკან ბილიკი გადადის, ეს ბილიკი საკმაოდ განიერია და ზემო ზვარეს უერთდება, ასევე იტოტება და ეგრთწოდებულ „დღოწებშიც“ გადადის. აქ იშვიათად თუ აივლის ან ჩამოივლის ადამიანი. საინტერესო ადგილია ეს დღოწები, ანუ მიწა, რომელიც ერთ დროს მოშვავდა, ანუ მოიდღოწა და მთელი საუკუნეა, ზედ მოსახლეობა აღარ სახლობს. ასე შეარქვა ზვარის მოსახლეობამ ამ ადგილს მოშვავებული ადგილ-ნასახლარები. დღოწებიდან ნუნისის მიდამოებში გადავდივართ და იქ არის ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი მისტიური ადგილები: დევების გამოქვაბული, ბერების კლდე, დედაბერას მთა და.ა.შ. რომ მოვიზარდე ამ დღოწებში მე და ჩემი მეგობრები: ეკა, მაკა, შორენა, ნანა, ნათია, თია, ელზა და სხვა, ერთად დავდიოდით, და შეჯიბრსაც ვაწყობდით, ვინ უფრო სწრაფად აცოცდებოდა მოშვავებულ მიწებზე, რომლის მაღლაც ულამაზესი სანახები იყო. ხანდახან მარტოც მივდიოდი, რადგან პაწაწინა გორაკები, ბილიკები, თხილის ხეები, ჩრდილი და ბევრზე ბევრი გვირილები ჩემს სულს ძალიან ამშვენებდა. მოვძებნიდი სუფთა, ხშირბალახიან მდელოს, მერე ზედ დავწვებოდი და ძალიან დიდხანს ვუყურებდი ცას. ღრუბლებს ვამსგავსებდი სხვადასხცა ფორმებს, ცხოველებს, მცენარეებს... მეგობრებთან ერთად თუ ვიყავი, იქ ერთი დიდი ჩამოშვავებული კლდიანი გორა იყო და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მალე ავიდოდა ამ კლდეზე. ძალიან ხშირად პირველი ავდიოდი და გადმოვკივლებდი გოგონებს – „მოვიგე! მოვიგე!“ ზოგჯერ, კლდის შუა ნაწილში სილასავით მიწა ფეხებიდან და ხელებიდან გვეცლებოდა და ჩამოვგორდებოდით ხოლმე ბოლომდე, გვერდებიც კარგად დაგვიჟეჟია. ასეთი შეუდარე-ბელი და ზღაპრულია ბავშვობა, ეს მოგონებები ახლა სულს მიპურებს. ზვარეზე დაუსრულებლად

შემიძლია ვისაუბრო, მაგრამ ისევ იმ საღამოს დავუბრუნდები, ასე, დაახლოებით 32 წლის წინ რომ ჩამრჩა მეხსიერებაში.

...თამაშში გავერთე, სახლიდან სასიამოვნო ჟრიამული გამოდიოდა, იცინოდნენ, ხმაურობდნენ, ოთახები სავსე იყო ჩემი ძვირფასი ადამიანებით. „შუშაბანდიდან“ მზისფერი შუქი იღვრებოდა მთელს წინა ეზოში. სასიამოვნო განწყობით თოჯინას ხელი დავავლე და კალოზე გასეირნება გადავწყვიტე. ჭრიჭინების „ჭრიამული“ და ციცინათელებით მოციმციმებული ეზო მოკირწყლულ ბილიკს თან გასდევდა. ეხლაც თავლწინ მიდგას ეზოს შემოგარენი და მეცნობა ის სუნი... მუხის ხეებს რომ გავუსწორდი ეზოში ანთებული შუქი კარგად აღარ მინათებდა გზას. თვალები და გონება დავძაბე, შიშიც შემომეპარა, მაგრამ ჯიუტი ვიყავი და აქაც ჯიუტად მივდიოდი წინ! მუხები ყოველთვის შიშს მგვრიდა, არ ვიცი რატომ, მაგრამ დღესაც ასეა. ალბათ იმიტომ, რომ ერთ ასეთ ამბავს ყვებოდა ხოლმე ბებო, – თითქოს ერთი საუკუნის წინ ამ ტერიტორიაზე არავინ არ ცხოვრობდა. ამ ადგილებში კი სასაფლაო ყოფილა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ეს მუხები ისეა დარგული, როგორც შესასველელი კარიბჭე იყოს თავიდანვე გამიზნულ-განსაზღვრული.

მახსოვს კალოზე ავედი და უცნაური სიჩუმე იდგა. უეცრად შორიდან ცხენის ფლოქვების ხმა გავიგონე. უსიამოვნო შეგრძნება, სიბნელეს რომ ახლავს თან, იმწამსვე გამიქრა. ღობესთან მივირბინე და გაფაციცებული ვიყურებოდი, როდის დავინახავდი ცხენს. ბავშვური მოლოდინით ვიყავი სავსე.

ფლოქვების ხმა მიახლოვდებოდა, სიბნელეში კონტურები გამოიკვეთა, უფრო განათდა და თითქმის რომ გამისწორდა, მე, მომლოდინემ ცხენიანი მხედრისა, აი, ასეთი რამ დავინახე: უზარმაზარ ცხენზე ძალიან დიდი კაცი იჯდა, ხუჭუჭა, წითური თმა ზომაზე მეტად ჰქონდა თავზე შემობურული. ორი თვალის მაგივრად სამი დიდი, წითელი თვალი ჰქონდა. ერთი, დიდი, შუბლზე! ასეთი დიდი თავი და წითელი, ჩასისხლიანებული თვალები, მართლაც გულისგამხეთქავად გამოიყურებოდა! მითუმეტეს რომ კარგად ვერ გავარჩიე, დიდი ზომის ყურები ჰქონდა თუ რქები. ჩემ წინ იდგა, ასე დაახლოებით სამი წამი. ალბათ იმ წამებში იმ დევზე დიდი თვალები მე გამიხდა და მთელი ძალ-ღონით ისეთი შევკივლე, ჩემი ხმა მეხის გავარდნას უფრო ჰგავდა, ვიდრე კივილს.

დიდთავა მხედარი ადგილს მოსწყდა და წავიდა. ცხენის ფლოქვების ხმა უკვე ჩემი ზურგის უკნიდან ისმოდა, რადგან კალოდან თავპირისმტვრევით მოვრბოდი და ისეთი შეშინებული ვიყავი, პირველად ვიგრძენი, რომ გულს „რაღაც“ დაემართა.

მახსოვს მამაჩემის შეშინებული თვალები და მერე ხუთ წუთში, კარგად რომ შემათვალიერა, მაბრაზებდა და დამცინოდა. დევი კიარა, რამ მოალანდა ამ ბავშვს დევი – არადა თვითონაც ჩაფიქრებული იყო. მთელი ღამე ჩემს დამშვიდებას მოუნდა ჩემი ოჯახი, თვალი არ მომიხუჭავს, სულ „დევი იყო“-ს გავიძახოდი. ის ცივი განცდა, ახლაც ტანში მაქვს და ამ წუთშიც თვალწინ მიდგას, როგორ დამჩერებოდა დევკაცი. ასე მგონია, ძალიან რომ არ მეკივლა, ალბათ მომიტაცებდა.

სასაცილო ამბავია, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ეს დევი ნამდვილად არ მომლანდებია და მისი მესამე თვალი ახლაც თვალწინ მიდგას, ზუსტად თვალებში ჩამხედა, თითქოს იმისთვის იყო მოსული, რომ ვენახე.

... მერე სოფელში ბევრს იხსენებდნენ და საუბრობდნენ მოხუცი ქალები, რომ დედაბერას მთაზე ერთ დედაბერს, საუკუნეების წინ დევები გაუჩენია და მას შემდეგ, იქ, ერთ გამოქვაბულში, სადაც ადამიანები არასდროს ყოფილან, ჩუმად, თავისთვის ცხოვრობენო. ღამ-ღამობით, ჩუმად სოფელში ჩამოდიანო, კაცთა ძენი ენატრებათო... ერთმა ისიც თქვა, რომ ეს დევები რომელ ადამიანსაც თვალებში შეხედავენ, ისინი აუცილებლად ხელოვნების მსახურნი იქნებიანო.

ერთი სიტყვით, იმ დევს უნდა ვუმადლოდე, რომ კალამი, ფერები მიყვარს და ხელსაქმე მეხერხება.

ნინო ხაზარაძე

ჩემი პედაგოგობა სულ დუდუხანის ბრალია!!!

დუდუხანი ვინ არის? ჩემი უფროსი დის ღიპუცა, თვალებრიალა დედოფალა. ნათის დუდუხანისთვის უკვე აღარ ეცალა დიდი გოგო იყო, სწავლაზე და წიგნებზე გადარეული, ჰოდა, დუდუხანმა ჩემს კალთაში გადმოინაცვლა, მე შემომაფარა თავი. ვიკისრე პატარამ მისი დედიკოობა, ვიტვირთე მისი აღზრდა და განათლება. მე რა ვიცოდი, რომ არა ჩემი და, ეს მან ნათიმ ადრეულ ასაკში მასწავლა ქართული ანბანი, წერა-კითხვა. წიგნი შემაყვარა. ცოდნას თოჯინას უშურველად ვუზიარებდი: დავსვამდი პატარა სკამზე, პატარა მაგიდასთან და ვიწყებდი: „აბა, მომისმინე, დუდუხან!, აი ია, აი დედა, აი წიგნი, არ გამაბრაზო კარგად მისმინე“. საღამო ხანს მრგვალ მაგიდასთან ერთად ვკითხულობდით. დედოფალაც ყურადღებით ისმენდა „აღმოსავლეთის მეფის ამბავს“, „ბაბაჯანას ქოშებს“, მერე ვუწერდი შეფასებას, ვაქებდი და ვასაჩუქრებდი.

საბავშვო ბაღში ერთად დავდიოდით მე და დუდუხანი ხელში წიგნებით. ბაღი ხონის ცნობილი ბულვარის უკან მდებარეობდა ასწლოვანი ცაცხვებით დამშვენებულ მწვანე ეზოში. შენობის მეორე სართულზე რუსული საშუალო სკოლა განათავსეს. ბაღში არავის უკვირდა გოგონა თოჯინითა და წიგნით. სკოლის დირექტორს კი, რომელსაც პირველკლასელთა სიმცირე აწუხებდა, თურმე, ინოვაციურმა აზრმა გაუელვა თავში. შედეგად, ერთ მშვენიერ დღეს მე და ჩემმა დაქალებმა და ძმაკაცებმა თავი ამოვყავით დიდ ბავშვებთან-რუსული სკოლის პირველკლასელთა გაკვეთილზე. ასე დაიწყო ჩემი უწყვეტი განათლება. მშობლები იმით დაამშვიდეს, რომ თუ ვერ დავძლევდით სკოლის მოთხოვნებს, შემდგომში გავაგრძელებდით სწავლას უკვე სხვა სკოლაში, ისევ პირველ კლასში. რა მოხდა, მაინც მცირეწლოვნები ვიყავით. ნურას უკაცრავად! დავძლიეთ და მერე როგორ! სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იმავე წელს სტუდენტი გავხდი. ოცი წლის ასაკში დიპლომირებული პედაგოგი დავუბრუნდი საკუთარ სკოლას. ბავშვები, წიგნები და თოჯინები-უამრავი საზოგადოებრივი დავალება. ახალგაზრდა ვიყავი, ღამეებს ვათევდი, რომ ყველაფერი ყოფილიყო ჩემებურად, უზადოთ. მიუხედავად მოუცლელობისა გვერდით ყოველთვის მყავდა თოჯინები. ჯერ კიდევ მოსწავლეობის დროს, სკოლის დირექტორის მოადგილემ ქალბატონმა **თინათინ ჭელიძემ** შემომთავაზა ლიტერატურულ კლუბში საქმიანობასთან ერთად, კიდევ ერთ სასიკეთო საქმეს ჩავდგომოდი სათავეში. შეგვექმნა თოჯინების თეატრი უფროსკლასელთათვის. მივუბრუნდი საყვარელ საქმეს: მოვიძებნე მასალები, შევკერეთ თოჯინები, ავაგეთ თეჯირი. სცენარს ქალბატონი თინათინი წერდა და ყველა საჭირბოროტო საქმეს აგვარებდა. მე გარდა იმისა, რომ ბავშვებთან ვმუშაობდი, თვითონ ვთამაშობდი მთავარ როლებს. თეატრი დიდი სიყვარულით სარგებ-

ლობდა. ზაფხულობით ავდიოდით გორდში და პიონერთა ბანაკში ვდგამდით წარმოდგენებს ჩამოსული ბავშვების ჩართვით.

როცა მე პედაგოგი გავხდი, თოჯინები ჩემი დიდი თანაშემწენი იყვნენ, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე არა საგაკვეთილო ღონისძიებებში. ვერ დავივიწყებ ბავშვების ბედნიერ სახეებს, რომლებმაც ამ თოჯინებთან აღმოაჩინეს, რომ კარგი მხატვრები, მომღერლები, მკერავები, მსახიობები, რეჟისორები არიან.

როცა პატარა-ჯიხაიშის სკოლიდან ქალაქის პირველ სკოლაში გადმომიყვანეს სამუშაოდ, აცრემლებულმა ბავშვებმა მითხრეს, რომ უჭირთ სასწავლო პროცესის უჩემოდ წარმოდგენა. არც მიფიქრია „სიხარული“ (თეატრს ასე ქვიოდა) წართმევა და წამოღება დავუტოვე ეს თეატრი სიხარული რომ არ მოკლებოდათ.

1979 წლიდან ვმუშაობ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ბევრი რამ მოხდა და შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში-იყო უდიდესი, თავდადებული, მძიმე შრომა, წარმატებები, იმედგაცრუება, გულისტკივილი და მაინც ბედნიერი მომავლისაკენ სწრაფვა მძიმე წლებში კი ვახერხებდი თოჯინური წარმოდგენების გამართვას. კლასი, რომელსაც ვხელმძღვანელობდი, მედგრად მედგა გვერდით. ბავშვობიდან შეიყვარეს და შეითვისეს თოჯინების სამყარო. უკვე უფროსკლასელები უბადლო სპექტაკლებს დგამდნენ თანასკოლელებისთვის. თეატრს „სამაიო“-ს ვეძახდით. იმიტომ, რომ ჩემი გოგონების უმეტესობას მაია ერქვა. ვაჟები კიდევ უფრო აქტიურები რომ იყვნენ, ამას არ აპროტესტებდნენ. მიხარია, დაქალებული და დავაჟკაცებული ჩემი მოსწავლეები ერთმანეთს რომ ეხმიანებიან პრესის ფურცლებზე, თუ ფეისბუქის პლატფორმაზე, აუცილებლად იხსენებენ ამ თეატრს, მათ ახსოვთ წარმოდგენები: „თალგამი“, „კატა, მელა და მამალი“, „ყვავი და მელა“, „მგელი და კრავი“, „ტყის ზღაპარი“, „სამი გოჭი“, „შეყვარებული დათვი“, „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „წითელქუდა“ და სხვა. ჩემი **მაია ჭავჭანიძე, მაია გედენიძე, მაია ბართია, მაია ხურცილავა, ნინო კოპალიანი, ნათია ხობუა, იაგო უგულავა, ირაკლი ძაძამია, ზაზა ქვათელაძე, ნათია წივწივაძე, ზურაბ ბახტაძე, კობა წვერავა, ზვიად ჯიშკარიანი, ლევან კუხალაშვილი, გია კვანტალიანი.** მთელი 1989 წლის გამოშვება შვილებს უყვებიან ბედნიერ დღეებზე და მასწავლებელზე, რომელმაც მათ ბავშვობა გაუფერადა. მადლობა თქვენ ამისთვის ჩემო „პატარებო“!

წლები გაფრინდა. მეც აღარა ვარ ახალგაზრდა, ორმოცდამეათეჯერ ვიზეიმე ახალი სასწავლო წელი. ჯერ კიდევ ვასწავლი, ვმღერი, ვვარჯიშობ, ვთანამშრომლობ აღსაზრდელებთან. ჯერ კიდევ მესმის ბავშვობის ჩემი შეძახილი „აბა, დუდუხან“, რა უნდა გითხრა, კარგად მომისმინე!“

ირმა კეკელიძე

კატია

თებერვალია. ზამთრის კვირა დილით კატიამ ხმაურით შეაღო ტაძრის მაღალი ხის კარი და ირგვლივ მყოფნი შეათვალიერა. ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ გულის გამაწვრილებელი ყვირილი დაიწყო. ტაძრის მრევლთაგან ზოგი გაოცებული უყურებდა უცნაურად ჩაცმულ მოხუცს, ზოგსაც უკვირდა და უბრალოდ ეღიმებოდა მის ხმამაღალ შეძახილებზე... კატიას ზურგს უკან მდგარი ადამიანები კარებშივე შეჩერდნენ და ადგილიდან ფეხი მანამდე არ მოიცვალეს, სანამ მოხუცი არ ჩაწყნარდა.... სანთლის გამყიდველმა მაღალმა, გამხდარმა, პირმცინარმა ქალმა კატია თავისთან მიიხმო და ტკბილი ფუნთუშა მიაწოდა. მესანთლეს არც სხვები ჩამორჩნენ. მრევლთაგან რამოდენიმემ კამფეტები, ხურდა ფული და ერთმა მათგანმა შოკოლადის დიდი ფილაც კი მიაწოდა კატიას. მოხუცს გემოც არ გაუსინჯავს, ისე ჩაყარა შავი ფერის, ძველ, გაცვეთილ ჩანთაში ყველაფერი. ხურდა ფული გაცრეცილ ღია ყავისფერ ქურთუკის დიდ ჯიბეში ჩაიყარა, ყვირილი შეწყვიტა, თავისთვის რაღაც გაუგებრად ჩაიჩიფჩიფა და ღვთისმშობლის ხატისკენ აიღო გეზი. ხატზე ახალგაზრდა ქალს მიედო თავი და თავისთვის რაღაცას ჩურჩულით ევედრებოდა მას. კატია მიუახლოვდა ახალგაზრდა, საკმაოდ გემოვნებით გამოწყობილ ქალბატონს, ღვთისმშობლის ხატის წინ დაიჩოქა, ფარულად კი მისი მზერა ქალის სხეულს არ მოშორებია... როცა ქალბატონი ხატს მოშორდა, დაჩოქილმა კატიამ მას ფეხზე ხელი წაავლო. შეშინებულმა ქალმა ზემოდან დახედა უცნაურ მოხუცს და შეეცადა მისგან გათავისუფლებულიყო, მაგრამ კატია ახლა ორივე ხელით მის ფეხს ჩაებღაუჭა და რაღაც გაურკვეველი სიტყვები თავისთვის ჩაიბურტყუნა. შეშინებული ქალი ცდილობდა თავი დაეღწია მისგან, მაგრამ ამაოდ, მოხუცი ხელების გაშვებას არ აპირებდა.

ანალოგიასთან მდგარმა ტაძრის მსახურმა შუახნის ქალმა, როგორც კი დაინახა, თუ როგორ ეჭიდებოდა კატია ახალგაზრდა, გემოვნებით ჩაცმულ, შეშინებულ ქალბატონს, მათთან მივიდა. კატიას ქალის ფეხებზე ხელები გააშვებინა და ფეხზე წამოაყენა.

- მრევლს ნუ აწუხებ, კატია. წამოდი, გამომყევი, მე მომეხმარე, – ისე დაუყვავა ტაძრის მსახურმა მოხუცს, გეგონებოდათ პატარა ბავშვს ეფერებოდა. კატია ისევ ღვთისმშობლის ხატთან მდგომ ქალს მიუბრუნდა და ჩიფჩიფით მიაძახა:

- ღვთისმშობელმა შეისმინა შენი თხოვნა... კარგად იქნება!... გოგონა კარგად იქნება!...

ახალგაზრდა ქალბატონი გაოგნებული მიშტერებოდა კატიას ზურგს, რომელიც პატარა ბავშვივით ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა ტაძრის მსახურს. ქალი კვლავ ხატისკენ მიბრუნდა და თვალები ცრემლით აევსო. იქვე მდგომმა ხანშიშესულმა მამაკაცმა ხმადაბლა უთხრა:

- ეს კატიაა!... თქვენ რა, მას არ იცნობთ?

- არა, – გაოგნებულმა უპასუხა ქალმა.

- ამბობენ ხილვები აქვსო, წინასწარმეტყველიაო. თუ რამეს იტყვის, აუცილებლად ახდება!... დაუკვირდით მის სიტყვებს, გენიშნათ რამე? – ჩაეკითხა მამაკაცი ახალგაზრდა ქალს.

- დიახ, მენიშნა, ამიტომაც ძალიან დავიბენი. ხუთი წლის გოგონა საავადმყოფოში მიწევს, ხვალ რთული ოპერაცია უტარდება. ძალიან ვნერვიულობ. – უპასუხა ქალმა.

- ყველაფერი კარგად იქნება. ღვთისმშობელი შეისმენს თქვენს თხოვნას. ხომ გაიგონეთ, კატიამაც დაგიდასტურათ, – ღიმილით მიმართა მამაკაცმა ქალბატონს, იქვე მდგარ დიდ შანდალზე სანთელი საგულდაგულოდ დაანთო და პირჯვარი გადაიწერა...

ტაძარი ხალხით იყო სავსე. მოძღვარმა სახარების კითხვა დაამთავრა, მგალობლები გალობდნენ... კატია გაფაციცებით აკვირდებოდა ტაძარში მყოფ ადამიანებს... როგორც კი წირვა დამთავრდა, ჩქარი ნაბიჯით გასასვლელისკენ აიღო გეზი...

***

კატიას ასაკი არავის იცოდა. ამბობდნენ სადაცაა ასი წლის გახდებაო. ოქროს უბანში მის მეზობლად მცხოვრები ადამიანები ჭორის დონეზე ლაპარაკობდნენ: „გათხოვილი არასოდეს ყოფილაო. მამამისი სამხედრო პირი იყოო. კატია ბავშვი ყოფილა, როდესაც მინსკიდან საქართველოში, სოხუმში, გადმოსულან საცხოვრებლადო. არც და ჰყოლია და არც ძმაო. დედისერთა იყოო. ახალგაზრდობაში მაღალი არ იყო, მაგრამ ლამაზი, თეთრი ფერის სახე, ქერა თმა და ლამაზი ცისფერი თვალები ჰქონდაო... მამა ადრეევე გარდაეცვალაო. დედა კარგა ხანს იყო ლოგინად ჩავარდნილი, კატია უვლიდაო. მისი არც ნათესავი და არც ახლობელი არავის არასოდეს უნახავსო. როდესაც მარტო დარჩა, სოხუმში, ქალაქის გულში მდებარე ხარების საკათედრო ტაძარს დაუკავშირა მისი ცხოვრებაო. მოხუცდა, ღრმად მოხუცდა და მაინც ტაძარს არ შორდებაო“...აფხაზეთში დაწყებულმა ომმა, სოხუმის ხარების ტაძრის მამებს, ყველა სასულიერო პირს, დაატოვებინა საოცარი ტაძარი და თბილისის ნეველის სახელობის ტაძარში მიუჩინა თავშესაფარი...ომის შემდეგ კატია არავის არ გახსენებია, მანამ სანამ ერთ მშვენიერ დღეს ნეველის ეკლესიის დიდი ხის კარი არ შეაღო და ხმამაღალი თავისებური შეძახილებით არ შევიდა მისი სულის ახალ ნავსაყუდელში.

შუადღე იქნებოდა. ტაძრიდან შინ დაბრუნებულმა კატიამ ჯაჯგურით შეაღო ოქროს უბნის ერთი პატარა ეზოს ჩაჟანგებული რკინის ჭიშკარი. ფეხების ბაკუნით შეაბიჯა დაცარიელებულ ეზოში. მიწისპირად მდგარი ერთსართულიანი ჩაჟამებული, პატარა სახლის დაბრეცილ ხის კართან შეჩერდა. გამხდარი, მოკლე ფეხები, რომელზეც ზამთრის ხორცისფერი, დახეული წინდები ეცვა და ზედ ორი ზომით დიდი თეთრი ფერის გაცვეთილი ბოტასები სასაცილოდ წამოეცვა, კიდევ ერთხელ ააბაკუნა და კარი შეაღო. შინ შესულს ხუთი მოხუცი, მათ შორის ორი მამაკაცი და სამი ქალი ხელების ქნევით შეეგებნენ.

- მოხვედი, კატია?! – წამოიყვირა თმაჭაღარა, თმადაუვარცხნელმა, გაბურძგნულმა ჟუჟომ.

- მოვიდოდა, აბა რას იზამდა, – წაილუღლუღა ფეხზე მდგარმა და ცალი ხელით ყავარჯენზე დაყრდნობილმა დიმიტრიმ და დანაოჭებული შუბლი უფრო მეტად დაუნაოჭდა.

- ნეტავ თუ მოიტანა რამე კატერინამ? შიმშილით თვალებიდან ვეღარ ვიხედები, – ხმის კანკალით წარმოსთქვა ოთახში ერთადერთ რკინის საწოლზე წამომჯდარმა ნინამ.

- მოიტანდა, ისე არ დაბრუნდებოდა, არ იცით მისი ხასიათი?! – თქვა წელში მოხრილმა, საცოდავად დაუძლურებულმა ტიტემ და თავის ფხანა დაიწყო.

- დააცადეთ, მხოლოდ თქვენს თავებზე რომ ფიქრობთ, მოისვენოს, ამოისუნთქოს. ეგ რომ არ გვყავდეს, რა გვეშველებოდა ამდენ ინვალიდ და უპატრონოდ დაყრილ ლეშს?! ჩვენ ხომ ადამიანებში აღარ ვწერივართ! – ბურდღუნით წარმოსთქვა იატაკზე, კუთხეში, ჭუჭყიან ბალიშზე წამომჯდარმა ქეთუშამ.

- კატიამ ჩანთა გადაყვითლებული გაზეთებით მიმოფანტულ ძველისძველ მაგიდაზე დაახეთქა და ისევ გარეთ გავიდა. ცოტა ხანში უკანვე დაბრუნდა. ხელში ორი თონის პური ეჭირა, რომლებიც მაგიდაზე დაყარა და თვითონ იქვე მდგარ კოჭლ სკამზე ჩამოჯდა. მაგიდის გარშემო, ნელ-ნელა, წვალებით შემოკრებილი მოხუცები მადიანად მიირთმევდნენ კატიას მირთმეულ „ნობათს“ და თან უფალს მადლობას წირავდნენ კიდევ ერთი ნაჩუქარი დღისათვის.

***

აპრილია. კოკისპირულად წვიმდა და რადგან ტაძარში არც ისე ციოდა, როგორც გარეთ, კატიამაც გადაწყვიტა წვიმის გადაღებას დალოდებოდა. მის თავთან აღმართულიყო მაცხოვრის ჯვარი. იქვე მდგარ შანდალზე სამი დიდი კელაპტარი იწვოდა. კატია მიშტერებოდა კელაპტრებს. ხან მაცხოვრის ჯვარს ახედავდა, ხანაც კელაპტრებს უყურებდა რაღაც იდუმალი და ამოუცნობი მზერით. ტაძრის მსახური ქალი დრო და დრო გახედავდა ხოლმე კატიას და თავისთვის გაიფიქრებდა: „ღმერთო ჩემო, ვერ ვგებულობ, ვერ ვხვდები, რა ამოქმედებს ამ ადამიანს...“

იქვე მდგარმა ტაძრის მეორე მსახურმა ქალმა, რომელიც შანდლებს ასუფთავებდა, როგორც კი კატიას შეხედა, ფრთხილად უთხრა:

- კატია, ჭუჭყიანი ხარ, სახე გაგსვრია.

კატიამ ხელი სახეზე მოისვა და ჩიფჩიფით უპასუხა:

- ეს ჭუჭყი არ არის, ეს მხოლოდ ტალახია!... ჭუჭყი შიგნით არის, გარეთ მხოლოდ ტალახია!

- სად შიგნით, კატია? – ინტერესით ჩაეკითხა ტაძრის მსახური. კატიამ გაბრაზებულმა შეხედა მას და თავისთვის ჩაიჩიფჩიფა:

- შიგნით სულში, ამას რა მიხვედრა უნდა, – თქვა და მზერა ღვთისმშობლის ხატისკენ გადაიტანა.

კატიამ მხარზე ხელის დადება იგრძნო, მოტრიალდა და ახალგაზრდა ქალს შეეფეთა. მოხუცმა შუბლშეკრულმა შეხედა, თავი გააქნია და ზურგი შეაქცია. ქალმა კვლავ დაადო ხელი მხარზე კატიას და თითქმის ძალით მოატრიალა მისკენ. მოხუცმა უხეშად მოიშორა ქალის ხელი და დაკვირვებით შეათვალიერა.

- ეს მარიამია, კატია, – უთხრა ქალმა და მის გვერდით მდგარი ხუთიოდე წლის პირმცინარი, შავთვალწარბა, ლამაზი გოგო თითქმის ძალით მიიყვანა მოხუცთან. კატიამ ბავშვს გულწრფელად გაუღიმა, თვალებში შეხედა და უცებ მოულოდნელად ისეთი სიცილი აუვარდა, სული ვეღარ მოითქვა. იცინოდა კატია, ისე იცინოდა, რომ თვალებიდან ღაპა-ღუპით წამოსულ ცრემლებს მუშტებითაც ვეღარ იშრობდა. სიცილით გული რომ იჯერა, ჯიბეებში ხელების ფათური დაიწყო. ქურთუკის ორივე ჯიბიდან საწუწნი, ხილის კამფეტები ამოიღო და პატარა მარიამს ძალით შეაჩეჩა.

- გამოართვი, შვილო, უარი არ უთხრა, – მიმართა ბავშვს ტაძრის მსახურმა, წელში მოხრილმა ქალმა.

- მადლობა გადაუხადე, მარიამ, – უთხრა დედამ პატარა გოგოს. ბავშვი დაბნეული უყურებდა ხან დედას, ხანაც ეკლესიის მსახურს და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

- გამოართვი და მადლობა გადაუხადე, გულით გაძლევს, – ოდნავ მკაცრი ხმით გაუმეორა ქალმა ბავშვს. ბავშვიც აღარ დაფიქრებულა და კატიას მიცემული კამფეტები ქურთუკის ჯიბეში ჩაიწყო.

- საოცარი მოხუცია, რაც არ უნდა აჩუქო, ცდილობს, რომ იმით სხვას სცეს პატივი... აქვე, ოქროს უბანში ერთი პატარა ოთახი აქვს, სადაც უსახლკარო მოხუცები ჰყავს შეფარებული. რასაც უწყალობებენ, ყველაფერი მათთვის უნდა, ყველაფერს მათ უწილადებს... იმასაც ამბობენ, საოცარი წინათგრძნობა აქვსო, – მსახური ქალი თან მარიამს და მის დედას ესაუბრებოდა, თან შანდალს დამდნარი სანთლის ნარჩენებისგან ასუფთავებდა.

ახალგაზრდა ქალმა თავის პატარა გოგონას თავზე ხელი გადაუსვა. უცებ თავში რაღაც აზრმა გაუელვა. ჩანთიდან საფულე ამოიღო და ოცლარიანი მომცინარი სახით მდგარ კატიას ქურთუკის ჯიბეში ჩაუცურა. მოხუცმა ჯიბიდან სწრაფად ამოიღო ფული და მნიშვნელოვნად დახედა. შემდეგ გაოცებული სახით ქალს შეხედა და მადლიერების ნიშნად მისი ბებერი, გაუხეშებული ხელი ახალგაზრდა ქალის ნაზ ხელს ფრთხილად შეახო. მერე ქალთან ახლოს მივიდა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

- ბედნიერი დედა ხარ. კარგად იქნება შენი შვილი... დაგეხმარება..., – უთხრა კატიამ და ღვთისმშობლის ხატისკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი. შემდეგ ქალის ნაჩუქარი ფული ისევ ჯიბეში ჩაიდო. სწრაფად შებრუნდა და ტაძრის გასასვლელი კარისკენ ფეხების ბაკუნით გაემართა.

კოკისპირულად აღარ წვიმდა. კატია ნაწვიმარზე ფეხების ტყაპა-ტყუპით მიდიოდა. ქუჩაში გამვლელები ალმაცერად უყურებდნენ უცნაურად ჩაცმულ მოხუცს. მას ხომ ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად ეცვა, გრძელი ფართხუნა ქურთუკი. თავზე ზეწრიდან გამოჭრილი, ჭუჭყიანი, თეთრი თავსაფარი ეხურა, საიდანაც უშნოდ გაკრეჭილი თეთრი თმა სასაცილოდ მოუჩანდა. ხელებზე, გარეთ გამოსულს ყოველთვის ფეხის წითელი, გაცვეთილი წინდები ჰქონდა ხოლმე წამოცმული. ფეხებზე ზამთარ-ზაფხულ ბამბის დახეული წინდები უნდა სცმოდა. რამოდენიმე ზომით დიდი ბოტასები, რომლებიც ასევე ზამთარ-ზაფხულ „ამშვენებდა“ მის მოკლე ფეხებს, ყოველთვის ღიმილს ჰგვრიდა ხოლმე ყველა შემხვედრს... ასე „მშვენივრად“ გამოწყობილი მიდიოდა კატია ნაწვიმარ ასფალტზე და წყლის გუბეებსაც კი არ ერიდებოდა... მიდიოდა და მიტყაპუნებდა... ავტობუსის გაჩერებასთან რომ მივიდა ცოტა ხნით შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და ისევ გააგრძელა ფეხების

ტყაპა-ტყუპით გზა. გაზეთების ჯიხურს მიუახლოვდა. იქაც გაჩერდა, აქეთ-იქით ისე იცქირებოდა, ვინც არ იცნობდა, იფიქრებდა, ვინმეს დაეძებსო... უცებ ახლოს პატარა ბიჭის ხმა მოესმა:

- იყიდეთ ბაჭია, ძალიან გთხოვთ, იყიდეთ ბაჭია!

კატია შეკრთა. ჯიხურის გვერდით, ხის ყუთზე ოთხი თეთრი და ორი ნაცრისფერი, ულამაზესი პატარა ბაჭიები ისხდნენ. პატარა შვიდიოდე წლის ბიჭი კი ხმამაღლა, მთელი მონდომებით გაჰყვიროდა:

- იყიდეთ ბაჭია, ძალიან გთხოვთ, გემუდარებით, იყიდეთ ბაჭია!...

კატია ბიჭს მიუახლოვდა და თავისი იდუმალი მზერა მიაპყრო. ბიჭს ყურადღებაც არ მიუქცევია მოხუცისთვის, ყელმოღერებული იდგა და რაც შეეძლო ხმამაღლა გაჰყვიროდა:

- პატარა და მყავს, შვიდი თვის, ავად არის, გადასხმები სჭირდება!... ძალიან გთხოვთ, გეხვეწებით, იყიდეთ ბაჭია!... ამით ჩემს დას დაეხმარებით!... იყიდეთ ბაჭია!... გეხვეწებით, იყიდეთ ბაჭია!

კატია დაიხარა, ბაჭიებს მოეფერა. ცოტათი შეყოვნდა. თავში რაღაც აზრმა გაუელვა. ჯიბიდან ნაჩუქარი ოცლარიანი ამოიღო და ბიჭს მიაწოდა. ბიჭმა თვალებს არ დაუჯერა. მსხვილი, დიდი თაფლისფერი თვალები მეტად გაუფართოვდა, წამწამები აახამხამა და მოხუცს ხმის კანკალით ჰკითხა:

- რამდენი ბაჭია გინდათ?

- არც ერთი, – უპასუხა კატიამ ჩიფჩიფით და უარის ნიშნად ხელი გაუქნია.

- აბა, ფულს რატომ მაძლევთ? – ჩაეკითხა ბიჭი.

- შენი იყოს ეგ ფული! – ისევ ჩაიჩიფჩიფა კატიამ და ისე სწრაფად გააგრძელა გზა, რომ ბიჭისკენ არც კი მოუხედავს. ბავშვი გამოეკიდა, გააჩერა მოხუცი და ძველ შავ ჩანთაში ძალით ჩაუჯინა ორი თეთრი ბაჭია... კატიაც დამორჩილდა...

სახლში შესულს მობუზული მოხუცები იმედის თვალით შესცქეროდნენ. კატია დაბნეული მივიდა მაგიდასთან. ჩანთა გახსნა და იქიდან სათუთად ამოიყვანა შეშინებული და მობუზული ბაჭიები.

- რა ლამაზები არიან! – შეჰყვირა ნინამ.

- ვინ მოგცა? – იკითხა დიმიტრიმ.

- საიდან მოიყვანე? – ჰკითხა ჟუჟომ.

- რა მობუზულები არიან, ალბათ სცივათ, – თქვა ტიტემ და ბაჭიებს მოეფერა.

- ალბათ შიათ კიდეც, რა უნდა ვაჭამოთ? – წამოიკვნესა ქეთუშამ და ორივე ხელი შეშინებული ბაჭიებისკენ გაიშვირა.

- რასაც ჩვენ შევჭამთ, ამათაც ის ვაჭამოთ. რა კარგები არიან, – არ ცხრებოდა ნინა.

კატია დადუმებული უყურებდა ბაჭიებს. შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდაო, ბაჭიებს მივარდა, ხელში აიყვანა, ისევ ჩანთაში ჩასვა და ჩანთიანად, სწრაფი ნაბიჯებით დატოვა ოთახი. ქუჩაში თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიჩქარით მიაბოტებდა. ისევ გაწვიმდა. კატია კი სულმოუთქმელად, თითქმის სირბილით მიდიოდა. როგორც იქნა მიაღწია გაზეთების ჯიხურამდე. შეჩერდა, სული ძლივს მოითქვა. წვიმამ უმატა. პატარა ბიჭი ისევ იმავე ადგილზე იდგა და გაჰყვიროდა:

- იყიდეთ ბაჭია! ძალიან გთხოვთ, იყიდეთ ბაჭია!...

კატია მიუახლოვდა ბიჭს, ბაჭიები ჩანთიდან ამოიყვანა და თავის ადგილზე სხვა ბაჭიების გვერდით დაუსვა. ბიჭმა შეშინებულმა შეხედა მოხუცს. კატია მიუხვდა ბავშვს და გაუღიმა. ბიჭმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ მოხუცი იქ აღარ იყო...

კატია ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ტაძარს. მაღალი ხის კარი ფრთხილად შეაღო. იქ მყოფ მრევლს იმედის თვალით გადახედა და შვებით ამოისუნთქა... გარეთ კი გაზაფხული იდგა და კოკისპირულად წვიმდა.

მზია ელიაძე

ამა სოფლის ეული

იყო სოფლად კაცი უტყვი, მუნჯი, ეული და დაჩაგრული. არა კაცთაგან დაჩაგრული, არამედ თავისი ყოფა-ცხოვრებით... ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვეგონა, გვეჩვენებოდა მისი დაჩაგრულობა, მას კი ვერაფერს ვატყობდით...

ცხოვრობდა დედმამისეულ დანატოვარ, ძველ, პატარა, მყუდრო სახლში. მისი ყოველი დღე მეგონა ერთნაირი იყო, არაფრით გამორჩეული,განსხვავებული. არ მახსოვს მასთან მისული ვინმე: მეზობელი,მეგობარი, ახლობელი... არავისთან არ კონტაქტობდა, იყო თავისთვის და შრომობდა სახლში, ეზოში.

თუ მაღაზიაში პროდუქტისა, ან პურისათვის გავიდოდა,ცდილობდა მალე დაბრუნებას.თან თავდახრილი დადიოდა.ხშირად შემიმჩნევია გარინდებული ზეცას შესცქეროდა ხელაპყრობილი.მოკლედ,არავინ ვიცოდით მისი ცხოვრების სტილი და წესი...სულ შრომა-გარჯაში იყო,ოღონდ უხმოდ,უსიტყვოდ...მისი სახლის კარი არავის ჰქონდა შეღებული...

ხშირად ვფიქრობდით, შუქზე მაინც დავინახავთ შიგნით რას აკეთებსო, მაგრამ, აქაც ვერაფერს ვხდებოდით... ან დიდი ღამის ფარდები ეფარებოდა, ისე, რომ არაფერი ჩანდა; ან შებინდებისთანავე წვებოდა და სინათლეც არ ენთო.

ასე გადიოდა დრო. კაცთა დღეებს წუთისოფელი ღეჭვა-ღეჭვით მიათრევდა და ჩვენც,ფეხდაფეხ მივდევდით დროთა ულმობელ,აჩქარებულ რიტმს...

მე-ვიზრდებოდი, ის-ბერდებოდა... სიბერეში კიდევ უფრო ჩაიკეტა.ამიტომ მისი მიწიერი ყოფა თითქმის აღარავის ახსოვდა, ყველას დავიწყებული ჰქონდა.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს,როცა ყველაფერი ზღაპრულ,მშვენიერ,ჯადოსნურ სამოსში იყო გამოწყობილი; როცა სამყარო გაზაფხულის ჯადოსნური ფუნჯის ჯადოქრობით ზეიმობდა,მეზობლები შეკრებილიყვნენ.მიზეზი აუტანელი, მძაფრი სუნი იყო... იდგნენ და ბჭობდნენ,თუ საიდან შეიძლება მოდიოდეს ეს აუტანელი სუნი... ერთ-ერთ მეზობელს აზრად მოუვიდა,რომ კვირაზე მეტია მარტო,ეული კაცი არ მინახავს და ხომ არაფერი მოუვიდაო.სხვებიც ჩაფიქრდნენ და მათაც ვერ გაიხსენეს,მისი ბოლოდროინდელი შემჩნევა...

გადაწყდა, ერთობლივად შესულიყვნენ და ენახათ მოხუცი. და აი, ნელი ნაბიჯით გასწიეს მოხუცის სახლისაკენ. სახლს რაც უახლოვდებოდნენ, სუნი უფრო მძაფრდებოდა. მეზობლები უკვე ხვდებოდნენ ამ აუტანელი სუნის მიზეზს...

შევიდნენ სახლში და გაოცებისაგან სახტად დარჩნენ.მოხუცი დაჩოქილი,ლოცვის დროს გარდაცვლილიყო... უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი ჩანდა,რადგან სხეულს ხრწნა ჰქონდა დაწყებული. სახლი კი სავსე იყო უნიკალური ხელით ნაკეთი (ხეზე, ლითონზე) ხატებით, ასევე ტილოზე...

აი,მაშინ მივხვდით მის უსიტყვო, უჩინარ ქმედებას... სიცოცხლეშივე უფლისთვის თავშეწირული,ახლაც დაჩოქილი, ლოცვის დროს გაუყვანია უფალს თავისთან...

ეს იყო

შეუმჩნეველი სალოსი, რომელსაც არ სურდა ამქვეყნიური ბედნიერება, ქება-დიდება არავისგან, რომ ღვთიური მადლი ხიბლში არ გადასვლოდა...

აი, ნიმუში რწმენისა, ღვთის სიყვარულისა...

ის სახლი დღესაც დგას, ოღონდ არა ეული და პატრონივით მარტოსული, არამედ გაჭირვებულთა და ბერთა სავანე... პატრონივით მდუმარე, უტყვი, უთქმელი და ღვთის მადლის მკეთებელი...

ცისანა გვრიტიშვილი

ნაიარევი გული

(ნოველა)

დღის სინათლე ფარდებით ჩაბნელებულ ოთახში მალულად ომზი – რჩებოდა. ჰაერი წამლის სუნით იყო გაჯერებული. კედელთან მიდგმულ საწოლზე გაუპარსავი და მოუვლელი მამაკაცი იწვა. ოთახის სიმყუდროვეს მხოლოდ საათის მონოტონური წიკწიკი არღვევდა. აი, დაიწკრიალა საათმა და ავადმყოფიც შეიმუშავა.,,წამლის დალევის დროა" – გაიფიქრა. მან ჯერ ექიმის დატოვილ ფურ ცელს დახედა, შემდეგ საათს და გაჭირვებით წამოჯდა საწოლზე.საათის ღილაკს ხელი დააჭირა და ზარი გათიშა.ნახევრად ცარიელი გრაფინიდან ფინჯანში წყალი გადმოასხა. ჯერ პირი გაისველა მერე ერთი აბი წამალი ჩაიდო პირში დაფინჯანში დარჩენილი წყალი მიაყოლა.აბი დიდი მოეჩვენა და გაჭირვებით გადაყლაპა. ცოტა ხანი იჯდა საწოლზე მილულული თვალებით.წამალმა თავის საქმე გააკეთა.დაბინული თვალები გადაეწმინ და და ნელ-ნელა წამოდგა. ტაატით გაზქურასთან მივიდა და ასადუღებლად ჩაიდანი დადგა.გაიფიქრა, ახლა ჩაის დავლევ და გამხმარ ფუთუშასაც შიგ ჩავასველებ. ხვალ კი ნელ-ნელა მივალ ჯიხურთან დამორჩენილი პენსიის ფულით ორცხობილას ვიყი დი. კოლოფში ათი ნაჭერი ორცხობილა დევს.სამი დღე მეყოფა და მერე კი ფოსტალიონი მომდევნო თვის პენსიას მომაშველებს.

ამ ფიქრებით მიუახლოვდა მუხის ხის დიდ მაგიდას, სადაც იდო საპურე გამხმარი ფუნთუშით და ნახევრად ცარიელი ფაიფურის სამარილე. სკამზე ჩამოჯდა.ლოგინიდან გამოყოლილმა ფიქრების ორომტრიალმა წარსულისკენ გააქანა.

,,...ხედავს ხალხით სავსე მაგიდას.სუფრის თავში ზის მისი ბავშვობის მეგობარი თამაზი და სიტყვა კაზმული სადღეგრძელოებით თავს იწონებს. აქებს ოჯახის უფროსს და დიასახლისს გემრიელი კერძებისთვის... მას შემდეგ ათი წელი გავიდა. უბედურების ათვლის წლებს კედელზე მიკრული კალენდარი ახსენებს. ჯერ ერთადერთი პატარა ვაჟის და შემდეგ მეუღლის გარდაცვალება... მწუხარების შემდეგ გონებადაკარგული გიორგი საავადმყოფოში გადაიყვანეს. გაუკეთდა გულზე გადაუდებელი ოპერაცია. სიკვდილს,,ბეწვზე" გადაურჩა. მას შემდეგ შეუძლებელი იყო მისთვის ქარხანაში მუშაობა.დაჯდა სახლში მარტოსული ინვალიდობის პენსიით..."

ჩაიდანი თავგამეტებით დუღდა. გიორგი ადგა,წელში ძლივს გაიმართა და გაზქურა ჩააქრო. ხელის კანკალით ჩაიდანიდან ფინჯანში ჩაი დაისხა და უკანასკნელი ულუფით შენაყრდა. მერე ფურცლიდან კალენდარს წინა დღის ფურცელი მოახია და...25 აპრილი...შვილის დაბადების დღე.ავადმყოფი გული შეუფთხრიალდა.ატირებისგან თავი ძლივს შეიკავა დამაგიდაზე დადებულ უბის წიგნაკი მისწვდა. ცუდად გახდომის შიშით დიდი ხნის უნახავ ნაცნობებთან დალაპარაკება მოუნდა.

ხელისკანკალით ტელეფონის ციფერბლატზე აკრიფა ნომერი...გისმენთ- მოისმა ქალის ხმა.

– თამაზის სთხოვეთ,- უთხრა მორიდებით გიორგიმ.

– ახლავე..თქვა ქალმა და ყურმილი გვერდზე გადადო.

გიორგი მოუთმენლად ელოდა ბავშვობის მეგობრის ხმის გაგონ ებას.მარტოობით დაღლილი გული თანაგრძნობის მოლოდინში იყო...ლოდინი გაგრძელდა.

ყურმილის მეორე მხრიდან გიორგიმ გარკვევით გაიგო ცოლ-ქმრის საუბარი.

– გიორგი არის, შენ გიკითხა.

– მიკითხოს და მელოდოს-უპასუხა უდიერად თამაზმა.

– სირცხვილია, გელოდება, მიდი ერთი-ორი სიტყვა უთხარი, – არ ეშვებოდა ქალი.

– წადი, თავი დამანებე .უთხარი სახლში არ არის-თქო.

– თამაზ, როგორ უთხრა ტყუილი, როცა უთხარი რომ დაგიძახებდი.

ქალი ცდილობდა თამაზის შეგონებას, რომ ტელეფონამდე მიეყვანა.

გიორგიმ ცივად დადო ყურმილი და მათი საუბარი აღარ მოუსმენია.

უბედურებითა და ოპერაციით ნაიარევმა გულმა კიდევ ერთი დარტყმა მიიღო.

უიმედობით და მარტოობით დატანჯულმა გიორგიმ ბარბაცით მიაღწია საწოლამდე და მიწვა.

ნუთუ არ გამოჩნდებაახლობლებში ღვთისნიერი ადამიანი, რომ გიორგის უღიმღამო დღეები გაუსხვაფეროს.მხოლოდ თბილი სიტყვით ასაზრდოოს, რადგან მას არაფერი უნდა.ის ერთი ორცხობილას ნატეხითაც კმაყოფილია.

მაია ტყემალაძე

ქ ე თ ე ვ ა ნ. . .
(მოთხრობა)

– ბებო, ჩემო ბებიკონა, კიდევ ერთხელ მითხარი, რა, გთხოვ, ყველაზე მეტად გოგონას რომელი სახელი მოგწონს?

– რომელი და, მარიამი!

– კიდევ?

– კიდევ – ნინო!

– კიდევ?

– კიდევ – შუშანიკი!

– აბა, კიდევ?

– თამარი, სოფიო, ნანა, ანა, ეკატერინე!

– აბა, გაიხსენე, სულ, სულ ძალიან, კიდევ რომელი მოგწონს?

– ჩემო ცრემლისტოლა, ჩემო ერთო-ფინჩხა კუდრაჭელა, სულ, სულ ძალიან ქეთევანი მომწონს, შენი სახელი!

– უჰ, მე მეგონა, დაგავიწყდა, აღარ იტყოდი! – ღრმად ამოისუნთქებს ათი წლის ქეთევანი და სახე სიამოვნებით ებადრება.

– შე ნემსწვერა-მეტიჩარა, ქეთევანს რა დამავიწყებს, ეგ რამ გაფიქრებინა?

– ჰო-და, რომ არ ვიფიქრო, მომიყევი, რა, ქეთევან დედოფალზე, გთხოვ, კიდევ მომიყევი!

– გოგო, ნუ გადამრევ აწი. ამ დილაუთენია ლოგინში რო ჩამიგორდა და მომაყოლა, ნეტავი, ის ვინ იყო?!

– მგონი – მე! ოღონდ კიდევ მინდა, რა, თუ ჩემი ლამაზი ბებიკო ხარ. დილით ცოტა იყო, ბევრი მომიყევი, შენ რომ იცი, ისე ტკბილად, გთხოვ! – თითებით ყელს წინ გამოიწევს და საყვარლედ ემუდარება ჰაერივით უწონო, სიფრიფანა გოგონა.

– კარგი, შენ ხომ ადამიანს არ ამოასუნთქებ, ონავარო! – ვითომ ბრაზობს ბებია და უამრავჯერ ნაამბობს ისევ სიამოვნებით იწყებს:

ქეთევანი რომ დაიბადა, იმ ღამით მზე არ ჩასულა, მთელი ღამე ანათებდაო ქვეყნიერებას თურმე. მეორე ღამესაც არ ჩასულა მზე, არც მესამე ღამეს. მერე ამბობდნენ, ისეთი მზისდარი გოგონა, ისეთი ქეთევანი დაიბადა, ისაა, ღამით მზესავით რომ კაშკაშებსო.

– მართლა? ადამიანებს მზესავით კაშკაში შეუძლიათ?! – ნიკაპს ხელისგულზე ჩამოაყრდნობს და სიყვარულით შეაცქერდება ბებია ქეთევანს პატარა ქეთევანი.

– დიდებული ადამიანები ანათებენ ქვეყანას, ჩემო სანუკვარო, თორემ ისე მზესაც ხიბლი დაეკარგება და მთვარესაც!

–მერე, მერე ბებო?

– ჰოდა, იზრდებოდა ქეთევანი. ღამით სურნელოვანი ვარდის ფურცლებით სავსე ბალიშზე, ვარდფურცელა კაბიან დედოფალასთან ერთად ეძინა, ვარდის საბანი ეხურა, სულ მუდამ ყვავილების, თაფლის, საკმევლის საამო სურნელი ასდიოდა.

აისი შემოანათებდა თუ არა, დ ი ლ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა ო, მშვიდობას უსურვებდა ქვეყნის მათბუნებული. შეჰღიმებდა დიდი მზე პაწაწინა მზე-ქეთევანს, სხივებს თითებივით შემოხვევდა და ხარობდნენ ორივენი. პატარაობიდანვე არამიწიერი სილამაზის იყო ნარნარი გოგონა. ლოცვა უყვარდა ძალიან, ლოცვა და წიგნი. დღისით ფარვანებთან თამაშობდა, ასაღამურებულს, ციცინათელები მიაკითხავდნენ, გრძელ ნაწნავებზე, ლამაზყვავილებიან კაბაზე

დაასხდებოდნენ და ირგვლივ ყველაფერი ციმციმებდა. დაძინებისას მთვარე ჩამოუჯდებოდა ხოლმე ვარდფუშფუშა საწოლთან და ზღაპრებს უამბობდა.

– ბე, რომ ამბობ, მთვარეო, განა ზღაპრებს დედა, ბებო არ უამბობდნენ?!

– როგორ არა! მთვარე მაშინ სტუმრობდა, დედას და ბებოს რომ ჩაეძინებოდათ.

ძალიან უყვარდა ღამის მნათობს სათნო, ზნეკეთილი ქეთევანი და იცი რას ეჩურჩულებოდა? დედამიწის ფერიაო, ქათქათა და კამკამაო, ვარდის სურნელებაო, უკვე გვიანია, ახლა მზის სიყვარულის ზღაპარს გიამბობ, ძილისპირულს გიმღერებ, მერე, შენებურად, უფალს შეავედრე, ძილის ანგელოზს შეავედრე თავი და ჩაიძინეო.

ღმერთს შენნაირი სათნოები, თან მამაცები ძალიან უყვარსო, ამასაც ეუბნებოდა ღამის მნათობი, ასეთებს ყოველთვის იცავსო!

– ბებიკო, მეც რომ სათნო და მამაცი ვიყო, ღმერთი დამიცავს?

– აბა, რა, ჩემო მორაკრაკე ნაკადულო, უფალი და შენი ანგელოზი მუდამ დაგიცავენ!

– ჰო, მამაცი ვიქნები, ღამით მინდორში, ტყეში მარტო ვივლი, არც ვეფხვის შემეშინდება, არც მგლის და დათვის.

– უი, შენ არ დამიწუხდი! მინდორში, ტყეში ღამით, თანაც მარტო, რა გინდა, გოგო?

–რა მინდა და ჩაძინებულ ყვავილებს, ჩიტუნიებს მოვეფერები, თუ გაეღვიძებათ, ქეთევან დედოფალზე ვუამბობ, კიდევ, ჩემი პაწაწინა დაიკო რომ დაიბადება, მასაც ენაჭიკჭიკობით ვუამბობ გმირობის ამბებს!

– ჰო, ბებო დაგენაცვლოს, ბებო შემოგევლოს, ჩემო ენაჭიკჭიკავ, წმიდა ქეთევანის ამბავი ცამ და მიწამ უნდა გაიგოს, ყვავილმა, ბალახმა და ჩიტებმაც უნდა იცოდეს, აბა, რა!

– ბე, ახლა ის მიამბე, გთხოვ, პაწაწინა ქეთევანი რომ ლოცულობდა...

– ჰო, პაწაწინა ქეთევანი ხატებთან რომ ლოცულობდა, გარეთ ყვავილები სიხარულით ნარნრებდნენ, ბულბულები, ტოროლები გალობას იწყებდნენ და სასწაული ხმები ეფრქვეოდა მიდამოს, ყვავილებიც გალობდნენ იმ დროს.

–ბებო, ბე, ქეთევანის აკვანზე რომ დაგვავიწყდა?!

–ო, ნუღარ მკითხავ! მოოქროვილი ყოფილა ქეთევანის აკვანი. ვაზის ჯვარი და პაწაწინა ანგელოზები იყოო მასზე ამოჩუქურთმებული, ყურძნის დახუნძლულ მტევნები და ოქროსფერი თავთუხებიც არ დავიწყებოდა ოქროსხელება ოსტატს. კიდევ, ისეთი ციცქნაფელა ჩიტუნიები დაეხატა, გეგონებოდა, სადაცაა ფრთებს ააფართქუნებენ და გაფრინდებიანო. ნაირფერი ყვავილებიც ირწეოდნენ თურმე იმ აკვანზე. თვალი ვერაფერს ნახევდაო მისებრ საამო სახილველს. ცხრა თვე ტკბილი ღიღინ-ღიღინით აჩუქურთმებდაო მზისგულა ოსტატი აკვანს და ქეთევანი რომ დაბადებულა, სწორედ იმ დღეს დაუსრულბია.

– იქნებ, პაწაწინა მზე-გოგონას ახლაც არწევენ იმ აკვანში? ნეტავი, მანახა, ბებო!

–უი, შენ არ გაქრი. რაღა დროის, ბებიკო? მას მერე უთვალავჯერ ააოხრეს საქართველო, აკვანი კი არა, ქვეყანა აქცეს მტვრად და ნაცრად!

– უჰ, რა ცუდია! კარგი, ბე, მაშინ, ახლა, პატარა ქეთევანის გათხოვებაზეც მიამბე, რა!

– ო! მართლა პატარა იყო ქეთევანი, სულ ნორჩი, ცამეტი, ჰა, ჰა, თოთხმეტი წლისა, აშოთან მუხრანბატონმა კახთა მეფეს, დავითს რომ მიათხოვა ცოლად.

– უჰ, რა ცუდია. ასე პატარა? ეგრე როგორ შეიძლება?! მე არ მივთხოვდებოდი!

– მეფეებს სხვანაირი კანონები ჰქონდათ, შვილო, მეფეები თავიანთ თავს არ ეკუთვნოდნენ და როგორც სამეფოსთვის იყო საჭირო, ესე იქცეოდნენ. ბატონიშვილები კი მეფეებს ემორჩილებოდნენ.

ძალიან უყვარდა დავით მეფეს მზისდარი ქეთევანი. ანდა, ვითომ, რად არ ეყვარებოდა, რა?! საერთოდ მკაცრი, თავნება მეფე, ულამაზეს, ნარნარ, პატარა ცოლს თავს ევლებოდა.

ქეთევანს გათხოვებისას ვარდფურცელა თოჯინა-დედოფალა თან წაუყვანია და ბავშვობანატრული ხანდახან ისევ ლოგინში იწვენდაო.

გავიდა დრო, მეფე-დედოფალს სამი შვილი, თეიმურაზი, ბაგრატი და ელენე შეეძინათ.

შვილებს სულ ეფერეოდა, ეფუთფუთებოდა დედოფალი, ცივ ნიავს არ აკარებდა, ლოცვას, წიგნის კითხვას აყვარებდა, გმირობის შესახებ უამბობდა.

პატარაობიდანვე გამორჩეულმა ქეთევანმა მიწიერი ბედნიერება ბავშვობაშივე დაასრულა. დავით მეფე მალე გარდაიცვალა და ოცდაექვსი, ჰა, ოცდაშვიდი წლის ულამაზესი დედოფალი დაქვრივდა.

–ბებიკო, ბე, ბერი ამბროსი დუჟუსი რას ამბობდა?

–რით ვერ დაიხსომე, გოგო? ამბროსი დუჟუსი კი არა, კათოლკე ბერი, ამბროსიო დუშ ანჟოსი გაოცებული იყო ქეთევანის სილამაზით, სათნოებით, ზეადამიანური მოთმინებით, სიბრძნე-გონიერებით და ამბობდა:,,პირმშვენიერი და დარბაისელი, არა მხოლოდ ერთი სამეფოს, არამედ მთელი იმპერიის მბრძანებლობის ღირსი იყოო.“

–უჰ, რა დიდებული ყოფილა. მე რომ იმ დროს მეცხოვრა, ქეთევან დედოფალი სულ ძალიან მეყვარებოდა, ყველგან წავყვებოდი, დიდ ხმალს ავიღებდი ხელში და დავცავდი!

მერე, მერე ბებო?

–მერე ქეთევანის გმირობამ, თავდადებამ მთელი სამყარო გააოცა. უჰ, რომ იცოდე, რამდენი რამე გადახდა, რამდენი რამეს გაუძლო, რამდენი ტანჯვა აიტანა!

– აი, ეგენიც მიამბე, რა, გთხოვ!

– ამ სისასტიკეების მოსასმენად ჯერ ძალიან პატარა ხარ, ჩემო შვლის ნუკრო!

– სულ არ მეუბნები, უკვე დიდი გოგო ხარო?! გთხოვ, გთხოვ, მომიყევი, რა! მასწავლებელი რომ იყავი, განა ბავშვებს ასე ცოტას უამბობდი?

– აბა, დიდი გოგო თუ ხარ, კარგად მომისმინე. უფრო დიდი რომ გაიზრდები, შენი სანუკვარი სამშობლოს ისტორია კარგად უნდა ისწავლო და მაშინ ძალიან ბევრ რამეს გაიგებ, ბებო, მიხვდები, რომ ეს ულამაზესი, ნატვრისთვალივით ქვეყანა ქეთევანმა და მისმა მსგავსმა გმირებმა გადაგვირჩინეს!

–ჰო, ბებიკო, კარგად ვისწავლი, ბევრს წავიკითხავ, ოღონდ ახლა კი დედოფლის წამების ამბავი მიამბე, რა, მიამბე!

– კარგი, ნაპერწკალა, კარგი, გიამბობ!

დედოფლის წამება!!!

ეეჰ, დაუნდობელი შაჰის ბრძანებით, სასტიკად აწამეს ირანში ტყვედ მყოფი ქეთევანი, რომელმაც მხეცის ცოლობაზე და გამაჰმადიანებაზე მტკიცე უარი განაცხადა. ჯერ უჩუმრად დაიტირა დედოფალმა ტყვეობაშივე მყოფი, შაჰის სისასტით სიკვდილისთვის გამეტებული უსაყვარლესი შვილიშვილები, ალექსანდრე და ლევანი, მერე მარხვა და ლოცვა გააძლიერა, ხის საწოლზე წვებოდა და დღედაღამ უფალს ავედრებდა სანუკვარ სამშობლოს. შაჰს კი მოსვენება დაუკარგა ბრძენმა ტყვემ. მისი მიბაძვით ირანში მყოფი ბევრი ქართველი არ ღალატობდა რწმენას. ჰო-და, არ დაახანა მხეცმა, სასტიკად აწამეს დედოფალი!

– ეგრე მოკლედ არა, ბებო, ოღონდ მომიყევი, როგორ აწამეს, სულ არ ვიტირებ, გპირდები!

– კარგი, ჩემო ნაპერწკალა, ოღონდ შენ დაწყნარდი და ყველაფერს გიამბობ.

შირაზში, სადაც ტყვე დედოფალი იმყოფებოდა, უდიდესი მოედანი იყო. ჰოდა, დილიდანვე გადაიჭედა ის ადგილი ხალხით. ყველანი რაღაც უცნაურის, არნახულის მოლოდინში იყვნენ.

მოედნის შუაგულში დიდი კოცონი გიზგიზებდა. ცას სწვდებოდა ცეცხლის ენები.

,,მოჰყავთ!!!“ სასოწარკვეთილი ხმით ვიღაცამ ქართულად დაიძახა.

,,მოჰყავთ!“ გრგვნვასავით განმეორდა ექო.

მოდიოდა მხრებში გამართული, შავით მოსილი, თავდახრილი დედოფალი. მოდიოდა უშიშრად. მკერდში, ჯვართან ერთად, პაწაწინა ქისაკში ჩაყრილი ქართულა მიწა ჩაეხუტებინა. ათი წლით უნახავი სამშობლოს უსაზღვრო მონატრება იყო იმ მიწაში. დედოფალს სიფრიფანა მხრებზე შეედგა ქრისტეს სჯულით გაბრწყინებული, სანუკვარი საქართველო. სულაც არ უჭირდა ამოდენა ტვირთის ზიდვა, რადგან უფლისეული ძალა მისცემოდა. მსუბუქ საუნჯედ ქცეულიყო მისთვის დედასამშობლო და არად დაგიდევდათ არანაირ ტანჯვას. თავზე, მბრწყინავ გვირგვინად, რწმენა ედგა და მგლოვისფერი სამოსის მიუხედავად, მოანათებდა დედოფალი.

მისი სიდიადის, კდემამოსილების ხილვით, და რაღაც შემზარავის მოლოდინით, მოედანზე მყოფებს ხმამაღლა აღმოხდათ გმინვა.

–ღმერთო! -გაისმა აღტაცებული ხმა და ქეთევანის ფერხთა წინ ულამაზესი თეთრი ვარდი დავარდა.

დედოფალი კი არა, ფეხადგმული მზე მოდიოდა. მის ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებდა. ამის შემყურე ქართველები სიამაყის გრძნობით ივსებოდნენ. ჯალათები კი ბინძურ კბილებს ილესავდნენ.

– უჰ, უჰ, იქ რომ ვყოფილიყავი წინ ავეფარებოდი დედოფალს, იქამდე არავის მიუშვებდი, ან ცხენით გავიტაცებდი, სამშობლოსკენ გამოვაქანებდი და იმ დაღრეჯილ, ქოსატყუილა ჯალათებს ხახამშრალს დავტოვებდი!–შესცქერის ბებოს პაწაწინა ქეთევანი და მოზღვავებული ცრემლების დამალვას ცდილობს.

ბებია კი ვეღარაფერს ამჩნევს, უკვე გარდასულ საუკუნეშია და მგზნებარებით განაგრძობს:

ზეციური შარავანდედით მოსილი დ ე დ ო ფ ა ლ ი შეუდრეკლად იდგა ურცხვი, ბოროტი მტრების წინაშე. უჩუმრად ღიმილმჩენ სახეზე საოცარი ნათელი დასდგომოდა.

მხეცებზე უარესი ჯალათებიც კი შეკრთნენ წამიერად ფაქიზი ქალის სიდიადის ხილვით, მაგრამ, მხოლოდ წამიერად.

საბოლოოდაც დასცინეს. ჰკითხეს მანათობელს, უკანასკნელი ნატვრა რა გექნებაო?

პირჯვარი გადაისახა დედოფალმა. გრძელი წამწამები ჯერ ზეცისკენ აღაპყრო, მერე თვალები დაბლა დახარა და ჩუმად აღმოთქვა, თქვენც ხომ დედის ნაშობები ხართ, როგორც გსურთ, ისე მტანჯეთ, მაწამეთ, ოღონდ, ნუ გამაშიშვლებთო.

ეგ არ არისო ძნელი, უტიფრად ჩაეცინათ მხეცებს და...

სამოსი შემოაფლითეს უხამსებმა. მხოლოდ მაშინ შეცბა დედოფალი სირცხვილით, სიწითლე მოერია გაფითრებულ სახეს. ესღა მოახერხა, თმა ჩამოიშალა მკერდზე. ულამაზესად ჩამოეფინა შიშველ, ბროლივით სხეულს გრძელი თმა. იქვე საოცრება მოხდა, შემოდგომის ქარი აბობოქრდა, უამრავი ფოთოლი ჩამოყარა და მლოცველს ქათქათა სხეულზე შემოაფინა. ჯერ შეშინდნენ, გაოგნდნენ ჯალათები, მერე კიდევ უფრო გამძვინვარდნენ. გახურებული შანთები აძგერეს დედოფალს, ცეცხლი გააძლიერეს. ფეხებიდან ჰაყვა დაკლაკნილი ალი სხეულს და ვიდრე უნატიფეს თითებს არ მოედო, სიშიშვლის დაფარვას ცდილობდა ქალი. გედივით ყელზე გველებივით შემოეკლაკნა ცეცხლის ენები. არნახული სისასტიკით გაოგნებული ადამიანები შეძრწუნდნენ. საოცრება ხდებოდა, დედოფალი მაინც უდრეკად იყო. მისი ბაგეებიდან უჩუმრად გამოკრთოდა უტკბილესად წარმოთქმული სიტყვები: იესო, სამშობლო, შვილები!

იწვოდა ფრესკასავით ლამაზი, ფრესკასავით მშვიდი დედოფალი. მარწუხებით აგლეჯდნენ მკერდს, გავარვარებული რკინებით უდაღავდნენ სხეულს.

დაიფერფლა მკერდზე მიკრული პაწაწინა ქისაკი. დაშანთულ სხეულს თოვლის ციდა ფიფქებივით დაადნა მშობლიური მიწა და ხედავდა ნაწამები დედოფალი, როგორ გადაიქცნენ ცეცხლის ნაპერწკლები ციცინათელებად, ფარვანებად, როგორ დაფარფატებდნენ მის გარშემო, როგორ დაჰნათოდა სამშობლოს მზე. ვით ბავშვობაში, მთვარე მზის სიყვარულის ამბავს უამბობდა, დედამიწის ფერიაო, კამკამა და ქათქათაო, შენნაირ მამაცებს და მორცხვებს ყოვლისშემძლე უფალი მუდამ დაიცავსო. ხედავდა ქეთევანი გაბრწყინებული იესოს ღიმილიან, გამამხნევებელ სახეს და ვეღარ გრძნობდა ტკივილს.

ბებია ქეთევანის კალთაში ჩაედო თავი პატარა ქეთევანს და გულამომსკდარი ქვითინებდა. სულ დასველებოდა კაბის კალთა ქალს.

შეკრთა, გამოფხიზლდა.

რატო ბებო არ მოგიკვდებაო! – მკერდში ჩაიხუტა აქვითინებული ბავშვი.

კარგა ხანს იყვნენ ასე. ერთმანეთის გულების გახშირებული სუნთქვა ესმოდათ.

მერე პაწაწინას დამშვიდებას შეეცადა ქალი. ზეცაში აფრინდაო დედოფალი, სულ არაფერი სტკიოდაო, ვარდფურცელა დედოფალაც თან წაიყვანა და ახლა მზედ გვინათებსო ცისიერი სამყაროდან.

თმას, სახეს უკოცნიდა ბებია ნამტირალევ შვილიშვილს, რომ, ამ დროს, სასოწარკვეთილი ხმები შემოესმათ.

ერთმანეთს ჩახუტებულებს ისედაც დამძიმებული გულები გაეყინათ. წამიერად გაირინდნენ. მერე ორივემ კარგად დაინახა შორიახლოს მცხოვრები მეზობლის სახლიან ამოსული სქელი კვამლი.

მიშველეთ! გვიშველეთ!!! – ჰაერს კვეთდა განწირული კივილი, შემაძრწუნებელი ხმები ჰაერში იკლაკნებოდა.

ბებოს კალთაში მჯდომმა სუნთქვაშეკრულმა მიაყურადა.

,,გიშველით!“ –დაიძახა უცებ და ელვისუსწრაფესად წამოტა, უკანმოუხედავად იქით მოკურცხლა, საითაც მშველელს უხმობდნენ.

მთელი სხეული აუცახცახდა ბებია ქეთევანს, არ დამღუპოსო, სიგიჟე არაფერი ჩაიდინოსო.

გოგონა კი მთელი სისწრაფით გარბოდა.

ქეთევან! ქეთევან! ქეთევან! – თან მისდევდა შეშფოთებული ხმა.

მალევე მიაღწია მეზობლის სახლამდე. იქ კი საშინელი ამბის მოწმე გახდა.

მაღაზიაში ნაუცბათევად გასულ დედას პაწაწინა ჩვილი მძინარე დაეტოვებინა. კარიც ნაჩქარევად გამოეხურა, გასაღები კი შიგ ჩარჩენოდა. უკანდაბრუნებულს რკინის კარი ვეღარაფრით გაეღო. შიგნით კი ხანძარი გაჩენილიყო.

გაზაფხულის გრილ საღამოს მამაკაცები სამუშაოდ გაკრეფილიყვნენ. მომკივანი ქალები, ბავშვები და რამდენიმე მოხუცი ვერაფერს ახერხებდა. ჩაკეტილ კარს მთელი ძალით ეჯაჯგურებდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ.

სახეს იხოკავდა, თმას იგლეჯდა გამწარებული დედა. ვიღაც სასწრაფოში რეკავდა, ვიღაც წყლის მოტანას, სახანძრო მანქანის გამოძახებას ითხოვდა. შიგნით კი ცეცხლი ძლიერდებოდა.

ყველაფერი უცებ ხდებოდა.

ქეთევანის პაწაწინა გული გმირობისთვის აგიზგიზდა. მაღალ ფანჯრებს ვერაფრით მისწვდებოდა. მხოლოდ ერთადერთი, სულ პატარა, ღია დარჩენილი სარკმელი იყო დაბლა.

იმედად ჩანდა ეს სარკმელი. ქეთევანმა არ დააყოვნა. ონკანთან მდგარ ცარიელ კასრს მკვირცხლად დაეძგერა, მომკივანი ქალები დაიხმარა, ხის კასრი სარკმელთან მიაგორებინა. ჯერ მასზე ტანმჩატედ, კატასავით აბობღდა, კედელზე მარჯვედ აპორჭიკდა და სარკმლის ჩარჩოს მოეჭიდა, მერე შიგ ადვილად გადაძვრა და დაბლაც მსუბუქად ჩახტა. უცებ ყველას სუნთქვა შეეკრა, წამიერად სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა და სწორედ ამ დროის გაისმა გამოღვიძებული ჩვილის უსასოო ტირილი.

გოდება-განგაშმა ახალი ძალით იფეთქა.

ქეთევანი ჩვილის ტირილის ხმას სწრაფად მიჰყვა.

–ნუ გეშინია, პაწაწინა, გადაგარჩენ! იმეორებდა ხმამაღლა. თითქოს რაღაცას ეთამაშებაო, საერთოდ გაქრობოდა შიში. ვიდრე ხანძარი ჩვილის ოთახამდე შეაღწევდა, უნდა ემარჯვა. აჩქარდა. მალევე მივიდა პატარას საწოლთან. ტირილისაგან გაწითლებულიყო სახვევებში შეფუთული ჩვილი. ჯერ ფრთხილად უნდოდა ხელში აყვანა. გაუჭირდა. მერე მთელი ძალა მოიკრიბა, ძლიერად ჩაბღუჯა ხელები. აყვანა შეძლო. გულში ჩაიხუტა ბავშვი და კარისკენ გაეშურა. გასაღებს მისწვდა. გაღება სცადა. ვერაფრით შეძლო. ჯიუტად ჩაჭედილიყო გასაღები.

დავიწვებით!!! გაუელვა გულში და პაწაწინა ლამის ხელიდან გაუვარდა.

– აქეთ, ქეთევან, აქეთ!!! სწორედ ამ დროს მოესმა ხმა პატარა სარკმლიდან. გამხნევდა, ძალა მოემატა და იქით გაეშურა. გარედან არ გაჭირვებია დაბლა ჩახტომა, მაგრამ ახლა რაღა უნდა ექნა, ვერ გაეგო. გამწარებულმა მალევე მოიფიქრა. ჩვილი დაბლა დააწვინა. იქვე მდგარი მაგიდა სარკმელთან ყოჩაღად მიახოხა. მტირალი ბავშვი ზედ დასვა, თავადაც უცებ ახტა და პაწაწინა აიყვანა. დაინახა, ვიღაცის გრძელი ხელები გადმოეწვდინა სარკმელიდან. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, აიჭლინკა ფეხის წვერებზე, აიწია. გადმოწვდენილი, გრძელი ხლები შეეეშველა და...

გულში ჩაეხუტებინა ჩვილი. სიხარულის ცრემლები ნაკადულივით ეღვრებოდა ბედნიერ დედას. პაწაწნა ქეთევანი წრეში მოექცია აღტაცებულ, საოცარი ამბით გაოგნებულ, აღფრთოვანებულ მეზობლებს. ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ეფერებოდნენ.

მამაკაცებსაც გაეგოთ ამბავი და ხანძარმოკიდებული სახლისკენ გამორბოდნენ. მაღალი გორიდან სახანძრო მანქანა გადმომდგარიყო.

სიცილ-ტირილი ერთმანეთში ირეოდა, რომ ამ დროს ისევ მოისმა განწირული, შემაშფოთებული ყვირილი:

ქეთევან! ქეევან! ქეთევან!!!

იქ მყოფებმა დაინახეს, ორშარაში როგორ გამორბოდა მთელი სოფლისათვის უსაყვარლესი ქეთევან მასწავლებელი, ქალი, რომელიც, ავტოკატასტროფის შემდეგ, ხუთი წელი ინვალიდის ეტლს იყო მიჯაჭვული.

ჰო, გამორბოდა და შეძრწუნებული ყვიროდა:

ქეთევან! ქეთევან! ქეთევან!!!

ჰუბლიკა

გულნაზ ხარიშვილი (ცისკარელი)

უნდა გესაუბრო წმინდა ნინოვ

როცა ლექსში ვერ იტყვი სათქმელს, არსებობს მეორე გზა ისაუბრე ქართულად წმინდა ხატებთან. ქართული ენა იმდენად ლამაზია ყველა სიტყვა მზის სხივივით ბრწყინავს. ქართული სიტყვა დილის ნამზე გაბრწყინებული ცვარია. გაზაფხულის ყოჩივარდებია. როცა სათქმელი მომეძელაბა წმინდა გიორგის, დედაღვთისმშობლის და წმინდა ნინოს ხატებთან ვსაუბრობ. ვმშვიდდები, ვივსები და იმედის სამოსელით ვიმოსები.

ამჟამად კი წმინდა ნინოს ხატთან საუბარი მომინდა. ეკლესიურად ასეა, არ უნდა განიკითხო,,,მიანდე უფალსა". ჰოდა, წმინდა ნინოს მადლო და ძალავ, არ განვიკითხავ არავის. მხოლოდ შენ ხედავ, რას ვაკეთებ და რატომ ვაკეთებ. მამა გაბრიელმა დარდის შემდეგ, სულის სიმშვიდისთვის პოეზიის ენა მასწავლა. ვწერ ლექსებს. ჩემი ლექსებში ადამიანი ყინვის დროს გათბება. სიცხის დროს ჩრდილში ჩამოისვენებს და წყურვილის დროს კი ერთ პეშვს მაინც შესვამს, მერე კი სიმშვიდის წვიმაში მოხვედრილს ქოლგად გაეშლება სტროფები, გულდასერილი კვლავ სიცოცხლის ბილიკებს აედევნება. დაბადებიდან დღემდე ჩემი სიცოცხლის წლებს ჯაფითა და შრომით ხელებზე მაზოლები გაუჩნდა. მაინც სხვისი ტკივილი მტკივა და სხვისი სიხარული მასაზრდოვებს.

ასეთი დედა ვარ მე გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

როცა გჯერა და გწამს

მთელი დღე დავიხარჯეთ აკადემიის სხვადასხვა საკითხების განხილვით და სამომავლო გეგმაზე საუბარით. ძალიან ადრე წავიდა უკეთილშობილესი სვანის ქალბატონი მზია გირგვლიანი რომელსაც ეჩქარებოდა. მზია გირგვლიანმა თავის მორთმეულ წითელ ვარდებთან ერთად გულის სითბოც დაგვიტოვა. სოხუმის უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, ქალბატონმა ლუარა სორდიამ კი გაიხსენა განვლილი წლები. გაიხსენა ბატონი ჯუმბერ ლეჟავას თავდაბლობით ამაღლებული სული. ისაუბრა მოგზაურის 3333 დღიურის ღირებულებებზე. სურვილი გამოთქვა მეცნიერულად დამუშავებულ დღიურები რომ, ცალკე წიგნად უნდა გამოუშვაო. რათქმა უნდა ამ იდეამ ძალიან გამახარა. ბატონი ჯუმბერი თავის დღიურებს არავის არ ანდობდა. ერთად – ერთი ქალ-

ბატონია ლუარა სორდია რომელმაც, ბატონი ჯუმბერის ნდობა დაიმსახურა და რამოდენიმე დღიური მეცნიერულად განიხილა. რასაც ეცნობოდა პროფესორი ქალბატონი ყველა დღიურს ისევ უკან აბრუნებდა. განხილული მასალები დაბეჭდილია ანთოლოგიის მერვე ტომში. ერთი დღიური შემოგვრჩა აკადემიაში მისი გარდაცვალების მიზეზით. დღიური საგანგებოდ დაცულია აკადემიაში. სამუშაომ და სამომავლო გეგმაზე საუბარმა დიდი დრო წაგვართვა. გვიან დავიშალეთ. ქალბატონმა ნორამ მეტროთი წასვლა გადაწყვიტა. ჩვენმა ბულბულმა ლია ალადაშვილმა ჩემთან ერთად წამოსვლის სურვილი გამოთქვა. მაისის თვის ამინდის ცვალებადობით შეწუხებულს იმ დღის მზის სხივების სითბო მესიამოვნა და დედაოსთან წასვლის სურვილი გამიჩნდა. ჩემი ფიქრი ლიას და შვილივით საყვარელ გიორგის (მძღოლს) გავანდე. ორივემ სიხარულის ემოცია არ დამალეს და წასვლა ერთხმად გადავწყვიტეთ. ფანდურიც აქ მაქვს ჩაილაპარაკა ლიამ, დედაოს ვუმღერებო. – ნორა რომ წავიდა სახლში? წამოვიძახე ინსტიქტურად და ტელეფონის ნომერი ავკრიფე. გისმენ დე გულნაზ. მშვიდი ხმით გამაგონა საყვარელმა ქალბატონმა რომელიც, თავისი ინტელექტით მართლაც და გამორჩეული არის. – ნორიკო მეტროში ხარ? – არა ახლა შევდივარ – ყურმილში ჩამესმა მშვიდი ხმა. – ვარკეთილის მეტროში ამოდი და იქ დაგველოდე – რატომ? რაშია საქმე? ხომ მშვიდობაა დე გულნაზ? – კი მშვიდობაა. – დედა იოანას დაბადების დღე უნდა მიუვულოცოთ. დედაოს ნახვის სურვილი ისე მეწვია, როგორც პოეტებს ზეციდან მუზა რომ, მოუკაკუნებს ხოლმე ყურის ძირში. ვარკეთილის მეტროსთან ნორიკო დაგვხვდა და მივედით დედაოს სადარბაზოსთან რომელიც, დაკეტილი დაგვხვდა. პირველი სართულის ფანჯარა გაიღო და შუა ხნის მამაკაცი შეგვეხმიანა. ვისთან მიდიხართ? დედაოსთან გავეცი პასუხი და თან მეშვიდე სართულის ღია ფანჯარას შევხედე. სარეცხი თოკზე ირა ონიანი (დედაოს ძმიშვილი), გაქათქათებულ თეთრეულს ფინავდა. სიყვარულის ჟრუანტელმა დამიარა მთელს სხეულში. გამახსენდა წარსული მე და დარიკო ახლა უკვე დედა იოანა რომ, ვსაუბრობდით და ირა კუპტარს გვიცხობდა. ირას დედას ვეძახდით. ისიც ლამაზი ღიმილითი და სვანური იუმორით გვანებივრებდა. კარგი ქალბატონები არიან, გამომარკვია უცნობი მამაკაცის ხმამ და თან სადარბაზოს კარები გააღო. ლიფტი უფასოა ჩაილაპარაკა და თვითონ სახლში შებრუნდა. კარებში ირა შეგვეგება თავისი ჩვეული ლამაზი ღიმილით. ოთახში შევედი მზია გირგვლიანის მორთმეული წითელი ვარდებით. მოწესრიგებულ ოთახში სამარისებური სიჩუმე სიხარულის მზის სხივებმა ააცეკვა. ჩვენ-ჩვენი ადგილები დავიკავეთ. ზის დედაო კრესლოში მონაზვნის ტანსაცმელ შემოსილი. სუფრის გაშლაზე უარი ვთქვით რადგან, უკვე ღამდებოდა. მზემ თავისი სხივები კალთაში აიკრიფა. სამაგიეროდ თბილი და მადლიანი ოჯახის სითბომ ისე მოგვხიბლა წამოსვლა აღარც გვინდოდა. სულ რაღაც ნახევარ საათში, წარსულიც გავიხსენეთ და იმ დღის ლოცვითაც დაგმოძღვრა დედაომ. ლიამ სიმღერით დაატკბო ოჯახი და ლოცვის მადლით მჯერა ჩემსავით სიმშვდის ძილით გაათენებდნენ ჩემი მიყვანილი ქალბატონები ნორიკო და ლია!

დღეს სამოცდაოთხის გახდი

იმიტომ არავის განვიკითხავ, რომ სულს არ დაგიმძიმებ. მსოფლიოს გეგმის ნაწილის მსხვერპლი ხარ. კოვიდი გახდა შენი გარდაცვალების მიზეზი ძმაო. ძმების არმია ხართ ცაში. ერთი წლის იუზი. ოცდაათი წლის ბეჟანი. სამოცდაორი წლის ლევანი, სამოცდაათი წლის თამაზი და სამოცდაორი წლის შენ. რა მდიდარი ვიყავი თქვენ რომ მყავდით. აღარ გავაგრძელებ წუწუნს და გილოცავ დაბადების დღეს. ჩემზე რვა წლით პატარა ძმაო ამირან. შენ გაზრდაში მონაწილეობა ბევრჯერ მიმიღია. აკვანშიც დამიწვენიხარ და ზურგითაც მიტარებიხარ. ძმების დიდი ბრიგადა ხართ ცაში.

შენი არყოფნის, ფიქრს გაურბივარ,
ძირულის პირზე დაგეძებ ისევ,
ასეთი გამძლე ნეტავი ვინ ვარ,
ბედი, რომ გულმკერდს მიწვავს და მისერს.

დედაც მად გყავს და მამაც ძამიკო,
დათა ბიჭი და გელა გიჟმაჟი,
ამ ბედისწერის მტერიც არ იყოს,
ჩემთვის დილაა სევდის მირაჟი.

ახლა ღამის ორი საათია. შენი ცოლი ელზა გილოცაცდა დაბადების დღეს იმერში. ელზა მაშინ დატოვე, როცა ერთმანეთს ძალიან ჭირდებიდით. ნათელში იყავი ძმაო. გვარის გამრგძელებელიც გყავს და დამტირებელიც. შენი ვაჟკაცი ტარიელი და ულამაზესი გვანცა. რძალი, სიძე და შვილიშვილები. დალოცე ყველა. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, გეტყვი. დღე და ღამე იმას ვდიქრობ, რა მოვასწრო ამ დროებით წუთისოფელში. რა შევქმნა, რა გავაკეთო. ვცდილობ, თქვნს მაგიერი კეთილი კვალიც დავაჩნიო ადამიანთა გულებს ჩემო დედმამიშვილებო.

ძმაო

ამირან ხარაიშვილი

აღდომას გილოცავ ძამიკო,
ჩემზე პატარა და ძლიერო...
ნახავდი დედას და მამიკოს,
მითხარი თუ ბედნიერობ.
ამირან, ლევანი, ბეჟანი,
თამაზი, იუზა, ვახტანგი,
არავინ იყავით ბეჩავი,
არავინ იყავით ნატანჯი.
დათა და გელა თუ ნახე,
ძირულის ტალღებში გაზრდილნი,
ძმაო, შენებურად შესძახე,
უთხარი, ცრემლით ვარ დაღლილი,
შვილივით გაგზარდე გასწავლე,
ენა და ბაჩიბუჩები,
მივსტირი იმ, ამაგს ნაწვალებს,
და ჩემს ბედს, კვლავ, ვეურჩები.
ზეცში წახვედით, დაწყვილდით...
ვიტირო? ვის ესმის, გოდება,
მადლს ვთესავ, არავის დავწყევლი,
იციცხლონ, მტერიც ნუ მოკვდება!

ამირან ძმაო

(ვლოცავ ბექა ფიფიას, ბიძას სიყვარულის ძეგლი დაუდგ

ვლოცავ სუყველას, სხვა რაღა ვქნა, როგორ მოვიქცე...
როგორ გავუძლო ამ ტკივილებს, ჯვარცმულ ცხოვრებას
ვძალაობ ძმაო და არ მინდა ძირს რომ წავიქცე,
ეს ტკივილები, ყველა ერთად, გულში გროვდება.
ნასერ სხეულებს, ნატყვიარს და ნაგლეჯს სეტყვისაგან,
მევე მკურნალობ, სხვა პატრონი არცა მყოლია.
ზურგი აღარ მაქვს არც ქმარშვილით, აღარც ძმებისგან,
ნატყვიარი ვარ ...ცხოვრებაა, ჩემთვის ომია.
შენ მახარებდი, ნაბოლარავ, მაძლიერებდი...
შვილივით გზრდიდი, მე გასწავლე სიტყვის ტიტინი,
ვერ გაამაყე ძმაო ჩემი ბედნიერებით...
სხვის საიმედოდ, ამირანო, მაინც ვიცინი.
ბედისწერაა, ჩემი მკვლელი, სულის მხუთავი,
„ბექას“ კი მჯერა, გაახარებს ვიცი უფალი,
მან ჩემს ძამიკოს, უსაჩუქრა ძეგლი უკვდავი,
მართლაც ყოფილა, ძმაო შენი, ჭირისუფალი!

ეს დოესია, აფერუმ დოესელებო

ამ ღონისძიების წინა პირობაა, გასულ წელს მწერალთა კავშირში ჩატარებული ღონისძიება. ღონისძიება ჩატარდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის სამი წევრის, სამი პოეტის. გულიკო კაპანაძის, ეთერ ისაკაძისა და ლიანა ჯანეზაშვილ თათანაშვილის. დარბაზში იმ დღის ღონისძიების სამი პოეტის ოჯახის წევრები და პოეზიის თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. საღამო დალოცა მამა ამირან ამირანაშვილმა. საღამოს მსვლელობისას თვალწინ დამიდგა აკადემიის დაარსება და ჩატარებული საღამოები. აკადემიის ღონისძიებას ყოველთვის ლოცავდა მეუფე მირიან იორამაშვილი რომელიც, ამჟამად სიონში განისვენებს. თვალწინ დამიდგა თოთხმეტჯერ გინესის წიგნში შესული ჯუმბერ ლეჟავა. ეს ორი უფლის რჩეული პიროვნება ისე მოკრძალებულები იყვნენ ამის აღწერა ჩემი კალმის შესაძლებლობას აღემატება. ფიქრის ღრუბლები მზის სხივიმა გადასერა და დარბაზში შემოდის მამა ამირანივით მაღალი მამაო თავის მრევლთან ერთად.

საღამოს წამყვანის მოვალეობიდან გამომდინარე სათანადო ყურადღება ვერ მივაქციე მამაოს. ამის შესაძლებლობა როცა მომეცა, მორიდებულად ვითხოვე სიტყვაში გამოსვლა. მამაომ თავისი პირობება წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას. მაშინ გავიგე რომ, მამა დავით ადამაშვილი ჩამოსული იყო თავისი მრევლის, ლიანა ჯანეზაშვილის პოეზიის საპატივსაცემოდ. სამმა პოეტმა ეთერ ისაკაძემ, გულიკო კაპანაძემ და ლიანამ, პოეზიის ქარცეცხლში გვატრიალეს. გულიკომ იმერთში გვამოგზაურა, ეთერის პოეზია ტაოს გადაწვდა, ლიანამ ეფრემ მეორის ნატერფალებისკენ მიგვანიშნა. ყველაზე საინტერესო ის იყო რომ, ლიანას საპატივსაცემოდ გარდა მამა დავითისა, ჩამოსულები იყვნენ დოესის სკოლის პედაგოგები. გავიდა ერთი წელიწადი. ურთიერთობები მამა დავით ადამაშვილთან მოკრძალებულად გაგრძელდა. ბოლოს ისე გავთამამდი

რომ, წელს აკადემია ვაკურთხებინე. ყველაზე ძალიან მახარებდა მამა ამირანისა და მამა დავითის ერთმანეთის მიმართ პატივისცემა. აკადემიის კურთხევის დროს, შევბედე მამა დავითს რომ, ჯუმბერ კეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი გამხდარიყო თავის უნიჭიერს მეუღლსთან ერთად. გავიდა დრო... იყო დუმილიც, თავშეკავებაც და აი, გუშინ ოცდაათ მაისს მამა დავითს და ქალბატონ ინგას დოესის იმ ტაძარში სადაც, ქალბატონი ლიანაა მრევლი გადავეცით აკადემიის წარმომადგენლებმა დიპლომი. ამ ლამაზი ისტორიული დღის მონაწილეები იყვნენ აკადემიის წევრები. ცნობილი მწერალი ირმა კეკელიძე, პოეტი ნორა მგელაძე, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი ქეთევან ნიკურაძე, მუსიკოსი ლია ალადაშვილი, ადვოკატი თემურ გოგსაძე, აკადემიის სწავლული მდივანი მალხაზ ჩხიტუნიძე, პედაგოგი და პოეტი მზია ელიაძე, მეცნიერი ხათუნა ელიაშვილი, პოეტი ლიანა ჯანეზაშვილი, ექიმი ირინა ბერიანიძე და საკმაოდ ცნობილი პოეტი ნინო უძილაური. ლოცვის შემდეგ გადავინაცვლეთ დოესის საჯარო სკოლაში სადაც, პოეტი ლიანა ჯანეზაშვილის უკვდავება დაგვხვდა. სკოლის დირექტორი ქალბატონი იზო და ყველა პედაგოგი, თითეული მოსწავლე შეგვეგება ყვავილებით... ტაშით... შეძახილებით. ყურში ჩამესმიდა ლიანას სიტყვები, ქალბატონო გულნაზ, აქ დოესია. ფიზიკურად პატარა სცენაზე დადგმულმა ცეკვებმა გაგვაოცა. თითქმის ას ლექზე მეტი იყო ლიანასი ვარდის სურნელში გახვეული. მოსწავლეები ლექსებს ზეპირად ყვებოდნენ. ერთმა ბუთხუზა მოსწავლემ ლექსის დამთავრების შემდეგ, მიყვარხარ ლიანა ბებოვო სცენიდან წამოძახა. ეს ღონისძიება არ იყო ეს საოცრება იყო. ვაღიარებ ხონში გულიადა სანოძის ჩატარებული საღამოსი და საჩხერის კულტურის სახლში ნუნუ გოგოლიძისგან ჩემი პოეზიის ჩატარებული საღამოს შემდეგ, მესამე საოცრება ვნახე. მადლობა პირველ რიგში უფალს, შემდეგ მამა დავითს. სულ ბოლოს კი აფერუმ სკოლის დირექტორო ქალბატონი იზოლდა. აფერუმ დოესელებო!

სიკვდილზე გამარჯვება





ძალიან ბევრი წიგნის რედაქტორი ვარ. პრაქტიკულად ნამუშავარ ბიბლიოთეკის გამგეს და ამჟამად 13 წიგნის ავტორს არ მიჭირს წიგნის შეფასება და ანოტაციის დაწერა. გამოვიდა ემიგრანტი ქალბატონის ბელა მოდებაძის წიგნი,, სიკვდილზე გამარჯვება" ავტორმა სიზმარი თუ რეალობა პოემის სახით მიაწოდა მკითხველს. სამ ივნისს ბელა მოდებაძის დაბადების დღე იყო. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის ეგიდით გამოვიდა პოეტის წიგნი. ვფიქრობ კარგი საჩუქარი გავუკეთეთ. ემიგრანტის ორ ულამაზესს შვილს, მარიამს და ანანოს შეემატა სულიერი დედმამიშვილი წიგნის სახით. გილოცავ საყვარელო ბელა. იმედი მაქვს ახალ წლამდე კიდევ გაგვახაებ შენი თბილი პოეზიით და ახალი წიგნს შემატებ ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს!

ვილოცეთ ათინათან ერთად



შვიდი ივნისი გათენდა. ზეციდან წამოსული ქარი დედამიწას რაზე ეჩხუბებოდა ვერ გავიგე. ხეთა ტოტები ერთმანეთს თავპირს ალეწავდნენ. ჰმ! ესეც ჩემი ბედისწერაა ჩავილაპარაკე და ათინათების ჩალაგება დავიწყე. მაინც უნდა წავიდე თბილისში. გამოვიდა 52 ნომერი ათინათი 412 გვერდი სხვადასხვა შინაარსიანი განყოფილებით. ათინათი უნდა მიმეტანა ამაღლების ეკლესიაში. უნდა დამელოცა საქართველო ათინათან ერთად. ასეც მოვიქეცი. პარასკევი დღე იყო. მამა ამირანი ისვენებდა. დასვენების დღე ლოცვა ვედრებაში გაატარა ჩვენთან და მამა დავითთან ერთად. არ ვიცი ვინ როგორ აღიქვა ჩემი იდეით უფალთან მიახლოვება მე კმაყოფილი ვარ იმითაც რომ, რომ სპეციალური წირვა ჩატარდა. მივჩერებოდი ეკლესიის ჭერს და თითქოს გარდაცვლილთა ლანდი თავს დასტრიალებდა გუმბათებს. ეკლესიაში ამოსული იყო თემურ ჩალაბაშვილის მეუღლე რომელსაც, გადავეცი ათინათის ის ნომერი რომელშიც, ედვარდ უგულავას წერილი იყო დაბეჭდილი. ამაღლების ეკლესიაში მოსული იყო პოეტი ქეთო ჯომიდავა რომლის, ლექსები თარგმნა მზია კვირიკაშვილმა. ქალბატონი ქეთო არის გმირი ოთარ ჯომიდავას და რომელიც აფხაზეთში მოკლეს. როგორც მზია კვირიკაშვილის წერილი გვატყობინებს რომელიც, ათინათში არის დაბეჭდილი ოთარი დაბადებული იყოვო ერთგულებისთვის. თუ ვინ იყო ოთარ ჯომიდავა ამას ათინათის ფურცლებიდან შეიტყობთ. შვიდ ივნისს ამაღლების ეკლესიაში იმყოფებოდა თვითონ პოეტი ქეთო ჯომიდავა, მადლობა ამისთვის უფალო. აფხაზეთი ეს საქართველოს დიდი და მოუშუშებელი ტკივილია. წირვიდან როცა გამოვედით ქარი ჩადგა. მზემაც აიკრიფა სხივები. დედამიწა და ზეცა მორიგდნენ და მომავალ თაობას, ანსამბლ ,,ლალეს " ისეთი მშვიდ დღეს მოუხდათ სიმღერების შესრულება რომ, არც სიცხე იყო და არც სიცივე. ეს სასწაული ამიდის ცვალებადობის ძალიან ბევრმა შენიშნა. მამა ამირან ამირანაშვილის კურთხევით გაიცა ემიგრანტების დიპლომები. მზიური შავაძის წარმომადგენელ ქალბატონს გადაეცა მზიურის დიპლომი და დარწმუნებული ვარ მას ისეთი მადლი გაყვება რომ, ჩვენს ემიგრანტი ქალბატონს ეკონომიურადაც მოემართება ხელი და ფიზიკურადაც. დიპლომი გადავეცით შვიდი შვილის დედას ქალბატონ ნატალია აბდუშელიშვილის ქალიშვილს. ვუყურებდი ნატალიას ლამაზ ქალბატონს და გულში ვფიქრობდი ასეთი ლამაზი შვილის დედას რატომ არ უნდა ჰქონდეს ის პირობები რომ, შვილების ყურებით დატბესთქო. სამწუხაროდ ესეც საქართველოს მოუშუშებელი ტკივილი არის. ამაღლების ეკლესიის ეზოში გაისმა ანსამბლ,,ლალეს" სიმღერები ხელმძღვანელი, ქალბატონი (ლეილა ჭიოკაძე). ეს დღე მნიშვნელოვანი იმითაც იყო რომ, იტალიიდან ჩამოსული იყო პოეტი ნესტან ხარებავა რომელმაც, საკუთარი ლექსით დაგვატკბო. ძალიან ბევრს ვერ მივაქციე ყურადღება. ათინათის თარგმანების განყოფილება მდიდარია მზია კვირიკაშვილის თარგმანებით. ამაღლების ეკლესიიდან წაღებული ათინათები საქართველოს მადლს გადააფრქვევს ყველასათვის საყვარელ ქალბატონს (მზია კვირიკაშვილს). ათინათში დაბეჭდილია,, უცნობი პოეტის ლექსები, რომლის პოეზია ისე მომეწონა ხატების წინ ჩავსვი, მერე სანთელი ავანთე და ვილოცე რადგან, მისი პოეზია იმსახურებდა ჩემგან ყურადღებას. აკადემიის დაარსებიდან დღემდე ლამზირა შეყილაძე ერთგულად ტრიალებს ათინათის გარშემო. ამჟამად ამაღლების ეკლესიაში მსახურობს და ფიზიკურად და თავისი თბილი გულით ყოველთვის მზადაა იდგეს აკადემიის გვერდით. ბრწყინალე ლექსით დაგვატკბო პოეტმა მაგული კორძაიამ. თუმცა ისე ვერ მოვეფერე მას როგორც გულით მინდოდა. გული მწყდება სიტყვის გარეშე დამრჩენ პოეტები. ლია ალადაშბილი, ხათუნა ელიაშვილი, მზია ელიაძე, ხათუნა ცომაია, ნუცა ელიაძე, გულიკო კაპანაძე ეთერ ლობჟანიძე. დამნაშავე ბავშვიბით ფიქრებში ვარ ჩაძირული. ლეილა გაფრინდაშვილმა წაიკითხა თემურ ჩალაბაშვილზე მიძღვნილი ლექსი. ძალიან ღრმა შინაარსიანი იყო პოეტი ნინო უძილაურ-

ის გამოსვლა. ქალბატონი მანანა სამყურაშვილი და პოეტი თენგიზ ფანცულაია ყველასთან და ყოველთვის უღალატო და ერთგულები არიან. თენგო ისე მეიმედება როგორც საკუთარი შვილი. სადაც თენგიზი არის იქ ყველაფერი წერიგში არის.

რეალურად იმითაც ვარ კმაყოფილები რომ, ყველაზე ადრე მივიდა ეკლესიაში და ილოცა მანანა სამყურაშვილთან ერთად. მადლობა მათ ჩემგან და უფალმა დალოცოს მათი პროექტი,, პოეტები საქართველოსი". თავიდანვე განსაზღვრული მქონდა მხოლოდ ლოცვა და სურათების გადაღება. თუმცა როგორც გინდა ის ისე არასოდეს გამოგდის ჩაფიქრებული საქმე. ამ ლამაზი დღის კადრებს ბატონი ნიკო ბაღაშვილი იღებდა ვნახოთ რითი გაგვახარებს და რას შემოგვთავაზებს. ვიმეორებ ეს არ იყო პრეზენტაცია. მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში და აკადემიაში ჩატარდება 52 ნომრის ათინათის პრეზენტაციები. რაც შეეხება დღევანდელ ღონისძიებას, სპეციალურად დავამთხვიე ჩვენი აკადემიის წევრის ქალბატონ თინათინ უზარაშვილის ჩამოსვლას რათა გამეზიარებინა მისი სიხარული, მას შვილიშვილი შეეძინა. მინდოდა ღვთიური მადლი გაყოლოდა. ნანა გიგუაშვილის რძალს კი ის სითბო არ გაყვა ჩემგან რასაც იმსახურებდა. გარკვეული მიზეზის გამო არ გვესწრებოდნენ თემურ გოგსაძე და ირმა კეკელიძე და ეს ისე გვაკლდა როგორც, გემრიელ კერძს რომ მარილით არ შეაგემებ. ეკა ბრეგვაძემ კი დატვირღულ რეჟიმშიც გამონახა დრო და გვერდიდან არ მომცილებია. აკადემიის ეს ღონისძიება არც ისე იოლი გამოდგა რადგან, ჩემი ჩანაფიქრის ლოცვა დიდ ღინისძიებაში გადაიზარდა!

როცა უყვარხარ

რა ბედნიერება სიყვარული. ეს ის გრძნობაა რომელიც, ყველანაირ სიმდიდრეს გადაწონის. ხუთი შვილიშვილი და ითხი შვილთაშვილი. ეს სიმრავლე ორი შვილის ფესვებია. ოთხ შვილიშსვილს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. უფრო მეტიც ლევანი მეცნიერია, ნანა და თეონა პედაგოგი. თამუნა მენეჯერი. პაპის მოსახელე ვახო სხირტლაძე კი ჯერ სკოლის მოსწავლე არის. როცა შვილიშვილებს გრძნობ რომ უყვარხარ მაშინ მთელი სამყარო შენს წინ იყრის თავს. ბოლნისში ქვეშის ციხეზე ავედით მე და ჩემი ნანიკო სადაც, ეს მეშვიდე საუკუნის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაა აგებული. დავლოცე ოჯახი და აკადემიის წევრები. დავლოცე ემიგრანტები და მთლიანად საქართველო!

შეხვედრა გმირ ქალბატონებთან

ერთი ჩვეულებრივი დღე მტკივნეულ ისტორიაში გადაიზარდა. ნესტან ხარებავა და ელენე ზურაბაშვილი. ორ სხვადასხვა კუთხეში გაზრდილ დედას ერთი ტკივილი აერთიანებდა. თვალებში ჩამდგარ სევდას სიხარულის ნაპერწკალი ჩაქრობოდა. სალონურ საღამოს წარსულმა სეტყვა დაუშინა. მოვარდა ზღვარცოფი, ეს ისე სწრაფად მოხდა რომ, გააზრებაც ვერ მოვასწარით. ყვებოდა ელენე წარსულის განცდებს და ამ საუბარში ჩანდა ქართველი ქალის სიკვდილზე გამარჯვება. ერთი ამოსუნთქვით თვალწინ გადამეშალა წინა დღეებში გამოცემული ბელა მოდებაძის წიგნი,, სიკვდილზე გამარჯვება" ჩემო სახელოვანი ქალბატონებო, აკვანთან კი არ ტრიალობთ ცხოვრების ბრძოლის ველზე გაჭრილნი ცარიელი ხელებით ბრძოლობთ. ელენე ყვებოდა თუ როგორ მოწყდა მთლიანად წელს ქვემოთ. ამ საშინელებაზე ისე საუბრიბდა, თითქოს ეს როლი იყო და მას არ ეხებოდა. როლის შემსრულებელი ელენე რეალობას დაზეპირებული გაკვეთილივით გვიამბობდა. გვერდით მჯდომ პატარა ჯიღა ვაჟკაცს ელენეს შვილს შავ თვალებში კი ბრძოლის ჟინი იდგა. მისი თვალებში იკითხებოდა დედა შენ მარტო არ ხარ, მე ვიზრდები და შენს ნაღვლიან თვალებში მზეს ჩავასახლებო. ელენე საუბრის დროს თან საათს დაჩერებოდა, შიგა და შიგ სევდიან სიტყვებს იმედით აზავებდა. უნდა მოვასწრო, უნდა ვთქვა და თან სამსახურშიც არ უნდა დამაგვიანდეს. მე გადავრჩი. ახლა ორი შვილის დედა ვარ. შვილები უნდა გავზარდო. სტუდენტიც ვარ და თანაც ვმუშაობ. ბრძოლის ინსტიქტი ისე ჩამომიყალიბდა აღარაფრის აღარ მეშინია. ელენეს ხელში ათინათი ეჭირა რომელშიც, მისი პოეზია იყო დაბეჭდილი. ელენე შესანიშნავი მხატვარიც არის. მისი ნახატები წინა ნიმერში იყო დაბეჭდილი. ასაკით პატარა მებრძოლი დედა ცნობილი მხატვრის ნიკო ხერკელაძის რეკომენდაციით მოხვდა ათინათში. ეს ის, მხატვარია ახალგაზრდობის დროს რომ, ნადირობდა. ბატონი ნიკოს გასროლილმა ტყვიამ დათვის ბელი დაჭრა. მონადირე მხატვარში ისეთმა სიბრალულმა გაიღვიძა, დაჭრილი ბელი სახლში წამოიყვანა, თუმცა მოხვედრილი ტყვია სასიკვდილო გამოდგა. მხატვარმა ბელის ტყავი სამხატვრო გალერიაში გააკრა, გვერდით იარაღი დაალაგა და ამის შემდეგ ნადირობას თავი დაანება. ჰოდა, დღეს აკადემიაში მხატვრის ნაპოვნი თვალებციმციმა ქალბატონი ელენე ყვებოდა სიკვდილზე გამარჯვების ცრემლიან ისტორიას. ოთხი საათია? იკითხა ელენემ. კიო უპასუხა ნესტან ხარებავამ რომელიც, დღეს პირველად იყო აკადემიაში და ისე იყო ელენეს სევდით დათრგუნვილი, ლამაზ თვალებში მომდგარ ცრემლის დამალვას ვეღარ ახერხებდა. ახალგაზრდა ქალბატონმა ჩქარე დაგვტოვა დარდის ნაცვლათ დაგვიტოვა სამომავლო იმედები. ელენეს სხეულში

მებრძოლი ქალბატონი ჩასახლებულიყო რამაც ყველა ერთად დაგვამშვიდა. ფიქრებში ჩაძირული ნესტანის ხმამ გამომაფხიზლა. მე თორმეტი წელიწადი სტამბოლში ვიყავი, საქართველოში დატოვილი შვილების სიყვარული ოთხ წიგნში გადავანაწილე, ჩემი ამაგი დაფასდა. შვილებს ვასწავლე, ბინაც ვიყიდე და აი, აგერ მოვედი ჩემი პოეზით ხელდამშვენებული. ერთი შეხვედით მშვიდ ნესტანში იმაზე მეტი დარდის ფურცლები გაიშალა ვიდრე ელენე ყვებოდა. ჰოდა დღეს ათინათის გამოშვებას კი არ ვზეიმობდი ორი ქალბატონის ცრემლიან ზღვაში ვიხრჩობოდი. ნორიკო მგელაძე, გულიკო კაპანაძე და ლია ალადაშვილი მდუმარების სივრციდან თავს ვერ აღწევდა, სამაგიეროდ ნესტანიმ სევდის ხურჯინიც დაცალა და ლექსებიც ბევრი წაიკითხა. გვიან დავტოვეთ მამა დავით ადამაშვილის ნაკურთხი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემია. დარდიანი ისტორია ლია ალადაშვილის სიმღერებმაც ვერ განკურნა, გარდაცვლილთა სურათებშიც კი სევდა გამეფებულიყო. თუმცა ციდან მოფრენილი ნესტანის პოეზია სიცოცხლეს ზეიმობდა.

ლომისობა

ღვთის დიდი წყალობა იყო ყველასათვის საყვარელი ლექტორის მოსვლა დღეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში. სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალი,,ინოვაციას" ორგანიზებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის თანამონაწილეობით, მიმდინარე წლის 22-23 ივნისს, იმერეთის რეგიონში საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლ სავანის საჯარო სკოლაში ჩატარდა, საერთაშორისო მულტიდისციპლინური,,კონფერენცია თანამედროვე გამოწვევები მეცნიერებასა და ინოვაციებში", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ, საქართველოს წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, ასევე მონაწილეობდნენ ონლაინ დისტანციურად, შვიდი ქვეყნის მეცნიერ მკვლევარები. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიიდან მონაწილეობა

მიიღო, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორებმა ბატონმა ტიტე მისიამ და ქალბატონმა ლუარა სორდიამ. მონაწილეობა მიიღო მწერალმა ქალბატონმა ირმა კეკელიძემ, ქალბატონმა ხათუნა ელიაშვილმა. ჰოდა დღეს ლომისობას საჩუქარი გაგვიკეთა თავისი თავდაბლობით ამაღლებულმა პროფესორმა ვალერი მოსიაშვილმა. მეც ვულოცავ ასეთ ნიჭიერს და სიკეთით სავსე პროფესორს უნიჭიერეს ლექტორს ბატონ ვალერ მოსიაშვილს ლომისის წმინდა დღესასწაულს. მეორე დიდი სიხარული იყო, ემიგრანტ მაია რამიშვილის მიღება აკადემიაში. სასიხარულო იყო იტალიიდან ჩამოსული აკადემიის წევრის ქალბატონი ნატალია სამუშიას მოსვლა და აკადემიის წევრისა და პოეტი ემიგრანტის ნესტან ხარებას მოსვლა. ნესტან ხარებავა უკვე მეორედ მოვიდა აკადემიაში, მოვიდა და მოიტანა თავისი სულიერი სიმდიდრე ოთხი წიგნი საჩუქრად. რაც შეეხება მაია რამიშვილს, ეს ქალბატონი თავისი სირინოზის ხმით იტალიდაან ამხნევებს და დადებით მუხტში ახვევს საქართველოს. იჯდა მშვიდად და მის ლამაზ თვალებში სიყვარულის მზის სხივები ერთმანეთს სამაიას ეცეკვებიდა. უფრო მეტიც ქალბატონი მაიას იურისტმა ქალიშვილმა იქვე დაწერა განცხადება აკადემიაში გასაწევრიანებლად. მინდა აღვნიშნო ის რეალური ფაქტიც რომ, ერთმანეთს ადამიანის ხელის თითებიც კი არ გავრან. ასეთი განსხვავება იყო დღეს მოსული ემიგრანტები ერთმანეთისაგან. ყველა ძალიან კარგი თბილები იყვნენ მაგრამ, ამ ყველაში განსხვავებული იყო სიკეთის კეთებით გამორჩეული ქალბატონი ნატალია სამუშია. ეს განსხვავება იმით გამოიხატება რომ, ქალბატონი ნატალია სამუშია თავის საქმეს უკან დატოვს და სხვას უმართავსო ხელსო არაერთი ქალბატონისგან გამიგონია ეს სიტყვები.

უკეთილშობილეს ქალბატონს არაჩვეულებრივი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები ყავს. მისი პოეზია მზეზე მიფიცხებულ პურის თავთავებს გავს. ასეთი სიკეთის მაგალითები ბევრი, ძალიან ბევრია, ნატალია სამუშიასგან გაკეთებული რომლის ჩამოთვლა ძალიან შორს წამიყვანს. ლომისის მადლმა დიდი სიყვარულის ბუხარი ამაგიზგიზებინა დღევანდელი დღეს. ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზეც. დავგეგმეთ სექტემბრის თვეში სამეცნიერო კონფერენცია თურქეთში. სადაც აუცილებლად მონაწილეობას მივიღებთ. ამჟამად კი უკვე მუშაობა დავიწყეთ 53 ნომრის მასალების შეგროვებაზე. დღეს აკადემიის წევრმა გულიკო კაპანაძემ, საჩუქრად გადმომცა ახალი გამოცემული კრებული,, პოეზიის ათი წუთი" რომლის დამფუძნებელი არის ბატონი დავით ქორიძე და ქალბატონი ხათუნა ცომაია. წიგნი მომიტანა პოეტმა და აკადემიის წევრმა გულიკო კაპანაძემ. გამეხარდა და იცით რატომ გამეხარდა? წიგნთან სიახლოვე უფალთან სიახლოვეს ნიშნავს. წიგნი ეკლესიაა, მონაწილეები კი მრევლია. ეკლესიაში როცა სალოცავად მიდის მრევლი ზოგი სრულ-

ყოფილად ესწრება წირვას, ზოგიც სანთელს აანთებს და იმით კმაყოფილდება. ასეა წიგნში მონაწილეებიც. ზოგი საშუალოა და ზოგიც ძლიერი. ამ შემთხვევაში ჩემთვის ორივე ერთიდა იგივეა და იცით რატომ? ვისაც როგორ შეუძლია ისე გადმოსცა თავისი ნაფიქრი. მკითხველიც სხვადასხვანაირი გემოვნებისა, ზოგს შეიძლება უბრალო ხალხურ სტილზე დაწერილი ლექსი უფრო მოეწონოს ზოგსაც ფილოსოფიური. ამიტომ უკვე დაბადებულ წიგნს მივცეთ თბილი შეფასება და ვუსურვოთ შემდგენელ ავტორებს ყოველ გამოცემაზე ზრდის მწვერვალები. ეს დღე ხათუნა ელიაშვილის დუმილში აღზევებული ნიჭის აღზევაბაც იყო. დიახ, მისმა ნააშრომმა დაიმსახურა საერთაშორისო აღიარების სერთიფიკატი.

ვ ც დ ი ლ ო ბ

საჩხერის რაიონ სოფელ ხვანის მდინარე ძირულისპირელი ვარ. მთის ძირში ამოსული ყვავილების, ყვითლად აფეთქებული შინდებისა და თეთრ ბაბთიანი ტყის იასამნების შვილი. ღამით იავნანას წყლის ბაყაყები მიმღეროდა და დილით შაშვის გალობა მაღვიძებდა. ფეხსაცმელს მხოლოდ ზამთარში ვიცვამდი. ფეხშიშველი ვკრეფდი ტყეში ამოსულ სხვადასვა ფერში გადაპრანჭულ სოკოებს. მზე როცა საალერსოდ მდინარე ძირულის ტალღებს ესტუმრებოდა მეც სხივებთან ერთად ვიწყებდი ცურაობას. ასე იწყებოდა დილა. ტყის ბუნებამ მხოლოდ სიყვარული მასწავლა. ხშირად ვაკვირდებოდი ტყეში ამოსულ სხვადასხვა ჯიშის ხეებს. იდგნენ თავისთვის და ერთმანეთს ტოტის ხელებით ეალერსებიდნენ და არასოდეს არ ჩხუბობდნენ. როცა გაავებული ქარი ამოვარდებოდა, ყველაფერს არევ- დარევდა. ახლა რომ ვაკვირდები ადამიანთა ურთიერთობებს ვხვდები რომ, ყოველთვის ჩხუბი და კამათი ხდება მესამე პირისგან. არადა ამ დროებით წუთისოფელში როგორ მინდა რომ, მხოლოდ სიყვარული ბატონობდეს. მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ რაღაც განსხვავებული წინათგრძნობით. მთისა და მდინარის შვილს თან დამყვება ბუნებრივი მადლი. ჩემი ყოველდღიური ფიქრი მხოლოდ სიყვარულია. ჩემი კრედო არის, საკუთარი შვილებივით მიყვარდეს სხვისი შვილები. დაკმაყოფილდე იმით რაც მაქ. არასოდეს არ განვიკითხო სხვა. ჩემი საკუთარი გამოცდილება ცხოვრებისეული ვთქვა და დავწერო რადგან, იქნებ სხვასაც გამოადგეს. თუ რამეს ვაკეთებ და ვქმნი სხვამაც გააკეთოს. გავუზიარო ჩემი გამოცდილება, ყველას თუკი ვინმე მოისურვებს. სიცოცხლის წამზომი ჩართულია, ერთ დროს გაჩერდება. ვცდილობ ვიცხოვრო ჩემი სოფლის ლამაზი ბუნებასავით სუფთა უმანკო სიყვარულით. არ მინდა ქარად და ქარიშხლად გადავიქეცე. მინდა ვიყო სამყაროს ისეთი დედა რომელსაც, მხოლოდ დადებითი ენერგიის გაცემა შეუძლია. როგორ გამომდის არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში ვცდილობ.

ჩემი იმერეთი

მე ყველა კუთხის ცამ მაპატიოს,
ჩემს იმერეთზე უნდა დავწერო,
ეს მონატრება სად დავატიო,
მეც ვარ იმ კუთხის ერთი სანთელი.

ერთად გაერთიანებულ საქართველოს გავდა, საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში გაზრდილი ბატონი ნიკოლოზ კურტანიძის საღამო. მოდინახეზე არწივის ბუდეში დაჩეკილი ლექსები ცასა და დედამიწას აერთიანებდა. გალაქტიკიდან ცის გზავნილი – ლექსები – წიგნად დაბადებას ზეიმობდა. წიგნის სიძლიერეს და მრავალფერონებას აგვირგვინებდა რედაქტორის სახელი და გვარი კლასიკოსი მწერალი რუსთაველის პრემიის ლაურიატი ბატონი რეზო მიშველაძე. მიხაროდა წიგნის ავტორი საჩხერელი რომ იყო. დიახ! გაასმაგებულად მიხაროდა რადგან, მეც ვიყავი იმერეთის კუთხის ერთი სანთელი. ახლად გამოსული წიგნი დარბაზში სიხარულით არხეინად დარდიმანდობდა. შეკრებილი იყო მწერალთა კავშირის საზოგადოება და ბატონ ნიკოლოზს ულოცავდნენ წიგნის დაბადებას. დარბაზის კედლებზე გაბრწყინებული ლამაზი სურათები ნაცნობი მეგობარივით მიღიმოდა. სხვადასხვა თემატიკის სურათები ერთი ხელიდან შექნილს გავდა. ეს ლამაზი ქმნილებები ჩემს გვერდზე მჯდომ მაია ტყემალაძის ნატიფ სახეს ეალერსებოდა. ზღაპარწთში მოხვედრილა საღამომ სიზმარიდან გამომარკვია რადგან, ჩემი მაიას ხელით გაფორმებული წიგნი მიღიმოდა და დარდიან გულს იმერეთის ჰაერით მივ იყოსებდა. ო, ეს საოცარი ქალბატონი დაბადებულია ზებუნებრივი სილამაზითა და მადლის საკათებლად. სწორედ მაია ტყემალაძისგან ვიყავით მიწვეული მე და თემურ გოგსაძე. ფიქრებში ჩაძირული წარსული ამომიტივტივდა, შვილივით საყვარელი თემური წლების წინ მაია ტყემალაძის პროექტის დროს გავიცანი. მაია ტყემალაძემ საქართველოს აჩუქა უნიკალური წიგნი ვეფხისტყაოსანი ხელნაწერის სახით. ჩემი ნუკრის თვალება მაიკო, დადიოდა ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში და ორ საქმეს აკეთებდა. ერთი ის საქმე იყო რომ, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა ყველას მხოლოდ ერთი სტროფი უნდა დაეწერა და მეორე ის რომ ლამაზი კალიგრაფია უნდა ყოფილიყო. ამით შოთა რუსთაველის და იაკობ გოგებაშვილის უკვდავებას ხელახლა აღვიძებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ღონისძიების თემას გადავუხვიე მაგრამ, ამით იმის თქმა მინდა რომ, ერთ მაგიდაზე ვისხედით ჭიათურლები. ბატონი ნიკოლოზ კურტანიძის ოთხმოცი წლის იუბილის ზეიმს დადებითი ნეგატივით განწყობას ზეცას ვუგზავნიდით. ვზეიმობდით ჩვენ და ზეიმობდა ვარსკვლავებით მოკაშკაშებული ზეცა. ამ ლამაზი ღონისძიების ემოციას ალამაზებდა მწერალთა კავშირის ყრილობაზე ერთხმად არჩეული მწერალთა კავშირის თავჯდომარე მაყვალა გონაშვილი რომელმაც, ბატონ ნიკოლოზს ილია ჭავჭავაძის ოქროს მედალი გადასცა. მიზეზთა გამო მე დიდხანს არ გავჩერებულვარ თუმცა ჩემი კუთხის საამაყო შვილო ბატონო ნიკოლოზ, ოთხმოცი წლის იუბილეს და წიგნის დაბადებას ლექსის სტროფებით მოგილოცავ.

* * *

მოდინახეზე არწივები ბუდეს იკეთებს,
საირხის ჭალებს მართვეები მოფრინდევიან,
ია-იები გაზაფხულზე ამოიფეთქებს,
მომავალნი კი შენს ლექსებზე დაიზრდებიან.
სიბრძნით ნაფიქრი თავსაც დახრის როგორც თავთავი,
გალაქტიკიდან ცის გზავნილი რითმებს განდობდა,
შენი ლექსები ცის გზავნილი, სულის სართავი...
წიგნად ნაშობი ... არხეინად დარდიმანდობდა.

პონტანღლიეს კარიბჭე

პონტაღლიე საზღვრის პირა ქალაქია შვეიცარიასა და საფრანგეთს შორის. ეს არის უძველესი ქალაქი რომელიც, პარიზიის დაარსებამდე დაახლოვებით ხუთი-ექვსი საუკუნის წინ დაარსდა. პატარა და კოპწიაა ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტიც არ დადის. ამ ქალაქს მიმდებარედ ულამაზი ჩანჩქერებია რომელთაგან ზოგიერთი მათგანის სათავე ალპური ზონიდან მოესინება. ეს დღე მნიშვნელოვანი სანახაობით დავაღამეთ. ბოლოს ეკლესიაში შევედით. მაგიდაზე ფურცლები და საწერი პასტა იდო. წერა დავიწყე, ფიქრით საქართველოს გადმოვწვდი. გონებაში ემიგრანტებად ქცეული ქართული ოჯახები ამომიტივტივდა. ჰოდა, პირველი სურვილი დავტოვე ის რომ, საქართველოში დაშლილი ფარასავით დაფანტული ქართველები მოგროვილიყვნენ. აგუგუნებულიყო ქარხნები. სიყვარულით მოეკითხათ ერთმანეთი სანეთესაოს. მეზობელს-მეზობლის ტკივილი გაეზიარებინა და სხვათა წარმატების და სიხარულით არ გაბოროტებულიყო. აკადემიის ყველა წევრის ჯამრთელობა შევავედრე უფალს. ჩემი ოჯახის სიყვარულით ხომ ისედაც ვსუნთქავ. ამ ინტელიგენტურ ქალაქში ქართველები არ ცხოვრობენ. სამაგიეროდ მდინარეში კალმახები და ორაგულები თითქოს პოეზიის ენით საუბრობდნენ. წყალში მობინადრე იხვები კი ლიფსიტების ჭერით იყვნენ წყალში თავჩაგრული. ჰოდა მე და ბუნება დავმეგობრდით და წამოსვლამდე ერთად ვიჟღურტულებთ!

საფრანგეთი ალპური ზონა





მდინარე მგელის სათავე უამრავ სხვადასხვა ეროვნების ხალხს მასპინძლობდა, მეტი წილი ფრანგები იყვნენ. როცა ნამყოფი ხარ და იცი ადგილმდებარეობა შეძლება მეორედ ჩასვლა ვეღარც გაბედო. თუმცა იმდენად ხანდაზმული ხალხი მიმიძღვიდა წინ ჩემი ფიქრის ყოყმანიც კი შინაგანად მარცხვენდა და დამცინოდა. მივდევდი ხალხის ნაკადს მაღლიდან დაბლა. გზა მიხვეულ – მოხვეული იყო და არ გაძლევდა დანახვის საშუალებას. პირიქით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩქარე უნდა გამოჩენილიყო ის ადგილი რითვისაც მივდიოდით. ყველა ერთმანეთს ესალმებიდა. მოკრძალებულად სხვადასხვა ასაკის ადამიანები მეც რომ, მომესალმენ ჩემმა მაზლიშვილმა ელგუჯა სხიტლაძემ მითხრა, ბიცოლა აქ ასეთი წესია არ გაგიკვირდესო. მეც სიამოვნებით ვესალმებიდი შემხვედრთ იმდენათ ლამაზი იყო ბუნება შიშის სინდრომი გამიქრა და ისიც დამავიწყა რომ მივდიოდი იქიდანაც ხომ უნდა დავბრუნებულიყავი? ყოველ ათ მეტრში გზა შედიოდა და რკინის მოაჯირებიც ქონდა გაკეთებული. ცნობისმოყვარე პატარა ბავშვივით ვკითხულობდი ყველაფერს. ეს მოაჯირები იმიტომ ააქვსო მპასუხობდა უკვე წინა წელს იმ ადგილებში ნამყოფი შვილიშვილი, დაუპატიჟებელი სტუმარივით წვიმა რომ დაიწყოს, ეს სანიაღვრებიაო. ლამაზ დიდრონ ტყეში სრულიად საღი ხეებიც იყვნენ სიცოცხლის უუინაროდ გადაწვენილები. ჩემს დასმულ კითხვას უპასუხოდ არ ტოვებდა გუჯა და მიხსნიდა ბუნების ფრანგულ წესებს. აქ, არაფერს არ იღებენ ამათი წესი ასეთია, ბუნებაში მოსული ბუნებისაა. ბუნებრივად წაქცეული ხეები, ქარისგან დამტვრეული ტოტები უნდა დარჩეს ბუნებას ნეშომპალად, ამით საზრდოობს ბუნებაო. ამ საუბარში ჩავაღწიეთ მდინარე მგელის სათავდე. დაბლიდან მაღლა თვალი მხოლოდ ზეცას ხედავდა. მოვხვდი ქვევრში სადაც ხალხი თავის ფეხით ჩადიოდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ. მდინარის გვერდზე განსხვავებული პატარა მცენარე დავინახე, ხელით ამოვწიე და ფესვებიანად მორჩილად ამომყვა. ვიფიქრე სამახსოვროდ წავიღებ და გავახარებთქო. რას აკეთებო ნანამ მითხრა დაგაჯარიმებენო. პატარა ყვავილი იქვე დავდე და გულში ტკივილი ვიგრძენი რადგან მცენარეს სიცოცხლის არსებობა შეუწყვიტე, არადა ისე მომწონა ვიფიქრე სახლში თიხის ქოთანში გავახარებთქო. გზა გავაგრძელე დავემორჩილე ფრანგულ კანონებს სხვა რა გზა მქონდა. იმ დღის მოგზაურობა დამთავრდა. უკან დაბრუნების დროს რაღაცა ძალა მამხნევებდა მორჩილ სტუმარს და ამოვაღწიე ბუნებისგან შექმნილი ქვევრიდან.

ს. ა. უ. ზ. მ. ე

ჩემი შვილივით საყვარელმა მაზლიშვილმა პოეტური სუფრა გამიწყო. ღამით თავისივე დაბადების დღეს, საფრანგეთის სურნელოვან ლამაზ ვარდების ხეივანში ლექსები მივაფინეთ ვარსკლავებით მოკაშკაშებულ ცას. დილით თავისი ხელით შემწვარი კვერცხი ისეთ სილამაზეს ტოვებდა სურათი გადავუღე, ეს ლამაზი ყურადღება გულში არ დამეტია და თქვენამდე მოვიტანე. არაფერი არ ჯობია დედაშვილურ ურთიერთობას ესაა სიყვარულიც და სიმდიდრეც.

საფრანგეთი

პონტანღლიე, შვეიცარიის საზღვარი. აქ ივლისშიც ცივა. ალპურ ზონაში სიცივით დაოთრქლილ ფანჯრებს ათასნაირი ფიგურები აქვს შემოქარგული. დღის სამ საათზე მდინარის სანაპიროზე ჩავედი მაზლიშვილთან და შვილიშვილთან ერთად. ნახე ბიცოლა რამხელა კალმახები მოცურავენ შენსკენ მესაუბრება ჩემი შვილივით საყვარელი მაზლიშვილი და თევზებისკენ მითითებს. ლამაზი კოპლებიანი კალმახები უშიშრად მოიწევდნენ ჩემსკენ და ათასნაირ პრანჭვა-გრეხვით მოძრაობებს აკეთებდნენ. ნანა სურათები გადაუღე ბიცოლას ამბობდა ჩემი სულის ზიარი მაზლიშვილი და თან ხელჩაკიდებული მდინარისკენ მივყავდი. თითქმის ერთი საათი ვუყურებდი კალმახებს და და წყალში მოჭყუმპალე იხვებს.
მერე იქვე ჩამოვისვენე და წერა დავიწყე.

ტალღებს შევევედრე

გამიყოლიე მდინარის ტალღავ,
თან წამოგყვები სამოგზაუროდ,
თორემ ეს გული დარდმა სულ დაღრნა,
ბედიც ხშირ-ხშირად აურზაურობს.

ვით კალმახს ისე გამომაყარა,
გულს სიყვარულის მრავალწერტილი,
ან ერთი ნახვით რამ შემაყვარა,
ალპები წელში გადატეხილი.

დადგეგმილ შეხვედრამდე რომელსაც აქ აუცილებლად გავმართავ, მეტი მოტივაცია მომცა მდინარემ და წყლის ქვეშ გაწოლილმა ქათქათა ქვებმა. მჯერა ყველაფერი ისე გამოვა როგორც, ეს აკადემიის საქმეს წაადგება!

გიტარაზე აცეკვებული თითები

ყველაზე დიდი საჩუქარია ყურადღება. ეს ისეთი სიმდიდრეა რომელიც, ან არის შენში ანდა არ არის. ცნობილი კომპოზიტორი გიული ერგემლიძე საფრანგეთში ცხოვრობს. -- იცი გიული ჩამოსულა საქართველოში მატყობინებს ქალბატონი ირინა ბერიანიძე.

– თბილისში არის? ვპასუხობ დაფიქრებულად ჩემს ჩემს საყვარელ ირინას. საყვარელ ქალბატონს ჩემი ხმის გაურკვეველი ტონი ვიგრძენი არ მოეწონა და საუბარს აგრძელებს. უნდა დავხვდეთ, უნდა მოვეფეროთ. კი საყვარელო აუცილებლად მოვეფეროთ. დავიწყე დროის გადანაწილება. ჩემი დაფიქრების მიზეზი დრო იყო რადგან, მე თვითონ ვარ მიწვეული საფრანგეთში. ორ დღეში ანუ თორმეტში უნდა გავფრინდე, თან პარალელურად წიგნზე და ,,ათინათზე" ვმუშაობ, რაღაცა მასალების ჩაშვება და გადაკითხვა უნდა მოვასწრო. ქალბატონი გიულის წინაშე დიდი პასუხისმგებლობას ვგრძნობ. მან უამრავი პოეტი გაახარა და ლექსები სიმღერებად აქცია. გიული ერგემლიძე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშოროსო სამეცნიერო აკადემიის წევრია, რითაც მე ვამაყობ. ქალბატონი ირინას პროგრამა ასეთი იყო. რომელი პოეტის ლექსი სიმღერად დაიბადა გულის შემოქმედებით, ის პოეტები უნდა მოგვეწვია რაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ასეთები რაოდენობრივად ძალიან ბევრი არიან და მიზეზი ისევ ჩემი დრო იყო. თუმცა ცხელი ივლისის ერთი ლამაზი დღე შედგა და ჩაიწერა აკადემიის ნაკურთხ კედლებში. ამ პატარა ოთახში აკრძალულია, ვინმეზე აუგის თქმა. აქ, მხოლოდ სიყვარულზე უნდა ისაუბრო. დადებითი ენერგეტიკით ვმოძღვრავთ მომსვლეთ და სიყვარულით ვივსებით დამხვედრიც. ასე რომ, შეხვედრა შედგა. ლია ალადაშვილის ფანდურს გიულის გიტარაც მიემატა და ტკბილი ხმების ჰარმონია გაიგზავნა კოსმოსში. პოეტი და ცნობილი ექიმის ია მოსულიშვილის ლამაზ თვალებში კმაყოფილების მზის სხივები ბრწყინავდა. ია ექიმზე მიძღვნილ ლექსს მღეროდა აკადემიის ბულბული ლია ალადაშვილი. ლიამ ირინა ბერიანიძის, ია მოსულიშვილის და გიული ერგემლიძის სიმღერები სათითაოდ შეასრულა. უყურებდა ქალბატონი გიული და ვგრძნობდი რომ, უხაროდა ეს ერთიან-

ობა და სიყვარული. სასწაული ისიც იყო რომ, ირინამ შვილიშვილის გიტარა ქართული ოჯალეშ-ის სავსე ყანწივით გადააწოდა ქალბატონ გიულის. პირველად დავინახე კომპოზიტორის აცეკვე-ბული თითები გიტარის სიმებზე. სადაც სიყვარულია იქ კეთილი ანგელოზები დაფუსფუსებენ. კე-თილი არასოდეს დაგეგმავს სხვათა გულის სატკენ თუნდაც პატარა შეხვედრასაც კი. ავანთე სან-თელი და სიმშვიდით დაგლოცეთ ჩემო სულიერო შვილებო!

შვიდი შვილის დედა

თითქოს მთის დიდი გორასავით ტვირთი ეკიდა მხრებზე ნატალია აბდუშელიშვილს. ვუყუ-რებდი აკადემიის სამუშაო ოთახში შემოსულს და ვგრძნობდი რომ,

ტვირთი არ ამძიმებდა. საკმაოდ მაღალ ქალბატონს სახეზე ღიმილი დათამაშებდა. აკადემ-იის სქელმა კედლვმა სუნთქვა დაიწყო. ნატალიას ღიმილნარევმა იუმორმა ყველა მოხიბლა და დიდი ხნის ნაცნობებივით საუბარში ერთმანეთს აყვნენ აკადემიის წევრები. შვიდი შვილის დედას იურისტი ულამაზესი შვილი მარიტა შეციცინებდა თვალებში. მარიტასაც თითქოს ადრეც ვუცნობ-დით ისე ლამაზად შემოვიდა ურთიერთობაში და აგვყვა საუბარში. ლამაზი გოგონა სიხარულით უღიმოდა დედას და გვიღიმოდა ჩვენც. ნატალიამ ერთ საათში ისე ჩამოყალიბებულად გადაშა-ლა მთელი წარსული, გეგონებოდა ემიგრაციაში მყოფი,

მოხუცს კი არ უვლიდა თავისი წარსულის დისერტაციაზე მუშაობდა. გაკვირვებული უყურებ-და პოეტი ნორიკო მგელაძე და თეა კანდელაკის მეგობარი მხატვარი ირმა სადაღაშვილი. ლია ალადაშვილი ფანდურის სიმების აწყობით იყო დაკავებული. ფანდურზე მეც ვუკრავ და კიდეც მღერი თქვა ნატალიამ და ლიას გადახედა. ეს კლასიკურია ზრდილობიანათ მიმართა ლიამ. თა-ვისუფალ ხმებში კიდეც რომ ავაწყო მაინც სხვანაირად ითხოვს თითების მოძრაობას. ხელოვნე-ბას მონატრებულმა ნატალიამ ფანდური ჯერ გამოართვა და მერე ისევ ლიას გადააწოდა. შვიდი შვილის დედის ნახვამ წარსულში მამოგზაურა. ჩვენც შვიდი ვიყავით. ახლა ორი დავრჩით. ოჯახ-ში სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი გვქონდა შექმნილი. შვიდი შვილის დედამ ჩემი ტკბილი დედა გამახსენა. ნატალიამ ბავშვური მიამიტური სიყვარული ძალიან ბევრი რამე გაიხსენა. მე ისინი ძა-ლიან მიყვარდნენ. სიამაყით იხსენებდა მამათილს, მეუღლეს და გამზრდელ ბიძა-ბიცოლას. ბიძა-ჩემს შვილი არ ყავდა და მე მიშვილაო. როცა წამოვიზარდე დედმამიშვილებთან კონტაქტს მიშ-ლიდა ბიძა და ბიცოლა. რატომ? გაოცებულმა შევეკითხე. – იმიტომ რომ, ეშინოდათ არ მიმეტო-ვებინა და მშობლებთან არ წავსულიყავი. სულ ვფიქრობდი, როცა გავთხოვდებოდი, ბევრი შვი-ლები მყოლოდა. შვიდი მყავს. შვიდივე მიზანდასახული და კარგები. სამი დაოჯახებულები არიან და ოთხი გასათხოვარ დასაქორწინებელი. ჩემს გვერდ მჯდომ მარიტას გადავხედე. ულამაზესი მარიტა თითქოს ჩემს ფიქრს მიხვდა და ღიმილით თქვა. მე როცა გავთხოვდები აუცილებლად ხუთ შვილს მაინც გავაჩენო. მარიტა გულში ჩავიკარი და დიდხანს მყავდა გულზე მიკრული. ვგრძნობდი ქართული ფესვების სიმრავლის ჟინს. ქართული გენის გამრავლებას და კმაყოფი-ლებით ვუღიმოდი ხვალინდელ იმედს.

კეთილი მგზავრი

3333 დღე იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო თოთხმეტჯერ გინესის წიგნში შესულმა ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია", რომელმაც მსოფლიოს გააცნო საქართველო. აწ გარდაცვლილ ბატონი ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეშივე დაარსებულ საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიას რომლის, ერთ-ერთი დამფუძნებელი თვითონაც იყო არ შეუწყვეტია მუშაობა და მოკრძალებული ნაბიჯებით დამოგზაურობს მსოფლიოს გარშემო. უკვდავი პიროვნების აკადემიის წევრები არიან ბატონი აბრამ პაატა და ლოლა იოსებაშვილები. აკადემიის წევრია ქარელელი პოეტი იზოლდა მოშიაშვილი. სამი ქართველი ებრაელი სამების მადლით აღვსილნი საქართველოსა და ისრაელის გზაზე მოგზაურობენ. ბატონი აბრამ პაატა და ლოლა სიკეთის თესვით და იზოლდა მოშიაშვილი კი ლამაზი პოეზიით ასაზრდოებს ორ ერს ქართველებს და ებრაელებს. კეთილი სულის ცოლქმარის აბრამ და ლოლას დათესილი სიკეთე ორ ერს შორის უთვალავი და უამრავია. ორგანიზაცია,,გულთა კავშირი"რომლის, დამფუძნებელი თვითონაა ბატონი აბრამ პაატა, მიგვანიშნებს სიცოცხლის იმ ფესვის უკვდავებას რასაც, საქართველო და ისრაელის მეგობრობა ჰქვია. ცხინვალში დაბადებული და ქუთაისში გაზრდილი ბატონი აბრამ პაატა, ქარელელი პოეტი ქალბატონი იზოლდა მოშიაშვილი სულის ჰარმონიას ქმნიან და ერთს პოეზია და მეორეს სიკეთის ვარსკვლავი აწერიათ გულის ფიცარზე. სიკეთის მგზავრები ერთად დამოგზაურობენ საქართველოსა და ისრაელს შორის.,, გვირილება" ქუთათურებისათვის იასავით ნაზი და კოპწია არის.,,გვირილობის" დღესაწაული ყოველ წელს ტარდება ქუთაისში. სამი ქართველი ებრაელი აბრამ პაატა, ლოლა და იზოლდა ყოველ წელს ჩამოდიან საქართველოში და თბილისიდან ქუთაისამდე სიკეთის მარგალიტებს თესავენ. ამ ორი ქალბატონის

გზის გამკვალავი ბატონი აბრამ პაატა არის. ქალბატონ იზოლდამ საუბრის დროს ისიც კი აღნიშნა რომ, აბრამ პაატა და ლოლა ერთ-ერთი რეისის დროს საჩუქრების ყიდვით ისე გაერთნენ თვითფრინავის გაფრენის დროც კი დაავიწყდათ და მგზავრების საყვედური აიტანეს, იმის გულისთვის ოღონდაც ქუთაისელებისათვის საჩუქარი ჩაეტანათო. ცხინვალში დაბადებულმა ბატონმა აბრამ პაატამ ქუთაისში გაარძელა ცხოვრება და სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. ოჯახის ისრაელში გადასვლის გამო, მეხუთე კურსის დასრულება მოუწია ქალაქ ხაიფის პოლიტექნიკურ ინსტიტუში. უნიჭერესი ქართველი ებრაელი ანგელოზის რკალს ავლებს საქართველოსა და ისრაელს. საქართველოში და თითქმის მთელ მსოფლიოში ადამიანობის კრიზისი დადგა. აი, ამიტომ დაარსეს ,,გულთა კავშირი". ორგანიზაციის დევიზია სიყვარულის კიდობანის შექმნა. კიდობანი ყველანაირ კატაკლიზმებს გაუძლებს. ამ კიდობანში მოხვედრილი მგზავრები ქართველები და ებრაელები გააგრძალებენ სიცოცხლეს უკუნისამდე.

უკვდავების გემის მგზავრებს,
ქართველებს და ებრაელებს,
ღმერთი ღვთის მადლს დაამგზავრებს,
სიკეთის მზედ აბრიალებს.

სწორედ სიყვარულის მზის ნარუჯი მიწის შვილია, ბატონი აბრამი და ეს მზე არასოდეს ჩავა.

იყო კეთილი ეს ღვთისგან ბოძებული მადლია. გული რომელშიც, დიდი ასოებით აწერია გულთა კავშირი. ბატონ აბრამ პაატას უბოძა უფალმა ისეთი გული რომ, მხოლოდ სიყვარული შეუძლია. ქუთაისში გაზრდილს ქუთაისური სითბო თან გაჰყვა ისრაელში. საქართველოში რამდენი რაიონიცაა, ქალაქი, დაბა, სოფელი, ყველგან ცხოვრობს ბატონი აბრამ პაატა. ყველა რაიონის ხელმძღვანელს და ლიდერს სწვდება მისი კალამი. წერს კლასიკურად და სრულიად განსხვავებულად. ეს ღვთით კურთხეული პიროვნება ისე განსხვავებულია, როგორც მზე განსხვავდება ყველა მნათობებისაგან. ხშირად ვფიქრობ და უკვე ეჭვიც აღარ მეპარება იმაში რომ, ჩემმა ათინათმა და წმინდა ნინოს ხატმა დამაკავშირა ამ დიდებულ ადამიანთან. ყველა კეთილი საქმე მაინც ადამიანთანაა კავშირში. იბადებიან ისეთები სულგრძელებიც რომლებიც, მხოლოდ სიკეთის თესვით ცხოვრობენ. ასეთია პოეტი ნინო უძილაური. პანდემიის პერიოდში მოვახერხე ათინათის გამოცემა. იმ პერიოდში ბატონი აბრამი საქართველოში იმყოფებოდა. ნინომ მომიყვანა ბატონი აბრამ პაატა და ქალბატონი ლოლა აკადემიაში. აქედან დაიწყო ურთიერთობები და ეს გაგრძელდება სიცოცხლის ბოლომდე. ბატონი აბრამ პაატამ მესამე სულიერი შვილიც შემომიტა აკადემიაში იზოლდა მოშიაშვილი რომელის, ფესვები ქარელშია და თვითონ კი ისრაელში ცხოვრობს. რა უნდა გამიჭირდეს ასეთი შვილების პატრონს. გულნაზი დედას კალთა მდიდარია ქარათული ფესვებით და ეს ის ფესვებია რომლებიც საქართველოშია და ისრაელში კი ზოგი ჯეჯილია და ზოგი კი მძიმე თავთავი.

ფიქრის საზღვარი

არ არსებობს საზღვარი,
საქართველოს შვილებთან,
ჩემი გული მანდ არის,
იორდანის ჯილესთან.
განვიბანე ვამხილე,
იქ, ვთქვი ჩემი სათქმელი,
ფეხს არ ვიცმევ ბახილებს,
სული დამხვდა ქართველი.
ბოროტების რა ვიცი,
სიყვარული მწყურია,
შუღლს და მტრობას განვიცდი,
გული იმერულია.

****

გეფერებით ჩემო სულიერო შვილებო, ბატონ აბრამ პაატა, ლოლა და იზოლდა!

არ დაიჯერებთ

როცა მზის სამყაროში ცხოვრობს ადამიანი მას არ ესმის სულის გამყინვარების ანაბანა. არ იცის დარდის ცეცხლში მიმწვარი კანის ტკივილი. არ იცის ცრემლის ზღვაში ცურვა იმიტომ რომ, არ უტირია. უფრო მეტიც საერთოდ იბადებიან უგრძნობი ადამიანები. პოეტს ტკივა, უსაშველოდ სტკივა!!! ტკივა თავისიც და ტკივა სხვისიც.

არასოდეს არ უნდა შეაფასო არავინ გარეგნულად როგორი ლამაზიც უნდა იყოს. თვალებში უნდა ჩახედო. თვალები სარკეა, იქ წაიკითხავ მისი გულის სიწრფელეს. 24 წლის წინ ჩემმა ჩემმა მეღლემ ვახტანგ სხირტლაძემ დამტოვა და ხელებში შემაყინა უიმედობა. გაფრინდა მარადისობის გზაზე და დამტოვა დარდის ოკეანეში. თორმეტი წლის შემდეგ, ჩემმა შვილმა მამის გზა აირჩია და ხომ წარმოგიდგენიათ შვილგარდაცვლილი დედა რა დღეში ჩავარდებოდი. იმდენად სასოწარკვეთილი დავრჩი ხავსაც ვერ ვკიდებდი ხელს სულის სალბუნად. სამი დღის შემდეგ ჩემმა ყოფილმა თანამშრომელმა პროფესორმა და-

რიკო ონიანმა დამირეკა და მითხრა: არ შეშინდე ობლებს მე დაგაზრდევინებო. ეს იმედიც წამართვა ბედისწერამ. ჩემი დარიკო ცუდად გახდა და მის გადარჩენაზე კითხვის ნიშნებიც კი აღარ არსებობდა. მოხდა სასწაული დარიკო გადარჩა. ფიზიკურად მისუსტებული სულის სიმხნევეს ლოცვაში ხედავდა. მისი სალოცავი კუთხე თითქოს გესაუბრება ისეთი დადებითი მუხტი გადმოდის ხატებიდან. საქართველოზე მლოცველი ჩემი ძვირფასი მეგობარი მონაზონი გახდა. ახლა ის დედა იოანაა. დაუბრუნდეთ წარსულს. ჩემში დამშრალი იმედის წყარო მაია ტყემალაძემ გააცოცხლა. დაუჯერებელია ახლა რასაც ვიტყვი მაგრამ, უთქმელობაც დანაშაული მგონია და აი, ამიტომ უნდა ვთქვა. ჩემთვის დამშრალი იმედის წყარო ჩემმა ძვირფასმა მაიკომ, სიკეთის ფერმა მაია ტყემალაძემ კვლავაც გამოაჩინა. ბევრჯერ მითქვამს და უამრავ გზის გავიმეორებ, იმ გაუსაძლისის დროს გული რომ ამოგლეჯილი მქონდა, უსაყვარლესი ვაჟი რომ აღარ მყავდა ერთი წლის განმავლობაში, მაიკო ყოველდღიურად მამხნევებდა, მირეკავდა, ძალას მმატებდა, რწმენას მინერგავდა რომ, ზეცის მარადისობა მარადიული საუფლოა. ამქვეყნიური ყოფა წუთიერია, – წუთისოფელია და მარადიული საუფლოს ღვთისგან მოვლენილი ყველა ადამიანის მუდმივი სამყოფელი ზეცაა სადაც, სული მუდმივ მგზავრობაშია... ახლა ამ ლამაზ ზეიმზე მინდა ვთქვა შესანიშნავი ქართველის ნიკოლოზ კურტანიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე რომ, განვიცადე. იმ ღონისძიებაზე სწორედ ჩემმა მაიკომ მიმიწვია. მე გავიცანი და სულიერად შევიგრძენი ღირსეული ქართველი რომელმაც, წლების წინ თავისი ავტოპორტრეტი ასე დახატა.,, შუახნის კაცი დაჭრილი გულით სავსე გრძნობით და სიყვარულით, თმაში ჭაღარით ცხოვრებით რთულით, დღითა ღამით კვლავ შემართული. სულ ფიქრობს გასცეს, არაფერს ითხოვს,

არავინ იცის სულს რითი ითბოვს,
სიკეთე გზაზე თუ ხვდება ხიდად,
თავს გრძნობს ისევ პატარა ბიჭად.

თუმცა, ცხოვრებას სად აღარ დაჰყავს, წამს რომ ხვალის დღეს უკეთესს ნახავს." ჩემს სულს საოცრად დაეთბუნა, მოესალბუნა ბატონი ნიკოლოზის საოცარი სტრიქონები.

,,ძალიან მინდა ისე ვიცხოვრო, უმწიკლიდ, როგორც ცხოვრობს პეპელა, ლაღად ვიფრინო, ვარდები ვკოცნო, წუთისოფელი ვკვალო ნელ- ნელა. სიხარულით აღსავსე ვიყავი როდესაც ბატონი ნიკოლოზის საღამოზე, მონაწილე ახალგაზრდებს, მაისურებზე ჩემი მაიკოს, უთბილესი, უსათუთესი ხელებით ნაკეთები,,,სიკეთის ხე" ეხატათ. ბედნიერი ვიყავი როდესაც ფოტოეკრანზე ვუყურებდი ფოტოვიდეო მასალებს და იქიდანაც ჩემი მაიკოს, რამოდენიმე ნახატი შემომციცინოდა... ამქვეყნად ადამიანის ყოფნის გამართლება ნუგეშის ცემაა, სიკეთის თესვა და სხვების გულში შენი წილი სიყვარულის, მზის დაბინადრებაა! ვიცი ხვალაც დიდი შემართებით უნდა ავდგე, უშრეტი ენერგიით უნდა ვიშრომო, რომ სიკეთის უწყვეტ ოქროსფერ ჯაჭვში, ჩემი წილი რგოლები გავამყარო!

შემთხვევით არაფერი ხდება

საფრანგეთში წამოსვლამდე, გულმა სულიერად გაიზაფხულა. ადამიანები ერთმანეთის საშველად და ტკივილადაც არიან მოვლენილნი. ხორცის დასერვაა როცა საყვარელი შვილი შენს თვალწინ დაგტოვებს და წავა ზეცაში. ჯერ არ დაბადებულა არც პოეტი და არც მეცნიერი ამ ტკივილის აღწერა ისე შეეძლოს, როგორც ამას შვილგარდაცვლილი დედა შეიგრძნობს. შექმნილია ბალადა,,ვეფხვისა და მოყმისა“,,წავიდე მეც იქ მივიდე სამძიმარ ვუთხრა შვილისა“. ერთ დარდის ქვაბში მოხარშულები ნამდვილად ვუგებთ ერთმანეთს. აი, მაგალითად მე და ლამზირა შეყილაძე, სულიკო თავბერიძე, ლიანა ოსიაშვილი და სხვები. ის გაგიგებს, ვინც ამ მწარე ტკივილითაა გულდათუთქული. იმიტომ თანაუგრძნობს შვილგარდაცვლილი დედა ვეფხვის დედას, რომ მან იცის ამ აუტანელი სიმწრისგან გამოწვეული ტკივილი.,,იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა“. როცა არა გყავს შვილი, მაშინ კი გასაოცარია ისეთი ყურადღება როგორიც ქალბატონმა მაია ტყემალაძემ გააკეთა ჩემს მიმართ. მოულოდნელი მეხი დამეცა და თან ჩამიყოლებდა კიდეც, რომ არ გამოჩენილიყო. მან ერთი წლის განმავლობაში შეძლო, ტკივილებიც გაიზიარა და რწმენითაც მომაძლიერა. სწორედ მაია ტყემალაძის რჩევით მოვხვდი თბილისში წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში. ესეც ნამდვილად უფლის ნება იყო. დაიგეგმა 53 ნომრის პრეზენტაცია გაიმართოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში. რაც შეეხება ჩემს გამგზავრებას საფრანგეთში, ეს დაგეგმილი საქმიანი გამგზავრებაა და არა კაფეებში დროს ტარება.,,ათინათის“ ელექტრონული ვერსია უკვე მზადაა. ეს აქ ყოფნის პერიოდში გამზადდა. პირველ რიგში მადლობა უნდა გადავუხადო, ლონდონში მცხოვრებ ქართველ პოეტს, ქალბატონ მზია კვირიკაშვილს. ქალბატონი მზია,,ათინათში" თარგმანების განყოფილების მთავარი რედაქტორია. ქალბატონ მზიას, მთელი საქართველო იცნობს როგორც (უანგაროდ) აუნაზღაურებლად მთარგმნელს. ეს არის ქართველი პოეტების ღვთის საჩუქარი. ჩემთვის კი საჩუქარიცაა და სულიერი შვილიც. მზიას საკუთარი შვილი არ ჰყავს. ჰყავს ნიჭიერი დისშვილები და ძმისშვილები ღმერთმა უმრავლოს. მაინც როგორ უთქმელად ესმის ჩემი ტკივილი. ის ხვდება როდის მიჭირს. იმაზე მეტს საკუთარი შვილიც არ გამიკეთებდა, რასაც მზია მიკეთებს. ის უანგაროდ მითარგმნის აკადემიაში გაერთიანებული პოეტების პოეზიას. ამიტომაა რომ, არ არსებობს სადმე ეკლესიაში შევიდე და არ დავლოცო. ღმერთო, კარგად მიმყოფე ჩემი სულიერი შვილი მზია კვირიკაშვილი. უფალო გადააფარე კალთა, რათა მის ცხოვრებაში გამოანათოს სიხარულის მზის სხივებმა. ჩემო აკადემიის წევრებო, მიყვარხართ, მახსოვხართ და მენატრებით. ასე რომ, სანამ პირში სული მიდგას, ჩემი დასვენება ყოველთვის შრომის სხვადასხვა გზების ძიება და პოვნა იქნება. ამ ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში კი მეხმარება, ჩემი მაზლისშვილი ელგუჯა სხირტლაძე, იურისტი (პოეტი) და შვილიშვილი ნანა სხირტლაძე (ფილოლოგი). მე ვცდილობ, დანარჩენი, უფლისთვის მიმინდია ყველაფერი. ამჟამად საფრანგეთის ქალაქ პონტაღლიეს ლამაზ ბუნებაში ახალ იდეებს ვაგროვებ.

დღეს ჯუმბერ ლეჟავას დაბადების დღე არის

ჯუმბერ ლეჟავა
და ბელა მოდებაძე

დრო დადგა გააცნობიერო ის, რომ, სადაც არ უნდა იყო, უნდა გახსოვდეს ერთი რამე – ყოველთვის უნდა აავსო შენი გონის ჭურჭელი დადებითი ენერგიით. ჰოდა, ამ განწყობით შევედი საფრანგეთის მეოთხე საუკუნეში აშენებულ ტაძარში. დუმილში გამეფებული უკვდავება გარინდულიყო. ალაგ-ალაგ სანთლის ალით გზა გავიკვლიე დიდ ტაძარში და ფიქრში წარსული გადაიშალა. ვიგრძენი რომ, ოცდამეერთე საუკუნეს არ ვეკუთვნიდი, ამ დროს არ შეგუებული აქეთ-იქით ვეძებდი ნამდვილ ადამიანურ სიყვარულს. მეოცე საუკუნეში დაბადებული და გაზრდილი ვიყავი. ეს რეალურად ასეა. 1950 წელს დავიბადე, საჩხერის რაიონ სოფელ ხვანში. იქ, სადაც ცამდე აწვდილ მთების ძირში მდინარე ძირულა ჩამოდის. წყლის ნაპირზე იმერულ თბილ კერიაში სიყვარულის ბუხარი გიზგიზებდა. ფეხშიშველა დავრბოდი წყლის ნაპირზე, ქვიშის ცომს ვზელდი და ხაჭაპურებს ვაცხობდი. ეს ის დრო იყო, ხალხს რომ ერთმანეთი უყვარდათ. ეს ის დრო იყო, ერთმანეთის სიხარულით რომ საზრდოობდნენ. ჩვენ შვიდი დედმამისშვილი ვიყავით. ხუთი ძმა და ორი და. ხუთივე ძმა, სხვადასხვა ასაკში გაიყვანა უფალმა დედამიწიდან და მარადიული მგზავრი გახადა. დავრჩით ორი და, გულნაზი და ეთერი. ჰოდა, როდესაც საფრანგეთის მეოთხე საუკუნეში აშენებლ ეკლესიაში მოვხვდი, ლოცვა წარსულიდან (მეოცე საუკუნიდან) დავიწყე და გავაგრძელე ოცდემეერთე საუკუნემდე. ვიდექი და ვეჩურჩულებოდი უფალს. არ ვაწუხებდი და არ ვთხოვდი სიმდიდრეს. მხოლოდ სიყვარულს ვთხოვდი. ისეთ ლამაზ და მშვიდ ოჯახურ ურთიერთობებს ვთხოვდი, ადრე რომ იყო მეოცე საუკუნის შუანახევარში. 23 ივლისი იყო, ჯუმბერ ლეჟავას დაბადების დღე. ბატონ ჯუმბერის მეუღლე რომ, გარდაეცვალა ქალბატონი ლიანა ალიბეგაშვილი, მან ცხრაწლიანი მოგზაურება სიყვარულსა და პატრიოტიზმს მიუძღვნა. ოჯახის სიმტკიცის სიყვარული და პარიტიზმი იყო მოგზაურის ცხოვრების კრედო. ბატონმა ჯუმბერიმ ცხრაწლიანი მოგზაურობა მიძღვნა ჟიული შარტავას რომელიც, ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა აფხაზეთში და მეუღლეს, რომლის სიყვარულიც გარდაცვალებითაც არ ეთმეობოდა. 3333 დღე იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო შოთა რუსთაველის დევიზით:,,ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია". ამჟამად მე თვითონ, საქართველოდან დროებით მოშორებულს, გამიასმაგდა ჩემი ერის, ჩემი საქართველოს სიყვარული და დაგლოცეთ ყველა. გარდაცვალებულებს კი, ბატონი ჯუმბერის თამადობით, ნათელი შეუთვალე. აბა რაა, დღეს ხომ მისი დაბადების დღე არის!

არ შემეძლო არ დამეწერა

ყველა დედას უყვარს თავისი შვილები და პირიქით შვილებსაც უზომოდ უყვარს თავისი დედა. განსხვავებული სითბო, განსხვავებული თვალთა ხედვა და ზღვასავით ღრმა თვალები აქვთ ელენე ზურაბაშვილის ქალ-ვაჟს. პატარების თვალები ხედავენ ყველაფერს. ხედავენ სევდას და ხედავენ სიხარულს. განსხვავებულები იმითაც არიან რომ, ცეკვავენ, მღერიან, ხატავენ და დედიკოს შრომაშიც ეხმარებიან. ბავშვები მაშინ იძინებენ როცა დედიკოს ძინავს. მათ მაშინ უხარიათ როცა დედიკოს უხარია. სკოლაშიც კარგად სწავლობენ. პატარების ნიჭიერებაზე ვისაუბრებ აკადემიის ლიდერებთან. აუცილებლად უნდა მოვიფიქრო რაღაცა ისეთი რომ, მათ აკადემიის მხარდაჭერა იგრძნონ. დიდ მოგზაურს ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ძალიან უყვარდა ბავშვები. შეიძლება ასეც გავაკეთოთ რომ, მოვიწვიო ბატონი ჯუმბერის შვილთაშვილები და მათ ერთმანეთი გავაცნო. გადაიღონ სურათები. პატარა ჩანახატიც კი სიხარულის ნაპერწკლებს აუნთებს მგრძნობიარე მერცხლებს. აკადემიის მიზანიც ხომ ეს არის. გამოვაცოცლოთ სევდიანი თვალები!

თავგადასავალი

სანამ ახსოვთ მანამ უნდა დაწერო. ჰოდა, გადავწყვიტე ამ დილით ჩემი საყვარელი მულიშვილები ლია, ლეილა და გია ნოზაძეები გავახარო თავისი საყვარელი ბებიის მოგონებით. კლავდია ბიცოლა, უფაქიზესი ქალბატონი იყო. მისი მეუღლე გრიგოლ სხირტლაძე დიდ სამამულო ომს შეეწირა. კლავდია ბუცოლამ გაზარდა ერთი ლამაზი ცქცვრიალა გოგონა თამრო სხირტლაძე. თამროს მკლავებ ამოშლ პატარა თათუნებს მოეფერა მამამისი და წავიდა და აღარც დაბრუნებულა. კლავდია ბიცოლა ოცი წლისიც არ იქნებოდა დარჩა პატარა შვილისა და მამათილის ვანია სხირტლაძის იმედად. ბოლოს მამათილიც გარდაეცვალა და მისი იმედი მხოლოდ მაზლი დარჩა შალვა სხირტლაძე ანუ ჩემი მამამთილი. ორი ძმის სახლი გვერდი - გვერდ იდგა, მხოლოდ ჭიშკარი ყოფდა. კლავდია ბიცოლასგან ყოველ დღე სიყვარულით და სითბოთი ვსაზრდობდი. ის არასოდეს საუბრობდა მეღლის გარდაცვალებაზე, სულ მოელოდა. ამ ლოდინში ოთხმოცდა რვა წლამდე იცოცხლა. როცა მასთან შევიდოდი თვალში მხვდებოდა სუფთად მოწესრიგებული ოთახი. ხშირად ვსაუბრობდით ერთად. საუბრის დროს ისე ლამაზად ჩართავდა დარიგების მაგალითს რომ, ადვილად შეამჩნევდი ამას რისთვის ამბობდა. ასე ვიზრდებოდი კლავდია ბიცოლას გვერდი - გვერდ სახლში. დიდი პანტა მსხალი გვედგა. მსხალზე იყო მსხვილი მავთული გამბული. ერთ სიტყვით სარეცხი თოკი. როცა მარტო ვრჩებიდი, გამოვიდოდი და ჩუმად ვარჯიშობდი. ჩამოვეკიდებიდი თოკზე, ფეხებს მკლავებში გავატარებდი და სანამ არ დავიღლებიდი ბრუნვებს ვაკეთებდი. გაზაფხულის თბილი დღე იყო. ყველა ხილი ყვაოდა. დილით სახლი მივალაგე, ეზო დავგავე და სანამ წყალს გადავივლებ ვიფიქრე სახლში არავინ არ არის და ახლა ვივარჯიშებ მერე კი

მოვწესრიგებდითქო. ასეც მოვიქეცი. დავეკიდე სარიცხის მავთულის თოკზე და დავიწყე ბრუნვების გაკეთება. თურმე კლავდია ბიცოლა ვენახში ყოფილა. აყვავებულ და გადაბარდნილ ხილში არ ჩანდა. ერთი- ორი ბრუნვი რომ გავაკეთე ხმა მომესმა. გულო... რა ვქნა ხომ არ გაგაჟა გამჩენმაო. იმ წუთში ვარჯიშს თავი დავანებე და დამნაშავე ბავშვივით გავიტრუნე. კლავდია ბიცოლა ვენახიდან გადმოვიდა, ფრთხილად მუხის ჯირკვზე ჩამოჯდა და თხრობა დაიწყო. მე პატარა გავთხოვდი. ხელით თოჯინებს ვკერავდი, მერე ვითომ ბავში იყო ვაძინებდიო. მე მეპატიებიდა ეს საქციელი რადგან პატარა ვიყავიო. შენ ხომ არ გაგაჟა ღმერთმაო. კლავდია ბიცოლასთან პირობა დავდე რომ, აღარ გავეკარებიდი სარეცხი თოკს სავარჯიშოდ, იღონდ ჩემი საიდუმლოება შეენახა. ასეც მოიქცა მან არ გაამხილა და მეც შევასრულე პირობა. თუმცა როცა სარცხს ვფინავდი ყოველთვის ნერწყვებს ვყლპავდი. მერე როცა უკვე მეც დედა გავხდი ხშირად ხუმრობით იგონებდა ამ ამბავს. ახლა იმიტომ ვწერ რომ, ამით ჩემს მულს თამროს და კლავდია ბიცოლასაც გავიხსენებ. ამ პატარა თაგადასავალის მოგონებით კი ჩემს მულიშვილებს ლია, ლეილა და გია ნოზაძეებს გავახარებ!

მაზლიშვილი

სიტყვა ბიცოლა - მაზლიშვილობას ისეთი თბილი ჟღერადობა არ აქვს როგორც, ამას განვიცდი. ერთი თვე არის რაც საფრანგეთში ჩამოვედით შენთან სტუმრად მე და ჩემი შვილიშვილი ნანიკო. რა ვთქვა ან რა დავწერო ისეთი სიტყვა რომ, შენი სითბო გადაწონოს. გულიდან ამოვალაგე ყველა მეტაფორა, ხელში მწვადივით ვატრიალე. ვეძებდი შედარებებს. მინდოდა განსხვავებული ყოფილიყო. ვერაფერი მოვიფიქრე. მოკლედ ვიტყვი. მიყვარხარ შვილო და გაბედულად ვაღიარებ. უკვალოდ არ ჩაუვლია იმ სითბოს ჩემგან გაცემულს, როცა სოფელში ჩამოხვიდოდი და თორნიდან ამოყრილი ცხელი ლავაშებითა და ხაჭაპურებით გიმასპინძლდებოდი. გაასმაგებულად გადამიხადე. დავბრუნდები საფრანგეთიდან საქართველოში შენგან გაცემული სითბოსა და ყურადღების ვალებით.

გარდა იმისა რომ, შენი პროფესის მცოდნე, პრწყინვალე იურისტი ხარ, ბიცოლა - მაზლიშვილს პოეზიაც გვაერთანებს!

დიდი მადლობა

ცნობილი კომპოზიტორი გიული ერგემლიძე საფრანგეთში ცხოვრობს. ამჟამად თბილისში არის. ერთი სიტყვით ასე მოხდა მე რომ, საფრენგეთში წამოვედი ის თბილსს ეწვია. აკადემიაშიც მესტუმრა ჩემი აკადემიის საამაყო წევრიებთან ერთად. ცნობილი ექიმი და პოეტი ია მოსულიშვილი და საკმაოდ ავტორიტეტული კოსმეტოლოგი ირინა ბერიანიძემ ქალბატონ გიული ერგემლიძესთაბ ერთად ლამაზი სალინური საღამო დამიღამეს. გზა დამილოცეს ლია ალადაშვილმა და ნორიკო მგელაძენ და შეძლებისდაგვარად სითბო არ დააკლეს ქალბატონ გიულის. ამჟამად ისევ საფრანგეთში ვიმყოფები ქალაქ პონტაღლიეში. მწვანეში ჩაფლული ქალაქი ყოველ ღამით მდინარის ხმის სიმღერის ხმაზე იძინებს და იღვიძებს. მდინარე სავსე არის კალმახითა და სხვადასხვა ჯიშის თევზებით. იხვები და გედები არხეინათ დასეირნობენ ალპებიდან მოსეირნე მდინარეში. თევზები და ფრინველები შეჩვეული არიან ხალხს. იციან რომ, დასაჭერად არავინ წაეტანება რადგან,

აკრძალულია. ლექსი ამ ბუნებიდან გამომდინარე დაიწერა. ერთ საათში გიული ერგემლუძეს ამღერებული ქონდა. მადლობა საყვარელო ქალბატონო. მე ერთ კვირაში დავტოვებ საფრანგეთს. დიდი ალბათობით შენ ისევ თბილისში დამხვდები. ასე რომ, შენს წამოსვლამდე მოგვიწევს აკადემიაში შეხვედრა.

ცხრამეტი აგვისტო

საჩხერის რაიონ სოფელ ხვანში ერთი ინტელიგენტური ოჯახი ცხოვრობდა. პავლე და მარუსა გელაშვილები. მათ თავისი საკუთარი შვილი არ ყავდათ და ქეთევან გელაშილი ისე გაზარდეს გამზრდელმა მშობლებმა რომ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ. მახსოვს ხვანის ფერდობზე ლამაზ აშენებულ სახლს ამშვენებდა სხვადასხვანაირი ჯიშის ხილი. ერთხელ მე და ნაილი ხარაიშვილი ვესტუმრეთ კულტურით და სისუფთავით გამორჩეულ ოჯახს. რაზე მივედით აღარ მახსოვს. მე მახლდენ ჩემი პატარა დაძმები. ბეჟანი, ეთერი და ამირანი. ქეთევანის დედამ ბალი დაგვიკრიფა და მოგვართვა. ჩემმა დაძმებმა თვალის დახამხამებაში გადაყლაპეს ბალი. ქალბატონი მარუსა

ისევ შეწუხდა და ბალი ხელმეორედ მოგვიტანა. ნაილიმ წამჩურჩულა, ბალი ცოტა დატოვონ თეფშზე ამათ ხე რომ,

მოუჭრან მაინც არ ეყოფათო. ბეჟანის მძლავრ ბლაგუნა ფეხზე დავადგი ფეხი და ვანიშნე რომ ბალი აღარ უნდა ეჭამა. ბეჟანიმ ამირანი გააფრთხილა, ამირანმა ეთერი და გადავარჩინეთ ბლის ტოტები მთლიანად გაკრეფას. ეს პატარა ბეჟანი ის დიდი პოეტია ქეთინომ რომ ლექსი მიუძღვნა. სამწუხაროდ მას ბედისწერამ ისე ჩამოათოვა ერთ აღზევებულ გაზაფხულსაც ვერ მოესწრო. თუმცა პატარა ასაკშიც დატოვა პოეზიით უკვდავება. ბეჟანი და ქეთევანი მაშურა მასწავლებელის აღზრდილი მოსწავლეები არიან.

ეს ლექსი კი ,,ათინათის" 53 ნომერშია დაბეჭდილი.

ვის შეადრით თქვენ ამ პოეტს,
აზრთა სიტყვის პატრონს,
უბრალოს და ნიჭიერსა,
ყველას ამყოლს დამყოლს,
მან იცოდა ბავშვი, ქალი,
ბატონობით საუბარი,
გამჭრიახი გონება და ...
ენა ტკბილი მოუბარი.
საამაყო ჩვენი ქვეყნის,
გამოზრდილი სოფლის სახლში,
თვალსაჩუნო აღნაგობის,
ღირდა გამოჩენა ხალხში.
მას შექება არ უნდოდა,
დახვეწილი ქონდა ნირი,
ჩემს ბავშობის მოგონებად,
მიმაჩნია როგორც გმირი!
თქვენზე დავწერ ბეჟან ძმაო,
რომ ნათელი არ მოაკლდეს,
უეჭველი მანდ შევხვდებით
და მოვყვებით ხვანის ამბებს "

ქეთევან გელაშვილი (კვიპაროსი)

მადლობა უფალს იმისათვის რომ, ხვანის მთის სუფთა ჰაერი უბუროტო და ნიჭიერ ახალგაზრდებს ზრდის. ქეთევანი იმდენად პატარა დავტოვე მე მისი თეთრი ქათქათა სახე მახსოვს მეტი არაფერი. ფეისბუქზე ჩემი ლექსები მოეწონანა და შემეხმიანა. ასე გავიცანით ერთმანეთი. დღეს 2024 წლის 19 თებერვალია, ნათელი დაადგეს ქეთევანის მშობლებს და ჩემს ბეჟანის ახალგაზრდად აფრენილ სულს. დღეს ქეთევანი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრი გახდა. ქეთევანი ემიგრანტია, მის პოეზიას არ დააკლდება წარმოჩინება. ახლა გამოვა ათიათის 53 ნომერი სადაც ქეთევანის ლექსებიცაა შეტანილი.

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საღვთო სიყვარულის მსახურება

გალაკტიონი სიყვარულის მრავალ სახეობას უმღეროდა, ამასთან, საღმრთო სიყვარული დასახა ყველაზე უძლეველ და ჭეშმარიტ გრძნობად.

პოეტისთვის მთავარი იყო „ზექვეყნიური სიყვარული“.

გალაკტიონი იყო სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი, მზითშემოსილი ანუ ღმერთშემოსილი, მორწმუნე: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“.

სიხარული საღმრთო სახელია: „აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკას სახარება, 2,10,11) (1,113).

გაზაფხული ძველი ქართულით ზაფხული უფლის სიმბოლოა წმინდა წერილში: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 29,30,12) (1,550).

პოეტების მეფე ხაზს უსვამდა თავისი სიყვარულის განსაკუთრებულობას: „...ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული, ...აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი“ (დადგა აგვისტო) (2,380).

მართლაც, პოეტის თანამედროვე ათეისტურ ეპოქაში ხელახლა აღმოჩენა გახდა უზენაესის სიყვარული.

გალაკტიონისვთის პოეზია იყო სულიწმინდის მადლი, სიტყვის ოსტატის მისია – რწმენის, სიყვარულის მსახურება, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება.

პლატონის მიხედვით, „მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს ადამიანი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში (ნადიმი)“ (3,14).

შთაგონება, გენიალობა ეროსთან წილნაყარია.

არსებობს მიწიერი და ციური ეროსი.

„ჭეშმარიტი გზა სიყვარულისა – ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა... ესაა მშვენება წმინდა, შეურყვნელი და შეურევნელი კაცის ხორცით, ფერებით და სხვა ხრწნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერება“ (3, 63).

პავლე მოციქული, როგორც „სულიწმინდის ქნარი“, ასეთ სადიდებელს აღუვლენს სიყვარულს: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რკალი ვარ მოჟღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

„წინასწარმეტყველების მადლიც რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ.

„...სიყვარული სულგრძელია და ტკბილი, სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს.

„არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ იზრახავს ბოროტს.

„არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს.

„სიყვარული არასოდეს არ გარდავა, თუმცა წინასწარმეტყველებანი განქარდება, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა.

მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესია სიყვარული“ (პავლე მოციქულის ეპისტოლენი, I კორინთელთა მიმართ, 13,1-13)(1,375-376).

თითქოს წმინდა მამის შეპასუხებად ისმის გალაკტიონის სიტყვები: „მე სული არ მაქვს ამქვეყნიური... და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს გამოუთქმელი და მწარე ალი“ (არ მინდა სიტყვა) (4,36).

დანტე ალიგიერს იზიდავდა „სიყვარული პირველი, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი, მისნური სიყვარული“.

სულიერ ზეცაში შეიგრძნო დანტემ არამიწიერი სიქველე და იქვე შეიცნო „სიყვარული სხვადასხვაგვარი“.

„ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი მოგვიწოდებდა: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“ (5,483).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ღმერთს ეწოდება: „პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (1,492).

გალაკტიონის პოეზიაში საღვთო სიყვარული მოიხსენება, როგორც „პირველი სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული, ტრფობა სრული, ზექვეყნიური სიყვარული“.

სუფისტურ ასპექტში კითხულობენ რუსთველურ მიჯნურობას ზვიად გამსახურდია, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი.

სუფისტური სიყვარული უმთავრესია აღმოსავლურ პოეზიაში.

ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „სიყვარულს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი, ვაჟა, ტერენტი გრანელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „სიყვარული“ და „სულიკო“ ერთდროულად (სულიკო).

ხოლო „საყვარლის“ წყარო არის ბიბლია: „...ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“ (ქებათა ქება სოლომონისა (5,16)(6,15-16).

საღვთო სიყვარული გამოვლინდა რუსულ პოეზიაშიც (ვლ. სოლოვიადი, ალ. ბლოკი).

გალაკტიონისთვის მხოლოდ უზენაესის სიყვარულია „სრული ტრფობა“ (მიმღერე რამე).

გალაკტიონი ხედავდა „ცათა ცას“, უზენაეს მეუფეს, სამყაროს მამოძრავებელ ძალას, უკვდავების მომნიჭებელს: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

დანტეს მიხედვით, ღმერთი სიყვარულია, სამყაროს, მზის და პლანეტების შემქმნელი და მამოძრავებელი.

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ღმერთი არის „დიადი სიყვარული“ (აღსარება) (7,390).

გალაკტიონის პოეზიაში საღვთო სიყვარულს გულისხმობს როგორც „პირველი სიყვარული“, ისე „უკანასკნელი სიყვარული“. „პირველი სიყვარული“ ამ გრძნობის უპირველესობას, უზენაესობას უსვამს ხაზს, ხოლო ეპითეტი „უკანასკნელი“ გვაუწყებს, რომ ეს იშვიათი გრძნობა ადამიანის ცხოვრების მიმწუხრში მოდის, უკანასკნელ სტადიაში და საბოლოოდ „პირველი“ და „უკანასკნელი“ ადამიანური სიყვარულის უმაღლესი, უზენაესი საფეხურია, ამიტომ კეთდება აქცენტი ორივე ცნებაზე: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის _ ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან, უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს“.

ლექსის ბოლოს ხაზი ესმება ამ სიყვარულის „ჭკნობას“, რაც გულისხმობს ათეისტურ ეპოქაში ღმერთისგან განდგომას. როგორც თვითონ აცხადებს, ათეისტურ ეპოქაში გალაკტიონი იყო „ჯერ ყველასგან მიუვლეველი სიყვარულის“ აღმომჩენი (უსიყვარულოდ) (2,25).

პოეტის აზრით, უღმერთო არსებობა არარსებობის ტოლფარდია. ერთადერთი ხსნის გზა სიყვარულია, „სიყვარულის სიმღერა“: „... გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი (ილიას მოტივი) (4,602).

სწორედ უზენაესის სიყვარულით „თრობამ“ შეაქმნევინა გალაკტიონს – საღმრთო სიყვარულის უბადლო ტრუბადურს, რომელთაც სულიწმინდის წარუხოცელი კვალი ატყვია.

მერაბ კოსტავას პოეზიაში უმთავრესი ადგილი სწორედ საღმრთო სიყვარულს უკავია: „...ეგ საღმრთო ტრფობა თუ გამიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულქმნილმან სიყვარულმან განდევნოს შიში“ (ბიბლიური რემინისცენციები) (8,87-104).

საღვთო სიყვარულს უკავშირდება „საღვთო ეთიკა“, „საღვთო ცეცხლი“.

მერაბ კოსტავასთვის მთავარია „რწმენა, იმედი, სიყვრული“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (8,25).

დაცემული სულის მხსენლია „რელიგია, სიბრძნე, სიყვარული, მშვენიერება“ (ეტიუდი C-moll(24)(8,83-84).

ლექსში „ყველგან და არსად“ ნათქვამია: „...სიბრძნეც კი განქარდება, დარჩება მხოლოდ სიყვარული“ (8,116).

პოეტი ასევე ყურადღებას ამახვილებს „საღვთო ჰანგზე“ „საღვთო ქორწილზე“ და ამის საწინდარია საღვთო სიყვარული (ლექსი) (8,60-61).

გალაკტიონთან, საღვთო სიყვარული მოიხსენება, როგორც „ტრფობა უკანასკნელი“ (გალაკტიონი) (8,144-162).

აქვე ნათქვამია: „...ვირწმუნეთ, თვით უკვდავება რომ არ არსებობს უსიყვარულოდ“.

მერაბ კოსტავა ამ ჭრილში ანთროპოსოფიის ფუძემდებელს – რუდოლფ შტაინერს იმოწმებს: „კაცობრიობის მორალური მზე უწოდა შტაინერმა სიყვარულს.

„განა სიყვარულის გრადაციაზე არ არის დამოკიდებული ადამიანის შემდგომი ევოლუცია?“ (ფიქრები საქართველოს მისიაზე (9,55).

მერაბ კოსტავას იდეალი იყო მიღმური სამყაროს, სულეთის მხილველი, საღვთო სიყვარულის განმცდელი, „სხვისთვის უხილავ-ფარულის“ მჭვრეტელი, მესიური მასშტაბების გალაკტიონი (გალაკტიონი).

კოსმიური, ზოგადსაკაცობრიო მასშტაბებიდან ზომავდა მხატვრული სიტყვის მისიას, რაც შესაძლებლობას აძლევდა, თვითონაც მხოლოდ ასეთი, მხოლოდ რჩეულთათვის დამახასიათებელი კრიტერიუმები შეერჩია, მაგრამ ისე, რომ ყოველთვის შეენარჩუნებინა შემოქმედებითი ინდივიდუალობა.

გალაკტიონივით, მერაბ კოსტავას გზამკვლევი იყო რელიგიურობა, წმინდა წერილის სიბრძნე.

„ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი და ის იქნება ჩემი მშველელი“, აცხადებდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 117-118, 14) (1,651).

უზენაესისკენ მიმართავდა სულის მთელ ძალისხმევას ესაია წინასწარმეტყველი: `უფალია ჩემი სიმღერა.

„აჰა, ღმერთია ჩემი ხსნა, ჩემი ძალა და სიმღერა“ (12,2,3)(9,82).

„ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე~ (5,7)(6,76).

სიყვარული საღვთო სახელია: „...ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (იოანე მოციქულის I წერილი, 4,8)(1,230).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში „პირველი სიყვარულის“ ადრესატია ღმერთი (2,4) (1,492).

ღმერთს ეწოდება „სულის შეყვარებული“, „საყვარელი“ (ქებათა ქება სოლომონისა, I,7,V,16)(6,487,489).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ერთაერთი ხსნა, ერთადერთი იმედი სიყვარულია, რელიგიური საგალობელია: „...გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი) (2,602).

პავლე მოციქულისთვის მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია“ (I კორინთელთა მიმართ, 13,1,2,3,4,5,6,7,8,13).

გალაკტიონი საღმრთო სიყვარულს უწოდებს „ზექვეყნიურ სიყვარულს“, „მზიან სიყვარულს“, „სრულ ტრფობას“. ღმერთს მოიხსენიებს, როგორც „პირველ და უკანასკნელ სიყვარულს“ (უსიყვარულოდ) (4,18).

საღვთო სიყვარულის პრობლემას ეხება გალაკტიონის „მიმღერე რამე“, „ის“.

პოეტის საღვთო სიყვარულის იდეა წილნაყარია როგორც დასავლეთთან _ პლატონის ფილოსოფიასთან, ისე აღმოსავლურ სიბრძნესთან.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ამ გრძნობას ეწოდება „სიყვარული პირველი, სიყვარული ღვთაებრივი, დაუშრეტელი, მისნური სიყვარული“.

„ბიბლიურ რემინისცენციებში“ მერაბ კოსტავა აცხადებს: „ეგ საღმრთო ტრფობა თუ გამიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულმნილმან სიყვარულმა განდევნოს შიში“ (7,87-104).

„ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“ ზვიად გამსახურდია დაწვრილებით საუბრობს ამ პრობლემაზე.

მერაბ კოსტავას სულის ხსნის გზად „მიაჩნია „რელიგია, სიბრძნე, სიყვარული, მშვენიერება“ (ეტიუდი C-moll).

პოეტი ევედრება უზენაესს: „...ღირსად მყავ შენი გამოცხადების, დამბადებელო და მაცხოვარო... მარადი მამის მარადო ძეო, რწმენავ, იმედო და სიყვარულო“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (8,25-27).

შტაინერის კვალობაზე, პოეტს სიყვარული ესახება „კაცობრიობის მორალურ მზედ~(9,55).

ტოლსტოი მოყვასის სიყვარულს თვითონ ინტელექტუალურ განვითარებაზე მაღლა აყენებდა „ქრისტიანის დღიურში“(9,199).

„სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი, დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო“ წერდა ზვიად გამსახურდია (10,57).

ამასთან მერაბ კოსტავასთვის მთავარია „მამულის ტრფობით ნაშიმშილები“ ადამიანი(მამაც მეომრის გაგცვეთია ქუსლებზე დეზი) (8,63).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
3. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964
4. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
5. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გასახურდიასი, „პალიტრა L“, თბ., 2012
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
7. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ., 1995
8. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
9. მერაბ კოსტავა, „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, „საქართველო“, თბ., 1991
10. ზვიად გამსახურდია, „საქართველოს სულიერი მისია“, თბ., 1991

ნანა სხირტლაძე

"ათინათის" 52-ე გამოცემა

სამზეოზე გამოვიდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მრავალპროფილიანი, საერთაშორისო აკადემიის, ჟურნალ "ათინათის" ახალი, რიგით 52-ე ნომერი...როგორც წინა 51-ე, ასევე ახალ 52-ე გამოცემას ჟურნალს ვეღარ დავარქმევთ, რადგანაც "ათინათის" ბოლო ორი ნომერი, ახალი (განსხვავებული) ფორმატით, სქელყდიანი წიგნის სახით გამოიცა. ამიტომაც, უფლება გვეძლევა, რომ ვთქვათ "ათინათის" მეორე კრებული გამოიცა...კრებულის გარეთა ყდებს, კვლავაც (ბატონ რეზო ადამიას მიერ დახატული) წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის გამოსახულებები ამშვენებს...

"ათინათის" 2024 წლის მეორე (რიგით 52-ე) გამოცემის მთავარი რედაქტორია გულნაზ ხარაიშვილი; რედაქტორი-ნანა სხირტლაძე; რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი- მამა ამირან ამირანაშვილი; პასუხისმგებელი მდივანი-რეზო ადმია; აკადემიის სწავლული მდივანი-მალხაზ ჩხიტუნიძე; საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები-თეა კანდელაკი და თემურ გოგსაძე; ფიზკულტურის და სპორტის განყოფილების რედაქტორი- თენგიზ ფანცულაია;

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები- ტიტე მოსია და ლუარა სორდია; ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი-ეთერ ჭელიძე; ხელოვნების განყოფილების რედაქტორები- ნიკო ხერკელაძე და გულიადა სანოძე; მედიცინის განყოფილების რედაქტორი-ნაირა უგულავა; ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი- ვალერი მოსიაშვილი; იურიდიული განყოფილების რედაქტორი-ირაკლი ნადარეიშვილი; რედკოლეგიის წევრები- ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი), იური მამედოვი (აზერბაიჯანი), მარინე სხირტლაძე, ლამზირა შეყილაძე; კომპიუტერული უზრუნველყოფა-დათო ყანდაშვილი.

"ათინათის " 52-ე ნომერში (ანალოგიურად წინა ნომრისა), გარეთა ყდის შიდა გვერდზე ბინა დაიდო, მხატვარ რეზო ადამიას მიერ დახატულმა, შოთა რუსთაველის პორტრეტმა, რომელიც ერთი შეხედვით, უფლის ხელთუქმნელ ხატსაც კი წააგავს...მხატვრის მიერ დახატული, დიდი შოთას ახლებური პორტრეტი, რეალურად ახალ სათქმელს ამბობს უკვდავი "ვეფხისტყაოსნის " ავტორის, ამოუცნობი, გენიალური აზროვნების მქონე პიროვნებაზე...ასევე, გარეთა ყდის შიდა გვერდზე (წიგნის ფინალურ ნაწილში), თვალში მოსახვედრია დიდი შოთას უკვდავი სიტყვები: "ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია"...იქვეა განთავსებული, დიდი პიროვნების, მსოფლიო მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას ფოტო, რომელიც ეგვიპტის პირამიდების ფონზე, გაშლილი ხელებით, სრულიად სამყაროს ესალმება...ამავე გვერდზეა განთავსებული, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი-"აკადემიის წევრების ფიცი ", რომელიც ინგლისურ ენაზე, ქალბატონმა მზია ლოურენსმა თარგმნა...

"ათინათის" 52- ე ნომერი, ტრადიციულად სასულიერო პირთა შემოქმედებით იწყება. ყურადღებას იპყრობს, ხატმწერების:ხატია, გელა და გიორგი ლარიაშვილების მიერ დაწერილი წმინდა ნიკოლოზის, შობის და აღდგომის,ულამაზესი ხატები, რომელთაც დაბა წყნეთის (მერვე საუკუნის)წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში დაიდეს ბინა...ამავე ნაწილში ყურადსაღებია, წმინდა მამა გაბრიელის (სალოსის) ქადაგება, რომელიც მრევლს მოგვიწოდებს:"თქვენ რომ ხედავდეთ,

როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმით სახე დაგებანათ"...

სასულიერო ნაწილში განთავსებულია, უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს ქადაგება:"მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქვს, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება იკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გაუკეთეთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგიბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი!"..მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) კი მოგვიწოდებს: "ქრისტე ღმერთმა დაგვიფაროს, გვაკურთხოს და გაგვახაროს; – სამარადისოდ-ამინ!"..

"ათინათის" დასაწყისშივე დაბეჭდილია, პირადად ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი "საინგილოს ვარდები", რომლშიც ასე მივმართავ მკითხველს:

ბილიკ-ბილიკ, გზის აღმართზე,
ვარდს ვეძებდი, ვერსად ვნახე,
სხვას არასდროს არ წავართმევ,
უბრალოდაც ხელს არ ვახლებ...

"ათინათის" ახალ კრებულში, მკითხველი გაეცნობა, ჯგუფი ზღვარის ახალ ლექსებს, რომელიც წარმოდგენილია- სერგი ლომაძის, კახა ბაციკაძის და გიორგი ზუხბაიას, ულამაზესი პოეზიით...

"ათინათის" პოეზიის განყოფილებაში განთავსებულია, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირების, ძალიან ლამაზი ლექსები...

კრებულში დაბეჭდილია (უცნობი პოეტის რუბრიკით), მემ ელოუნის, ძალიან ლამაზი ლექსები...

პოეზიის განყოფილებაში განთავსებულია, ძალიან ლამაზი ლექსები, ისეთი პოეტების, როგორებიც არიან: მამა ამირან ამირანაშვილი, ბერდიაკონი ნეოფიტე, ია მოსულიშვილი, ნანა ცინცაძე, თინათინ უზარაშვილი- თორდია, ტიტე მოსია, ედუარდ უგულავა, ეთერ ჭელიძე, ნაირა უგულავა, მალვინა ჭელიძე, ნელი საგინაძე, გულიკო კაპანაძე, ხათუნა თედიაშვილი, გერონტი მესხი, ლეილა გაფრინდაშვილი, ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი, დარეჯან ღონღაძე, ნელი მუჯირი, თემურ გოგსაძე, მთვარისა ზეინკლიშვილი, გარი ჩაფიძე, ნორა მგელაძე, მაგული კორძაია, ლამზირა შეყილაძე, ირმა ტყემალაძე, ხათუნა ცომაია, ქეთევან გელაშვილი, ანზორ შერვაშიძე, იოსებ ტაბიძე, ნატალია აბდუშელიშვილი, ეთერ ლობჟანიძე, დავით მოდებაძე, ლეილა ვადაჭკორია, გიგი თეთრაძე, ანამარია ლილუაშვილი, მანანა სამყურაშვილი, თენგიზ ფანცულაია, მირზა ვარძუკაშვილი, ბესო ჩუბინიძე, გვანცა პაატაშვილი, ლეილა მაჩაიძე, მაია ქასრაშვილი, ბელა მოდებაძე, მარინა მანჯგალაძე, ცაგო აბაშმაძე, ელისო ფიჩხაია, გაგა გოგრიჭიანი, ია ხალვაში, ნანა ჩარკვიანი, ნესტან გეგეშიძე, მზია ერგემლიძე, დარეჯან მაჭარაშვილი, მზია ელიაძე, თეა ბარბაქაძე, აზა შანავა, ნინო მოსაშვილი, ნინო უძილაური, ნინა გიორგაძე, თამრო ნიჟარაძე, ვალია კვაშილავა, ეთერ ისაკაძე, ვერიკო პარწიკანაშვილი, მარინა დიერაშვილი, ლალი სოხაძე, მაკა გრიგალაშვილი, გოჩა ჭაბუკაიძე, თამარ ფიცხელაური, ლია ალადაშვილი, თინა სტეფლიანი, ირინა ბერიანიძე, ნანა გიგუაშვილი, მზია გირგვლიანი, იზოლდა ნიბლაძე, ნათია ჯიქურაშვილი, ნათელა ხარაიშვილი, მარინა კოლხელი, თინათინ ხაბურზანია, მარეხი რიკაძე, ელენე ზურაბიშვილი, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე, თინა ბასაბაშვილი, ბეჟან ხარაიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)...

მიძღვნით ნაწილში წაიკითხავთ,ჩემს, გულნაზ ხარაიშვილის ლექსებს, რომელსაც დიდი სიყვარულით ვუძღვნი ახლობლებს, საყვარელ ადამიანებს, როგორებიც არიან: ანზორ შერვაშიძე,

ნორიკო მგელაძე,ნინა საბოშვილი, მზია გირგვლიანი, მადონა ქალდანი, იოანე ლობჟანიძე, ბელა მოდებაძე, ნინო ღონღაძე და სხვები...

"ათინათის" გამორჩეული განყოფილებაა, თარგმანების ნაწილი, სადაც წაიკითხავთ, ლონდონში მცხოვრებ, ჩვენი თანამემამულის, უნიჭიერესი ქალბატონის, მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის მიერ თარგმნილ ნაწარმოებებს, რომლებიც ეკუთვნის, თანამედროვეობის გამორჩეულ შემოქმედ ადამიანებს, როგორებიც არიან: მაყვალა გონაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, თემურ გოგსაძე, ირაკლი ნადარეიშვილი, ირმა კეკელიძე, ნინო უძილაური, ეთერ ჭელიძე, იზა ჭიკაიძე, ბელა მოდებაძე, ხათუნა ჩიტაძე,ლია ალადაშვილი, ქეთო ჯომიდავა და სხვები.

საბავშვო ნაწილში, განთავსებულია, მარინა დიერაშვილის, ძალიან საინტერესო ლექსები, რომელიც აუცილებლად მიიპყრობს პატარა მკითხველების ყურადღებას.

"არდავიწყება მოღვაწეთა " ნაწილში, განთავსებულია მეუფე თადეოზის ლექსი "ყვავილი", სადაც ავტორი ასე მიმართავს მკითხველს:

ყვავილი მიწის ღიმილია, ზეცის შუქია,
სიწმინდის საგალობელია და ბრძენთ უქიათ.
საიდუმლოა მაღალ სიბრძნის ყოვლად უბიწო...

ამავე ნაწილში დაბეჭდილია დავით გამთენაძის (1993 წ.4. ოქტომბერი) დღიურიდან ამონაწერი, რომლის სახელწოდებაცაა "ჭუბერი". მოგონებაში, მთელი სიმძაფრით არის აღწერილი, ის ყოფა, ის განცდა, ის ტკივილი, რაც ჩვენმა მებრძოლებმა, დევნილებთან ერთად, აფხაზეთის დატოვების, ჭუბერის გადავლის დროს ნახეს და გადაიტანეს...

პროზის განყოფილებაში, წარმოდგენილია, კლასიკოსი მწერლის, რევაზ მიშველაძის რომანის "წამებას" გაგრძელება. დასაწყისი დაბეჭდილია ჟურნალ "ათინათის" 28-32, 45-51 ნომრებში...რომანის გაგრძელებაში, დიდი მწერალი, რეზო მიშველაძე, ძალიან საინტერესოდ მიმართავს მკითხველს (განსაკუთრებით სტუდენტებს): "ბატონო სტუდენტებო! თქვენ არ გემახსოვრებათ და მე მახსოვს თბილისის ქუჩებში მავალი ჭაღარაწვეროსანი, ტანსრული, ჭილოფისქუდიანი, შავპიჯაკიანი და ხელპორტფელიანი საუკუნის მოხუცი გალაკტიონ ტაბიძე. "ჯერ კი გვქვია ქართველები, თუ არ გაგვაესკიმოსეს", – დაიჩივლა მან ერთხელ და ეს იყო მარჯვედ ნასროლი ყუმბარა იმათ მიმართ, ვინაც ქართველი ერის გადაგვარებას ესწრაფვოდა. ქართველთა სულის მესაიდუმლემ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. გაინტერესებთ, როგორ მოკვდა გალაკტიონი? მაშ ყური დამიგდეთ... მართლაც, თუ ყურს დაუგდებთ, წაიკითხავთ, დიდი მწერლის რომანს "წამებას", აღმოაჩენთ ძალიან დიდი ტკივილით, დიდი გრძნობით, დიდი სასოებით ნათქვამ რეალობას, რომელიც მწერლის გულწრფელ განცდას და დიდ სიყვარულს გვანახებს, ჩვენი ერისა და ქვეყნის მიმართ...

პროზის ნაწილში, აგრეთვე დაბეჭდილია, ქართველი მწერლების, პროზაული ნაწარმოებები...მწერლებს შორისაა: ნელი საგინაძე, ელგუჯა მგელაძე, ირმა კეკელიძე, ლია ჩიქოვანი, მარინე ქარსაულიძე, ნათელა ხარაიშვილი, ნინა გიორგაძე, მირანდა ზაბახიძე, კლარა გელაშვილი...რაც შეეხება პუბლიკაციურ ნაწილს, მკითხველი წაიკითხავს- გულნაზ ხარაიშვილის, დარიკო ონიანის, ციური ხუჭუას, გვანცა ხარაიშვილის, ძალიან საინტერესო (აქტუალურ) პუბლიკაციურ წერილებს.

წერილების ნაწილში, განთავსებულია, თანამედროვეობის, ასევე ძალიან საინტერესო და აქტუალური წერილები, რომელთა ავტორებიც არიან- ლუარა სორდია, ტიტე მოსია, გულნაზ ხარაიშვილი, ირმა კეკელიძე, ხათუნა ელიაშვილი.

რუბრიკა "მოგზაური", გვთავაზობს ჯემალ კასრაძის ძალიან საინტერესო ჩანაწერებს (პუბლიკაციებს), რომელიც ისევ და ისევ, დიდი მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას პიროვნებას და ცხოვრებას ეხება...

"სიბრძნის სკივრში" მკითხველი კვლავ წაიკითხავს, ნაირა უგულავას, ძალიან საინტერესო ნაშრომის "აისის აპელიოტის" გაგრძელებას, რომლის დასაწყისი დაბეჭდილია "ათინათის" 49-51 ნომრებსა და ანთოლოგიის მე-13 ტომში... აქვე წაიკითხავთ, ნაირა უგულავას "ბრალის თეორიას", რომლის დასაწყისი დაბეჭდილია ანთოლოგიის 10-13 ტომებსა და "ათინათის" 38-51 ნომრებში.

ისტორიის ნაწილში განთავსებულია, გოჩა ჭელიძის, ძალიან საინტერესო ნაშრომი "კავკასიის ფენომენი", სადაც ავტორი გვეუბნება, რომ "კავკასიონი საქართველოს ერთ-ერთი მორფოლოგიური ერთეულია"...ნაშრომის წაკითხვისას, წინ გველოდება ძალიან საინტერესო ინფორმაცია, თუნდაც იმ საკითხის ირგვლივ, თუ რას ნიშნავს-"კავკასიური რასა, ანუ თეთრკანიანები"...

ძალიან ემოციური და სულში ჩამწვდომია, მზია კვირიკაშვილის ჩანახატი, რომელსაც განცდის გარეშე ვერ წაიკითხავთ. ავტორი მოგვითხრობს ოთარ ჯომიდავას ისტორიას...ავტორის სიტყვებით: "ოთარ ჯომიდავა ქართველი გმირია და ასეთი ვაჟკაცების გმირობანი აუცილებლად უნდა წარმოჩინდეს და ქართველმა ერმა უნდა იცოდეს მათზე...დიდება გმირებს!"

ეკონომიკის ნაწილში, წარმოდგენილია, ეკონომიკის დოქტორის, პროფესორის ვალერი მოსიაშვილის და სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის მერი ნეკრესელაშვილის, ძალიან ღრმა (მნიშვნელოვანი) წერილი- "ცენტრალური ბანკის ტიპის საბანკო დაწესებულების ფუნქციონირების ისტორია საქართველოში "...ავტორები მოგვითხრობენ, რომ " საქართველოში საბანკო სისტემის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი ბანკები ემბრიონის სახით, ჯერ კიდევ ჩვენ წელთ აღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში იღებენ სათავეებს"...

"ხელოვნების" რუბრიკაში განთავსებულია, ირმა კეკელიძის წერილი, რომელიც (მაყურებლის პოზიციიდან) გვაცნობს, გვახსენებს, რუსთაველის თეატრის, ეპოქალურ სპექტაკლს – "მოხუცი ჯამბაზები"... რომელიც რუსთაველის თეატრში, თანამედროვეობის უნიჭიერესმა რეჟისორმა, გოჩა კაპანაძემ დადგა. აქვეა დაბეჭდილი, ამავე წერილის ინგლისურენოვანი ვარიანტი, რომელიც მაღალ დონეზე თარგმნა, უნიჭიერესმა შემოქმედმა, ქალბატონმა მზია ლოურენსმა...ამავე რუბრიკაში შეძლებთ წაიკითხოთ, თეა კანდელაკის წერილი, ნიჭიერ ხელოვანზე- ირმა სადაღაშვილზე... აქვე შეხვდებით, ირმა სადაღაშვილის ნამუშევრებს, ფოტო მასალის სახით.

"მილოცვის" ნაწილში, საპატიო ადგილი უჭირავს წერილს, რომლშიც უსაზღვრო სიყვარულით, მილოცავენ დაბადების დღეს (თქვენს მონა- მორჩილს), გულნაზ ხარაიშვილს, ლოლა და აბრამ (პაატა) იოსებაშვილები!..როგორ არ ვიყო ამაყი, როდესაც საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში (მეუღლესთან ერთად), ასეთი სიტყვებით მეფერება:"გისურვებთ მზით გაბრწყინებულ დღეებს, თვეებს და წლებს, ურყევ ჯანმრთელობას, ბედნიერ წელთა სიმრავლეს, რომელსაც ისევ და ისევ თქვენდამი ღრმა პატივისცემით, თქვენ შვილებს, აკადემიის წევრებს ახარჯებთ და უნაწილებთ, თავს დაფუსფუსებთ, ლოცავთ და ლოცავთ! იმ გარემოსაც დაგილოცავთ, სადაც თქვენი კურთხვა-ლოცვა ფასდება!".. ამავე ნაწილში, მოლოცვის ლექსები მომიძღვნეს- ნინა გიორგაძემ და ბელა მოდებაძემ, რომელთა მიმართაც, გულწრფელი, მადლიერების გრძნობა გამაჩნია...

და ბოლოს, გილოცავთ "ათინათელებო" 52-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა გამოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავმდაბლობა უყვარს!..

პატივისცემით, რედაქტორი, გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ხათუნა ელიაშვილი

ს ი ბ რ ძ ნ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა
შენს მაღალ "მე"-ში.

იოანე ზისიმე
ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ.
(განხილვა)

1

ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე!

მოსაუბრეა ქართული ენა! სადაც ი-ო-ან-ე საიდუმლოებებით სავსე კოდია.

ი – ბგერა თესლია.

ო – სუნთქვის ადგილი, საიდანაც სხეული ჟანგბადით ივსება, იკვებება. სიცოცხლის საწყისია აქ. ეს ცხვირია, ნესტოები.

ან – აბანის საწყისი.

ე – ენის ამოდგმა ხდება "ე" ბგერით.

ანე – თურქულ ენაში დ ე დ ა ა.

ენათა ერთობლივობა არსებულ სამყაროში კოდირებულია საიდუმლო ინფორმაციით და ერთმანეთში კავშირში არიან, არსებობს სიტყვათა რაოდენობა სადაც დიდი მგვანება და ერთნაირი ინფორმაციაა შიგ.

ზ – ო ს ი – მ ე.

ზ – ბგერა ქართულ ენაში უსასრულობას ნიშნავს, ზ ე ც ა ს, ზეციურს გულისხმობს, ზღვას, ზარს!

ო – ს – ი ბგერების უმაღლესი კომბინაცია, სადაც გული და სუნთქვა ერთმანეთს უკავშირდება.

ო – ჟანგბადის მიღების ადგილი, ცხვირი.

სი – ნოტია და გული.

საიდანაც სიცოცხლე ათვლას იწყებს!

მ ე – თვითეული ჩვენთაგანი.

ანუ სრულიად კაცობრიობა და ჩვენში არსებული "მ ე".

ამრიგად ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე არის საკაცობრიო გზავნილი, სიცოცხლის წყარო, ბგერებში შევსებული ენერგია, რასაც სიცოცხლის უსასრულობაში მიჰყავს კაცობრიობა!

მისი გზა თუ კი გათვალისწიებული იქნება და სწორი გაგება, მაშინ სიცოცხლის მბადებელია და უკვდავებაში გადის!

აქ, ამ ჩანაწერში, ბგერათა განლაგება იძლევა ველს, ღვთიურ ენერგიას და ჯამრთელობაში გადაჰყავს სხეული, ვივსებით ი ო ნ ი თ და ღმერთის ნებას ვებმევით.

ი ო ა ნ ე ე ნ ა ო ი!

აქ ლოცვაა!

ყველაფერი ყოფილა ქართულ ენაში ჩადებული.

დრო ფარდობითია!

ანუ გაფართოვებული, თან ფა და დო ნოტებია, ფა – რ – დო – ბითი. ანუ შენვე ხარ მისი შემმქმნელი, შემადგენელი და ის ფარიაო, საფარველი.

არასოდეს არ არის გვიან.

საქართველო!

ქართველი ანუ მმართველია! ველია! რთველია და ელიაა!

ჟანგბადი ველია, ქარია, და სულია!

ჟ – ან – გ – ბადი!

ჟ ა ნ – რია სხეულში,

ა ნ – ანბანი.

ბ ა დ ი – დაბადებაა.

ე.ი. საკუთარ სხეულში უნდა დაბადო ჟანრი, მუსიკალური განწყობა და ისე ახვიდე ზევითო, ამით სიცოცხლის გზა გეძლევა და ზე ასვლას ახდენ ცნობიერებაში!

რადგან თვითეული ასო ბგ – ერაა, ერთანაც არის კავშირში, ერასთანაც, ანუ დროსთან და ივსები ენერგიით.

ანუ ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი ა!

თან მთა არის, თან რულია, მართვის სისტემა, უნდა ატრიალო, სადაც თუ ვერ გაიგე რთულია და თუ გესმის უკვე დართულია, დაქარგულ-მოჩუქურთმებული.

მარადიულია მოძრაობა მარადიული!

სიტყვების ღვთიური გაგებაა მთავარი, ბგერების აღქმა სწორი მიმართულებით, რადგან უარყოფითი ენერგია სამყაროში არ არსებობს.

ღმერთს არ შეუქმნია.

ამას მხოლოდ ადამიანის გონება ქმნიდა და ქმნის აზრის შედეგად, მისი შინაგანი არსი ამ-ჟღავნებს ამას და დამდაბლებას იწვევს.

ამ საკითხზე პასუხისმგებელი თვითონ ადამიანია.

2

1. დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად. რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.

"და – მარხულ არს", ანუ არსებობს ენა რომელიც შენახულია, დამალულია, დამარხული, როგორც საგანძური და უნდა მოიძებნოს, მოინახოს ანუ ამოიღოთ ეს საგანძური.

წიაღირსეულია!

და ამას "ქართულ ენა – ზე", მის ძალაზე, გადმოგვცემს იოანე ზოსიმე.

მის სიღრმეში ჩაძიებას გულისხმობს, რათა გახსნილი იქნას ანუ ახსნილი და ეს მის მეორედ მოსვლას, დაბადებას გულისხმობს.

"არს"- მის არსებობას გვამცნობს და ჩვენში აღსდგ – ე ნ ა ს.

"სა – წამ – ებ – ლა – დ" სიტყვა განსაზღვრავს არა წამებას არამედ წამიდან დაწყებულ სიამოვნებას, საამებლად საკუთარი სულისა და სხეულისთვის, ღვთის მადლის მიღებას, როგორც წამალი ისე შედის ორგანიზმში სადაც მაღალ სულთან დაკავშირება ხდება და ჯამრთელდები!

"რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა"

თან ილოცება რომ გამხელილი იქნას მისი ღრმა შინაარსი.

ენა, სიტყვით აკეთებს ამას და სამყაროს პროცესებსაც მართავს გარდა სხეულისა, ურთიერ-თობის დალაგება ხდება, აღმშენებლობაში გადადის და წესრიგდება, როგორც ადამიანი ისევე სამყარო.

სიტყვის პირუკუ დაბრუნებას ახდენს იმწუთშივე.

"რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია"

ზუსტად მასზედაა მორგებული ეს ანდაზა.

ქართულ ენაში, სიტყვაში ღმერთის ძალა იმალება,

გამხელა, გახსნა ხდება იოანე ზოსიმეს ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".

ეს ძირია, ფესვია, უკვდავებაა რაც ე ნ ა ს აღადგენს და დიდებით შეამკობს.

ე.ი ვინც ამ სიბრძნის ე ნ ა ს ჩასწვდება და ჩაუღრმავდება გამხელილ იქნება ეს საიდუმლო, ღვთის ძალის განვრცობა მოხდება სამყაროში.

"პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი"

ქართული ენიდან ამოსული და ამომზეურებული ინფორმაცია იშლება აქ და ეფინება ირგვ-ლივ ყველაფერს, სიღრმისეული უნარი აქვს და ღმერთს ეკუთვნის, ჭეშმარიტების მღაღადე-ბელია და ბგერების აღორძინება ხდება,

ა მ ე ნ – აზეა შექმნილი მთელი სულიერება, მას სიცოცხლე შეაქვს დედამიწაზეც და სამყა-როშიც, შვიდ სხივზე იშლება და საკუთარი ღირსების შემამკობელია!

საღი აზროვნების უნარია მთავარი.

ეს ზოსიმეს ენაა!

ზ ე ო ენა, მაღალი განზომილების ენა, როგორც ღრმა ცოდნისა და ზეციური კანონის მარა-დიულობა!

2. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან.

და ეს ენა – Ქ – დაფარული ცოდნაა,

იოტა მის დაკეტილობას გულისხმობს და ის საკუთარ სხეულშია დაფარული, დაკეტილობა მისი კი მისივე სიღრმის მანიშნებელია რაც მის ძალაზე მეტყველებს სხეულში.

"მძინ – არე არს"

მის მიძინებაზე, ზოგჯერ მძიმე არეზეც, რადგან სხეული ჩაკეტილი სივრცეა და მასში შეღწევა მხოლოდ მაღალი სულით და გახსნილი გონებით ხდება.

თვითონ სიტყვა მძი – ნ – არე მძივიცაა რომელიც სხეულში სამებასთან კავშირშია და მისით გავდივართ ღვთიურ განზომილებაში, ცნობიერის შევსებით ხდება ეს.

ეს სამება კი საკუთარ თავში მოიაზრება, რაც გონებას უკავშირდება ტვინის სამი ნახევარსფეროთი.

ერთობლიობაში კი სივრცეა, თავის სივრცე.

რაც შემოქმედებით უნარს ზრდის და ჩვენივე "სახარებას" ანუ გახარებას იწვევს.

სა – ხარ – ება!

ხარ – ება! ე.ი. თუ ხარ, ცოცხალიც ხარ და მოხვედი ამ ქვეყანაზე უნდა ებაო და გაიხარებო!

"სახარება" მაღალი ღვთიური არსის განზომილებაა.

ხარ- ი კისერია და იქ ბმულის რაობაზეა საუბარი, თავზე!

სადაც თავი – თავთავია!

"და შინა ამასა ენასა" შიგნით ჩადებული, აზრით შევსებული სიღრმე, მისი მრავალმხრივი ცნობიერება სულიერ ხარისხში გადის.

"ლა- ზარ – ე ჰრქვიან".

ე.ი ლა – ღვიძლია, რომელიც ზარს რეკავს და ჰრ – ქვიან ანუ ქვასავით ძლიერია.

ნოტები როგორც ბგერები ასევე ატარებს ღრმა შინაარსს და სხეულის ნაწილებს შეიცავს, სიტყვებშიც მასთან კავშირს ახდენენ.

დო – მარჯვენა ფეხია.

რე – მარცხენა ხელი.

მი – მარცხენა ფეხი.

ფა – მარჯვენა ხელი.

სოლ – თავი და აქედან მოდის სოლომონ ბრძენი, სიბრძნე არის თავში.

ლა – ღვიძლი.

სადაც ლა- ზარეა, ანუ ზარს რეკავს.

სი – გული.

სი – ონი!

ღვთიური არსი, რაც ჟანგბადით ივსება და სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს სხეულში, სიცოცხლის ცენტრია!

"დაძარით ტაძარი" ეს საკუთარი სხეულია და ტანზეა საუბარი.

დაბადება კი ძველის მოშორება და ახლის საწყისს ითვალისწინებს და ამას მუდმივად ქმნი საკუთარ სხეულში.

მას ტანჯვის ფორმა აქვს.

"და ესე ენაᲥ მძინარე დღესამომდე",

სანამ სამების სიწმინდეს არ შეიცნობს ადამიანი, მანამდე ვერ შევა სამოთხეშიო.

3. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან. ესენი არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართაᲥ

როდესაც ცნობიერება გაიხსნა, ანუ ამაღლდა ამ ახალი ცოდნით "მოიქცა ნინო"

ე.ი. გონების მართვა დაიწყო მოგრძო ტვინმა და ეს "მოქცევა" მისი გახსნაა.

ჰე – ლ – ენ – ე ანუ დედოფალი ხდება და შეძახილია. "დედოფალ – მან "

მან მიანიჭა დედოფლობა.

ჰე – შეძახილია

ენ – ენის მეშვეობით.

"ჰელ"- ოუ. Hello. მისალმება ინგლისურ ენაში.

ნი – ნო ცოდნა – ცნობიერება.

თან " ესენი არიან ორ – ნი დანი"

ორ – ნი, ორმაგად ძლიერნი, სულთან შესული ცნობიერება, რომელიც როგორც მჭრელი საგანი "დანი" "ვითარცა მარიამ და მ ა რ თ ა ჲ.

უდიდესი სულიერი განზომილება, ეს ღვთისმშობელი მარიამია და მისი მმართველობის ძალა, სადაც დაკეტილია იოტათი.

მ ა რ თ ა ჲ.

მის მართველობას ვგრძნობთ სხეულში.

და აქ მარიამის ძალა ენის მეშვეობით ხდება მართული.

სიმღერა გალობა ავემარია. მ – არია. მ – არია – მი ეს კი მიმართულია დედამიწის სიყვა-რულისკენ.

ჲ – სიბრძნის გასაღებია და მის ადგილმდებარეობას გულისხმობს, მართვის პულტია და უკავშირდება გირჩისებრივ ჯირკვალს, მესამე თვალს ანუ შუბლთან, წარბებ შუა ზის.

"იო" – ეს წერტილია.

ტ – მთელი სამყარო უსასრულობაში.

ა- მამაზეციერი.

ანბანის საწყისი, პირველი ასობგერა.

საღი აზრია მთავარი, მისი ფორმა, შინაარსი მუდამ უნდა დაუკავშირო ღმერთს, მისი დამოკიდებულება კი საკუთარ შინაგანს, სულს, ანუ შენი სული ღმერთში უნდა გამოფინო.

ჩვენს სივრცეში ჩადებულია უსასრულობა ამიტომ პირველი სულიწმინდა შედის და მკვიდრ-დება შიგ.

არ დავკარგოთ ეს.

ცნობიერების მარცვალი უნდა გავაღვიძოთ, რათა ცნობილი ერების განზომილება შევქმნათ,

საკაცობრიო ძალად უნდა ვაქციოთ და ღვთიური ენერგია მივანიჭოთ სიცოცხლეს, უნივერსა-ლური ფორმაა რასაც ბუნება გვთავაზობს თავისივე არსით, რადგან ბუნებაში ბუნებრივად დევს.

ე ნ ა ს ააქვს დიდი ფასი.

ე – შეძახილია,ენის ამოდგმას უკავშირდება.

ე ნ ა დ ე დ ა ა!

დ ე დ ა ე ნ ა ა!

3

4. და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა [მახარებელმან]. რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

აუცილებელია დაუმეგობრდე საკუთარ სულსა და სხეულს, რადგან აქ არის ის საიდუმლო დამარხული, რომელიც ამ ე ნ ი ს მეშვეობით იხსნება.

უნდა შეაღწიო მასში, ანუ ჭაში ჩახედვა უნდა ისწავლო, ეს ჭკუასთანაა ახლოს.

და ეს "მახარობელ – მან" გახარებას გვპირდება.

საიდუმლოჲ კი დუმილია, ანუ ჩაკეტილია და ეს ენა ინახავს.

მდინარე დუმალა, დასავლეთ საქართველოში,

რას გვეუბნება ნეტავ?!

დუ – მალა, დუმ – ალ – ა.

ანუ დუმს მალა, ან დუმებში ალიაო, ენერგიააო და აქ დადუმებული საიდუმლო იმალებაო.

ზუსტად სხეულის ეს ზონა მშვილდოსანს მიეკუთვნება და ამ ზონას ბედნიერების პლანეტა მფარველობს ასტროლოგიურად.

ენითაუღწერელი საიდუმლო იხსნება აქ, ენითაუღწერელი ნიშნავს რომ მხოლოდ ე ნ ა მეტყველებს და არსად აღწერილა ჯერ.

ფილოსოფია ზე – ასვლაა, რომელიც მხოლოდ სულიერ ძალებზეა დაყრდნობილი და ორივე ერთად იპყრობს სიბრძნეს და ჯამრთელობას.

სხვადასხვა უმაღლესი ცივილიზაციების ცოდნა მოედინება აქ და ეს საკუთარი სხეულის კუთვნილებაა!

5. და ოთხსა დღესა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან, რამეთუ "წელი ათასი – ვითარცა ერთი დღეჲ."

წელიწადის ოთხ დროზეა მინიშნება, ოთხი სახარებაც მასზეა დაწერილი.

ეს ოთხი დრო ანუ პერიოდი როგორც ბუნება, ისევე ადამიანი გადის ზრდისთვის,

ამას ენა, აზროვნება ქმნის,

ზ – ა – მთა -რი.

მთაში ჩაკეტილი ცნობიერებაა, აქ გროვდება, როგორც თავში და გაზაფხულისთვის ნაწილ-დება გარშემო, ფესვებით გაედინება მი – წა – ში და ფესვებით მიიღება სიცოცხლისთვის ბუნებაში.

"დავით წინაჲსწარმეტყუელმან"

აქ და – ვით, თავია. და ეს თავი იძლევა წინასწარმეტყუელ – ებას, რადგან მეტყველია, მა მიმართვა "მან" ზეა გათვლილი.

რომელიც იოტათია დაკეტილი უნდა გახსნა და ახსნაო.

"რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო."

"და ეს ოთხსა დღესა მკუდარი" მიანიშნებს პერიოდის ოთხივე დროში შესაძლებელია აღვადგინოთ, "მკუ -დარი", გამოვაღვიძოთ, და სინათლე შევიტანოთ ჩვენივე ცნობიერებაში.

ყველა სულის გადარჩენა ჩვენივე ვალია,

მარცვალი რომელიც ვარდება მიწაში უსასრულობას გვაყვარებს და ჩვენივე არსს ამდიდრებს.

"რამეთუ წელი ათასი – ვითარცა ერთი დღეჲ"

ქრისტეს ერთი წელი მოიცავს 12 წლიან სრულყოფილ პერიოდს, ანუ 12 წელი ქრისტეს 1 წლად ითვლება.

ამიტომ გვყავს 12 მოციქული, ასევე სხეული დაყოფილია 12 ნაწილად და ის ერთი ადამიანია მთლიანობაში. ასტროლოგიაც 12 ნიშანში გადის, მინიჭებული ააქვთ სხვადასხვა სახელები ბუნებაში არსებული ცოცხალი ორგანიზმების.

ასევე გვაქვს სტიქიები რომელთა სწორი მოქმედება სამოთხეში გადის.

3 – 3 ზონაადა დაყოფილი სტიქიები, ცეცხლი, მიწა, ჰაერი და წყალი, ოთხია. მეხუთე სტიქია ლითონია და სხვა განზომილება აბარია, ანუ ადამიანის ზრდას, გამოწვრთნას გულისხმობს.

ლითონი, ვერცხლი,ოქრო.

"როგორ იწრთობოდა ფოლადი"

დროში გამოწრთვნილი სულის ფორმა ეძლევა.

საკუთარი ღირსების შემავსებელია.

სამოთხე არის ყოველივე ეს და ადამიანს ანიჭებს მის წყალობას და ძალას.

სტიქიათა სწორი მოძრაობა სამოთხის გარანტიაა სხეულში.

არ შეიძლება მათი რღვევა ეს სიკვდილთან აახლოვებს ადამიანს და სამოთხეს უკეტავს.

6. და სახარებასა შინა ქართულსა, ხოლო, თავსა მათეჲსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს. და იტყვს ყოვლად ოთხ – ათასსა მარაგსა.

როგორც კი ქართულს ღრმად შეიცნობს ადამიანი სა – ხარ – ებას იღებს, რომელიც "მათეჲსსა წილ ზის" ანუ თავშია და იოტით არის დაკეტილი, ამიტომ მათე მართვას გულისხმობს და წერტილს სადაც იო – ტაა. მისი მდებარეობაა.

რომელიც ასოჲ არს. ანუ დაკეტილი ყოფილა ეს ბგერები.

და ეს იძლევა ყოველთვის ოთხ – ათასსა მარაგსა.

ანუ სიცოცხლე გიათასმაგდება და ეს ოთხი სტიქია ენერგიით ივსება.

სული მაღალი მეა! აქ სრულყოფილი და ამაღლებული ხდება ყველა და ყოველთვის.

ეს არის ცოდნა რომელიც დედამიწის ღერძსაც კი ატრიალებს.

სიტყვას რომელსაც ჩვენ ვხმარობთ ლოგოსს შეესაბამება, მას არ აქვს სხვა მხარე, ის უკვე ღმერთია. "ხოლო თავსა მათეჲ – სსა წილი ზის" ჯდომა, სასაა, პირის ღრუ საიდანაც ბგერები იბადება, "რომელ ასოჲ არს."

ესენი ასოები არიანო თან დაკეტილი.

ფილოსოფია შერწყმული ღვთიურ საწყისებზე, ეს ყველაფერი ღმერთია და საგალობელი, კოსმიური მფარველობა და დედამიწის აღმშენებლობაა.

ჭეშმარიტება აზრის ფესვიდან იწყებს აღმოცენებას.

რაც დაკეტილია საკუთარი თავით ხსნი, მათე ბგერებია და მანტრაა,

ხოლო იმას რასაც გასცემ სამყარო უკანვე გიბრუნებს, სიკეთე გადამდებია.

7. და ესე არს ოთხი დღეჲ და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაითა.

და ესე არსებობს ეს ოთხი დღე, ოთხი სტიქია დღის განმავლობაში მუდმივ მოძრაობაში არიან სხეულში, აქ სიცოცხლის არსია და შიგ სიკვდილზე, ანუ წარსულის მოშორებაზეა საუბარი.

სიკვდილი უნდა დაფლა, ანუ მოიშორო, ტკივილი და უარყოფითი ძალები რათა ნათლისღებით აღსდგე, "ნათლისღებისა მისი – საითა"

ნათლის მიღება მისია ყოფილა გზა სიცოცხლისა.

როგორც თესლს ვფლობთ მიწაში და ველოდებით მის აღმოცენებას მიწიდან ისევე ხდება ეს პროცესები ენის მეშვეობით, აზრის გააზრებას ვახდენთ და სწორედ დაფარულიდან ამოდის სინათლე და დაფარული სიკვდილთანაა გაიგივებული და ნათლისღება კი სინათლის მიღებაა.

ეს ცოდნაა!

ცოდნა კი სინათლეა!

გონებას სიბრძნით ავსებს.

ყველაფერი არის სისხლი!

შეკუმშვის დროს ძველი სისხლი მიდის, გაშვების დროს ახალი სისხლი გადაეცემა სხეულს ჟანგბადთან ერთად.

ზე – ციდან მოსული მადლი და დიდება აძლიერებს და ამდიდრებს კაცობრიობას, მათ ღირსებას ზრდის და ფესვებს უძლიერებს.

ეს ზე – ცა მაღალი სული და სიტყვაა რომელიც თავშია.

ზ ო ს ი მ ე ე ნ ი ს ფესვებია!

4

8. და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული-მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

ანუ უფლების დაუფლება ჩვენი ვალია და უნდა დავეუფლოთ რადგან ე ნ ი ს აღორძინება მეორედ მოსვლას ელოდება!

დღეს ენა "მდაბალი და დაწუნებული" ანუ მისი სიღრმისეული არსი ბოლომდე არ ყოფილა გამომჟღავნებული,

მისი სულიერი პრინციპები ადამიანის ზრდაშია მხოლოდ, საკვებია, სიყვარულია და ყველაზე ლამაზი ფორმა დევს შიგ.

სიტყვითა და სუნთქვით უნდა დატენო სხეული, გული, როგორც ღვთიური სიწმინდე უნდა ჩადო შიგ და ისე აშენო აზრი სიტყვის მეშვეობით.

ქართული ენის საწყისი მხოლოდ სიცოცხლისა და სიყვარულის საწყისზე გადის.

ხმა იძახის იმას რასაც სულიერბა ჰქვია!

დროა აღმოვაჩინოთ მთავარი!

საჭიროა ჩავწვდეთ ბნელ ბრძოლას,

როგორმე უნდა მოვერიოთ საკუთარ თავს.

ყოველი გონივრული მოქმედება სამარადისოა და სიცოცხლის შენაძენი.

ამით უფლის სიტყვის, აზრის ამაღლებას ვახდენთ, ღმერთის ძალას მისივე ენერგიით ვავსებთ და ვკვებავთ სივრცეს.

განბანვა წმენდაა.

განბანვა ანბანია და იბანები!

"მეორედ მოსვლასა უფლი – სასა"

სასწაულია აქ!

სასა უფლისა ყოფილა და აქედან იწყება უფლის მეორედ მოსვლა, უფლება მინიჭებული ორგანოა და მისით ხდება აღდგენა, ამაღლება ე ნ ი ს ა !

ზე ბუნებრივი ძალებია ჩვენში, ღვთიური სიწმინდის მსახურებაში უნდა ვიმყოფებოდეთ მუდამ.

საქართველო სულიწმინდის სამშობლოა.

ცოდნა სულიერი განზომილებაა, რომელიც ეძლევა ადამიანს, ადამიანი კი პასუხისმგებელია ამ საკითხის, სიტყვისა და აზრის მიმართ.

სწორედ აქ დევს მთავარი გასაღები.

სული მაღალი "მე" – ა!

და სრულყოფილებას ფლობს, სადაც მუდმივად მაღლდება!

სული, რომელიც ზრდაშია, მუდმივად ეძებს ღვთიურ მდგომარეობას და სადაც ის მარცხდება, ზუსტად იქ ხდება მისი ამაღლება!

ეს კანონი მუშაობს მუდმივად ჩვენში, რათა ეგოს დამორჩილებაში არ მოვიქცეთ და არ დავკარგოთ მაღალი "მ ე".

9. და სასწაულად ასე აქუს: ას – ოთხი წელი უმეტეღს სხუათა ენათა ქრისტეღს მოსლვითაგან ვიდრე დღესამომდე.

სასწაულად გვექცევა ეს ქება ენის, რომელიც განუსაზღვრელ პერიოდს ითვლის სიცოცხლისა-თვის და უსასრულობაში გადაჰყავს კაცობრიობა.

ეს ენა, არსებულ ენათა შორის არის გამორჩეული ქრისტეს მოსვლიდან დღემდე.

"დღესამომდე"

ანუ სამებაში აყვანილი ხდება სასწაული და მისი ენერგია შეესაბამება ას – ჯერ ოთხ წელს!

"აქუს" – ქებაა!

სულიერი გადარჩევა მიდის.

სიტყვა მატერიის სულია, რასაც ვსაუბრობთ რეალობაში ხდება მისი აქტივაცია, ეს ცხოვრე-ბისა და სიცოცხლის დაპროგრამებაა, ამიტომ ყოველმა სიტყვამ თავისი ღრმა შინაარსი უნდა შეიძინოს და ღვთიურს გაუტოლდეს ადამიანში,

უნდა ვეცადოთ რომ მთელი თავისი სრულყოფილებით წარომვთქვათ, ვმართოთ,

რათა მოვიზიდოთ უნივერსალურობა!

სამყაროს უყვარს იდეა!

ჩვენ ბრძოლის ველზე ვიმყოფებით და ეს საკუთარ თავთან ბრძოლაა!

"ლომი!" ცხოველთა მეფე ბუნებაში!

"ლომი – სობა!"

იარაღი რომელიც გვეხმარება მიწის დამუშავებაში, სადაც ძნელად გასათხრელი ადგილია!

გამოიცანით მისი ღრმა შინაარსი.

ლ – ომი,

ანუ ომს აწარმოებ მუდმივად და ეს საკუთარი თავის ღირსებაა.

ამიტომ

ლ ო მ ი !

მეფე უნდა გახდე, უნდა გაიმარჯვო უნდა დასძლიო ეგო.

გააცნობიერო ცხოვრება.

სწორი ურთიერთობაა მთავარი სამყაროსთან!

10. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამებ წარმოგითხარ, ას – ოთხი ესე წელი, და წილი ანბანისაჲ.

ყოველი, რაც აქ დაწერილია მოწმობს იმას რომ წარმოსახვით გვითხრეს, ანუ გზავნილია სამყაროდან, და ეს სიცოცხლის ძალა რომელიც მოიცავს პერიოდს "ას – ოთხი ესე წელი" ნაწილი ანბანიდან მოდის, რომელსაც იო – ტა განაგებს და ის აქ, ჩვენთანაა, ანუ სხეულში ზის.

შინაგანი სივრცე არის მბადებელი ამ ყველაფრის, ნაყოფი რომელიც გვეძლევა შინაგანი სივრცის საკუთრებაა და ის უპირობო სიყვარულით მჟღავნდება.

აზრების წარმოშობაც შინაგანი სივრცის კუთვნილებაა, ხედვა, გააზრება ეს გონია. სივრცე სრულიად ღიაა და მასში მოგზაურობს ადამიანი.

რელიგია საიდუმლო გასაღებია!

ზეციური სარკმლის გახსნა მოხდა ამ ჩანაწერის მიხედვით.

ი ო ა ნ ე როგორც ცოდნის გასაღები ისეა აქ ჩადებული.

მარადიულია ბუნება და მასში ჩადებული სიბრძნე.

ყველაფერი შესვლით იწყება.

საკუთარ თავში უნდა შევძლოთ შესვლა და ვმართოთ. ხრამში გადაჩეხვა ღმერთის კანონის დარღვევაა.

ამიტომ კარგად უნდა გვეჭიროს "რული", ანუ თავი, არ უნდა ჩაგვეძინოს!

ან სხვა რამემ დაგვიფანტოს ყურადღება!

ამღვრეული წყალი სათავედან მოდის.

გავწმინდოთ აზრები, რადგან ის მხოლოდ სიწმინდეს ემსახურება სამყაროში.

"სარეველა!"

რომელიც ქვას ხეთქავს, ბეტონს ანგრევს სიცოცხლისათვის. დავფიქრებულვართ კი, როგორ ახერხებს ამას?!

რა თვისებებს ავლენს სამყაროში რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს და საკუთარი თესლი უკვდავყოს?!

ის სიცოცხლისათვის იბრძვის, ღმერთს ემსახურება,

მისი მიზანი მზეა! სინათლეა!

სიბნელის გარღვევაა და მუდმივი ბრძოლაა!

სიტყვა ძალაა და სიბრძნეა, აზრთა დიდებული კრებული და აქედან მოდის "დედააზრი"

ის უნდა ნახო, მონახო, ანუ მონად უნდა იქცე რომ ნახო,

სიტყვაში ჩაძირული ცნობიერება იმალება, როდესაც ის მოდის შენთან უნდა მიიღო, შეაღწიო მასში და მისი სრულყოფილება გაშიფრო.

უნდა აიღო გეზი რადგან საწყისთან არის შეერთებული, ეს არის ნამდვილი თესლი რომელიც კაცობრიობის გამრავლებაში დევს.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა სინამდვილეში გონების სიწმინდეა, აზრთა სინათლეა, სი – ყვა -რულია და ეს მუდმივობაშია მოვლენილი!

ბგერების მიხედვით გავდივართ მიზანთან.

მი – ზ -ანი გასროლილი ისარია, "ი ს ა რ ი"ღმერთია!

მოზიდე მშვილდისარი, ანუ მოიზიდე მშვიდობა აზრით.

სა – ხელი!

ე.ი. სახელი ხელიდან გვეძლევა, ანუ რას ვქმნით.

ასევე გახელილი თვალია,

სახლია, სად ვცხოვრობთ!

რაში ვცხოვრობთ ანუ.

სად სახლობს ღმერთი?!

დავრეკოთ ზარები!

ლა – ზარე ირეკება!

ღვიძილი იწყება და გონება ახლდება, სხეული ჯამრთელდება, მისი მოვლა ხდება.

ს – ხე – ული.

ანუ ის ხეა და უნდა უპატრონო, მოუარო.

მზე უფალია!

აზრი ნაყოფია!

უსასრულობის სამყარო ე ლ ი ა!

2022წ.

მოგზაური

სიმონ ზაქარაია

ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი

ფენომენი ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს იშვიათს, უჩვეულოს, განსაკუთრებულს, ან კიდევ არაჩვეულებრივი ნიჭის ადამიანს. სიტყვა ფენომენი ყველა განათლებული ადამიანისათვის ცნობილია და გასაგები, მაგრამ ჯუმბერ ლეჟავაზე მის არაჩვეულებრივ პიროვნებაზე წერას რომ იწყებ, უბრალო, მეორეხარისხოვანი სიტყვებით ვერ შემოიფარგლები. ჯუმბერ ლეჟავაზე, მის უნიკალურ პიროვნებაზე ბევრი მისი ნაცნობები და უცნობებიც წერენ, რომლებსაც არასდროს არ მოუკრავთ თვალი, მაგრამ მათაც აქვთ დიდ მოგზაურზე წერონ დაუსრულებლად და ვერ ამოწურონ სათქმელი, მით უმეტეს მე, რომელსაც მეგობრობა მაკავშირებდა.

ბატონი ჯუმბერი... სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი აღნაგობის ადამიანი იყო, რომელსაც ამ ქვეყანაზე რაიმე განსაკუთრებულ, უჩვეულო პრობლემების გადაწყვეტაზე არ უნდა ეფიქრა, რომლის მსგავსს მთელი კაცობრიობის 90%-ი ვერ მოიაზრებდა.

როგორც თვითონ წერს ბატონი ჯუმბერი, ბავშვობაში იყო მეტად სუსტი, უსუსური ორგანიზმის პატრონი. თავიდან ამ მდგომარეობამ უბიძგა მას ყმაწვილკაცობიდან ეზრუნა თავისი ორანიზმის გამოსაჯანმრთელებლად და გამოსაკაჟავად ფიზიკური ვარჯიშით, მედიცინის ჩარევის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯუმბერის აზროვნება ბავშვობიდან ყოველთვის წინ უსწრებდა ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ბატონი ჯუმბერი თავისთავს უწევდა მაქსიმალურ კონტროლს, მტკიცე რეჟიმში აყენებდა თავის ორგანიზმს და პროფესიულად მართავდა მას.

ჯუმბერი ყმაწვილობაში იყო ჭკვიანი, კაცობაში ბრძენი, რომელსაც არ იმჩნევდა მას საზოგადოებაში.

მართალია ამაზე ბევრი დაიწერა სხვადასხვა დროში და სხვადასხვა ლიტერატურაში, მაგრამ მისი განმეორებაც ხელს შეუწყობს მის არ დავიწყებას.

ჯუმბერ ლეჟავას გადახდილი სამედიცინო ოპერაციები დიდ მოგზაურობამდე

ბატონი ჯუმბერი პირველად 1987 წლის 7 იანვარს გახდა ცუდად (დაიბადა 1939 წ.), მას დაუდგინდა აპენდიცის მწვავე შეტევა, ის გადაიყვანეს საავადმყოფოში რეანიმაციის განყოფილებაში, საჭირო გახდა ოპერაცია. ექიმები მას ცუდ პროგნოზს უწინასწარმეტყველებდნენ. რომც გაგადარჩენილიყო, სამუდამო ინვალიდობისათვის იყო განწირული. მას ასევე დაზიანებული ჰქონდა ღვიძლი და თირკმელი. როგორც ირკვევა სამედიცინო დასკვნით, მას სერიოზული დაავადებები აღმოაჩნდა. მაგრამ ჯუმბერს თანდაყოლილი ჰქონდა ყმაწვილობიდან, რა ავადმყოფობითაც არ უნდა დაავადებულიყო, მას აუცილებლად ეცოცხლა, ასე კრიტიკულად იყო შეყვარებული სიცოცხლეზე. ოპერაცია დასრულდა, ჯუმბერი გამოწერეს იმ მოთხოვნით, რომ სახლში მტკიცედ დაეცვა ექიმების რჩევა – უნდა დაეცვა წოლითი რეჟიმი, წამლების დროული მიღება, დიეტის

დაცვა, ნემსების გაკეთება და წვრილმანი სხვა. მაგრამ ჯუმბერი ექიმების კატეგორიულ რჩევებს თავიდანვე გაემიჯნა, ოთახში თანდათან დაიწყო არა წოლითი რეჟიმი, არამედ სიარული, შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა მოძრაობები, ასეთი რეჟიმით 15 დღე გაატარა, შემდეგ გადავიდა უფრო ძლიერ ფიზიკურ ვარჯიშზე, მოედანზე გასვლა, მტკვარზე თევზაობა და ნელ-ნელა ჯანმრთელი კაცის რეჟიმს დაუბრუნდა. ასე გაქრა მუცლისა და ფეხის ტკივილი, უკვე არ აწუხებდა ღვიძლი და თირკმელი, გადიოდა დღეები, თვეები და ორგანიზმის სრული აღდგენა მოხდა.

მან მიზნად დაისახა სიკვდილის დამარცხება: „მე მას მივაღწევ, მე ვაჩვენებ სიცოცხლისათვის ბრძოლის კიდევ ურთულეს მაგალითს“, ჯიუტად ფიქრობდა და იმეორებდა თავისთვის ბატონი ჯუმბერი.

ჯუმბერმა თავისი რეჟიმიდან გამორიცხა დღესასწაულები, კინო, თეატრი, სტუმრად წასვლა, მთელი ძალისხმევა მიმართა ჯანმრთელობის დასაბარუნებლად, დაავადებულთა და ინვალიდთა სიიდან ამოსარიცხად. ყოველივე ამას ღმერთს უმადლოდა, მისგან იყო მადლობელი.

მაგრამ კაცები ბჭობდნენ და ეშმაკები იცინოდნენო, ნათქვამია. ერთხელ მანქანით მიმავალმა დაინახა ტრასაზე მანქანა უძრავად დგას, მის უკან ერთი კაცი და სამი ბავშვი იმედით იმზირებიან. ჯუმბერმა დაზარალებულთა თხოვნის გარეშე გააჩერა თავისი მანქანა და გაიგო: უცხო მანქანა საჭიროებდა დასაქოქად უკნიდან მიწოლას. ბატონი ჯუმბერი, როგორც ღვთიური კაცი, მაშინათვე ჩამოვიდა თავისი მანქანიდან და მთელი ძალით მიაწვა გაჩერებულ ავტომობილის, მანქანა კი დაიქოქა, მაგრამ თვითონ გონება დაკარგა და ჩაიკეცა. საავამყოფოში სასწრაფოდ გადაიყვანეს... ისევ ოპერაცია... ექიმებმა ახლაც რთული დიაგნოზი დაუსვეს, ნაწლავების განგრენა, 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავი ამოაჭრეს... მას მოელოდა სიკვდილი, ან გადარჩენის შემთხვევაში მუდმივი ინვალიდობა.

პაციენტი ღვთის წყალობით გადარჩა, გამოწერეს საავადმყოფოდან. ამ შემთხვევაში ბატონმა ჯუმბერმა გაიმეორა ყველა ის ღონისძიებები, რაც პირველი ოპერაციის დროს ჰქონდა დაცდილი და გადატანილი. ახდენდა ფსიქოლოგიურ გარდაქმნას, ფიზიკური ძალის მოკრეფას, გამძლეობის გამომუშავებას და სხვა. „ჩემი ახალი სიცოცხლის ვარსკვლავს ვხედავ, მე ვიცოცხლებ“ – კარნახობდა რწმენა მას. ვარჯიშით თანდათან აღიდგინა ჯანმრთელობა, წნევა იდეალური გახდა, დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი. ვარჯიში გაიხადა ჯანმრთელობის საძირკვლად. ერთხელ ჩვეულებრივი ვარჯიშის დროს, 7-8 საათის შემდეგ 25-26 აზიდვას მიაღწია. გაოცებას ვერ ფარავდა: „რა ხდება ჩემს თავს: ნუთუ ეს ის ენერგიაა, ღმერთმა კლინიკური სიკვდილის დროს რომ მიბოძა?“ ეკითხებოდა თავისთავს. ის ბრძანებდა, რომ „უდიდესი შემართებითა და შეუპოვრობით ქართველ კაცში ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობას ახალი სული შთავბერე, ქართული გენისადმი რწმენა დავიბრუნე“.

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

აისის აპელიოტი

აზრები

(დასაწყისი ათინათის 49-52-ე
ნომრებსა და ანთოლოგიის მე-13 ტომში)

თავისუფლება

***

მიწიერ არსთა შესაბამისობაში მყოფი ადამიანის უფლება საზოგადოებრივ ურთიერთობაში ვლინდება. მისი ზღვარდაუდებელი სწრაფვა ამავე საზოგადოების ზეწოლით რეგულირდება. სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას კი, იგი სიყვარულის – მთავარი და ჭეშმარიტი არსის, დაუსრულებელ, უკიდეგანო სივრცეებში ახერხებს.

***

საზოგადოებაში თუ რამდენადაა ადამიანი თავისუფალი, ამის აღქმა მისი პიროვნული თავისუფლების ხარისხზეა დამოკიდებული. ბევრჯერ ადამიანს ურჩევნია, სხვისი ფრთების ქვეშ შეზღუდული თავისუფლება ჰქონდეს, ოღონდ, ასე თუ ისე, დაცულად გრძნობდეს თავს.

***

თუნდაც თავისი დამოუკიდებელი სივრცის მოპოვების და დამკვიდრების არნახული შანსი გააჩნდეს – ზოგიერთი ადამიანი თავის დამკვიდრებას, მაინც, სხვის სივრცეებში შეჭრით და მისი შეზღუდვით ცდილობს...

***

პოეტმა, მწერალმა, პოლიტიკოსმა, საზოგადო მოღვაწემ იმაზედაც უნდა იფიქროს, რომ ზედმეტად თავი არ მოაბეზროს ხალხს...

***

მსოფლიოს საგანძურშია შესატანი ყველა მოაზროვნე, შემოქმედი, მებრძოლი სულის ადამიანი, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებდნენ და ეწირებოდნენ თავისუფლების ძიების, მოპოვების და დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

***

ყოველი ადამიანის თავისუფლების ხარისხს – თავისუფლების შკალაზე, სხვადასხვა დონე განსაზღვრავს.

თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა

***

თავმოყვარეობა – ადამიანის არქეტიპული (პირველსაწყისი) თვისებაა, რომელიც პიროვნული, შინაგანი სამყაროს დაცვის ინსტიქტებითაა ნაკარნახევი. პატივმოყვარეობა – ახალი, შემდგომ შეძენილი, საზოგადოებაში გამომუშავებული – ამ საზოგადოების მიერ პიროვნებისადმი ღირსეულად თუ უღირსად მინიჭებული, ან თავად პიროვნების ფანტაზიებში და წარმოსახვებში არასწორი წარმოდგენებით, დაბალი თვითშეგნებით და თვითშეფასებით, უკრიტიკობის შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდგენაა, რომელიც წარმოშობს საგნებზე, ადამიანებზე, ადამიანთა ჯგუფებზე, ზოგა-

დად სამყაროზე, არასწორი ფლობის მოთხოვნილებას, რაც, საბოლოო ჯამში, უსამართლობისა და დანაშაულისაკენ უბიძგებს პიროვნებას.

***

ზოგჯერ, გაამპარტავნებული, პატივმოყვარე ადამიანი როლის „გათამაშებას“ იწყებს (ორმაგი თამაში), გამოჰყავს რა თავისი პიროვნება ასპარეზზე. ეს ხელოვნებაა, რომელიც უბრალო მომაკვდავთათვის მიუწვდომელია. თითქოს, ზებუნებრივი ძალების დახმარებით, ეს პიროვნება თავის იდეოლოგიას თავს ახვევს მილიონებს... იწყება დასნებოვნება – ეს ვირუსის გავრცელებას ჰგავს და შეუძლია არა მარტო ზემოქმედება მასებზე, არამედ მათი განადგურებაც. ამ დროს წინააღმდეგობა ნულია. მხოლოდ შეუცნობელი ძალა „თვითგანადგურების ინსტიქტის პრინციპით“ ერთი მიმართულებით ამოძრავებს ამ პიროვნებას და საზოგადოებრივი აზროვნების ამ ფორმას.

***

თვითკმაყოფილების იმედზე დარჩენილი თავმოყვარეობა უგუნურებას ბადებს.

ინტუიცია და ბედისწერა

***

ინტუიცია მდგომარეობს მოვლენების შემთხვევითი, დათიშული ნიშნების გაერთიანებაში, რომელიც საგანთა ახლებური გააზრების საშუალებას იძლევა; ადამიანის ინტერესიდან გამომდინარე, ზოგჯერ, ცნობიერების ქვეიმპულსები კავშირს კრავენ და რაღაცნაირად იზიდავენ მისთვის საჭირო საგნებს, მოვლენებს, სისტემებს; ავტომატურ რეჟიმში ახორციელებენ მათ დახარისხებას და ახალი სისტემების აგებას... თავად ცნობიერებისთვის ეს ხშირად დაფარულია (ამ მოვლენის ახსნაზეც შეგვიძლია ვიფიქროთ...). არსებობს გონების უეცარი განათება (ინსაიტი). მისი მიზეზი ზოგადკანონზომიერებით გამოვლინებებში უნდა ვეძებოთ...

***

ბევრჯერ, ჩვენი გრძნობების და ემოციების გამოხატვა-გადმოცემას, კიდევ დამატებითი გრძნობის – ინტუიციის საშუალებით ვცდილობთ...

***

ნუ შეგეშინდებათ, თუ „უცნაური“ აზრი დაგებადებათ; მიჰყევით ინტუიციას, – საღი აზრი, ურთულესი ლაბირინთებიდანაც კი, გამოსასვლელს იპოვის...

***

ფსიქომატრამვირებელ ზემოქმედებათა გავლენით, რატომღაც, ადამიანი ზეშთაგონებულ მდგომარეობაში გადადის (გადაისროლება) და ინტუიციური არხები ეხსნება. ეს ადამიანის ნების გარეშე ხდება.

***

ბედისწერა არათუ ჩვენ გვითვალთვალებს, ჩვენც ვუთვალთვალებთ მას...

***

ადამიანების მისწრაფებებში ქრის ბედისწერის სიო...

***

ინტუიცია ზოგად განსაზღვრულობათა გამონაშუქია...

***

ინტუიციით მოძრაობა აზროვნების უმაღლესი ფორმაა...

***

ზოგჯერ, ჩვენი ინტუიციის გამონაშუქი ბედისწერას ჩვენსავე ჩრდილში აქცევს...

***

ინტუიციური აზროვნების განსაზღვრისას ან განმარტებისას, ყოველთვის დაგვჭირდება სიტყვა „რატომღაც“.

***

ადამიანის ნებაში ბედისწერითი ელემენტები ყოველთვის არის.

***

სრულიად ასახვაში ვიმყოფებით საკუთარ ბედისწერასთან.

მშვენიერება, სილამაზე, სიყვარული, ბედნიერება

***

სიყვარულის კეთილხმიანობა გვანებივრებს, გვზრდის, სილამაზით გვაჯილდოებს; ადამიანურ არსებად გვაყალიბებს; სიძულვილით სავსე სამყაროში სივრცეებს გვითავისუფლებს; აუტანელ ტანჯვას ასატანს ხდის; გმირობის ფრთებს გვასხამს; ერთგულებას, თავდადებას, კაცთმოყვარეობას გვასწავლის და, საბოლოოდ, მარადისობაში გარდასულთ უზენაესი სიყვარულის გვირგვინს გვადგამს.

***

ბედნიერება მშვენიერი ფრთოსანი ფრინველია, რომელიც მუდამ ჰორიზონტისაკენ მიფრინავს...

***

მშვენიერი – ადამიანი უფლის სახეშია. წინააღმდეგ ამისა, იგი სამყაროს მნგრეველ-გამანადგურებელი ძალა იქნებოდა მხოლოდ.

***

სიყვარული ჩვენს მიერ ამ გრძნობის სხვადასხვა სუბსტანციაში გაშლა-გასხივოსნებაა, რომელიც უკუმოქმედებით ამოკრებისას, სიცოცხლის გაგრძელებას – გაშლა-გასხივოსნებას განაპირობებს...

***

მართალია, სიყვარულის საზღვრები უკიდეგანოა, მაგრამ, ისიც კი, მომჭირნეობით გამოიყენე, დაკვირვებით გაანაწილე და ცხოვრების თავდაღმართში საგზლადაც შემოინახე.

***

სიყვარული სუფთა, კრისტალური სახით არსად მოიპოვება. როგორც დანარჩენი ადამიანური გრძნობები, იგი ჰიბრიდული პროდუქტია. დასრულებული სახით ის მხოლოდ უფალშია მოცემული.

***

ადამიანმა, რომელმაც გამოსცადა ღვთით მონიჭებული `სიყვარული“ – მშობლების, შვილის, სატრფოს, უახლოესი ადამიანების – სამშობლოს სიყვარული, არაფრის ფასად არ უნდა დათმოს ის...

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

მსოფლიოს ახლებურად მოწყობის ბრალი

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12-13 ტომსა და ჟურნალ ათინათის №38 — 52-ში) NN

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები (სისტემატიზირებული)

ბიბლიური პერსონაჟების ბრალი

ა) იობის ბრალი

იობის წიგნი, რა კუთხითაც აქ განიხილება, ზუსტად ასახავს უსამართლოდ აღძრულ ბრალს და მის საწინააღმდეგოდ წარმოშობილ სამართლიან უკუბრალს. იობი – „მტრობის ობიექტს“ ნიშნავს და გასაკვირი არაა, მის მიმართ რომ არსებობს ბრალი (ოღონდ არ უნდა აგვერიოს, რომ იობს მტრობდა და სჯიდა სატანა და არა უფალი). თუ გავიხსენებთ ამ წიგნის შინაარსს, იობს ღმერთი თავის თაყვანისმცემლად აღიარებდა. იობის ცხოვრება და მოღვაწეობა მის ღვთისმოსაობას ადასტურებდა. ერთ დღესაც, სატანამ ბრალი დასდო იობს, რომ ის კეთილსინდისიერად არ ემსახურებოდა უფალს და თუ უფალი მას კეთილდღეობას აღუკვეცავდა, ის ერთგული აღარ იქნებოდა ღვთისა: „აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მთელს მის საბადებელს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა“ (იობ.1:11). იეჰოვამ სატანას ნება დართო, წაერთმია იობისთვის ყველაფერი, მხოლოდ ის არ უნდა მოეკვდინებინა: „უთხრა უფალმა სატანას: აჰა, შენს ხელთ იყოს მთელი მისი საბადებელი! ოღონდ თავად მას ნუ შეეხები. და გავიდა სატანა უფლისგან“ (იობ.1:12). სატანამ იობს უამრავი განსაცდელი მოუვლინა: იობი კარგავს შვილებს, ქონებას და კეთილდღეობას, მაგრამ ის კვლავაც უფალს განადიდებს: „თქვა: შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ, უფალმა მომცა, უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს უფლის სახელი“ (იობ.1:21). სატანამ უფალი დაარწმუნა, რომ თუ მას პირადად მოუვლენდა საშინელ სნეულებას, ის უსათუოდ გახდებოდა უფლის მგმობელი: „...ტყავი ტყავის წილ, მაგრამ სიცოცხლის წილ ყველაფერს გაიღებს კაცი. აბა გაიწოდე ხელი და შეეხე მის ძვალსა და ხორცს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა“ (იობ.1:45) მაგრამ სატანას განზრახვა არ გამართლდა. უდიდეს სატანჯველში მყოფ იობს სიტყვითაც კი არ შეუცოდავს უფლისთვის: „უთხრა ცოლმა: ახლაც ეჭიდები შენს სიალალეს? ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდი! მიუგო: ერთი უგუნური დედაკაცივით ლაპარაკობ! სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისგან, ავის ატანა კი აღარ გვინდა! არც ახლა სცოდა იობმა თავისი ბაგეებით“ (იობ.1:9,10). სატანამ „ვერაგულად“, ასევე გამოსაცდელად, იობს სამი მეგობარი მიუგზავნა. ისინი იობის ხილვით თავზარდაცემულები, იობთან ერთად შვიდი დღე მიწაზე ისხდნენ. როცა მათ ხმა ამოიღეს, ამის შემდეგ იწყება კამათი მათსა და იობს შორის, რომელიც რამოდენიმე ეტაპისაგან შედგება. მეგობრები ფიქრობდნენ, რომ იობის განსაცდელი იყო მისი ცოდვებიდან გამომდინარე და რომ ცოდვები უნდა მოეძია თავის თავში და თაობებში... იობი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და უფალს მიმართავს: „ოჰ, ნეტავ დამმალავდე, შემინახავდე, ვიდრე შენი რისხვა გადაივლიდეს! დროს დამინიშნავდე და მერე გამიხსენებდე! თუ მოკვდა კაცი, განა კვლავ იცოცხლებს? მთელი ჩემი მაშვრალობის დღეები დაველოდე-

ბოდი ჩემი ფერისცვალების დადგომამდე“ (იობ.14:13,14). იობმა „ვაიგულშემატკივრები“ დაადანაშაულა უსამართლო მსჯელობაში... ღვთივშთაგონებული ელიჰუ, რომელიც ბოლოს ჩაებმება საუბარში საყვედურს ეუბნება იობს სიტყვებისათვის – რას მარგებსო უმწიკვლობა, რომ, იობი ზოგჯერ დაუფიქრებლად ლაპარაკობდა. ბოლოს ანუგეშებს იობს, რომ უფალი დიდია და სულგრძელობას გამოიჩენს შენს მიმართო: „ვერ ვწვდებით ყოვლადძლიერს, ის აღმატებულია ძალით და სიმართლით; მრავალმოწყალეა, არავის ჩაგრავს. ამიტომაც მისი ეშინია ხალხს; ბრძენებს ის არად აგდებს“(იობ. 37:23,24). ელიჰუს სიტყვები გამართლდება; ბოლოსდაბოლოს, მართალი კაცი გაიმარჯვებს, რომელიც ბრალმდებელ სატანას მრავალგზის აჩვენებს, რომ ის შეუვალია ღვთის სიყვარულში. ამ ნაწარმოებში უპირველესად ნაჩვენებია, რომ ადამიანის ტანჯვის მიზეზი არ არის უფალი; ის ყოველთვის უ-ბრალოა. ბოროტება ეშმაკის „შემოქმედებაა“, რომ ადამიანები „ბრალით“ ხელს არ უნდა იშვერდნენ უფლისაკენ, არამედ უნდა ვევედრებოდეთ მას, გვიხსნას სატანის მტანჯველი ზემოქმედებისაგან. აქ არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მთავარი, – მორალური სახე ადამიანისა. როგორც აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, ზნეკეთილ ადამიანს უნდა ახასიათებდეს სამართლიანობა, ბრძოლა ამ სამართლიანობისათვის, სიბრძნე და გაწონასწორებულობა, რომლითაც, მართლაც, აღჭურვილია იობი; ის თუ არ იკითხავდა თავისი განსაცდელის მიზეზს და არ აღძრავდა ბრალს უფლის მიმართ (ამ შემთხვევაში სატანის მიმართ. მან ხომ არ იცის რომ სატანამ დასაჯა), მაშინ ეჭვი შეგვეპარებოდა მის გულწრფელობაში და ის იქნებოდა პირმოთნე – ფარისეველი უფლის მიმართ. მან, სწორედაც, სამართლიანად მოითხოვა თავისი უბედურების მიზეზის გარკვევა. იგი თამამად სვამს სამართლიან კითხვას, როგორც უფლის წინაშე, ასევე ადამიანების (მეგობრების) წინაშე. იობი არა მარტო მართალ კაცს განასახიერებს, არამედ სამართლიან, პრინციპულ ადამიანს, რომელიც ბოლომდე მიჰყვება სიმართლის ძიებას და არკვევს კიდევაც მას. ამ ორთაბრძოლაში იკვეთება კიდევაც მისი სიბრძნე და გაწონასწორებულობა. ამგვარად, ის არის უმწიკვლობის, მოთმინების, ამტანობის, სამართლიანობის, უდიდესი რწმენისა და იმედის მატარებელი, სიბრძნით და სამართლიანობით დაჯილდოვებული, რომელიც მისაბაძია ყველა დროის ადამიანებისათვის.

ბ) ეკლესიასტეს ბრალი

სრული, ჯანსაღი, ბრძნული განსჯით – ბრალი ადამიანური პოზიციიდან, უფლისა და ზოგად კანონზომიერებათა სრულად ვერ განცდის გამო.

„ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა. ადამიანს რას ჰმატებს შრომა, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა? თაობა მიდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე... განვიცადე ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზისქვეშეთში; და აჰა ვცანი – ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა... ვუთხარი ჩემს თავს: აჰა, მოვიპოვე და განვიმრავლე ცოდნა ყოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს უწინარეს იერუსალიმში, და ეზიარა გონება ჩემი განუზომელ სიბრძნეს და ცოდნას. როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი – ამასაც არა აქვს აზრი, რადგან როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს“ (ეკლ.1:2,3,4,14.16,17,18).

ეს სიტყვები და ბრალი შეიძლება აღეძვრა არა მარტო ისეთ განათლებულს და ბრძენს, როგორიც ეკლესიასტე იყო თავისი დროისათვის, არამედ, ნაკლები განათლების ან სულაც გაუნათლებელ ადამიანსაც. ეს სიტყვები აღმოხდება ნებისმიერს, ვისაც ნაკლები რწმენა აქვს და სულის მარადიულობაზე წარმოდგენა არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, არ განიცდის მას. „მერმე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ, და ყოველ საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარისნაბერი, და რომ არ

არის სარგებელი ამ მზისქვეშეთში“ (ეკლ.1:10,11). ყველაფრის მომპოვებელი ეკლესიასტე ამ „სარგებელს“ კვლავაც იპოვიდა, მრავალ სიცოცხლეს და ახალგაზრდობას ჩაეჭიდებოდა, გააჩენდა ყველაფერს, მაგრამ თავად სიამოვნების შეგრძნება დაეკარგა სიბერის ჟამს, ცხოვრება კი უკან არ ბრუნდება... მას ტკბობა და გემო მხოლოდ აქ ეგულება, ამის იქით კი, ხსნა და გზა არ არსებობს – ამაოა ყველაფერი... ეკლესიასტე ადამიანურ ყოფა-ცხოვრებაში უფლის ხელს ვერ ამჩნევს, ადამიანს უფლის სახე-ხატად არ განიხილავს, მარადიულ სასუფეველზე კი ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია... დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს არის ბრალი უფლის მიმართ, მაგრამ უსათუოდ არის ბრალი და ყვედრება ადამიანური ცხოვრების მიმართ.

ეკლესიასტემ თეორიულად იცის, რომ „სიკეთე უნდა ქმნას“, მაგრამ კეთილგანზრახულობით მის განმსჭვალულობაში შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, რადგან მასში „ღვთაებრივი გონება“ არ არის ანთებული; ის სულის მარადიულობას ვერ გრძნობს; კავშირს ადამიანსა და უფალს შორის ვერ განიცდის. მართალია, ერთგან ის ამბობს: „მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“ (ეკლ.10:7), მაგრამ ეს სიტყვებიც, წინააღმდეგობებით შექმნილ მის ნაწარმოებში, ერთგვარი ყვედრების და ბრალის სახითაა მოსროლილი. მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა: სიკეთის გაკეთება არ ღირსო, თავის განსწავლულობას რომ არ ჰქონოდა გავლენა მის შეხედულებაზე... თავად „ამაოდ“ ჩავლილი წამიც რომ მარადიულია, ამის შესახებ მას არც შეუძლია იფიქროს. იგი „სხეულებრივი ტკბობის“ კაფსულიდან იმზირება და თუ ეს არ არის, მაშასადამე, არ არის არაფერი... მის ბრალში არსად სჩანს – სურს თუ არა ღმერთს ადამიანის სიკეთე და ზრუნავს თუ არა ღვთისნიერთა ბედზე. მის „სიბრძნეს“ გრძნობისმიერი ძაფები აკავშირებს ცხოვრებასთან, მაგრამ არა უფალთან. ღმრთის ხატს პირუტყვთან აიგივებს:

„და ვთქვი ჩემს გულში: ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ. რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია – ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყველაფერი ამაოა. ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა. რომელი იტყვის,რომ კაცთა სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით ჩადის, ქვესკნელისკენ?“ (ეკლ. 3: 18- 21).

ეკლესიასტეს უკვდავების არ სჯერა... წარმოუდგენელია ღმერთმორწმუნე ადამიანს ჰქონდეს ასეთი პესიმიზმი... შეიძლება თავისუფლად ვთქვათ, რომ მან ცხოვრების სიამოვნების ფიალა „ზედმეტად“ ავსებული გამოსცალა და ამან აწყინა...სიბერის ჟამს, მხიარულების ჰორმონებისაგან დაცლილი, საყვედურებით ავსებს წუთისოფელს; ამასთან, თავის სიბრძნეს კაცობრიობის და ღმერთის სიბრძნესთან აიგივებს და აქედან გამოჰყავს თავისი მსჯელობა. მას ნაკლებად აქვს რწმენა და იმედი ღვთისა: „არ უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, არ დავაოკე გული ჩემი სიხარულისგან, რადგან ხარობდა ჩემი გული ჩემი ნაღვაწით, ეს ყოველივე იყო ხვედრი, ჩემი შრომისა“ (ეკლ. 1: 10). რატომ არ უარყო მაშინ? – იმიტომ რომ, ჭარმაგი ახალგაზრდობა, ძალა და ენერგია თან ახლდა. ახლა დეპრესიულმა ჰორმონებმა უარყვეს ნდომა-სურვილი და ყოველივე ჩაუცხრეს... მარადიულ ღირებულებათა ნდომა და სურვილი კი არსად ჩანს... „მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი“(ეკლ. 1:11). – როდის? სიბერეში სიკვდილთან მიმდგარმა იგრძნო ეს? – მაშ, სად არის უფალთან შერთვის წადილი – მოლოდინი უფლის განზომილებაში გადასვლისა? ეკლესიასტეს ამ ბრალში არ ჩანს არც იმედი, არც იდეალი, არც მადლიერება ღმერთის მიმართ, რაც რწმენის ნაკლულობა-განუვითარებლობას უნდა მივაწეროთ...

გ) ბრალი უძღები შვილისა

უძღები შვილის იგავი არის მარადიული სიტყვა უფლისა და გზავნილია ნებისმიერი საზოგადოებისათვის, – საერთოდ კაცობრიობისათვის და თანაბრად ეხება ნებისმიერ ეპოქას. ის ასახავს ადამიანურ ურთიერთობებს – პირველ რიგში ღვთისა და ადამიანის ურთიერთობას. იგავური აზრი – შინაარსი ეხება ვნებებით, მათ შორის ბრალით აღძრულ ადამიანს – უძღებ შვილს, რომელშიც ნებისმიერმა უნდა მოვიაზროთ საკუთარი თავი. უძღებობა, – ამ შემთხვევაში ბრალი, დაიწყო ადამიდან. ყოვლად კმაყოფილებისათვის დაბადებული ადამი, რომელსაც ჰქონდა ყველაფერი ფიზიკური თუ სულიერი არსებობისათვის, ბრალს აღძრავს ედემში – უფლის წინაშე. პირველი უძღები შვილი ადამიანებს შორის სწორედ ადამია. მან, რომელმაც იცის, რომ უფალი ყოვლისმფლობელი და ყოვლისშემძლეა, აღძრავს ბრალს მის მიმართ და განეშორება მას. საერთოდაც, ყველაფერი აქედან იწყება... შეგვეძლო ეს წიგნიც ამ თავდაპირველი ბრალის განხილვით დაგვეწყო...

მამამ იცის თავისი შვილის ვნებიანობის შესახებ. შვილს მოთხოვნისთანავე მისცა თავისი კუთვნილი წილი. იგავში არსად ჩანს, რომ მამამ ამის გამო წარმოშვა ბრალი შვილის მიმართ. მამას შვილის მოთხოვნა და მოქმედება თავის შინაგანში დაშვებულად რომ არ მიაჩნდეს, აუცილებლად გამოიკვეთებოდა მისი უკუბრალი, მაგრამ აქ ეს არ არის... აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭეშმარიტი სიყვარული ბრალს არ წარმოშობს. უფალი (მამა) ზედმიწევნით აკეთებს იმას, რაც შვილს სჭირდება (ფართო გაგებით)... შვილნი, როგორც უძღებნი, ყოველთვის რაღაცას დაეძებენ – არ ჯერდებიან მოცემულობას (სამოთხის შემთხვევაშიც კი), ეძებენ, გარბიან, გადიან მამის მოცემული სისტემიდან. ასე ვართ ჩვენ ყველანი და ეს უფალმა (მამამ) იცის... იცის და უშვებს აღვირს იმიტომ, რომ სხვანაირად არაფერი გამოვა... შინ დარჩენილი შვილი ვერაფერს ისწავლის, ვერ შეაფასებს, ვერ დააფასებს, ვერ იგრძნობს, ვერ შეიმეცნებს მთავარ არსს, კაცობრულ სითბოს, უფლის დიდ განზომილებას და სიყვარულს, სანამ არ განიხიბლება სამოთხისაგან და კვლავ არ მოიხიბლება მისით. მართლაც, მას შემდეგ, რაც უძღებმა შვილმა ყოველივე განაბნია და დაკარგა, რაც მამისგან ჰქონდა ბოძებული, გამოსცადა შიმშილი, ტანჯვა და დამცირება – უბრუნდება საკუთარ მშობელს. მამა უკან მობრუნებულ შვილს პირვანდელ მდგომარეობაში აღადგენს, – მოსავს სამოსელით, ანიჭებს სასუფეველს, ადებს ბეჭედს – საღვთო ნიშანს და წამოაცმევს ხამლს, რათა იაროს საღვთო სიტყვით. რაც შეეხება უფროსი ძმის ბრალს, ის უმცროსისას არ ჩამოუვარდება. თუკი უმცროსი ჭკუანასწავლი და გამოცდილებით ბრუნდება, უფროსს ეს ჯერ კიდევ არ აქვს. უძღები შვილის იგავში უფროს ძმაში, როგორც წმინდა მამები განმარტავენ, იგულისხმება იუდეველნი, რომელნიც უფლის სიტყვას – საღვთო წიაღში მიეღოთ არაიუდეველნიც – ვერ გებულობდნენ და მათთვის ეს მიუღებელი იყო. არადა, იუდეველებს ნიშანი მიცემული ჰქონდათ (პეტრე მოციქულს ჰქონდა გამოცხადება), რომ ღვთის წინაშე ნებისმიერ ადამიანს შეეძლო მისვლა, რომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი და მას უნდა შეუდგეს ყველა. სამწუხაროდ, ძმის მიმართ ბრალი ადამის დროიდან მომდინარეობს. მხოლოდ კეთილგონიერ ძმას შეუძლია მამის წიაღში მყოფი სისხლისმიერი ძმა უფლის სიყვარულით შეიყვაროს და არანაირი მატერიალური ღირებულებების ან სხვა მერკანტილური მოსაზრების გამო მის მიმართ ბრალი არ აღძრას, რაც, საუბედუროდ, უფრო იშვიათი და გამონაკლისია...

დ) კაენის ბრალი

ღვთის მადლმოსილებას განშორებულმა ადამმა, მართალია, ედემი დაკარგა, მაგრამ მიწიერი უფლება მაინც შეინარჩუნა. მისი ლუკმა იყო ტანჯვით მოსაპოვებელი, მისი შთამომავლობა გამზადებული იყო მრავალი განსაცდელისათვის. ადამის პირველსავე შთამომავლობაში იჩინა თავი ვნებიანობამ. ცოდვა-ბრალი თანდათან მრავლდებოდა, იზრდებოდა და მრავალფეროვანდებოდა. აქ მოკლედ შევეხებით ადამიანის პირველ ბრალს და დანაშაულს –

ძმის ბრალს ძმის მიმართ. ბიბლიის ამ ნაწილის შინაარსი ყველას მოეხსენება. წინარე განხილული მასალიდან ვიცით, რომ ბრალის აღძვრის უამრავი მოტივი შეიძლება გააჩნდეს ადამიანს და რა გასაკვირია, ცოდვით დაცემულ პირველ ადამიანს ჰქონოდა ბრალი, თუნდაც საკუთარი ძმის მიმართ. აქ საუბარი იმაზე კი არ არის, თუ, კერძოდ, რამ გამოიწვია აღნიშნული ბრალი, არამედ იმაზე, რომ უფლის სახლიდან – მისი განზომილებიდან გასულ ადამიანს ნებისმიერი მიზეზით შეეძლო აღეძრა ბრალი... ბევრი განმარტავს, რომ კაენმა ეჭვიანობის, შურის, იმედგაცრუების და ა. შ. მიზეზებით ჩაიდინა ძმის მკვლელობა. ის უკვე ცოდვილია და რით, როგორ, რა პირობებში ან რა დოზით ჩაიდენს დანაშაულს ამის გაზომვას აზრი არ აქვს. აქ უსათუოდ არის დაშვებული, რომ ის აღძრავს ბრალს სხვების მიმართ და ჩაიდენს დანაშაულს ყოველთვის. კაენის ბრალი არის, ზოგადად, „ბრალიანობის“ ტენდენცია, რომლითაც დასნებოვნებულია ადამის და ევას შთამომავლობა. ეს „ვირუსმატარებლობა“ იტოტება მის გენიალოგიაში, რის გამოც ნებისმიერ ადამიანს აქვს ბრალი და მიდრეკილება ცოდვებისადმი.

ე) იონას ბრალი

უნდა ვთქვათ, რომ იონას ბრალი დღევანდელი საზოგადოებისათვისაც ნიშანდობლივია; ეს არის „უფლის მისაკუთრებულობის“ ბრალი ერთი კონფესიისა, რომელსაც წარმოუდგენია, რომ სხვა რელიგიის აღმსარებლების მიმართ უფალი მოწყალე არ არის. გავიხსენოთ იონას ბიბლიური იგავი: უფლის გადაწყვეტილებით იონა იუდეველთა მოძულე სახელმწიფოს ყველაზე დიდ ქალაქში იგზავნება; ღვთის სიტყვა ებრაელთა არაერთგზის ამაოხრებელ ასურელებს უნდა უქადაგოს და გადაარჩინოს ისინი უფლის რისხვისაგან. იონას ეშინოდა, რომ ქადაგებისას, ნინეველთა მხრიდან სინანულის გამოვლინების შემთხვევაში, უზენაესს იუდეველი ერი არ დაეტევებინა და სხვა ერის მფარველი არ გამხდარიყო. იონამ იმავე სულით, რითაც წინასწარმეტყველად დადგინდა, უწყოდა, რომ რაჟამს წარმართნი ირწმუნებდნენ, სწორედ მაშინ განუდგებოდა ღმერთს ისრაელის სახლი და ფიქრობდა, მის დროს არ აღსრულებულიყო ის, რაც მომავალში განხორციელდა.

იონა ღვთისმცნებათა უარმყოფელი ადამიანის მდგომარეობას განასახიერებს. მის წინააღმდეგობას და გაქცევას უფლისაგან ბრალს ვერ დავარქმევთ. მას ებრაელთა არაერთგზის ამაოხრებელი ასურიელების მიმართ აქვს ბრალი და ვერ ეგუება აზრს, თვით უფლის მოწოდების შემთხვევაშიც კი, გადაარჩინოს ისინი. ამ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით წმინდანთა აზრს ძველი აღთქმის ამ მეტად მნიშვნელოვან პერსონაჟზე. ნეტარი იერონიმე განმარტავს: „იონა წარმართებთან იუდეველთა განკითხვის მიზეზით იგზავნება, რადგან წინასწარმეტყველისთვის ტომნი უკეთურებაში გაკერპებულან, ხოლო ნინეველნი სინანულის საოცარ მაგალითს იძლევიან“. იონა იუდაური საზოგადოების წევრია. მასაც, როგორც თვისტომთ, მიაჩნია, რომ გარდა იუდეველებისა, სხვა ხალხები ღვთისრისხვას იმსახურებენ (ეთნოკულტურების ურთიერთბრალი). ამგვარ აზრს ძველი აღთქმის რჯულში წარმოდგენილი კანონებიც განამტკიცებდა, უკრძალავდა რა რჩეული ერის წარმომადგენლებს ურთიერთობას უცხო ტომელებთან. საღვთო მოწოდებამ წინასწარმეტყველის სულში ძლიერი ორთაბრძოლა აღძრა. იონას საკუთარ თავში სიყრმიდან ფესვგადგმული რელიგიური შეხედულებები უნდა დაეთრგუნა და მისთვის სრულიად ახალი რეალობა გაეცნობიერებინა: რომ უზენაესი არსი საღვთო მზრუნველობას ყველას მიმართ იჩენს. სანამ იონა სულის სიღრმეში აღძრული მღელვარების მიზეზებში გამორკვეულა, უარს ამბობს ნინევში გამგზავრებასა და ქადაგებაზე. წინასწარმეტყველი, უზენაესის თვალსაჩინო მოწმობის გარეშე, საკუთარ თავს ვერ ერევა, შინაგან ჭიდილში კვლავ ძველი კაცი იმარჯვებს და იონა გარბის. იუდაური წარმოდგენების თანახმად, მხოლოდ აღთქმული მიწა მიიჩნეოდა ღვთის განსაკუთრებული მყოფობისა და გამოცხადების ადგილად, ხოლო წარმართული სახელმწიფოები ასეთ სიკეთეს მოკლებული იყვნენ. იონაც მსგავსი შეხედულებებით ხელმძღვანელობს და მიემართება თარშში,

რომელიც იმ დროისთვის დასავლეთით, ქვეყნიერების დასასრულად მიიჩნეოდა, იგი ფიქრობდა, რომ მასში აღძრული საღვთო სიტყვა შორეულ თარშში შეწყვეტდა მოქმედებას.

უფლის პირისაგან გაქცეული იონა რჩეული ერის ურჩობასა და უგრძნობლობას განასახიერებს. წინასწარმეტყველის თავს თევზის სახით მოვლენილი სასჯელიც იუდეველთათვის განკუთვნილი საღვთო რისხვის წინასახეა, თუმცა იონა უვნებელი გადარჩება, რითიც იმავე ერისადმი შემოქმედის უზომო სიყვარული და მზრუნველობა დასტურდება. უფლისგან დანდობილი იონა ნინევეში მიდის, როგორც ეს უბრძანა უფალმა. „იარა იონამ ერთი დღე ქალაქში, ქადაგებდა და ამბობდა: კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევე. იწამეს ნინეველებმა ღმერთი, გამოაცხადეს მარხვა და დიდიან-პატარიანად ჯვალოთი შეიმოსნენ... შეხედა ღმერთმა მათ საქციელს, რომ დააგდეს ბოროტების გზა და შეინანა ღმერთმა, ბოროტის ყოფას რომ უპირებდა მათ, და აღარ უყო“ (იონ. 3: 4,5, 10)

ნინეველთა მონანიებიდან ორმოცი დღის გასვლის შემდეგ ქალაქი ნინევე დაუსჯელი რჩება, რამაც იონა ძლიერ გაანაწყენა. იგი სასოწარკვეთილებაში ვარდება. რომ „უზენაესი არსი საღვთო მზრუნველობას ყველას მიმართ იჩენს“ იონა ვერ ეგუება ამ აზრს და აღძრავს ბრალს... ამ ბრალით იონა გაჟღენთილია და, გარკვეულწილად, საკუთარი ერის ეგოისტური განწყობის გავლენის ქვეშაა მოქცეული ნინევეს გადარჩენის შემდეგაც, რის გამოც უფალს სულის ამოხდას სთხოვს. ამ ვნებებით და ბრალით შეპყრობილი იონა, რომელიც ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ უფალმა ნინეველები შეიძლება დასაჯოს, ქალაქიდან უდაბნოში გადის. უდაბნოში გასულ იონას, საჩრდილობლად, უფლის მიერ ერთ ღამეში აღმოცენებული აყირო დიდ სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ იგი უფლის ნებითვე მალევე ხმება. ამით უფალი მიანიშნებს თავის რჩეულს, რომ უნდა გათავისუფლდეს ვნებისგან, რათა დარწმუნდეს, რომ წარმართნიც მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. „უთხრა ღმერთმა იონას: მაგრად გამწარდი ამ აყიროს გამო? მიუგო: მაგრად გავმწარდი, ლამის მოვკვდე. უთხრა უფალმა: შენ ერთი აყირო დაგენანა, თუმცა შენ არ დაგირგავს და არც გაგიზრდია. ერთი ღამის შვილი იყო და ერთ ღამეში გახმა. აბა, მე როგორ არ დამენანოს დიდი ქალაქი ნინევი, სადაც ას ოცი ათასზე მეტი კაცია, ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევია მარჯვენა და მარცხენა, და სადაც უთვალავი პირუტყვია?“ (იონ.4:9,10,11).

იონას ბრალი ნინეველების მიმართ, ასევე უფლისმიერი შეგონება, უაღრესად ნიშნეულია დღევანდელი საზოგადოებების, ეთნიკური და რელიგიური თემების, სახელმწიფოების ერთმანეთთან დაპირისპირებულობის ბრალში გასარკვევად და გასაცნობიერებლად. ამ ბრალის შინაარსი საკაცობრიო პრობლემის შინაარსია დღესდღეობითაც, და რომ, უფლის შეგონება, იონას მსგავსად, ამ საზოგადოებებს, ჯერ კიდევ, განსახორციელებელი აქვთ...

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

* * *

გაივლის დრო და ...
თაობები შეიცვლებიან,
დაილექება დასალექი
ოქრო და რკინა...
ა, იმ ქედებზე
პაპიჩემის პაპის ძვლებია,
და ბერ თევდორეს
ხავსმოდებულ საყდარში სძინავს...
გადაწინწკლულან ყაყაჩოთი
ქართლის ველები,
თურქთა ჯარივით
ჩამომდგარა თრიალეთს სიცხე.
ჩაუყვანიათ ნოსტელ ბიჭებს
წყალზე ცხენები,
გააგელვებენ მერე რაშებს
რკონისკენ ფიცხელ...
ა, იმ ქედებზე
პაპიჩემის პაპის ძვლებია,
ქარმა ნისლები
საფლავებთან მიაფარფატა...
გაივლის დრო და...
ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან,
კაცმა არ იცის,
ვინ იქნება მათში პაატა...
ვაჟა ოთარაშვილი

ცრემლში ნალესი ხმალი

გაგრძელება
(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-41-ებში
და ანთოლოგიის მე-5-11 ტომებში)

* * *

წავკისური ნადიმი I

სატანისგან განაზრახი
უნდა აისრულონ დღესა,
კარგად იფიქრე მკითხველო
ვინ ეძებდეს მიზეზებსა.
გიორგი სიძეს ენდობა
ცუდი ფიქრი მას არ ჩხვლეტსა,
წავკისს ნადირობა დათქვეს,
ხალხიც ბევრი შეჰყარესა,
არ იცოდა თუ ბერუკა
მათვე გადაიბირესა,
მასთან ძმობა მეგობრობა
აღარ გამოადგება დღესა,
გიორგის გუმანში არა ჰქონდა
თუ ვინმე მახეს დაუგებსა,
ოცი მაისი დამდგარიყო,
მივა რა დროც მათა თქვესა,
თასი აუსეს ღვინითა,
სწრაფად სტუმარს მიართვესა,
მოკლედ დაგვლოცე გიორგი,
ნუღა ილაპარაკებ ბევრსა,
გიორგი მოკლედ დალოცავს
სამტროდ შეყრილ მოძმეებსა,
ღვინით სიამე ექნების,
გიორგის გულსა და ყელსა,
ძილ მოსვენება უნდოდა,
მივა თავის სადგომელსა,
ბაკა ხერხეულიძის ძმა
მეხსა გავდა საზარელსა,
შენ უნდა მოგკლან გიორგი,
ვინაც მოგიპატიჟა დღესა
ცხენს უნაგირი არ ედგა,
არც აღვირ მოსართავიო,
გიორგი ნოსტესკენ გაფრინდა,
ვით გრიგალი და ქარიო,
ცხენის ყელს იყო ჩაფრენით,
მწარე ფიქრთ მოუბარიო,
ისე მიქროდა ლურჯაი
ქვაზე ცეცხლს ყრიდა ნალიო,
ასეა წუთისოფელი
ვით დედინაცვალი ავიო,
კარგი ვაჟკაცი მარადჟამს
მუდამ ხიფათში არიო.

ბერი თევდორე

ოსმალოთ ჯარი მოსულიყო 1609 წლის ზაფხულისა დამდეგსა,
მათ მესხეთი გამოევლოთ, ბანაკი კველთას დასცესა.
იმედად მეგზურს ეძებდნენ, ვინც მიიყვანდა ცხირეთსა
ლუარსაბის შეპყრობა ეწადათ, იმ ურჯულო ოსმალოებსა.
ვინაც მეგზურობა არ ითავა მათ თავები დააჭრესა,
შვიდი ასეთი ქართველი, სიცოცხლეს გამოასალმესა,
ბერმა თევდორემ იტვირთა მეგზურობა, იმა დღესა,
წინ წარუძღვა ოსმალოებს, ცხირეთი გვერდზე დარჩესა,
ქვენადრისის გზა ირჩია, მტერი რომ მიზანს ასცდესა.
სულმნათი ბერის საქმისა ვერაფერი შეიტყვესა,
გულ-იმედიანად ვიდოდნენ, მტერი თეძმის ხევს გაჩერდესა,
ცხირეთი კიდევ შორის არის? თევდორეს მწარედ ჰკითხესა,
გვიანღა მიხვდნენ მტარვალნი, ბერი თევდორეს მიზნებსა,
ბერს მძიმედ შუბი აძგერეს, უმალ მიწაზედ დასცესა.
სიკვდილი ვერ შეაშინებს, სულით სუფთა თევდორესა,
უფალო, შენი ნება იყო, რაც მე შევასრულე დღესა,
ოსმალოთ ფაშას ბრძანებაზედ, თევდორეს თავი მოჰკვეთესა.

„წავკისური ნადიმი“ და „ბერი თევდორე“

გადმოცემის თანამად, ეს ორი ლექსი, სოფელ გუდალეთში მცხოვრებ ბალიჩა წიკლაურს ჩაუწერია 1910 წელს სოფ. გოსტიბეში მცხოვრებ ივანე აფციაურისაგან. შემდეგ ეს ლექსები ბალიჩას გადაუცია თავისი უფროსი შვილის ალექსი წიკლაურისათვის. იგი დიდ სამამულო ომში იბრძოდა 1939 წლიდან 1943 წლამდის, შემდეგ ტყვედ ჩავარდნილა, გამოუვლია ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკი და 1950 წელს კასპში დაბრუნებულა, მისი დაბრუნება დიდი ზეიმით აღუნიშნავთ. დედამისს ალექსის ბევრი პირადი ნივთი ერთ სკივრში ჰქონია მოთავსებული და საბედნიეროდ, ეს ორი ლექსიც.

1979 წელს სტუმრად ვიყავი კასპში, ვარჯანაანთ უბანში, სადაც იმ დროს ალექსი წიკლაური ცხოვრობდა. როცა საუბარი გიორგი სააკაძეზე ჩამოვარდა, მაშინ გაახსენდათ ამ ლექსების არსებობა და დიდი რუდუნებით გადმომცეს მე.

დაუსრულებელი სინანული

სააკაძის კოშკზე შემჯდარიყო ფრინველი ერთი,
და მოსთქვამდა სინანულით, რად გაიმეტეთ გიორგი,
რად მოუწყვეთ შეთქმულება, რად გაიწყრომეთ ღმერთი!

მას ხომ უყვარდა მოყვასი, ტკბილ სამსახური მეფეთა.
გახსოვთ, ტაშისკარს,
მტრის ჯარსა როგორ ლომრსებრ ეკვეთა.
მისთვისა ავი საქმენი სად როგორ გამოქექეთა.
ჩუმად ნამზადი სიავე, ნიაღვარივით ეფეთა.
ქართლში სიამის დროება, რა უცბად გამოეკეტა.

ოჰ, როგორ უცბად იავდრა ბნელმა დაფარა ქვეყანა,
კაცთაგან ავ სურვილებში, კვლავ ბრუნავს გმინვა გოდება,
ხშირად სცვიოდა ცრემლები ნოსტე, რომ მოაგონდება.
ქვეყნად ამ ამბის მსგავსი ბევრი არ გაიგონება,
ყველა ღვიძლი ძმა ეგონა, არავისთან არ იყო მწყრალად
თანამოძმეთგან გაწირვა, სატანის ხერხია მარად.

რაც რომ უცვლელად, ძვირი ღირს თავად,
ეს ამაგია წინაპართ, ჩვენთვის იმედად ფარად.
მას მუდამ დაცვა ჭირდება, ხელი არავინ შეახოს ავად.
განა ეს წუთისოფელი, სულ ლხინით სავსე თასია?
ავი ბედისა მქონენი, საწუთრო ისევ სავსეა.

ვაება სააკაძისა

ტაშისკარს რომ ომი მოხდა, ჩვენ დავრჩით გამარჯვებული.
იმავ დროში, ხალხის თვალში, დიდად შევიქენ ქებული.
ეს ცნობა შაჰმაც შეიტყო, შეიქმნა გახარებული,
ლუარსაბი ირანს მიიწვია მისადმი პატივმიგებულნი.
კარგი დრო დადგა ქართლშია, ვიწყეთ ქვეყნისა შენება,
ჩემი დის გადედოფლება, მეფის სურვილსა ენება,
მართალი რომ ვთქვა ვხარობდი, რახან მეფემ ეს ინება,
მაგრამ, გუმანი ცუდს მიგრძნობდა,
სულ დავკარგე მოსვენება
გაგიხარია კარგია, მეფის კართან დამოყვრება,
მსურდა და თან არცა მსურდა, ლუარსაბის სიძეობა,
ასეთი საქმის მეორე მხარე, თურმე იყო ცრემლის დენა.
მეფემ სიტყვა შეასრულა, გამოხატა თავის ნება,
ქვათახევის მონასტერში მეფემ ჯვარი დაიწერა.
დიდებულები აღშფოთდნენ, დაუდგათ დიდი ვიშვიში,
მეფე ჩვენ აღარ გვისმენსო, ამის შეექმნათ მათ შიში.
მოაწყვეს ჩუმად მუხთლობა, დღე გამითენეს მე კრული,
გამიშორეს ქვეყნიდამა, ვარამით ამივსეს სული.
ვისგან ველოდო ნუგეშსა, დავრჩი მე დაღონებული.
რად დავიკარგე ქართლიდან, რატომ შექმნეს ამის ნება.
სიმძიმილი გულსა მწვავს ჟამი ავად დამებედა,
გადახვეწილი ირანში, დღე მქონდა ჭმუნვა გვემისა,
ობლად დარჩენილი ქართლი, ვის მისახედად რჩებისა,
უზრუნველად ვიყავ ირანში, დღეც მქონდა ნეტარებისა.
მე რომ მქონოდა სურვილი, ირანში სამუდამოდ დარჩენისა,
პაატასაც არ გავწირავდი, გულიც შემრჩებოდა მთელისა,
შაჰი ქართლზე ავს ფიქრობდა, მე ვატყობდი მისსა ქცევას,
ყიზილბაშნი ამზადებდნენ ჩვენი ქვეყნისა დაქცევას.
ფარულად მოქმედება ვიწყე, მსურდა ქართლის გადარჩენა,
სანიმუშოდ ვიქცეოდი, ცუდი არვის მოეჩვენა,
შაჰთან ვითომ ვვერთგულობდი, დაიჯერა მენდო დიდად.
შემდეგ ვნახოთ რაც მოხდების, ვინ ვისზედ იქნას რიდად.
ოცდაათიათასიანი ლაშქრის მოთავედ,
ყორჩიღა-ხანი მიუჩინა,
მე მისი თანაშემწე ვიყავ, მაშ თავი რით გამომეჩინა,
მარტყოფში კარვები გავშალეთ, დავნიშნეთ გუშაგ-მცველნია
ყიზილბაშთ ტკბილად ეძინათ, ფიქრი არ ჰქონდათ ომისა,
ისინი ვერარას უწყოდნენ, დღე რომ არ ჰქონდათ გრძელია.
„ხარების“ დღესასწაული იყო, ღამემ დაიწყო თენება,
ქართველთა ჯარი მოჰქრისო, გუშაგმა ატეხა განგაში,
ნამძინარევი სპარსელნი, მოექცა ქართველთა ხაფანგში,
ცხენები მოვსხლიტეთ ბანაკსა, ორმოცდახუთი ათასი,
უმეცარ ყიზილბაშებსა დღე გაუთენდათ მწველია,
მტრისა გვამებით აივსო მარტყოფის ველნი ვრცელია.
ეს ორი ლექსი დაუსრულებელი სინანულია და ვაება სააკაძისა

1977 წელს გადმომცა კასპის რაიონის სოფელ ჩაჩეუბეთში მცხოვრებ ჯიმშერ ქავთარაძემ. როგორც მან განმარტა, ეს ლექსები სპეციალურად დაკვეთით დაუწერია სოფელ კავთისხევში მცხოვრებ ხალხურ მოლექსე კაციაშვილს. მე ეს ლექსები დაკარგული მეგონა. დიდხანს ვერ ვპოულობდი, საბედნიეროდ, ამ ბოლო ხანს აღმოვაჩინე ერთ-ერთ ნახატების ალბომში.

გოჩა ჭელიძე

ეს ყველა ქართველმა უნდა იცოდეს!

"დიდებული საქმე ქართველი ერისა" როგორ შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტი

ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი დღეს პრაქტიკულად აღარ არის ცნობილი. მისი ნამუშევრების შესახებ ინფორმაციები არ არსებობს, ამ ადამიანის გარდაცვალებამ და დაკრძალვამ უხმაუროდ ჩაიარა და ის დღეს არც აღარავის არ ახსოვს და დღევანდელ საქართველოში მისი სახელი არაფრის მთქმელია. თვითონ ძველი თაობის ახალგაზრდობამ და ახალმა თაობებმა და ამ თაობების აღმზრდელი პედაგოგების ძირითადმა ნაწილმა არც კი იცის, რომ ეს უზარმაზარი, ყველა თბილისელისათვის ასე კარგად ცნობილი თბლისის უნივერსიტეტის შენობა სიმონ კლდიაშვილის პროექტით არის აგებული.

სიმონ კლდიაშვილი 1896 წლიდან სოხუმში, ქალაქის ხუროთმოძღვრად მუშაობდა და სამნწუხაროს ქართველი ერისთვის უცნობია, აქვს თუ არა აგებული რაიმე შენობა მას სოხუმში და საერთოდ, რაში გამოიხატებოდა მისი მოღვაწეობა სოხუმში, მაგრამ ფაქტია, რომ 1899 წელს მან ხელი მოჰკიდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის შენების პროექტის შედგენას და შემდგომში მშენებლობის ხელმძღვანელობას.

სათავადაზნაურო სკოლა თბილისში 1879 წლის თებერვალში დაარსდა /დროება 1879, №100/. და რევოლუციის წლებამდე იარსება.

მეფის რუსეთის სასტიკი და გამალებული გამარუსებელი პოლიტიკის პირობებში ამ სკოლამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა – სხვა საგნებთან ერთად აქ ისწავლებოდა „სამშობლოს აღწერილობა, ქართული ენა და საქართველოს ისტორია“. /1898 წლის ანგარიში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საზოგადოებისა ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის. გვ. 9/. სწორედ ამიტომ, სკოლის წარმატება ქართული კულტურის აღორძინების საწინდარი გახდა.

სკოლის არსებობის მანძილზე, ანუ როგორც მას საზოგადოებაში უწოდებდნენ ხოლმე, „ქართულ გიმნაზიაში“, ბევრი ცნობილი პედაგოგი მოღვაწეობდა: ექვთიმე თაყაიშვილი, არისტო ქუთათელაძე, ვლადიმერ ლორთქიფანიზე, დავით კარიჭაშვილი, შიო ჩიტაძე, სერგი გორგაძე, ალექსანდრე ჭიჭინაძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, აკაკი შანიძე და სხვები.

სკოლას თავდაპირველად მხოლოდ მოსამზადებელი ჯგუფები ჰქონდა, შემდეგ, ყოველწლიურად ახალ ჯგუფებს ხსნიდნენ, ხოლო 1899 წლის სექტემბრიდან უკვე რვაკლასიან გიმნაზიას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა გიმნაზიის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მისთვის შესაფერისი სადგომის გამოძებნა იყო საჭირო. გიმნაზიამ არსებობის 25 წლის განმავლობაში ოთხი ბინა გამოიცვალა, მაგრამ ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებდა მზარდ მოთხოვნილებას, სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა ახალი შენობის აგება.

1897 წლის 22 მაისის კრების ოქმში ნათქვამია: „რადგანაც გურგენბეგოვების სახლის სყიდვა არ მოხდა, ამიტომ საჭირო „შეუძლებელ მოსწავლეთა საზოგადოებამ“ ეხლავე იზრუნოს მიწის შეძენისათვის და მასზე სათავადაზნაურო სკოლის შესაფერისი შენობის აშენებისათვის, ვინაიდან მთელს თფილისში არ მოიპოვება იმისთანა სახლი, რომელიც შესაფერისი იყოს სკოლისათვის. კრებამ, რომელსაც ამ საქმის სულისჩამდგმელი ნ ი კ ო ლ ო ზ ც ხ ვ ე დ ა ძ ე თავმჯდომარეობდა, გადაწყვიტა, რომ საზოგადოებამ ამ საგნისთვის ისესხოს ფული.

1898 წლისათვის გამგე კომიტეტმა ვერაზე, ვარაზის ხევს გაღმა, თავად სოლომონ ალექსანდრეს ძე ბებუთაშვილისაგან ექვსი დესეტინა ადგილი შეარჩია და 21002 მანეთად და 15 კა-

პიკად შეიძინა. /1898 წლის ანგარიში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საზოგადოებისა ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის. გვ. 55/.

ეს ამბავი იქვე გახდა მითქმა-მოთქმის საბაბი. ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვებით – ნიკოლოზ ცხვედაძეს ჰკიცხავდნენ მრავალის ყვედრებით: ვერის მელებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელ ელიბუა მენახშირე და მეშეშეებისკენ უნდა გარეკოსო. /ჭიჭინაძე ზ. დიდებული საქმე ქართველი ერისა. 1908. გვ. 34/.

კომიტეტმა გიმნაზიის შენობის პროექტის შესადგენად და შენობის აშენების დროს მეთვალყურეობისათვის დაადგინა სიმონ კლდიაშვილის მოწვევა. შრომის ფასად მას დაუნიშნეს 3% ყველა შენობათა ღირებულებისა, რაც კი მისი ხელმძღვანელობით იქნებოდა აშენებული, პლიუს 1% გეგმის შედგენისათვის. საქმეს გულშემატკივარნი გამოუჩნდნენ: თავადმა კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანბატონმა, ძმებმა ზუბალაშვილებმა, დავით სარაჯიშვილმა მნიშვნელოვანი თანხა შესწირეს და მუშაობაც გაჩაღდა: შეწირული თანხით შეიძინეს საშენი მასალა და საგანგებო აგურის ქარხანაც გამართეს.

ამოცანა მეტად რთული იყო, არქიტექტორს უნდა შეექმნა უზარმაზარი სახლი, რომელიც თავისი მოცულობით თბილისში არსებულ ყველა შენობას აღემატებოდა და მრავალგვარი დანიშნულების სადგომებს შეიცავდა. ასე დაიწყო დიდებული საქმე ქართველი ერისა. რაც შეეხება საქმის სულისჩამდგმელს ნიკოლოზ ცხვედაძეს, მას სწამდა რა საქართველოს უკეთესი მომავალი, ამბობდა: ამ შენობაში ოდესმე უნივერსიტეტი განთავსდებაო. ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადო მოღვაწე გიორგი ლასხიშვილი აღნიშნავდა: კარგად მახსოვს ის დღე, როცა ცხვედაძემ ქართველი საზოგადოება მიიწვია საძირკველის ჩაყრაზე და კურთხევაზე. იმ დღეს გაზეთების ნომრები მოვათავსეთ ბოთლებში და ეს ბოთლები ჩავუშვით საძირკვლისათვის ღრმად ამოთხრილ მიწაში... მიუხედავად ყველაფრისა, ბევრი დამსწრე სკეპტიკურად აქნევდა თავს და ჩუმად დასცინოდა კიდეც ნიკო ცხვედაძეს. ცერემონიის გათავების შემდეგ ნიკო მოგვიბრუნდა ახალგაზრდებს და გვითხრა:

- ყმაწვილებო, გირჩევთ შეიძინოთ აქ სამოსახლო ადგილები, ეხლა ახლო-მახლო მიწა აქ ღირს საჟენი რამდენსამე კაპეიკად, რამდენიმე წლის შემდეგ კი ათ თუმნადაც არავინ მოგცემთო. ვაკე მაშინ წარმოადგენდა ოღრო-ჩოღრო უდაბნოს და ჩვენც ზურგს უკან დავცინეთ მოხუც ენთუზიანტს: რას ამბობს ეს ადამიანი, ვის გაუგია აქ დასახლება... ნიკო ცხვედაძე საკვირველი ენერგიით შეუდგა საქმეს და ის ხუროთმოძღვარ ნიკო კლდიაშვილთან ერთად დღე და ღამეს ათენებდა შენობაზე. ყოველ წელიწადს გეგმას აფართოებდა, არ ეშინოდა ხარჯების ზრდის, შოულობდა ფულს, ყურს არ უგდებდა სკეპტიკოსებს და ბოლოს უდაბნო ადგილას აიმართა ლამაზი, ვეებერთელა სენობა და იქვე მთელი ქალაქი გაჩნდა. – აქ ოდესღაც ჩვენი უნივერსიტეტი მოთავსდებოდაო, წინასწარმეტყველებდა ნიკო ცხვედაძე. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა. /ლასხიშვილი გ. მემუარები. 1934 წ. გვ. 150.

სვანეთის ისტორია

დასაწყისი

თავი I
თემატური მიმოხილვა სვანეთის გეოგრაფიული მახასიათებლები

დღევანდელ სვანეთს მდ. ენგურის აუზის უმეტესი ფართობი უჭირავს. ის მთლიანად კავკასიის მაღალ ზოლშია მოქცეული. სვანეთის ფართობი 4411 კვადრატულ კილომეტრია და ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის 5,8%-ს შეადგენს. ის თავისი ფართობით აღემატება ერთად აღებულ ლუქსემბურგის სახელმწიფოს, ვატიკანს, მონაკოს და სან-მარინოს. სვანეთი აფხაზეთთან ერთად საქართველოს ულამაზეს მხარედაა მიჩნეული!

საქართველოს ეს ულამაზესი, ამავე დროს მკაცრი ბუნების მხარე, მოქცეულია ჩრდილოეთით კავკასიონის, აღმოსავლეთით – რაჭა-სვანეთის, სამხრეთით – სამეგრელოს, ხოლო დასავლეთით – სვანეთის და აფხაზეთის ქედებს შორის. შედეგად სვანეთი მდებარეობს ღრმა, ოთხკუთხა მოყვანილობის ფორმის ხეობაში, რომელსაც მაღალი სვანეთის ქედი ორ ნაწილად ყოფს: ზემო – მდინარე ენგურის და ქვემო – მდინარე ცხენისწყლის ხეობის სვანეთად.

კავკასიონი საქართველოს ერთ-ერთი მორფოლოგიური ერთეულია. მის ყველაზე მაღალ, 140 კილომეტრის სიგრძის ნაწილს, რომელიც მოქცეულია დასავლეთით ღვანდრას მთიდან აღმოსავლეთით ფასის მთამდე სვანეთის კავკასიონი ეწოდება და მისი საშუალო სიმაღლე 4000 მეტრია. სვანეთის კავკასიონზე განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა მსოფლიოს ულამაზესი მწვერვალი უშბა, რომელსაც აღმოსავლეთით მოსდევს ტიხტიგენი, გისტოლა და თეთნულდი. ეს მწვერვალები თითქოს ერთი ოჯახის წევრები არიან. მათ მოსდევს სვანეთის კავკასიონზე უმაღლესი, დამცავი კედელივით აღმართული შხარის მასივი. სვანეთის კავკასიონის უკანასკნელი მწვერვალი ფასის მთა სამხრეთ – დასავლეთისკენ გამოჰყოფს მდინარე ცხენისწყლის და რიონის წყალგამყოფ რაჭა – სვანეთის ქედს.

სვანეთის აღმოსავლეთ საზღვარს წარმოადგენს რაჭა – სვანეთის ქედი, რომელიც გამოეყოფა სვანეთის კავკასიონს ფასის მთიდან და მიემართება სამხრეთ დასავლეთისკენ. ამ ქედის მთავარი მწვერვალებია: ლუხუნის წვერი, ლაწიფარი, სამერცხლე და ლელაშხა. ამ უკანასკნელის შემდეგ ქედი თანდათან დაბლდება და წყდება რიონის ხეობასთან. ამ ქედის სიგრძე სვანეთის ფარგლებში 30 კილომეტრია.

სვანეთის კავკასიონის დასავლეთ წერტილიდან, ღვანდრას მთიდან გამოიყოფა სამხრეთ-დასავლეთისკენ მდინარე ენგურის და კოდორის აუზების წყალგამყოფი სვან-აფხაზეთის ქედი. მისი უმაღლესი მწვერვალებია მუდმივი თოვლით მოცული მუგუაშიხრა და ხარირხა. ხარირხას სამხრეთ-დასავლეთით ხიდას გადასვლის შემდეგ, ის აღწევს ხოჯალის მთამდე, რის შემდეგ ქედი მერიდიანულ მიმართულებას იძენს და აფშარას მთამდე აღწევს. შემდეგ დაბლდება ენგურის ხეობისკენ და ჰყოფს მდინარე ოქუმის ხეობას. სვანეთ-აფხაზეთის ქედის სიგრძე 85 კილომეტრია.

სვანეთ-აფხაზეთის ქედის შუა ნაწილიდან, ხოჯალის მთის სამხრეთით, ბონკუსპოს მთა გამოჰყოფს სამეგრელოს ქედს, რომელიც ჰყოფს სვანეთს სამეგრელოსგან და სვანეთის სამხრეთ საზღვარს წარმოადგენს. სამეგრელოს ქედს აქვს ჯერ გაყოლებითი მიმართულება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, შემდეგ ენგურის ხეობა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებაზე ცვლის მდებარეობას. სამეგრელოს ქედის უმაღლესი მწვერვალებია: ოთეფურა დუდი, დიდღალ დუდი, თხეიშ დუდი და ლაკამურაშ დუდი. სამეგრელოს ქედის სიგრძე 80 კილომეტრამდეა.

სვანეთის კავკასიონს, სამხრეთის მხრიდან, პარალელურად გასდევს მუდმივი თოვლით დაფარული სვანეთის ქედი. ეს ქედი ზემო სვანეთის სამხრეთი საზღვარია. სვანეთის ქედის უმაღლესი მწვერვალებია: დადიაში, ლანქორი, ლატფარი, მუშური, ლასილი, მეფქაში, ღვადარაში, ლაჰლა და ლეშნირი. ამ მწვერვალებიდან ჩამოედინება უამრავი მყინვარი.

კავკასიონი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენს. ოდესღაც საქართველო კავკასიონის ქედის ორივე მხარეს იყო განთავსებული (ჩვენ ამ საკითხზე საფუძვლიანად ვისაუბრებთ).

კავკასიონი მსოფლიო მნიშვნელობის ფენომენია არა მხოლოდ მისი განუმეორებელი სილამაზით, არამედ იმ შეუდარებელი მნიშვნელობით, რაც ცივილიზაციის ფორმირების პროცესში უკავია. პირველ რიგში უნდა გავითავისოთ, რომ კაცობრიობის წარმოშობის ადგილად კავკასიაა მიჩნეული.

ტერმინი „კავკასიური რასა“ პირველად გამოიყენა გერმანელმა ფილოსოფოსმა კრისტოფერ მეინერსმა 1785 წელს გამოცემულ წიგნში „კაცობრიობის ისტორიის კონტურები“. მეინერსის ტერმინი განავრცო და გაავრცელა 1800 -იან წლებში მოღვაწე გერმანელმა ფიზიოლოგმა, ანატომმა, ანთროპოლოგმა, ზოოლოგმა, პროფესორმა მედიცინის დარგში და ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების წევრმა იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახმა, რომელიც მიჩნეულია ანთროპოლოგიის სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებლად. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვენი ბლუმენბახს მიიჩნევდნენ გერმანული მეცნიერების ამომავალ სინათლედ. იმანუელ კანტი და ფრიდრიხ შელინგი მას უწოდებდნენ თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღრმად განსწავლულ ბიოლოგ – თეორეტიკოსს. მეცნიერებათა ისტორიკოსის პიტერ უოტსონის სიტყვებით XIX საუკუნის გერმანელი ბიოლოგების ნახევარი მისგან სწავლობდა ან მისით იყო შთაგონებული. ბლუმენბახმა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნა ნაშრომი — „ადამიანთა ტიპების ბუნებრივი სახესხვაობანი“, ხსენებულ ნაშრომში მან კაცობრიობა ხუთ უმთავრეს რასად დაჰყო, მათ შორის:

- კავკასიური რასა, ანუ თეთრკანიანები...

ქართველთა შესახებ ბლუმენბახი წერდა: „კავკასიონის მთაგრეხილის მახლობლად, კერძოდ მის სამხრეთ ნაწილში ყველაზე თვალწარმტაცი ქალბატონები და წარმოსადეგი მამაკაცები იბადებიან, მე მხედველობაში ქართველები მყავს და სწორად ამიტომაც, ყველა ფიზიოლოგიური წინაპირობისა თუ მიზეზის გათვალისწინებით, არსებობს ყველაზე მაღალი ალბათობა იმისა, რომ კაცობრიობის გაჩენის ადგილი დედამიწაზე, ეს რეგიონია“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ინგლისელმა ზოოლოგმა ვილიამ ჰენრი ფლოვერმა კაცობრიობა სამ მთავარ ძირითად მოდგმად: ეთიოპიურ, მონღოლოიდურ და კავკასიურ მოდგმად დაჰყო.

XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე გერმანელმა ანტროპოლოგმა პოლ ერენრაიჰმა კაცობრიობა დაჰყო ექვს მოდგმად: კავკასურ-ხმელთაშუაზღვის, აფრიკა-ნეგრიტულ, მონღოლურ-აზიურ, ამერიკულ, მალაი–პოლინესურ და აუსტრალიურ მოდგმად.[2]

ბრიტანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა. ჟიულ ვერნთან და ჰიუგო გერნსბეკთან ერთად სამეცნიერო ფანტასტიკის მამად აღიარებულმა ჰერბერტ ჯორჯ უელსმა 1920 წელს, ხმელთაშუაზღვისპირულ რასას „იბერიული რასა“ უწოდა.

როგორც ირკვევა, თეთრი რასის წარმოშობის სათავე კავკასია წმინდა ქართული ფენომენია და ამას განსაკუთრებული გააზრება სჭირდება. კავკასიონთან არის დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

კავკასიონთან მიმართებაში 4000 წლის ინტერვალში ვხვდებით სვანეთში ოქროს მოპოვების საკითხთან დაკავშირებული თქმულებების ტრანსფორმაციას სვანეთის კავკასიონის მდინარეებში ვერძის ტყავით მოპოვებულ ოქროს საწმისსა და ამავე არეალში გრიფების საშუალებით მოპოვებულ ოქრომდე.

ამ მითებს შორის შევხვდებით კავკასიონთან თითქოს არანაირი შემხებლობის მქონე თქმულებებს. მაგალითად ვალჰალას. ვალჰალას ისლანდიურ თქმულებებში ასგარდის ერთი ნაწილია – ოდინის სასახლე. მასში ბინადრობენ ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირთა სულები, გაერთიანებულნი ოდინის რაზმში. ამ თავისებურ სამოთხეში, სიამოვნებისა და გართობის მიზნით, რაინდები დღისით ერკინებიან ერთურთს, და თუ დაიხოცებიან, საღამოთი კვლავ გაცოცხლებულები ბრუნდებიან ვალჰალაში და იწყებენ ღრეობას გათენებამდე. „ოდინის შინდაბრუნება“ იძლევა ვალჰა-

ლას გეოგრაფიული ადგილსამყოფელის ლოკალურად დაზუსტების საშუალებას და ეს კავკასია-აა. თქმულების თანახმად, იგი მოქცეულია კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ კავკასიაში ვალჰალას მოქცევის მოტივი, არამარტო ემთხვევა გერმანულ თქმულებებათა სხვა რკალში განვითარებულ აზრებს, რომ სამოთხე სწორედ მცირე აზიაშია, კერძოდ, საქართველოში – სვანეთის კავკასიონზე.

XII საუკუნის გერმანელი უდიდესი მწერლის ვოლფრამ ფონ ეშენბახის სარაინდო რომანში – „პარციფალი“ ოთხ ადგილასაა ნახსენები კავკასია.

პარციფალის II ტექსტში აღწერილია გამურეტის, პარციფალის მამის შეჭურვილობა და მის აბჯარზე სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: დამზადებული იყო იგი ოქროსგან, რომელსაც კავკასიის მთებიდან ბრჭყალებით გლეჯდნენ გრიფები, არაბეთიდან მოდიან ადამიანები, რომლებიც ეშმაკობით იგდებენ ხელთ ოქროს და გააქვთ იგი არაბეთში!

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი – კლამიდე, რომელსაც პარციფალმა წაართვა საყვარელი ქალი, კონდვირმაური, ეუბნება პარციფალს: – მე ისეთი რამ დავკარგე, რომ ამ დანაკლისს ვერ ამინაზღაურებს ვერავითარი სიმდიდრე და განძეულობა, ვერც ტრიბალიბოტი, ვერც ოქროთი მდიდარი კავკასიის მთები და ვერც თვით გრაალის ყოვლის მომნიჭება. პარციფალის VII წიგნში ვკითხულობთ: კავკასიის ოქროსგან წარმართები ქსოვენ მშვენიერ სამოსელს: დიდის ხელოვნებით აქსოვენ ისინი ოქროს აბრეშუმში.

კავკასია მოხსენიებულია აგრეთვე XII საუკუნის პირველი ნახევრის გერმანულ საგმირო ეპოსში – ორტინტში. სადაც: ქონდრისკაცი ალბერიჰი თხოვს ორტინტს სიცოცხლის შენარჩუნებას, რისთვისაც ჰპირდება მახვილს, მოვარაყებულს ოქროთი: მე ვფიქრობ, დედამიწაზე არ მოიპოვება უკეთესი მახვილი, მე ის წამოვიღე ქვეყნიდან, რომელსაც ჰქვია ალმარაი. იგი მოვარაყებულია ოქროთი და კრიალაა, ვითარცა მინა. ოქრო მე ამოვიღე მთიდან, რომელსაც კავკასია ჰქვია!

XIII საუკუნის მიწურულის გერმანულ საგმირო ეპოსში – „რაინფრიდ ბრაუნშვაიგელი“ მოთხრობილია შემდეგი ამბავი: რაინფილდი თავის რაინდებთან ერთად სპარსეთში მიდის. აქედან ის სპარსეთის მეფესთან ერთად კავკასიის მთებს მიაშურებს, სადაც ბინადრობენ გრიფები, რომლებიც თავიანთ კვერცხს ოქროზე დებენ. ოქროს ხელში ჩასაგდებად იქაურები ხერხს მიმართავენ: როცა ოქროს მოპოვება სურთ, კლავენ დიდ ხარებს, მათ ატყავებენ, ხარის ტყავში დებენ დიდ, წვეტიან ქვებს, შემდეგ ტყავს პირს მოუკრავენ და ხარის ტყავებს იქვე დადებენ, ისე, რომ გრიფებმა კარგად დაინახონ... და ადრე, დილით, როდესაც ის ისაა ინათებს, გრიფს ჰგონია, რომ საზრდო იპოვა – ის აიტაცებს ქვებით გამოტენილ ტყავებს და მთებზე აფრინდება, როცა მიფრინდება თავის ბუდეში, მაშინღა მიხვდება, რომ მოტყუებულია. გრიფი ტყავებსა და ქვებს მთიდან ძირს გადაყრის... ჩამოვარდნისას ქვები ტეხენ და თან გაიყოლებენ ოქროს ზოდებს, რომელთაც ადგილობრივები ღამით აგროვებენ და ეპატრონებიან.

XIII საუკუნის დასასრულის სარაინდო რომანში – „უმცროსი ტიტურელი“, რომელიც ალბრეჰტს მიეკუთვნება, შემდეგია მოთხრობილი: მთებში ბატონობენ ველური გრიფები. ამ მხარეში მცხოვრებთ მათი შიშით დამფრთხალი ჰქონდათ ძილი. ოთხი ცხენიც რომ ყოფილიყო გადაბმული, გრიფებს არც მათი გატაცება გაუჭირდებოდათ. გრიფები ადვილად არ თმობდნენ ოქროს; მათი ადგილსამყოფელი თანდათან ზევით იწევდა. ისინი მთებში გლეჯდნენ ოქროს დიდ ზოდებს და კავკასიაში მიჰქონდათ გასაყიდად, რათა ტყუილუბრალოდ არ გაფუჭებულიყო...

XV საუკუნის მწერალი, ჰერმან ფონ ზაქსენჰაიმი თავის „მორინში“ წერს: მრავალ უცხო კუნძულზე, განსაკუთრებით კი შორეულ ინდოეთში, სადაც ერთ დროს გაემართა თომა მოციქული, აღმართულია ოქროთი მდიდარი მაღალი მთები, რომლებზეც გრიფები ბინადრობენ და მუდამ ჟამს ზიანს აყენებენ ნისკარტიან ადამიანებს. აქ ძალიან საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ძველ გერმანულ ლიტერატურაში, თითქმის ყველა, ვინც კი კავკასიის საკითხს შეხებია, მას ყველა ინდურ კავკასიად მოიხსენიებს. ამავე დროს, გარკვეულ ლიტერატურულ ძეგლებში არის ადგილები, სადაც ინდოეთი და კავკასია სხვადასხვა მხარეებად არის მოხსენიებული. მაგალითად, XVI საუკუნის „ხალხურ წიგნში დოქტორ ფაუსტზე“ წერია: კავკასია ინდოეთსა და სკვითეთს შორის მდებარე უმაღლესი კუნძულია თავისი სიმაღლეებითა და მწვერვალებით. ამავე წიგნში ვკით-

ხულობთ: იქიდან დოქტორ ფაუსტმა გადახედა მრავალ ლანდშაფტს და ზღვის სივრცეს. დოქტორი ფაუსტი ასეთ სიმაღლეებზე ადიოდა არა იმიტომ, რომ იქიდან ზღვა და გარემომცველი სამეფოები ეხილა, არამედ ფიქრობდა, რადგან ზოგიერთი კუნძულები თავისი მწვერვალებით ეგზომ მაღალია, სურდა მას ბოლოსდაბოლოს სამოთხის დანახვა... აღმოსავლეთით მან დაინახა სინათლე, მსგავსი მოკაშკაშე მზისა, იხილა მიწიდან ვიდრე ზეცამდე ცეცხლის ნაკადები ამოდიოდა... შეამჩნია ველზე ოთხი დიდი მდინარე მოედინებოდა – ერთი ინდოეთისკენ, მეორე ეგვიპტისკენ, მესამე – სამხრეთისკენ და მეოთხეც იქითკენ – სადაც ფაუსტი იმყოფებოდა. იხილა რა ეს, ფაუსტს ეწადა შეცნობა ყოველი ამის საფუძვლისა და წარმოშობისა და ჰკითხა მეფისტოფილესს, თუმცა მან ეს შეშინებული გულით მოიმოქმედა, თუ რა იყო. მეფისტოფელისმა მას სწორი პასუხი გასცა: ეს სამოთხე არისო.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი განმარტავს: მონღოლი მხოლოდ ანგრევს, ნამდვილი პროგრესი კავკასიიდან მოდისო, და პირველ რიგში ქართველებს ასახელებს.[5]

როგორც ვხედავთ საქართველოს და სვანეთის კავკასიონს მრავალი მითი, ლეგენდა, თქმულება და სინამდვილე უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ერები და ქვეყნები თანამედროვე ეპოქაშიც კი თხზავენ და ქმნიან ლეგენდებს, ფუთავენ, მხატვრულ და ისტორიულ ელფერს აძლევენ, რათა მათი ქვეყნები ყოველმხრივ მიმზიდველი გახადონ. საქართველოს ეს არ სჭირდება. ლეგენდებით განგებამ უხვად დაგვაჯილდოვა და ამ გარემოებას დიდი ყურადღების მიქცევა სჭირდება.

მყინვარები

სვანეთის კავკასიონის თხემი და ფერდები მოფენილია მუდმივი თოვლით და მათგან ჩამოედინება მრავალი მყინვარი. მყინვარები, რომლებიც ხშირად კლდეებს შორის არიან ჩამოკიდებულნი, ზევიდან და გვერდებიდან მაღალი წნევისა და ამინდის მუდმივი ცვალებადობის გამო სკდებიან, ვარდებიან ღრმა ქარაფებში, აჩენენ ძლიერ ზვავებს. სვანეთის მყინვარების უმეტესობა მოცოცავს ხეობებში, მათი ბოლოებიდან ჩანს ყინულის გვირაბები, საიდანაც დიდი ხმაურით იბადებიან მდინარეები. ასეთ მყინვარებს ხეობის ჩამოკიდებულ მყინვარებს, ანუ ალპის ტიპის მყინვარებს უწოდებენ.

გამყინვარების ეპოქაში, სვანეთის მყინვარებს დღევანდელთან შედარებით ბევრად მეტი სივრცე ეკავათ. ისინი ჩამოეღვენთებოდნენ დღევანდელ ველებამდე, რისი ნათელი დასტურია უზარმაზარი ობოლი გრანიტები. თვითონ ენგურის ხეობაც უძველესი მყინვარის ხეობას წარმოადგენს.

სვანეთის კავკასიონზე ყველაზე გრძელი მყინვარი ლეხზირია. მას მოსდევს წანერის მყინვარი, რომელიც მოედინება თეთნულდის დასავლეთ ფერდობიდან ძალიან ვიწრო და კლდოვან ხეობაში. გვალდას მთებიდან მოედინება ტვიბერის მყინვარი, რომელიც უერთდება კითლოდის მყინვარს და მიემართება ვიწრო შვეულფერდობიანი ხეობით. ასევე აღსანიშნავია: ჭალაადის, ნაღების, ჰადიშის, ხალდეს და მრავალი სხვა მყინვარები.

სვანეთში სულ 124 მყინვარია. მათი საერთო ფართობი 312 კვადრატული კილომეტრია. სვანეთის კავკასიონზე 105 მყინვარია, სვანეთის ქედზე – 19, მხოლოდ მდინარე დოლრას აუზში 32 მყინვარია, რომელთა შორის ყველაზე დიდია ქვიში, დოლრა და უშბა.

მყინვარების შედეგად წარმოქმნილია მყინვარული ტბები, რომელიც სვანეთის ბუნებას კიდევ უფრო განუმეორებელს ხდის. ეს ტბებია: ქორულდის ტბა, ლნთარის ტბა, ყინულის ტბა, ყვითელი ტბა, ნამყვამის ტბა, დიდი და პატარა ოქროწყლის ტბები.

გაგრძელება იქნება

ცისარი სხეულის ნათება
თამარ მეფე

* * *

გამოჩენილი ადამიანები თამარ მეფის შესახებ

თამარ მეფის მოღვაწეობაზე, თამარის საქართველოზე არაერთ გამოჩენილ ადამიანს გამოუთქვამს საკუთარი აზრი. ამით ისინი ახლებურად გვაჩვენებენ ჩვენი ქვეყნის წარსულის მნიშვნელოვან მოვლენებს, მეორეს მხრივ კი, პოპულარიზაციას უწევენ საქართველოს გმირულ წარსულს და ამით ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას.

* * *

ბასილი ეზოსმოძღვარი თხზულებაში **„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“** ამბობს: „თუ მომავალი თაობანი თამარის მეფობის სიდიადეს არ დაიჯერებენ, ასეთმა ურწმუნოებმა დაე გაიხსენონ თამარის დროს ქართველთა მიერ აღებულნი ციხენი და ქალაქნი, შემომტკიცებული მხარეები და უშიშროების მოსახვეჭად თითქმის ორჯერ გავრცობილი საზღვრები ქვეყნისა, დაე გაიხსენონ ერაყამდის მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარაღამდის და მაშინ უსათუოდ დარწმუნდებიან, რომ მატიანეთა ნაამბობი სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს“.

* * *

სიუხვით ზღვებრი,
სიმართლით ცებრი
შავთელი

* * *

თამარ მეფის თანამედროვე დიდი **აზერბაიჯანელი** მგოსანი **ნიზამი განჯელი** თავის ლექსში თამარის შესახებ ამბობდა: **მან თითისტარი შუბად აქცია და ჩვენ კი შუბი თითისტარად!**

* * *

თამარ მეფის თანამედროვე ისტორიკოსი **ვარდან არეველცი** გადმოგვცემს: თამარის მეფობის ჟამს ქრისტიანები გაძლიერდნენ.

* * *

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი 1655 წელს წერდა: თამარ დედოფლის ნახევრად მითიურ ეპოქაში კავკასიის ყველა ხალხი აღიარებდა მის ძალაუფლებას.

* * *

1825 წელს ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, საფრანგეთის კონსული თბილისში **ფრანსუა გამბა** თავის წიგნში **„მოგზაურობა კავკასიაში“** თამარ მეფის შესახებ აღნიშნავს: **სურამის ციხე, გორის ციხის მსგავსად, მაღალ, ცალკე მდგომ მთაზეა აღმართული და მთელ ამ მხარეს ზემოდან გადმოჰყურებს. ის აშენებულია თამარ მეფის დროს, რომელსაც მიაწერენ თითქმის ყველაფერს, რაც კი ოდნავ მაინც ღირსშესანიშნავია საქართველოში.**

* * *

1833 წელს, ჟურნალ **„ტელესკოპში“** დაიბეჭდა 1831 წლის პოლონეთის აჯანყების პოლონეთის საიდუმლო საზოგადოება **„სარმატთა ტომის“** წევრის **ალექსანდრე ხოზდოკის** წერილი, რომელშიც ის თამარ მეფის შესახებ ამბობს: ქართული ლიტერატურის სახელოვან ეპოქად იწოდება ბრწყინვალე მეფობა თამარისა, რომელმაც თავის სკიპტრას თარგამოსის ყველა ტომი

დაუმორჩილა. ამ ქართველმა სემირამიდამ, მრავალი გამარჯვების მომხვეჭელმა, იმ კეთილ-მზრუნველობისათვის, რომელიც მან თავის ქვეშევრდომების მიმართ გამოიჩინა, მეცნიერებათა მფარველის სახელი დაიმსახურა. მისმა კაცთმოყვარეობამ, სიუხვემ, ტკბილმა მოპყრობამ, მხიარულმა ხასიათმა, მომხიბვლელმა სიტურფემ და მეცნიერებისადმი სიყვარულმა, სამეფო კარი ნიჭისა და რაინდული სიქველის თავშესაფრად გადააქციეს.

* * *

გერმანელი ბოტანიკოსი და დენდროლოგი **კარლ ჰენრიხ ემილ კოხი** 1836 წელს წერდა: თამარ მეფის დროინდელი საქართველოს გავლენებმა ხელი შეუწყო ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას მთელს კავკასიაში .

* * *

1840 – იან წლებში რუსეთის საიმპერატორო ჯარების კავკასიის ხაზის მეთაური.
„რჩეული მიხეილის“ მასონთა ლოჟის წევრი, **ვლადიმერ გურკო** თამარ მეფის შესახებ წერდა: თამარ დედოფლის კულტი ქართველთა სხვადასხვა ტომში სულ სხვადასხვა კუთხით დახასიათდა, სხვადასხვაგვარი ფერებით.

* * *

1840-იან წლებში **„ვეფხისტყაოსნიც“** პოლონურ ენაზე მთარგმნელი, პოლონელი პროზაიკოსი, **კაზიმირ ლაფჩინსკი** თამარ მეფის შესახებ აღნიშნავდა: თამარის მეფობა ესაა ქართველთა პოლიტიკური სიძლიერის ზენიტი. თურქთა, სპარსთა, არაბთა და სხვათა ურდოები დათრგუნული იყო. ზღაპრულად, თითქოს მიწიდან ამოიზიდნენო, ქვეყანაში საოცრად გამრავლდა ციხესიმაგრეები და ტაძრები, რომელთა რიცხვი აღემატება ჩვენში კაზიმეჟ დიდის მეფობის დროს არსებულ ნაგებობებს. მეცნიერება და ხელოვნება ძალუმად განვითარდა. თამარის მეფობას შორს გაუთქვეს სახელი მოსე ხონელმა, სარგის თმოგველმა, შავთელმა, ჩახრუხაძემ. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ლიტერატურის ეს ყველაზე სახელგანთქმული ქმნილება შეიქმნა თამარის მეფობის ხანაში საქართველოს ოქროს ხანაში. დღესაც კი ყოველი გლეხი (თუმცა, თამარის გარდაცვალებიდან 7 საუკუნე გავიდა), სასოებით ახსენებს მის სახელს.

* * *

1846 წელს ამიერკავკასიაში იმოგზაურა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, მწერალმა **ანდრეი მურავიოვმა**. თავისი წიგნის **„საქართველო და სომხეთის“** იმ თავში, რომელსაც **„თამარის ციხე“** ეწოდება, მოწიწებით იხსენებს თამარ მეფეს და მის ისტორიულ ღვაწლს. მისი თქმით, ქართველმა ხალხმა მის სახელს დაუკავშირა როგორც ადრინდელი, ისე, შემდგომი საუკუნეების ყველა გადმოცემა. სიამოვნებით ვუსმენდი ლეგენდებს განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ნამყოფი ყოფილა დიდებული მეფე თამარი, რომელსაც რუსთაველმა მიუძღვნა თავისი გულის სპეტაკი აღტა- ცებანი!

* * *

1858 წელს საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა მწერალმა, უფროსმა **ალექსანდრე დიუმამ**. იგი თამარ მეფის შესახებ წერდა: თამარ მეფე საქართველოში ყველაზე საყვარელი და პოპულარული პიროვნებაა. საქართველოში ყოფნისას ყველგან ვეძებდი და ყველას ვეკითხებოდი თამარ მეფის ისტორიას, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე, გარდა ბუნდოვანი გადმოცემებისა და ლერმონტოვის რამდენიმე ლექსისა, მაშინ, როდესაც თამარ მეფის ციხეები თითქმის ყოველ ვერსზე გვხვდება.

* * *

1888 წელს ინგლისელმა დიპლომატმა და მთარგმნელმა, **ოლივერ უორდროპმა** ლონდონში

გამოსცა წიგნი The Kingdom of Georgia, რომელშიც საუბარია თამარ მეფის შესახებ. ამონარიდი წიგნიდან გვამცნობს: თამარ მეფეს ჰქონდა ბედნიერება, თავის გარშემო შემოეკრიბა ბრძენი მრჩევლები და მამაცი მხედართმთავრები, მაგრამ თამარის განსაკუთრებული თვისებების გამო მოპოვებული წარმატებები, უმთავრესად მას მიეწერება. სამხედრო ლაშქრობებმა, რომელსაც ის აწარმოებდა, მთელ აზიაში გაუთქვა სახელი; ერზრუმმა, დვინმა, ტრაპეზუნდმა, სინოპმა, სამსუნმა, ყარსმა ნახეს ქართული შეიარარებული ძალების ტრიუმფი. თამარი დიდ ყურადღებას აქცევდა შინაურ საქმეებს: იყო ობოლთა დედა, ქვრივთა გამკითხავი. რელიგია იყო მისი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ყოველივე ამის საშუალებას აძლევდა. თამარ მეფე არც ლიტერატურულ ნიჭს იყო მოკლებული. როცა ბრძოლას მოიგებდა, დებორას მსგავსად, შეეძლო უფლისთვის მოეთხრო ტკბილი, აღფრთოვანებული ჰიმნით. ერთ-ერთი ასეთი ჰიმნი დღემდეა შემონახული, თუმცა თამარ მეფე უმთავრესად ცნობილია, როგორც მგოსანთა მფარველი და შთამაგონებელი. მისი მიწერ-მოწერის ფრაგმენტები ადასტურებს, რომ ის კარგი დიპლომატიც ყოფილა.

* * *

ფრანგი ორიენტალისტი **ჟან მურიე** 1880 იან წლებში წერდა: აჭარლების ყველა ისტორიული თქმულება თამარ მეფის ისტორიულ სახელს უკავშირდება. ქართველი ხელმწიფეების სახელებიდან აჭარლებმა მხოლოდ ამ მეფის სახელი შემოინახეს.

ჟიულ მურიე აგრეთვე აღნიშნავდა, რომ... საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელია თვალსაჩინო მოვლენებისა და ამბების დაკავშირება თამარ მეფესთან...

* * *

1892 წლის 19 მარტს ავსტრიელმა ავსტროლოგმა იოჰან პალიზამ ციური მანათობელი სხეული აღმოაჩინა, რომელსაც საქართველოს დიდი მეფის პატივსაცემად თამარი დაარქვა.

* * *

1897 წელს ლიტერატურის ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, შედარებითი ისტორიული ლიტერატურის ფუძემდებელი **ალექსანდრე ვესელოვსკი** თავის წერილში – **„თამარ მეფე ხალხურ ლეგენდაში“** წერდა: თამარ მეფის ეპოქა ოქროს ხანად არის ცნობილი, ამიტომ ქართლის ცხოვრებაში და ხალხურ გადმოცემებშიაც თამარ მეფის დიდებაზე ბევრი რამაა მოთხრობილი. თამარი ყველა გადმოცემით უნიჭიერესი, უჭკვიანესი, ულამაზესი და ღვთისმოსავი სათნო ქალი ჩანს....

* * *

1900-იანი წლების დასაწყისში, ფრანგი მწერალი **პოლ ადამი** თამარ მეფის შესახებ წერდა: თამარ მეფის, კავკასიის სემირამიდის დროს საქართველოს ბრწყინვალე და დამოუკიდებელი სამეფო შეიქმნა.

* * *

დიდი **ვაჟა ფშაველა** ამბობდა; თამარ დედოფალს მთელი საქართველო კი არა, მთელი კავკასიის ხალხი იცნობს; ღვაწლი და ამაგი, რაც იმან დასდო საქართველოს, ისე დიდია, რომ დღესაც თამარის შემდეგ აშენებულს ეკლესიებს თუ ციხე-კოშკებს, აწ დანგრეულთ, ხალხი თამარის აშენებულს უწოდებს.

* * *

მე-19 საუკუნის ინგლისელი ლინგვისტი, ისტორიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგი **უილიამ რიჩარდ მორფილი**: თამარის მეფობის ხანაში საქართველომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია. უთუოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართველი ხალხი, რომელიც დღემდე ასე განადიდებს თავის მეფე ქალს, ყოველ უძველეს ციხესა და ნაგებობას საქართველოში, ჩვეულებისამებრ თამარის მეფობის ხანას უკავშირებს.

* * *

1901 წელს დაიბეჭდა **ვასილ ივანეს ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოს** რომანი **„დედოფალი თამარა“**. აღსანიშნავია, რომ ნემიროვიჩ დანჩენკოს რომანი რუსეთის იმპერიაში იბეჭდებოდა ყველა მნიშვნელოვანი გამომცემლობის მიერ და ამ რომანზე საკუთარ აზრს გამოხატავდნენ რუსეთის იმპერიის ნებისმიერ გამოცემებში. ამის დემონსტრირებისთვის ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტს, როგორიცაა თუნდაც 1913 წლის 24 მარტს გამოცემული უფროსი ასაკისთვის განკუთვნილი ყოველკვირეულ ჟურნალ Задушевное слово-ს ფურცლებზე გამოქვეყნებული 13 წლის ცარსკოე სელოელი **ფანია კარპოვას** შეფასება, სადაც ის ამბობს, რომ წაკითხული წიგნებიდან ყველაზე მეტად ნემიროვიჩ-დანჩენკოს რომანი „დედოფალი თამარა“ მოეწონა.

* * *

ქართველი ერის სულიერი მამა, **ილია ჭავჭავაძე** წერდა: **თუ წელში გამართულა როდესმე ქვეყანა, ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა. მზეს თუ როდესმე საქართველო გაუნათებია, იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა – სიმტკიცე, მკლავსა – სიმაგრე, ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დედაკაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანას.**

* * *

1905 წელს ავსტრიელი მწერალი, პაციფიზმის საერთაშორისო მოძრაობის აქტივისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ბერტა ფონ ზუნტერი** თამარ მეფის შესახებ წერდა: „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში ჩვენ წინაშე სულ ახალი და საინტერესო სამყარო გადაიშალა. ქართველები სამართლიანი სიამაყით იხსენებენ იმ ეპოქას, როდესაც წარმოიქმნა მათი ეროვნული ეპოსი. ეს ის ეპოქაა, როდესაც საქართველოს მართავდა დიდი თამარი. ეს იყო საქართველოს აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანა. თამარის მეფობის დასაწყისში მის სახელმწიფოს მტერი დაესხა თავს, რომელმაც უთვალავი ჯარით დალაშქრა საქართველო. მაშინ მოუხმო თამარმა თავის ჯარს, 10 დღეში მოუყარა მან თავისი ქვეყნის ყველა კუთხიდან ლეგიონებს. ჩამოუარა მათ ლეგიონებს და შემდეგი სიტყვით მიმართა მათ: **ძმებო, გული არ გაიტეხოთ მტრის ურიცხვი ძალების წინაშე. რასაკვირველია, თქვენ გსმენიათ გადეონის 300 ჯარისკაცისა და მის მიერ მიდიელების უთვალავი არმიის დამარცხების ამბავი. თავი გაიმამაცურეთ და თითოეული თქვენგანის გულოვანების იმედი იქონიეთ!** შემდეგ მეფემ წინაპრების დროშა, **გორგასლიანთა** დროშა გადასცა. ცხადია ქართულმა ჯარმა შე- უტია და ბრწყინვალედ დაამარცხა მტერი. როცა ჯარი უკან დაბრუნდა, მას თამარი შემოეგება და ჯარისკაცებმა, იმით აღფრთოვანებულებმა, რომ მეფე თავიანთ წრეში იხილეს, სპარსელთა არმიის მეთაურები თამარის წინაშე დააჩოქეს!

* * *

1906 წელს ლაიფციგში გამოიცა გერმანელი მეცნიერის, **ფელიქს ჰოლდრაკის** წიგნი: **„Von der Sage und dem Reich dem Reich der grusinishen Konigin Tamara“.** ფელიქს ჰოლდრაკი მრავალმხრივ განიხილავს თამარ მეფის ეპოქას. ამავე დროს აღნიშნავს, რომ თამარ მეფის სამეფო კარზე დიპლომატიური ცნობიერება მაღალ სა- ფეხურზე იდგა.

გაგრძელება იქნება

სამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი

კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნა

გადავწყვიტე, კვლავ დავუბრუნდე კომლის საკუთრების საკითხს, რადგან უკვე მოქმედი საკანონმდებლო ცვლილებით მნიშნელოვნად შეიცვალა კომლის საერთო ქონებაზე კომლის წევრთა და მემკვიდრეთა უფლებები. კერძოდ, 2019 წლის 25 ივნისს მიღებულია საქართველოს კანონი (N4851-IIს)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. კანონის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება: 15. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 15131 მუხლი:

„მუხლი 15131. კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნა

1. თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან, თუკი საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის ყველა წევრი, 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, გარდაცვლილია.

2. თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის წევრის 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო მის წილ ქონებაზე გაიხსნება, მიუხედავად იმისა, იგი კომლის ბოლო წევრი იყო თუ არა.

3. კომლის ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ ეს ქონება კომლის წევრების თანასაკუთრებაა და მასზე ვრცელდება თანასაკუთრებისთვის დადგენილი საერთო წესები“.

უნდა ითქვას, რომ ნამდვილად არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით („სამკვიდროს გახსნა კომლში“) გათვალისწინებული ურთიერთობების საკანონმდებლო მოწესრიგების სრულყოფის საჭიროება,მაგრამ წარმოდგენილი ცვლილება რამდენად ეფექტური იქნება კომლის ქონებით დაინტერესებული ცოცხლად დარჩენილ წევრის ან არაწევრი მემკვიდრის უფლებების დასაცავად, დრო გვიჩვენებს, რადგან ჯერ არ არის რაიმე სტატისტიკა, არც უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკა მსგავს დავებზე. აქ ასევე ვერ ვიყენებ უშუალოდ ჩემი მონაწილეობით მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებას, რადგან ამ ეტაპზე სააპელაციო სასამართლოს განხილვაშია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არის განმარტებული კომლი. ალბათ ამიტომაც, საქართველოს საერთო სასამართლოების პირველი და მეორე ინსტანციები კომლს სხვადასხვაგვარად განმარტავენ,რითაც ცოცხლად დარჩენილ წევრის ან არაწევრი მემკვიდრის კომლის ქონებაზე კონსტიტუციური უფლება გარანტირებულად დაცული ვერ იქნება. ზოგადად, კომლის ქონება არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის დანაწესს,(„ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“), თუმცა აწესებს განსხვავებულ დათქმებს ამ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვისთვის. ესეც განაპირობებს კომლის ქონებასთან დაკავშირებული დავების სიმრავლეს და ხანგრძლივობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილება ვრცლად და ძალიან საინტერესოდ არის შეფასებული ნაშრომში „კომლის საკუთრების საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მნიშვნელობა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი“: „აღნიშნული ნორმა წარმოადგენს კანონმდებლის მიერ წარსულში განუხორციელებელი და არასრულად განხორციელებული კანონშემოქმედების გაგრძელებას/შედეგს, რომელიც დროით გამყოფად 2019 წლის 1 აგვისტოს ადგენს. დაირ-

ღვა თუ არა კომლის წევრთა უფლებები ამ თარიღის დაწესებით, სავარაუდოა, რომ არავის გამოუკვლევია, არც ის დაუდგენიათ რა რაოდენობის კომლი არსებობს საქართველოს მასშტაბით და რამდენი პირი [კომლის წევრი] ირიცხება მასში [ასევე, წარმოუდგენელი იქნებოდა კომლის არაწევრი მემკვიდრეების წინასწარი რაოდენობის დაანგარიშება და, სამომავლოდ, სამემკვიდრეო დავების წარმოშობის რისკის გათვალისწინება]. ..... დღეს არსებული მდგომარეობით, დაუშვებელია კომლში წევრის ჩაწერა, წევრის კომლიდან ამოწერა ან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დამოუკიდებლად მონაცემის შესწორება. საკომლო ჩანაწერის სისწორეს, მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნევის შემთხვევაში, განიხილავენ საქართველოს საერთო სასამართლოები. კანონმდებელმა კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნის საკითხისთვის განსაზღვრა ზღვარი 2019 წლის 1 აგვისტომდე და მის შემდეგ, რითაც დაადგინა კომლის სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესი და კომლის წევრის გარდაცვალების ფაქტის ახალი კრიტერიუმი, რომელიც თავისი ფორმით უპირისპირდება კომლის ცოცხლად დარჩენილ წევრებს შორის საოჯახო ურთიერთობების შენარჩუნების ინტერესს და დროში აჩქარებს კომლის წევრი და არაწევრი პირების კერძო მესაკუთრული ინტერესის გამოვლენას 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ. კომლის მომწესრიგებელი ნორმები არ არის აღჭურვილი კომლის მესაკუთრეთა ქონების ეფექტიანი და თანაბარი დაცვის ფუნქციით. უფლებრივი დაუცველობა იგრძნობოდა 1993 და 1996 წლის საკანონმდებლო აქტების მიღებისას და მის შემდეგაც. სარეგისტრაციო ორგანოები არაერთგვაროვნად ახდენდნენ მიწის აღიარების ან საკომლო ჩანაწერის წარმოებასა და უფლების რეგისტრაციას. კანონმდებელმა თავისი გადაწყვეტილებით, კვლავ რისკის ქვეშ დააყენა ის მრავალწლიანი სოციალური ურთიერთობა, რომელსაც პატივს სცემდნენ კომლის წევრი და არაწევრი პირები/მემკვიდრეები, ხოლო ახალი ნორმატიული დღის წესრიგით, კანონმდებელი არა კომლის წევრთა გარდაცვალების [რაც ადრეულ პრაქტიკას წარმოადგენდა], არამედ კომლის წევრი და არაწევრი პირების სასამართლო დავის შედეგის მოლოდინის რეჟიმში აღმოჩნდა“.(იხ:ირაკლი ლეონიძე* გიორგი ჩიკვილაძე** კომლის საკუთრების საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მნიშვნელობა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი“).

ზემოაღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე არსებულ მდგომარეობას თუ გავიხსენებთ, 01.01.1993 წლამდე საქართველოში, სოფლად მცხოვრები პირები წარმოადგენდნენ ან საკოლმეურნეო კომლის ან მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრებს. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ სოფლად მცხოვრები ყველა პირი ე.წ. საკომლო წიგნებში რეგისტრირდებოდა, საკოლმეურნეო კომლისა და მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრების სამართლებრივი სტატუსი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, კერძოდ, 1964 წლის რედაქციით საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე, 125-ე მუხლების თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება მის წევრებს თანაბარი წილის უფლებით, კომლის წევრობის ფაქტის საფუძველზე ეკუთვნოდათ. მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრთა ქონებაზე საკუთრება კი საერთო წესით წარმოიშობოდა. ამის შესაბამისად, 1964 წლის რედაქციით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სოფლად საცხოვრებელი სახლის შესაძენად და მასზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად რთული წერილობითი ფორმით დადებული გარიგება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია იყო აუცილებელი. ამავდროულად, ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მიხედვით, მიწა მხოლოდ სახელმწიფოს ეკუთვნოდა და სხვა პირთა საკუთრებაში მისი გადაცემა დაუშვებელი იყო.

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა საოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 22.09.1992 წლის №949 დადგენილებისა და სახელმწიფო საბჭოს 21.10.1993 წლის №29 დეკრეტის საფუძველზე, 01.01.1993 წლიდან საქართველოში კოლმეურნეობები გაუქმდა, კოლმეურნეობათა გაუქმების შედეგად კი, საკოლმეურნეო კომლები, როგორც კოლმეურნეობის სუბიექტები, თავისთავად, მოისპო და 1964 წლის რედაქციით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, მათი ქონება კომლის წევრთა თანასაკუთრებად გარდაიქმნა. თუმცა, ზემოხსენებული ნორმატიული აქტებით მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი ჯგუფის საკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი ბედი არ გადაწყვეტილა.

როგორც საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, საქართველოში საკოლმეურნეო კომლი 1993 წლამდე არსებობდა. საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო კომლის ყველა შრომისუნარიანი და სრულწლოვანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, პი-

რადი შრომით-საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. საკოლმეურნეო კომლის წევრები დამხმარე მეურნეობას კომლისათვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საერთო ძალებით აწარმოებდნენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრეებად გვევლინებოდნენ.თუ ოჯახში კოლმეურნეობის არცერთი წევრი არ რჩებოდა, საკოლმეურნეო კომლი ისპობოდა და მუშა-მოსამსახურის ოჯახი იქმნებოდა, ხოლო დამხმარე მეურნეობის ადგილს მუშა-მოსამსახურის მეურნეობა იკავებდა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება კომლის წევრებს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდა, 125-ე მუხლით კი, კომლის ყველა წევრს, მათ შორის – არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც, თანაბარი წილი ეკუთვნოდა. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.09.1992 წლის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 21.10.1993 წლის №29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონება და ამავე დროს, კომლის წევრთა საერთო საკუთრება იყო, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის კომლის წევრების საერთო საკუთრება თანაბარი წილით. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება სსკ-ით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი (შდრ. იხ. სუსგ: №ას-1063-983-2017, 17.10.2017წ; №ას-1430-1350-2017, 30.04.2018წ.; სუსგ №ას-7-2019, 11.06.2020წ.). ამდენად, ის ფაქტი, რომ პირი საკოლმეურნეო კომლის გაუქმების მომენტისათვის იყო კომლის წევრი, წარმოადგენდა დანარჩენი წევრების თანაბრად კომლის ქონებაზე მისი მესაკუთრედ ცნობის საფუძველს.

მოქმედი ცვლილების თანახმად, თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან, თუკი საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის ყველა წევრი, 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, გარდაცვლილია. ეს არსებითად ცვლის ზემოაღნიშნულ პრაქტიკას და მაგალითად, 2019 წლის 30 ივლისს გარდაცვლილ კომლის წევრზე აღარ გაიხსნება სამკვიდრო და კომლის თანასაკუთრებაში არსებული მისი წილი გადავა კომლის ბოლო წევრზე, შესაბამისად, მხოლოდ მის მემკვიდრეს აქვს უფლება მიიღოს კომლის ქონება.

ჩნდება წარმოდგენა, რომ კანონმდებლის მიერ ისე ხდება მიწის სამართლის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლობლო ცვლილება, რომ საერთოდ არ არის გათვალისწინებული კომლის მესაკუთრეთა /თანამესაკუთრეთა უფლებები. ცნობილია, რომ 2022 წლიდან მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო,რაც თავისთავად კომლის საკუთრების დარეგულირებასაც მოიცავს.ამიტომ ჩემთვის ცოტა ბუნდოვანია, აღნიშნული ცვლილებით რატომ განისაზღვრა რომ, თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის წევრის 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო მის წილ ქონებაზე გაიხსნება, მიუხედავად იმისა, იგი კომლის ბოლო წევრი იყო თუ არა.აღნიშნული, ჩემი აზრით, არათანაბარ პირობებში აყენებს მაგალითად, 2019 წლის 30 ივლისს და 02 აგვისტოს გარდაცვლილ კომლის წევრს (შესაბამისად მათ მემკვიდრეებს),თუ სიცოცხლეში ერთნაირი სამართლებრივი სტატუსი ჰქონდათ.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ თუ საკანონმდებლო ცვლილების მიზანია კომლის საკუთრების რეგულირება დაუქვემდებაროს მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობას და ამ ფორმით დაკმაყოფილოს კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების ინტერესი, უფრო ეფექტური იქნებოდა გარდაცვალების დროის მისადაგება მიწის სისტემური რეგისტრაციის დაწყების პერიოდთან. კომლის სპეციფიურობიდან გამომდინარე, ასევე გასათვალისწინებელია სხვა გარემოებებიც, კომლის საკუთრებასთან დაკავშირებული რთული სამართლებრივი შემთხვევების სწორი შეფასებისა და სამართლიანი გადაწყვეტის მიზნით.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მეგი გოგნიაშვილი
ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

დისტანციური საბანკო მომსახურების განვითარების თანამედროვე სიტუაციების პრობლემატიკა კორპორაციულ კლიენტებთან თანამშრომლობისას

ანოტაცია: ნაშრომში მითითებულია, რომ საქართველოს საბანკო სექტორში ბოლო წლებში შეიმჩნევა ინტერფეისის სისტემის კარდინალური ცვლილება უფრო მოხერხებული და ინტუიტიურ-გაგებადი ურთიერთქმედებისათვის. „ბიზნეს-ონლაინ“ -ის ახალმა ვესიამ მიიღო სახელწოდება „Digital Corporate Banking“. რომელიც ინტერნეტ-ბანკინგის ლიდერს წარმოადგენს იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის, რაც Digital Banking-ის სფეროში სხვადასხვა ნომინაციებითა და ხერხებით არის დადასტურებული. აღნიშნულია, რომ უკვე ამჟამად ინერგება არასაბანკო სერვისების სხვადასხვა სიმრავლე, ისეთები როგორიცაა „ონლაინ-ბუღალტერია“, „ბიზნეს-ანალიტიკა“, „ონლაინ-სალარო ევოტორი“, „გარანტირებული ანგარიშსწორებების სერვისი, ელექტრონული საბუთბრუნვა, ანგარიშგების ჩაბარება და კონტრაგენტების შემოწმების სერვისი“, „E-invoicing“ და სხვები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური აქტივები, ინოვაციური ინვესტირება, საბანკო კრედიტი, ვალის მომსახურება, ინვესტიციის უკუგებადობა.

Annotation. The paper indicates that in recent years, the banking sector of Georgia has seen a radical change in the interface system for a more convenient and intuitive-understandable interaction. The new version of "Business-Online" received the name "Digital Corporate Banking". which is the leader of Internet banking for legal entities and individual entrepreneurs, which is confirmed by various nominations and methods in the field of Digital Banking. It is noted that a variety of non-banking services are already being introduced, such as "online-accounting", "business-analytics", "online-cash e-votor", "guaranteed settlement service, electronic document circulation, submission of statements and counterparty verification service", "E -invoicing" and others.

Key Words: financial assets, innovation investment, bank advance, bebt servise, pauback of investmemt.

საქართველოს კომერციული ბანკები წარმოადგენე წარმატებულ ფინანაურ ორგანიზაციებს როგორც ქვეყნის შიგნით, აესვე საბანკომომსახურეობრბის საერთაშორისი ბაზრებზე, აქტიურდ ინცესტირებან digital-ში დაავითარებენ დისტანციურ საბანკო სერვსებს, რომლებიც ნებისმიერი კორპორატიული კლიენტისათვის მიღწევადებია ფორმატში 24/7 მსოფლიოს ნებსმიერი წერტილიდან ინტერნეტ-არხის არსებობისას.

თავიანთი კლიენტებისათვის კომერციული ბანკები თავაზობენ ალტერნატიული საბანკო მომსახურების სხვადასხვა ფორმებს:

1) Sms-ინფორმირება – მიღება იფორმაციების ანგარიშსწორების აბგარიშებზე ნაშთების შესახებ, ხარჯვითი/ შემომავალი ოპერაციევბს შესახებ;

2) Call-ცენტრი – საკონსულტაციო მხარდაჭეა ბანკის პროდუქტებისა და მომსახურეობების მიმართებაში რეჟიმში 24/7;

3) ბანკომატები და თვითმომსახურებისმოწყობილობები – მუშაობის შესაძლებლობა ნაღდ ფულთან მიმართებაში ბანკოს სალაროში მისვლის გარეშე;

4) Vბიზნეს-ბარათი – ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა ანგარიშსწორების ანგარიშის მიხედვით ბანკომატებისა და სავაჭრო ეკვაირინგული ქსელის მეშვეობით, რომლებიც საგადახდო სერვისების Visa და MasterCard-ის მომსახურების მხარდამწერია.

დღევანდელი დროისათვის საქართველოში მოქმედი 13 ბანკიდა, ორ ბანკს – „საქართველოს ბანკს“ და „თიბისი ბანკს“ მთლიანი საბანკო აქტივების 70% ფლობენ, დანარჩენი 11 ბანკი მხოლოდ მთლიანობაში 30% აქტივების მფლობელებია. „საქართველოს ბანკს“ და „თიბსი ბანკს“ შეიძლება ეწოდოს „ბიზნეს ჰოლდინგ კომპანია“ ან უფო სზუსტი სახელწოდება იქნებოდა „თიბისი ბანკის ბიზნეს ონლაინ საბანკო კლასტერი“ და „საქართველოს ბანკის ბიზნეს ონლაინ საბანკოკლასტერი“, რამდენადაც თითოეული მათგანი საბანკო აქტივების 35% მფლობელები და მათში საბანკო საქმიანობასთან ერთად ჩართულებია ფინანსური კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები, საგაზღვევო კომპანიები, სალიძინფო კომპანიები და ემსახირებიან მთლიანად საქართველოს საგნმანათლებლი დარგს. ზოგადად მთლიანობაში თითოეულ ბანკში ფუნქციონალურად შეიძლება გამოყოფილი იქნას მუშაობის რამდენიმე ბლოკი სისტემაში:

ა) ბიზნესის კონტროლი:

1) აქტუალური ინფორმაცია ანგარიშებზე ნაშთების შესახებ, ამონაწერები და ანგარიშგებები;

2) გდახდების დადასტურეა, შემოღებული ბუღალტერის ან თანაშემჭის მიერ;

3) კონტრაგენტების შემოჭმება კეთილსაიმედობაზე;

4) საბანკო ბიზნეს-ბარათების ლიმიტების მართვა;

5) კონვერტაციის კურსი გამოსახვა მაშინათვე მულტისავალუტო გადარიცხვის ფორმირებისას.

ბ) საოპერაციო საქმიანობა:

1) ანგარიშსწორებები კონტრაგენტებთან, პართნოორებთან, საგადასახაო და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან რეჟიმში 24/7;

2) ოპერაციების შაბლონები, ანგარიშიდან გადახდოს გამართივებული ფორმა, გადახდის გამეორების შესაძლებლობა;

3) ინტელექტუალური სავალუტო კონტროლი; წინასწარი შევსება დისტანციური სავალუტო ელექტრონული დოკუმენტების სავალუტო ოპერაციების საფუძველზე;

4) საბაჟო გადახდების განხორციელება;

5) თანამშრომლებხზე ხელფასის სწრაფი დარიცხვა.

გ) საბანკო პროდუქტების მიერთება:

1) დამატებითი ანგარიშების გახსნა;

2) განაცხადები კრედიტებზე და ოვერდრაფტებზე;

3) ანგარიშზე შეუმცირებადი ნაშთის დადგენა

4) დეპოზიტების გახსნა;

5) ბოზნეს-ბარათების გამოშვება;

6) „სახელფასო ხელშეკრულება“.

დ) მაღალტექნოლოგიური არასაბანკო მომსახურეობებისა და სერვისების გამოყენება:

1) სახელმწიფო ორგანოებში ანგარიშგებების ონლაინ-ჩაბარება;

2) ელექტრონული დოკუმენტბრუნვა კონტრაგენტებთან და ბანკთან;

3) ინფორაციების მიღება ჯარიმებისა და დარიცხვების შესახებ და მათი გადახდს და ა.შ.

კომერციულ ბანკებს გააჩნიათ თავიანთი მობილური დანათები მოწყობილობებისათვის პლატფორმაზე – Apple, Android, Windows Phone.ყველა ძირითადი ოპერაციები გადახდებთან, ანგარიშებთან, ბალანსთან/ნაშთებთან მუშაობისათვის მიღწევადების დღეღამურ რეჟიმში. უფრო მეტიც დანართებში შესაძლებელის განხორციელებული იქნას გადახდა ანგარიშის ფოტოგრაფიასთან მიმართებაში გადახდაზე, ანგარიშების სწრაფად წარდგენა გადახდაზე, ონლაინ-ჩატი რეჟიმში 24/7.

განვიხილოთ საბანკო მომსახურეობების ბაზარი კომერციული ბანკების მაგალითზე. კომერციული ბანკების საბანკო მომსახურეობის ბაზარი მიაწვდის სპეციფიკურ და არასპეციფიკურ მომსახურეობებს. ამასთნა ბანკების სპეციფიკურ მომსახურეობებს მიაკუთვნებენ შემდეგ ოპერაციებს:

- დეპოზიტურები (კლიენტი აბანდებს ფულს და ღებულობს შემოსავალს);
- საკრედიტოები (კლიენტებზე გაიცემა ფული, ბანკი ამისაგან ღებულობს შემოსავალს);
- საანგარიშსწორებო ოპერაციები (საკომისიო შემოსავალი).

კლიენტების ჯგუფების ჭრილში საბანკო პროდუქტები და მომსახურობები კომერციული ბანკების ბაზარზე შეიძლება წარმოვიდგინოთ ცხრილი 1-ის სახით.

ცხრილი 1. საბანკო მომსახურეობების სახეობები კლიენტების ჯგუფების მიხედვით

კლიენტების ჯგუფი:	**პროდუქტის/მომსახურეობის სახეობა:**
1. ფიზიკური პირები:	კრედიტები
	ანაბრები
	ფულადი გადარიცხვები
	ოპერაციები უცხოურ ვალუტათან
	საბანკო ინტერნეტ მომსახურეობები
	სასეიფო უჯრედების არენდა
	ოპერაციების ფასიან ქაღალდებთან
	მომსახურეობების გადახდა
	მომსახურეობების საბანკო ბარათით გადახდა
	სამახსოვრო მონეტების გაყიდვა
2. იურიდიული პირები:	საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურება
	ინკასაცია
	სახელფასო პროექტები
	კრედიტი საბრუნავი სახსრების შევსებაზე
	კრედიტი საინვესტიციო მიზნებზე
	მიზნობრივი კრედიტი
	ოვერდრაფტი
	ლიზინგი
	ფაქტორინგი
	დეპოზიტები იურიდიული პირების
	კრედიტი ინკასირებად ამონაგებზე

გარდა ამისა, კომერციული ბანკების ბაზარზე წარმოდგენილია ელექტრონული საბანკო მომსახურეობეი. თითოეულ საპაბკო პროდუქტს და საბანკო მომსახიურეობას გააჩნიათ თავისი სპეციფიკა სხვადასხვა ბანკებში. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვეს საბანკო ელექტრონულმა მომსახურეობემა, რომლებშიც შეიძლება გამოიყოს სამი ძიღითადი მიმართულებები განვითარებისა:

1) სისტემა კლიენტი-ბანკი – ასეთი სისტემების მეშვეობით ბანკის კლიენტებს შეუძლიათ მრავალფეროვანი ოპერაციები განახორციელონ პირდაპირ სახლიდან ან თავისი ოფისიდან: ანგარიშის მართვა, ინფორმაციების მიღება ანგარიშების მდგომარეობისა და ზოგიერთი სხვა საბანკო ინფორმაციების შესახებ, გადახდების ჩატარება და მომსახურეობების გადახდა ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშებიდან და პლასტიკური ბარათებიდან და დანარჩენი ოპერაციებიდან.

2) ინტერნეტ-ბანკინგი – საბაკო მომსახურეობების მიღების სისტემა ინტერნეტში გასვლის მეშვეობით. კლიენტს შეუძლია დააკვირდეს ვაჭრობების მსვლელოაზე და მონაწილეობა მიიღოს მათში, დააკვირდეს ჩატარებული გარიგებების გაფორმებაზე და თავის პოზიციაზე, საბირჟო ინფორმაციების არქივების გაძღოლა განახორციელოს.

3) მობილური ბანკი (WAP-ბანკინგი) – საბანკო მომსახურეობების მიღება უშუალოდ მობილური ტელეფონის ან ნოუთბულის მეშვეობით უმავთულო მიღწევადობის ტექნოლოგიის გამოყენებისს.

საცალო სეგმენტზე პოზიციონირებადი ბანკების უმეტესობის ძირითად სტრატეგიას წარმოადგენს – სამომხმარებლო დაკრედიტების, ავტოდაკრედიტების, საკრედიტო პლასტიკური ბარათების განვითარება და ბანკომატების რაოდენობის გადიდება. კორპორატიულ სეგმენტში პოზიციონ-

ირებადი ბანკები უპირატესად საწარმოებს შორის ისეთ საბანკო მომსახურეობებს ავრცელებენ, როგორიცაა საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურება, ეკვაირინგი, ინკასაცია და დაკრედიტება, უპირატესად მოკლევადიანები.

საბანკო სექტორი ქვეყანაში (მისი მოსახლეობის რიცხოვნობიდან გამომდინარე და გამსხვილებული ნორმატივების მიხედვით 1 მლნ მოსახლეობაზე 1 ბანკის (თავისი ფილიალებით) საკმარისიბაა დადგენილი) ბანკების დიდი რაოდენობით (13 დამოუკდებელი კომერციული ბანკი) არის წარმოდგენილი. კომ=ნკიურენცია ძალიან დიდია, მაგრამ როგორც ჩვენ ტექსტის მიხედვით ზემოთ უკვე გავაქვს აღნიშნული, მათგან უმეტესობა კონცენტრირებულია ქ. თბილისში (დედაქალაქში), ხოლო მრავალი ბანკები არ მუშაობენ და არ აქვთ წარმომადგენლობა ქვეყნის სხვადასვა მნიშვნელოვან ქალაქებში. აღნიშნული დაკავშირებულია იმასთან, რომ ოფისის შენახვა მრავალმოსახლეობიან დედაქალაქში ჯდება მნიშვნელოვნად უფრო იაფი, ვიდრე ქვეყნის მცირე ქალაქებში. ძალიან დიდი პოტენციალური საკლიენტო ბზის ხარჯზე. რაც შეეხება სასოფლო რეგიონებს, იქ აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავედაა წარმოჩენილი. ბოლო წლებში საკმაო პოპულარულობა მოიპოვეს ბანკების ელექტრონულმა მომსახურეობებმა და პლასტიკურმა ბარათებმა, საკრედიტო ბარათებმა.

ზემოთაღნიშნულების გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1.მითითებულია, რომ საქართველოს საბანკო სექტორში ბოლო წლებში შეიმჩნევა ინტერფეისის სისტემის კარდინალური ცვლილება უფრო მოხერხებული და ინტუიტიურ-გაგებადი ურთიერთქმედებისათვის. „ბიზნეს-ონლაინ“ -ის ახალმა ვესიამ მიიღო სახელწოდება „Digital Corporate Banking“. რომელიც ინტერნეტ-ბანკინგის ლიდერს წარმოადგენს იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის, რაც Digital Banking-ის სფეროში სხვადასხვა ნომინაციებითა და ხერხებით არის დადასტურებული.

2.აღნიშნულია, რომ უკვე ამჟამად ინერგება არასაბანკო სერვისების სხვადასხვა სიმრავლე, ისეთები როგორიცაა „ონლაინ-ბუღალტერია“, „ბიზნეს-ანალიტიკა“, „ონლაინ-სალარო ევოტორი“, „გარანტირებული ანგარიშსწორებების სერვისი, ელექტრონული საბუთბრუნვა, ანგარიშგების ჩაბარება და კონტრაგენტების შემოწმების სერვისი“, „E-invoicing“ და სხვები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ვლ., ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). – თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2014.
2. ბასილაია კ., ლიპარტია ზ. – ფინანსური კონტროლი, სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.
3. ბურდიაშვილი რ. – ფინანსური აღრიცხვა ბანკებში, სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა შპს „პოლიგრაფისტი“, 2013.
4. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ. – ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, სახელმძღვანელი. – თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2017.
5. ცაავა გ., – „საბანკო საქმე“ სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2024.
6. ცაავა გ., ხანთაძე გ. – საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015.
7. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. – რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო (შევსებული და გადამუშავებული მესამე გამოცემა). – თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2020.
8. Потапова Е.С. – Совершенствование банковских продуктов для корпоративных клиентов в рамках внедрения систем дистанционного банковского обслуживания. Магистерская диссертация, Сибирский Федеральный Университет. – Краснярск, 2018. – 97.
9. Самсонова Л.А. – Дистанционное банковское обслуживание // Филослфия проблемы информационных технологии и киберпространства. – 2017. – № 2. – С. 81-91.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ირმა კეკელიძე

სადღაც ამერიკაში

2023 წლის 5 ნოემბერი. საღამოს 20:00 საათზე, ჩემს მეგობართან, ლალი გოცაძესთან ერთად, მარჯანიშვილის თეატრის, დიდ დარბაზში, განახლებულ პარტერში ვსხედვართ. ველოდებით სპექტაკლის დაწყებას, რომლის სახელწოდებაცაა "სადღაც ამერიკაში" და რომლის სანახავადაც, ამავე თეატრის ნიჭიერმა და მომხიბვლელმა მსახიობმა, თამუნა ბუხნიკაშვილმა, დაგვპატიჟა...

პიესის ავტორი და სპექტაკლის რეჟისორი-ქეთევან ხარშილაძე-ასსერი...

სპექტაკლი, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის განახლებულ, დიდ სცენაზე ვიხილეთ, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიურად დამტვირთველი და სევდანარევია. სახელწოდებიდან გამომდინარე "სადღაც ამერიკაში" ლუკმა-პურის საშოვნელად, ოჯახების სარჩენად, ცხოვრების თავიდან დასაწყებად გადახვეწილი, ქართველი ქალების მძიმე ყოფა და სევდიანი განწყობაა წარმოდგენილი...ძალიან მძიმეა, როდესაც უსმენ, პიესის (სპექტაკლის) მთავარი გმირის ლიას (მსახიობი ნინო გომართელი) მონოლოგს. ისმენ, თუ რა გზა გაიარა ამერიკაში ჩასვლამდე...ის-

მენ, თუ როგორ გაიარა, არალეგალურად, მექსიკიდან გასასვლელი,რაღაც საშინელი, ჭუჭყიანი, ლაფით და ტალახით ამოვსებული გვირაბი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახვედრად...და როგორც იქნა, მოხვდა სანატრელ ქვეყანაში...და რა იწყება ამის შემდეგ?..იწყება მომვლელად მუშაობა, ჭირვეულ მოხუცთან (მსახიობი ნანი ჩიქვინიძე), რომელსაც ყოველ წუთს ეცვლება ხასიათი, წაღმა ნათქვამი უკუღმა ესმის და ა.შ...საინტერესო და განსხვავებული სახეები, არიან ოჯახში დამხვედრი ადამიანები (მსახიობები ნინო დუმბაძე, დიმა ტატიშვილი). თითოულ მათგანთან ურთიერთობისას ქართველ ქალბატონს, ბეწვის ხიდზე უწევს გავლა, რათა სამსახური შეინარჩუნოს და უცხო ქვეყანაში თავი დაიმკვიდროს.

საინტერესოა, ის სცენა, სადაც თავს იყრიან " სადღაც ამერიკაში" სამუშაოდ გადახვეწილი ქართველი ქალები (მსახიობები-ირმა ბერიანიძე, ლილე ფილფანი, თამუნა ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი)...რასაც სცენიდან, მონოლოგში და დიალოგში ვისმენთ, სევდანარევი ღიმილის მომგვრელია...როგორც ყველა ემიგრანტის, მათი ყოფაც მძიმე და გაუსაძლისია...სპექტაკლში დასამახსოვრებელი, მძიმე და სევდის მომგვრელია, ის პატარა ეპიზოდი, რაც ახალგაზრდა ქალის, ქეთის (მსახიობი თამუნა ბუხნიკაშვილი) თავს ხდება. ძალიან დამთრგუნველი, დამამცირებელია, სასოწარკვეთილი ქალის ყოფა, რომელსაც სამშობლოში, შინ დარჩენილი ქმარი, განქორწინებას სთხოვს, რათა სხვაზე იქორწინოს, სხვა ქალბატონთან გააგრძელოს ცხოვრება...და ქეთი რითი იყო წლების განმავლობაში "სადღაც ამერიკაში" დაკავებული?!. რა თქმა უნდა, გაუსაძლისი შრომით, სხვის ოჯახში მსახურებით, საკუთარ ოჯახში თანხის გაგზავნით, ბანკის კრედიტის დაფარვით, უძლურებაში მყოფი დედამთილის რჩენით და ათასი წვრილმანი, თუ მსხვილმანი პრობლემების მოგვარებით, რომელიც სამშობლოში დარჩენილ მის ოჯახს სჭირდებოდა...თავს დამტყდარი უმადური ყოფის გამო, ქეთის გმირი დაუძლურებული, სასოწარკვეთილი, დადუმებული სტოვებს სცენას და სადღაც კულისებში, გაურკვეველ სივრცეში იკარგება...ეპიზოდურ სცენას, იმდენად დიდი დამაჯერებლობით და პროფესიონალური მიდგომით, სევდანარევი მომხიბვლელობით გაართვა თავი, ქეთის პერსონაჟმა (მსახიობმა თამუნა ბუხნიკაშვილმა), რომ პარტერში მსხდომი მაყურებელიც, თავისდაუნებურად, სპექტაკლის მონაწილე და მისი სევდის მოზიარე ხდება...

სპექტაკლში აგრეთვე მონაწილეობენ მსახიობები-ონისე ონიანი, ქეთი გეგეშიძე და სხვები, რომლებმაც სახასიათო, საინტერესო სახეები შექმნეს...

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, როგორც მაყურებელს, დამრჩა განცდა იმისა, რომ პიესაში დაწერილი ამბავი ჩვენი ქვეყნის, თანამედროვე ცხოვრების სატკივარია...ქართული თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, მთელი სიცხადით და სიმძლავრით დავინახეთ, ოჯახიდან "სადღაც ამერიკაში" და ვინ იცის კიდავ სად და სად, გადახვეწილი ადამიანების ყოფა, სევდა, ტკივილი. სცენაზე შექმნილი გარემო ემსახურება უმთავრესი აზრის თვალნათლივ წარმოჩენას...სპექტაკლში მონაწილე თითოული მსახიობი, კარგად გრძნობს, რომ უმთავრესია რეალურად წარმოჩინდეს, ემიგრაციაში მყოფი ადამიანების ბედი...ამავე დროს, თითოული ემიგრანტის ბედი კი არ არის მთავარი, არამედ ყველასი ერთად...სპეატაკლში მონაწილე მსახიობებმა, თვალნათლივ აჩვენეს, აქტიორული თამაშის მაღალი დონე...

როგორც მაყურებელი, ვულოცავ პიესის ავტორსა და რეჟისორს – ქეთევან ხარშილაძე-ასსერს, ყველა მსახიობს, შემოქმედებით ჯგუფს, წარმატებულ სპექტაკლს, მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე...

პატივისცემით, მაყურებლის პოზიციიდან –

ირმა კეკელიძე

ელენე ზურაბიშვილი

დედა ხე

ზამთარი მომადგა კარს თავისი ჯარითა. უთვალავი ფანტელი წამოვიდა ჩემკენ. აქეთ-იქით ვიხედებოდი, მაგრამ ამაოდ. მარტო ვიდექი მე, იქ ხე. ჩემი შვილები ტიროდნენ:

– დედი ახლა ჩვენ წავალთ, დედი უთხარი კიდევ გვაცალონ.

მაგრამ ამაოდ, ქარი ყიჟინით წამოვიდა ჩვენსკენ. შვილებს ხელი ჩავკიდე.

დიდხანს თოვდა. პატარა ჯარისკაცები მოდიოდნენ ციდან. პირველ ფოთოლს მეორე მოჰყვა, ჩემს ფეხებთან დაეცნენ. მათი ყრუ სუნთქვა მესმოდა და ისიც ცოტახანში შეწყდა.

ვტიროდი და ტიროდნენ დები და ძმები მათი, ისევ თოვდა.

არა, არა, ნამდვილად გამიწყრა დღეს ღმერთი. ასე გავტანე მთელი ღამე. გათენებისას შვილებს კიდევ დავხედე.სულ თოვლით იყვნენ დაფარულნი.

უცებ მოვარდა ქარი ხმაურით. ხარხარით აიკლო იქაურობა, ბოლო ფოთოლიც გამომაცალა.

ავკივლდი, მაგრამ რა... ავტირდი, მაგრამ რა...

ქარმა კიდევ ერთხელ ბოროტად ჩაიხითხითა და წავიდა.

დედა ხე ისევ მარტო დარჩა, მტირალი და ისეც შავჩადრიანი.

ერთხელ კაკტუსიც ატირდა

ყოველთვის მარტო და ეული ვარ. ყოველთვის საზიზღარი და შეუხედავი. ყოველთვის ზურგს მაქცევენ და იქვე ქოთანში მდგარ ვარდს მიეფერებიან: რა სურნელია!..

იმას კი არ უყურევენ, რომ ისიც ჩემსავით ეკლიანია. როცა მიახლოვდებიან სუნთქვა მეკვრის, სიხარულის ჟრუანტელი მივლის.

და როცა მხედავენ იღუშებიან და ჩემსკენ აღარ იხედებიან. ნეტავ უბრალო მინდვრის ყვავილი ვიყო,ამიღონ ხელში და დამყნოსონ.ჩემი სურნელით გაჯერებულებმა სთქვან: "ცხოვრება ისევ მშვენიერია". მაგრამ, მე უბრალოდ კამტუსი ვარ. ჩემი დანახვა არავის უნდა ,არავის ვუყვარვარ ,არავის ვახსოვარ. უდაბნოშიც კი საზარელი დასანახი ვარ, იქაც კი არარაობა მქვია.

არ გინდათ არა, შეცოდება არ გინდათ. უბრალოდ შემიყვარეთ ისეთი როგორიც ვარ.

ჰმ... გასაკვირია, მაგრამ ერთხელ კაკტუსიც ატირდა.

დის მონატრებავ

ჩვენი დობა მენატრება,
სად წახვედი, რად დამტოვე?!
სანთელს გინთებ გენაცვალე,
უსინათლო არ წამექცე.
ვინ გატარებს მანდ ჩემსავით?
ვინ გეტყვის რომ, არ წამექცე?!
დედას ცრემლებს ჩუმად ვუშრობ,
ნუ ტირი ხარ გენაცვალე....
სანთელს გინთებ ჩუმათ ამ წამს,
სიბნელეში არ წამექცე.
დედას ცრემლებს ჩუმად ვუშრობ.
როგორ ვუთხრა არ იდარდო,
არ იტირო შენი შვილი!
სიზმრად მოსულს გეფერები,
  რა კარგი ხარ ჩემო ტკბილო.
ჩვენი დობა მენატრება,
შენი ზრუნვა და ღიმილი.
სანთელს გინთებ გენაცვალე,
უსინათლო არ წამექცე.
რა ტკბილი ხარ ჩემო თამო
და ამავდროს ასე მწარე.

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე

თავისუფლება სიყვარულშია

თავისუფლება, სულის კურნება საძებარია,
ჯვრით დასაცავი კვლავ საქართველოს ვაკე-ბარია,
სამშობლო უფალს, ერთმანეთი – ჩვენ გვაბარია,
თუ რამ ბზარია, საფუძველში ჩვენი ბრალია.
კვლავ შვებით სუნთქავ, დედა-მამულო, თავისუფალო,
შენს შვილებს გვინდა ერთგულება შემოგითვალოთ,
ჩვენ თუ რამ შევძლოთ, კაცთა ძალით, არ დავივალოთ,
შენ შეიწირე, მონასტერთა ლოცვა, უფალო.
საკუთარ სიტყვას,ჩვენებურ ხმას, მსოფლიოს ვაწვდენთ,
მემატიანე ახლა სხვაფერ მომავალს დაწერს,
თავისუფლება სამშობლოს და ადამიანებს,
თავისუფლება ხომ სიყვარულს არ აგვიანებს.

სახსოვრად

არასდროს მითქვამს შენზე უარი,
თმას მოვიხვიე თავსაბურავი,
როგორც ნიავი, ისე მსუბუქი,
იისფერი და ოდნავაც მუქი...
გულმკერდზე დნება, იწვის პატრუქი,
სურნელოვანი სანთლების შუქით,
ირეკლავს თვალი, ვით ბროლის ბურთი,
ღელავს ჰაერი მთრთოლვარე სუნთქვის...
და სისხამ დილით გაჰხედე კორდებს,
იქნებ ნიავი მანდეთ მოქროდეს,
მოქონდეს იის თავსაბურავი
და ტოტებს შორის აფრიალებდეს.

მდუმარე სიტყვა

იცი რა ძნელია სიტყვები შეაგროვო,
კარგად შეაზავო, ვინმეს გააგონო
და თუ ისიც იცი, ვისთვის სათქმელია,
სიტყვა აკრძალული გიწევს დაითმინო.
სიტყვას შეუძლია მარად დაგადუმოს,
მწარედ აგატიროს, არაფრით დაგინდოს,
და ერთ ნათქვამ სიტყვას ძალა ჰბოძებია,
როგორც მაცხოვარმა მკვდრეთით აღგადგინოს.
სიტყვა დამალული და გადანახული,
როცა გაიაზრე გახდა არნახული,
თუმცა მას ინახავს ოცნების ფარდული,
შიშით ვერ გაამხელ კვლავ რჩება ფარული.
უფრო ძვირფასია სიტყვის სამკაული,
ვიდრე ზანზალაკის უმიზნო ჟღარუნი,
სიტყვაა, ტვირთად რომ ატარებ სხეულით,
სხვისთვის ჩანს მდუმარე, შენთვის კი ხმაური.

დღესაც

კაცობრიობა ერთგვარ სახეს კვლავ ინარჩუნებს,
სინდისის ხმას კი საუკუნეთა თვლა ვერ აჩუმებს,
იყო ოდითგან შური, წყრომა, დაუნდობლობა,
ბევრმა ღალატმა მოიტანა წამხდარი ნდობა.
თვალი მოვავლოთ აწმყო ცხოვრების გამოვლინებას,
იმ ვნებათაგან უმრავლესი კვლავ გვევლინება,
გაგეღიმება თუ გათანგულს წაგეთვლიმება,
უნდა ეძიო, სად ვისი წირვა აღევლინება.
მხოლოდ ეგოსთვის თუ იზრუნებს ირგვლივ ყოველი,
მაშინ რის ფასად გვბოძებია წუთისოფელი?
ადამიანის შთამომავალს რა აღამაღლებს,
თუ ამ ცხოვრებით მხოლოდ თავის სურვილს ანაყრებს.
ვით უკუნეთში მოკიაფე ციცინათელა,
როგორც ტალღებში ჩაკარგული მარგალიტები,
ნამდვილი გრძნობა, სიყვარული საძებარია
და აღარ შველის აფორიზმთა მაგალითები.
ზოგი მიყვება უსასრულო განზომილებას,
ზოგს კი არ უნდა თავი იგრძნოს უფლის ქმნილებად,
სხვისი ღვაწლია: სპეტაკი სული გადაირჩინოს,
ვიღაცა ირჩევს იოლი გზებით თავი ირჩინოს.
ცხოვრება თავად შემოგახვევს მტანჯველ მარწუხებს,
მარხვა თუ მზგეფსი, ყველას მაინც აქვს თავისი წესი,
სხვისი გულისთვის, ოცნებებით თუ ათევ მწუხრებს,
მაშინ შენს მარცვალს საუკუნოდ გაუდგამს ფესვი.
 როცა უსულო ფოთლებივით ვკარგავთ ძვირფასებს,
მაშინ ამაო ღირებულებებს ვინ დაგიფასებს?
მშვიდად ისუნთქე, სანამ ზეცა ბროლს დაგვაპკურებს
და ჰორიზონტზე მზის გრადაციებს თვალი გაჰყურებს.

გაუფრთხილდი გულს

ეს ჩემი გული ქაღალდია გადახეული,
რაც კი დავწერე ახლა არის ზედ არეული,
ხან მიკაწრავდა კაკტუსების ბასრი ეკალი,
ყლორტებს ვაქსოვდი თუმცა მერე ვეღარ შევკარი.
დედამიწაზე როდემდე ივლი თვალახვეული,
როცა ჩანჩქერი გულში არ წყდება გადარეული,
განა კლდე არის, ქაღალდია გული ეული,
 რასაც ზედ ვწერდი შტორმი გლეჯდა გამალებული...
ფრთხილად! თუ მოხვალ დააკვირდი როგორ ეხები,
შიშით ფართხალებს, როცა ელავენ ცის ქვემეხები,
როცა დატკბება ისევ დარები არ გავხელდები.
კი, სულ ერთია, თუმცაღა შენთვის კვლავ ავმღერდები.

ნინი ზეინკლიშვილი

დავით IV აღმაშენებელი

მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა,
დავით არს მეფე მუდამ ბრწყინვალე,
ბრძენი და უხვი, ყველაფრის გამგე,
ნუგეშ მცემელი, დიდი მოწყალე.

მეფე კახთა და სომეხთა ხალხთა,
მმართველი, მქმნელი გამარჯვებისა,
პატივმოყვარე, სამართლიანი,
თავმდები ქვეყნის მომავალისა.

თექვსმეტი წლისა ავიდა ტახტზე,
ბრწყინვალე ვაჟმა შეცვალა მამა,
თავისი სიბრძნით, გონიერებით,
მტერს დაატეხა მძვინვარე დრამა.

შემუსრ მუსლიმ ილღაზის ჯარი
და გააჩინა მტრის სულში ბზარი,
გაასუფთავა ქვეყნისა ზღვარი,
აღმართა ქრისტეს ნაკურთხი ჯვარი.

მეფე შარვან-შა, შაჰან-შა, გახდა,
რომ, გამოიხსნა სომხთა ანისი,
თბილისს, სამშობლო კვლავ დაუბრუნა,
ძველი ხიბლი და ძველი ხალისი!

ძამის ხეობაში

ძვირფას ძამის ხეობაში,
რომ, გავლიეთ ბავშვობა,
თაობები გაუზრდია,
აქვე, ჩვენთან მახლობლად.

ისეთია ეს სოფელი,
ნოსტალგიის მომგვრელი,
უცებ დროში დაგვაბრუნებს,
ეს ბუნება მშობელი.

ძვირფას ძამის ხეობაში,
რომ, გადაგვხვდა ამბები,
სიზმარშიც კი მელანდება,
როგორც თბილი ზღაპრები...

მილოცვა

ლალი სოხაძე

ჩემს მეუღლეს, კარგ მამას, შესანიშნავ პაპას, უნიჭიერეს პოეტს და საუკეთესო მასწავლებელს-რ ო ლ ა ნ დ ა ბ უ ლ ა ძ ე ს, ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული, ყველაფერი საუკეთესო, რაც დედამიწის ზურგზეა და მიმოფანტულია კოსმიურ სამყაროში, მისთვის ყოფილიყოს. უფლის წყალობა არ მოკლებოდეს.

***

მახსოვს იებს რომ მიკრეფდი,
მავსებდი მათი სურნელით,
მზესა და ღრუბლებს შევცქერდით
გადაჯაჭვული გულებით.
უცებ ღრუბლებმა ტირილი
მორთეს, ვით თოთო ბავშვებმა,
ხელი ჩამჭიდე, და არც მე,
არ მსურდა ხელის გაშვება.
იბზარებოდა ცის თაღი
ელვისგან, როგორც ლამბაქი,
სულ მალე ცას დაუბრუნდა,
ფერები ლურჯი ზამბახის.
მე შენ მათბობდი,
კაბაზე ყვაოდა იის სურნელი,
თავს დაგვცქეროდა წინა წლის
ხეზე შემხმარი კუნელი.
შაშვი დახტოდა ბუჩქებში,
სველ ფრთებს ფერთხავდა სილაზე,
მე შენი მზერა მაკრთობდა,
შენ და შაშვს-ჩემი სინაზე.
მზემ მიწას ორთქლი ადინა,
სხივებით გამთბარს, დაბლიდან,
სველ ტანზე შემოტმასნილი
მეც ვორთქლდებოდი კაბიდან.
მაკანკალებდა სიცივე,
თუ შენი სითბო, არ ვიცი,
როგორც პეპელა სანთელზე,
მალე შენს მკერდზე დავიწვი.
აღვსდექი ისევ ფერფლიდან,
ვით ცეცხლოვანი ფენიქსი,
შენი შვილების დედა ვარ,
ვით ეპაფუსის მემფისი.
ჩამოგვეღვენთა სანთლები,
სულ-ხორციანად შევთვისდით,
და დღეს ჩვენს შესართავებთან
ვდგავართ, ვით ციხე ხერთვისის.

გილოცავთ ათინათელებო

ბედისწერისგან გულმოკლულ ქალს უფალმა გამძლეობის სამოსელი შემომაშველა. გილოცავთ ათინათელებო 53-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა გამოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავმდაბლობა უყვარს. რეზო ადამიას მიერ შექმნილი წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედა-ღვთისმშობლის ხატები დაგიცავთ ამ გზაზე. წმინდა გიორგის ხატის შიგა ველი დათმობილი აქვს უკვდავ ლეგენდას, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, სადაც აკადემიის ფიცი არის ქართული და ინგლისური ვარიანტით წარმოდგენილი. ცისკარელის ალბიონის ქვეყანაში შოთა რუსთაველის პორტრეტი დაგხვდებათ, რომელიც ასევე ბატონი რეზოს მიერ არის შესრულებული. „ათინათის“ ყველა ნომერი გამოვა სქელი ყდით. სამეცნიერო შემეცნებითმა წიგნმა უნდა იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, ამ დევიზით: „ვინ მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“. მე კი დავჯექი და ამბავი გიამბეთ მომავლის სასიხარულოდ!

პატივისცემით,

რედაქტორი გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

“ATINATI” MEMBERS!

ongratulations on the publication of the 53st issue of the "Atinathi". The Lord gave me a garment of endurance for a woman heartbroken by fate! This time, I must travel with you on the ship of immortality on this long voyage. In this ship, there is only love and respect for each other. God loves simplicity and humility, so in this journey, the icons of St. Nino, St. George, and the Mother of our Lord created by Rezo Adamia will lead and protect you. The inner page of St. George's icon is dedicated to the immortal legend Mr Jumber Lezhava, where the oath of the Academy members is placed in Georgian and English versions. In the land eternal Albion of Ciskareli, you will find a portrait of Shota Rustavrli, also created by Rezo Adamia. All issues of «Atinati» will be published with a thick cover and the scientific cognitive book should travel around the world with this motto: "The one who does not look for a friend is an enemy for oneself." And I sat down and told the news, for the joy of the future! God bless you, Members of "Atinati!"

Sincerely,

editor Gulnaz Kharaishvili (Ciskareli)

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2

წმინდა ნიკოლ-ხატია ლარიაშვილი
დაბა წყნეთის მერვე საუკუნის წმინდა
გიორგის სახელობის მონასტერი

შობა 4

აღდგომა 5

ხატმწერები გელა, გიორგი და ხატია
ლარიაშვილები

მამა გაბრიელი 6

**უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** 7

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 8

გულნაზ ხარაიშვილი 9

უცნობი პოეტი

მემ ელოუნი 10

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 24

კახა ბაციკაძე 25

გიორგი ზუხბაია 26

ნანა ცინცაძე 28

პოეტები

ბერდიაკონი ნეოფიტე 30

ია მოსულიშვილი 32

ეთერ ჭელიძე 34

ნიკოლოზ კურტანიძე 36

ედუარდ უგულავა 39

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 40

მალვინა ჭელიძე 42

ნელი საგინაძე 44

თემურ გოგსაძე 46

ხათუნა თედიაშვილი 48

გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული) 54

ლიანა ჯანეზაშვილ-თათანაშვილი 56

დარეჯან ღონღაძე 58

მზიური შავაძე 60

მთვარისა ზეინკლიშვილი 62

სოსო გურული 64

გვანცა პაატაშვილი 66

ნორა მგელაძე 68

ნიკოლოზ გოდერძიშვილი 70

მირანდა ზაბახიძე 73

მაგული კორძაია 74

თინათინ უზარაშვილი-თორდუა 79

ლამზირა შეყილაძე 82

ირმა ტყეშელაძე 84

„ანდრია“ ანზორ შერვაშიძე 86

ნატალია აბდუშელიშვილი 88

ლეილა ვადაჭკორია 92

დავით მოდებაძე 94

ცისანა გვრიტიშვილი 96

მანანა სამყურაშვილი 98

თენგიზ ფანცულაია 100

მირზა ვარძუკაშვილი 102

ბელა მოდებაძე 106

ბელა ალანია 109

მარინა მანჯგალაძე-თამაზაშვილი 110

ნანიკო (ნანო) ხარძიანი 114

ნანა ჩარკვიანი 118

მაკა მექერიშვილი 122

დარეჯან მაჭარაშვილი 124

თეა ბარბაქაძე 126

ინგა ლობჟანიძე 130

იზა შუბითიძე 134

უცნობი 136

თინათინ ხაბურზანია 137

ნინო მოსაშვილი 138

ნინო უძილაური 140

თეიმურაზ კვარაცხელია 142

მამა თეიმურაზ ქორიძე 146

ლიკა ქათამაძე 148

ნინა გიორგაძე-გაჩეჩილაძე 150

ია მაჭარაშვილი 152

იზოლდა მოშიაშვილი 154

ია ხალვაში 156

ცისანა ხუციშვილი 158

მაია ქასრაშვილი-რამიშვილი 160

მარინა დიერაშვილი 163

თამრო ნიჟარაძე 164

ვალია კვაშილავა 166

ლია ალადაშვილი 168

ირინა ბერიანიძე 172

მზია გირგვლიანი 174

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 176

მზია გომართელი 178

ნანა გიგუაშვილი 180

მზია ელიაძე 185

მაგული ღვინიაშვილი 186

მარინა თოფურია 189

ქეთევან გელაშვილი 190

ნათია ჯიქურაშვილი 191

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი) 194

მიძღვნები

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი) 207

ხაბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი 213

ერდავინყებს მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი 215
ბეჟან ხარაიშვილი 216
დავით გამთენაძე 217
შერმადინ ქალდანი 218

თარგმანები

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი 219

პროზა

რევაზ მიშველაძე 235
მირანდა ზაზახიძე 244
ნელი საგინაძე 247
ხათუნა ჩიტაძე 251
ნინო ხაზარაძე 253
ირმა კეკელიძე 255
მზია ელიაძე 259
ცისანა გვრიტიშვილი 260
მაია ტყემალაძე 262

ჯუბლიკა

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი) 268

ფერწერა

ლუარა სორდია 293
ნანა სხირტლაძე 297
ხათუნა ელიაშვილი 301

მოგზაური

სიმონ ზაქარაია 309

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 311

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 314

ისტორია

ნიკო ხერკელაძე 320
გოჩა ჭელიძე 323

სამართ

ავტორთა საყურადღებოდ

„ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე ხატი – „წმინდა ნინო“, ბოლო გვერდზე ხატი – „წმინდა გიორგი“ და შიგნით გვერდზე შოთა რუსთველის პორტრეტი. მხატვარი რეზო ადამია.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
აბრამ პაატა იოსებაშვილი (ისრაელი) – არქიტექტორი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.
იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი — სამართალმცოდნე, პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იზოლდა მოშიაშვილი – პოეტი
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე – პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com